

776 / 3

1989 წ. 4

24



ISSN 0206 — 5746

კრიტიკა

„კრიტიკის“ რედაქცია გმობს აფხაზი ტერორისტების აღვირახსნილობას. უბაში უფარკაულთაგან დაღუპს საქართველო მიჩვეულია, მაგრამ ვაფრთხილებთ უველას: ჩვენი მოთმინების უნარით გორობად ნურვინ ისარგებლებს! ნუ გვანიკულებთ, რომ ერთ დღეს ჩვენც ავიხსბთ იარაღი და, რაბი სამართალი ჩვენთვის აღარ არსებობს, ავდგეთ და ხტუპარს გვა იქეთ ვუჩვენოთ, სპიდანაც ამ ორიოდე საუკუნის წინ ჩამოგრძანდა

4

1989



კრიტიკა

4

საქართველოს
მწერალთა კავშირის
ორგანო

ნომერი:

დიდი იმედის ნაპერწკალი	3
როგორ ვპატრონობთ მარგალიტს	
იოსებ მეგრელიძე. „ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემის გამო	5
სანდრო შაიშველაშვილი. რეპრესირებული სტროფისათვის	7
სიტყვა და საქმე	
დავით თევზაძე. ქართული მწერლობა გარდაქმნის სარკმლიდან	10
მიხეილ ანთაძე. „აღიღო შუბი თუთაშხამან“	23
სოსო სიგუა. 1917-1921 წლების თბილისური პრესა	33
ნოდარ შამანაძე. პოეტი ეძებს დაკარგულ სიტბოს	38
ნანა გოგიშვილი. სისხლი, რომელსაც გაციება არ უწერია	41
აპოლონ ცანავა. „დალი“ და ფოლკლორი	48
თემას გვპარნახობს ცხოვრება	
სოლომონ დემურხანაშვილი. საით მიდის გზა	53
ავთანდილ გველესიანი. გამობნაურება	63
ვარლამ ქაცარავა. მხოლოდ გარდაქმნის სამსახურში	67
მურმან ჭგუბურია. არაეკოლოგიური	74
სრულველი კრიტიკის არსენალი	
აკაკი გელოვანი. კრიტიკის კრიტიკა	78
მემკვიდრეობა	
იროდიონ ერემეიშვილი. ვაჟას ერთი საღამოს შესასხებ	90
თვალსაზრისი	
ციალა ბენდელიანი. დარღვეული კავშირები	93
აბაბი წიგნითელი — 150	
შოთა ბარამიძე. სრულიად საქართველოს ეროვნული დღესას- წაული	101
აკლემიკა	
როსტომ ჩხეიძე. ეროვნული ნიპილიზმის წინააღმდეგ	113
თამაზ კოკლამაზიშვილი. ახალი წიგნი საფარის მონასტრის შე- სახებ	115
უცხური მწერლობა	
ვლადიმერ კორტავა. მართალია თუ არა, რომ „სულელები არა- სოდეს გადაშენდებიან“?	122





მეცნიერება

ვანტანგ გოილაძე. არის თუ არა ლეონტი მროველი „ქართველ-
თა ჰეროდოტე“? 129

ნანა ზედგენიძე. ინგლისელ მწერალთა ნაწარმოებების თარგ-
მანები გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე 129

უზრადღეობა, მკითხველი!

უშანგი სიხარულიძე. არ გავცეთ პასუხი? 135

„კრიტიკის“ რედაქციას 136

ბახხანეზა

რევაზ დანელია. სევდიანი მელოდია 138

ახალი წიგნები

გრიგოლ ჭულუხიძე. „მდინარესა და მთებს გაღმა“ 140

კარლო კობერიძე. „შენ უკვე შენ ხარ“ 143

დავით გოგოჭყური. მთიელთა ცხოვრების სურათები 146

ილია ფეიქრიშვილი. კიდევ ერთი შეხვედრა 150

თამაზ ბარჯაძე. „...და ნელი ტანჯვით იხსნება ბაგე“ 153

ვალერიან რამიშვილი. დედაბუნების ქომაგი 155

მკითხველმა განსაჯოს

ლევან მილორავა. პასუხი ნაზარბაევებს! 156

ლიმილის წუთები 158

მთავარი რედაქტორი:

რევაზ მიწველაძე

სარედაქციო კოლეგია:

ანდრო ბიდუაძე (პასუხისმგებელი მდივანი), გურამ ბენაშვილი, აკაკი
ბაწიშვილი, გიორგი ბაჩიჩილაძე, გურამ გვირდუთელი, კობა იმედა-
შვილი, მშნარ კვიციანი, გიორგი მერკვილაძე. თამაზ ნატროშვილი,
სოსო სიბუა, ალექსანდრე სამსონია, როსტომ ჩხეიძე, ვლადიმერ წმინა-
რი, ზვიგონ ჯულუხიძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ნაფი ჯუსოიძე.

მისამართი: თბილისი რუსთაველის პროსპექტი, 40/1,
ტელეფონები — მთავარი რედაქტორი 99-81-68, მთავარი რედაქ-
ტორის მოადგილე და პასუხისმგებელი მდივანი 99-61-80, განყო-
ფილებები და კორექტორი 93-23-78.

დიდი იმედის ნაპერკალი

1988 და 1989 წლები საქართველოს ისტორიაში უაღრესად მნიშვნელოვან თარიღებად დარჩება.

მართალია, ამ წელს ეკონომიკის გარდაქმნის ჩვენი უდიდესი მეთოდების გადამკვიდრება დიდით ვერაფრით წავიწიეთ წინ. „საყოველთაო სიუხვე“ ჯერ ისევ შორეულ და საეკვო დაპირებად გვრჩება, მაგრამ, სამაგიეროდ, სულიერმა ცხოვრებამ წყვეტად განსაცვიფრებელი გამარჯვებები მოიპოვა.

ქერძოდ: დასრულდა საქართველოს ეროვნული გამოღვიძების მტკივნეული პროცესი.

უმრწემები თაობის თავგანწირულმა კვეთებამ შედეგი გამოიღო: ჩვენი, ბებერი, კეთილი, დემოკრატიული კონსტიტუცია, რომლის ზოგი მუხლი ფიქტიური გახლავთ, მაგრამ მაინც იმედის ნაპერწკლად ბუთავდა ათეული წლების განმავლობაში და, რომელსაც, ზოგთა უგუნურების გამო, სწორედ ამ დემოკრატიული იდეოლოგიის დროში საფრთხე დაემუქრა, — შევინარჩუნეთ. ვგულისხმობ იმ მუხლს, რომელშიც სსრკ-ს შემადგენლობიდან რესპუბლიკის თავისუფალი გასვლა გარანტირებული.

მართკო კონსტიტუციის მუხლებისათვის კი არა, პიროვნების და ერის ღირსების დაცვისათვის, იმპერიული მუხრუჭებისგან თავისუფალი საზოგადოებისთვის ჩვენს შემართება-თვითგვემაში მთელმა მსოფლიომ დაინახა, რომ თავისუფლებისმოყვარე ქართველი სული არ ჩამკვდარა, იგი ყოველ კეთილი ნების მქონე ქართლის არსებაში მტკთქავს და გუგუნებს.

თვისობრივად ახალ საქართველოში ვცხოვრობთ.

რომ ეკონათ უფლებბრივად შევლუდულმა, მიწაწარმეულმა, დაშინებულმა, არაერთგზის მოტყუებულმა, გულისამრევი პროპაგანდით შეღონებულმა ქართველმა ეროვნული ბრძოლა გადაივიწყაო, სწორედ მაშინ იმედის პაწაწკინტელა ნაპერწკლის აკიფება საკმარისი აღმოჩნდა ერთ მუხტად შეკრული უზარმაზარი ლაშქარი ფეხზე დამდგარიყო და დამოუკიდებელი საქართველოს დროშა აეფრიალებინა.

დამოუკიდებელი საქართველოს ლოზუნგი დღეს რომ ასე აშინებს ზოგს, სხვა არაფერია თუ არა ეკონომიურად, პოლიტიკურად, კულტურულად დამოუკიდებელი, თავისუფალი საქართველოს სურვილი და უკანასკნელი დროის მოვლენები სწორედ ამგვარი თავისუფლება-დამოუკიდებლობისკენ გვიხმობენ, საგარდაქმნო მოძრაობაც ამგვარ თავისუფლებას უნდა ელტვოდეს.

ცხრა აპრილს საქართველოში დაღვრილ სისხლზე იმედის ყაყაჩოები გიზგიზებენ.

რაც შეეხება ქართულ სულს, ჩვენდა გასახარად, იგი მთლიანი და გაუტეხელი აღმოჩნდა. სარწმუნოებისთვის შუშანიკის თავგანწირვიდან, ცოტნე დიანის, მეფე დიმიტრი თავდადებულის და სამასი არაგველის გმირობიდან შარშან და წელს ჩვენში დატრიალებულ მოვლენებამდე ერთი ნაბიჯია.


მწერალმა უველაფერი უნდა გააკეთოს იმ დღეთა უკვდავყოფისათვის.

ჯერ კიდევ მშვენივრადაა ორგანიზებული მართალი კაცის დათრგუნვა-შევიწროების ინსტიტუტი.

კვლავ ბოვინობს არაკომპეტენტურობა და უვიცობა, რომელიც ერის უკე-

საქ. სსრ კ. მარქსიზმ
სახ. საბ. რესპუბ. 3
ბიბლიოთეკა

თუ შვილთა წინააღმდეგ თავის ბნელ საქმეს ღამის დაუსჯელად აკეთებს, ხელახლა რომ გაცოცხლდეს. დიდი შანსი აქვს ილია ჭავჭავაძესაც, რომ ხელმეორედ ესროლონ ტყვია.



მშინვარა მუეფართა წკავწკავს არ უნდა შეუშინდეს ჩვენი ეროვნული

ბრძოლის ქარავანი. არა ქაოტური მიტინგების ან ნაჩქარევი, გაუანალიზებელი აქციების, არამედ დიდი ილიას მიერ დასახული გზით გონივრულად და დინჯად უნდა ვატაროთ საქართველო.

ეროვნულ მოძრაობაში ყველას თავისი ფუნქცია აქვს. ვინ მართალია და ვინ არა, ჭვეყანა მშვენივრად ხედავს. ამ ეტაპზე უპირველეს საქმედ ეროვნული კონსოლიდაცია, საქართველოს დემოგრაფიული მოწესრიგება და ქართული ენის პროგრამის განუბრელი შესრულება მესახება.

მეორე ეტაპი — საქართველოს სანუკვარი ოცნების ხორცშესხმა — ამ პირველ ეტაპს უნდა მოჰყვეს და, მგონი, არც ისაა შორეული ოცნება.

ისე ეხვევა ახლა ჩვენს ეროვნულ სხეულს სამშობლოდაკარგული არაერთი ტომი, როგორც მუშლი მუხანს. კავკასიონის ცივ ტრამალებს გამოქცეული, უკულტურო და უწარსულო, თბილ კერას და სამოვრებს მონატრული შვიდფარეთ, შვიწყნარეთ, ჩვენს უბეში გამოვწარდეთ და ახლა სიკეთეს იმით გვიხდის, რომ „დიდმპურობელს“ გვეძახის და მამა-პაპური ადგილებიდან გვერეკება.

სხვებს კი დემოგრაფიული, მშვიდობიანი დაპურობის ავბნელი გეგმა დაუსახავთ და ამ სხვის ბუდეში გამრავლების უსაშველო ტემპალებულებს სურთ, რაღაც ხუთი ათეული წლის შემდეგ სავალალო ფაქტის წინაშე დაგვაყენონ. მე ახლა იმის ფიქრისაც მეშინია, რომ ჩვენი გამრავლების ახლანდელი ტემპის გადამკიდე ქართველები მალე საქართველოში ეროვნულ უმცირესობათა შორის აღმოვჩნდებით.

ისტორიის ვეშაპი გვიახლოვდება. ჩასაძირავად განწირულ ხომალდს რომ არ დავემსგავსოთ, ახლა ერთმანეთის დამშვიდება და მიტევება-მოფერებისკენ მოწოდება კი არა, პრაქტიკული მოქმედებაა საჭირო სარეველისგან ეროვნული ნიადაგის გასაწმენდად.

არ გაამართლა განუკითხავი, ცალმხრივი ინტერნაციონალიზმის მავნე პრაქტიკამ. 24 ივნისს ჩვენს წინააღმდეგ აღსდგნენ ქვემო ქართლში მცხოვრები უცხო ტომები, ხოლო 15 ივლისს მშვიდობიან, უიარაღო, მკვიდრ ქართველ მოსახლეობას კბილთა ღრჭიალით თავს დაესხნენ აფსუას ტომის წარმომადგენლები და ცეცხლი და მახვილი დაატეხეს თავს. დადის ახლა ზოგი „დამყვავებელი“ და ქართველთ მიტევებისა და სულგრძელობისკენ მოუწოდებს. იოლი სათქმელია შვილმოკლული მამისთვის; შეურიგდი შენი შვილის მკვლელს რომელსაც თოფი შემთხვევით სულაც არ გავარდნია, მიპარვით, ლაჩრულად წინასწარდაგვემილოდ მოგიკლა შვილიო?

უსაზღვროა აფსუას ტომის წარმომადგენელ ექსტრემისტთა ვანდალიზმი. საავდმყოფოში იჭრება მკვლელი და უკანსკნელი იმედიტლა მსუნთქავ ქართველს თავს უჩენავს, აფსუა ექიმი უარს ამბობს ქართველი დაჭრილის დახმარებაზე (!), ხედავთ სანამდე მიდის სიძულვილი და წრგადასული თავხედობა? ამ სტრიქონების ავტორი სისხლით სისხლის მობანვის მომხრე როდია, მაგრამ მას ვერაფრით აუნხნია ხელისუფლების და წესრიგის დამცველი ორგანოების პასიურობა. ჩვენს მოთმინებაზე თამაშს არავის ვურჩევთ, დროა კანონის მთელი სისასტიკით დაისაჯონ მკვლელები. მხოლოდ ამის შემდეგ მივუსხდებით ჩვენ აფსუას ტომთან შესარიგებელ მაგიდას.

რ ე დ ა მ ტ რ ი



იოსებ მებრელიძე

„ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემის გამო

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის მიერ მომზადებულ წიგნს, რომელიც 1988 წლის ბოლოს გამოაქვეყნა გამომცემლობა „მეცნიერებამ“ (ტირაჟი — 50000), ავტორად „რუსთველი“ აწეწა.

გეოგრაფიული სახელია რუსთავი; სრულიად ანალოგიურია ტოპონიმები ცურტავი, თელავი... და იტყვიან ვინმე „ცურტაველი“, „თელველი“?!

მიუხედავად ამისა, ცნობილმა პედაგოგმა სილ. ზუნდაძემ აღრევე დაბეჭდა, შოთას ზედწოდება რუსთველი არის და ასევე უნდა ეწეროთო (გაზ. „იმერეთი“, ქუთაისი, 1913, № 53). შემდეგ იუსტ. აბულაძემ გაიმეორა, ვთქვათ და ვწეროთ რუსთველიო! (გაზ. „კომუნისტი“, 1934, № 247). ამასვე ახვევენ მსოფლიოს თავს აკ. შანიძე და ალ. ბარამიძე: „ისტორიულად სწორია“ და „ამიერიდან საყოველთაოდ უნდა გავრცელდეს როგორც საქართველოში, ისე მთელ საბჭოთა კავშირში და საზღვარგარეთ ფორმა რუსთველი“-ო („კომუნისტი“, 1961, № 7).

სიმ. ყაუხჩიშვილის აზრით „ჩერ არ აღმოჩენილა არავითარი ახალი საბუთი, რათა შევცვალოთ დამკვიდრებული მართლწერა რუსთაველი, ეს ასე უნდა დარჩეს“. იერუსალიმის სურათის წარ-

წერა როსთველი შეიძლება რუსთაველ-ადაც წავიკითხოთ; „ვეფხისტყაოსანში“ რუსთველი ლექსის ზომის გამო წერია, თორემ ავტორი რუსთაველი იყო (ეჟრნალი „მნათობი“, 1961, № 2, გვ. 113-119).

პირადად ჩვენ ვრცლად მიმოვიხილეთ ეს საკითხი წერილში „რუსთაველისა“ და „ვეფხისტყაოსნის“ მართლწერა“ („ლიტერატურული გაზეთი“, 1962 წ. 25 მაისი, გვ. 2) და შემდეგაც რამდენიმეჯერ შევხებთ მას. ვიცავდით და ვიცავთ აზრს, რომ უნდა წარმოითქვას და დაიწეროს სრული ფორმა რუსთაველი და მით უფრო არ შეიძლება მსოფლიო მასშტაბით დამკვიდრებული სახელის მართლწერაში აღრევის შეტანა.

ამას გ. ლეონიძე გამოეხმაურა, გერავის სარიტმო მარცვალს ვერ დავეუთმობთ, ლექსში შეიძლება ვთქვათ „რუსთველი“, მაგრამ ჩვენი პოეტი „რუსთაველი“ იყო...

მიუხედავად ყოველივე ამისა, ჩვენს უნივერსიტეტში სულმნათი პოეტის სახელობის კაბინეტს თავიდანვე „რუსთველის კაბინეტი“ უწოდეს! ახლა მასაც „რუსთაველის კაბინეტი“ აწერია. ერთ-ერთი ჩვენი გაზეთი წერდა: რუსთაველი და რუსთველი ორივე შე-

იძლება ვწეროთო.. არა, ორთოგრაფია უნიფიკაციას ამჯობინებს.

გამოქვეყნდა თუ არა ცნობა რუსთაველის საზოგადოების დაარსების შესახებ, დაიბეჭდა: მას „რუსთაველის საზოგადოება“ ვუწოდოთო! („კომუნისტი“, 1987. XII. 26, გვ. 1).

ბუნებრივია, ეს არ იქნა მიღებული. „რუსთაველს“ წერდნენ ანტონ I, ილია და აკაკი, ვაჟა-ფშაველა და ვალაკტიონი, ივანე ჯავახიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი და სხვები. ასევე იცნობენ ამ პოეტს მსოფლიო მასშტაბით და ახლა არასერიოზულობა იქნებოდა უცხოელებსაც მოვთხოვოთ „რუსთველი წერეთო“.

საერთოდ სრულ გაშლილ ფორმას უნდა მიეცეს უპირატესობა. ამიტომაც წერია „ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში“ რუსთაველი, რუსთაველი, რუსთაველი...

ენათა საერთო თვისებაა ფორმათა უკუმშველობისაკენ მიდრეკილება. ამის საფუძველია ჰარმონიულობა. სწორედ ასეთია ფორმა რუსთაველი და ასეც უნდა დარჩეს.

სწორედ მოიქცა უფრ. „კრიტიკის“ რედაქცია, რომელმაც ერთ-ერთ ავტორს დაუბეჭდა წერილი — შოთა რუსთაველი ვწეროთო (1989 წ. № 1, გვ. 16-17).

აქვე ახალი გამოცემის კიდევ ერთ საკითხზეც გვინდა შევჩერდეთ.

„ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებსა და გამოცემებში, გარდა ერთი ხელნაწერისა (იხ. ქვემოთ), ყველგან იკითხება:

„ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსა.“

1988 წლის გამოცემაში კი დაბეჭდილია:

„ამირან დარეჯანის ძეს მოსეს უქია ხომელსა.“

აქ არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, ეს ბოლო სტრაფი რუსთაველისაა თუ ფსევდორუსთაველურია.

მათგარეა საკითხი, რას ეყრდნობა ეს ცვლილება?

ირანისტმა მაგალი თოდუამ გამოქვეყნა წერილი „კვალი იმედინის“ (უფრ. „კრიტიკა“. 1983 წ. № 2, გვ. 85-106).

მასში გამოყენებულია ფრანც ტუსენის განმარტებული ნაშრომი (1942) და მასზე ლიტერატურა (გ. ლეონიძე, ს. ფირცხალავა, მ. მამულაშვილი, ალ. ბარამიძე, ბერძენი ტრიკოგლიდისი და სხვა) იმის თაობაზე, რომ მეცამეტე საუკუნის არაბი მწერლის აბულ-ფარაჯის თხზულებათა კრებულში (ინახება ქაიროს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში) იხსენიება შოთა რუსთაველი და დასახელებული რამდენიმე ლექსი.

სწორედ აქაო, — ლაპარაკობს მ. თოდუა, — მოსე ხონელის მაგიერ წერია თურმეო ხომელი. ზემოხსენებულ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ხელნაწერ H-54-შიც ასევე იკითხება. მაშასადამე, მოსე ხომელი იყოო. ხომია, ხომია, — განაგრძობს ავტორი, „მდებარეობს ახალციხის რაიონში. აქ ხომის წყალზე ისტორიულად ცნობილი იყო ორი სოფელი ზემო ხომია და ქვემო ხომია. ხომიდან წარმომდგარი კაცი ხომელი იქნება“ (გვ. 101-2).

ეს ხომია ისტორიულ დოკუმენტში პირველად XVI ს. ბოლოს იხსენიება. თვითონ მ. თოდუა შენიშნავს: საკითხს „შუქს მოჰფენს მხოლოდ ერთი ლონისძიება — ქაიროს ხელნაწერთა ფონდების ადგილზევე გაცნობა, რაც ქართველი აღმოსავლეთმცოდნეების გადაუღებელი ამოცანაა“ (გვ. 106).

ცხადია, ცნობის დედნის ნახვამდე მოთმენა შეიძლებოდა... ჩვენ ვფიქრობთ, რომ ხონის ხანგრძლივ ისტორიულ ტრადიციებსა და ერთის გამოკლებით, „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა ჩვენებებს მეტი ანგარიში უნდა გასწეოდა. გასათვალისწინებელი იყო, რომ ე. თაყაიშვილის „არქეოლოგიურ მოგზაურობანში“ (წ. II, თბ., 1914, გვ. 270-281), ხონი ჯერ კიდევ

719 წლიდან იხსენიება ქალაქად (იქვე, გვ. 273); ისევე წერილობითი და ზეპირი წყაროებიც ხონის დიდ წარსულზე მეტყველებენ. რასაც ანგარიში არც მაშინ გაუწიეს, როცა ხონს წულუკიძე დაარქვეს. ქაიროს ზემოხსენებული ხელნაწერი არც ერთ ჩვენს სპეციალისტს არ უნახავს. მაშასადამე, „ვეფხისტყაოსნის“ ახალ გამოცემაში შეტანილი ეს ცვლილება ნაჩქარევია. გამოცხადდა ზემოხსენებული არაბული მასალა უკვე თბილისშიაო. მე-

რე რა, ახალი ხომ არაფერია, ისეც ის ერთი დასახელებული მასალა და, ისიც ჯერ შეუმოწმებელი საუკუნეებით დამკვიდრებული ტრადიციების საპირისპიროდ, რაც ხსენებული ცვლილების უეჭვო საფუძველს ვერ იძლევა. დაბოლოს დავსძენთ: არც აგრე შეიძლება, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ თითქმის ამავე დროს დასტამბულ წიგნს რუსთაველი აწერია და „მეცნიერებისას“ კი რუსთველი!



სანდრო შანიშვილი

რეკონსტრუქციური სტროფისათვის

„ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის მთავარი რედაქციის მიერ მომზადებული ტექსტის ერთ-ერთმა მცდარმა წაკითხვამ — „ვემობ კაცსა უაუგოხა ცრუსა და ღალათიანსა“ (სტრ. 796) — ძალუხნებურად გამახსენა ის სტრიქონები, სადაც სიტყვა აუგი არის გამოყენებული. რესტავრატორთა თუ განმმართველთა (საბა) სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ხუთი მაგალითიდან სამი უცვლელად, ხელშეუხებლად დაუტოვებიათ. აი ისინი:

- 369.4 „გული მიც თობაქმნათად ჭუგისა საკრძაღველად“.
- 1229.4 „პირველ მათი შეცოდება მერმე დიდი აუგია“.
- 1089.2 „აუგი და მოყენება არად შესწონს ყოლად კრუსა“.

ღიახ, უცვლელად დაუტოვებიათ და ამიტომ ზემოთაღნიშნული ფორმა „უაუგო“ ტექნიკურ შეცდომად მივიჩნიე, მაგრამ როდესაც სიტყვა „აუგია“

შემცველ სხვა ნაცნობ სტროფს დავეუწყე ძებნა და ვერ მივაგენი, ამოულიათ. ეს ის სტროფია, რომელიც 1937 წლის საიუბილეო გამოცემის მიხედვით ასე იკითხება:

191. „თავს უთხრა: „მოკვე გიჯობსო სიცოცხლეს აუგიაანსა; მიხვალ, დაგზღუბის თინათინ, ანათებს დღესა მზიანსა; გკითხოს მის ყმისა ამავეი, რა გმართებს ვაგლაბანსა? იგონებს წამ-წამ, მიყვების ტყის პირსა შამზნარ-წყლიანსა“.

ძნელი დასაჯერებელია, რომ ეს მშვენიერი ყვავილი სარეველად აღიქვას კაცმა და აი რატომ: ავთანდილი რომ თინათინის საგანგებო დავალებით ტარიელის ამო ძებნით შეწუხდება, დავალების შეუსრულებლობა თავის მოკრად, სიკვდილის ტოლფასოვან სირცხვილად ანუ აუგად მიაჩნია. დიდ საგონებელშია ჩავარდნილი; ვაი თუ ვერაფერი გავიგო

უცხო მოყმის შესახებ, მაშინ „ჩემსა რა ვკადრო მნათობსაო“!

ზემოთ აღნიშნულ დაწუნებულ სტროფამდე თითქმის მთელი თორმეტი სტროფი მოსამზადებელი ნაწილია იმისა, რათა დასკვნისებურად ითქვას — თავს უთხრა: „მოკვე გიჯობსო სიცოცხლეს აუვიანსა“ და ა. შ. აი, სწორედ ავთანდილის ეს მიძიმე განცდათა განმარტებელი სტროფი აუთვალწუნებით აკადემიკოსებს. რატომ? იქნებ „აუვის“ არასწორი ვაგების ბრალია? სხვა მიზეზი არ ჩანს.

„აუვიანის“ ნაცვლად „უაუგოს“ ხმარება იმდენად მიძიმე შეცდომაა, რომ მთლიანად არღვევს პოემაში ადამიანის ზნეხასიათისა და ავკარგიანობის განმსაზღვრელ ვაგებას.

რას უნდა განეპირობებინა „აუვიანის“ შეცვლა მისი საპირისპირო შინაარსით? ალბათ „აუვის“ განმარტებად, მისი ფართო მნიშვნელობის დასადგენად მხოლოდ ერთი კომპონენტი „სირცხვილი“ აიღეს, ისე როგორც ეს „ვეფხისტყაოსნის“ 1937 წლის საიუბილეო გამოცემის ლექსიკონშია, — „აუვის-სირცხვილი“. უნდა შევნიშნოთ, რომ საბას ეს სიტყვა განმარტებული აქვს როგორც „სარცხვენელი“, „უაუგა სარცხვინოდ აღუჩნდა, სარცხვენელად აღუჩნდა“.

სხვათაშორის, სიტყვა „აუვი“ განმარტებული არ არის წინა 1986 და 1988 წლის სხვა გამოცემებშიც და არც იყო საჭირო, რადგან „განმმართველის“ გარდა არა მგონია დღეს ვინმემ არ იცოდეს, რას ნიშნავს „აუვი“. შემსწორებელს კი, რაკი გამოდის რომ 1937 წლის გამოცემის ლექსიკონით უსარგებლია (აუვი-სირცხვილი), „უსირცხვილოს“ ფორმალური ანალოგიით „უაუგო“ უწარმოებია და ამრიგად დასაგმობი და მოსაწონი საქციელისათვის ადგილები შეუნაცვლებია. ვფიქრობ, ზემოთხსენებული უსამართლოდ რეპრესირებული სტროფის ბედი „აუვის“ არასწორ ვაგებასთან უნდა იყოს დაკავშირებული.

„პ ა პ ა - ჩ ე მ მ ა ნ “ თუ „პ ა პ ა მ ა ნ ჩ ე მ მ ა ნ “

„ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დადგენი კომისიის მთავარი რედაქტორის კლდე ერთ საექვო გასწორებაზე უნდა შევაჩერო მკითხველის ყურადღება.

599-ე სტროფის პირველი სტრიქონი ნაცვლად ადრინდელი რედაქციების ტრადიციული წაკითხვისა — „მამის ძმა და მამა-ჩემი პაპა-ჩემმან გაყვნა ოდეს“ — ახალი რედაქციით ასე იკითხება:

„მამის ძმა და მამა ჩემი პაპმან ჩემმან გაყვნა ოდეს“.

როგორც ვხედავთ, ნაცვლად ძველებური და მართებული ფორმისა პაპა ახალში აღიქმება როგორც პაპი („პაპმან“). იქნებ გამსწორებელი ბრუნვის გრამატიკულ კატეგორიასაც ეყრდნობოდა, მაგრამ გამართლება არცერთ შემთხვევაში არა აქვს. ფრიდონი, ცხადია, პაპაზე ლაპარაკობს და არა პაპზე.

რუსთაველის ეპოქა, თავისი ენობრივი ნორმების მიხედვით, პაპას აღიარებს მამის მამად და არა პაპს.

მივმართოთ ყველაზე სანდო წერილობით წყაროს რუსთაველის თანამედროვეის ბასილი ევოსმოდღერის შესანიშნავ ისტორიულ თხზულებას „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“, სადაც ვკითხულობთ:

1. „მოიყვანეს სარგის ამირსპასალარისა მხარგრძელისა ორნი ძენი — ზაქარია და ივანე, კაცნი ბრძენნი, მხნენი, ბრძოლათა შინა დიდად გამოცდილნი და გვარეულადაცა ერთგულნი მეფეთანი, ამისთვის დიდად შეყვარებულნი თვით თამარის პაპათა და მამათანცა“ (ქართული მწერლობა, ტ. მე-3, გვ. 307).

2. „...და შვა შვილი (თამარმა, ს. შ.) ყოვლითურთ მსგავსი პაპისა და დაარქვეს სახელი გიორგი“ (იქვე).

3. „და მერმე უკანასკნელი თვით მუნვე გელათს დაამკვიდრეს თვისსა შინა სამარხოსა, დიდებად მუნ შინა დამკვიდრებულად პაპათა და მამათა მისთა

სახელოვანთა დიდთა მეფეთა თანა“
(იქვე).

სამივე მაგალითი ნათლად გვიდასტურებს, რომ რუსთაველი დაწერდა მხოლოდ „პაპა-ჩემმან“ და არა „პაპმან ჩემმან“.

„ხ ე მ ა“ თუ „ხ მ მ მ ა“

აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის მიერ მომზადებული „ვეფხისტყაოსნის“ მე-13 სტროფის მესამე სტრიქონის სარიტმი სიტყვა „ხევა“ კონტექსტის მიხედვით სრულიად შეუფერებლად გვესახება. მართლაც და, აბა დაუკვირდით:

„ვითა ცხენსა შარა გრძელი და გამოსცდის
დიდი რზევა,

მობურთალსა მოედანი, მართლად ცემა,
მარჯვედ ქნევა,

მათ აგრეთვე მელექსესა ლექსთა გრძელით:
თქმა და ხევა,

რა მოსჭირდეს საუბარი და დაუწყოს
ლექსმან ლევა“...

ე. ი. ცხენს შარა გრძელი და სირბილი გამოსცდის, მობურთალს — მოედანი, მელექსეს — გრძელი ანუ ეპოურად თქმა, ისე რომ „არ შეამოკლოს ქართული, არა ქმნას სიტყვამცირება“, მაგრამ რა შუაშია „თქმასთან“ შეუღლებული „ხევა“? იქნებ ეს სიტყვა რუსთაველის ეპოქაში დახვეას, დაფრეწას, დაგლეჯას ან გახლეჩას კი არ გულისხმობდა, როგორც თანამედროვე ქართულშია მიღებული და როგორც საბასა და სანერთოდ ყველა ლექსიკოგრაფს აქვს განმარტებული? იქნებ სხვა რამეს ნიშნავდა? არა გვგონია, რადგან თვით „ვეფხისტყაოსანში“ სხვადასხვა ადგილას სიტყვა „ხევა“ (დახევა, დაფრეწა...) იმავე მნიშვნელობით არის ხმარებული, როგორადაც დღევანდელ ქართულშია გაგებული. გავიხსენოთ: „უსტიარი შესანახავი, არ ცუდად დასახეველი“... „თქვენთა მტერთა და ორგულთა დაფრეწდით და-ცა-სკრიდითა“. ორივე შემთხვევაში „დახევა“ და „დაფრეწა“ იმავე მნიშვნელობითაა გამოყენებული, როგორადაც დღეს გვესმის. არავითარი

ცვლილება არ შეიმჩნევა. მაშ, საიდან გაჩნდა პოეტის დახასიათებისათვის ეს სრულიად შეუფერებელი ფორმა „ხევა“? ვფიქრობ, აღნიშნული ფორმის გასარკვევად უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი გარემოება: გადაშწერმა რომელიც მართებული სიტყვის „ხ“ და „ე“ ასოთა შორის შემთხვევით გამოტოვა „მ“ ბგერა. ასეთი რამ გადაშწერს კი არა, დასაშვებია, რომ ავტორსაც მოუვიდეს.

ეს არის, რომ ტექნიკურმა ლაფსუსმა მნიშვნელოვნად დაახარა რუსთაველური გაგება. გასაკვირი ეს ლაფსუსი კი არ არის, არამედ ის, რომ დღემდე ყველა რედაქციის ყველა გამოცემაში „ხევა“ დაუტოვებია და ამის შეუსაბამობაზე კი არავის შეჰპარვია ეჭვი, ისე როგორც სხვა არა ერთ ანალოგიურ შემთხვევაში. იქნებ ამის გამოც იყოს, რომ ზოგიერთმა მკვლევარმა თვით სტროფის ნართაულობაზეც კი გამოთქვა ეჭვი.

ნათელი ხდება, რომ ნაცვლად ბგერანაკლული და სხვა შინაარსის სიტყვისა „ხევა“, კონტექსტის მიხედვით იკითხება „ხმევა“, რაც ნიშნავს მოხმარების უნარს, შეწვენას, ძალისხმევას, აღქმის უნარსა, ძალასა და შესაძლებლობას, „ძალის დებას“ (შეძლება, ხელმეწიფება, ნ. ჩუბინაშვილი). „ხმევა“ იმავე მნიშვნელობის მატარებელია, რასაც „მიხმა“ გულისხმობს. „მიხმა“ კი საბას განმარტებით იგვივია, რაც „წართმა“ ანუ ერთმანეთზე მიბმით, მიყოლებით, რიგზე, სირად“... (ალბათ, „სირად“ მიღებულია სირთა ანუ ფრინველთა რიგზე დაწყობილი ფრენის მიხედვით). სიტყვა „ხმევის“ ყველა აღნიშნული განმარტება აღებული მაქვს ქართული ლექსიკონებიდან.

ამრიგად, სიტყვა „ხმევა“ (ნაცვლად „ხევისა“) სავსებით და ამასთან ღრმად ასახავს მელექსის ანუ პოეტის, მოშიარის ძალისა და უნარის შეფასებას, ყოველმხრივ ესადაგება რუსთაველის მიერ „მოშიარის“ იმ დახასიათებას, რომელიც საკმაოდ ვრცლად არის წარმოდგენილი პოემის დასაწყისში.



დავით თვაზაძე

უახლესი ქართული მწერლობა ბარდაქმნის სარკმლიდან

ჩვენს ქვეყანაში უახლესი ლიტერატურის ისტორიის მეცნიერული ანალიზი აქამდე განსაზღვრული იყო პარტიის ისტორიის ქრესტომათიული სტერეოტიპებით და ლიტერატურის ისტორიკოსს ყოველი კარდინალური საკითხი და ყოველი დებულება ზუსტად უნდა მიესადაგებინა „პარტიის ისტორიის“ მკაცრად ჩამოყალიბებული ფორმულირებებისათვის.

ახლა, როცა გარდაქმნის იდეოლოგიის ბოზიციებიდან ვაფასებთ საბჭოთა საზოგადოების განვლილ სამოცდაათწლიან გზას, მეცნიერების ყურადღების ცენტრში დგება ის ისტორიული მოვლენები და ფაქტები, რომელთა გაშუქება ადრე აკრძალული იყო.

ტაბუ ედო რევოლუციასთან დამოკიდებულებისა და ეროვნულ საკითხებსაც. ასეთ პირობებში, გასაგებია, სავალდებულო შაბლონს გვერდს ვერავინ აუვლიდა, მაგრამ ზოგიერთი ლიტერატურისმცოდნე იმ მიზნით, რომ „გამოეჩინა“ თავი, ცდილობდა არა მხოლოდ მოცემულ შაბლონზე მოერგო ჩვენი მწერლობის ისტორია, არამედ „ახალი მასალებითა“ და „ახლებური“ წაკითხვით გაემრუდებინა იგი (პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ ბევრი თანამედროვე ქართველი ისტორიკოსი და

ლიტერატურისმცოდნე, რაბბელებს არ ჩამორჩებოდა). ამ საკითხთან დაკავშირებით აქამდე დასტამბული მხატვრული ნაწარმოებები და პუბლიცისტური წერილები, მემუარული ლიტერატურა, მეცნიერული დოკუმენტები, მონოგრაფიები და უახლესი ლიტერატურის ისტორიები, მეტი რომ არ ვთქვათ, ცალმხრივია, ტენდენციური და არასრული, შეიძლება ითქვას, გაყალბებულიც. ამიტომ ხელახლა უნდა იქნას შესწავლილი საარქივო მასალები, ლიტერატურულ მუზეუმებში დაცული მასალები, მწერალთა საოჯახო არქივები, პრესა, ადრინდელი გამოცემები, რომელთა მეცნიერული ანალიზი ახლებურად წარმოაჩენს ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პორტრეტებს და ეროვნული მწერლობისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიას.

ქართველმა ლიტერატურისმცოდნეებმა ამ მიმართულებით უნდა წარმოართონ ინტენსიური მეცნიერული მუშაობა, მაგრამ ჩვენში დღესაც თავშეკავებით ხდებიან ამ საკითხთა ახლებურ გაშუქებას. და ეს მაშინ, როცა „ზემოდან“ ხდება რევოლუცია და ახალი აზროვნების ფიქსაცია. ჩანს, ზოგი ჯერ კიდევ ვერ გამოსულა ფსიქოლოგიური შოკიდან, ზოგიერთს, ალბათ, ჯერ კი-

დევ ს ა ე ქ ვ ო დ მიაჩნია „დღევანდელი დემოკრატიზმი“ და „ახლებური აზროვნების“ კურსი, ზოგიც თავს იკავებს: კამპანიურობა არ დამწამონო, ზოგი კიდევ მოპოვებულ „სახელსა“ და მდგომარეობას უფრთხილდება და „ფეხს არ იცვლის“. ზოგისთვისაც სულერთია: არაფერი შეიცვლებაო — ფიქრობს.

ადრინდელი დოქტორინები და საზომები გაბედულად გადასინჯა, უპირველეს ყოვლისა, თვით რუსმა ინტელიგენციამ. იგი ახლა იკვირთ უყურებს „ოქტომბრის ისტორიის“ ზოგიერთ „ძველ თვალსაზრისს“, ხელახლა აფასებს თვით რევოლუციის სათავეს და მასში ხედავს არა მხოლოდ „ჰეროიკულს“, არამედ დრამატულსა და ტრაგიკულსაც; მიგვითითებს თვით ლენინის ირონიულ დამოკიდებულებაზე იმ პირთა მიმართ, რომლებიც „რევოლუციას „ღვთაებრივს“ უწოდებდნენ და „რევოლუციას ასომთავრულით წერდნენ“. მოგვაგონებს, რომ რუსი ინტელიგენცია თებერვლის რევოლუციას „გაშას“ ძახილით შეხვდა, როგორც თავისი იდეალების ხორცშესხმას. ხაზგასმით ვამბობთ — თებერვლისას, მაგრამ არა ოქტომბრის რევოლუციას; „ოქტომბრისათვის, მთელი თავისი დემოკრატიულობის მიუხედავად, ინტელიგენცია (რუსი — დ. თ.) მზად არ იყო და ვერც იქნებოდა“ — წერს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პ. ვოლობუევი.¹

იგი საკითხს სვამს თვით რევოლუციის კანონზომიერებაზე, მის ხასიათზე. „პრობლემას ისე ვსვამდით, — აღნიშნავს პ. ვოლობუევი, — თითქოს განვითარების სოციალისტური გზა ქვეყნისათვის წინასწარ ყოფილიყოს განსაზღვრული, „დაპროგრამებული“, სინამდვილეში კი ეს ერთ-ერთი რეალური შესაძლებლობა იყო სხვა შესაძლებლობათა შორის...“

აკადემიკოსი პ. უოლობუევის ეს დებულება გვაფიქრებინებს, რომ ნამდვილად დადგა დრო ობიექტურად განსაზღვრეს საკითხები, რომელთა შესახებ ადრე მსჯელობა აკრძალული იყო.

თანამედროვე ქართველი ისტორიკოსების დამსახურებად მიმაჩნია, რომ შესძლეს ჭეროვანი მიეგოთ ეროვნული საკითხისათვის, რომელიც დღეს საბჭოთა საზოგადოების ერთ-ერთი პირველხარისხოვანი პრობლემაა და ასე დიდი ყურადღება დაეთმო XIX პარტიულ კონფერენციაზე. ეროვნული საკითხის როლი სოციალურთან ერთად ქართველმა ისტორიოსებმა სწორად შეაფასეს ჭერ კიდევ დიდი ილიას იუბილესათვის მზადების პერიოდში და გაავრცელეს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პერიოდზეც. ამ დებულებიდან გამომდინარე ახალი სანიშნოები აღმართეს, რომლებიც ორიენტირს გვაძლევს ლიტერატურის ისტორიის სპეციალისტებსაც. ამას, ბუნებრივია, უნდა მოჰყვეს აქამდე დაკანონებული სახელმძღვანელო დებულებების გადასინჯვა და გადაფასება. ამ პრიციპით უნდა მივუდგეთ უახლესი ქართული მწერლობის სათავესაც.

ქართველი მარქსისტები, თავიდანვე, 90-იანი წლებიდანვე, ლენინის გამოთქიმა რომ ვიხმაროთ, „რუსული შაბლონით“ აზროვნებდნენ და სოციალურ პრობლემას უპირისპირებდნენ ქროვნიულს. ეს დებულება კი უფლებას ართმევდა მეცნიერს სათანადოდ შეეფასებინა ის როლი, რომელიც შეასრულა ქართულმა მწერლობამ რევოლუციურ მოძრაობაში.

სინამდვილეში სოციალური ბრძოლის მძლავრი აკუმულატორი საქართველოში ყოველთვის იყო ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის იდეა, რომლის მედროშეები ქართველი ხალხის უკეთესი შვილები — მწერლები იყვნენ. სწორედ ამ იდეამ განაპირობა ქართველი ხალხის ერთსულოვანი ბრძოლა 1905-1907 წლების რევო-

¹ პ. ვოლობუევი, დავინახოთ ისტორიის ლოგო, გაზ. კომუნისტი, 1987, 20 სექტემბერი.

ლუციაში, რომელმაც ლენინის ყუ-
რადღებაც მიიქცია.

სამეცნიერო ლიტერატურაში სწო-
რად მიუთითებენ, რომ თერგდალეუ-
ლებმა ილიას მეთაურობით ნიადაგი
მომამზადეს მარქსიზმისათვის, მაგრამ აქ
წერტილი არ უნდა დავსვათ. ილიას
ლიტერატურული სკოლის როლი, გან-
საკუთრებით ეროვნული თავისუფლე-
ბის კონცეფციის დასახელებად, დიდია
მარქსისტულ-რევოლუციური მოძრაო-
ბის პერიოდშიც და მის შემდეგაც —
საბჭოთა სინამდვილეშიც. სოციალური
პრობლემა, რომელიც „მესამედსაუკუნე-
ში“² დაუპირისპირეს ეროვნულს, კიდევ
უფრო აცხოველებს ამ უკანასკნელის
სიკოცხლისუნარიანობას და მის პირვე-
ლადობაზე მიგვიბრუნებს.

თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ
90-იანი წლების დასაწყისში, როცა
„პირველი მარქსისტული ორგანიზაცია
შეიქმნა, იგი აერთიანებდა ათიოდე
კაცს, 90-იანი წლების დამლევს, როცა
თავი რუსეთის სოციალ-დემოკრატიუ-
ლი მუშათა პარტიის ადგილობრივ ორ-
განიზაციად გამოაცხადა, მის რიგებში
ირიქებოდა დაახლოებით ორი ათეუ-
ლი წევრი. ბოლშევიზმის წარმოშობის
საწყის პერიოდში, 1903 წელს საქარ-
თველოს ბოლშევიკური ორგანიზაციე-
ბის რიგებში რამდენიმე ათეული წევრი
შედიოდა“². ცხადია, საეჭვოა ლაპარაკი
ამ ორგანიზაციის ავტორიტეტზე ილია-
სთან შედარებით; თუ იმასაც დაგუმა-
ტებთ, რომ ილიამ საქვეყნოდ ცხადპყო:
ქართველ მარქსისტთა უმრავლესობას
მარქსიზმი არ ესმის და ეროვნული სა-
ხელმწიფოებრიობის აღდგენა არ სურ-
სო, ბუნებრივია, ქართველი ხალხი ირა-
ზმება ილიას დროშის ქვეშ. თვით
რსდმ პარტიის ქართველ წევრთა უმრა-
ვლესობისათვის სოციალური პრობლე-
მა ცალკე, ეროვნულისაგან გათიშუ-
ლად არ არსებობდა; ამასთან ილიასა

და ქართულ მწერლობას ვერაფერს დას-
წამებს სოციალური პრობლემისადმი
უყურადღებობას. დევი სტურბა
რად შენიშნავს, რომ „ცნება ეროვნე-
ნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა
თავიდანვე მოიცავდა როგორც ეროვნე-
ნულ, ისევე სოციალურ მომენტსაც...
ილია დიალექტიკოსი ბრძანდებოდა და
მშვენიერად ესმოდა მაშინდელ ვითარე-
ბებაში ეროვნული და სოციალური
პრობლემების უმჭიდროესი ურთიერთ-
კავშირი“³.

ამ თვალსაზრისით ფრიად ნიშნეუ-
ლია პირველი რევოლუციის ტრიბუნის
ირ. ევდოშვილის ჯერ კიდევ გამოუქვე-
ყნებელი პირადი წერილი სანდრო შან-
შიაშვილისადმი (1911 წელი). იგი არა-
ორაზროვნად წერს, რომ რევოლუციი-
საგან მოელოდა ქართველი ხალხის
ეროვნულ და სოციალურ თავისუფლე-
ბას, მაგრამ რახან ქართველმა სო-
ციალ-დემოკრატებმა სოციალური პრო-
ბლემა დაუპირისპირეს ეროვნულს (რაც
დაადასტურეს კიდევ ილიას მკვლე-
ლობით — ასე ფიქრობს ირ. ევდოშვი-
ლი), სტოგებს ამ პარტიის რიგებს. ეს
ფაქტი კერძო შემთხვევა როდი იყო,
არამედ საზოგადოებრივი ხასიათის მო-
ვლენად იქცა (ის, რომ ათიანი წლების
დამლევს ბევრი ქართველი მუშა-ბოლ-
შევიკი, გლეხი და ინტელიგენტი ჩამო-
შორდა ქართველ სოციალ-დემოკრა-
ტებს, ამითაც უნდა აიხსნას) ქართველი
მწერლებისათვის, ბუნებრივია, ამ
დროს, აღრეც და შემდეგაც, რევოლუ-
ციური ბრძოლა, უპირველეს ყოვლისა,
ეროვნული და მასთან ერთად სოცია-
ლური თავისუფლებისათვის გაჩაღებუ-
ლი ბრძოლაა, ე. წ. „დემოკრატიული
მწერლებიც“⁴ კი ეროვნული თავისუფ-
ლების იდეას ემსახურებიან და ამით
უნდა აიხსნას ის ფაქტიც, რომ რუსე-
თის იმპერიის დამხობას (თებერვლის
რევოლუციას) ასე აღტაცებით მიეგება
ქართველი მწერალი, მთელი ქართველი
ხალხი.

² საქართველოს კომპარტიის ყრილობები, ცნობარი, პროფ. გ. კ. ფინაის საერთო რედა-
ქციით, 1985, გვ. 4.

³ დევი სტურბა, ყველაზე დიდი ქართველი,
გაზ. კომუნისტი, 1987, 11 ოქტომბერი.

ჭერ კიდევ ოცი წლის წინათ მიეუ-
თითებდი, რომ „ადრე არასწორ შეხე-
დულებას გამოთქვამდნენ 1917-1920
წლების ქართულ მწერლობაზე. ქართვე-
ლი ისტორიკოსები და ლიტერატურათ-
მცოდნეები არ ასხვავებდნენ ერთმანე-
თისაგან ანტიხალხურ მთავრობასა და
თვით ხალხს — ისტორიის ნამდვილ შე-
მოქმედ ძალას, გვერდს უვლიდნენ ამ
პერიოდის მიღწევებს ლიტერატურისა
და კულტურის ფრონტზე...“⁴.

აღვნიშნავდი, რომ სუვერენულ სა-
ხელმწიფოში ანტიხალხური მთავრობის
არსებობის მიუხედავად მძიმე პოლი-
ტიკურ და ეკონომიკურ ვითარებაში
ქართველი ხალხი, მისი პროგრესული
ინტელიგენცია იბრძოდა ქართული კუ-
ლტურის, ლიტერატურისა და ხელოვ-
ნების, მეცნიერების აღორძინებისათვის:
ამ პერიოდში აშკარა აღმავლობის გზას
დაადგა მწერლობა, გაფართოვდა სკო-
ლებისა და ბიბლიოთეკების ქსელი, შეი-
ქმნა სხვადასხვა საქველმოქმედო საზო-
გადოებები და შემოქმედებითი კავში-
რები, ტარდებოდა სხვადასხვა ხასიათის
კულტურულ-შემოქმედებითი ღონისძი-
ებები.

1917 წელს დაარსდა საქართველოს
მწერალთა კავშირი, 1918 წელს — თბი-
ლისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
1919 წელს — „სახელოვნო ცენტრი“,
მტკიცე საფუძველი ჩაეყარა ეროვნულ
საოპერო ხელოვნებას, სახვით ხელოვ-
ნებაში მოვიდა დიდად ნიჭიერი თაობა
და ა. შ.

საქართველოში შექმნილი მძიმე ეკო-
ნომიკურ-პოლიტიკური ვითარების გა-
მო ქართველი მწერლები, თუმცა კრი-
ტიკული თვლით უყურებდნენ მენშე-
ვიკურ სინამდვილეს, მაგრამ ამისთან
ბევრმა მათგანმა სასოტრო ლექსები მი-
უძღვნა „თავისუფალ საქართველოს“
და მის დასაცავად მოუწოდებდა მკით-
ხველებს. ამდენად, ყველა საფუძველი
გვაქვს ვიფიქროთ, რომ საქართველოში

1905 და 1917 წლის თებერვლის რევო-
ლუციებში ქართველი ხალხის ბრძოლის
ფართო მასშტაბები და სიმძაფრე განუ-
პირობა ეროვნულმა საკითხმა. მსოფლიო
ლურთან ერთად, ამით, რა თქმა უნდა,
ჩვენ არ უარვყოფთ რევოლუციაში მუ-
შათა და გლეხთა კლასების პრიორი-
ტეტს, მაგრამ ისინი ეროვნული ინტე-
რესების გარეშე არ შეიძლება წარმო-
ვიდგინოთ და საქართველოში — ხაზ-
გასმით აღვნიშნავ — სწორედ ეროვნუ-
ლი თავისუფლებისათვის ბრძოლა წარ-
მართავდა რევოლუციების ხასიათს (აქ
მხედველობაშია მისაღები თვით მაღალი
წოდების წარმომადგენელთა და ინტე-
ლიგენციის აქტიური როლი ამ რევო-
ლუციებში).

თუ ეს დებულება მისაღებია, მაშინ
ჩვენთვის აშკარაა ქართველი მწერლე-
ბის როლი ამ რევოლუციების მომზადე-
ბაში, უპირველეს ყოვლისა, ილია ჭავ-
ჭავაძისა — ეროვნულ-გამათავისუფლე-
ბელი ბრძოლის მედროშისა, რომელიც
აღიარებულია მე-19 საუკუნის მეორე
ნახევრის ქართველი ხალხის ბელადად.

ქართულ პრესაში ახლა სწორად მიუ-
თითებენ, რომ „1918 წლის 26 მაისი,
საქართველოს სახელმწიფოებრიობის
აღდგენა, ქართული სახელმწიფოს შექ-
მნა ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის,
იაკობ გოგებაშვილის და მათი თანამე-
ბრძოლების დიდი ისტორიული დამსა-
ხურებაა“⁵.

ეროვნული თავისუფლების კონცეფ-
ციის ძალამ ფართო გამოძახილი ჰპოვა
თებერვლის რევოლუციისადმი მიძღვ-
ნილ ნაწარმოებებში. რა თქმა უნდა,
ეს ნაწარმოებები უნდა გაგიგოთ არა
როგორც ქებათა-ქება მენშევიკური
მთავრობისა, არამედ როგორც საგალო-
ბელი მიძღვნილი ცარიზმის ბატონობი-
საგან გამათავისუფლებელი აქტისადმი.

გალაკტიონს სწორედ თებერვლის
რევოლუციამ ათქმევინა:

⁴ დავით თევზაძე, ოქტომბერი და ქართული
მწერლობა, ეურნ. „ცისკარი“, 1967, № 10,
გვ. 107.

⁵ ა. სურგულაძე, ნისლი გადაიწმინდა, ვაზ.
კომუნისტო, 24 აპრილი, 1968.

„გათენდა, ცეცხლის მზე აენთო,
აცურდა,

დროშები ჩქარა!..“

ნიშნულია, რომ ქართველი მწერ-
ლები მიუხედავად მიმართულებისა და
სკოლებისა, თებერვლის რევოლუციას
მიეგებნენ, როგორც ეროვნული განთა-
ვისუფლების ისტორიულ აქტს (გ. ქუ-
ჩიშვილი, ა. აბაშელი, ს. შანშიაშვილი,
ი. გრიშაშვილი, ვ. რუხაძე და სხვ.).
ჩვენც ბუნებრივად მიგვაჩნია ეს. თუ
რუსი ინტელიგენცია „თებერვლის რე-
ვოლუციას ვაშას“ ძახილით შეხვდა,
როგორც თავისი იდეალების ხორცშეს-
ხმას“ (პ. ვოლობუევი)⁶, ბუნებრივია,
„ორმაგი“ ვაშა შესძახა ქართველმა ინ-
ტელიგენციამ.

ვფიქრობ, გ. ჟვანიამ თავის ინტერ-
ვიუში სრულად არ გაითვალისწინა
ეროვნული ფენომენის როლი, როცა შე-
ეხო საქართველოში სოციალისტური
რევოლუციის „შეფერხების“ საკით-
ხებს. მას მიაჩნია, რომ „ქართველ რე-
ვოლუციონერთა აქტიურობას რამდენ-
ადამე აფერხებდა ეროვნული მომენტი-
ბი“ და მიუთითებს სხვა მიზეზებზე.
სინამდვილეში ეროვნული მომენტი იყო
არა „რამდენადმე“ შემფერხებელი, არა-
მედ ძირითადი და მთავარი. როგორც
თვითონ აღნიშნავს, 1917 წლის შემო-
დგომაზე მენშევიკური პარტიის რიგე-
ბში 60 ათასი წევრი შემთხვევით რო-
დი იყო მაშინ, როცა მთელი ამიერკავ-
კასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები
მხოლოდ 9 ათასამდე წევრს აერთიანე-
ბდა. ანგარიშგასაწევია თვით მკვლეა-
რის დაკვირვებები იმაზე, რომ „რკპ(ბ)
კავკასიის სამხარეო და თბილისის კო-
მიტეტები არ თანაუგრძნობდნენ რე-
ვოლუციური გამოსვლების ინიციატო-
რებს... ხელმძღვანელი ბირთვის ზოგი
ბოლშევიკი ბლოკს ამჯობინებდა მენ-
შევიკებთან და საქართველოს სხვა პა-

რტიებიც მხარს მენშევიკებს უჭერდ-
ნენ“⁷.

რატომ? რა ჰქონდათ საერთო მენშე-
ვიკებთან იმ ბოლშევიკებსა და სხვა
სოციალ-ბოლიტიკურ პარტიებს, რომ-
ლებიც თანაუგრძნობდნენ მენშევი-
კებს?

— გამაერთიანებელი ძალა სხვადა-
სხვა სოციალურ-პოლიტიკური მიმარ-
თულებებისა უხათუოდ და უმთავრე-
სად ეროვნული თავისუფლების იდეა-
ლი.

თავის მხრივ ჟორდანაის, გეგეკორს,
წერეთელსა და ზოგიერთ სხვა მენშე-
ვიკს, როგორც იგივე გ. ჟვანია მიუთი-
თებს, საბჭოთა ხელისუფლება კი არ
აშინებდათ, არამედ აშინებდათ მე-11
არმია („უცხო ძალა“)⁸.

მკითხველს არ უნდა გაუკვირდეს ის,
რომ ახლა განსაკუთრებით გავამახვი-
ლებთ ყურადღებას საქართველოში სა-
ბჭოთა ხელისუფლების დამყარების პე-
რიოდში დაშვებულ, მეტი რომ არა
ვთქვათ, შეცდომებზე. ეს გამოწვეულია
იმით, რომ საშუალება გვქონდეს ავხს-
ნათ ქართველი ინტელიგენციის, მისი
ყველაზე რევოლუციური ფრთის — ქა-
რთველი მწერლების მაშინდელი პოზი-
ცია. თუ არ გავითვალისწინებთ და მივ-
ჩქმალეთ მაშინდელი ისტორიული სო-
ციალურ-პოლიტიკური ვითარება, შეუ-
ძლებელი ვახდებთ გავიცნობიეროთ ქა-
რთველი მწერლებისა და, საზოგადოდ,
ქართველი ხალხის დამოკიდებულება
„თებერვლის ოპერაციისადმი“.

პირველი: საქართველო, რომელიც
განთავისუფლდა ცარიზმის კოლონიუ-
რი უღლისაგან, 1918 წლიდან სუვერე-
ნული დამოუკიდებელი დემოკრატიუ-
ლი სახელმწიფოა, რომელიც სცნო ევ-
როპის რამდენიმე ქვეყანამ და თვით
რსფსრ-მ.

მეორე: როგორც ისტორიკოსები მი-
უთითებენ, საქართველოში საბჭოთა

⁷ გ. ჟვანია, ისტორიის წინაშე პასუხისმგებ-
ლობით (ინტერვიუ) გაზ. კომუნისტი, 1988, 15
მაისი.

⁸ იქვე.

⁶ პ. ვოლობუევი, გაზ. კომუნისტი, 1987, 20
სექტემბერი.

ხელისუფლების დამყარების მომენტი ბოლომდე არ იყო რევოლუციურად შემზადებული, შინაგან ძალთა რევოლუციურ განწყობას არ ექცეოდა ჯეროვანი ყურადღება და „რევოლუციის“ დირიჟორები (ორჯონიკიძე, სტალინი, კიროვი) უპირველესად იტვალისწინებდნენ გარეგან ფაქტორებს, ვიდრე რესპუბლიკაში შექმნილ შინა ვითარებას — რევოლუციურ სიტუაციას (ეს ფაქტი მრავალჯერ დადასტურებულია რკპ(ბ) ცკ-ის პოლიტიბუროს, ლენინისა და სხვა გამოჩენილ პარტიულ მოღვაწეთა მიერ). საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების თარიღი შეუფარდეს არა თვით რევოლუციურ სიტუაციას, არამედ რუსეთის ირგვლივ შექმნილ საერთაშორისო პოლიტიკურ და საომარ მდგომარეობას (ამაზე მიგვითითებს მაშინდელი საგარეო მინისტრის გ. ჩიჩერინის „ინსტრუქციები“, აგრეთვე სტალინის, როგორც კავკასიის ფრონტის სამხედრო რევოლუციური საბჭოს წევრისა და სხვათა მითითებები საერთაშორისო ვითარების გათვალისწინების თაობაზე).⁹

მესამე: ბოლშევიკები „რევოლუციის“ გამარჯვებაში ეყრდნობოდნენ რუსეთის წითელი არმიის ძალებს.

1920 წლის 20 დეკემბერს ს. ორჯონიკიძემ კავბუროს დადგენილების შესახებ საქართველოს საზღვრებს გარეთ (სომხეთში, ყარაჯლისში) დააარსა „მეამბოხეთა შტაბი“, რომელსაც ხელმძღვანელობდა სომხეთის წითელი არმიის პოლიტგანყოფილების უფროსის მოადგილე, ახალციხელი იოსებ ლაზიანი, ლორის „ნეიტრალურ ზონაში“ კი მოაწყო მეამბოხეთა კონსპირაციული შტაბი. აქ საყურადღებოა, რომ აჯანყების ორჯონიკიძისეული კონსპირაციული შტაბის „ხელმძღვანელობაში იყვნენ არაქართველები (შტაბს მეთაურობდა

ა. ოვსეპიანი, შტაბის უფროსი ტ. ანევი, კომენდანტი ს. შოროხოვი და სხვ.)¹⁰.

აჯანყება დაიწყო ლორში (დაიხეივს) ქართველოს ტერიტორიაზე) 1921 წლის 12 თებერვალს; მეამბოხეთა: შტაბმა და ლორის რევკომმა მაშინვე დახმარება სთხოვა მე-11 არმიას და როგორც ორჯონიკიძის გეგმა იტვალისწინებდა, ნეიტრალურ ზონაში დაწყებული აჯანყება იმთავითვე გახდა სივრცითი საქართველოს რაიონებისათვის“.

„დახმარების“ მიზნით საქართველოში შემოიჭრნენ 18 ათასამდე ჯარისკაცი და 4 ათასზე მეტი კავალერიისტი ათასზე მეტი ტყვიამფრქვევით, ორასამდე მძიმე და მსუბუქი ქვემეხით, 30-მდე თვითმფრინავით და ა. შ.“¹¹

ამის გამო, თბილისის მისადგომებთან გაიმართა უთანასწორო მძიმე სისხლისმღვრელი ბრძოლები რუსეთის წითელ არმიასა და ქართველ ჯარს შორის (მერე რა, რომ მენშევიკურ ჯარს შორის?).

აქ დაღვრილმა სისხლმა რწმენა გაუტეხა ქართველ ინტელიგენციას.

თბილისის მიმართულების ჯარის ჯგუფის უფროსის ველიკანოვის და სამხედრო კომისრის რატნევის ბრძანებაში, რომელიც გამოქვეყნდა პრესაში (26 თებერვალს), ნათქვამია:

„ამა რიცხვს (25 თებერვალს — დ. თ.) ჩემდამი რწმუნებულმა ჯარმა 12 საათსა და 15 წუთს დაიკავა ქალაქი ტფილისი ...მძიმე და უთანასწორო ბრძოლაში“ (ხაზგასმა ჩემია — დ. თ.)¹².

აქ სიტყვები — „დაიკავა“, „მძიმე და უთანასწორო ბრძოლა“, ასევე ის, რომ ჯარს მოუძღოდნენ არა ქართველები, გამორიცხავს ლენინის მითითებას საქართველოსადმი „ფრთხილი“ და „მოთმინებითი“ ტაქტის გამოყენების შესახებ. ასეთ შემთხვევაში საკითხი ეხება არა რევოლუციის გამარჯვებას, რომელიც ყოველთვის ეყრდნობა

¹⁰ იქვე, გვ. 206.
¹¹ იქვე, გვ. 217.
¹² იქვე, გვ. 211.

⁹ აკაკი ირემაძე, ჩვენი სერგო, 1986, გვ. 83: 202-233.

შინაგან ძალებს, არამედ გარეშე ძაღის შემოსვლას. როგორც ახლა ა. სურგულაძე წერს: „ჩვენს „ისტორიებში“ ვითარება ისეა დახატული, თითქოს საბჭოთა ხელისუფლება საქართველოში დამყარდა სახალხო აჯანყების გამარჯვების გზით და წითელი არმიის ნაწილებმა მხოლოდ დახმარების როლი შეასრულეს. სინამდვილეში არავითარი აჯანყება არ მომხდარა და ქვეყნის შიგნითა ძალებით მისი წამოწყება იმ მომენტში შეუძლებელი იყო. მენშევიკური მთავრობა დამხობილ იქნა წითელი არმიის მიერ“. ამდენად ეს მოვლენა უნდა შევაფასოთ, როგორც ძალადობისა და არასამართლებრივი აქტი, როგორც სუვერენული რესპუბლიკის ოკუპაცია და ანექსიის გზა; ცარიზმის დამპყრობლური პოლიტიკა ამიერიდან შეიცვალა სხვა დევიზით: „ინტერნაციონალიზმის“, „სოციალიზმისა და კომუნისმის მშენებლობით“. ფორმალურად აღიარებულ სუვერენულ საქართველოს რესპუბლიკას — როგორც საზოგადოდ ყველა მოძმე რესპუბლიკას — „ცენტრმა“ პრაქტიკულად ჩამოართვა დამოუკიდებელი არსებობისათვის ყველა პოლიტიკურ-ეკონომიკური და სამართლებრივი ფუნქცია. ერების შერწყმის პოლიტიკა, რომელიც ნაკარნახევი იყო თვით ლენინის მიერ (ოღონდ „თანდათანობითი გზით“), მიიმართებოდა რუსულის სისარგებლოდ. ამ პოლიტიკამ, ბუნებრივია, აამხედრა თავისუფლებისმოყვარე ქართველი ხალხი, ქართველი მწერლები და, საზოგადოდ, ეროვნული ინტელიგენცია, რამაც ერთხელ კიდევ შეარყია რწმენა ქართველი და რუსი ხალხების ისტორიული მეგობრობისა...

სერგო ორჯონიკიძე, რომლის სახელთან ასე უშუალოდაა დაკავშირებული საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მთელი ისტორია, დაუპირისპირდა ეროვნულ ძალებს. იგი, თავის მხრივ, აჩქარებდა და ამძაფრებდა „ცენტრის“ პოლიტიკას. გრიგოლ ქვანიას სიტყვით, „კავკასიის

ბიურო (რომელსაც სათავეში ედგას ს. ორჯონიკიძე — დ. თ.) ქედმაღლურად, არაკოლეგიალურად დაეუფლებოდა ერეოდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საქმეებში... უგულვებელყოფდა ლენინის მითითებებს ეროვნულ საკითხში, დებულობდა საეჭვო დადგენილებებს, აჩქარებდა მათ შესრულებას, თან საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან წინასწარი შეთანხმების გარეშე“¹³; დროდადრო ბრალს დებდა საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობას ნაციონალიზმსა და ხალხთა მეგობრობის უგულვებელყოფაში, იბრძოდა „ინტელიგენტური ნაციონალიზმის სულსკვეთების წინააღმდეგ“¹⁴. ს. ორჯონიკიძე ნიჰილისტურად უყურებდა სამშობლოსა და შშობელ ხალხს. გერონტი ქიქოძის სიტყვით, ორჯონიკიძეს „ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა საქართველოს ეროვნულ კულტურაზე, რადგან ამა თუ იმ ერის ღირებულებას იმისდა მიხედვით აფასებდა, თუ რამდენად ვრცელი ტერიტორია ეჭირა მას, ამიერკავკასიის პატარა რესპუბლიკები და მათ შორის საქართველო, დიდი რუსეთის ნაკლებ მნიშვნელოვან პერიფერიად მიაჩნდა“¹⁵.

ს. ორჯონიკიძის მცდარმა ტაქტიკამ, ნაძალადეგმა „რევოლუციამ“ და მუშაობის დიქტატორულ-მბრძანებლურმა სტილმა მოთმინებიდან გამოიყვანა ქართველი ხალხი და მისი ინტელიგენცია: „აი, უკვე სამ თვეზე მეტია, რაც სოღანლუღის მაგრა ჩაკეტილი ციხის კარები გარეშე ძალამ შემოამტვრია და მთელი ჩვენი სახელმწიფოებრივი წყობილება ახალ ძაღის ხელში გადავიდა, — წერს აღმფოთებული ვ. კო-

¹³ გრიგოლ ქვანია, ისტორიის წინაშე პასუხისმგებლობით, „კომუნისტი“, 15 მაისი, 1988 წ.

¹⁴ აკაკი ირემაძე, ჩვენი სერგო, თბ., 1986, გვ. 252.

¹⁵ გერონტი ქიქოძე, მოგონებანი; ინახება მწერლის ბანაში.

ტეტიშვილი, — ეს ფაქტი განა გვაგა-
ლებდა გაჩუმებას? რახან უსწორო
ბრძოლაში დავმარცხდით, მას შემდეგ
გულზე ხელი უნდა დაგვეკრიფა ათო-
ნის მორჩილივით და სანთლები დაგ-
ვენთო მიცვალებულთა სულის მოსახ-
სენებლად?

რასაკვირველია არა!...
...ღიას, ამხანაგებო, ჩვენში ბევრი
რამ მოხდა და ჩვენც ხმა უნდა ამოვი-
ლოთ, ბევრი რამ, ალბათ, კიდევ მოხდე-
ბა და ჩვენც ამ სადარაჯოს არ მოვ-
ცილდებით, რადგან ჩვენი გაგებით,
პოლიტიკური მოღვაწენი რომ ვართ,
იმიტომ ვართ, რომ ქვეყნის ინტერესე-
ბის დარაჯად დავდგეთ და ყოველგვა-
რი მსხვერპლი პირველად ჩვენ გავი-
ლოთ¹⁶.

ვფიქრობთ, ვ. კოტეტიშვილის მო-
ტიანილი წერილის კათოსს საფუძველი
აქვს და იგი გამოხატავს ეროვნული
ინტელიგენციის განწყობილებას.

ამის მიუხედავად ქართველი მწერ-
ლები თავიხი ხალხის მხარდამხარ იმე-
დით დადგნენ. განსხვავებით რუსი ინ-
ტელიგენციისაგან არც ერთი გამოჩე-
ნილი ქართველი მწერალი არ გაქცევია
სამშობლოსა და საყუთარი ხალხის ინ-
ტერესებს (თუმცა იმ პერიოდში ჩვენ-
ში ცოტა რაღი იყო უცხოეთში განს-
წავლული, რომლისთვისაც პრობლე-
მას არ წარმოადგენდა სამშობლოს და-
ტოვება). როგორც მოსალოდნელი იყო,
პროლეტარული მწერლობა გახდა რე-
ვოლუციის მესაყვირე და მისი საყრ-
დენი მხატვრული ძალა; უყოყმანოდ
დაადგა რევოლუციის გზას და მანი-
ფესტით აღიარა საბჭოთა ხელისუფ-
ლებასთან თანამშრომლობა ფორმა-
ლისტურმა პოეტურმა ლიტერატუ-
რულმა ჯგუფმა — „ცისფერყანწე-
ლებმა“, ამ სკოლის მეთაურმა პაოლო
იაშვილმა 25 თებერვალს გამართულ
მიტინგზე თბილისში წარმოთქვა ლექს-
ი „ახალ საქართველოს“ (ეს აქტი მო-

სალოდნელი იყო, თუ გავითვალისწი-
ნებთ, რომ ცისფერყანწელთა ნოვატო-
რულმა სკოლამ რომანტიკულად განი-
ცადა რევოლუცია, ამასთან ამ სკოლის
წარმომადგენლები ადრეც აკრიტი-
კებდნენ მენშევიკურ მთავრობას და
იწონებდნენ ლენინის მოღვაწეობას
კულტურის ფრონტზე).

მოგვიანებით რევოლუციის დროში
გამოვიდნენ ასპარეზზე ქართველი ფუ-
ტურისტებიც.

ახალ საქართველოსთან თანადგომას
გვიდასტურებს ქართველ მწერალთა
პრაქტიკული მოღვაწეობა, დეკლარა-
ციები, მოხსენებები, საჟურნალო და
საგაზეთო წერილები, მათში გამოთქ-
მულია რწმენა, რომ კომუნისტურ სი-
ნამდვილეშივე შესაძლებელი გახდება
ქართული სახელმწიფოს განვითარება.

ჩვენ საჭიროდ არ მიგვაჩნია მოვი-
ტანოთ გ. ტაბიძის ცნობილი დეკლარა-
ციები, განცხადებები, შ. დადიანის,
პ. იაშვილის, ტ. ტაბიძის, ვ. კოტეტი-
შვილისა და სხვ. პრაქტიკული მოღვა-
წეობის მაგალითები ან მოსაზრებები
რევოლუციასთან პოზიტიურ დამოკი-
დებულებაზე. უფრო საინტერესოდ
მიგვაჩნია მიგუთითოთ კ. გამსახურდი-
ას წერილებზე, რომლებიც გამოხატავს
ახალგაზრდა ქართველი ინტელიგენ-
ტის პრინციპულად გამოკვეთილ პო-
ზიციას. „თუ ქართველი ხალხი კომუ-
ნისტურ საქართველოში იპოვნის თა-
ვის შესაფერ რეჟიმს, ჩვენ უყოყმა-
ნოდ უნდა ვითანამშრომლოთ ქართ-
ველ კომუნისტებთან წითელი, თავი-
სუფალი საქართველოსათვის საჭირო
აღმშენებლობის მუშაობაში“ — წერ-
და კ. გამსახურდი¹⁷.

მას მიაჩნია, რომ ლენინი „გულ-
წრფელი რევოლუციონერი და სოცია-
ლური ექსპერიმენტატორია“¹⁸.

ვახტანგ კოტეტიშვილმაც ირწმუნა,

¹⁷ კონსტანტინე გამსახურდია, პოლიტიკური
შენიშვნები, გაზ. სოციალისტ-ფედერალისტი,
1921, 14 აპრილი.

¹⁸ კონსტანტინე გამსახურდია, პასუხი, გაზ.
სოციალისტ-ფედერალისტი, 1921, 15 მაისი.

¹⁶ ვახტანგ კოტეტიშვილი, წერილები პარტი-
ულ ამხანაგებს, გაზ. სოციალისტ-ფედერალის-
ტი, 1921, 16 ივნისი.

მოუკიდებლობას გაუწევინ სამსა-
რომ კომუნისტები საქართველოს და-
ხურს¹⁹, ანალოგიური შეხედულებისაა
მ. ნუცუბიძე²⁰ და სხვ. მრავალი მწე-
რალი და მეცნიერი. «ქართველი მუ-
შა, — წერს ს. ამალობელი, — უკა-
ნასკნელ ლუკმა პურს დასთობს, უკა-
ნასკნელ გასაჭირს გაუმკლავდება, არ-
აჩვეულებრივ კომპრომისზე წავა, თუ-
კი შებღალული არ იქნება მისი ეროვნული
გრძობა, თუ განდევნილი არ
იქნება მისი მშობლიური ენა, თუ შე-
ურაცყოფილი არ იქნებოდა მისი
ეროვნული თავმოყვარობა. ქართ-
ველი ახალგაზრდობა თოფით ხელ-
ში იცავდა საქართველოს დემოკ-
რატიულ რესპუბლიკას. ამაში იგი
საქართველოს დამოუკიდებლობის და-
ცვას ხედავდა, მისთვის იბრძოდა,
მისთვის მიჰქონდა ერის სამსხვერ-
პლოზე თავისი სიცოცხლე. თუ დღე-
ვანდელი ხელისუფლები შესძლებენ
ეროვნული მოთხოვნების დაკმა-
ყოფილებას, დაწესებულებათა გაე-
როვნებას, ქართული ჯარის შექმნას,
ქართული ენის გაბატონებას საქართ-
ველოში, ერთი სიტყვით, ეროვნული
თავისუფლების ატრიბუტების დაცვას,
ჩვენ მოწმე გავხდებით, რომ ჯამსა
განსაცდელისა ქართველი მუშა, ქარ-
თველი ინტელიგენტი, ქართველი ახ-
ალგაზრდობა ისევ თოფით ხელში გაე-
შურება ბრძოლის მოედანზე საბჭოთა
საქართველოს დასაცავად²¹.

ამ ხასიათის წერილები ცოტა როდია
ოციანი წლების ქართულ პრესაში, მა-
გრამ უხეში პოლიტიკა, რომელიც დაი-
წყო საქართველოში „თებერალის ოპე-
რაციით“ შემდეგშიც გრძელდება, რაც
ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკაში
იწვევს ხალხის, განსაკუთრებით მისი

¹⁹ ჭახტანგ კოტეტიშვილი, კომუნისტების
ფიცე, გაზ. სოციალისტ-ფედერალისტი, 1921,
5 მაისი.

²⁰ შლვა ნუცუბიძე, მეთაური წერილი, გაზ.
სოციალისტ-ფედერალისტი, 1921, 5 მაისი.

²¹ სერგო ამალობელი, დაწესებულებათა გა-
ეროვნება და მშრომელი ხალხი, გაზ. სოცია-
ლისტ-ფედერალისტი, 1921, 8 ოქტომბერი.

ინტელიგენციის შეურიგებლობას. დღე-
ალიარებულია, რომ რესპუბლიკის და-
შინდელი ხელმძღვანელი კომუნისტები
ამაზინებდნენ ლენინის მიფიქრებებს
ეროვნულ საკითხში; არღვევდნენ დე-
მოკრატიული მართვის პრინციპებს,
ქართველი ინტელიგენტის მიმართ ატა-
რებდნენ უხეშ პოლიტიკას, თვითენ-
ბობდნენ, ხალხის დაუკითხავად წყვეტ-
დნენ ეროვნულ საკითხებს და დაადგ-
ნენ ეროვნული ძალების ფიზიკური გა-
ნადგურების გზას. ყოველივე ეს გან-
საკუთრებით გამოქმდა ქართველ
ინტელიგენციასთან, მწერლებთან და-
მოკიდებულებაში.

ეროვნული ინტელიგენცია, ბუნებრი-
ვია, ვერ შეურიგდა რესპუბლიკაში ობ-
იექტურად შექმნილ მიძიე ვითარებას.
„რომში ყველაფერი ისე არ ხდება,
— იტყვის კ. გამსახურდია, — როგორც
პაპს უნდა. ჩვენი ქვეყნის მდგომარეო-
ბის ცოცხალ სურათს ჩვენი დედაქალა-
ქი იძლევა.

ჯერ კიდევ ვერ ვხედავთ, რომ ტფი-
ლისში დაცული იყოს ხელისუფლება
ქართველი ერისა. კომისარიატების და
საზოგადო დაწესებულებების პერსონა-
ლურ შემადგენლობაში ჩვენ ვერ ვხე-
დავთ, რომ შაბლონი არ განმეორდებ-
ა²².

ამის გამო მან „ღია წერილით“ მი-
მართა ლენინს (რამდენიმე დღის შემ-
დე იგი „პრავდა გრუზიაში“ გამოქვეყ-
ნდა).

კონსტანტინე გამსახურდია ბელადს
სწერს, რომ რუსეთ-საქართველოს შე-
ერთება ერთადერთი შესაძლებელი პო-
ლიტიკა ყოფილა, მაგრამ ასი წლის
განმავლობაში რუსეთის მიერ საქარ-
თველოში დათესილმა ბოროტებამ, ქა-
რთული სახელმწიფოს აპარატის განა-
დგურებამ, ქართული ენის სისტემა-
ტურმა დევნამ აიძულა საქართველო
რუსული პოლიტიკის ორბიტიდან გა-
მოერიცხა თავი.

²² კონსტანტინე გამსახურდია, პოლიტიკური
შენიშვნები, გაზ. სოციალისტ-ფედერალისტი,
1921, 15 მაისი.

„ძველი რუსეთი არ იზიარებდა რუსეთის მცირე ერებთან თანასწორ უფლებიან თანამშრომლობასა და თანაზიარობის პრინციპს. ამ კაცობრივი პოლიტიკის მთავარ ღერძს შეიცავდა: ველიკორუსული კულტურის ფერადს ჩაენთქა ყველა არარუსული ნიუანსები“²³.

კონსტანტინე გამსახურდია სწერს, რომ საქართველოში, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით სარგებლობენ რუსი კონტრრევოლუციონერები და დაშინაკელები, რომლებმაც ქართველი ხალხი კონტრრევოლუციონერად გამოაცხადეს.

„თქვენ უკეთ იცით, — მიმართავს ლენინს, — რომ ქართველი ხალხის კონტრრევოლუციონერად გმოცხადება ეს შეუძლებელი კონტრადიქციო ინადიქტო იქნება...“²⁴. ამ დებულებას მწერალი ასაბუთებს იმით, რომ „საქართველოს ახალგაზრდობამ თავისი საუკეთესო სისხლი გაიღო რუსის მონარქიის დასაძლევად; ამავე ახალგაზრდობამ შეიტანა პირველად რევოლუციონერი ცეცხლი სპარსეთში“, გაბედულად იბრძოდა რუსეთის შავი გენერლების წინააღმდეგ და ა. შ.

„დღეს ტფილისში ძველი შეცდომების გამეორებას ლამობენ, თქვენის ტერმინოლოგიით „რუსული შაბლონის“ განმეორებას. თუ შემარცხენე რუსეთი დანტერსებულია, რომ საქართველო რუსეთის საგარეო პოლიტიკის ორბიტაში მოექცეს, იგი ამ გზით მიზანს ვერ მიაღწევს.. უთხარით და მოსწერეთ იმ პოლიტიკოსებს, რომლებიც ტფილისში ცუდ მეგობრობას უწევენ კომუნისტურ რუსეთს.

ყველაფერი შეიძლება წაართვან პიროვნებას და ეროვნებას, მხოლოდ თავისუფლების შეგნებას ვერავინ წაარ-

²³ კონსტანტინე გამსახურდია, ღია წერილი ვლადიმერ ილიას ძე ულიანოვს, გაზ. სოციალისტ-ფედერალისტი, 1921, 8 აპრილი.

²⁴ იქვე.

თმევს მას“²⁵. ამ წერილის გამო „პირველად გრუზიის“ ფურცლებიდან პოლიტიკური ხასიათის ცილი დასწრემ მწერალს ვინმე ს. პ.-მ, რომელსაც კონსტანტინე გამსახურდიამ მოაგონა მწერლის მაღალი მოვალეობა თავისი ხალხისა და ერის წინაშე; დაგმო „მწერალი-„მოჯამაგირის“ პოზიცია და გაბედულად დაიცვა აქტიური მოქმედების პრინციპი“²⁶.

მიუხედავად იმისა, რომ ქართველმა ხალხმა გარკვეული პირობით (სუვერენული უფლებების მოთხოვნით) მიიღო რევოლუცია, ს. ორჯონიკიძეს მაინც ეჩვენებოდა, რომ ქართველი ინტელიგენცია „საბჭოთა რეჟიმს ძირს უთხრიდა შიგნიდან“ (გ. ქიქოძე)²⁷. ხოლო თვითონ იბრძოდა „ნაციონალისტური ტენდენციებისა და გადახრების“ წინააღმდეგ, მისი თაოსნობით მიმდინარეობდა ამიერკავკასიაში პარტიის რიგების წმენდა „ინტელიგენტური ნაციონალიზმის სულისკვეთებით გამსჭვალულთაგან“, ამ ტერმინში იგი, ვასაგებია, გულისხმობდა ყველა ქართველ ინტელიგენტს, რომელიც იცავდა ეროვნულ პოზიციას (საგულისხმოა, რომ საქართველოში წმენდის კომისიას თავმჯდომარეობდა ბაქოელი მუშა ივანე ჩიკარიავი)²⁸.

განსაკუთრებით მტკივნეულად შეხვდა ქართველი ინტელიგენცია ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნას, რომელიც ნაკარნახევი იყო „ზემოდან“. ფედერაცია თუ ერთი მხრივ — პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით (როგორც ერთიანი სტრუქტურის სახელმწიფო კავშირი), მისილები ფორ-

²⁵ კონსტანტინე გამსახურდია, სიტყვები ქართველი ერისადმი, გაზ. სოციალისტ-ფედერალისტი, 1921, 11 მაისი.

²⁶ კონსტანტინე გამსახურდია, ვასუხის-ვასუხი, გაზ. სოციალისტ-ფედერალისტი, 1921, 15 მაისი.

²⁷ გერონტი ქიქოძე, მოგონებანი, ინახება მწერლის ბინაში.

²⁸ აკაკი ირემაძე, ჩვენი სერგო, თბ., 1986, გვ. 252.

პროგრესული ფრთა — მწერლობა
აშფოთა აგრეთვე ლტოლვილთა შემო-
სევამ.
საქართველო
საზოგადოებრივი

მა იყო, მეორე მხრივ, პირობებს ქმნიდა ეროვნებათა აღრევისა და შერწყმისათვის, ყოველ შემთხვევაში, ემუქრებოდა ამ ეროვნებათა მშობლიური ენების შენარჩუნებას, მათ ფუნქციებს. ამდენად, ვფიქრობ, ლ. თოიძისეული მოსაზრება, რომ „ამერიკავკასიის ფედერაცია არავითარ დაბრკოლებას არ ქმნიდა... კულტურის აღორძინებისათვის, ეროვნული ინსტიტუტების განვითარებისათვის“²⁹, „მართებული არ არის. გაზ. „ტრიბუნამ“ სარედაქციო წერილი მიუძღვნა ამერიკავკასიის ფედერაციას. იგი ახსნა „აჩქარებით, საქმის წარმოუდგენლობით“ და მოითხოვა მისი „მოხსნა“ დღის წესრიგიდან³⁰, ხოლო სიმონ ზუნდაძემ „შემცდარი ნაბიჯი“ უწოდა და მისი შექმნა მიიჩნია ეროვნულ-დემოკრატიული პრინციპის შელახვად³¹.

ფედერაციის საკითხი, როგორც ცნობილია, ერთ-ერთ პრინციპულ სადავო საკითხს წარმოადგენდა თვით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრთა შორისაც, უფრო ზუსტად, ერთი მხრივ, კავშიუროსა და, მეორე მხრივ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრთა უმრავლესობას შორის. ეს უთანხმოება შემდეგში ისეთ მწვავე ხასიათს იღებს, რომ საქმეში თვით ლენინი ჩაერია. ახლა უკვე საბჭოთა ისტორიკოსები არ ფარავენ და მიუთითებენ, რომ ორჯონიკიძის მოქმედებით გაცხარებული ლენინი თავის უკანასკნელ ნაკარნახევ ბარათში მდივანს, მახარაძესა და სხვებს სწერდა: აღშფოთებული ვარ ორჯონიკიძის უხეშობით და იმით, რომ მფარველობენ სტალინი და ძერჟინსკიო.

ქართველი ინტელიგენცია და მისი

პროგრესული ფრთა — მწერლობა
აშფოთა აგრეთვე ლტოლვილთა შემო-
სევამ.

ისტორიული ქართველებისა და ქართველი ხალხის ინტერნაციონალისტური ბუნების გამო საქართველოში და განსაკუთრებით მის დედაქალაქში ყოველთვის ბინადრობდნენ სხვადასხვა ეროვნების ხალხები. მენშევიკური მმართველობის პერიოდში ეს პროცესი უფრო ინტენსიური გახდა, ხოლო საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ლტოლვილთა რიცხვი წარმოუდგენლად გაიზარდა. რესპუბლიკა დემოკრატიული კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა. „კარგა ხანია რაც ტფილისი ბაბილონად არის გადაქცეული, — წერს ვახტანგ კოტეტიშვილი, — საბჭოთა რეჟიმამდეც ისე იყო ტფილისის კარები ყოველმხრივ გაღებული, რომ ყველა მავნე, უსაქმური და „მყუდროების“ მადიებელი არხეინად დაბრძანდებოდა ჩვენი დედაქალაქის ქუჩებში და ისედაც მძიმე ატმოსფეროს უფრო ამძიმებდა...“

ვინ არ მოიყარა დღეს თავი ტფილისში? სპეკულიანტი, შარლატანი, შავრაზმელი, ქურდი, „დიდ რუსეთზე“ მეოცნებენი, უვარსკვლავო და ვარსკვლავიანი ქართველთმომძულენი, პერმის თუ ვორონეჟის სათეატრო დასები, ნ. კატოვას ოპერეტა, კონოელი „დელცები“ და სხვ. ბაქო-ერევან-კავკასის რაიონები რომ არ ჩავადროთ სათვალავში... ჩვენ ველით ტფილისის განწმენდას და რათაც უნდა დაჯდეს, ეს საქმე უნდა წესიერად დაგვირგვინდეს.

დღევანდელი ტფილისი საშინელია³².

ვითარების მოსაწესრიგებლად, როგორც მიუთითებენ ქართველი ისტორიკოსები, საქმეში ჩაერია საქართველოს

²⁹ ლ. თოიძე, ისტორიის ვალსაზღვდიდან დახსული სიმართლე, გაზ. კომუნისტი, 1988, 22 მაისი.

³⁰ სარედაქციო წერილი „ფედერაცია“, გაზ. ტრიბუნა 1921, 16 ნოემბერი.

³¹ სიმონ ზუნდაძე, გაზ. ტრიბუნა, 1921, 16 ნოემბერი.

³² ვახტანგ კოტეტიშვილი, მეთაური წერილი, „თბილისი“, გაზ. სოციალისტ-ფედერალისტი, 1921, 13 ივლისი.

რევკომიც. რომელმაც მიიღო ვადწყვეტილება რესპუბლიკის საზღვრების ჩასაყვრად. ამის გამო საქართველოს პარტიულ ხელმძღვანელებს ნაციონალისტები უწოდეს და პარტიის XII ყრილობაზე მკაცრად გააკრიტიკეს მაშინ, როცა ანალოგიური მოქმედებისთვის (უფრო ადრე) აზერბაიჯანისა და სომხეთის პარტიული ხელმძღვანელებისათვის არაფერი უთქვამთ. (ლ. თოიძე)³³.

ქართველი ინტელიგენციის უნდობლობას აწვევდა ისიც, რომ რუსეთის მთავრობა აჭიანურებდა რევოლუციამდე გატანილი განძეულისა და სამუშეო ნივთების დაბრუნებას; რუს პროფესორთა ერთი ჯგუფი მოითხოვდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გადაკეთებას ამიერკავკასიის უნივერსიტეტად, ე. ი. არსებითად უარყოფდა ქართულ ენაზე სწავლებას.

საგულისხმოა ისიც, რომ საქართველოს პირველი კონსტიტუციის პროექტი არ ითვალისწინებდა ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადებას; საბჭოთა საქართველოში გამომცემლობის დირექტორებად ინიშნებოდნენ არაქართველები (რუსი, სომეხი), ერთერთი მათგანი ვინმე ბაგდატაევი ოფიციალურად მოითხოვდა უარი გვეთქვა ქართულ შრიფტზე და ლათინურზე გადასვლითაც.

ზოგ დაწესებულებაში „ტექნიკური დაბრკოლების“ საბაბით ტექსტს მხოლოდ რუსულ და სომხურ ენებზე ადგენდნენ; სტამბაში შეაჩერეს პროფ. ა. რაზმაძის წიგნის „ინტეგრალური აღრიცხვის“ ბეჭდვა, რადგან იგი ქართულად უნდა გამოსულიყო³⁴.

გაზ. „სოციალისტ-ფედერალისტში“ გამოქვეყნებულია ცნობები:

³³ ლ. თოიძე — ისტორიის გადასახედიდან დანახული სიმართლე (დისკუსია), კომუნისტი, 1988, 22 მაისი.

³⁴ გ. ჯანგველაძე, საქართველოს კომპარტიის ბრძოლა ბურჟუაზიული და წერილობით-ნიული პარტიების იდეური და ორგანიზაციული განადგურებისათვის, 1986, გვ. 417.

„... მარტის 15-ს მუშთა მიგადამე არ მიიღეს მასწავლებელთა კოლეგიატივის მოსამსახურეთა სია იმეტომ რომ ქართულად იყო შედგენილი მოვლენა ბოლო ასეთ თავხედობას?“ — კითხვას სვამს გაზეთი (1921, 16 მარტი).

ბ. ეკონომიკურ ფაქტულტეტზე გადაყენეს ქართველი პროფესორი და აირჩიეს რუსი პროფესორი (1921, 18 მარტი).

კიდევ ერთი კონკრეტული ფაქტი, რომელზედაც მიგვითითებს ვ. კოტეტიშვილი: „Грѣхаврост-ის“ დაწესებულებაში 900-მდე მოხელეა, — წერს ავტორი, — მათგან განათლებისა და სოციალისტურ კულტურის მუშაკთა კონფერენციაზე უნდა აერჩიათ 18 კაცი და სინამდვილეში არც ერთი ქართველი არ აირჩიეს (ანალოგიურად მიმდინარეობდა არჩევნები განათლების მუშაკთა კრებებზე — დ. თ.).

ავტორი კითხვას სვამს: „ნუთუ ამას ვერ ხედავენ ის კომუნისტები, რომლებიც ამ კრებებს ესწრებიან?“

თუ ხედავენ, ისე როგორ დაეცა საქართველო, ისე როგორ გაკონტრირებულეციონერდა მათი სამშობლო, რომ რევოლუციის ისტორიულ ქვეყანაში, პროპაგანდისტების ამ დიდ კლუბში საექვო პირები გვასწავლიან რევოლუციას?

როგორ? ქართველი რევოლუციონერები რუსეთში მეთაურობდნენ ყველა რევოლუციას და საქართველოში კი უნარი დავკარგეთ?

მეტად გამჭვირვალეა ის წითელი ქსოვილი, რომელსაც ბევრი იფარავს თეთრ, ყვითელ და შავ კანზე³⁵.

იგივე ავტორი ერთგვარად აჯამებს შექმნილ ვითარებას და წერს: „ბევრი დაწესებულებიდან განდევნილია ქართული ენა, ბევრი დაწესებულება პირდაპირ უცხო, გუშინ მოსულ უცხო ელემენტების ხელშია ჩაყარდნილი,

³⁵ ვახტანგ კოტეტიშვილი, ლტოლიელების შესახებ, გაზ. სოციალისტ-ფედერალისტი, 1921, 28 ივნისი.

საქართველოში ქართული კოლორი-
ტი იკარგება და საქართველოს დედა-
ქალაქში ქართველი მოქალაქე თავს
უფრო შებორკილად, უფლებობდ
გრძნობს, ვიდრე რუსეთის რომელიმე
ქალაქში. ქართული ხელოვნება აღარა
ჩანს, რუსული კი პირდაპირ ქუჩაშია
გამოჭრილი და პლაკატების სახით
ჰკივის. ქართველი პრესა თუ ოპერა
უფრო სასტიკ ცენზურას განიცდის,
ვიდრე რუსული და სხვ...

კომუნისმის იდეა კომუნისტების
შემოსვლამდე კი არა, გაცილებით უფ-
რო აღრე შეითვისა და შეიყვარა სა-
ქართველოს მშრომელმა ხალხმა, მაგ-
რამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის ხალხი
გაჰყვეს ყველას, ვინც კი ამ სახელით
მივა მასთან... ამოდ უწოდებთ ამ
ჩვენს მოთხოვნილებას შოვინიზმს. რა-
ღა ის არის შოვინიზმი, რომ საქართვე-
ლოში ქართული ენა გააბატონონ.

საქართველოს მშრომელი ხალხი
აიტანს სამშლოს, სიცივეს, შავ ჭირს,
თვით სიკვდილის წინაშეც კი არ შედრ-
კება. მაგრამ თავის ქვეყნის თავისუფ-
ლებას და დამოუკიდებლობას კი არ
დასთმობს არასოდეს³⁶.

ასეთია საქართველოში „თებერვლის
ოპერაციისა“ და ოციანი წლების და-
საწყისში შექმნილი რთული პოლიტი-
კურ-კულტურული ვითარება და იგი
უნდა გავითვალისწინოთ, როცა ვაფა-
სებთ მაშინდელ მხატვრულ-ლიტერა-
ტურულ პროცესს, გამოჩენილ მწე-
რალთა და ლიტერატურული ასოცია-
ციებისა და დაჯგუფებათა პოზიციებს,
განსაკუთრებით -აკადემიურ ასოცია-
ციასა“ და „არიფონში“ გაერთიანე-
ბულ მწერლებს.

თუ საკითხს სერიოზულად შევზე-
დავთ, მაშინ ქართველი ინტელიგენცი-
ის ძველი თაობის ერთი ნაწილის რე-
ვოლუციისადმი დაპირისპირების ასახ-
სნელად არ დაგვიკვირდება ცნობილი
ღებულების მოხმობა — „აღადმიანთა

შეგნება თავის განვითარებაში ჩამორ-
ჩება მათს ეკონომიკურ მდგომარეო-
ბას“, რასაც მეტად პრიმიტიულ დასკე-
ნამდე მივყავართ: თითქმის ყველა
მწერლებს“ ამ ნაწილმა ვერ გაიგო
ახალი სინამდვილე!

თუ არაფერს ვიტყვით უზადრუკ
გლესსა და უმეცარ მუშაზე, ვინ დაი-
ჯერებს, რომ კ. მყავშილის, მ. ჯავახი-
შვილის, კ. გამსახურდიას, ი. გრიშა-
შვილის, ვ. კოტეტიშვილის, ბ. ინგო-
როყვას, გ. ქიქოძის, ლ. ქიაჩელის,
ა. აბაშელის, ს. ამალლობელისა და
სხვა ქართველ მოღვაწეთა „შეგნება
ჩამორჩებოდა“ შეგნებას ქართველი
პროლეტარი მწერლებისა, რომლებიც
მაშინვე საბჭოთა ხელისუფლების ყვე-
ლა ლოზუნგს ლექსავდნენ.

ქართველ მწერალთა ყველა პოზი-
ცია ამ პერიოდში განსაზღვრა ისტო-
რიულად შექმნილმა პოლიტიკურმა ვი-
თარებამ ეროვნულ ფრონტზე, მაშინ-
დელი პარტიული ხელმძღვანელების
მცდარმა პოლიტიკამ ქართველ ერთან
დამოკიდებულებაში. ეს პოლიტიკა —
ეროვნული ნიპილიზმი, რომელიც მომ-
დინარებდა ქართული მარქსიზმის მე-
საძირკვლეებისაგან, ოციანი წლების
დასაწყისში ქართველი ინტელიგენცი-
ის სახით მედგარ წინააღმდეგობას წა-
აწყდა, ეს ინტელიგენცია აღზრდილი
იყო დიდი ილიას ეროვნულ მრწამსზე
და ილიას შეუპოვრობით იცავდა თავს;
„რა ვაკეთეთ, რას ვშერებოდით“ სა-
ქართველოსათვის, მისი წარსულისა და
განვითარებისათვის... ვიყოთ ისევე
მედგარნი, როგორც ილია, ვიყოთ ისე-
ვე სასტიკნი ჩვენი კულტურის დაცვა-
ში, როგორც ილია“ — წერდა კ. გამ-
სახურდია. ამდენად, ქართველი ინტე-
ლიგენციის „კონფლიქტი“ ახალგაზრ-
და საბჭოთა სახელმწიფოს მესვეურებ-
თან და მისი თანმიმდევრული ბრძოლა
(ეხმაროთ ეს სიტყვაც) უნდა გავი-
გოთ, როგორც გაგრძელება იმ შორეუ-
ლი ბრძოლებისა, რომლებიც მიზნად
ისახავდა ერის სუვერენული უფლების
შენარჩუნებას ახალ ვითარებაში, რო-

³⁷ ვანტანგ კოტეტიშვილი, მონაპოვარი და
დაპირებანი, ვაზ. სოცილისტ-ფედერალისტი,
1921, 19 ივლისი.

გორც მორიგი „ომი“ ქართული დროშის შესანარჩუნებლად, იმ „ქართული დროშისა“, რომელიც ილიას სიტყვით, „ორი ათასის წლის“ განმავლობაში ქართველობას სახელით და დიდებით სჭერია, თავის სისხლში ამოუვლია და რუსეთისათვის შეუღმწიკვლელად და უჩირქოდ გადაუცია.

ეს იყო ომი, ოლონდ უფრო რთულ ვითარებაში და ისეთივე ხასიათის, როგორსაც ეწეოდა ილია, თავის თანამოსანგრებთან ერთად „მარჯვნივ“ და „მარცხნივ“, შინაურ თუ გარეშე მტრებთან, რამეთუ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგაც იყვნენ კატკოვები და პატკანოვები, იანოვსკები, გიორგი მუხრანსკები და ჯაბადრები...

თავის მხრივ, საბჭოთა მთავრობის მორალურ-მატერიალური მხარდაჭერა მეწრღებისადმი, რიგი სასიკეთო ღონისძიებები კულტურის ფრონტზე და მოჩვენებითი დამაიმედებელი პირობები რესპუბლიკის ეროვნული გზით განვითარებისა, ვერ ცვლიდა ქართული მწერლებისადმი, რიგი სასიკეთო ღონისძიებებს. იგი, როგორც თავისი ხალხის სულის ბარომეტრი, მკვეთრად გამოხატავდა ერის ტკივილს საკუთარი ენის, მშობლიური მიწის, პოლიტიკური

უფლებრივი მდგომარეობისა და სუვერენული ეროვნული სახელმწიფოს სხვა მახასიათებელთა დაქარგვის გამო.

ჩვენი ლიტერატურათმცოდნეობის გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს თანამედროვეობის გადასახედიდან ობიექტურად გააშუქოს უახლესი, განსაკუთრებით საბჭოთა პერიოდის ქართული მწერლობის რთული პროცესი; წამოსწიოს მისი წამყვანი როლი ქართული ხალხის არამხოლოდ ესთეტიკური, არამედ ეროვნულ-პოლიტიკური თვითშეგნების ამაღლების გზაზე, მისი გაბედული ბრძოლა არსებული სინამდვილის წინააღმდეგ. ამ პრინციპით უნდა განვიხილოთ როგორც „აკადემიური ასოციაციისა“ და „არაფიონის“ ჯგუფის, ასევე „ციხფერი ყანწების“, თვით „პროლეტარული ასოციაციის“, ფუტურისტთა ჯგუფისა და ჯგუფებთანა გაერთ მდგარი მწერლების შემოქმედება და მოღვაწეობა. ეროვნული მოტივი, რომელიც წარმოადგენს მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობის უმთავრეს ცოცხალ ნერვს, საბჭოთა მწერლობის განვითარების მთელ გზაზე ინარჩუნებს წამყვან მდგომარეობას.



მიხეილ ანთაძე

აღიღო უხვი თუთაშხაპან

ქაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხაპან“ მთელი თავისი იდეურ-მხატვრული მოცულობით ზნეობრივ ძიებას უკავშირდება. ეთიკურ საკითხებს, ადამიანის მორალის, ქცევის პრობლემებს, ინდივიდისა და საზოგადოების ურთიერთობას აქ არა მხოლოდ ღრმა შინა-

არსობრივ კლასტებში უჭირავს მნიშვნელოვანი ადგილი (რაც მეტ-ნაკლებად ყველა მაღალმხატვრულ ნაწარმოებს ახასიათებს), არამედ სიუჟეტურ განვითარებაშიც „დათა თუთაშხაპან“ არის რომანი ზნეობის ძიების შესახებ. ნაწარმოების ძირითადი გამო-

სახველობითი ხერხი ინტელექტუალური თხრობაა — რომანს გრაფი სეგედის ჩანაწერების ფორმა აქვს მიცემული. ამ ჩანაწერებში ჩართულია სხვადასხვა პერსონაჟების მოგონებები თუთაშხიას შესახებ. სეგედისეული ინტელექტუალური განაპირობებს ამ ვარემოებას, რომ ნაწარმოებში უხვადაა დისკურსიული ლოგიკით აგებული მსჯელობა. მრავალი სხვადასხვა თვალსაზრისი ზნეობისა და ზნეობრიობის შესახებ, რაც უხვ მასალას იძლევა ნაწარმოების ეთიკური პრობლემატიკის გასარკვევად. მაგრამ ეს საკითხები, რომელთა შესახებაც რომანის პერსონაჟები ბჭობენ, მხოლოდ მასალაა იმ ძირითადი ლერძისთვის, რომელიც ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია ნაწარმოების მხატვრულ სამყაროში — ესაა რომანის მთავარი გმირის, დათა თუთაშხიას თავდასავალი და მისი ზნეობრივი მამიებლობა.

დათა თუთაშხიამ მთელი სიცოცხლე მიუძღვნა ადამიანის, მისი არსებობის წესის, მისი ფსიქოლოგიისა და ეთიკის პრაქტიკულ შესწავლას. მისი ძიება აქტიურია და არა თეორიული. რომანში დათა თუთაშხიას უპირისპირდება მუშნი ზარანდია და მათ შორის ერთგვარი ზღვარია გრაფი სეგედი. ამ ტრიადის გახსნა-განვითარება ქმნის რომანის ზნეობრივი ძიების მაგისტრალურ ხაზს. დანარჩენ პერსონაჟებს მხოლოდ მათთან მიმართებაში აქვთ მნიშვნელობა. დათა თუთაშხია და მუშნი ზარანდია ორი ურთიერთმოპირდაპირე წერტილია. ორი პოლუსი. ჯობის ორი ბოლო და ეს ჯობი, თუ ამ უხერხულ შედარებას განვაგრძობთ, ზნეობრიობაა. გრაფი სეგედი ამ ორ პოლუსზე დამკვიდრებელია, ადამიანის გონების თვალს პერსონიფიკაციაა.

დათა თუთაშხიას ძიება იწყება ადამიანის მიერ მეორე ადამიანის ცხოვრებაში ჩარევის აუცილებლობის აღმოჩენით. პირველი ეპიზოდი, რომლითაც ავტორი დათას მამიებლური მოღვაწეობის თხრობას იწყებს, შეათავას

ცოლის ამბავია. დათა პირველად ჩერია სხვის საქმეში, რადგან ევალისა რომ ბოროტების, არაზნეობრივების გამოსწორება შესაძლებელია სხვა ზრდის, დიდაქტიკის, მაგალითის ჩვენების გზით. ამ დასკვნამდე მისული დათა აქტიურად იწყებს ცხოვრებაში ამ შეხედულების გატარებას და პირველ დიდ „ექსპერიმენტს“ ატარებს — არაფრისმქონე ბუდარებს უანგარო დახმარებას უწევს. მაგრამ დათას ცდა მარცხით მთავრდება. სიკეთის ქმნამ ბოროტი ნაყოფი გამოიხსნა — ბუდარასა და ბუდარისასგან სიაცისა და ბოროტების გარდა არაფერი გამოვიდა. აღმოჩნდა, რომ ამგვარი სიკეთე, სიჭკველე პრიმიტიულია. დათა რწმუნდება, რომ ის, რაც მან ბუდარებს გაუკეთა, სიკეთე კი არა, ბოროტება ყოფილა და ამგვარი „სიკეთის“ კეთება უმართებულოა. ამგვარია დათა თუთაშხიას პირველი ცდომილების შედეგი.

მეორე ცდომილებაც პრიმიტიულ სიკეთესთანაა დაკავშირებული: მარუდას ეპიზოდში დათამ ერთი საქმე გამოასწორა, ერთი სიკეთე გააკეთა, მაგრამ ერთის წილ მრავალი დაზიანდა, სიკეთე კვლავ ბოროტებად მოიქცა. მარუდას ეპიზოდი პრიმიტიული სიკეთის მეორენაირი დასასრულია. დათას დასკვნა ამ ვარიაციული ცდომილების შედეგად საბოლოოდ მტკიცდება: ცნობილი ანდაზის საწინააღმდეგოდ არ არსებობს სიკეთე ბოროტების ვარეშე. სიკეთე და ბოროტება ერთიანია და არა დიდფრენცირებული.

თუ პირველი ორი ცდომილება ასე თუ ისე პიროვნულ, კერძო პლანში იყო გამოხატული და ცალკეულ ადამიანებს, — ბუდარას, მარუდას ეხებოდა, დათას მესამე ცდომილება სიკეთის ბოროტებისკენ მიდრეკილების საზოგადოებრივ-მასობრივი დადასტურებაა. ვინმე სეთურს მიუვალ ადგილას ერთგვარი კოლონია შეუქმნია, სადაც ტირანული, უზურპატორული წესწყობილება დაუწყარბია და მონებად უქცევა არაფრისმქონე, მოტყუებული

ხალხი. დათა ხედავს სეთურის ბოროტებას და ხმას აღიმალღებს მის წინააღმდეგ, რის შედეგადაც ეს დაბეჩავებული ხალხი დათასვე აუმხედრდება. ამ ეპიზოდისგან გამომდინარე მასა, ბრბო სიბოროტეს სიკეთედ აღიქვამს (სეთურს მარჩენალს უწოდებენ). დათა ასკვნის, რომ ადამიანს ბოროტება სჭირია და არა სიკეთე, ყოველ შემთხვევაში, ის კი ცხადია, რომ სიკეთე არავის არაფრად უნდა. ასეთია იმ საზოგადოების ზნეობრივი შეგნება. დათა რწმუნდება, რომ „ქვეყნის შეცვლა შეუძლებელია. ქვეყნის ახსნა შეუძლებელია. საიდუმლო მორჩილად უნდა ვალიაოთ“ (ელიოტი). სოციალური გარემოდან წარმოშობილმა გაუქვლმართებულმა ზნეობამ, საზოგადოებრივი აზრისა და მორალის ძირსდაშეშებულმა ხარისხმა დათა მორჩილებს, პასიურობის და სხვის საქმეში ჩაურევლობის პრინციპამდე მიიყვანა. ყველაზე დიდი სიკეთეა, არ ჩაერო სხვის საქმეში, — ასეთია დათას მესამე ცდომილების შედეგად მიღებული „ჭეშმარიტება“, რომელიც განვლილი გზის გამოცდილებამ და სიკეთის ცნების ფარდობითობის გააზრებამ წარმოშვა.

მაგრამ არც ეს ჭეშმარიტება აღმოჩნდება საბოლოო, თუმცა დათა მტკიცედ ანხორციელებს ჩაურევლობის პრინციპს. იწყება ახალი, „ვირთაგვების“ ეტაპი თუთაშხიას ძიების გზაზე. ამ ეტაპზე დათა წინა გამოცდილებით აღჭურვილი მიდის — მან იცის, რომ სანამ ცნობილი არ იქნება მოქმედების შედეგი, არ შეიძლება რაიმეს ქმნა, რადგან არ ვიცით სიკეთე იქნება ეს ქმედება თუ ბოროტება. მურმან თორიას საავადმყოფოში ოთხ ავადმყოფზე დაკვირვება ახალ საფიქრალს უჩენს დათას. ამ ოთხთა შორის საკვების, საარსებო საშუალების გამო დატრიალებული ცხოვრებისეული პერიპეტრიის შედეგად თვითეული მონაწილის როლი ირკვევა — ერთი ტიპიური, აქტიური მტაცებელია, მეორე —

მომრიგებელი, მესამე — ნეიტრალი და მეოთხე — მსხვერპლი, მაგრამ ყველა, ფაქტიურად, სრულყოფილი მით ცდილობს თავის გადარჩენას ცხოველური ინსტიქტებით მოქმედებს. ამ ეპიზოდში გავლებულია ალეგორიული პარალელი ვირთაგვებთან, რომლებსაც დაშუქულებს სვამენ კასრში და ასე გამოყავთ კაციჭამია. მაგრამ, თურმე, მეორე გზაც არსებობს (თუმცა უფრო ხანგრძლივი) — თურმე შიმშილს გადაჭარბებული სიმამლრე შეიძლება შეენაცვლოს, „კაციჭამია“ მაინც ჩამოყალიბდება. ავადმყოფებს შორისაც ასეა — შიმშილობენ თუ სალაფავს თქველფენ, ისინი მაინც ერთმანეთს ჭამენ. ავტორი ხაზს უსვამს, რომ მიზეზი რაიმე გარეშე ფაქტორში (შიმშილში) კი არაა; არამედ თვით ადამიანის ბუნებაშია საძიებელი, მის ეგოისტურ სიჩლუნგეში.

ამ ვითარებაში დათა თუთაშხია უარს ამბობს დაეხმაროს ადამიანებს მოძებნონ სწორი და ერთადერთი გზა. ამ გადაწყვეტილებას ორი განმსაზღვრელი ფაქტორი გააჩნია: ერთი, რომ საჭირო არ არის სხვის ბედში ჩარევა, ეს სიკეთეს არ გამოიღებს და მეორე — სწორი და ერთადერთი გზის წინასწარ დადგენა შეუძლებელია. ასეთია ამ რიგით მეოთხე ცდომილების შედეგი. „ცდომილებად“ კი ამ ეპიზოდს იმიტომ მივიჩნევთ, რომ აქ დათას მიერ დაშვებულია სრულიად ელემენტარული ალოგიზმი — ის არ ითვალისწინებს, რომ უმოქმედობა იგივე მოქმედებაა, მოქმედების ერთ-ერთი ნაირსახეობა, აბსოლუტური უმოქმედობა არ არსებობს და „არჩარევას“ ისევე შეიძლება კეთილი ან ბოროტი შედეგი მოჰყვეს, როგორც „ჩარევას“. ამრიგად, დათას პრინციპი ლოგიკურ შეცდომას შეიცავს და ეს ირკვევა მომდევნო ეპიზოდისგან — კიკუ ძიგუას ამბიდან.

დურუს დუქანში მომხდარ დრამატულ ისტორიაში დათა თუთაშხიას პასიურობა, ჩაურევლობა უკიდურესო-

ბამდე მიდის, კორტუელ წერტილს აღწევს. მის თვალწინ ბოროტება, უზნეო დანაშაული ზღვება, ის კი, ვისი იმედოც აქვთ აღამიანებს, გულხელდაკრეფილი ადევნებს თვალუფრს მომხდარს, რადგან ცხოვრების შესწავლამ დაარწმუნა, რომ ბოროტებას თან ბრძოლა კი არაა საჭირო, არამედ მოთმენა. თუთაშხია მისდაუნებურად ბოროტებასთან შემგუებლის პოზიციას იჭერს, რადგან უკეთეს გზას ვერ ხედავს. მისი ყველა წინანდელი ცდა უშედეგო ან ბოროტშედეგიანი გამოდგა და ბედნიერება ვერ მოუტანა აღამიანებს. მართალია, უმოქმედობაც არ ანიჭებდა დათას სულიერ კმაყოფილებას, მაგრამ ზნეობრივი ძიების გარკვეულ ეტაპზე ეს საუკეთესო ვარიანტად მიაჩნდა და ასე გაგრძელდებოდა, სანამ თვის ცხოვრება არ გამოამყდებდა, რომ ეს ვარიანტიც ცდომილება იყო. ცხოვრებამ კი დათა თუთაშხიას სწორედ ღურთ ძიგუას ღუქანში მისცა მწარე გაკვეთილი. ყვალთავას და მისი მეგობრების მიერ ჩადენილ ბოროტებასთან და საერთოდ, ყოველგვარ ბოროტებასთან ბრძოლა დათამ უაზროდ და განწირულად ჩათვალა და წინ არ აღუდგა მას, რის შედეგადაც დათას უმოქმედობა აღმოჩნდა ზნეობრივი დანაშაული და ბოროტმოქმედება, ჩაურევლობა აქტიურ ბოროტებად იქცა: დათა თუთაშხია რომ კიკუს საქმეში ჩარეულიყო, ის რაც მოხდა, არამც და არამც არ მოხდებოდა. შესაძლოა კიკუ, რომელიც თავად ვერ ერკვეოდა შექმნილ მდგომარეობაში, მაინც გარყვნილიყო, მიუხედავად იმისა, ჩაერეოდა დათა მის საქმეში და ააცდენდა თუ არა ყვალთავას. შესაძლოა, ყვალთავას თუ არა, სხვას ჩაედინა ის საქციელი, რომელსაც დათამ ხელი არ შეუშალა, მაგრამ დათას ჩაურევლობას მართო კიკუს გარყვნა კი არ მოჰყვა, არამედ მამამისის, ღურთ ძიგუას მკვლელობა, ძმის — ძობას დაობლება, თვით კიკუს სიგიჟე და სიკვდილი და ეს ყველაფერი არ მოხდებოდა, დათას

რომ ჩაურევლობის პრინციპისათვის ეღალატა.

ამგვარად სრულდება დათას მისი ხას რთული, ხანგრძლივი მიწების ერთი მნიშვნელოვანი პერიოდი, რომელიც განუწყვეტელი, წინააღმდეგობრივი, ერთიმეორის უარყოფელი დასკვნების მძიმე ცხოვრებისეულ ჯაჭვს წარმოადგენს. თუთაშხიას ზნეობრივი ძიება საკუთარ თავთან მუდმივ კამათსა და გადაწყვეტილებათა, აზრობრივ მონათვართა ლოგიკურ, დიალექტიკურ ცვლაში მიმდინარეობს. „უიქრობდე — ეს ნიშნავს კამათობდე“ — ამბობს ესპანური ანდაზა. დათას გზა ამგვარი კამათიანი ფიქრის გზაა, ოღონდ არა კაბინეტის ფილოსოფიის თეორიული ფიქრის, არამედ ყაჩაღად გავარდნილი ვაქკაცის ცხოვრებისეული მაგალითებით მდიდარი ნააზრების. თუთაშხია მუდმივად ეჭვის ქვეშ აყენებს თავისი გამოცდილებით მიღწეულ დასკვნებს და იქვე ეძიებს უფრო სწორ გადაწყვეტილებებს. ეჭვი და ძიება ზნეობრივი სრულყოფისაკენ სწრაფვის გზებია. მწერალი გამუდმებით აყენებს თავის გმირს ზნეობრივ ალტერნატივათა წინაშე.

„ვირთავების“ ალეგორია, როგორც აღამიანის უზნეობის მახასიათებელი, გაუტანლობის, ეგოიზმის და მოყვასისადმი მტრობის გამოხატულება, რომანში კიდევ ერთხელ ფიგურირებს: მუშნი ზარანდიას მიერ ჩატარებულ ყაჩაღთა გადმობირების პოლიტიკა იმავე „კაცობის“ გამოყვანის პრინციპს ეფუძნება. მუშნი ზარანდიაც კარგად იცნობს აღამიანისა და საზოგადოების ზნეობრივ არასრულყოფილებას. ისიც თავისებურად იბრძვის ბოროტების წინააღმდეგ. ზნეობრივი თვალსაზრისით ეს პერსონაჟი თავის ანტიპოდს, დათა თუთაშხიას ბევრი საერთო ნიშნით ჰგავს — მუშნიც იმავე ოჯახის შვილია, ისიც ვაქკაცის საუცხოო თვირებების მატარებელია და ტყუპივით გავს დათას; ისიც გამუდმებით ებრძვის იმას, რაც ბოროტებად მიაჩნია —

მოკლედ, მუშნი ზარანდიაც დათასებრ
მაძიებელი აღმიანია. მსგავსება, რო-
მელზეც ავტორი ყურადღებას ამახვი-
ლებს, შემთხვევითი არ არის. მათ შო-
რის, ძალიან ბევრი საერთოა, განსხვა-
ვება კი მხოლოდ ერთშია — დათა არ-
სებულის წინააღმდეგია, მუშნი — არ-
სებულის დამკველი. ამ ერთი, მაგრამ
უმნიშვნელოვანესი განსხვავების ეთი-
კური არსი მეტად მნიშვნელოვანია. ამ
შემთხვევაში აუცილებელი ხდება ერ-
თმანეთისაგან განვასხვაოთ ერთ ის
მხრივ ზნეობრიობა და მეორეს მხრივ
მორალი. ზნეობრიობა აღმოცენებუ-
ლია ჩვეულებების, მცენებების, წესე-
ბის, ტრადიციების ნიადაგზე და გარკ-
ვეულ სოციალურ გარემოსთან ინდი-
ვიდის ადაპტაციის ფორმას წარმოად-
გენს. მუშნი ზარანდია ზნეობრივად
დათა თუთაშხიას იდენტურია. რომან-
ში გამუდმებით აქცენტირდება მისი
ზნეობრივი სიმტკიცე და სიმალღე.
პირველ რიგში, ამ იდენტურობას გამო-
ხატავს პრინციპის, „ვაკეთებ ასე, რად-
გან სხვაგვარად არ შემიძლია“-ს, სა-
ერთოობა ორივე ამ გმირისათვის. ეს
ზნეობის სფეროა.

ხოლო მორალი გამოხატავს პირად
პოზიციას, საკუთარი ადამიანური არსის
მსოფლმხედველობის შეცნობას. მორა-
ლი ზნეობრიობის ჰუმანიტური შინა-
არსია. ზნეობრიობა კი შეიძლება ნაწი-
ლობრივ ან სრულად იყოს მოკლებული
მორალურობას. ამის მაგალითად გამო-
დგებიან თუნდაც ის ცნობილი ნაციონალი
ფუნქციონერები, რომლებიც სამსა-
ხურებრივი მოვალეობის შესრულები-
სას მორალური გრძნობის გარეშე აწა-
მებდნენ და ხოცავდნენ ადამიანებს,
ბავშვებს და მოხუცებს, ხოლო პირად
ცხოვრებაში, ოჯახში, საზოგადოებაში
კი მთელი ფსიქიკითა და ადამიანური
შეგნებით უაღრესად წესიერი, ზნე-
ობრივი კოდექსის ერთგული, ნორმა-
ლური ადამიანები იყვნენ. ერთადერთი,
რაც მათ განასხვავებდათ სხვა ადამი-
ანებისაგან, მორალდაკარგული მსოფლ-
მხედველობა იყო. სწორედ ამ იდეის,

მსოფლმხედველობის, როგორც ეთი-
კური საწყისის გარკვევა არის „დათა
თუთაშხიას“ კარდინალური პრობლემა.
ზნეობრივი ძიების მთავარი საგანი
დათა და მუშნი ცალ-ცალკე, თავთავისი
ინდივიდუალური მორალური კანონის
მიხედვით მართლები არიან, მათთვის
შეუძლებელია რაიმე შეიკვალოს, მაგ-
რამ ორი სიმართლე ერთი კაცისთვის
არ არსებობს და ამიტომ რომანის
ეთიკური კონცეფციის განვითარება
მიმართულია იქით, რომ თანდათანობით
გაკეთდეს მკითხველის არჩევანი
დათასა და მუშნის შორის. მკითხველის
ცნობიერების ამ ავტორისეულ სენტენ-
ციურ მოძრაობას მიუძღვება გრაფი
სეგედი, რომელიც ნაწარმოების დასა-
წყისში მთლიანად იზიარებს ზარანდი-
სეულ ეანდარმულ მორალს, მაგრამ
მუშნისა და დათაზე დაკვირვების
ხანგრძლივ პროცესში თანდათან შემო-
ბრუნდება თუთაშხიასკენ და საბო-
ლოდ დგება მის მორალურ პოზი-
ციაზე, არჩევს ორი სიმართლიდან
ქეშმარიტს. მკითხველიც ავტორის
ნებით და მხატვრული ლოგიკის კვალ-
დაკვალ იზიარებს და თანაგანიცდის
გრაფი სეგედის არჩევანს.

რომანის ეთიკური კონცეფციის
განსაზღვრაში მნიშვნელოვანი ფუნქ-
ცია აქვს უსინათლო მორდენაის სახეს.
სწორედ მისი პირითაა ჩამოყალიბე-
ბული ფორმულა დათასა და მუშნის
მსგავსება-განსხვავებაზე. მისი სიტ-
ყვით, განსხვავება „გაგებაშია.“
სწორედ მორდენა უკეთებს რეზიუმეს
დათასეულ ცდომილებებს სიკეთის
ძიების გზაზე. „ვისაც ჩავაცვი, მან
გამხადა, სწორედ. მე თუ არა, სხვას
გახადა მიხეც,“ — ამბობს დათა. „რომ
არ ჩავეცვა მისთვის, გახდა თუ აგე-
დებოდათ ან შენ ან იმ სხვას!“ — პა-
სუხობს მორდენა. ამგვარად, უსინათლო
ბრძენი დათას უანგარო, თავისთავადი
სიკეთის არსებობაზე მიუთითებს. საჭი-
რო არ არის შედეგზე ფიქრი, საჭიროა
სიკეთის კეთება, რადგან სიკეთის
ბოროტებად გადაქცევის აზრი მცდა-

რია: ეს ვითომცდა ბოროტების წარ-
მომშობი სიკეთე რომც არ იყოს ჩა-
დენილი, ბოროტება მაინც წარმო-
იშვებოდა და ამიტომ სიკეთის არ-
ჩადენის, უმოქმედობის პრინციპი
უშარტებულა. დათას ყველა ზემო-
მოყვანილი ცდომილების საერთო აზრი
ამ შეცდომაზე შეგვიძლია დაეყვანოთ.

თუთაშხია ხვდება, რომ მას ჯერ
კიდევ აკლია გამოცდილება, რათა
პრობლემის კეშმარტ გადაწყვეტას
მიავნოს და „ცხოვრების სანახავად“
მიდის. ამ გზაზე დათას ჩიჩქრონობას
სიყვარულისა და მეგობრობის გრძნო-
ბები და ამ გრძნობათა გამომხატველი
პერსონაჟები — ნანო და ირაკლი
უწევენ, მეგზურობენ დროსტარებისა
და ცხოვრების „სულ ახლოდან“ გასაც-
ნობ გზაზე. ეს გზა თავდაპირველად
შერიგებასა და სიმშვიდეს მოუტანს
დათას, მაგრამ ამგვარი თავისუფლება
კიდევ უფრო დასანახს ხდის მისთვის
საზოგადოებაში ფესვგადგმულ ბორო-
ტებას და დათა ხელახლა აბრაგდება,
იგი სიყვარულზეც უარს ამბობს, რად-
გან ძიება გრძელდება, ბოროტება თავს
არ ანებებს დათას (სახნოვის ცდა),
მიძინება და წყნარი, იდილიური ცხოვ-
რება რეალურად შეუძლებელი ილუ-
ზიაა.

შემდეგ ეტაპზე დათა ახალ პრინცი-
პამდე მიდის — ბოროტება ბოროტე-
ბითვე უნდა დაითრგუნოს. დათა სჯის,
კლავს, ანადგურებს ყველაფერს, რაც
ბოროტებად მიაჩნია. საზოგადოებაში,
რომელშიც სოციალური უზნეობა,
კორუფციის მომძლავრება, უკონტ-
როლობა, გულგრილობა მეფობს (ეს
კარგად ჩანს სახნოვ-ზარანდიას სიუ-
ჟეტურ ხაზში), ბევრი რამ არის ამო-
საძირკვი. დათა იწყებს ამ საზო-
გადოების „მარგვლას“ (სარჩიმელას,
ყანდურის, ხოლუას, ყურუას, დახიშ-
ტვის ეპიზოდები).

ეს ბრძოლა ლოგიკურად შემდეგ
ეტაპში გადადის — ირკვევა, რომ
ბოროტებით მოსპობილი ბოროტების
ადგილზე სამშავი ბოროტება აღმოცენ-

დება (ბოროტებით მხოლოდ მარგვლ-
დება ბოროტება). დათა ფარხშალს ვრის
დაუძლეველი ბოროტების წინააღმდეგ
ბრძოლაში. მორდხაის, შაგალის,
კონსტანტინეს, ეფემიას, მუშნის,
გოგისა რჩევით იგი იძულებულია მორ-
ჩილების გზას დაადგეს. ძირითადად
მას მონასტერში აღკვეცას ურჩევენ,
მაგრამ იგი ციხეში ჯდომას გადაწყვეტს.
იკვრება მხატვრული კონტრასტი:
ციხე—მონასტერი — ერთი მთლიან-
ობის ორსახოვანი გამოხატულების
კიდევ ერთი ალევორია. მიძიებლობის
გზა ციხით მთავრდება, ცდომილებათა
შემდეგ ეს გზა ბოროტის მარგვლიდან
მორჩილების, თვითგვემის ეტაპებს გა-
ივლის — სასჯელისა და ბედთან შეუ-
რიგებლობის გამოხატულებაში — სა-
პყრობილეში ნახულობს სიკვდილის-
წინა ნავთსაყუდელს.

პარალელურად ვითარდება რომანში
მუშნი ზარანდიას ნაზიც და გრაფი
სეგედის მსოფლმხედველობრივი სტე-
რეოტიპების რღვევაც. თანდათან იკვე-
თება მუშნის ზნეობრივი კრედო. ისიც
ბოროტს ებრძვის, მარგლავს საზო-
გადოებას „შეზღუდული“ კაცისაგან —
სახნოვისგან (ეს სიუჟეტური ერთეუ-
ლი — ზარანდიასეული რთული ოპერა-
ცია, დეტექტიურ სტილშია დაწერილი).
ამ ბრძოლის შედეგად გრაფ სეგედში
მწიფდება მორალური გარდატეხა, მისი
მსოფლმხედველობა ლოგიკურად სან-
დრო კარიძისას უახლოვდება, ანუ
მთლიანად უკუტრიალდება.

ციხის დიდი ეპიზოდი, რომლითაც
ფაქტიურად მთავრდება რომანის ზნე-
ობრივი ძიება, დათას გზის გაგრძე-
ლებაა, ოღონდაც შემდგომი ცდომი-
ლების ეტაპი კი არ არის, არამედ
მთლიანი ეთიკური კონცეფციის კიდევ
ერთი უჯრედი, მოდელირებული განმე-
ორებაა. აქ ეთიკურ პლასტს ერთვის
სოციალური ალევორია: საზოგადო-
ება — ციხე — სახელმწიფო, არა მაინც-
დამაინც კონკრეტულად იმ ეპოქისა,
რომელშიც ნაწარმოების სიუჟეტი
ვითარდება, უფრო იმისა, რომელშიც

ეს წიგნი დაიწერა. ამგვარი ალეგორიული განზოგადების გამო, თუთაშხიას ზნეობრივი ძიება ჩვენთვის, ავტორის თანამედროვეთათვის, აქტუალური დამაფიქრებელი ხდება და, როგორც ყოველი ბრძნული მაგალითი, გარემომცველი სინამდვილის ავ-კარგის გარკვევაში გვეხმარება.

თუ „დათა თუთაშხიას“ მითისქმნადურ ნაწარმოებად მივიჩნევთ, მხოლოდ და მხოლოდ ორი მომენტი მოგვცემს ამის საფუძველს: მისი აზრობრივი-იდუეური დონის პარადიგმულობა ფაუსტური ლიტერატურული ნააზრევის ნაკადთან და თუთაშხიას მითოლოგიის უტყუარი არსებობა. ორივე ეს მომენტი დაკავშირებულია რომანის გმირის — დათა თუთაშხიას მხატვრულსა და ზნეობრივ კონცეფციასთან.

დათა თუთაშხია ხასიათის მრავალი ნიშნით ზოგადფაუსტური ტიპის პერსონაჟია: ჭეშმარიტების მაძიებლობა, ადამიანის სრულყოფისათვის ბრძოლა. საერთო პლანში იგი ადამიანის საყოველთაო პროგრესის საერთო იდეალს გამოხატავს, ავტორის ძირითადი აქცენტი ზნეობის სფეროშია გადატანილი, დათა თუთაშხიას ფაუსტურობა მხოლოდ ეთიკურ პრობლემებშია განფენილი და არ მოიცავს სამყაროსა და ადამიანის წვდომის სხვა მეცნიერულ სფეროებს (საბუნებისმეტყველო, ზოგადფილოსოფიური, რელიგიური და სხვ.), რომლებიც ეთიკასთან ერთობლიობაში წარმოადგენენ ფაუსტური მაძიებლობის მოზანს. ზნეობრიობის სფეროში დევს რომანის მითოლოგიასთან შეხების მეორე მხარეც — ნაწარმოების ეთიკური საყრდენი ხალხური ნიღაჯიდან, სიბრძნეიდან, პირველქმნილი მითიური წარმოდგენებიდან და ამ წარმოდგენათა მორალური სიღრმიდანაა აღმოცენებული. რომანის მითოლოგიური პლასტის ამოსაკითხავად, უპირველეს ყოვლისა, მკითხველს ეხმარება თვითეული კარის წინ წამძღვარებული „ძველქართული“ სტილიზაციით დაწერილი პასაჟები, რომლებ-

შიც მხატვრულადაა განმარტებული თუთაშხიას მითოლოგიამა და მოღვილირებულთა მთელი ნაწარმოებების ეფექტი „არა იყო იგი სულმდგმულმა პიროვნებამა ძე ხორციელი, არამედ სული კრებითი, არსი მყოფი კაცთა წიალსა შინა, ვითა წახნაგთაგანი მათი უპირველესი“ — ნათქვამია პირველსავე პასაჟში. ამგვარად, ავტორი თავიდანვე უსვამს ხაზს საკუთარი შემოქმედებითი პროცესის ძირითად ზოგად ხერხს — მიკროსამყაროს მაკროსამყაროდ გარდაქმნის, კრებითი ცნების გაკონკრეტების, სულის წახნაგის, ადამიანური თვისების პერსონიფიკაციის მხატვრულ ხერხს. ესაა მითოლოგიზაციის, მითისქმნადობის ძირითადი ხერხი და ავტორი თავიდანვე გვეუბნება, ნაწარმოების გმირი ამგვარი ხერხით არის აგებული. „შეა ამა ვითარებამან ერსა შიგან სიბრძნე გონებისა, რომელმან ჰპოვა მარცვალი ველური, ქმნა ყანად და დაუღვა კაცთა პურად არსობისა, შეიპყრა ხარი ტრამალსა ზედა, შინაურ ჰყო და განაწესა გამწვეად ტვირთისა: აღაგო ბორბალი... ისწავა ვარსკვლავეთი და მიანიჭა კაცთ უნარი ამინდთმეტყველებსა; მოიხელოვნა რუკა... მიკვლევად უცნობთა ერთა; შეთხზა ანბანი... და გაახარა ვაზი. ხედვიდა ერი მას თუთაშხიას განსხეულებულს“. ამრიგად, თუთაშხია, ავტორისეული წანასწარგათქმით, ადამიანის სიბრძნის ის საწყისია, რომელიც განსხეულდება პროგრესში, კულტურისა და ცივილიზაციის განვითარებაში. ესეც ფაუსტური არსის ერთ-ერთი უპირველესი ნიშანია. დათა თუთაშხია, მსგავსად ფაუსტისა, „უპირველეს ყოვლისა ცხოვრების აზრის, ჭეშმარიტების, ადამიანისა და ქვეყნის სრულყოფის მაძიებელი ძლიერი პიროვნებაა. ძლიერი, მაგრამ არა ხრულყოფილი, განვითარების ყველა საფეხურზე იგი ორ აუცილებელ ელემენტს შეიცავს: რაც არის და რაც შეიძლება იყოს“ (მ. კვესელავა), ანუ რაც სასურველია რომ იყოს. ფაუსტური გმირის ეს გაგება სრულიად ესადაგება დათა

თუთაშხიას, რომლის ხასიათიც მძიებ-
ლობით, ძლიერებით, ინტელიგენტიზ-
მით, კეთილი ნებითაა გამსჭვალული.
რომანში იგი უპირისპირდება ეთიკის
რღვევას საზოგადოებაში ან, უფრო
მრავლისმომცველად თუ ვიტყვით,
გადაგვარებულ, მორალგარყენილ საზო-
გადოებას, ვითარცა ბოროტების გამო-
ხატულებას.

გვარი „თუთაშხია“ გმირის მითიური
წარმოშობის ძირითადი და ერთადერ-
თი აშკარა მიმანიშნებელია. თუთაშხა
მეგრულად მთვარის დღეს, ორშაბათს
ნიშნავს და მეგრულ ფოლკლორში
ცნობილი მითოლოგემაა. ხოლო „ქართ-
ველთა რწმენაში წარმართობის დროინ-
დელი უზენაესი ღვთაების, მთვარის
ადგილი უკავია“ წმინდა გიორგის
(ი. ჯავახიშვილი). ამრიგად, როგორც
ვხედავთ, ბოროტებასთან, ურჩხულთან
მებრძოლი წმინდანისა და ქართული
წარმართული პანთეონის უზენაესი
ღვთაების სინკრეტიზირებული მითო-
ლოგემა ქ. ამირეჯიბის რომანის მითის-
ქმნადური პროცესის საფუძველია.
დათა თუთაშხია წმინდა გიორგის
იდენტია, ხოლო საზოგადოებაში ფესვ-
გადგმული ბოროტება — ურჩხულისა,
რომელსაც მითოსში მუდამ უპირისპირ-
დება და ამარცხებს წმ. გიორგი. ეს
მითოსური ბრძოლის ასპარეზი მწერ-
ლის მიერ, პირველ ყოვლისა, ზნეობის
სფეროშია გადმოტანილი და შერწყმუ-
ლია ძიების სიუჟეტურ-აზრობრივ მო-
მენტთან.

დათა თუთაშხიას ზნეობრივი ძიების
გზაზე წინ ვერაფერი აღუდგება. იგი
განუწყვეტლივ მიიწევს წინ ამ გზაზე
და წინსვლის მამოძრავებელი ზემოთ
განხილულ „ცდუნებათა“ რიგია, რად-
გან ცდუნება გულისხმობს მოპოვებუ-
ლის გაუფასურებას, გააზარების
ფაუსტურ იდეას — ის, რასაც დათა
თუთაშხია გარკვეულ ეტაპზე გონებით
სწვდება და მოქმედებით, საქმით გამო-
ავლენს, არ აღმოჩნდება საბოლოო
ქეშმარიტება. დათას სელა ამ ქეშმარი-
ტებისაკენ დაუსრულებელი სვლაა, ავ-

ტორი ფსევდო „ძველქართულ“ შესა-
ვალ ბასაყებშივე იძლევა დათა
თუთაშხიას ძირითად ცდომილებასა
მითოლოგიურ გამოსახულებას: „შეება
თუთაშხა სატკივართა ქვენიერთა, მეობ
ექნა შექირვებასა შინა მყოფსა მრ-
ავალს და განუცრუენა სხვისისა ოფლი-
თა მოპოვებული ქონება ვიეთთა: მიაგო
სამართალი მანქანებითა აღზევებულთა
რომელთამე და ილეწა სახსენლად
მიმძაფრებით დამდაბლებულთა: შთაუ-
დო გულსა შინა მშვიდობა მტრად
ქმნილთა და გაუცუდა ბოროტთა საქ-
მეთა განზრახვა სხვათა, გარნა იმატა
უფრორე: გამცემლობამან ძმათა და
მრუშობამან მეუღლეთა, უმადურებამან
მადლფენილთა... ამპატავენებამან... ხე-
ლისუფალთა, ლიქმნამან ხელქვეითთა
და მზაკვრობამან მეცნიერთა, სიმდიდ-
რისა წყურვილმან მცონარეთა, აღზე-
ვებისა სურვილმან უმეცართა, სიცრუ-
ვემან მერჯულეთა, ურკვეველ დარჩა
თუთაშხა ვითარებასა შიგან“... დათა
თუთაშხიას წინაშე მთელი სიცხადით
ისმება ადამიანის ქეშმარიტი ბუნების
გამორკვევის საკითხი — თუ ადამიანი,
საზოგადოებათა თავისი შინაგანი
კანონზომიერებით ბოროტია, მაშინ
დათა თუთაშხიას ბრძოლას აზრი ეკარ-
გება. მაგრამ ეს მხოლოდ იმ შემთ-
ხვევაში იქნებოდა მართლაც ასე, რომ
თვით დათას პიროვნებაში აპრიო-
რულად არ იყოს სიკეთის რწმენა —
წმ. გიორგის მითოლოგიური საწყისი.
დათას ვეჟაკური ხასიათი, თავისუფ-
ლებისაკენ მიდრეკილი, დაუთარგუნავი
ვნება და საკუთარ თავში ზნეობრივი
იდეალის ძიების უნარი — ძლიერი და
კეთილი პიროვნების გამოხატულება
ანუ ადამიანში თუთაშხას მითოლო-
გიური აბსტრაქციის რეალური გამოვ-
ლინებაა. დათა თუთაშხია, როგორც
მხატვრული სახე ლიტერატურულ
გმირს წარმოადგენს ამ ტერმინის ვიწ-
რო გაგებით. გმირში ფოკუსირებულია
მითოლოგიის, ლიტერატურული და ის-
ტორიული წარსულის სიბრძნე და გა-
მოცდილება. თავისი საქციელით და ქმე-

დებით ის შთაბრუნებს მკითხველს. აძლევს გზას საკვირბოროტო პრობლემების გადაწყვეტისა და საქვეყნო საქმიანობის ზრუნვის იმპულსს და წარმოადგენს ადამიანის საუკეთესო თვისებათა ხორცშესხმას. ამ გმირულ თუთაშხასა და წმ. გიორგის მითოლოგიურ საფუძველზე აგებულ საწყის ნაწარმოებში ორგანულად უკავშირდება ფაუსტური მამიებლობა თავისი უმძაფრესი მამიებლობით — შეცდომით, ცდომილებით, რომელთა უარყოფის გზით მიდის დათა თუთაშხია ქვეშარიტებისაკენ. რაც ადამიანურ, ზნეობრივ სრულყოფილებასთანაა ვათანაბრებული. ეს „შორიდან მოვლილი გზა“ (მ. კვესელავა) ფაუსტური გმირისათვის ჩაუცილებელი გზაა და დათა თუთაშხიაც ამ გზას მიჰყვება. მისი მამიებლური ცხოვრება შედგება საკუთარ ცდომილებათა უარყოფისა და ადამიანური ზნეობის არსის წვდომისაკენ მუდმივი სვლისაგან. ცდუნებათა ნეგაცია, მცდარისა და ქვეშარიტის დიალექტიკური ერთიანობა რომანის მითოლოგიური პარადიგმულობის, ქრთ-ერთი თვალსაჩინო მამიებლებლია. დათა თუთაშხიას მთავარი საწუხარი ადამიანური ზნეობის არასრულყოფილებაა, ისევე როგორც „ფაუსტის მთავარი საწუხარი ადამიანურ შესაძლებლობათა შეზღუდულობაა, შეუძლებლობა — რაც ხარ იმაზე მეტი იყო“. სწორედ ეს შეზღუდულობა იქცა დათას უმოქმედობის, ჩაურევლობის მცდარი პრინციპის მიზეზად, რასაც „ძველქართული“ სტილიზაციით დაწერილ შესავალ პასაჟში ასე გვიხატავს ავტორი: „ურკვეველ დარჩა თუთაშხა ვითარებას. შიგან, რამეთუ არ უწყოდა, რომლითა ძალით მიეზლოვალი ქვეყნისათვის თვისის, მოეკეთა უნარი მიზეზთა განჭვრეტისა, უქმ ექნენ ძალი აღსრულებისთვის საქმეთა საგმირთა, და ჰრქვეა, — არღა მაქვს ცნობა, კეთილს ვიქმ ანუ ავსა. უმჯობეს არს ვიკრიფო მკლავნი მკერდსა ზედა და ვიპყრა ძალი ჩემი უმოქმედობად. განდგა თუთაშხა ქვეყნისაგან თვისისა.

დაინთქა ჭვრეტად და არღა გულისხმავსა სადარდებელი ერისა, რამეთუ ღმერთი არა იყო თუთაშხა“.

რომანის პირველ კარში აღწერილი ცდომილებანი (შაფათავას ცოლის, ბუდარას, მარუდას, კაჯა ბულავას, სეთურის, ვირთაგვების, კიკუს ეპიზოდები) მთლიანობაში საზოგადოების დაკნინებული ზნეობის სურათს იძლევა, რომელშიც ბოროტებას გაუდგამს ფესვი. მეორე კარის შესავალ მითოლოგიზირებულ პასაჟში მწერალი მოკლე რეზიუმეს უკეთებს განვლილი ნაწილის შინაარსს და უშუალოდ შემოაქვს ნაწარმოებში ურჩხულის, როგორც ბოროტების სიმბოლოს წმ. გიორგისეული მითოლოგემა — „იქმნა ყოველი მარტოოდენ, ვითარცა ზემორე ითქვა და... აღიარა ერმან განმგებლად და მორიგედ ქვეყნიერთა საქმეთა თვისთა ურჩხული იგი საშინელი“. საყურადღებოა ამავე კონტექსტში ქართული წარმართული მითოსის ტერმინი „მორიგე“. შემდეგ აქაც გამხელილია პერსონიფიკაციის ზერზი — „არ იყო იგი არსება ერთი და წადისი ხორციელი, არამედ სული კრებითი; არსი მყოფი კაცთა წიალსა შინა, ვითა წახნავთაგანი ერთი მისი“... და ამ პასაჟის ბოლოს თითქმის იკონოგრაფიული მსგავსება წმ. გიორგის მითოლოგიურ ხატთან — „აღილო შუბი თუთაშხამან, აღმხედრდა ჰუნესა თეთრსა ზედა და განიზრახა დათრგუნვა ბოროტისა“.

დათა თუთაშხიას ქალაქში წამოსვლისა და ცხოვრების ახლოდან ნახვის ეპიზოდი (ირაკლი ხურციძისა და ნანო თავყელიშვილის ეპიზოდი) თავისი საფუძვლით ფაუსტური პარადიგმის სქემის მიჰყვება — როგორც ცნობილია, მეტ-ნაკლებად ყველა ფაუსტურ გმირს უდგება მომენტი, როდესაც მისი ცოდნა ვეღარ სწევდება ამოსახსნელ ამოცანას და საჭირო ხდება ახალი სფეროების მოსიხვეჭვა. ამ მიზნით წაიყვანა ჭამოგზაუროდ მეფისტოფელმა ფაუსტი. ამავე მიზნით, ცხოვრებისეული გამოცდილების გასაღრმავებლად:

მაღალი საზოგადოების დათასთვის უცნობი ცხოვრების წესის გასაცნობად მიმართა თუთაშხიამ ირაკლისა და ნანოს, რათა ამ ადამიანებს ეკისრათ მეფისტოფელის როლი მის ცხოვრებაში, გაეწიათ მეგზურობა, რათა დროსტარება და ცხოვრება სულ ახლოდან ენახა. ეს აქტი მაძიებლობის ერთ-ერთი ნაწილია, ძიების აუტიკლებელი ეტაპია და ერთ-ერთი „ცდომილება-თავანია“, რომლის მიზანი ისევ და ისევ ზნეობრივ საკითხებში გარკვევა და ადამიანური სრულყოფილებისაკენ ღრმადია. ეს მოტივია ძირითადი დათასა და ნანოს ურთიერთობაში და მის მნიშვნელობას ავტორი სიყვარულზე მაღლა დაყენებით უსვამს ხაზს.

მესამე კარის შესავალ „ძველქართულ“ პასაჟში მწერალი განავრდენის მითოლოგიზირებულ რეზიუმირებას და უშუალოდ აღწერს წმინდა გიორგის (თუთაშხას) ბრძოლას ურჩხულთან (დაცემულ ზნეობასთან), იყენებს რა წმინდა ფოლკლორულ დეტალებს... (აღდგა ურჩხული და მოიბა ერთი მოკვეთილი თავისა წილ თავი შვიდი და სხვა). აქვე ავტორი იძლევა მითოლოგიური და რეალური პლასტების დამაკავშირებელ ხიდს — „განიზრახა თუთაშხამან, სულმა კრებითა მან, გარდაქცევა ძედ ხორციელად და იქმნა თუთაშხა განზრახვასა შინა ღმერთად!“ თუთაშხა ის ღმერთია, რომელიც ყოველ მამულიშვილში ამოქმედების, საზოგადოებრივი შეგნებისა და ზნეობის აღორძინებისათვის არსებობს, ხოლო დათა თუთაშხია ამ ღვთაებრიობით იდეალურამდე აღჭურვილი გმირია.

უკანასკნელ „ძველქართულ“ პასაჟში მოცემულია განკაცებული იდეის ღმერთად უკუქცევის მითოლოგიური დიალექტიკა. კაცადქცეული თუთაშხიასთვის ბოროტების სიკეთედ გადა-

საქცევად ერთადერთი სწორი გზა აღმოჩნდება რწმენა „ვითარმელ სრულქმნისთვის ღვაწლი არის მუშაობა და ნიშნულება კაცისა... მიეცა თუთაშხა ნებათა თვისთა წამებასა“.. იგი მსხვერპლად შეეწირა ურჩხულთან ბრძოლას, თავისი სხეულის ნაწილები მიუგდო შესაქმელად ბოროტებას და როდესაც ურჩხულმა თუთაშხას სხეული დანთქა, იგი კაცად გადაიქცა. მაშინ გაიბო მკერდი თუთაშხამ, ამოიგლიჯა გული, უბოძა ადამიანად ქცეულ ურჩხულს, თვითგანწირვის მეოხებით სიკეთედ ქცეულ ბოროტებას, ხოლო თვითონ თუთაშხა „ადევლინა ცად, დაჯდა მთოვარედ და იქნა ძე იგი ხორციელი ღმერთად“. ამგვარად ასრულებს ქ. ამარეჯიბი მთვარის ღვთაების მითოლოგიურ ინტერპრეტაციას, რომელსაც რეალურ პლასტში უშუალოდ რომანის წინაარსი განავრცობს. თუთაშხიას მეტამორფოზა: კრებითი სული — ძე ხორციელი — მთოვარე (ღმერთი) — მეთის სტრუქტურული ფორმულაა — აბსტრაქცია — კონკრეტული ადამიანი — მითოლოგემა. ამრიგადაა გაცხადებული რომანის ძირითადი მითოლოგიური დედააზრი, რომლის პრიზმაშიც გადატანილია „დათა თუთაშხიას“ ზნეობრივი ძიება, ამ ზნეობის ლიტერატურული წინამძღვრები ქართული წარმართულ-ქრისტიანული წმინდა გიორგის (მთვარის, თუთაშხას) მითოსი და ფაუსტური ნაკადის ნააზრევია, ორივე ერთად კი გამოხატავს ხვალისდელი დღის, ადამიანის ზნეობრივი სრულყოფილების რწმენას, რომლისთვისაც კაცობრიობას ჯერ არ მიუღწევია. ეს რწმენა საფუძველს გვაძლევს, რომან „დათა თუთაშხიას“ ზნეობრივი ძიების დედააზრის გამოსახატავად გავიხსენოთ ვ. ვან-გოგის სიტყვები: „ჩვენ ჯერ კიდევ გვახრბობს შემხუთველი პაპანაქება. მაგრამ მომავალი თაობები უკვე შესძლებენ თავისუფლად ისუნთქონ“.

1917-1921 წლების თბილისური პრესა

1917-1921 წლებში, მძლავრი ეროვნული და სოციალური განახლების ეამს, ეკონომიკური დაქვეითებისა და დრამატული პოლიტიკური მოვლენების ატმოსფეროში, ინტენსიურად ვითარდებოდა ქართული ლიტერატურა. განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწია პოეზიამ (გ. ტაბიძე, ი. გრიშაშვილი, ტ. ტაბიძე, პ. იაშვილი, ვ. გაფრინდაშვილი, ს. შანშიაშვილი, ალ. აბაშელი...), რომელმაც ორიენტირი ადრევე აიღო რუსულ და ევროპულ მოდერნისტულ სკოლებზე. 1919 წელს დაიბეჭდა გ. ტაბიძის „არტიკული ყვავილები“ — ქართული ლირიკის უდიდესი წიგნი. გამოიცა არაერთი ჟურნალი, რომელიც მთლიანად მხატვრულ ლიტერატურას, მწერლობის პრობლემებს მოიცავდა („მეოცნებე ნიაპორები“, „თოლაბული-სის სარტყელი“, „კრონოსის სარკე“, „ლეილა“, „პრომეთე“, „მზიური საქართველო“, „პარნასი“, „ბარიკადი“, „სმარაგდი“, „ტფილისი“, „შვიდი მნათობი“, „ცისარტყელა“). ჟურნალების ფურცლებზე ახალგაზრდობასთან ერთად იბეჭდებოდნენ უფროსი თაობის სიტყვის ოსტატები (შ. არაგვისპირელი, ვ. ბარნოვი, დ. კლდიაშვილი, ნ. ლორთქიფანიძე...). რედაქტორები თავად მწერლები იყვნენ, რომლებიც გამოხატავდნენ მეტწილად ცალკეული ჯგუფის ინტერესებს (მაგ. „ცისფერყანწელები“), მაგრამ ხალხით ბეჭდავდნენ იმ ავტორებსაც, რომლებიც იღწვოდნენ ქართული სიტყვის განახლებისათვის.

შეიძლება ითქვას, ამ გამოცემების ამოსავალია წმინდა ხელოვნების თვალსაზრისი. უარყოფილია ესთეტიკური კომპრომისი, აქტუალური იდეების პროპაგანდა, რაც ხშირად ნიღბავს ხოლმე

მხატვრულ უმწეობას. თუმცა, ცხადია, მათში იჭრება თანამედროვე სულისკვეთებაც, რთული ეპოქის დინამიკა და სურათები, მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ, რაც მხატვრული გარდასახვა მოხერხდა. ამიტომ შედარებით მცირეა ნაციონალური თუ სოციალური პრობლემათიკის ხვედრითი წონა, მაგრამ ნაციონალურია ავტორთა პოზიცია და სულისკვეთება. განსაკუთრებით უნდა გამოიყოს მონუმენტური ჟურნალი „შვიდი მნათობი“ (პირველი ნომერი შეიცავს 318, მეორე — 468 გვერდს), რომელმაც თავი მოუყარა თვალსაჩინო მწერლებს, მხატვრებს, მეცნიერებს. ამ ჟურნალის გაგრძელებად უნდა მივიჩნიოთ ოციან წლებში გამოცემული „კავკასიონი“ და „ახალი კავკასიონი“.

ქართული მწერლობის კონსოლიდაციის გამოხატულებათ, აგრეთვე; „ცისარტყელა“ (1919-1920, თოთხმეტი ნომერი), რომელსაც ჰქონდა პოეზიის, ბელეტრისტიკის, დრამის, კრიტიკის და ბიბლიოგრაფიის განყოფილებები.

ასევე მნიშვნელოვანია „ცისფერყანწელთა“ „მეოცნებე ნიაპორები“, რომლის გამოცემა გაგრძელდა 1924 წლამდე. იგი მცირე ფორმატისა და მოცულობისაა, მაგრამ ყოველი ლექსი, ესე თუ ნოველა მხატვრული თვალსაზრისით საყურადღებოა.

გამოდიოდა არაერთი სამეცნიერო, საპოლიტიკო და სალიტერატურო ჟურნალი და გაზეთი, რომლებიც საქმაო ადგილს უთმობდნენ პოეზიას, პროზას, კრიტიკასა და პუბლიცისტიკას („ახალი კვალი“, „პირველი ნაბიჯი“, „განათლებლა“, „თავისუფლება“, „თებერვალი“, „მომავალი“, „ალიონი“, „ერთობა“, „სახალხო საქმე“...). გრძელდებოდა სა-

მავშვო მწერლობის ტრადიციები („კუნ-
წულა“ და „ნაკადული“ მცირეწლოვა-
ნებისათვის, „ნაკადული“ მოზრდილთ-
ათვის, „ჭეჭილი“ ყმაწვილთათვის). მძა-
ფრი პოლიტიკური პერიოდი უხვ მასა-
ლას იძლეოდა სატირისა და იუმორისა-
თვის („ხიზრებული“, „ემშაკის მათრა-
ხი“, „მათრახი“, „ხათაბალა“). შუქდებ-
ობდა კულტურული ცხოვრება, მუსიკა,
მხატვრობა; თეატრი („თეატრი და ცხო-
ვრება“, აგრეთვე სხვა ჟურნალ-გაზეთე-
ბი). პრესის ფურცლებზე იბეჭდებოდა
ცნობები არა მხოლოდ ქართულ ხელოვ-
ნებასა და კულტურაზე, არამედ — რუ-
სეთზე, დასავლეთ ევროპაზე. პრესა
ციდილობდა მკითხველის სრულ ინფორ-
მირებას, რაც რედაქციის თანამშრომელ-
თა ოპერატიულ მუშაობასა და ინტერე-
სების მრავალმხრივობაზე მეტყველებს.

მიუხედავად მძიმე ვითარებისა 1917-
1921 წლებში კულტურული ცხოვრება
არ შენელებულა (როგორც ადრე წერ-
დნენ ხოლმე). არც პრესა გაღარიბებუ-
ლა, პირიქით — იგი კიდევ უფრო გააქ-
ტიურდა. ამ თვალსაზრისით დიდი მნიშ-
ვნელობა იქონია მწვავე პოლიტიკურმა
ატმოსფერომ, რომელიც აფხიზლებდა
აღამიანთა ცნობიერებას და აიძულებდა
მათ გამოველინათ შესაძლებლობათა
მაქსიმუმი. გამოცემებს აკლდა პერიო-
დულობა, ზოგი სულ რამდენიმე ნომე-
რიღა გამოვიდა და ამ მხრივ უფრო სწო-
რი იქნება თუ მათ აღმანახებს ვუწო-
დებთ. მაგრამ მთლიანობაში ისინი ერთ-
მანეთს ავსებენ და საერთო პროცესს
წარმოგვიდგენენ (თუმცა თანამედროვე
საზოგადოება ცუდად ან თითქმის არ
იცნობს ამ პერიოდს).

ცხადია, თბილისში ვაბატონებული
იყო ქართული პრესა (დემოკრატიული
რესპუბლიკის მთავრობამ ქართული ენა
გამოაცხადა სახელმწიფო ენად), მაგრამ
საკმაო ადგილი ეკავათ რუსულ და სომ-
ხურ ჟურნალ-გაზეთებსაც.

მართალია, დამოუკიდებელი საქარ-
თლოს მთავრობამ გაწყვიტა კავშირი
ბოლშევიკურ რუსეთთან, მაგრამ ეს ოდ-
ნავადაც არ შეხებია რუსულ კულტუ-

რას. ამ დროს თბილისში ჩამოვიდა რუ-
სული კულტურის არაერთი ცნობილი
მოღვაწე. დაარსდა ფუტურისტულ-და-
დაისტური „ზაუნიკური კომპანია
41⁰⁴“, გამოდიოდა რუსული გაზეთე-
ბი და ჟურნალები, რომლებიც იყო
როგორც წმინდა ლიტერატურუ-
ლი («ARS», «Братство», «Куран-
ты», «Орион», «Феникс»...), ისე
პარტიული («Борьба», «Возражде-
ние», «Грузия», «Тифлисский ли-
сток», «Знамя революции»...). რეს-
პუბლიკას ომი ჰქონდა დაშნაკურ სომ-
ხეთთან. მაგრამ თბილისში სომხური
პრესა არ შეზღუდულა. 1919-1920
წლებში დაშნაკებს აქ ქართული გაზე-
თიც კი ჰქონდათ („მშრომელი“).

საყურადღებოა, რომ გამოდიოდა
ფრანგული („La Georgie indepen-
dante“, შემდეგ — „La Republique
Georgianne“-ს სახელწოდებით) და
ინგლისური გაზეთები („The Geo-
rgian Mail“, „The Georgian messen-
ger“ „The Trans-Kaukasian Post“,
„The Near East news“); ფრანგული
ყოველთვიური ჟურნალი „Union Lib-
re“. გრძელდებოდა „ამიერკავკასიის
გერმანელთა კავშირის“ გაზეთის „Ka-
ukasische Post“-ის გამოცემა (1918
წლიდან — კვირაში ორჯერ). რუსულ
პრესაში თანამშრომლობდნენ ქართვე-
ლი მწერლებიც (გრ. რობაქიძე, პ. იაშ-
ვილი, ტ. ტაბიძე, ნ. ლორთქიფანიძე,
ა. აბაშელი...). 1917-1921 წლებში გან-
საკუთრებით მნიშვნელოვანი და პოპუ-
ლარული იყო სხვადასხვა პოლიტიკური
პარტიების პრესა, ეს საფუძვით ბუნებ-
რივი გახლდათ. მოვლენები ელვის
სისწრაფით იცვლებოდა — თებერელისა
და ოქტომბრის რევოლუციები, ოზა-
კომი, ამიერკავკასიის კომისარიატი და
სემი, სოციალური რეფორმები და
დამოუკიდებლობის გამოცხადება, ომი
თურქეთთან და დაშნაკურ სომხეთთან,
კონფლიქტი დენიკინთან და მუსაეა-
ტურ აზერბაიჯანთან. გრძელდებოდა
პარტიების დიფერენციაციის (სოციალ-
დემოკრატებს გამოეყო „ალიონის“

ჩვეულებრივ, სოციალისტ-ფედერალისტებს — მემარცხენე მამურობის ფედერალისტები და ა. შ.) და წარმოქმნის პროცესი (ნაციონალისტური პარტია, მიწის მესაკუთრეთა პარტია, რადიკალურ-დემოკრატიულ გლეხთა პარტია და ა. შ.). ყალიბდებოდა ახალი საზოგადოებები და კავშირები (საქართველოს მწერალთა კავშირი, ქალაქთა კავშირი სხვადასხვა პროფესიული კავშირები, მასწავლებელთა კავშირი, ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოება და სხვ.).

1918 წლის 26 მაისს გამოცხადდა „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა“, რომელმაც შექმნა თავისი მთავრობა (ჭერ კოალიციური, ხოლო 1919 წლის მარტიდან — ერთპარტიული, სოციალ-დემოკრატიული), პარლამენტი (დამფუძნებელი კრება), არმია, სახელმწიფო და სამართლებრივი ორგანოები.

დიწერა კონსტიტუცია, რომელიც განიხილეს II ინტერნაციონალის ლიდერებმაც (მაგ., კ. კაუცკიმ). საქართველო იყო მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო, რომლის ხელმძღვანელები სოციალ-დემოკრატები (მენშევიკები) იყვნენ. სწორედ მათ ხვდათ წილად იმ ოცნების აღსრულება, რისთვისაც 117 წელი იბრძოდა ქართველი ხალხი (თუმცა თავიდან ანტიეროვნულ პოზიციას იცავდნენ).

საკმაო რეზონანსი ჰქონდათ ეროვნულ-დემოკრატიულ და სოციალისტ-ფედერალისტურ პარტიებს. ბუნებრივია, ეს ყოველივე უნდა გამოვლენილიყო პრესაში, ასახულიყო ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე, რათა ყოველ პარტიას, კავშირს, საზოგადოებას, ჩვეულებრივ ხალხსათვის თავისი მუშაობა და თავისუფლად გაეწია შეხედულებების პროპაგანდა. გარდა დიდი ეროვნული ერთეულებისა, წარმოქმნილი კრიზისული სიტუაცია გახდა საფუძველი ქართული პრესის, ქართული ჟურნალისტიკის აღმავლობისა (გარდა თბილისისა). საკმაოდ საინტერესოა ქუთაისის პრესა. გაზეთები გამოდიოდა აგრეთვე ბათუმ-

ში, ახალციხეში, ოზურგეთში, ფოთში, სოხუმში, სამტრედიასში, ხაშურში).

დემოკრატიული რესპუბლიკის თბილისური პრესა ითვლის მრავალწინა და გაზეთს. მაგრამ, როგორც იტყვა, მათ აკლდათ პერიოდულობა. ერთ გამოცემას აგრძელებდა მეორე ან სულაც ქრებოდა არენიდან. ასე რომ, დასახელებათა სიმრავლე არაფერს გვეუბნება მათ პერიოდულობასა და გავლენაზე. ყველაზე სტაბილური იყო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის („ერთობა“, («*Единство*») და მთავრობის („საქართველოს რესპუბლიკა“) პრესა. ასევე უწყვეტად გამოდიოდა „საქართველო“ (ეროვნულ-დემოკრატების მთავარი კომიტეტის ორგანო, ზოგჯერ სახელწოდება ეცვლებოდა) და „სახალხო საქმე“ (სოციალისტ-ფედერალისტების სარევოლუციო პარტიის მთავარი კომიტეტის ორგანო). ახლად წარმოქმნილი პარტიები თუ პარტიული ჯგუფებიც სცემდნენ თავიანთ ჟურნალ-გაზეთებს (მაგ.: „ალიონი“, „ახალი ნაკადი“, „ჩვენი რესპუბლიკა“, „კლდე“, „მიწა“, „ნაციონალისტი“...), თუმცა მათ უჭირდათ ოფიციალურთან კონკურენცია. რამდენიმე გაზეთი ჰქონდათ სოციალისტ-რევოლუციონერებსაც („რევოლუციონური დროშა“, „შრომა“). ზოგი გაზეთი ქადაგებდა შეთანხმებას პარტიებს შორის პოლიტიკურ და ეროვნულ საკითხებში („სიმართლის გზა“).

აღსანიშნავია ცალკეული ახალგაზრდული გამოცემებიც („ჩვენი გზა“, „ახალგაზრდა მარქსისტი“, „ქართველი სტუდენტი“, „მომავალი“, „მებრძოლი ხმა“, „ახალი კვალი“, „ახალი ძალა“...), რომლებიც ძირითადად პოლიტიკური ხასიათისაა. ასევე აღსანიშნავია ცალკეულ სამინისტროთა, კავშირთა და საზოგადოებათა მონაწილეობა პრესაში, მათი ჟურნალ-გაზეთები, რომელთაც ეიწრო პროფილი აქვთ, მაგრამ ქმნიან ერთ მთლიან სურათს, უფრო დეტალურად წარმოგვიდგენენ სინამდვილის ერთ რომელიმე უბანს. მაგ., სამხედროთა სამი-

ნისტრო პროპაგანდას უწყვედა მამაც მე-ბრძოლებს, ჰგმობდა დეზერტირებს, აჩვენებდა ჯარში არსებულ ვითარებას, რათა საზოგადოებაში მეზობლი სული განმტკიცებულიყო. საამისოდ ჩამოყალიბდა კულტურისა და განათლების სექციაც, რათა მიეზიდა არა მხოლოდ პარტიული მუშაკები და ყურნალისტები, არამედ ხელოვნების მუშაკებიც („რესპუბლიკის ჯარი“, „ჯარი და ერი“, „მხედარი“, „სახალხო გვარდიელი“, „ჯარისკაცი“).

გარდა სხვადასხვა პარტიების ორგანოებისა, მუშათა და გლეხთა ცხოვრების გასაშუქებლად ჩნდებოდა ახალ-ახალი გამოცემები („სოფლის მუშა“, „მეურნე“, „რუსთაველი“, „პროლეტარი“, „მუშათა ცხოვრება“, „ზვირთი“, „სასოფლო გაზეთი“, „რკინისგზელი“). პერიოდულობით არც ისინი გამოირჩეოდნენ და რამდენიმე ნომრის შემდეგ წყვეტდნენ არსებობას. ყურადღება ექცეოდა სახალხო განათლების სისტემას („განათლება“, „სკოლა და ცხოვრება“, „შინაგომნაზია და უნივერსიტეტი“), ქალაქის ცხოვრებას, მუნიციპალურ საკითხებს („ერობა და ქალაქი“, „თბილისის ქალაქის საბჭოს მოამბე“, „კავკასიის ქალაქი“, „ჩენი ქალაქი“, «Тифлисский листок»), მედიცინას და სამედიცინო მომსახურებას („ექიმი“, „ექიმის თანაშემწე“, „მომსახურე თარმაცეტი“, „ქლექი და მასთან ბრძოლა“), ვაჭრობას, მრეწველობას, ეკონომიკის საკითხებს („ვაზი და ღვინო“, „მევენახეობა და მეღვინეობა“, „საქართველოს ვაჭრობა და მრეწველობა“, „საქართველოს ეკონომისტი“, „კავშირი“), სოციალურ უზრუნველყოფას („სოციალური საზოგადოება“, მისი გაგრძელება — „სოციალური დახმარება“). შეიძლება სხვა გამოცემებიც დავსახელოთ, რომელთა სახელწოდება თავისთავად მეტყველებს მათს რაობასა და დანიშნულებაზე — „მილიცია“, „ფოსტა-ტელეგრაფის ხმა“, „ერობა“, „გზათა უწყების მოამბე“... ცალკე იცემოდა „კანონთა და მთავრობის განკარგულებათა კრებუ-

ლი“, დამფუძნებელი კრების მუშაობის სტენოგრაფიული ანგარიშები („საქართველოს პარლამენტი“, შემდეგ — „დამფუძნებელი კრება“).

მეღვინე დროისათვის მშვიდი მეცნიერული კვლევა-ძიება თითქოს ზედმეტი და უსარგებლო უნდა ყოფილიყო. მაგრამ ასე როდი მოხდა. ქართული უნივერსიტეტის დაარსებამ ახალი სტიმული მისცა ეროვნულ მეცნიერებას, რაც აისახა პრესის ფურცლებზეც (მაგ., „პრომეთე“, „შვიდი მნათობი“). სპეციალურად დაარსდა პერიოდული სამეცნიერო გამოცემები — „ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე“ და „საქართველოს მუზეუმის შრომები“. საერთოდ პრესისა და ყურნალისტური აზროვნების აღმავლობისათვის დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო 26 მაისის აქტი — ქართული ნაციონალური სახელმწიფოებრიობის აღდგენა.

მატრიოტული აღტყინების შედეგი იყო უნივერსიტეტის, კონსერვატორიის, ქართული ოპერის, ქართული სკოლების გახსნა, მწერალთა კავშირის, სახელოვნო ცენტრის ჩამოყალიბება, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა...

რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის საზავო ხელშეკრულებით (რომლითაც ბოლშევიკებმა ცნეს საქართველოს დამოუკიდებლობა, ისევე როგორც შემდეგ ევროპის სახელმწიფოთა უმაღლესმა საბჭომ, ჯერ დე ფაქტოდ, ხოლო 1921 წლის იანვარში — დე იურედ) მოხდა ბოლშევიკური პარტიის ლეგალიზება. დაარსდა გაზეთი „კომუნისტი“, რომელმაც რამდენიმეჯერ შეიცვალა სახელწოდება. „კომუნისტს“ უნდა გაემრავლებინა, გაეძლიერებინა მინიმუმამდე დასული ბოლშევიკური ძალები, მოსკოველი კოლეგების მხარდაჭერით დაპირისპირებოდა მმართველ პარტიას, რომლის რიცხვმა 80 ათასს მიაღწია (საინტერესოა ვიცოდეთ, რომ 1919 წლის მარტში ამომრჩეველთა 90%-მა ხმა მისცა სოციალ-დემოკრატებს).

საქართველოს ბოლშევიკური პრესა მანამდეც გამოდიოდა მენშევიკების წი-

ნააღმდეგ და ამისი გამოხატულება იყო გაზეთები «Кавказский рабочий» (1917-1918) და „ბრძოლა“ (გაგრძელება — „მუშის ბრძოლა“). ხოლო რსფსრ-ის სახალხო კომისარმა ი. ბ. სტალინმა თავიდანვე შეუთრგებელი პოზიცია დაიკავა საქართველოს დამოუკიდებლობის მიმართ. ბოლოს სწორედ მისი ინიციატივითა და თაოსნობით დაემხო დემოკრატიული რესპუბლიკა და მოხდა საქართველოს ანექსია.

ბოლშევიკური პრესა არ იყო მრავალრიცხოვანი, გამოდიოდა დროგამოშვებით, რადგან, განსხვავებით სხვა პარტიებისაგან, მისი მესვეურები უარყოფდნენ ხელისუფლებასთან დიალოგსა და თანამშრომლობას, ხალხს მოუწოდებდნენ შეიარაღებული აჯანყებისაკენ. ამიტომ ზოგი ხელმძღვანელი მუშაკი დაბატმრებას ვერ ასცდა, ზოგიც საქართველოში არ იმყოფებოდა.

საქართველოსა და ამიერკავკასიაში შექმნილ ვითარებას აშუქებდა სოციალ-დემოკრატიული გაზეთი «Известия Тбилисского Совета рабочих и солдатских депутатов».

დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ დაშვებული პარტიების თანაარსებობა, სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში მათი მონაწილეობა, უფლებრივი თანასწორობა განაპირობებდა პრესის თავისუფლებასაც. მაგრამ ზოგჯერ ხელისუფლება მაინც ხურავდა ამა თუ იმ ორგანოს — არასასურველი მიმართულების ან გამოსვლის გამო. მაგ., გაზეთი „კომუნისტი“ დაიხურა 10 ნოემბრის შემდეგ თბილისის გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით, იეროვნულ-დემოკრატების გაზეთი „საქართველო“ — შინაგან საქმეთა სამინისტროს მითითებით. ამიტომ რედაქცია იძულებული იყო გამოემისათვის სახელი შეეცვალა. მაგ., ჯერ გამოდიოდა „კომუნისტი“, შემდეგ — „საქართველოს კომუნისტი“,

ბოლოს — „ახალი კომუნისტი“. ასევე „საქართველო“ შეცვალა „ახალმა საქართველომ“. ხოლო როცა მისი გამოცემაც შეჩერდა, გამოვიდა „მეფერია“ 1918 წელს შეწყდა ბოლშევიკური „ბრძოლის“ გამოცემა, მაგრამ არალეგალურად იბეჭდებოდა „მუშის ბრძოლა“, რომელმაც, როგორც სათაურიდან ჩანს, გააგრძელა დაწყებული საქმე. ასევე შეიცვალა „კლდე“ „სალ კლდედ“, „სალი კლდე“ — „პიტალო კლდედ“, „ხალხის ერთობა“ — „ხალხის თავისუფლება“ და ა. შ.

პერიოდულობის დარღვევას ან გამოცემათა ხშირ შეწყვეტას უმთავრესად იწვევდა მაინც ქვეყნის მძიმე ფინანსურ-ეკონომიური მდგომარეობა, რასაც აღიარებდა რესპუბლიკის პრეზიდენტი და მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანიანი.

პერიოდული გამოცემები ძირითადად იყო ყოველთვიური, კვირეული ან ყოველდღიური. მაგრამ ზოგიერთი გამოდიოდა ორ კვირაში ერთხელ (მაგ., „ერთობა“, „საქართველოს კომუნისტი“). ზოგი იცემოდა ორშაბათობით (მაგ., „ზვირთი“, „პიტალო კლდე“) ან ხუთშაბათობითა და კვირაობით (მაგ., „ალიონი“). არსებობდა ერთჯერადი გამოცემებიც („პოეზიის დღე“, „მსახიობის დღე“).

დემოკრატიული რესპუბლიკის დროინდელი თბილისური პრესა ქართული კულტურის მნიშვნელოვანი ნაწილია, რომლის ფურცლებზე დაიბეჭდა არა მხოლოდ ცალკეული ბრწყინვალე ქმნილებანი, არამედ ყურნალისტური და პუბლიცისტური ოსტატობითაც აისახა მღელვარე და დრამატული ეპოქა, აღსაგეს ნამდვილ ხელოვნებაზე ოცნებით, რევოლუციური სულისკვეთებით, იდეათა შეჯახებით, ნაციონალური იმედით და სევდით, საქართველოს უკეთეს მერმისზე ფიქრით.



პოეზი მკვლევარს დაკარგულ სიტყვებს

ახალგაზრდა მწერალთა რესპუბლიკურ შემკრებაზე, რომელიც 1950 წელს თბილისში ჩატარდა, ზურაბ კუხიანიძის ლექსებმა ყურადღება მიიქცია ზუსტი ცხოვრებისეული რეალიებით და ემოციურად დამუხტული მხატვრული სახეებით. ამის შემდეგ იგი წიგნიდან წიგნამდე შემოქმედებითად იზრდებოდა, ამდიდრებდა და ამრავალფეროვნებდა თავის პოეტურ პალიტრას. ამჟამად ზურაბ კუხიანიძე მოწინავე ქართველ პოეტთა პლეადის ეკუთვნის, გამოირჩევა საკუთარი მსოფლმხედრებით და გამოვლენილი ინდივიდუალური ხელწერით.

ჩვენი მიზანი არ არის პოეტის მთელი შემოქმედების განხილვა, გვინდა მხოლოდ მის ახალ წიგნს შევხებით, შარშან რომ გამოქვეყნდა („საბი ხიბლი“, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, ქუთაისის ფილიალი, 1988 წ.).

ზურაბ კუხიანიძეს ერთ ადრინდელ ლექსში აქვს ასეთი სტრიქონები:

„ეს იყო მხოლოდ გუშინწინ თითქოს და ახლაც თავი ბავშვი მგონია... მის შემდეგ ვეძებ დაკარგულ სიტყვებს და იგი ვერსად ვერ მიპოვნია“.

საანალიზო კრებულს სწორედ „დაკარგული სიტყვები“ ძიება, მასზე ფიქრი და სინანული განსაზღვრავს. ოღონდ „სიტყვა“ აქ მეტად ტრევალი და მრავალმნიშვნელოვანია. იგი გულისხმობს ბავშვობას, სიყვარულს, ძვირფას, დაუვიწყარ ადამიანებს... პოეტს წარუვლია ტყივლით მსჭვალავს ადრე წასულ მშობელზე ფიქრი. დედას მან ჯერ კიდევ სიჭაბუკეში მიუძღვნა ლექსი, რომელიც ერთ-ერთ საუკეთესოდ შეაძლება ჩაითვალოს ამ თემაზე შექმნილ ნაწარმოებთა შორის. დედის სახება მას მუდამ თანა სდევს, რაც სხვა თემებზე შექმნილ ლექსებშიც გამოკრთება ხოლმე.

ავტორი „წარსულს“ — ამ აბსტრაქტულ ცნებას ისე ესაუბრება, როგორც სულიერ არსებას. „საბრალო დედა შენ მოგაბარე, ცივი ნიაფი არ გააკარო“-ო, შესთხოვს. იგი დიდის მოწიწებით იხსენიებს ძელქვიანას, სადაც დედის საფლავი ეგულება.

ბიოგრაფიული მომენტის ოსტატური ჩართვით და თავისებური გააზრებით იქცევის ყურადღებას „ობლის კვერი“, ხალხურ ანდაზას რომ ემყარება:

„როცა აცობდა ჩემს კვერს ბებია, მკაცრ ცხოვრებასთან დავა-ჭახირით, პო, სწორედ მაშინ ჩასძინებია და კვერი დაჩა ნაცარწაყრილი.“

ლექსში „ზეცას რომ შესძრავს ჭექა-ქუხილი“ წვიმის ჩვეულებრივი პროცესია აღწერილი და მასში ძვირფას ადამიანზე საუბრის ჩართვა თითქოს სულაც არაა მოსალოდნელი. ავტორი ასოციაციის ხერხს იყენებს. ჭექა-ქუხილი რომ ატყდება და ზეცას ელვა გაეკვრება, „მზე შეშინებულ, ბებერ კრუნივით ხისლის კალთებ ქვეშ მიიმალება“. სადაც კრუხია, იქ წიწილებიცაა: „და სახურავზე წვიმის წვეთები დაწაქობენ წიწილებივით“. წიწილების ხსენებაზე კი მის ბებია იგონდება: „და არსად არ ჩანს თავშლით ბებია, რომ დაუყაროს ფეტვის საკენი“. ასე ლოგიკურად მიგვიყვართ პოეტს ბოლო სტროფამდე:

„წყნარდება წვიმა, ჰა, ქარმა ცაში ღრუბლების კვალი ლამის წაშალოს... ჩემს ხსოვნაში კი ვერაზა წაგშლის ბებიჩემას დაზლის თავშლო“.

ერთ ლექსში კვითხულობთ: „თუ წინაპრი მყავდა წარმართი, მე, ნეტავ, რატომ ვერ ვიწარმართე“. ამ სტრიქონებმა ჩვენი ერის უძველესი ენოქა გაგვახსენა. წარმართობისდროინდელი ქართველი ტომები ადგილის დედას და სახლის ანგლოზს თავყანს სცემდნენ და მსხვერპლს სწირავდნენ. ამის შესახებ სინეტრესო ცნობას გვაწვდის ანტიოქიის სიეკლესიო მსოფლიო კრების ძველისწერის თარგმანი.

პოეტ რაფიელ ერისთავის მოწმობით „ხესურეთში ეხლაც შენახულია „უჩინოთა მსახურება“ გარე ველთა, ანუ სადაც კლდის პირთა... მათ სწამთ „გორის ანგლოზი“, „ადგილის დედა“. ფშავლების წამოდგენითაც „თვითელ ადგილს: მოსს, გორას, ხეგს... ჰყავს დედა, რომელსაც ადგილის დედას ეძახის ხალოზი“. ადგილის დედა, ფუძის ანგლოზი მგრელებსაც სწამდათ. მის „ნერჩი პატენი“ ერქვა. ალბათ ამიტომაც, რომ ქართველ კაცს ახლაც სისხლში აქვს გამჭდარი მშობლიური მიწის სიყვარული, ადგილის დედის თავყანისცემა, იგი საქართველოს დარგულს გარეთ

ცხოვრებას ძნელად ეგუება, ნოსტალგიის უკურნებელი სენით ავიადლება.

საანალიზო კრებულში მრავლად გვხვდება ლექსები, რომლებშიც პოეტი რელიგიურ თაყვანისცემამდე განიცდის სიყვარულს ადგილის დედისადმი, სადაც დაიბადა და გაიზარდა, სადაც წინაპართა ძვალშესაღავი ეგულება.

„როცა შემაკლდა სათქმელი ერთ დღეს და გულში დანდა, რაც მიხაროდა, — მე წყალწითელას აფევევი ხევ-ხევი, სული მოვითქვი ნაცნობ წყაროსთან“.

ასე იწყებს პოეტი ერთ უსათაურო ლექსს, ხოლო მეორეს სევდიანად ამთავრებს:

„ჩემი ოცნების ერთო ნაფლეთო — თეთრო ღრუბელო, ქართო დევნილო, მოწამეთიდან გადასახელო, მაყვლის ბუჩქებო, კორდს შეგენილო; როს დამყურება წლების ნაცარი — გულდაწყვეტილი სიმწრით შეგევიღებ: „როგორ მიყვარდიო, თქვენ გენაცვალეთ, და ეს ვერაფრით გაგაგებინეთ!“

ანალოგიურ გრძობებს აღძრავს „ბაგრატის ტაძარი“, „მოდი, ერთმანეთს ხელი ჩაგვიდოთ“, „ბაგრატის ტაძრის ეზოდან...“ „ჩემს ვაჟ-შვილებს“, „ჩემო ქალაქო“ და სხვ.

საანალიზო კრებულის დირსებაა ისიც, რომ იგი თემატურად მრავალწახანაგოვანი და მრავალფეროვანია. პოეტს დიდად გამაბვილებული შეგრძნებები აქვს, მთელი გულისყურით ეხმურება ცოკრეტულ-მატერიალური და ფსიქიური რეალობების ყოველ გამოვლენებას. ავტორს მეტად რთულ და დაძაბულ ეპოქაში მოუწია ბავშვობა და სიჭაბუკე:

„შიშნაჲში და კურდღლისებრ ფრთხილი ჩემი თაობა ბილავდა მჯიღებს და დამით ენთქავდიო ჭავახიშვილის და ტიციანის აკრძალულ წიგნებს“.

რეპრესიების მიმე პერიოდს დიდი სამამულო ომი მოჰყვა. პოეტი ვრცელ ლექსში „ნაბიჯები“ მეტად შთაბეჭდვად წარმოგიდგენს იმ დაძაბული წლების ერთ პატარა ეპიზოდს, თვლით რომ უნახავს და გულით გაანუცდია:

„შიაბიჯებდნენ ომში ბიჭები და ტყვიისფერი ელო იალქნებს; მათი მრისხანე, მხნე ნაბიჯების ხმა ხსოვნას ახლაც აფორიაქებს“.

რეპრესიები ისტორიას ჩაბარდა, ომიც კარგა ხანია დამთავრდა, მაგრამ ბოროტებისა და სიკეთის, ავისა და კარგის, ეშმაკულისა და

ღვთიურის ბრძოლა კვლავ გრძელდება. სწორედ ეს აფიქრებს პოეტს და ცდილობს ამ პეშმარიტებას პასუხი მოუნახოს:

„ცოვრება მიდის, ცხოვრება მიდის და ისევ იბრძვის შავი და თეთრი; თუ ვერ გაუძლებ მის გზას და ჭიდილს — აწყვეტილ ღილის გაწვევა ბედი“.

აქვე გვინდა მოვიხსენიოთ ერთი უსათაურო ლექსის სტრიქონები:

„მამულებს ბედი ჩვენი ბავშვების, — აღარ აოცებთ ღრუბლის აფრები, აღარ აღელვებთ მზის მარმავები, სისპარში ხშირად ველარ დაფრენენ“. დაიხ, პოეტს აწუხებს ახლანდელი ბავშვებისა და ახალგაზრდების თითქოს უღარდელი და უზრუნველი ცხოვრება, რომელიც სულაც არ ჰგავს 30-იანი და 40-იანი წლების თაობათა მშფოთვარე ცხოვრებას.

„თითქოს არ ხიბლავთ ეშვი ბუნების, მათთვის მთავარი თითქოს ნივთია; ტელევიზორებს მიცუქქელები ცაში ვარსკვლავებს აღარ ითვლიან“.

უანასკნელ ხანებში მომხდარმა ამბებმა გვიჩვენა, რომ ჩვენი მოზარდებისა და ახალგაზრდებისათვის ნივთები და კეთილდღეობის სხვა ატრიბუტები სულაც არ ყოფილა მთავარი. მათ აღელვებთ ეროვნული პრობლემები და კიდევ ძალღუთ მთელი ძალღონით იბრძოლონ მათი კეთილად გადაჭრისათვის. ეს ამბავი ახარებს, რა თქმა უნდა, ზურაბ კუხიანიძესაც, რომელმაც თავის შვილიშვილს ასეთი გულთბილი სტრიქონები მიუძღვნა:

„შენ იმ დღეს გაჩნდი, რომელსაც ჩემი დაბადების დღე ჰქვია სახელად, და ისე მაღლა ასწევ ჭერი, — მის მერე აეთვალს არ ენახება“.

ევფონიური სტრუქტურითა და კეთილზმონიებით ყურადღებას იქცევს „ელისაბედი“. სანამ ამ ლექსზე შევჩერდებოდეთ, ერთი რამ გვინდა აღვნიშნოთ. თეიმურაზ დოიაშვილი, განიხილავს რა ვახტანგ ჭავჭავაძის „უცნობს“, მართებულად წერს: „გამორჩეული, უჩვეულო ელვადობის სიტყვა გოლაკტიონისათვის თითქოს პარაფრაზად შემოქმედებითი იმპულსის მიმცემი ხდება. „ქებაათა ქება ნიკორწმინდას“ მუსიკა, ჩემი აზრით, ერთადერთი რუსთველური სიტყვით არის ნასაზრდოები — „შე-რაშენდი“.

გოლაკტიონის პოეტური ოსტატობა განსა-

კუთრებული ტვიფრითაა აღბეჭდილი და ამ მხრივ მას ვერაფერს შეუძლებს. მაგრამ ანალოგიების ძიება, ვფიქრობთ, მინც შეიძლება. ზემოთ ხსენებული ლექსის შესაქმნელად ზურაბ კუხიანიძესაც, მე მგონი, ერთმა სიტყვამ მისცა იმპულსი, რის საფუძველზეც მივიღეთ მშენებელი ლექსი:

„ელისაბედო,
ელისაბედო,
ჩინართან აღარ გელის საბედო.
მთის სიო

და არც ცხელი დაბნედა
არ გაიკარე ელისაბედმა
არ ირგე ვენებით
ღელვისა ბედი,
ისე დაბერი ელისაბედი.
ელისაბედო,
ელისაბედო,
წლებით ჩამქრალე ელვის აბედო.
ჩინართან ახლა,
ელისაბედო,
სხვა ელისაბედს ელის საბედო“.

კრებულში სულ ექვსი ბალადაა, რომელთაგან „სიმღერა ზაკოიას არღანზე“ და „პატარა გოს წერილი“ 1937 წლის გაუმართლებელი რეპრესიების გამოქაჩილია. ამჟამად სტალინის-დროინდელ უკანონოებაზე სიშარტლესთან ერთად იმდენი საეჭვო და არაარსებითი ამბები იბეჭდება, რომ ზოგჯერ გაოცებას ვართ. ამას წინათ „ნაშ სოფრემენიკოში“ ამოვიკითხეთ, სტალინმა იაკობ ჭულაშვილი ტყვეობიდან იმიტომ არ დაიხსნა, რომ იგი არ უყვარდა, მისადმი გულგრილი იყო, „ლიტერატურაშია გაზეტა“ კი იუწყებოდა: სტალინს შურდა ტროცკის და ბუხარინის ორატორული ხელოვნება და იმიტომ მიიშორაო. როცა ასეთ აბრაყიდბრას და სიყალბეს წაიკითხავ, შეიძლება მართალიც აღარ ირწმუნო.


ზურაბ კუხიანიძის ზემოთ ხსენებული ბალადების ღირსება ისაა, რომ მათში მოთხრობილი ამბები ცხოვრებისეულია, დამაჯერებელია. „პატარა გოგოს წერილი“ ასე იწყება:

„მთელ ქვეყანას უყვარხარ“,
მიტომ ვბედავ, მოგწერო,
ხალხთა დიდო ბელადო,
ერთ დროს ჩვენო სოსელო“.

მასხედება ერთ დროს საყოველთაოდ გავრცელებული სიმღერა „დიდ სტალინს პატარა გორელებისაგან“. ასე რომ, პირველივე სტრიქონი ავტორისადმი ნდობით ვანგაჟყობს:

„უკვე ორი წელი გადის,
ჩაგვიწარდა დღენის ლენის.
პიონერის სახელს ვფიცავ,
მართალია მამაჩვენი“.

სად არ იყო ჩვენი დედა,
მოწყვეტილი სახლს და შეიღებს,
არა უთხრეს, უფრო მეტიც,
თითის ქნევით დააშინეს.“



ბალადას დამაჯერებლობას პატებს ებიზოდი, რომელშიც უდანაშაულო გლეხკაცის ბიოგრაფიული მომენტებია მოთხრობილი. ბუნებრივია გოგონას ფიქრებიც. მას ჰგონია, რომ მათ გაუბედურებაში დამნაშავეა ვიღაც სხვები, რომლებსაც სტალინი დასჯის, თუ გაიგო.

„მესამედ გწერ მამაჩვენზე,
რა მოგწერო დანარჩენი...
ძია სტალინი, გვევდრები
დაგვიბრუნე მამაჩვენი“.

არ შეიძლება მკითხველმა უღელვებლად წაიკითხოს ბოლო სტრიქონები:

„რა იცოდა იმ საბრალომ,
რომ აღსრულდა განაჩენი,
ჩაეძინა...“

ქარი ქროდა,
ალვის ხეებს ჭიქურ ხრიდა
და კედლიდან უღიმოდა
ძია, თავის ჩიბუხითა“.

ხალხური ლექსის ინტონაციებზეა აგებული „სიმღერა ზაკოიას არღანზე“. ერთგან „არსენას ლექსის“ პერიფრაზიც გვხვდება:

„გაუწყრეს ღმერთი მაღალი
ფარსადან ბაკისუბნელსა —
გულში პქონია ბალადი,
გველი ჰყოლია უბესა,
დასმინა და არღანი
მიადგეს ბნელსა ყურესა
და ხაკო უღვაშლანა
ქვეყანას დაუღუბესა“.

ამიტომ სრულიად ბუნებრივად გვეჩვენება ბალადის ხალხში გავრცელებული ფოლკლორული შიარით დამთავრება:

„ეს ცხოვრება ვისთვის ტყვა,
ვისთვის კიდევ ბაღანია...
საფლავში რომ გაკადვიტებს
ხაკოიას არღანია“.

1987 წელს „ლიტერატურული საქართველოს“ 11 დეკემბრის ნომერში დაიბეჭდა გრიგოლ მარგინის წერილი სეაფთოზე, სადაც სხვათა შორის, ვკითხულობთ: „სკანეთში ზოგი გვარი სამუდამოდ გაქრა. მაგალითად, ჩამგინები და ბერჩლიანები“.

25 წლის წინათ გარდაიცვალა მულახის სოფელ ებეშში მცხოვრები ბესო ჩამგინი, თვისი ვფარის უკანასკნელი გამგრძელებელი.

ყოფილა მოთქმა და არნაბული გოდება; დაუ-
ტარიათ ბესოც და ჩამგვიანებოც.


ბერკლიანების ძლიერი გვარი უხსოვარი
დროიდან ცხოვრობდა სოფელ ტვებიშში.
გვარის უკანასკნელი მატარებელი, სამსონი
ხუთიოდე წლის წინათ გარდაიცვალა. „ცა და
ქვეყანა ტროდა“.

ამ ტრაგიკულ ამბავზეა გაწოლილი ბალადა
„უკანასკნელი ჩამგვიანი“. უაღრესად მძიმე,
გულისდამწველ სინამდვილეს პოეტი კიდევ
უფრო ამძაფრებს. ბალადა მეტად მტკივნეუ-
ლი სტრიქონებით მთავრდება:

„და ტკიოდა მულახს მეგრძი
და გვინავდა დარდით გვალდა...
იმ დღეს სვანეთს გულდასეტყვილს,
იმ დღეს სვანეთს ცრემლად დამდნარს,
განა მარტო გვარი? — ერთი
ციხე-კოშკი გამოაკლდა“.

ორიოდე სიტყვა პოეტის ოსტატობაზეც უნდა
ვთქვათ.

ზურაბ კუხიანიძე საგნებს და მოვლენებს
თავისი კუთხით უდგება. ერიდება ზოგადო-
ბას, ყოველთვის ირჩევს კონკრეტულ თემას



ნანა გოგოშვილი

სისხლი, რომელსაც გაციება არ უწერია

„ქართლის ერისმთავარს, სტეფანოსს,
ამიღმა დაუჭერებელი ამბავი აუწყა: ბი-
ძათქვენის მსახურმა, მენელსაცხებლვე
არაბმა მამული, სჯული უარპყო და
ქრისტე ღმერთს შეუდგაო“.

ნოდარ წულეისკირის რომანში —
„ღვაწლი და წამება აბოსი და იოანესი“,
ჩვენს თვალწინ წარმოდგება მე-8 საუ-
კუნის ქართლი.

ნაწარმოების გამორები უმეტესად იმ

და ორიგინალურად წყვეტს კიდევ, სათქმელს
არ აჭიანურებს, წერტილს დროულად სვამს
მის ლექსებში არც თუ იშვიათია ისეთი მსატ-
ვრელი აქესსუარები, როგორცაა: „გაქრეფულ-
ბალზე გულწითელები შორიდან ჩამან-
კუნწულებად“, „როგორც სანოტო ნიშნებს —
ბუდიდან ამოუყვიათ ბარტყებს თავები“, „ფო-
თლებში კვამლი ტრიალებს მწარე — გზაბანე-
ული ბორბოტ სული“, „დაქიმული მაქვს ისე
ძარღვები, გამოადგება ისრებს ლარებად“ და
სხვ.

შეინიშნება მეტრული ნიშნულდგომი.
გვხვდება 5, 7, 8, 10, 12, 14-მარცვლიანი ლექ-
სები.

დასასრულ გვინდა მოვიტანოთ „შიშის“ ბო-
ლო სტრიქონები:

„გავეძლებ ნისლს და პირქუჩ ამინდებს,
შიში მაქვს —

ვერ ვთქვა ფიქრი საჩინოდ
და ამ ქვეყნიდან ისე წავიდე,
რომ საქართველომ ვერ შემაშინოს“.

პოეტის დაქვევა ბუნებრივია. ამ დაქვევების
გასაბათილებლად ჩვენი ეს წერილიც შეიძ-
ლება გამოდგეს.

რატომღაც ჰგონია, მხოლოდ მას შეუძლია იყოს „ერის და ქვეყნის პატრონი“.

აბოს ვაჭარისტიანების გაგებისთანავე სტეფანოზი მაშინვე ბიძასთან — ნერსე ერისთავთან — ვასწევს. მტკვარზე გადებული ხიდის თავში, დედაქალაქის შესასვლელთან აღმართულ ხის ჯვარს ძირს გართხმულსა და ლაფში მოსვრილს დაინახავს. ბრაზისა და აღშფოთების ნაცვლად შიში და უიმედობა ეძალემა ერისმთავარს. ვისაც, როგორც ნამდვილ მეფეს, „იმედითა და კრძალვით“ შეჰყურებს მთელი ერი და თვით ნერსე ერისთავიც კი დაქცეული საქართველოს ძველი დიდების დაბრუნებას აკისრებს.

— „მაშ კვლავ ქვეყნის დაქვევა გიდევთ გუნებაში... ნაცარტუტად აქცევენ აქაურობას, ცეცხლში დაწვავენ მთელ საქართველოს“ — კუშტად ეუბნება სტეფანოზი სარკინოზებთან ბრძოლაში გამობრძმედილ ბიძას, რადგანაც ეჭვობს, რომ ჰაბუკი აბო თავისი ბატონის შთაგონების მსხვერპლია.

— „მანვილითა ბურობილი სჯული არ მინდა“ — ამაყად ამბობს აბო და ეს ლიტონი სიტყვები არ არის, რადგან მან კარგად უწყის, რაც ელოდება.

მწერლის მოქალაქეობრივი პოზიცია და სიმბატია-ანტიბატია ნაწარმოების დასაწყისიდანვე საცნაური ხდება, — თანდათანობით კრიტიკული სიტუაციების შესატყვისად ხსნის გმირთა წინააღმდეგობებით სავსე, გაორებულ ხასიათებს.

ერისმთავარი სტეფანოზი ხანდახან არაბთა თავგასულობით აღშფოთებული ზომიერების გრძნობასაც კარგავს. ხმას იმაღლებს ამირას წინაშე, მოლაშქრეთა მიერ ჯვრის მონასტრის აკლების ფაქტს მიიჩნევს ქართველთა და არაბთა მეგობრობის დარღვევად, მაგრამ მაშინვე გამოერკვევა და ლიქნით ემუდარება ამირას დასაჯოს „შფოთისთავი შურტები“.

ამ მხრივ მას სამუელ კათალიკოსის საქციელიც აქეზებს. ეს ღირსეული პატრიოტი მღვდელთმთავარიც ზომ არ ერიდება პირმოთნობას, ნაირ-ნაირი ეპითეტებით ნათლავს „ბრძენსა და გო-

ნერ ამირას“, რათა თავისი სათქმელის არსი შეფარვით აუწყოს, მაგრამ მკითხველი ადვილად ხვდება, რომ ვინაა კოსის მიერ ამგვარი ხარკის გაღებასა საფუძვლად თავისი ქვეყნისა და ენის სიყვარული, ფარული შეთქმულების შენიღბვის მცდელობა უდევს. სტეფანოზი ერის სახელით, რომელიც ფაქტიურად აღარც კი არსებობს, გულგრილად იმეტებს ყველას, ვინც კი მის თანამდებობას საფრთხეს შეუქმნის და ქართველთა დამძალბებულ მშვიდობას სისხლის ნთხევით დაემუქრება.

სტეფანოზი ერისთავის ანტიპოღია ბიძამისი — ნერსე ერისთავი — მეამბოხე, გაუტეხელი ბულისკვეთების კაცი, რომელმაც, ალბათ, თავადაც არ უწყის, რისი ან ვისი იმედით უცხადებს ბრძოლას ლამის ნახევარ დედამიწაზე გადაქიმულ არაბთა ხალიფატს. ყველაზე საკვირველი კი ისაა, რომ თვით ხალიფასაც კი შიში აქვს ამ ურჩი, უშიშარი კაცისა, რომელსაც ერთადერთი იარაღი — სიმაართლე უმოაგრებს ზურგს. ალბათ, ამ სიმაართლემ გააძლებინა სამი წელიწადი ნერსეს ბაღდადის დილეგებში, თავისი დესპოტი მწვალებლის სიკვდილსაც მოესწრო და ახალი მბრძანებლის მიერ შეწყალებული დაბრუნდა სამშობლოში, სადაც ქართლის სამთავრო გაუქმებული დაუხვდა... ახალ ხალიფას იმედები გაუცრუვდა: მადლიერებისა და ალაპისადმი ლოცვის ადვლენის ნაცვლად ურჩი ფეოდალი მაშინვე ახალ შეთქმულებას ჩაუდგა სათავეში და იმდენი ქნა, რომ გაუქმებული ქართლის სამთავრო კვლავ აღადგენინა ამირას და თავისი დისწული — სტეფანოზი დაასმევინა ქართლის ერისმთავრის „ტახტზე“.

სტეფანოზმა თავისი ერთგულებით, დიდძალი ხარკის აკრეფითა და თავგამოდებით ასე თუ ისე მოინადირა თბილისის გაუმძღარი ამირას გული და სწორედ ამ დროს იკეკა მებმა: „დიდების გზაზე“ შემდგარს ახალი შეთქმულება და ვიღაც არაბი აბო გადაეღობა წინ.

თავიებურად მართალი იყო სტეფანოზი, როცა ნერსეს უკეჩინებდა, შენ შთაავონე აბოს გაქრისტიანებაო. ნერსემ მართლაც შთაავონა უცხო ტომის ჭაბუქს თავისი სარწმუნოებისადმი პატივისცემა და მოწიწება, როცა დილეგში ჩაგდებულნი რაინდულად იტანდა არაადამიანურ ტკივილებს და კვლავ თავისი გულისთქმის ერთგული რჩებოდა... პირველად, ალბათ, ნერსე ერისთავის ასეთ ყოფაში დანახვის დროს გაუჩნდა აბოს რწმენას ბზარი, რომელიც თანდათან უზარმაზარ ნაპრაღად იქცა და ჩამოჰკვეთა იგი სარკინოზთა სარწმუნოებისა და მასთან ერთად თავის ხალხისგანაც, რომლის უსამართლობა და ძალადობაც პურობილი ერის ადამიანების მიმართ აბომ მრავალგზის იხილა.

ნერსე ერისთავმა დაუფასა უცხო ტომის ჭაბუქს ამაგი და თავდადება, სამშობლოში წამოსვლისას თან იახლა აბო, როგორც ერთგული მსახური და თანამოაზრე, ხოლო იოანე საბანისძემ მიიყვანა პირველად აბო მარიამწმინდაში, სადაც მან ქრისტეს ცხოვრებასთან და წამებასთან ერთად ქართული წერა-კითხვაც ისწავლა... და ყველა ეს არაამქვეყნიური სიახე თანდათანობით მთელი სიცხადით აღდგება დილეგში ჩაგდებულ აბოს გონებაში.

„იმ დღეს კი ქრისტეს ღვთიურმა სიცოცხლემ თვალწინ გაურბინა და თითქოს ზეციდან უქარნახეს, ურჩიეს: — ყმაწვილო, აი, ეს არის, ვისაც ბაღობიდანვე მიეღტვოდი. მიბაძე მას, მისებურად იღვაწე. აბოს მართლაც სხვა სურვილი არასოდეს ჰქონია, მაგრამ როგორღა ეღვაწა ქრისტესებურად, რა შეეძლო მას, რა შეეძლო, მას რა ხელეწიფებოდა, ქრისტეს ოდნავ მაინც როგორ დაემგვანებოდა?.. სიკვდილი! მხოლოდ და მხოლოდ სიკვდილი შეეძლო ქრისტესებური.

— „ქრისტე აღდგა მკვდრეთით, სიკვდილითა, სიკვდილისა“...

გალობდა ხალხი, თითქოს განგებ ამხინჯებდნენ სახარებას, ქრის-

ტეს სიკვდილში მის სიცოცხლეს ხედავდნენ“...

სწორედ ამ დროს, როცა აბო თავის სულისა და სხეულის სიმძიმეს სუბუქეს წონის ყოფნა-არყოფნის სასწორზე, თბილისში ქურდულად შემოდის ჯორზე ამხედრებული იოანე საბანისძე, რომელსაც არაბი მეზვერეები ბაქს გადაახდევინებენ და აბუჩადაც აიგდებენ და ეს ხდება თბილისში, საქართველოს დედაქალაქში. თბილისი და ქართლი საქართველოა, მაგრამ საქართველო არაა მარტოოდენ ქართლი და თბილისი და თუ ყოველი ქართველი იარაღს აისხამდა, „თუ ქართლი, კახეთი-კუხეთი, ჰერეთი, წინარეთი, აფხაზეთი, ლაზეთი, არგუეთი, ტაო-კლარჯეთი ერთად დადგებოდა სარკინოზთა წინააღმდეგ, საუკუნო ბატონობას ბოლო მოეღებოდა“...

სწორედ იოანემ იკისრა საერთო საქმეს განდგომილი ქართველი დიდებულების შერიგება და შეკავშირება, დაარწმუნა ისინი, რომ ქართველ ხალხს თვითონ უნდა დაეცვა თავი. თუ დახმარებას სხვას თხოვდნენ, იმ სხვას უნდა დამონებოდნენ. ერის სრული ერთიანობა და დაუმორჩილებლობა შეაქრობდა დამპყრობელთ, ძალას გაუნახევრებდა მათ შემართულ ბინძურ მახვილებს და ყოველივე ეს უნდა მომხდარიყო საღვთო კავშირის მეოხებით. ქართველ ერს მხსნელად და ქომაგად კვლავ თავისი სარწმუნოება უნდა წაძლოლოდა წინ...

შეთქმულების მთავარ მონაწილეთა საიდუმლო სერობაზე მოულოდნელად გამოცხადდება სტეფანოზ ერისმთავარი, რომელიც მოითხოვს არაბი აბოს დასჯას ქართველი ხალხის სახელით...

— „ერთი ეს მიბრძანე, ერისმთავარო და დისწულო ჩემო, — უცებ ჩაერია საუბარში ნერსე ერისთავი, — გიყვართ თუ არა თქვენი სამშობლო... მოგვიგეთ ან ჰო, ან არა.“

სტეფანოზმა რაღაცის თქმა დააპირა.

— მესამე პასუხი არ არსებობს, გეთყვია, — უთხრა აშოტ ერისთავმა.

— შესაძლოა, სხვაზე ნაკლებ არ მიყვარს, — თქვა შემკრთალმა სტეფანოზმა.

— თუ გიყვარს, შენი ხალხის სალოცავი მტერს თავლად რად აქცევინე?..“

— „ქართველმა ხალხმა დიდი მსხვერპლი გაიღო იმისათვის, რომ შეეძინა ჭეშმარიტი მფარველი და ბატონი, ძლევამოსილი ხალიფას კალთას შეფარებულმა ძლივს ამოისუნთქა. ვკითხვით ერს, ერი სხვას ფიქრობს... შიშველ თავისუფლებას რა თავში ვიხლით, მიწის-მომქმედმა ძლივს გააღვივა ხნულში მარცვალი. სისხლიანი ხმალი სამუდამოდ ჩააგო ქარქაშში... თქვენ კი გინდათ დააბრუნოთ სისხლიანი დრონი?... არა, კეთილო მამანო!.. ის დრონი აღარ დაბრუნდებიან, ერი თქვენ არ გამოგყვებათ, ვისაც გინდათ ვკითხოთ, პირველი შემხვედრი გვაჩეროთ და ვკითხოთ; სწადიან ის ბრძოლა, რასაც თქვენ აბირობთ?..“

იმ საღამოს ერისთავებს, მეორე დღეს კი იოანეს გულდაჭერებით ებაასება სტეფანოზი და მასვე შესთავაზებს არჩევანს. ყველაზე ღატაკი; წვრილშვილიან, ბრძოლაში დაღუპულ ქართველი მოლაშქრის ჭკრივს მიადგებიან ორივენი კარზე. კითხვაზე, უნდა გავაძევოთ თუ არა სარკინოზები ჩვენი მიწა-წყლიდან, გამწარებული ქალი თანხმობითა და ლოცვა-კურთხევით უპასუხებს, მაგრამ როცა სტეფანოზი ყასიდად სთხოვს, შენი უფროსი ბიჭი მოლაშქრედ მოგვეციო, ხელიდან წაგლეჯს შვილს ერისმთავარს და კაბასად მიუგებს:

— „ძლივს სისხლის ნთხევით ბაღლი წამოგჩიტე და ახლა მაგ ოხრებთან ბრძოლაში უნდა მომიკლათ? სისხლის ღერასა და ბაღლების ხოცვას ისევ ის მირჩევნია რაცა მჭირს, ღმერთი თუ გწამთ, თავი გამანებეთ, მამყოფეთ ჩემს სოროში!“

— ვერ წამოვალ ლაშქარჩია, ვერა! — ამბობს გაცხარებით მეორე ქართველი, აწ უკვე მამაკაცი, ძმისთვის რომ დაუდგია უღელი კისერზე და ისე ებირება მოხვნა-დათვისას, — სარკინოზს კიდენა ჩვენ ვერ მოვერევი, ტყუილ-

უბრალოდ დასანთხევი სისხლი ძაბრ-
ეებში აღარ გვიდგას. არაბებმა ჩვენ
მშვიდობა მოგვიტანეს, მათრე უღელი
გვირჩევნია სხვების დიბა-ფარჩებს...
ენგრე უთხარით იმათ ბატონებსა, ენ-
გრე“...

იოანე შედრკა. შესაძლოა, ის შინაგანად სხვა პასუხს არც მოელოდა. აკი მისი ძე, სტეფანოზის ერთგული მსახური — მიქაელიც ასე ბუბბდა... შეძრწუნდა, მაგრამ უკან დახვევა და ყოყმანი გულში არც გაუვლია. მას, როგორც სულიერ მამას, იმ დროის ერთ-ერთ ყველაზე განსწავლულ პიროვნებას და სინდისიერ კაცს, არ შეიძლებოდა არ ცოდნოდა ის, რაც არ იცოდა მისმა დამონებულ-დამბრყვებულ-გადაგვარებულ თანამემამულეთა უმრავლესობამ: რომ ამ ცივი გონებით განსჯილ, მთლიანად აწმყოში ჩასამარებულ დამორგუნავ სიმართლეს გარდა არსებობდა სულ სხვა, დროსა და სივრცეს მოწყვეტილი უზენაესი ჭეშმარიტება... და რომ ამ ჭეშმარიტების უმძიმესი, გამსრესავი უღელი საქართველოში ყოველთვის ერთეულებს ედგათ მოუდრეკავ ქედზე და ახლა, როცა ასეთ ერთეულად თავის ბატონთან ერთად არაბი აბოც მოველინა განგებას ქვეყნისთვის, მას, ტომით და რჯულით ქართველს, რა უფლება ჰქონდა ყოყმანისა და უკან დახვევისა.

იოანეს გვერდით მიმავალ ერისმთავარ სტეფანოზს შავი არილი დასთამაშებს სახეზე. რა მოხდა, რატომ წაუხდა გუნება? შემხვედრებმა ხომ ის წარმოთქვეს ქართველი ერის სახელით, რაც მის გულსა და გონებას ეწადა... იოანეც და მწერალიც კარგად გრძობენ რისგანა ეს შავი ჩრდილი... სინდისის ქენჯნა, აი რა აწამებს სტეფანოზს, რომელმაც ორ ცეცხლშუა თამაშით ვერც არაბთა გული მოიგო ჯერ და ვერც ქართველთა... ახლა ისღა დარჩენია, ერის სახელით იმოქმედოს და ბოლომდე ჩაყვეს თავის არჩევანს. ასეც ხდება: სტეფანოზს სულ მალე მიეცემა არაბებთან თავგამოჩენისა და ერთგულების დამტკიცების შესაძლებლობა: გარდაიცვალა

ხალიფა და ახალი ხალიფა ხაზარეთს მიემგზავრება თბილისის გავლით. როგორ დახვედროდნენ ახალ მეფეს, რით გამოეხატათ მის წინაშე ერთგულება, მორჩილება და თაყვანისცემა?!

საგონებელში ჩავარდნილ ამირას და მის მოხელეებს ისევ სტეფანოზი, ქართველი ერისმთავარი გამოეცხადებოდა მხსნელად და დიდ ძღვენთან ერთად გაუგონარსა და შეუსმენელს შესთავაზებს: — „დაჩოქილი ლოდინი, ხალხნო და ჯამათნო!.. ქართლი მზე-ხალიფას დაჩოქილი დაელოდება.“

გადაწყვიტეს და შეჰყარეს კიდევ ქართველობა, მტკვრის ორივე მხარეს დედაწულიანად წამოაჩოქეს. ხმალომოწვდილი შურტები დააყენეს მოთვალთვალედ, ვინ გაბედავდა მადლა ახედვას თვით იოანე საბანისძეც აქ ბრძანდება დაჩოქილი და თავდახრილი, არავინ უწყობდა როდემდე გაგრძელებოდა ერის ეგზომ დამცირება და გადაქელვა, როდის ინებებდა „მზე-ხალიფა“ გზად მობრძანებას.

ნერსე და აშოტ ერისთავები არ და მორჩილებიან „დაჩოქების“ ამ საყოველთაო კანონს და გაქცეულანო, აცნობა გულგასიებულ იოანეს შეილმა, რომელსაც, როგორც სტეფანოზის მსახურს, წელში მოხრილი სიარულის უფლება ეძლეოდა... და სწორედ იმ დროს, როცა უმრავლესობა თავმოდრეკილი და მუხლებგადატყაული ელოდა თავის „მბრძანებელს“, უმცირესობა ერისთავების წინამძღოლობით „უსწორო ომს ასწორებდა“ უფლისციხესთან... ამო გამოდგა იოანეს მცდელობა. არ მოხერხდა მთელი ერის გაერთიანება და აღდგომა უძლიერესი მტრის წინააღმდეგ, არ მოხერხდა განგებისა თუ ისევ ქართველთა სიბრძავისა და სილაჩრის მეოხებით. ნერსე ერისთავის შუბზეწამოცმული სისხლიანი თავი ყოველი მხრიდან დაინახეს დაჩოქილებმა...

აზრი აღარ ჰქონდა შენიღბვას და თავმოდრეკას. გაშვებული იოანე ქუდს მოიხდის და ფეხზე წამოდგება უსწორო სისხლისღვრაში დაღუპულთა პატივსა-

ცემად. მაშინვე ტაჯგანავებითა და აოგნებით დააცხრებიან თავზე შურტები... ცემისაგან სასომიხილი. აწ უკვე მიწაზე დავარდნილ ბერიკაცს რამდენიმე უბრალო კაცი მიბაძავს... ამოდ დაშვრებიან შურტები, ვერც ერთს ქედი ვერ მოადრეკინეს:

... „სულ ათიოდე ყმაწვილი წამომდგარიყო, მაგრამ ეს ათი ათასს ჯობდა... მაშ სულ მთლად განწირული არ იყო ქართველი ერი, აქა-იქ მაინც თრთოდა სული ქართველთა, მაინც სულმთლად ვერ ამოეშანათა, ამოეძირკვათ ჩივი... უფლისციხესთან დაღვრილი სისხლი ჯერ კიდევ თბილი იყო, მაგრამ შედეგს უკვე იძლეოდა...“

მოკვდინებულია ნერსე ერისთავი და ახლა წრე იკვრება იოანე საბანისძის გარშემო, მაგრამ სანამ თანამომძმეთა ხელით ჩაიქოლება, მან ღვთისგან დაკისრებული ერთი მისია უნდა შეასრულოს: თავისი ღირსეული მოწაფისა და მოწამის არაბი აბოს ცხოვრება და წამება უნდა მოუთხროს ქართველობას.

— „ერისმთავარი შეშფოთებულია, ერი პირდაპირ ითხოვს თურმე იმათ დასჯას, ვინც თავისი ურჩობით ხალიფატს ამხედრებს ქართველთა წინააღმდეგ“, — ეუბნება მიქაელი მამას, როცა იოანემ მოწაფესთან ერთად თავისი დასჯაც მოსთხოვა სტეფანოზს.

— „ყური დამიგდე, მიქაელ, მე მამა ვარ და მევალება ვითხრა: მხოლოდ უზნეო ადამიანებს შეუძლიათ დღევანდელ ყოფას შეურიგდნენ, ისინი თავიანთი სილაჩრის გასამართლებლად ყველაფერს კადრულობენ, დამონებას მფარველობას ეძახიან, ძარცვა-გლეჯას — ძმობასა და მეგობრობას, ტანჯვა-წამებას — მშვიდობიან ცხოვრებას. დღეს იქნება თუ ხვალ, ჩემი შვილი კეთილ გზას დაადგება, მხოლოდღა იმის მეშინია გვიან არ იყოს...“

იოანე ბერს თავისი უწინდელი ადგილ-მამულების დაბრუნება და სახელის მოხვეჭა სწადია, იმიტომ აღძრულო, ჩუმჩუმად ფუთფუთებენ ჯაბანნი და ქვეგამხედვარნი, ცივი, მდორე სისხლის

პატრონი როგორ დაიჯერებენ, რომ იოანე უფრო დიდი მამულისთვის — საქართველოსთვის იღვწოდა.

მწერლისთვის მნიშვნელოვანია არა მარტოდენ ისტორიული ფაქტებით ნაკარნახევი სინამდვილე, არამედ ხელოვნების კანონზომიერებიდან და ამ შემთხვევაში ნაწარმოების კონცეფციიდან და იდეიდან გამომდინარე დროისა და ეპოქისათვის ნიშანდობლივი მხატვრული სიმართლე, რომელიც დამაჯერებლობას და მკითხველზე ზემოქმედების უნარს იშვიათად ღალატობს.

მცხეთის მამასახლისის უმშვენიერესი და ანო ისტორიულად არსებული პიროვნება არ არის, მაგრამ ეს არაფერს ვნებს მის მომხიბლავ, სათნო და თან შეუპოვარ სახეს.

ყველა ეპოქას ყავდა სულსბეტაჟი, ღირსეული ქალები... სწორედ ასეთი ქალები უზრდიდნენ მამულს ქედუხრელ რაინდებს, რა ვუყოთ, თუ მათი ღვაწლი გაზრდილთა გაუკაცობით იჩრდილებოდა და ყოველთვის ვერ გამობრწყინდებოდნენ ხოლმე ისტორიის ნათელ შარავანდედად.

ანოს, ამ სიცოცხლით სავსე უღამაზეს ქალწულს, სასიკვდილოდ განწირულ უცხო ტომის ჭაბუკთან ჭვრისწერა განუზრახავს, აისრულებს კიდევაც განზრახვას და ამით პროტესტს უცხადებს გაზულუქებულ ჯაბან „ვაჟაკებს“, თავზე რომ ახვევია და რომელთა შორისაც არც ერთი ეგულებს თავისი თანატოლი და თანადირსი:

— „როცა მამანი მახვილს ძირს ხრიან, მაშინ დედათა უნდა აღაპყრონი...“ — ზიზღნარევი ატაცებით უცხადებს ის დამცირებისა და გაწილებისაგან ცოცხალ-მკვდარ მიქაელს და სამუდამოდ უქარწყლებს მისი გულის ბოვნის იმედს.

აბოს დასჯის დღედ ნათლისღების დღეს დანიშნავენ და ამით ერთხელ კიდევ შეახსენებენ ქართველობას მათი რელიგიისადმი უპატივცემულობას და შეუწყნარებლობას. უამრავი ხალხი მოიყრის თავს აბოს სიკვდილის საყურებლად... მტკიცედ მორწმუნენი განადიდებ-

ენ აბოს თავდადებასა და ღვაწლს, მტკირედ მორწმუნენი კიდევ ჰკვირობენ, უკადრისობენ და ჰგმობენ კიდევაც თავისი რჯულის მოღალატე მამასახლისის აღარ იინტერესებს გარშემო მყოფთა აზრი, მისმა მსუბუქმა, სუფთა სულმა უკვე გადაწონა მძიმე, უწმინდურებით სავსე სხეული და იმასღა ცდილობს მოკვდეს ისე, ვით მის რწმენას შეეფერება და ეკადრება. მისი სიმტკიცით შემრული იოანე გარშემო მყოფთ აკვირდება: — „ყოველი მეორე კაცი უცხო ტომელია, ტფილისი უცხო ტომელებით აივსო, ზოგი აქ დაბადებული და გაზრდილია, თავის შვილებსაც აქ ზრდის, დაეფუძნა ჩვენს მიწაზე, თავის ქვეყანაში წასვლას არ აპირებს, სამოთხეში დაემკვიდრა, უღაბნოში რისთვის დაბრუნდება!...“ — გული შემოპკენესის მშობლიური ქალაქის სიკრელით გაოგნებულ იოანეს, თითქოს პირველად დაინახა ათას ენაზე მოყაყანე ეს ბრბო... მასპინძლად კი არა, სტუმრადაც ვერ იგრძნობს ასეთ გარემოცვაში ქართველი კაცი თავს, ამიტომ საკვირველი არ არის, პასუხისმგებლობა და მოვალეობა რომ ვერ იგრძნობს საკუთარი ქალაქის დაბინძურებასა და წაბილწვაში, ანდა სულაც გულგრილად აარიდოს თვალი ამგვარ მცდელობას. ყველაზე საშინელი და დამღუპველი — გულგრილობა და დაუღვერობა უკვე ჩანერგილა ქართველი კაცის ბუნებაში... ქალაქი კი წაბილწულიცაა და წარწყმედილიც: ძველთა-ძველი უწმინდესი ადგილები გადამთიელ მოლაშქრეთა საწვრთნელად და სავარჯიშოდ უქცევიათ, მონასტრის ეზო — ხალიფატის მტრების სასაკლავოდ. სწორედ ამ ეზოში დასრულდება ქრისტეს რჯულისთვის თავდადებული არაბი ჭაბუკის სიცოცხლეც.

ამირას დიდი ხალისით არ მოუსწრავია სიცოცხლე თვისტომი „მოღალატისთვის“, კარგად იცოდა, არაბი მენელსაცხებლის მოწამებრივი სიკვდილი როგორ აღაშფოთებდა მორწმუნეებს, ამასთან არც ის ეწეოდა, რომ ქრისტიანულ აღმოსავლეთში ჯალათისა და ტირანის

სახელი დაგდებოდათ ხალიფატის ერთ-
გულთ.

ამირა არც ისე ბნელი კაცი იყო, ვერ
გაეგო, რომ ისეთი ქვეიანი, განსწავლუ-
ლი პირების მოსყიდვა, როგორებიც
იყვნენ იოანე საბანისძე და სამოელ კა-
თალიკოსი, ქართველ ხალხში ათგზის
გაზრდიდა ხალიფატის ხელისუფალთა
ავტორიტეტს და გაგლენას. მის დიდი
ხანია ექვი ჰქონდა იოანეს „ლალატზე“,
მაგრამ ამ წიგნმა მოთმინების ფიალა
აღუვსო. აბო, რომელსაც მონასტრის
ეზოში თავი მოკვეთეს, როგორც უკა-
ნასქნელ ნაძირალას და მისი ფერფლი
მტკვარს გაატანეს, ამ წიგნში მკვდრე-
თით აღმდგარიყო და მომავალ თაობებს
ხალიფატის წინააღმდეგ ბრძოლის ენის
უორკეცებდა. არ შეიძლებოდა ამის შე-
წყნარება. იოანე უნდა დასჯილიყო, რო-
გორც წინაპართა ანდერძის დამრღვევი,
ქართველი ხალხის სურვილის წინააღმ-
დეგ ამხედრებული და აქედან გამომდი-
ნარე, სამშობლოს, ერის მოღალატე.

ერთი შფოთისთავი ყველას დაგვლუ-
ბავსო. ალბათ ეს შიშნეული, ზარიანი
სიტყვები თუ გაახსენდა ამირას, როცა
ჩვეული „დიდსულოვნებით“ ბრძანა:
ერის მოღალატე ერმა განსაჯოსო.

— „ერთი შფოთისთავი ყველას და-
გვლუბავს!“ — უკვე აღარ სჯერდებიან
ცივი, ბლანტი სისხლის მქონენი მაცუ-
რებლისა და მოყურადის როლს, უშუა-
ლო მონაწილენი ხდებიან იმ სისხლიანი
დრამისა, რაც ამირასა და მის დამქაშებს
განუზრახავთ და რასაც უკვე ვეღარ
შესწვდება ერისმთავარი სტეფანოზის
გაორებული გული, გონება და სინდი-
სი... თუ მართლა ერს მიანებებენ სამარ-
თალს, ისლა დარჩენია, ერის სახელით
გაძეგება ბრძანოს მოძღვრისა... გაძეგე-
ბა, გაძეგება! ესლა გადაარჩენს ერსაც,
ერისთავსაც და მოძღვარსაც.

სანამ სტეფანოზი განაჩენის გამოტა-
ნას ესწრაფვის, „ერს“ უკვე გადაუწყ-
ვეტია სამართალი ურჩისა: — „ნიდის
ყურში!“ — დაიძახა ვიღაცამ ხალხში
და იოანე პანდურის ცემითა და გინე-
ბით წინ გაიგდეს.

„დააკვირდა აბობოქრებულთ, ქართ-
ველებს ჰგავდნენ, ქართულ ენაზე იბ-
რახვიდნენ — „ჩემი გატაცება შენთანაა“
სარკინოზებს ატყუებენ, ხიდის ყურში,
ალბათ გამოშვებენ“, — დაასკვნა საბო-
ლოოდ და ბრბოს მხიარული სახით, ამა-
ყად გაჰყვა. მოსალოდნელი თავისუფ-
ლება კი არ ახარებდა, ერის ასეთი თავ-
გამოდება, დარაზმვა და ერთ მუშტად
შეკვრა მოსწონდა და იმედს აძლევდა.“

„ერის ასეთი თავგამოდება, დარაზმვა
და ერთ მუშტად შეკვრა“ — სწორედ
ის, რაზედაც ოცნებობდნენ ნერსე ერის-
თავი და იოანე საბანისძე, რაზედაც ოც-
ნებობდნენ სულ სხვადასხვა დროსა და
ეპოქაში ჩვენი ღირსეული წინაპარნი,
მაგრამ რისთვის შეკრულან და დარაზ-
მულან ეს ადამიანები, რომელთა ერ-
თობლიობაც ერად ეჩვენება იოანეს,
რისთვის აგროვებენ მრისხანე, შურის-
მაძიებელი სახეებით რიყეზე დიდრონ
ქვებს. ვერა, ვერ დაიჯერებდა იოანე,
რომ სეგტიცხოველში სულიერ საზრდოს
ნაზიარები ქართველი კაცი თავისი მო-
ძღვრის ჩასაქოლავად აღდგებოდა, ვერ
დაიჯერებდა რომ საკუთარი ტყავის გა-
დარჩენის ინსტინქტი ქრისტეს მცნებას
დაარღვევინებდა და თავის წარმართ
წინაპარს დაამგვანებდა. ვერ დაიჯერებ-
და და ეს ურწმუნობა მის სხეულზე
აღმართული ქვების გროვიდანაც წით-
ლად გამოჟონავს და „თეთრ ბორცვს“
ჭრილობასავეთ დააჩნდება.


თითქოსდა დამტკიცდა უგუნურება
ურჩთა და ქედმოუხრელთა: სრული
უკუნი და დუმილი ჩამოწვა ირგვლივ
და ამ სიბნელის ფონზე თვალახელილი
ერთი ქართველი, ძე იოანე საბანისძისა,
მამისეულ თეთრ ჯორზე ამხედრებული,
შურისძიებითა და სიძულვილით აღსავ-
სე მიილტვის ქართლიდან გაქცეული
ერთ-ერთი მემამბოხის — აშოტ ერისთა-
ვის, შემდგომში აშოტ კურაპალატად
წოდებულის მიერ განახლებული და
აღორძინებული ტაო-კლარჯეთისაკენ.

ასე მთავრდება ნოდარ წულუისკირის
ეს მოთხრობა-რომანი. წაგებულთა კი-
დეგ ერთი უსწორო ომი, მოკვდინებულ-

ნი არიან მეამბოხენი — სამეული ერის ფიზიკური და სულიერი პოტენციალი-სა: მხედართმთავარი, სულიერი მოძღვარი და რიგითი მორწმუნე, მართალია უცხო ტომისა და თესლის, მაგრამ ამ შემთხვევაში ქართველთა სულისკვეთებისა და რწმენის გამომხატველი... ბზარი გაუჩნდა არაბი მმართველის მიერ დამყარებულ და ქართველი ერისმთავრის მიერ ზურგგამაგრებულ მშვიდობიანად მოსპობის პოლიტიკას; მაინც დაიღვარა სისხლი ქართველთა: თავწარკვეთილთა, ჩაქოლილთა და ნაწამებთა სისხლი, რომელსაც ვაცეიება არ უწერია და რომელიც მომავალ საუკუნეთა ჯერაც ხორცშეუსხმელ აჩრდილებში აპირებს დავანებას... და რანი ვიქნებოდით, ან ვინ ვიქნებოდით, რომ არ გვყოლოდნენ ამ სისხლის პირდაპირი თუ არაპირდაპირი მემკვიდრენი: დავით აღმაშენე-

ბელი და თამარ მეფე, დიმიტრი თევდადებული და ცოტნე დადიანი, ქეთევან წამებული და თევდორე მღვდელთა მასი არაგველი და ცხრა ძმა სერბულნი ძე, დიმიტრი ყიფიანი და ილია ჭავჭავაძე.

აი, ასეთ მწუხარ-იმედიან კითხვებს აღძრავს ეროვნული ტკივილითა და პატრიოტული სულისკვეთებით გაჭერებული ეს წიგნი და სწორედ ეს ტკივილი და სულისკვეთებაა მწერლურ ნიჭსა და ოსტატობასთან წილნაყარი, გარდასული დროის საქართველოს უმწარეს დღეებს ისე ცოცხლად და თანამედროვედ აღვ-ვაქმევივნებს, თითქოს იგი ჩვენს დროში, ჩვენს თვალწინ ხდებოდეს და ალბათ ესაა ამ წიგნის ყველაზე დიდი და სხვა ღირსებებში გაუცვლელი, გაუხუნარი ღირსება.



აკოლონ ცანავა

დალი და ფოლკლორი

„წიფლაგვერდის დობილთ ტვერში, ნი-გვზარას მთასთან მთვარიან ღამით ახ-ლაც გაიგონებ ალუბის ტირილს... უი-ღბლო, გაუბარელ სიყვარულს დასტი-რინა.“

თანამედროვე ქართული პროზის ერთ-ერთი გამორჩეული ოსტატის, რე-ზო ჭეიშვილის რომანში — „დალი“, რომელიც 70-იან წლებში დაიწერა, რე-პროდუცირებულია ქართულ მითოლო-გიურ პანთეონში ცნობილი დალისა და

ბეთქილის ტრაგიკული სიყვარულის ისტორია. ტიპოლოგიურად იგი მსგავ-სებას პოულობს მსოფლიო მითოლო-გიის ღვთაებრივ წყვილებთან (იშთარი და თამუზი; კიბელა და ატისა; აფრო-დიტე და ადონისი).

რუზო ჭეიშვილის რომანის მთავარი მოქმედი პირები დალი შელია და ელგუჯა ვაშაძე (დალისა და ბეთქელის მითოსური მიხანსიათებლებით აღჭურვილი წყვილები) თანამედროვე ცხოვრების შუაგულში ტრიალებენ. მათ ერთმანეთი, ანტიკური ტრაგედიის გმირების მსგავსად, უცნაური სიყვარულით შეუყვარდებათ და ეს სიყვარული ტრაგიკულად უნდა დამთავრდეს (დალი მარცხენა მკერდს შეაგებებს ქმრისგან ნახროლ ტყვიას).

დალი და ელგუჯა ცხოვრობენ იმ პერიოდში (60-70-იანი წლები), როცა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში მკვეთრი დეველუაცია განიცადა როგორც ეკონომიკურმა, ისე მორალურ-ეთიკურმა ფასეულობებმა. მაგალითად, რომანის ერთ-ერთი პერსონაჟი, შალვა, ბუნებით პატიოსანი კაცი, საცოდავია, რადგან „ველარ ხვდება, ახლა რომ სხვა დროა“. იგი წინანდებურად უსამართლობის წინააღმდეგ იბრძვის („უსამართლობის წინააღმდეგ იყო ამხედრებული, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით“), მას ვერ აეხსნა რატომ ღირდა ერთი ბეწო ქინძი მანეთი; რატომ „პგვიდნენ ქუჩებს“ დღისით, მზისით; „რატომ დადიოდა გზებზე ამდენი მსუბუქი ავტომანქანა ერთდროულად“; „გააწამა სხვაც და თავისი თავიც, ველარ ხვდება, რომ სხვა დროა.“ სახლის მეტატრონე გაკვირვებულია სტუდენტი ელგუჯას წიგნებით („ჭამოს, სვას არ ჯობია!.. მამამისმა თუ იციან ნეტავი, რაში ყრის ფულს!“); დეველუაცია განიცადა სიყვარულის გრძობამაც (დალი ელგუჯას სინანულით უხსნის: „ძნელია ალბათ რომეოსა და ჯულიეტას სიყვარულის ისტორიის მოსმენა, ალბათ, სხვა დროა“). დალის მეუღლე ბადრი კილაძე ტრაგიკული პიროვნებაა, იგი სეისმური სიზუსტით გრძობს ცხოვრებისეულ მანკიერებას და ციხეში ამოყოფს თავს („თქვენ რა იცით, რა მჭირს... როცა წვიმა ეპირება, მე მუხლები მტკივა“). ერთგული მეუღლე ბადრი („სადაც უნდა წასულიყო... ყოველთვის

ცოლი ახსოვდა. ცოლი რომ ასე არ ჰყვარებოდა, არც ვაწვალდებოდა“). ცხოვრებამ მკვლელად აქცია. ელგუჯას უფროსი მეგობარი — ქვემოთ რული დიმიტრი, რომელიც, ჩემი აზრით, ამ ქვეყნიდან უდროოდ წასული პოეტის, შოთა ჩანტლაძის პროტოტიპი უნდა იყოს, „კატეგორიულად უარყოფდა თანამდებობას, საყოველთად გავრცელებულ აზრებს და შენედულებებს, კარიერას, ფუჭ სახელს და ფულს... არაფრის დათმობას არ აპირებდა და ამით თავი მოჰქონდა“.

ამგვარად, რომანის ყველა მოქმედი გმირი თანამედროვე ცხოვრებით ცხოვრობს. ყველას უჭირს, ყველას პირადი თუ საზოგადოებრივი სატიკიარი აწუხებს. ელგუჯას არანაკლებ ადარდება სიცოცხლის დასაზღვრულობაც („ელგუჯამ... მარტოობაში დააზუსტა, რომ ადრე თუ გვიან აუცილებლად მოკვდებოდა. ამ ქეშმარიტების აღმოჩენამ იგი ძალიან გააოცა“), მაგრამ მას სწამდა, რომ „სიცოცხლე მხოლოდ აქ არ იწყებოდა და არც მთავრდებოდა“. ელგუჯას ძალზე ახალგაზრდა, ლამაზი დედა ადრევე გარდაეცვალა (შემდეგში დალის სახეს ის დედისას ამსავსებდა და, კედელზე ჩამოკიდებული დედის სურათის სახით, დალის სახეს უყურებდა. საოცარი ასოციაცია!). დედის გარდაცვალებამ მძიმედ იმოქმედა ელგუჯას ფსიქიკაზე, უმაღლესში სწავლაზე უარი განაცხადა, „თავის ბრუალი დაეწყო. ძილში კოშმარები აწუხებდა... იგი ბევრს ფიქრობდა ადამიანის არარაობაზე“. ბოლოს „კოლმეურნეობამ ტყის მკვლად გაამწესა“, სადაც ხშირად ისმენდა მეტყვევებისაგან ალების (ტყის ქალების) უიღბლო სიყვარულზე შემორჩენილ გადმოცემებს. თვით ელგუჯას სახლის „გადაღმა ტყით დაფარული გორები ჩანდა. ტყე თანდათან მუქდებოდა, ხშირდებოდა და მთებსა და მთებს შუა იხურებოდა გაუვალ თალებად. დობილო ტყეში და მზის უნახავ ხრამ-ხეულებში ადრე თურმე ალები ბუდობდნენ, ანკარა ლელეში ბანაობდ-

ნენ და მთვარის შეუქმე ივარცხნიდნენ მზისფერ დალალებს“. ასე შემოდის დალის ორეული რომანიში. ანდა, გავიხსენოთ პასაჟი რომანიდან — „თვით ელგუჯას ნათლია, ლაშიდელელი კაცი თავგადაღებული ამტკიცებდა: ყმაწვილ-კაცობაში ცხენზე ალი შემომიხტა, მისი ბრწყყალები ბეჭზე ახლაც მატყვიანო“ (შემდეგში ელგუჯასაც დააჩნდება ბეჭზე დალის თითების ანაბეჭდი). აღისათვის პირდაპირ სახეში შეხედვა არ შეიძლება, რადგან „თუ შეხედავ, ვეღარ დაივიწყებ და დაღუპული ხარ“, — უმტკიცებდა ნათლია სოგრატი ელგუჯას. სოფელ მანდიკორიდან თბილისში ჩამოსულ ელგუჯას ინსტიტუტის ეზოში უეცრად დალი შელია შეეფეთება. დალი მიესალმა ადრინდელ ნაცნობ დიმიტრის და კიბეებს აუყვია.

— „იცი, ვინ იყო? — ჰკითხა კომოთამ ელგუჯას. — ვინ იყო? — შეკრთა ელგუჯა.

— დალი შელია, გაგაცნობ თუ გინდა“.

რომანში მითოსური და რეალური ცხოვრებისეული ასპექტები ორგანულად ერწყმის ერთმანეთს. ნაწარმოებში „ალი“ და „დალი“, იდენტურ მითოსურ პერსონაჟებადაა მიჩნეული („ალი კი არა, დალი! — შეუსწორა მეუღლემ... — ერთი და იგივეა, — განმარტა ელგუჯამ“). ამიტომ ზოგჯერ ხალხური დალის ადგილზე ალი ფიგურირებს.

ხალხური გადმოცემის მიხედვით ქმარზე დაექვევებული მონადირის ცოლი ჩუმად ქმრის კვალს გაჰყვება და დალის გამოქვაბულში ამოჰყვფს თავს. მძინარე დალის მან ოქროს თმები შეაჭრა. თმების შეჭრა დალის სიკვდილს მოასწავებს. სიკვდილამდე მონადირეს სთხოვა: მუცელი გამოიჭერი, დღენაკლული ამირანი ამომიყვანე და ხარის ფაშეში მოაშუშეო.

მატრიარქატის დროინდელი ქალღვთაების, დალის სახემ შემდგომში (მატრიარქატის ეპოქაში) ცვლილებები განიცადა, მრავალსახა არსებად იქცა

(ალი. ტყაშაფა, „ჯიხვთა მწყემსა“ და სხვ.). ტყეების, მდინარეების და ნადირთა ეს გამგებლები ადამიანებისთვის საშიში და მოსაზრებელნი გახდნენ.

რომანის მიხედვით, ხალხურისაგან განსხვავებით, თმების მოჭრას ორმაგი ფუნქცია აქისრია. დალი ელგუჯას მაკრატლით მოაკვეციენტს ნაწნაებს, რაც ელგუჯას დაუფლებს სურვილიცაა და თანაც სიცოცხლის დასასრულის მანიშნებელიც (რომანის დალი ყოველთვის გრძნობდა, რომ დასაღუპად იყო განწირული და თითქოს ემზადებოდა ამისათვის). ელგუჯას აგონდება ტყის მცველი დათიკო ვირსალაძის ნაამბობი, თუ როგორ ავიდა თეთრ კლდეზე მონადირე სპირიდონი და როგორ ნახა გამოქვაბულში ირმის ტყავზე მწოლარე ალი, რომლის „ოქროს თმა აბრეშუმით იყო ძირს გაფენილი... ალმა უთხრა, აიღე მაკრატელი, შემაჭერი თმა და შენი გავხდებიო“. თმის შეჭრის შემდეგ მონადირე „ღამეს მღვიმეში ალთან ათედა და დილით ხელდამშვენებული ბრუნდებოდა უკან“ (იხ. რ. კეიშვილი. „დალი“, 1976, გვ. 125). მოსწყინდა მონადირეს ალთან ყოფნა და კოკლი ხუროს ქალიშვილი შეერთო ცოლად, რომელმაც ქმარს საიდუმლო გამოსტყუა (ტაბუ დაარღვევინა). ალმა სასტიკად იძია შური მოლაღატე მონადირეზე — სოფელში გამოეცხადა ჯიხვის სახით. მონადირე სპირიდონი გამოეკიდა ჯიხვს. ჯიხვმა კლდეზე აიტყუა და დასაბრუნებელი ვზა მოუხპო. თანასოფლელები მოგროვდნენ კლდის ძირას, კიბეც მოიტანეს, მაგრამ ბოლოს მიხვდნენ, რომ „მონადირე ალს ჰყავდა განწირული. შველაზე ხელი აიღეს“. სპირიდონს დედა და ცოლი დატირებენ: — „რა ვინდოდა მზეთუნახავთან, საბრალო სპირიდონ!.. დღე და ღამე იყრება, სპირიდონ, შენს ქოჩორს ორბები ეთამაშებიან... უბედურო სპირიდონ“ (შდრ. ბეთქილის დატირების ეპიზოდი: „ბაილ, ბეთქილ, საბრალო, ბეთქელ, საცოდავო! ბაილ, ილბა, ილბა ბაილ... გადმომხტარა თეთრი შუნი...

მისდევს მის ნაკვალევს... შესულა შევ
კლდეში, დედოფალ დალის სამყოფში“).

რომანში ორიგინალურად, მიზანდასახულადაა ნაჩვენები მითოსური საჩუქრისა და ნაწილიანობის (ზებუნებრიობის, გამორჩეულობის) პარალელები. ლაშქარული კაცი ელგუჯას დაბეჯითებით უმტკიცებდა, რომ ცხენზე შემომხტარი ალის „ბრკყალები ბეჭხედ მატყვიანო“. ელგუჯასაც დააჩნდა ბეჭებზე დალის თითები (მანქანა რომ უფსკრულში არ გადაჩეხილიყო, დალი ელგუჯას „გრძელი თითებით ჩააფრინდა მხრებში, თითქოს მტაცებელი ფრინველი დააცხრა ზემოდან“). ამ დღიდან ელგუჯას ბეჭებზე ისე აღებეჭდა დალის თითები. „თითქოს დახატულია. გეგონება, შიგნიდან ჩანს“. ამ ამბით შეშფოთებული ელგუჯა ავად ხდება. სოფლიდან ჩამოსულ ექიმს, ლექსოს, ბეჭს აჩვენებს, თანაც თავისი სიყვარულის საიდუმლოსაც გაანდობს. მითოსური ასპექტით ტაბუს დამარღვევი ელგუჯაც უნდა დაისაჯოს (აკი ეუბნება დალი: „ამისთვის დაისჯები შენ! — სთქვა დალიმ, ჩანთა გახსნა, ამოიღო თმები და ელგუჯას გაუწოდა... — ჩემი თმაა, ჩემი ორი დალალი, შენ რომ შემაკერი, გქონდეს სამახსოვროდ“). დალის „დამუქრება“ მოჩვენებითია, მითოსურის რემინისცენციაა. დალი, როგორც ითქვა, ტრაგიკული პიროვნებაა და თვითონაც გრძნობს ამას. ტრაგიკულია იმიტომ, რომ მას სიყვარული ადამიანის არსებობის უმაღლეს ნიჭად მიაჩნია, მაგრამ კატაკლიზმებითა და სოციალური უსამართლობით დამძიმებული საზოგადოება ვერ იცავს, ვერ მფარველობს ამგვარ ნიჭს. სამახსოვრო თმის დაბრუნების შემდეგ დალი ელგუჯას გულახდილად, ყოველგვარი პოზის გარეშე ეუბნება: „მოდით მომკალი. პირობას გაძლევ, ყველაფერს ისეთნაირად მოვაწყობ, რომ ვერავინ შენზე ეკვი ვერ მიიტანოს... სულ ერთი არ არის, მე მაინც უნდა მოვკედდე. მირჩენია შენ მომკლა... დაიხსომე.

მხოლოდ აქ, ამ მიწაზე არ მთავრდება ყველაფერი“.

„ტრაგიკული წყვილების“ მითოსური მოდელისაგან განსხვავებით, რომლის მიხედვით, ქალი იღუბება. დალიმ ბადრის სიმართლე პირდაპირ უთხრა — „მიყვარს, მიყვარდა და მეყვარება!“ და მარცხენა მკერდი ტყეიას შეაგება. რეზო ქვიშვილის რომანში გვხვდება დალისა და ალის პარალელური მითოსური პერსონაჟი მესეფი, რომელიც მეგრული მითოლოგიიდანაა აღებული. მესეფები ლამაზი ქალების სახით არიან წარმოდგენილნი, ისინი განაგებენ წმინდა ნადირებს. მონადირეებს თავის წილ ნადირს აკუთვნებენ და ზედმეტის მხოცველებს სჯიან. თანაც ლამაზ მონადირეებთან ინტიმურ კავშირსაც ამყარებენ. მესეფების ზღვიდან ამოსვლით იწყებოდა ავდარი, გადაუღებელი წვიმები. დალის საფლავზე მოდარაჯე ელგუჯას ღამით საფლავის ქვისმთლელი, ანაკლიელი ინდიგო გადაეყრება და უყვება სამეგრელოში გაგონილ ამბავს: „ამ დღეებში ანაკლიაში გაწვიმდება, ზღვიდან მესეფები ამოვლენ და გაავდარდება. — მესეფენი ვინ არიან? — ტყის ქალები. შუა ღამე რომ გადავა, წითელთმიანი, ფეხშიშველა ქალები ლანდებივით გაჰყვებიან მთვარით განათებულ ქვიშას... იმ ერთ კვირას ტყის ქალები ნადირს გაანაწილებენ, თავის წილსა და ხვედრს არგუნებენ ღირსეულ მონადირეთ. მერე გადაიკარგებიან და გაუთავებელი წვიმები დაიწყება“. ამ შემთხვევაში ინდიგოს მონათბრობი დალის გარდასული სულის ერთგვარი გამოხმობა, სიზმარეული წარმოსახვაა (გავიხსენოთ რომანისეული დახასიათება დალისა — „იგი იდგა მარტო, უცხო და შორეული. როგორც მირაჟი უდაბნოში“). სწორედ დალის ეს განმარტოებულობა, განსხვავებულობაა პარალელგავლებული მითოსურ ორეულგებთან. დალი არაორდინალური პერსონაჟია და მწერალს სწორედ ამგვარი ადამიანის ბედი აინტერესებს იმ საზოგადოებაში, სადაც ქვეშაირიტ სიყვარულსა და ამაღ-


ლებულ პიროვნულ თვისებებს ნაკლებად სცემენ პატივს; საზოგადოებაში, სადაც გასავალი აქვს თანამდებობას, კარიერას, ფუჭ სახელს, მოჩვენებითობას, პლიქვენლობას.

რომანის ფინალში ვგებულობთ, რომ ელგუჯა სოფელში, მამის სახლში ბრუნდება და ახალ ცხოვრებას იწყებს. აქ იგი ისევ ხვდება სოგრატს, რომელიც ადრე დაბეჭითებით უმტკიცებდა, რომ წიფლისგვერდას ტყეში ცხენზე ალი შემოუხტა, ბეჭზე ნაკვალევი დააჩნია, მაგრამ მაინც არ მიიხედა უკან და ახლა ნანობს: ნეტავ მიმეხება და ერთხელ მაინც მეგრძნო ნამდვილი სიყვარულიო. ერთი სიტყვით, მწერალს აინტერესებს სიყვარულის იმგვარად წარმოჩენა, რომელიც წარუშლელი იქნება („რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების“) და თავის სიდიადესა და ამბულლებულობას ყოველთვის შეინარჩუნებს („ჩვენ მარადიული სიყვარული შეგვიძლია და ვარსკვლავებზე ხელახ-

ლა გაღვიძებისა და შეხვედრების იმედგაქვს!“ — ფიქრობდა ელგუჯა).

„სალამოვდებოდა. საქონელს სავსე კელას რაკუნით ბრუნდებოდა ორღობეში. ხის სახლის საკვამურებიდან გამკვირვალე ბოლი იწყებდა დენას. ღამდებოდა, ცაზე ვარსკვლავები ჩნდებოდა. მთვარე სერზე ამოდიოდა. ტყეში ალები ტიროდნენ, თორემ სხვა მხრივ არაფერი არღვევდა ამა სოფლის მყუდროებას“. — ასე მთავრდება რეზო ჭეიშვილის ძალზე საყურადღებო, მრავალგანზომილებიანი რომანი, რომელიც ქართული პროზის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვლენად შეიძლება მივიჩნიოთ.

როგორც ვნახეთ, თანამედროვე, მძაფრი სოციალური ასპექტები მკვეთრად და წარმოჩენილი რომანში იმ მითოსური პანთეონიდან, რომელიც ჩვენი წარსულის ფესვებია, ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნების მაცოცხლებელი ძალაა.



თიბას გვკარნახობს ცხოვრება

სოლომონ დამურხანაშვილი

საით მიდის გზა

„ჩვენისთანა ბედნიერი
განა არის სადმე ერი?“

„ჩვენ არაერთხელ გვითქვამს, რომ ერის პირველ დამზობა, გათახსირება, გაწყალება იქილამ დაიწყება, როცა იგი თავის ისტორიას ივიწყებს, როცა მას ხსოვნა ეკარგება თავისი წარსულისა, თავისი ყოფილის ცხოვრებისა, დაივიწყება ისტორიისა, თავისი წარსულისა და ყოფის ცხოვრების აღმოფხვრა ხსოვნისაგან — მომასწავლებელია ერის სული და ხორცილ მოშლისა, დარღვევისა და მოლაღ წარწყმედისა“ (ეერი და ისტორია“).

დიდრ ილიას ეს წინასწარმეტყველური გოდება ზუსტად ერთი საუკუნის წინათ გაისმა. ბრძენმა მოძღვარმა უტყუარი ალღოთი იგრძნო, საით მიჰყავდა ბედისწერას მრავალტანჯული ჩვენი ერი, ვინც რაღაც სასწაულებით გადაურჩა ათასი ჯურის მოძალადეს და ახლა „სულით და ხორცილ მოშლილი, დარღვეული და მოლაღ წარწყმედილი“ საკუთარი ნებითა და დაუღებრობით იძირებოდა დამღუპველ მორევში.

ილია ჭავჭავაძეს რომ მარტო ერთხელ ეწინასწარმეტყველა ჩვენი საგანგაშო მოშაილი, კიდევ არაფერი. ეგებ ეს ერთი ამონაკენისი ბრძენ-კაცისა ამაო ეტყად ან გადაჭარბებულ სიფრთხილედ ჩაგვეთვალა, მაგრამ ვაი, რომ ათობდე წლით უფრო ადრე დაწერილ წერილშიც („ზოგიერთი რამ“) გულმდუღარე ვაებით მოთქვამდა იგი:

„ვაი იმ ხალხს, რომელსაც საერთო ძარღვი გაუწყდა, ვაი იმ ქვეყანას, საცა საერთო ძარღვში სისხლი გაშრა. საცა ყველაში თითო არ არის და თითოში ყველა, საცა თვითული ყველასათვის არ ჭეჭირობს და ყველა თვი-

თულისათვის. საცა „მე“ ხშირია და „ჩვენ“ — იშვიათი.

განვთვითუღლით, ცალ-ცალკე დაევიშაღენით, ასო-ასოდ დაეჭირით და მაგ განთავისუფლებამ, ცალ-ცალკეობამ ყველგან და ყოველის-ფერში ის საქმე გვიყო, რაც ეზოპეს ზღაპარში თვითუღს წვეპლას მოუვიდა, ერთად ქნულად გადასამტვრევს. ამის შემდეგ, რასაკვირველია, საერთო სახელი აღარ შეგვრჩებოდა და აკი აღარ შეგვრჩა“...

მკითხველს თავს აღარ მოვაწყენთ და აღარ გავაგრძელებთ ილიას ამავე თუ სხვა წერილებიდან ამონაწერებს, ბევრ ჩვენს სატკივარს რომ ენება, რაც ესოდენ გვენიშნება და გვეცნაურება დღევანდელ ქართველებს.

ადრეც ვთქვით და ახლაც ეიმეორებთ, საუკუნე ვავიდა მას შემდეგ, რაც ილია ჩვენი ერის სატკივარსა თუ ზნეობაზე ასე მწარედ გოდებდა და ბუნებრივია, თვითული ჩვენთავანი, ვისაც ოდნავ მაინც აწუხებს და აფიქრებს ჩვენი ერის აწყობა და მომავალი, საკუთარ გულში ჩაიხედავს და იკითხავს, ეს სატკივარი, ეს ჭირთა ჭირი ქართველებისა, რაზედაც ილია წუხს, დღესაც დღის წესრიგში დგას თუ უკვე გაქურბებულია და ყავლგაუსულიო?

ვინც უხიზლად ადევნებს თვალს ჩვენი ერის დღევანდელ ყოფას, ვისაც მარტო საკუთარი ეთილდღეობა არ გაუხდია თავისი ფიქრისა და ზრუნვის საგნად, ვინც ერისკაცობანას და მამულოშვილობანას თამაშს არ მისცემია თავდაუწყებით, ვისაც თანამდებობისა და ყალბი გვირგვინების მოხვეჭა არ დაუსახავს მთელი ცხოვრების მიზნად, ის ალბათ გრძნობს, რომ ჩვენი ერის ყოფნა-არყოფნის საკითხი დღეს

არანაკლებ მძაფრად დგას დღის წესრიგში, ვიდრე ილიას დროს.

რამდენჯერ ვიღვეით დაღუპვის პირად, რამდენჯერ დაგვიპირეს „აღგვა პირისაგან მიწისა“, რამდენჯერ იყო გაწყვეტამდე გაღუული ჩვენი ყოფნის ძარღვი და როცა გვეკონია, მორჩა, ჩაესვენა საქართველოს მზეო, სწორედ მაშინ, თითქმის განგების ნებიოთა თუ ძალით გამოჩენილი მხსნელი მესია და სასიკვდილოდ განწირული, სისხლისაგან დაწურტილი ქვეყანა თითქმის შეცდრებით იღუდგენიო. ეს მხსნელი მესია კი ხან რომელიმე თავდადებული მეფე იყო, ხან ისტორიის ბედ-იბბალი, ხანაც რომელიმე გმირი, — გვარიანი თუ უგვარო, ვისაც არამტოუ საკუთარი სიცოცხლე, არამედ შევილებიასაც თუ უყოყმანოდ გაუწირავს.

მიელი არსებობის მანძილზე უმად ბეწვის ხილზე მავალმა საქართველომ რალაც სასწაულოთ გადაიჩინა თავი დაღუპვისაგან. საქართველომ, რომელსაც ოთხზე მხრიდან ოთხი პირდაღებული ვეშაპი დარაჯობდა და ოთხივე ერთიმეორეს ექიშებოდა ჩასაყლაპავად.

მაგრამ მაშინ სიტყვა „მამულის“ ყოვლად-მპყრობელი მნაშენელობა ვრცელი და ფართო ყოფილა, როგორც ილია ბრძანებდა, ხალხობა დაბრუნდებოდა არა ყოფილა, და რაც უმთავრესია, მაშინ ზედმიწევნით იყო დაცა ქართველმა კაცმა, რისთვის ცოცხლობდა და თუ მოკვდებოდა, რისთვის უნდა მომკვდარიყო.

მამულს, ერს, ქვეყანას მეომარი და დამცველი ესაქიროებოდა, მიწა-წყალს პატრონი და ამიტომაც აწენდა ქართველი კაცი ბევრ შვილს, ამიტომაც ებღაუჭებოდა საკუთარ ქერას, მტრის მიწით მთაში გახიზნული ისევ ჭიულად უბრუნდებოდა თავის კარ-მადამის. მთელი მისი სიცოცხლის მიზანი სამშობლოს დაცვა იყო, მისი სალოცავი ხატი საქართველო იყო. აი, ამ დიდმა სიყვარულმა გააძლებინა, ამ ვეება სიყვარულმა ააზიღინა მთის მიუვალ კორტობზე — არწივების საბუღარზე ქვა და კირი, რათა მკვიდრი ციხე აუშენებინა და იქ შეეფარებინა თავი.

ნურც იმას ვიტყვით და ნუ ვიფიქრებთ, რომ რაიმე ეროვნული სენი თუ მანკიერება მაშინაც არა გვექონოდა. სწორედ ამ მანკიერების მიზეზით დაქუცმაცებული საქართველო გარეშე მტრისთვის უფრო ადვილი დასაბრკვებელი გამხდარა. აბა გაიხსენოთ რას წერს ეპითაღმწერელი, უცნობი მემბტიანე — ავტორი „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთი ნაწილისა, ვისაც მეცნიერები გიორგი ბრწყინვალის თანამედროვე მოღვაწედ ვარაუდობენ და ვინც თურმე სხვა მემბტიანეებისაგან გამოიჩინება სიუხსით, მიუღვამლობით, პირდაპირიოთ და ვინც აღნიშნავს: „უამთაღმწერლობა ქეშპარიტების მეტყველება არსო“ და მართლაც, იგი, ამ ქეშპარიტების ერთგული, მეფე-დიდებულთა მხილუბასაც არ ერიდება.

ეს ეპითაღმწერელი ქვეყნის დაკნინების მიზეზად ქართველთა სამ მანკიერებას მინიშნავს: „გემოთოზყარობას, ვერცხლისმოყვარეობას და დიდების მოყვარეობას“.

ალბოთ მკითხველს ენაშნება ეს სამი ძირითადი მანკიერება ჩვენი ერისა, ენაშნება, ეცნაურება და უსათუოდ გაოცებით იფიქრებს: ნუთუ მაშინაც ეს სენი გვექონოდა. დიახაც რომ გვექონდა, მაგრამ საქმე ისაა, რომ ეს მანკიერებანი მთელი ერის სენად არ ქვეულა, რადგან მას დამორგუნელებიც ჰყავდა. ესენი იყვნენ გამოჩენილი, გონიერი მეფეები თუ მღვდელმთავრები, მწიგნობარნი, აზრის კაცები, სჯულის ერთგულნი, რომელნიც თავიანთი მოწამეობრივი სიკვდილითა თუ სამშობლოს ერთგულებით მაგალითს აძლევდნენ ერს, რწმენას უბტკიცებდნენ, ზნეობრივად სწმენდდნენ და სულიერად ამაღლებდნენ. რომელი ერთი უნდა ჩამოთვალეთ: დავით აღმაშენებელი თუ გიორგი ბრწყინვალე, დიმიტრი თავდადებული თუ თევდორე მღვდელი, იაკობ ხუცესი თუ ქეთევან წამებული, ცოტნე დადიანი თუ სამშობლოსათვის ზეარაკად შეწირული წმინდა ხატება ბიძინასი, შალვასი და ელიზბარისა, ამით მიუმიტოვებელი გლეხთა ფენიდან გამოსული, სამშობლოსათვის თავგანწირული ათასობით გმირი, რომელთა ენაობა ვერ შემოინახა მემბტიანემ, რომელთაც უნაგაროდ უყვარდათ სამაშობლო და არასოდეს გაუყოფიათ იგი, რომელნიც ერის ბურჯსა და ზერხემალს წარმოადგენდნენ, რომელთა ძლიერ, ღონიერ ქედზე გადაიარა მიელი ქვეყნის უბედურებამ და რომელთა გარეშეც ვერც დავითი იდავითებდა და ვერც გიორგი ბრწყინვალე იბრწყინებებდა. დიახ, მათ და მხოლოდ მათ, ამ სამი მანკიერებისაგან განწმენდილებს საარაკო და ძალუბი სიყვარულით უყვარდათ სამშობლო და პატივსა და დიდებაზე არ გაცვიდნენ მშობლოურ მიწას, მათ იცოდნენ თავიანთი უზენაესი მოვალეობა — ოსთავის ცოცხლობდნენ და რისთვის უნდა მომკვდარიყვნენ, მხოლოდ იმიოთ მშობელ დედებს შეეძლოთ წარბშეუხრებად ეთქვით გულიდან ამოსული სიტყვები: „აბა, მამულო, გამოხრდიო მე ჩემი შვილი, სიცოცხლე მივეც, რომ შეიძლოს შენთვის სიკვდილი“, ანდა: „მას დედის ძუძუ ტბილი, შხამადაც შეტრგებია, მამულისთვის სიკვდილი, ვისაც დაზარებია“.

აი ასე, რალაც სასწაულებით მოვალწიეთ მეცხრამეტე საუკუნემდე და ეს მაშინ, როცა დედამიწის ზურგზე ვადაშენდნენ და ისტორიის კუთვნილებადა იქცნენ ერთ დროს ისეთი ძლევაშოსილი ქვეყნები, როგორებიც იყვნენ კართავენი თუ შაბილონი, ფინიკია თუ ასურეთი, ეგვიპტე, მიდია, სკითების ქვეყანა და სხვა მრავალი. მათი დაუდღურებინა და გადაშენების მიზეზი მარტო გარეშე მტრობა და ძალადობა როდი ყოფილა. ზოგი თუ მტრის

აღაღობამ მოსრა, ზოგიც, იქნება უმეტესობა; დაუდევრობამ, სიხარბემ, ფუფუნებამ და ნაბიჯმა ცხოვრებამ მოაღუნა, დაამბუნა, გადაგვარა და გადააშენა. როცა ესა თუ ის ვრი ეროვნულ მეობასა და ეროვნულ ფუნქციებს ჰკარგავს, მაშინ იწყება მისი დაქცევა და პირველ დამბობა.

კრწანისი საქართველოს დიდი ტრაგედია გახლდათ. იქ დატრიალებული უბედურების შემდეგ ჩვენი ერთი თითქმის სულთმომრავლი იყო. კიდევ ერთი პატარა დარტყმა და სიცოცხლის ის ნიშნაწყალი, რომელიც ძლიერს ზეუტავდა, სამუდამოდ ჩაქრებოდა, სამუდამოდ ჩაეფენებოდა საქართველოს შუგ და თუ ის საბოლოო, პატარა დარტყმა ვეღარ გაბედა გაბოროტებულმა საჭურისმა და ვერ დაიავიჯინა თავისი წინაპრების საუკუნო წადილი, მხოლოდ ამიტომ, რომ ჯერ კიდევ სული ედგა, ჯერ კიდევ მხნედ იყო ბუერის ღომი ერქალე, ჯერ ტორის ძალა შიშის ზარს სცემდა მთელ აღმოსავლეთს.

კრწანისის ტრაგედიის შემდეგ საქართველოს დედაქალაქში ოცი ათასი მაცხოვრებელი დარჩა, თითქმის იმდენი, რამდენიც დღეს ორ სოფელშია, მარტყოფსა და შილდაში. იმ ოცი ათასიდან მშინდა ქართველი ალბათ ნახევარაც არ იქნებოდა, სოფლები დაწურტელი და გაჩანაგებული იყო. საქართველოს უმწეო ყოფამ დაჩქარა ალბათ ის დიდი მოვლენა, რასაც რუსეთთან ქმობის ფიცი ერქვა და რაც ერთადერთი გამოსავალი გზა იყო ჩვენი ფიზიკური არსებობის შესანარჩუნებლად და რისთვისაც ადრევე მცდელობდნენ ჩვენი წინაპრები.

მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს აღსრულდა დიდი ხნის მცდელობა და ჯერ აღმოსავლეთ საქართველო დაუკავშირდა ფიციოთ რუსეთს, ხოლო შემდეგ დასავლეთი. დასავალი არ არის, რომ დღეს ზოგიერთები ერეკლეს ამ ნაბიჯს მცდარად თვლიან და საფლავში წარსაწყმედადაც კი იმეტებენ.

ღრმად ვარ დარწმუნებული, ვინც ერეკლეს ამ გადაწყვეტილებას შეცდომად თვლის, იმან ან ის არ იცის, რომ შავ დღეში ჩავარდნილი მაშინდელი საქართველო ყოფნა-არყოფნის მეჯნაზე იყო, ანდა ყალბი თუ ბრმა პატრიოტული ენით ძრახავს ერეკლეს. გარდა საქართველოსი, რუსეთის მაშინდელმა იმპერიამ კიდევ ბევრი ქვეყანა შეიერთა, საქართველოზე უფრო ძლიერაც და სუსტიც და იქაც ერეკლე ხომ არ იყო ბრალში? მაშ რა უნდა ექნა უმწეოდ დარჩენილს, დაქუცმაცებული ქვეყნის ერთი ნაწილის პატრონს, სად უნდა ექებნა გამოსავალი, ვის კალთას უნდა შეფარებოდა? ისიც ნუ დაგვაიწყებება, რომ იმ დროს ოსმალეთი ძლიერების მწვერვალზე იდგა, მას ზურგს უმაგრებდნენ ინგლისელები და ფრანგები და ბუნებრივად, ეს უკანას-

კენელი მის საწევნს ვერაფერს გაბედავდნენ. საქართველოს რუსეთთან საბოლოოდ შეერთება ბოლო მთელი ქვეყნის პოლიტიკური დაქუცმაცებას და საქართველოს ისტორიული მიწა-წყალი როგორც იყო გაერთიანდა. ამიერიდან გარეშე მტერი საშინაო აღარ იყო, სიმშვიდე ჩამოვარდა მუდამ მშობოთვარე საქართველოში.

შემდგომ ამისა, თუ სადმე განიონი და საერთაო იყო, ქართველ ხალხს უნდა ამოე-სურათქა, შეგება გერმონ და ძალა მოეკრიბა, მაგრამ ჩვენ, სიმშვიდეშპოვებულნი, რას ვაკეთებდით ქვეყნისა და ერის საეთილდლოდ, როგორ ვექცეოდით ქართველები ერთმანეთს, ჩვენს სისხლი სისხლთაგანსა და ხორცი ხორცითაგანს, მთელი ცხოვრება გარეშე მტრებთან ბრძოლებში რომ ვილეოდით და ვთავებოდით?

მეტად საგულენსხობა იმ დროს დაწერილი ალექსანდრე ამილახვარის წიგნი „ბრძენი აღმოსავლეთისა“, რომლის ავტორი მეთხველს ისეთ რჩევას აწვდის, რაც ოდნავ შეგნებული ერისთვისაც კი, თუ იგი მთლად დაცემული და გადაგვარებული არ არის, მეტად მარტივ ქეშპარიტებას წარმოადგენს. იგი ქართველებს ასე მოძღვრება ამ წიგნში: მეფეს თავისი ხელისუფლება ხალხისაგან აქვს მინიჭებული და არა დემოქრატისაგან, რომ აღამიანმა აღამიანი არ უნდა შეურაცხოს, რომ ქვეყნის სიმდიდრე გლეხის შრომას ემყარება და ამიტომ გლეხს ცუდად არ უნდა ვეპყრობოდეთ.

მაგრამ როგორ შევისმენდით ამ მარტივ მოძღვრებას და როგორ ვექცეოდით ერთმანეთს ჩვენ, უკვე გარეშე მტრებისაგან თავისუფალი საქართველები?

აი როგორ:

„საქართველოში მე-19 საუკუნის 30-40-იან წლებიდან ფულადი მეურნეობის განვითარებასთან დაკავშირებით გამწვავდა გლეხთა ჩაგვრა. მეზატონენი გლეხებს უფრო მეტ მუშაობას, სურსათ-სანოვავს და ფულს სთხოვდნენ. ხშირი განდა ყმა-გლეხთა ცემა-ტყევა, ხეზე გაკვრა, ბორკილის გაყრა, სარდაფში ჩაგდება, ურმებსა და ევერში შეგება, უღლის ქვეშ სიკვდილი, ცოლებსა და ქაღირსელების გაუპატრება. მეზატონენი ხშირად ყმებს ოჯახიდან მოწყვეტიოთაც კი ჰყიდიდნენ, აშორებდნენ მშობლებსა და შვილებს, რომლებსაც ზოგჯერ ცხენებზე, ქორ-მიწინოებსა და მიძებარ ძაღლებზეც კი უტევიდნენ“ (ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი, „საქართველოს ისტორია“, ნაწ. I, გვ. 428).

აი, როგორ ვექცეოდით გარეშე მტრებისაგან უკვე თავისუფალი ქართველები ჩვენს თანამოქმედებს. საკუთარი ხელით ვივსრიდით ყელს, წვენი ნებითვე ვანგრევდით ჩვენს ფუ-

ძეს და საკუთარი ჭერი ჩვენზე ხელით გვემ-
ხოზოდა თავზე.

ოი, კიდევ ერთი საბუთი, ოქცის მმართვე-
ლობაში რომ წარმოუდგენია ერთ-ერთ თავადს
(მის გვარს შეგნებულად არ ვასახელებთ, რად-
გან ახლაც ბევრი არიან ამ გვარისანი და უზ-
ერხულად მიგვანინა):

„გლეხები ღმერთმა ჩვენთვის გააჩინა, ისე
როგორც ძროხა, ცხენი და სხვა ცხოველი
ადამიანისათვის, რომელიც ხანდახანს ნებე-
რობა და ურჩობის იჩენს, მაგრამ მას ჯობით
ამწვიდებენ. ასევე საჭიროებს გლეხი დამწვი-
დებას. როგორც ცხოველისაგან ადამიანი არ
გამოიჭრება, ისე გლეხისაგან ადამიანი“ (ქ.
ბორიზინი „სამეგრელო“, გვ. 358).

შემაძრწუნებელი საბუთია, რომელიც სულ
რადც ერთ საუკუნეზე ცოტა ადრეა დამწ-
ერილი.

„ზატონყმურ სამეგრელოში იშვიათი არ
იყო მებატონეთა და ყურსალთა მიერ ყმების
გატაცებისა და ყიდვა-გაყიდვის მაგალითები.
ზუგდიდის რაიონის ზოგიერთი გეოგრაფიული
პუნქტის სახელის წარმოქმნას ამ მოვლენას
უყავსობებენ. მაგ. ანაკლია, შავი ზღვის ყურე
ზუგდიდის რაიონისა, ყმების სავაჭრო პუნქ-
ტად ყოფილა აღიარებული. თურქებს აქედან
გაჰყავდათ სამეგრელოში ხარკის სახით მოგ-
როვილი და მებატონეთა და ყურსალთა მიერ
გაყიდული ადამიანები.

ენგურის შესართავთან, ანაკლიაში შესყი-
დულ ტყვეთათვის ყოფილა საგანგებოდ აგე-
რული ციხე-ჯიხა, რომელიც ამჟამადაც დგას
ენგურის შესართავთან ანაკლიაში. აქედან ზო-
მოდღე გადყვანისას ტყვეთა გლეჯა-ჭკითინი
და ყვირილი ზარავდა ამ კუთხეს“ (აქართული
ხალხური პოეზიის მასალები“. მეცნიერება,
1971 წ.).

ამ სტრიქონების წაითხვისას საოცარი სიც-
ხადით დადივდებით თვალწინ ჩაქალყურებით
(მძიმე ჯაჭვი) დასმული და ხუნზე გამბული
ყმა-გლეხები, ლურჯად მღელვარე, შემზარავდ
ლამაზი ზღვა. ამ ზღვაზე გადის მოუსაველეთო-
საკენ მიმავალი გზა, სადაც პირუტყვებით
მიერკევიან თანამოქმეთაგან გაყიდულ და გან-
წირულ თანამოქმეებს. უცნაური სიცხადით
სჭვრეტ ყოველივე ამას და ყურებში ჩაგეს-
მის ის შემზარუნე, გულსაკლავი გოდება, რო-
მელიც მხოლოდ სამშობლოდან, მამა-პაპებულ
მიწა-წყლიდან სამუდამოდ მოწყვეტილ ქართ-
ველებს აღმოჩნდებათ.

განა ამაზე მეტს რას გვიშვებოდნენ სპარ-
სელები და თურქები, არაბები და მონღოლე-
ბი?

ყოველივე ამის შემდეგ განა შეიძლება არ
გაგმსკვალის შემზარება და ყოვლისდასაქუ-
ველმა ეჭვმა, — ნუთუ ასეთ ერს და ამნირ
ქვეყანას არსებობა უწყრია? ხომ არ ვადგე-
ვირთ იმ დასაქვეყარ გზას, რომელმაც საბო-

ლოდ უნდა დაგვივას წერტილი? ნუთუ გა-
რველმა ეჭმა, ათასი ჯურის მტრებისგან რის
ვაი-ვაგლახით გადარჩენილმა, თვისი ქვეით
უნდა მოიკვიდინოს თავი სწორედ იმ წემით,
ჩამოთვლილ მანკიერებათა მიხეზით, თავი-
დანვე რომ მოგვდამადა თურქე?

დიხ, აღარ იყო მეფე — ქვეყნის პატრონი,
ჩვენი თანდაყოლილი მანკიერებების დამთრ-
გუნველი და ამოხეტა ჩვენმა ბუნებამ, ჩვენ
მა სენმა, განიხვნა ვა სავალი დიდებისმოყვა-
რობამ, ვერცლისმოყვარობამ და გემოთ-
მოყვარობამ, რის გულსითვისაც უყოყმანოდ
ვწირავდით ჩვენს სისხლს სისხლთაგანსა და
ხორცს ხორცთაგანს, დაგვიბრძავა თვალე, და-
გვიხშო გონება სიხარბემან ჩვენმა.

ერთ დროს ჩვენი მყრობელი ქვეყნები რა-
კი ვეღარ ბატონობდნენ ჩვენზე და ხარკიც
ვეღარ მიჰქონდათ, ჩვენმა თავადებმა დაიწყეს
ნადირობა ყმა-გლეხებზე. იჭრადნენ მათ და
ოქრო-ვერცხლზე ჰყდიდნენ, სიხარბით გონე-
ბადაზღულებით იმაზე აღარ ფიქრობდნენ ამ სა-
ქციელით რას უქადდნენ საკუთარ ქვეყანას,
რას უტოვებდნენ შიამომაგლობას, რა ბოლო
ეწებოდა საქართველოს, ოღონდ კი დღეის
ცხოვრებით ეცხოვრათ, ოღონდ კი საკუთარი
ჩიბე გაესქვლებინათ, ოღონდ კი ერთმანეთს
არ ჩამორჩენოდნენ ქონება-სიმდიდრეში, ქა-
მა-სამასა და დროსტარებაში. დიხაც, არ უნ-
დოდათ, არ სურდათ და არ ეწადათ განეჭვრი-
ტათ ხვალინდელი დღე, ქვეყნის მომავალი.
ეტყობა, ესეც ჩვენი საერთო სენი ყოფილა,
თორემ ჩვენ რომ მომავალი განგვეჭვრიტა,
ჩვენი სოფლები ასე არ დაიწორებოდა, ჩვე-
ნი მიწა-წყალი მტკაველმტკაველ არ გაიყიდე-
ბოდა და მას სხვა არ დაეპატრონებოდა და
რაც ყველაზე მოგარია, ისეთი საგანგაშო დე-
მოგრაფიული ვითარება არ შეიქმნებოდა სა-
ქართველოში, როგორც დღეს არის და რო-
მელიც გადაშენებით ვეიმუქრება. დიხ, გა-
დაშენებით ვეიმუქრება სრული ამ სიტყვის
მნიშვნელობით და ეს გადაჭარბებულად ნე-
რავის მოეჩვენება. იგი საჩინო შემზარტება
და ამაზე საუბარი ქვემოთ ვეიმუქრება, მანამდე
კი ისევ ძველ სატკივარს მიეუბრუნდეთ.

მიუხედავად ზემოხსენებულ მიზე მდგო-
მარობისა, გარეშე მტრებისგან განათვისუფ-
ლებულმა საქართველომ მაინც დიდი შეება
იგატნო. მოსახლეობამ იწყო მტრუნება. მუდ-
მივი ბრძოლებსაგან და მტრების მალამალ
აწიოებისაგან მოსვენებული ქართველი გლე-
ხობა მონატრებულ მიწას მიუბრუნდა და სულ
მოკლე დროში საოცრად აღორძინდა სოფლის
მეურნეობა. შეიძლება დღეს ზოგზოვისათვის
გასაკვირი იყოს ის გარემოება, რომ 1880-იან
წლებში საქართველომ დასავლეთ ევროპის
ბაზრებს ყოველწლიურად 5-6 მილიონ ფუ-
თს სიმინდს აწვდიდა, რომ მართო თელავის მაზ-
რამ 1840-იან წლებში ერთი მილიონ 300 ათა-

ს ვეღარ ღვიწოთ გაყიდა, რომ 1842 წელს სიღნაღის მაზრაში თუ კომლ გლეხს ჰყავდა 1064 სული მსხვილფეხა პირუტყვი და 7170 სული წვრილფეხა პირუტყვი, რომ ამ თუც კომლს ყოველწლიურად მოჰყავდა 16 609 ფუთი ხორბალი და აყენებდა 8 194 ფუთ ღვინოს.

ღიან, მოშენდა სოფლები, იმატა მოსახლეობამ, მაგრამ იმისათვის, რომ ერი ვრად დარჩეს, აღორძინდეს და ეროვნული მეტობა და ფუნქციები არ დაეარგოს, ზნეობრივად არ გადაგაარდეს და არ დაენინდეს, მარტო სიმდიდრე და მშვიდობიანობა როდი ყოფილა გადაწყვეტი. ასე რომ ყოფილიყო, მაშინ დიდი ილია აღარ დაიჩვილებდა გულდამწვარი: «ვაი იმ ხალხს, რომელსაც საერთო ძარღვი გაუწყნდა... ანდა „განეთვითულდით, ცალ-ცალკე დაეშალებინათ... გრძნობა დაგვიანამცეცდა, ზნეობითად დაეპატარავდით».

ბატონყმობის გაუქმების შემდეგ ქართველი თავადები (მცირეოდენის გამოკლებით) ისეთი უშუქონი, ბედოვლათები აღმოჩნდნენ, რომ ყმების გარეშე დარჩენილბმა საკუთარ დედულ-მამულს ვეღარ მოუარეს. იმას უნარიც არ აღმოაჩნდათ მაქირავები მუშახელით მანინუ დაემუშაუბინათ მიწა და მეურნეობას წასძლოდნენ. ადგნენ და ყველაზე იოლი გზა გამოანხეს, რაც საქართველოსათვის ღახვარის ჩაცემა იყო, — ადგილ-მამულების გაყიდვა დაიწყეს. ვინ იყვნენ ამ მამულების მყიდველები? სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები, ვისაც ვაჭრობისა და მეურნეობის წაძლოის უნარი ჰქონდა, ვისაც ჭკუა-გონება უჭრიდა და უფრო შორსმჭვრეტელი იყო.

ასე იყიდა 1860 წელს ვაჭარმა ალექსანდრე ანაბოვა 5 ათასი დესეტინა მიწა იმერეთში. შეიძინა ქარხნული გუთნები, სათესი მანქანები, ბამბის საწმენდი ჭინები და რაციონალურად გამოართა მეურნეობა. შემდეგ ამ მეურნეობას სათავეში ჩაუდგნენ მისი შვილები, მიხრანი და აბგარი. მათ უმადლესი განათლება საფრანგეთში მიეღოთ. ერთში მიეყნახებოდა მელდინეობას მოჰკიდა ხელი, ხოლო მეორე აჯამეთის განთქმულ ტყეს დაეპატრონა.

ღიდევარმა კ. პობოვა აჭარაში 300 დესეტინა მიწა იყიდა. მან ჩაის მეურნეობას მოჰკიდა ხელი და თავის მეურნეობაში 2 მილიონი მანეთი დააბანდა. ამოაშრო ჭაობები, გაიყვანა გზა-ბილიკები, ააგო მრავალი სამეურნეო თუ საცხოვრებელი სახლები.

ბორჩალოს მაზრის მთიან ზონაში კი მეცხოველეობის პირველი კაპიტალისტური მეურნეობა ალექსანდრე კუჩენბახმა დააარსა. მან 7 ათასი დესეტინა მიწა იყიდა. ყოველწლიურად 2 000 ფუთ ვეცარულ ყველსა და 300 ფუთ კარაქს ამზადებდა.

ასეთივე მეურნეობები შექმნეს იჭარით ალ-

ბულ მიწაზე შვეიცარიელმა ტერმა და ვინმე ქ. ნიდიგერმა.

ამ დროს რას აკეთებდნენ ჩვენი თავადები, ვის ხელშიც ეს მიწა-წყალი იყვნენ დაკარგული? გრძნობდნენ კი რა საშვილიშვილო დანაშაულს იდგნდნენ ერისა და ქვეყნის წინაშე?

თქვენც არ მომიკედეთ. ქვიფში ატარებდნენ დროს, ჭორ-მეჭებრებს უსტვენდნენ და უწრუპუნებდნენ. აბა ვაჭრობა და მეურნეობა რა ამათი საქმე იყო, რა ამათი საყადრისი იყო, ვილას უნდა ეცეკვა, ემღერა და დარდმანდობაში ვატარებდნა დრო?

ასე თანდათან ხელიდან გვეცლებოდა ყველაფერი ჩვენი ბედოვლათობითა და დაუდევრობით, სოფელსაც სხვები ეპატრონიებოდნენ და ქალაქსაც. თბილისი აივსო ეცებო ვაჭართა სევაჭროებითა და სასახლეებით, ქუჩებს, მოედნებს და უბნებს არაქართული სახელები დაერქვა.

საბჭოთა პერიოდში ჩვენი წინდაუხედაობით გლეხკაცს მიწა და პირუტყვი შევაძულეთ, ის მიწა, რომელიც დამაბრმაგებელ სისხარბმდე უყვარდა და ზოგჯერ გოვი მიწისათვის დეძულ ჰქმსაც კი არ ინდობდა, მაგრამ ყველა ამ შეცდომამ თუ შეცოდებამ მარტო ჩვენს თავზე როდი გადაიარა, მთელი ეს რთული და წინააღმდეგობებითი სავეტ ებოქა საბჭოეთში ყველა მოძმე რესპუბლიკამ გაიარა, ამაზე ნულარ ვიფუწუნებთ. ახლა იმაზე ჩავფიქრდეთ და იმას ჩაუდრმავდეთ, გუშინ და გუშინწინ როგორ ვიქცეოდით, როგორ ვცხოვრობდით და ისევე და ისევე ჩვენსა დაუდევრობამ, წინდაუხედაობამ და ძველისძველმა მანიერებამ დღეს საღამდე მიგვიყვანა და ხვალ რა გველის. განა მოიხსნა დღის წესრიგიდან ის ჭირთაჭირი ქართველებსა, რომელზედაც ილია გოდებდა?

ვაი, რომ არ მოხსნილა, ვაი, რომ ბევრი რამ დაეკარგეთ, ბევრი რამ წაეხანდინეთ და ხვალ კიდევ უარესი გველის. «რაკი ის დიდებული ქართველობის აზრი, ის საყოველთაო სახელი გონებდამ გამოგვეცალა, ჩვენი გონება დაიფუყა, სულითა და ხორკით დავეუწმავდით, გონება ჩვენი, როგორც ყოველივე სიგანი, რომელიც დაიფუყება, შეგვივიწროვდა, დავკისუსტდა და რასაკვირველია ვეღარაფერს ფართოსა და დიდს აზრს ვეღარ დაიტევდა და ვერ ზიდავდა. ამ მიზნით ყოველივე აზრი, ფიქრი, სურვალი, გრძნობისა დაგვიანამცეცდა, გონებითად, ზნეობითად დაეპატარავდით».

ერთი საუქუნის წინათ ნათქვამი ეს სიტყვები როგორ ესადაგება ჩვენს ყოფასა და ცხოვრებას.

«გონებადამცეცებულ გონებითად და ზნეობითად დამატარავებულ» ერს კი, ბუნებრივია, აღარც ეროვნული მეტობა და ფუნქცია გააჩნია და აღარც ეროვნული მოვალეობის შეგნება აქვს, ასეთი ერი მთელი არსით ეც-

წევს ნეტარ ძილს, ნებინობასა და ფუფუნედას. ვატყობთ, რომ მკურნალობის გეგმაში, გათვალისწინებულია შეფარებულია ერთმანეთში, რაც შეიძლება დიდი და უკეთესი სახლები იმუშაონ, სხვაზე უკეთ მოაწყონ, სხვაზე მეტი იმოქმედონ, თხემით ტერფამდე სისხარბით შეეკრობილებს ესმობათ გონება და ღიებობისყოველგვარი, ვერცხლისმოყვარეობით და ვემოთ-მოყვარეობით დაბრმავებულები განუკითხავდ უკლებლად თანამოქმედებს, თრ გროშად ჰყიდი-ან მიწა-წყალს უცხო ტომებზე.

სიტყვა რომ არ გაგვიგრძელდეს პირდაპირ დაეწყოთ, ჩვენს მრავალ სატყვიართაგან ყველაზე უფრო დიდი სატყვიარიდან — ერის სიმრავლიდან. რამდენი ვართ დღეს და თუ ასე გაგრძელდა ჩვენი დემოგრაფიული მდგომარეობა, რამდენი ექნებოდა ხვალ და ზეგანდა ვიქნებით კი საერთოდ?

ერის სიმრავლე, დაცარიელებული სოფლები, მიტოვებული მიწა-წყალი, აი, ჩვენი ყველაზე დიდი და თავში სახლელი სატყვიარი. ვიდრე იმ მიზეზებზე ვილაპარაკებდეთ, რამაც მრავალშვილიანობაზე უარი გვათქმევინა, მანამდე რამდენიმე საკულისხმო და საგანგაშო ციფრები უნდა მივიყვანოთ.

1979 წელს საქართველოში ცხოვრობდა 4,993,2 კაცი. აქედან ქართველები იყვნენ 3,433 ათასი. ესე იგი 68 პროცენტი.

ქართველებში შობადობა თუ ისე გაგრძელდა, როგორც დღეს, თრმოცდათი წლის შემდეგ 36 პროცენტიდა ექნებოდა, ხოლო ასიოდე წელში 7 პროცენტამდე დაეკლებოდა რაც უკვე ერის ფიზიკურ სიკვდილს მოასწავებს.

ჩვენი ნათქვამი რომ ვინმეს დემოგრაფიად არ მოეჩვენოს, ისევე ციფრებსა და ფაქტებს მივმართოთ.

1981 წელს საქართველოში მოსახლეობის ბუნებრივი მატება წელწინადად ყოველ ათას კაცზე 9,5 იყო, ხოლო მოქმედ რესპუბლიკებში — აზერბაიჯანისა და სომხეთში, შესაბამისად 18,4 და 17,1 გახლდათ.

ისიც უნდა გიცოდეთ, რომ ის 9,5, რომელიც საქართველოში მატებათ აღინიშნება, არაქართულ მოსახლეობაზე მოდის, მეტწილად კი აზერბაიჯანელებზე, სომხებსა და ქურთებზე.

საქართველოს ზოგიერთ რაიონში კი მატებას ვილა ჩივის, კლება აღინიშნება. მაგალითად, ამბროლაურის რაიონში 1981 წელს ყოველ ათას კაცზე კლება 10 იყო.

დაბალ დონეზეა ბუნებრივი მატება იმერეთსა და გურია-სამეგრელოში. ბოლო წლებში რაქალეჩხუთში დაბადებულთა რიცხვი ნაკლებია გარდაცვლილთა რიცხვზე. უკანასკნელ თრ აღწერის შორის (1970-1979 წ. წ.) საქართველოს 35 ადმინისტრაციულ რაიონში (69-დან) მოსახლეობის რიცხვი შემცირდა (ხოლო სოფლის მოსახლეობა 44 რაიონში). მოსალოდნე-

ლია, რომ 90 წლისათვის ანალოგიური მდგომარეობა შეიქმნას 53 რაიონში.

ქართული მოსახლეობა ძალიან ნაკლებია (ხოც რაიონში 10 პროცენტამდე მხოლოდ) მანისის, გარდაბანის, ახალქალაქის, ახალციხის, ბოგდანოვკის, წალკის, ადიგენის და თეთრიწყაროს.

განა ყოველზე ამის შემდეგ არ ითქმის, რომ ჩვენი ერის ყოფნა-არყოფნის საკითხი დღეს არანაკლებ მამართად დგას დღის წესრიგში ვიდრე ოდესმე?

შინც რომ გამოიწვიო ასეთი რთული დემოგრაფიული ვითარება, რატომ ვთქვით უარი გამრავლებაზე, მით უფრო ისეთ გარემოცვაში, როგორშიც საქართველოა? (ყველაზე მრავალეროვნად და ინტერნაციონალური რესპუბლიკა)

მეგანა და მეგანთაგან სშირად გამიგონია (ისეთებისგანაც კი, ვისაც ქუთა უნდა მოეკითხებოდეს), ცხოვრებას ცუდი პირობებია იმის მიზეზი, რომ არ გამრავლებითო.

ეს მცდარი და გულუბრყვილო აზრია. გადაბედეტ სტატისტიკას და მაშინვე დაჩქმუნდებით, რომ არც ერთი შემცლებული და თუ ვნებათ მდინდარი ქართველი კაცი არ არის მრავალშვილიანი. თუმცა მრავალშვილიანობას ვილა ჩივის, თრ შვილი ძნელად ჰყავთ.

ამის წინათ ჩემი კოლეგები ვაცხარებულები ამტკიცებდნენ, რომ საქართველოში ჩაის კულტურის დანერგვამ და იქ ქალების ფიზიკურად მუშაობამ ხელი შეუწყო შობადობის შემცირებას.

მე კამათში არ ჩავერთი, რადგან ვიცოდი ამ ურწმუნო თომებს მაინც ვერ დაეარწმუნებოდა. რა გულუბრყვილო, მიამიტური და ქველას მოკლებული თავის მართლებამ. ნუთუ ჩემს პატივცემულ თანამოქალაქებს, თუ საუთთარი თვალთ არ უნახავთ, ვაზეთებიდან მაინც არ გაუგიათ, რომ აჭარასა და სამეგრელოში სწორედ ჩაის პლანტაციებში მომუშავე ზოგიერთი ქალი რვა და თრ შვილს ზრდის, ნუთუ მათ არ იციათ, რომ ქვემო ქართლში მაცხოვრებელი აზერბაიჯანელი ქალები, რომელთაც ფიზიკურ შრომაში ტოლს ვერავენ დაუდებს, მასიურად მრავალშვილიანები არიან. ნუთუ ისინი, ჩემი პატივცემული კოლეგები პირადად არ იცნობენ საქმაოდ მსუყვე და უზრუნველი ოჯახის დიახასისებს, რომელთაც შინაპროპაგანდურებშიც კი ჰყავთ, რომ საოჯახო საქმით არ გადაიტვიროთ თავი და რომლებიც მიუხედავად ასეთი ფუფუნებისა, მხოლოდ ერთ შვილს აჩენენ?

მაშ რათ ვიბრძობებთ თავს, რათ ვეძებთ ლობე-ყორებს და რათ ვასახლებთ ისეთ მიზეზებს, რომლებიც ვერაფრით ვერ ამართლებს ჩვენს დამკლუპველ დაუდევრობას და უპასუ-

ხსმებლობას ჩვენი ერის, ჩვენი სამშობლო-სა და ჩვენი მომავლის წინაშე!

ეინ, ვინ დაგვარწმუნებს იმაში, რომ ჩვენ, ვისაც ერთადერთი შვილი გვყავს, უფრო უარეს პირობებში ვცხოვრობთ და უფრო მეტი ჩაფა გვადგას, ვიდრე ჩვენს მამა-პაპებს, ვისთვისაც ექვსი და რვა შვილი თითქმის ჩვეულებრივი მოვლენა იყო?!

ჩანში შესულ ხალხს კარგად ახსოვს, რომ ბუდრუგანა სახლებში რვა და ცხრა დამა იზრდებოდა, ხოლო დღეს რვა-ათ თოთხიან სახსლეში ერთი ან ორი შვილი თუ დაიკვირვებს. ისინიც სიყმაწვილეშივე სტოგებენ სოფელს და ეს სასახლები სამუდამოდ გამოეცტილები რჩება. ასეთი მიტოვებული სახლები რამდენიც გნებავთ იმდენია ჩვენს სოფლებში და თუ ვინმეს ეჭვი ეპარება, ამის შემოწმება და საკუთარი თვალით ხილვა ძნელი არ არის.

ვიცი, ამ სტრუქტურების წაითხვისას ბევრი მეშინია იტყვას და იფიქრებს, მაშინ სხვა დრო იყო, ამდენი მოთხოვნა და გემოვნება ვისა ჰქონდაო, მაგრამ ამ მეშინა ის არ იცის, რომ ადამიანის მოთხოვნა და მადა უძირო უფსკრულია და შენ, ადამიანად წოდებულმა, ვინც ბუნების გვირგვინის სახელი მიიტაცე, თუ ეს მადა არ დაიკვირე შენი გონიერების წყალობით, შეძლებდი იმ უძირო უფსკრულში სამუდამოდ შოინთქე.

იმ მეშინას ალბათ არც ის მოეხსენება, რომ ხუთი და ექვსი შვილის დედაც არ არის ისეთი ბრწყინი, იმასაც არ ჰქონდეს მოთხოვნილება და გემოვნება, არ იცოდეს ფუფუნების ფასი, მაგრამ მან შეგნებულად თქვა უარი ამ ფუფუნებაზე და ის მსხვერპლი გაიღო, რომელიც დედას აკისრია ვალად და რომელიც ესოდენ ესაჭიროება თავის სამშობლოსა და ერს.

ამის მთქმელმა მეშინამა იქნებ ისიც არ იცის, რომ დღევანდელ ქართველს ათწილ ურჩევნია ათოთხიანი სასახლე წამოჭობის, ძვირფასი ავეჯით გამოტენის, ნაირნაირი ჩაიცვას და ერთადერთი შვილი იყოლიოს, იმას კი ვერ მიმხვდარა, იმ ეროვნულ შეგნებად ვერ დასულა, რომ თავისი ცხოველური მადა და სისხარბე როგორმე დაიკოს, სამ სართულიანი სახლის ნაცვლად (რომელიც, ეჭვი არ მეპარება, მეზობლების ჯიბრით ააშენა) ზომიერი სახლი აიშენოს, ზომიერად მოეწყოს და სამაგიეროდ ერთი შვილის ნაცვლად სამი და ოთხი მინიმუმ გაზარდოს.

რატომ? იმიტომ, რომ მას, გახარებულსა და საშოგარზე გადაგებულს, უკვე დაკარგული აქვს ეროვნული ფუნქცია, ეროვნული მეობა და, რაღა თქმა უნდა, ერისა და სამშობლოს წინაშე პასუხისმგებლობისა და მოვალეობის გრძნობა.

მას აღარ გააჩნია მემკვიდრეობით თანდა-

ყოლილი თვისება — მსხვერპლი გაიღოს მამულისათვის, რადგან მის არსებობაში უკვე ჩამკვდარა მამულის სიყარული.

თობი და ხეთი შვილის გაზრდა და ცვერა შეედრება იმ ხარკსა და მსხვერპლს, რომელსაც სამშობლოსათვის გაიღებდნენ ხოლმე ჩვენი წინაპრები, ისინი, ვინც საკუთარ და საკუთარი შვილების სიცოცხლესაც უყოყმანოდ შესწირავდნენ მას.

ერის ზერხემალი მუშა და გლეხია. ვაი იმ ერს, რომელსაც ეს დედამობი გადაუტყდება, ვაი იმ ერს, რომელსაც მარტო ინტელიგენცია ზერხება ხელში.

უზერხებლო ერი საძირკველმორყეულია და დასალეუვად არის განწირული.

ჩვენი საქმე კი ისე მიდის, რომ მალე ეს დედამობი გამოგვეცლება.

ვიცი, მკითხველი იკითხავს, ვითომდა რატომ არ გვექნება ეს დედამობი ხელ და ზეგ, რატომ არ გვეყოლება მუშა და გლეხი. იმიტომ, ჩემო კეთილო, რომ ქართველი კაცი ერთ ან ორ შვილს აჩენს და მერე ყველა ღონეს ხმარობს, თუ ექიმს ვერ გამოოყვანს, ისეთი პროფესია მაინც მისცეს, რომ მიწას და სოფელს, ქარხანას, ფაბრიკას და ხელობას ზურგი აქციოს. თუ ამათაც ვერ მოახერხებს სიმღერას და ცეკვას რაღა უდგას წინ.

ეინ, ვინ ჩაგვაჯონა, საიდან გაჩნდა ქართველი კაცის ფსიქიკაში ის მანეხი ზნე და შეგნება, რამაც ერთხელ და სამუდამოდ გვათქმევინა უარი ჩვენს მშობლიურ და მარჩენალ მიწაზე, სოფლის მეურნეობაზე, ქარხანასა და ფაბრიკაზე, ვაჭრობასა თუ ხელოსნობაზე?

ვინ დანერგა ჩვენში ის მანია, რომ უშუკველად დიპლომი უნდა ჩავიდოთ ჯიბეში, ხოლო ზემოთ ჩამოთვლილი დარგები სხვის დაუთმობით და სხვის ჩაუფდობით ხელში?

ვისაც უნდა თავისი ქვეყნისა და მიწა-წყლის ბატონ-პატრონი თვითონ იყოს, ყველა დარგს თვითონ უნდა დაუფლოს. ჩვენ კი რა გავაკეთეთ? უარს ვამბობთ მიწაზე და მას სხვა ენატრონება — ამაზე მეტყველებს დაცარიელებული სოფლები ანდა სხვა ტომებით დასახლებული რაიონები.

ვაჭრობას ვუკადრისობთ და ეს საქმეც მთლად გამოგვეცალა ხელიდან.

უარს ვამბობთ ჩვენს ცხვარძროხაზე და სხვა ტომის მწყემსებს ექირაობთ.

ჩვენ რაღას ვეკვიდებით? ინტელიგენტობას, სიმღერას, ცეკვას, მეცნიერებას, ექიმობას, არტისტობას, ლექსების თხზვას, მხატვრობას და სხვა.

კუყუმლობანას ნულარ ვითამაშებთ და პირდაპირ ვთქვით ის, რაც ყველა ჩვენთაგანისათვის ცნობილია. ვაღიარობთ, რომ ექიმზე, მასწავლებელზე, მწერალზე, მეცნიერზე, ინჟინერზე ვაცილებით უკეთ ცხოვრობენ ვაჭრობის მუშაკები, კაფელისა და პარკეტის ხე-

ლოსნები, ავტობიოგრაფიის შემკეთებლები, დურგლები, მღვსავეები, მღვთავეები და ყველა იმ საქმის კაცი, რომელიც ჩვენი ამპარტყვეობის გამო განდევნებულ მოგვანია. ეს სპეციალები სხვა ტომის ხალხის ხელშია მოქცეული. ჩვენ კი ვეღარ მივხვდით და ვეღარ გავიგეთ, რომ ამდენი დიპლომაინი ქვეყანას აღარ სჭირდება.

ვითომ რა დაშავდებოდა ერთ ქართველ კაცს რომ ხუთი შვილი გაეზარდა და იმათგან ზოგი ხელობას მოჰკიდებოდა, ზოგს მიწისათვის მიეზება, ზოგს ვაჭრობის დარგში ემუშავა და ზოგივე მეცნიერებას ან ხელოვნებას გაჰყოლოდა? არა, ეს ჩვენი ფსიქიკიდან არ შეგნებიადნა შორსა დგას და თუ მიინცდიამინც გაჰყრა ღმერთი და ხუთი შვილი გვეყოლა, ხუთივემ აუცილებლად დიპლომი უნდა ჩაიდოს ან შეიძლება ხუთივემ ლექსების თხზვა დაიწყოს.

ჩვენი ხელოვნებისა და კულტურის დაწესებულებები ბერბიჭებითა და შინაბერებით არის საკვებ, რომლებიც თავიანთი „ინტელექტის“ გამო ვერ დაჰიროწინდნენ. სხედან ახლა ისინი თბილისურ ქორებსა და პოლიტიკაში ჩაფლულნი და ცხარედ მსჯელობენ საქართველოს ბედ-იბაბაზე, მის აწმყოსა და მომავალზე, თავს სდებენ პატრიოტიზაზე, მაგრამ იციან კი, რომ ამ თავიანთი „ინტელექტით“ იმის შეათედ სამსახურს ვერ გაუწევენ საქართველოს, ვიდრე იმით, რომ დროულად მოჰკიდებოდნენ ოჯახს და ერისთვის ორიოდვე შვილი მიინც შეემატებინათ.

გაოცებული ვრჩები, როცა ტელევიზორს ვუყურებ. ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ მთელი საქართველო მღერის და ცეკვავს.

ქართველ კაცს ბუნებითა და ჩიშით მოსდევა სიყვარულთა და უნარიც სპორტისა, სიმღერისა და ცეკვისა, მაგრამ იგი პროფესიად და ცხოვრების წყაროდ არ გაუხდია. მაშ დღეს რა დაგვემართა, განა შეიძლება ჩვენი მომღერალი, მოცეკვავე, მესტვირე, შეჩონჯურე, მეგობარე და სპორტსმენი სხვას ეყდეს კისერზე?

მიწის მითრება და სოფლების დაცარიელება მართო ეროვნული კი არა, სახელმწიფოებრივი ტრაგედიაა, რადგან სახელმწიფო ეკონომიურად დაბეჭდება. უნებურად გამახსენდა საქართველოს ბედკრული ისტორიის ერთი მონაკვეთი. იმ დროს აღმოსავლეთ საქართველოში დემეტრე თავდადებულის ძე დავით VI მეფობდა, ვისა უგუნურებითა და ბედოვლათობითად მთელი ქვეყანა აოხრდა და გაჩანაგდა.

უსამართლობისა და ძალადობისაგან შევიწროებული ხალხი მიწას და სოფლებს ტოვებდა და სხვაგან სახლდებოდა. ამ ვითარებაში ისე ვააღატაკა სახელმწიფო, რომ მონღოლებს სათანადო ღალა ვეღარ მიჰქონდათ და

მაშინდელი ირანის ილხან ეიზან კაენი იძულებული იყო ისეთი კანონი გამოეცა, რომელიც ვლახს მიწის მითრება და სხვაგან გადასახლება ეკრძალებოდა. ბუნებრივია, ყველგან საქართველოს დარდი კი არა შეხსენებდნენ თავისი სახელმწიფოს, რადგან საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიური დასუსტება მისთვის სიბა ზარალი იყო, ვინაიდან ამამყრობლურ რომეში ქართველთა ჯარის სიმღერეს ეყრდნობოდა.

ქართული სოფლების დაცარიელების ბევრ მიზეზთაგან ერთს უნდა ვაგვისეთ ხაზი საგანგებოდ, რადგანაც ამ მიზეზს რატომღაც ყველა გვერდს უვლის.

სოფელში აღარა ცხოვრობს (და ეს უკვე წესად დაინერგა) შემოქმედებითი ინტელიგენცია.

ყველასათვის ცნობილია, რომ მეცხრამეტე საუკუნეში საქართველოშიც და რუსეთშიც სოფლად უფრო დიდი ინტელიგენცია ცხოვრობდა, ვიდრე ქალაქად. მაშ დღეს, როცა მინოსკლისა და ურთიერთკავშირის საშუალებანი ესოდენ მაღალ დონეზეა, როცა თბილისში სუნთქვა და მოძრაობა ესოდენ ვაჭირდა, რად ამბობს ინტელიგენცია სოფელზე უარს?

რატომ არ შეიძლება სოფელში ცხოვრობდნენ მეცნიერები, მხატვრები, კომპოზიტორები და თუნდაც პირველხარისხოვანი მწერლები, მსახიობები?

ვინ დანერგა წესად ის, რომ თუ თბილისში არ ცხოვრობ, ვერც შენს შემოქმედებით საქმეებს მოაგვარებ და ვერც სახელს „გაიჩქელებ“.

ვინ დანერგა ის, რომ თუ მავანთან და მავანთან არ მძაკაობ, იგივე შენს კოლეგებთან, და წარამარა თვალში არ ეჩხირობი, თანამესუფრეობის არ უწევ, ბეჭდვაც გააგვირღვება, გამოცემაც და საერთოდ შეიძლება შენი არსებობაც დაავიწყდეთ?

ვინ დააწესა ის, რომ თუ უურნალის რედაქტორი არა ხარ ან გამომცემლობის დირექტორი, მოვარი რედაქტორი ანდა განყოფილების გამგე, უკეთესი ხელოვანიც რომ იყო, მიინც ჩრდილში იმყოფები და რაღაცეა ზარალიები.

რა არის ეს, გულისამბრევი პროვინციალიზმი, კაცმცუნობა, ჩვენი კულტურისა და ინტელექტის დაბალი დონე თუ სამივე ერთად?

საერთოდ XIX საუკუნის მწერლები ურთიერთს იშვითად თუ შეხვდებოდნენ ხოლმე. მთელი საფრანგეთში სახელგანთქმულ ბალსაკს თითზე ჩამოსათვლელი ადამიანები თუ იცნობდნენ პირადად.

რატომ არ შეიძლება რომელიმე ლიტერატურული უურნალი პროვინციაში არსებობდეს და მის უფრო ფართო მკითხველი ჰყავდეს, ვიდრე თბილისში არსებულ უურნალს?

რა დაშავდებოდა იმით, თუ გორის, თელავის ან სხვა პროვინციის თეატრი იმ დონეზე

იღვება, რომ ზოგჯერ თბილისელები იქ ჩადი-
რდნენ სპექტაკლის სანახავად და არა პირი-
ქით?

ყველა დიდი მსახიობი თუ რეჟისორი მან-
დამინც თბილისისაკენ რატომ უნდა ილტვო-
დეს?

განა რა დაწავლება, რომ მწერლები, მეც-
ნიკები, მხატვრები, კომპოზიტორები სოფ-
ლებში დავსახლოთ და მიეცეთ გასაქანი (მი-
წის ფართობი) საკუთარი მეურნეობა აწარმო-
ონ?

ადამიანი ბუნებით მიმბაძველია და გასაკვი-
რი არ არის თავისზე უფრო სახელმძღვანელო-
სა და განათლებულს მიბაძოს. ჩვენი ამ შვი-
დი ათეული წლის მანძილზე ისეთი ტრადიცია
დამკვიდრდა, რომ თბილისში მცხოვრები, თუნ-
დაც იგი პარაკმებერი ანდა ხარაბი იყოს,
თითქოს ჩრდილოეთ წარჩინებულა სოფელში
მცხოვრებზე. ამიტომ ყველა ცრუ თუ მავნე
სწორად მიმბაძველობით თბილისისაკენ ილტ-
ვის, თუ თვითონ ვერ მოახერხა იქ ჩასახლება,
ცდილობს შვილები მანც დააფუძნოს იქ.

ჩვენი აზრით ამ გარემოებას იმანაც შეუწ-
ყო ხელი, რომ სოფელში ინტელიგენცია და
თუ გნებავთ შემოქმედებითა ინტელიგენცია
ალარ ქაქანებს.

ჩვენი ერის მრავალ სატყეართაგან მეორე
დიდი სატყეარი ნარკომაანია. იგი თითქმის
უკუტრნებელი სენია ყველა ერისა და მითუმე-
ტეს ისეთი პატარა და თანაც საშუალო გარემო-
ცვაში ჩავარდნილი ერისა, როგორც საქართ-
ველოა და რომელსაც, პირდაპირ რომ ვთქვათ,
გადაშენება ემუქრება.

მართალია, ჩვენი სათანადო ორგანიზები ნარ-
კომაანის წინააღმდეგ დიდ ბრძოლას ეწევიან,
მაგრამ პირდაპირ უნდა ვიღიროთ, რომ ვერც
კანონის გამოკაცრება და ვერც უმაღლესი დო-
ნის პრობაგანდა ვერ შეაკავებს ამ ეროვნულ
სენს, თუ ღრმად არ ჩაიხედეთ მისი წარმო-
შობის მიზეზებს და არ მოესპეთ იგი. ქეძვი
მანც გაიხარება, რაც არ უნდა ძირში მოსქ-
რათ, თუ იგი ფესვიანად არ ამოძირკვეთ.

ყველა ბოროტება და მათ შორის ნარკომა-
ნაც უსაქმურობიდან, ფუფუნებიდან და უზ-
რუნველი ცხოვრებიდან იღებს სათავეს. გადა-
ხედეთ ნარკომაანთა გრძელ სიას (მათ შორის
იმათაც, ვინც ამ სიაში რატომღაც არ არიან)
და დარწმუნდებით, რომ მეტიწილი მთავანი
მსუფუ და მდიდარი ოჯახებიდან გამოსული
დედისერთები არიან, უზრუნველად, უსაქმუ-
რად და ნებიერად გაზრდილები, ვისმა მშობ-
ლებმაც უშრომელი და უპატიოსნო გზით
მოიპოვეს სიმდიდრე.

ორი დიდი ბოროტება არსებობს ამ ქვეყა-
ნაზე. ერთი — უღირსი და უფიცო კაცი რომ
გამდიდრდება და მეორე — ასეთი კაცი თა-
ნამდებობაზე რომ აღზევდება. ვერც უპატი-
ოსნო, ბნელი გზით გამდიდრებული და ვერც

თანამდებობაზე გაიძვერობით, რაცაც მანქა-
ნებით და ხრიკებით დაწინაურებული კაცი ვერ
გაუზრდის ქვეყანას ღირსეულ შვილს. ანდა
ცოლვა გამხელილი სჯობია, სწორედ მათი შვი-
ლები (თითქოს მეგვიდრეობით გადადიოდეს)
იკაჭებენ თანამდებობას ახალგაზრდობიდანვე
და მთელ გზაზე მწვანე შუქი უნთითა.

აბა რა შედეგი უნდა ჰქონდეს ნარკომაანის
წინააღმდეგ ბრძოლას მაშინ, როცა ზოგიერთი
ნარკომაანი გულენიანი ოჯახის წყალობით თა-
ნამდებობაზეა მოკალათებული. ბევრს კი ვლად-
პარაკობთ, მაგრამ ვერა და ვერ გადაფუძნებთ
გზა უშრომელი შემოსავლით გამდიდრებულ
ხალხს, ვინც როგორც ზემოთაც ვთქვით, ვე-
რასოდეს ვერ გაუზრდის ქვეყანას ღირსეულ
შვილს.

მე რომ მკითხოთ, ის ახალგაზრდა, ვინც
შრომის ფასი არ იცის, ჯაფაში არ გამოქვი-
ლა და გაჭირვება არ გამოთვლია, თანამდებო-
ბაზე არ უნდა იქდეს, რადგან ის ვერასოდეს
გაიგებს მშრომელი კაცის ფასს და ვერასო-
დეს ვანსჯის საპართალსა და უსამართლობას,
ვერასოდეს ჩაიხედავს გაჭირვებული კაცის
სულსა და გულში.

მოგახსენებთ, როგორ იზრდებიდნენ უფ-
ლისწულები. ბრძენი, გამსწავლულ კაცს ნიბა-
რებდნენ აღსაზრდელად და ის კაცი მარტო
სიბრძნესა და განათლებას კი არ აძლევდა მო-
მავალ მეფეს, არამედ გაჭირვებაში აბრძე-
ლებდა, ფეხშიშველი დაჰყავდა, აშინებულ-
და, ჯაფაში აწრთობდა, ძირისძირიდანვე ახე-
ლებდა ცხოვრებაში.

ღიბს, მომავალ მეფეს, დაღიბებულ ცხოვ-
რებაში შესულს, უნდა სცოდნოდა რა იყო
გაჭირვებული და ჯაფაში ჩავარდნილი კაცის
ცხოვრება, იმის უნარი უნდა ჰქონოდა, რომ
სამართალი და უსამართლობა სწორად განე-
საქა.

ზნეობითად და გონებითად დაპარატავდი-
თო, მოსტყამდა დიდი ილია და ამ ზნეობი-
თად და გონებითად დაპარატავებამ დღეს თით-
ქმის სავალალო შედეგამდე მიგვიყვანა.

ჩვენ მარტო სუფრაზელა შეგვჩნა ქართვე-
ლობა, როცა ყანწი გვიჭირავს ხელში და
ბრტყელბრტყელად ვლადპარაკობთ მამულსა და
წინაპრებზე, ქართველობაზე, სამშობლოს სი-
ყვარულზე. ის კი ვერ გაგვიგია, იმას კი ვერ
მიგმებდარვართ, რომ მამული, საქართველო
ცოლვე ცენება არ არის, საქართველო თვით-
ული ქართველია და ვისაც ის ქართველი
უყვარს, ვინც იმ მეორე ქართველზე, მის კე-
თილდღეობაზე არ ზრუნავს, ვისაც იმ მეო-
რე ქართველის ტყვიელი არ აწუნებს, იმას
არც მამული უყვარს და არც საქართველო.

„გიი იმ ხალხს... საცა თვითველი ყველასა-
თვის არ გაჭირობს და ყველა თვითველისათა-
ვის, საცა „მე“ ზმირია და „ჩვენ“ იშვიათი“.

განა ის ერი გადაკვარების გზაზე არ არის

დამდგარი, რომლის წარმომადგენელიც მომავლად თანამომეს მანამდე არ მოჰყიდებს ხელს გადასარჩენად, ვიდრე ვასამრჩელის არ წაჰკრეფს, ვანა ის ერი ზნეობითად არ არის დაცემული, რომლის წარმომადგენელიც გამოცდილად და ჩათვლაზე სტუდენტისაგან ფულს ითლებს, ვანა იმ ერს ყოფნა არ ვაუჭირდება, რომლის წარმომადგენელიც ფულს დამნაშავეს გაამართლებს და ღარიბ მართალს ვაპატიუნებს სამსჯავროს წინაშე. აბა არ ველაპარაკო იმ ერის წარმომადგენელს, რომელიც მრავალშვილიან ქართველს უბინად დასტოვებს და რაღაც ბნელი ხრიკით სხვას უკანონოდ მისცემს ბინას?

სად არის აქ ის ზნეობა, ის სამართალი, მამულისაღები და თანამომისნადმი ის სიყვარული, რომელიც ყველა შეგნებულ ერს უნდა ჰქონდეს?

პირდაპირ სამარცხვინოა ის ფაქტი, რომელიც თითქმის უკვე წესად დაინერგა ვაჭრობის სფეროში: არაიენ ხურდას არ გიბრუნებს. შეიძლება ზოგიერთს ეს წერილმანად მოეჩვენოს, მაგრამ ეს მოთელი ერის ზნეობრივ დაცემასა და გადაგვარებას მოასწავებს.

ბევრ, ძალიან ბევრ მანკიერებაზე შეიძლება კიდევ ლაპარაკი, რაც ჩვენი ერისთვის დამღუბელია, მაგრამ სიტყვა ისედაც ვაგვიზრძელდა და ამიტომ დღეს საფუძვლიანად დამკვიდრებულ ერთ მანკიერებაზედა შეგჩერდებით. ეს არის ძმაცემობა და ნათლიამობით (და არა ღირსებით) მავანთა და მავანთა თანამდებობებზე დანიშვნა.

ვაიხსენოთ რუს-ურბნისის ცნობილი საეკლესიო კრება, რომელიც დავით აღმაშენებლის ინიციატივით ჩატარდა. ამ დროს ეკლესიაში ღირსების მიხედვით კი არ ინიშვნობდა ხალხი, არამედ „უღირსთა და უწესოთა მამულობის უფრო, ვიდრე ღირსებით დაეყრნეს უფროსნი საეპისკოპოსნი, ვითარცა ავაზაკთა, და მათნივე მსგავსნი ხუცესნი და ქორეპისკოპოსნი დაედგინნეს“. სწორედ აქედან გამომდინარეობდა ის, რომ „სახლი უფლისაჲთ და მღვდელთაგან გამოვიდოდა ყოველი ურჯულთაჲ და ცოდვა“.

ეს იცოდა დავით აღმაშენებელმა და კრების ჩატარების მიზანიც ის იყო, რომ მხოლოდ ღირსებისა და არა ნათესაობა-მეგობრობითა და მეპყვიდრეობით დანიშნულიყო იქ ხალხი.

ქვეყნისათვის და ერისთვის ჭკუფლომანობასა და ძმაცემობის ნიშნით თანამდებობაზე დანიშვნას დიდი ზიანი მოაქვს, რადგან: ასეთ დროს ჩრდელში მდგომი ნიჭიერი, სათნო, პატიოსანი და ჭკვიანი ხალხი ცხოვრების ასპარეზის გარეთ რჩება და ეს მამინ, როცა სწორედ ასეთ ხალხს უნდა ვეძებდეთ.

ვისა რა საქმეა ვინ ვისთან მეგობრობა ყველას აქვს უფლება აირჩიოს მეგობარი, ძმაცემი, ამბოში კული არაფერია, მაგრამ როცა შენს ძმაცემსა და შენს მეგობარს შენს ნიშნავ, სადაც მის არ ეკუთვნის და ამის ხარჯზე უფრო ღირსეულს ივიწყებ და ჩაგრაყ, ეს უკვე ქვეყნის დაქცევა და განრწნაა. ეს ერის დაქინნებაა, მისი შეგნებისა და აზროვნების დამდაბლება, მისი ზნეობრივი და გონებრივი დააბატავება.

ამ ასიოდე წლის წინათ ეკვიპტეში ველური და გონებრივ-ზნეობრივად ჩამორჩენილი ბუშმენტა ტომი ცხოვრობდა. ერთი ევროპელი მისიონერი ჩავიდა და ორმოცი წელი ქრისტიანულ მოძღვრებას უქადაგებდა ველურ ბუშმენტს, რომ მათი სული და შეგნება ამაღლებინა. ორმოცი წლის შემდეგ მისიონერმა გამოცდა მოუწყო ბუშმენტს, რათა გაეჩვენა, რა ნაყოფი გამოიღო მისმა ორმოცწლიანმა ქადაგებამ და შრომამ. ბუშმენტებიდან ერთი გამოიყვანა და ჰკითხა: აბა მითხარი, რა არის ბოროტებაო. ბოროტება ის არის, უპასუხა ბუშმენტმა, — მე რომ ვინმემ ცოლი წაშარბავსო, ამ პასუხით კმაყოფილმა მისიონერმა მეორე კითხვა მისცა: აბა, სიკეთე რაღა არისო, სიკეთე ის არის, მე რომ ვინმეს ცოლი წაეშარბავო. დაბოლოებულმა მისიონერმა დანაშრჩენებს ჰკითხა, ეს კაცი მართალს ამბობს თუ არაო და როცა ყველა ერთხმად დაემოწმა, მართალს ამბობსო, მისიონერს გული გაუსკდა და იქვე ჩიაკეცა.

იქნებ მკითხველი ენიშნოს ბუშმენტის ეს პარადოქსული პასუხი. ენიშნოს იმეტომ, რომ დღეს ჩვენში ბევრი ცხოვრობს ასეთი ფსიქოლოგიით, თუ უკადრისი ხერხებით მიადწნა თავის სიკეთეს, თუ სხვას ბოროტებას უკეთებს ეს მისი შეგნებით ჩვეულებრივი ამბავია, ხოლო თუ სხვამ თავი დაიცვა, თავისი ხედიერ მოითხოვა, ეს მათი ვაგებით ბოროტებაა.

როცა ერი გადაგვარდება და დაქინდება, როცა ის ეროვნულ მეთობას, ეროვნულ ჭუნქციას და მამულის, სამშობლოს წინაშე მოვალეობის გრძნობას დაკარგავს, ბოლოს სწორედ იმ შეგნებამდე დაეცემა, რომელიც იმ ბუშმენტებს ჰქონდათ და ვაი იმ ერის ყოფნას და გაძლებას.

აი, საით მიდის ჩვენი გზა, აი საით მიჰყავს ბედისწერას მრავალტანჯული ჩვენი ერი და თუ ყოველივეს დროულად არ მიგზედეთ, დროულად არ ეუქმურნალეთ საქმით, მხოლოდ საქმით და არა სიტყვით საკუთარი ნებითა და დაუდევრობით ჩაიძირებით დამღუბველ მორეკვი.





გამოსვალური

ბოლო პერიოდის მწვავე სოციალური, ნაციონალური, ზნეობრივ-ეთიკური ხასიათის მოვლენებში, პუბლიცატივში და საჯარო გამოსვლებში, კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა ლიტერატურის, ხელოვნების, ურთიერთობების. კულტურის სფეროს მოღვაწეთა (საერთოდ ინტელიგენციის წარმომადგენელთა) გაზრდილ როლზე და მნიშვნელობაზე ჩვენს საზოგადოებაში. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში, — უკანასკნელ პერიოდში უკვე შესამჩნევად, — შედგა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, იდეოლოგიური დაწესებულებების და შემოქმედებითი კავშირების ხელშეწყობის მიზნით გორბაჩოვმა თავის გამოსვლაში განსაზღვრა ქვეყნის შემოქმედებითი ძალების ტაქტიკა და სტრატეგია, რომელიც პრინციპულად გამოიხატება თითოეული ჩვენთაგანის აქტიური მოქმედების აუცილებლობაში.

როგორც აღინიშნა დადავ ძველიდან ახალზე გადასვლის „ბუფერული“ პერიოდი, — სოლიტარული, ეკონომიკური, მმართველობით, იდეოლოგიურ ხედვებში განახლების, ცვლილებების, აქტიური მოქმედებების პოზიციების, დემოკრატიის დამკვიდრების უში. რეალიზების სამსახური პარტიისა და პრების მთავარ ერთობლივ საზრუნავადაა გაცხადებული. „პატრიოტიკური საჭიროება: წესრიგი, პასუხისმგებლობა, ინციპიენცია“. „ჩვენ გვჭირდება, ძალიან გვჭირდება ნაჭიერი ხელშეწყობის შემოქმედების ყველა სფეროში“. როგორც ჩანს პრიორიტეტი ისევ ადამიანს, მის ორგანიზატორულ, პროფესიულ, პიროვნულ თვისებებს ენიჭება.

პარტიის ლიდერის გამოსვლაში ნაზღაზნით ეთქვა, რომ „...ახლა მართლ მსუსხავი ფურხანისტური სიტუაცია არ ემართა. საქაროა შერთ კომპეტენტურობა. კომპეტენტურის ხალხი გვიჩვენება“. კომპეტენტურობა და პროფესიონალიზმი დროის აუცილებელი მოთხოვნაა, მთავალი წარმატებების უტყუარი საწინდარია.

პერიოდულ კრებაში, საკავშირო, ცენტრალურ, რესპუბლიკურ ურთიერთ-განხილვის, ტელევიზიაში ახტეე განხილდა და მომმტარდა ლიტერატურის, კულტურის, ხელოვნების სფეროს მოღვაწეთა წერილები და გამოსვლები ეროვნულ-პარტიულ საკითხებზე, ესტორიის თუ თანამედროვეობის, ფილოსოფიის, რელიგიის აქტუალურ საზოგადოებრივ პრობ-

ლემებზე. დღეს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კულტურის, ხელოვნების სფეროს კავშირის სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებთან. ინტელიგენტა, ხელოვანი, შემოქმედი, კულტურის მოღვაწე თანამედროვე პირობებში არის იდეის მწარმოებელი, მეცნიოვნე და გუთინისდედა.

დაინტერესებული სჯა-ბასი მიმდინარეობს ნაციონალურ, სოციალგაურ, ზნეობრივ-ეთიკურ საკითხებზე, რაც საზოგადოების სრულყოფის საწინდარია. რამდენიმე ზოგად მჭვალითზე შევხიარდები. დავიწუებ საკავშირო ცენტრალურ განუთებში გამოქვეყნებული ზოგიერთი წერილით, შემდეგ კი „შინაურებზე“ მოგახსენებთ.

ეროვნებათაშორისი ურთიერთდაშოკიდებულებების ერთი ნეგატიური ხასიათის მანიშნებელი და დამახასიათებელი ფაქტი იყო 1988 წლის 14 ოქტომბერს საკავშირო ტელევიზიის პოპულარული გადაცემის „ვსკლიადის“ ერთ-ერთი სიუჟეტი, რომელიც გადაცემის წამყვანმა და საერთაშორისო მიმომხილველმა ვლადიმერ ცვეტოვმა ქართული „ტრისტანის“ — ლევანის და რუსი „როლოდის“ ფსევდოტრაგიკული „მიხსა“ მრავალ ათეულმილიონიან საკავშირო ტელეაუდიტორიას წარუდგინა.

რა იყო ეს? ზნეობრივი წუნი თუ პროფესიული უპასუხისმგებლობა? საქაროობის, პლურალიზმის „კლასიკური“ გაკეთილი თუ შოკინისტური გამოსვლის საფორმაციო მაგალითი? ალბათ ყველაფერი ერთად და ცალ-ცალკე.

განათლებული, გამოცდილი, მრავალტორიანხულ თუ პროფესიულ აღიარებას ნაზარება ურნანლისტის მიწნობრივი საჯარო გამოსვლა, ნაბეჭდი თქმა „სოციალური, პოლიტიკური აქცია“. ამიტომ იყო, რომ ამ გადაცემაში ჩვენი საზოგადოების საფუძვლიანი აღშფოთება გამოიწვია.

და აი, გამოძახილი. 21 ოქტომბრის პროგრამა „ვსკლიადში“ ორმა წამყვანმა, წარსული, 14 ოქტომბრის გადაცემის სიუჟეტის წამყვანის და ადტორების მიერ დაშვებული შედგომის გამო საკავშირო ტელემაუტორებელს ბოდიში მოუხადეს (!!) — საკავშირო ტელევიზიიდან „საჯარო“ ბოდიშის მოხდა იშვიათი შემთხვევაა. მაგრამ საქმე მხოლოდ ეს როდია. 21 ოქტომბრის „ვსკლიადში“ ვლადიმერ ცვე-

ტოვოც გამოვიდა და ვიკა ლორთქიფანიძესთან და რეზო ამაშუკელთან საუბარში დაშვებული საკუთარი შეკდომის მიზეზი „დასახუთა“, რაც, ჩემი ფიქრით, ერთობ უსაფუძვლო და ნაკლებ-დამაჯერებელი გახლდათ. გადაცემის დასაწყისში რეზო ამაშუკელს, ვითომდა სასხვათა-შორისოდ, თერთი ძვეთი ნაკვში „რეგერანბი“ შეაპარა, თან დაამატა: ვთხოვ სწორად გამოვ-გათ და მლიქვნელობაში არ ჩამოვადლოთ. მის სამწუხაროდ და ჩვენდა საბედნიეროდ ჩვენ ყველაფერი სწორად და კარგად გავიგე-ხალხს არაფერი ეშლება.

მაშ ასე, ერთი შეხედვით, საზოგადოებრი-ვი ხაზიფაქტია მიღებულია. ეს შემთხვევა, უნდა ვივარაუდოთ. უკვალოდ არ ჩაივლის. ჩემი ღრმა რწმენით ამ ფაქტს უფრო შორს გამოწვლელი, სტრატეგიული ხასიათის მნიშვნე-ლობა ენიჭება და „გამომახილიც“ ერთობ საი-მედო, სარწმუნო უნდა იყოს. ქვეყნად „ცენ-ტრები“ ქერაც ბევრი არიან, ზუსტად ისე-ვე, როგორც საქართველოში „ლევანები“. ამიტომ ჩვენ არც დღეს და არც მომავალში პაბოფობა არ გამოგვადგება. საბედნიეროდ, საქართველოს სხვა „ლევანებიც“ ჰყავდა და ჰყავს ახლაც, — ქეშმარიტი ახალგაზრდა მუ-შელიშვილები, რომლებიც მის აწმუაზე და მომალე წარუდგენ.

ისე კი, კაცმა რომ თქვას, ცვეტოვმა, — ამო-მავალი მზის ქვეყნის სპეციალისტმა, — წყე-ლოვნი და პროფესიული „ხარაკირი“ ჩაიტა-რა. როგორც ჩანს, ჩვენს ხალხს მძლავრი სუ-ლიერი, პოტენციური შეხამებლობები გააჩნია.

ცვეტოვს ვურჩევდი 1988 წლის 12 ოქ-ტომბერს გაზეთ „ლიტერატურისათვის“ და-ბეჭდული დიმიტრი ლიხაროვის ვრცელი, მიწ-ნობრივი დანიშნულების წერილი, — „რო-სხა“, — ხელმეორედ, მეტიოდ წაეკითხა, ხა-დაც ავტორი დიდი რუსი ერის ინტელიტლ, კულტურმოლოგურ, სოციალურ-წინაპროგნოზი-წინამძღვრებზე ხაუბრობს მეთხველთან. დიმიტრი ლიხაროვი ქეშმარიტი რუსი პატრიოტია. მას გააჩნია იფრიდიული და მორალური უფლებე-ბი იყოს თავისი ერის ქომავი და პატრონი. პროპაგანდისტი და დამცველი, ამგვარი უფლებ-ებმა სხვა, მითერ ერების გამოჩნეულ შვილებ-საც გააჩნია.

ერთი „თავლხარისი“ და მეორე თვალსაზ-რისი...

14 და 21 ოქტომბრის გადაცემებში, არა მხოლოდ პოლიციების მკვეთრი სხვაობა გამო-იკვეთა, არამედ დროისა და საზოგადოების მძაფრი ფეოქვაც გამოჩნდა.

იქნებ არაერთოლოქსალური აზრების ტყვეო-ბაში ვართ და ამიტომ ცუდად გავგვეტება ურთიერთობა? მაშინ უკეთ უნდა გამოვიმუშა-ვით „უთანხმოების კულტურა“, „კამაინი კულტურა“. „ნაციონალურ-რადიკლების“ ჩაღ-ში წარმოდგენა ქერაც ობიექტურობას და

ქეშმარიტების სამახურს არ გულისხმობს. — ამას დიდი ერის წინაგრეთი წარმომადგენლის საყურადღებოდ ვლანარკობ.

მომხდარი ფაქტი, მის ირგვლივ შექმნილი ვითარება, დასკვნები თითოეულმა ჩვენმა განის საკუთარი პოლიციების პასუხისმგებლო-ბაზე ჩაქერების აუცილებლობაზე მიგვანიშ-ნებს. რაც, შეიძლება, თავისუფალი პიროვნე-ბის, ეროვნებათაშორისი იდეალების ერთგუ-ლებაში გამოიხატება.

საქართველოს საკუთარი ტერიტორია და კონსტიტუცია გააჩნია.

გაზეთ „ლიტერატურისათვის“ გაზეთში“ მიმდი-ნარე წლის 21 აგვისტოს გამოქვეყნებულია საბოთა კავშირის მხატვართა კავშირის გამ-გეობის თემქდომარის, ანდრეი ვანსეცოვის ინ-ტერვიუ კრიტიკოს ალექსანდრე მოროზოვთან. იგი განიხილავს ზელოვნების სხვა დარგებისათვის და მის მხახურთათვისაც საფულისხმო პროფე-სიულ, წინაპროგნოზიკურ ხასიათის პრობლემებს. ინტერვიუში აღნიშნულია, რომ უნდა იტობა ინტელიგენციის მიმართ წარსულში და ნაწი-ლობრივ აწმუში დროადრო შეინტეგდა და შეინჩნევა. მიუხედავად ამისა, ინტელიგენ-ციის, კულტურის, ზელოვნების მოღვაწეთა დამ-სახურების, ღირსების და პატივისცემის ნიშ-ნად ისტორიულ წარსულში, მათი პოტენციუ-რი დანაქარების მიუხედავად, იგი ყოველთვის იყო და არის ჩვენი საზოგადოების საიმედო ხაყრდენი, რასაც პარტიის XIX საკავშირის პარტიკულფერენციაზეც ვაგვხვ ხაწი.

ხალხმა ხმის „მუტაციის“ პერიოდ გაწვლო და ახლა დაყენებული მშით ხმამალა ვაშობთ სათქმელს. თანდათანობით (წოჭკერ აქქარები-თაც) ვაკეთებთ ვასაკეთებელს. პოტენციური შე-სსამლებლობის გახსნა, დასაქმება ჩვენო სი-ციალური ვალია. მრავალწლიანი მომუშაულობ-ბის, ურბოების შედეგ მძიმე კაფა მოგვჭირვს. ეს ქვეყანა ერთბაშად არავის აუშენებია, დან-გრევით კი დაუნგრევია — ერთბაშად და თან-დათანობით: „...ხარისხს აშალებს ყველა, თითოეული იძლევა იდეას“. ასეთია იპონენი-ბის ცხოვრებაში და საქმიანობაში დამციდრე-ბული მოწოდება-ლოკუზები. კარგი იქნებო-და, მსვავსი მოწოდება ჩვენშიც დავეთქვიდ-რებინა.

...კონსტრუქციების ნაწარმოების, მხატვრული ფილმის ძალა და ღირსებები კონსტრუქციის მიერ ცხოვრების, საყაროს შეგრძენის ხა-რისხით განისაზღვრება შედეგობებს აქვთ ასე-თი გამოთქმა: „კანდინსკის ხინდრომი“, — რაც მიდრეკილებას ნიშნავს. მხატვრული კი-ნანაწარმოები საზოგადოებრივი აზრის და ლტოლვის, მისი მოქმედების ერთგვარ მხატ-ვრულ „ტრანსილიცია“ ახდენს. როდესაც შენ, მათურბელი, კონსტრუქციის წინარ, მხატ-ვრულ ფილმს უყურებ და აღგებრება სურვი-ლო, სწრაფა, ეკრანზე „ახვიდე“ და იყო

მონაწილე ფილმში დატარებულყო ამისა, ჩინაუღებ, რომ ფილმი შედგა. შედგა შეხვედრა — ფილმი — მაყურებელი. ასეთ შემთხვევაში კინოხელოვნების წარმომავლში, როგორც უმცირესი. სამი ფენა, სამი პოეზია წარმოჩნდება; უპირველეს ყოვლისა პირადი, ხავეთრო, მეორე, კლასობრივი, და მესამე, წარმადება-ცობრივ, წარმადება-მანერის.

1988 წლის 21 სექტემბერს გაზეთ „ლიტერატურისა და ხელოვნების“ დანართში ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის აღიარებული სკანდინავიის წერილი: „ინტელიგენცია: ჩემი პერსონაჟი“, სადაც ავტორი, როგორც ხარულაქციო ანტონიო-სია აღნიშნული, მძაფრ და ხაკამათო ფორმასი გვთავაზობს ინტელიგენციის ცნების „გენიალუგობას“, მის როლსა და დანაშაულებას საწარმოებში, ეხება და აღწერს ინტელიგენციის სოციალურ-ყოფით, წინაობრივ-ეთიკურ პრობლემებს, სვამს მისი საწარმოებრივი ავტორიტეტის და პრიორიტეტის, აქტიურობის ამაღლების აუცილებლობას პრობლემას. შემდგომ კი დასკვნის სახით აღნიშნავს, რომ დღევანდელი გარდაქმნის ბელიბერადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რა პოეზიის აზრებს და დაიკავებს ინტელიგენცია.

რომ ეს ნათქვამი და ვარაუდი თავისი პოლიტიკური, სოციალური არსით უდავო შემთხვევითება, კინორეჟისორის შემოქმედებით ინტელიგენცია, აწროვნების ფორმას. გვითხრობს თქმით, „შოქმედი ყოველთვის უხინდისოა, ხინდისი მხოლოდ მაყურებელს გაჩნდა“-ო. განა დროს, გარდაქმნის, დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრების დამსახურება არაა, რომ ბევრი ჩვენთაგანი დღეს გარკვეულწილად ფილოსოფოსობის და ეკონომისტობის, პოლიტიკოსობის, ხაჭურნეო დარგის, სხვა პროფესიის, თუგინდ რედაქტორობის, კინოშეკრების, კინოდრამატურგის, კინორეჟისორის ხარისხს ვიწმებთ, რაც კარავს არის და ცუდაც. მისასაღმებელია იმითომ, რომ საკუთარი შესაძლებლობების გამოცდის საშუალება გვეძლევა. საორქოფოა იმითომ, რომ ჩვენს ამგვარ მრავალმხრივ მისწრაფებას მაინც დიდებულობის ელფერი დაქრავს. ამითომ „ხულის სწრაფვას“ ნუ აყვებთ, ნუ იტყვო დასტურს იქ, სადაც სურათი უნდა შეეძლოს, რაც წვეობის უკანასკნელს. გნებათ, ვაქცაოვა და გვალეთ. იქჩარეთ... აუჩქარებლად. თორემ იმედის გაცრუების, საკუთარი შესაძლებლობების „გადაფასების“ ახალ წესობის მიადგებით. სპეციალიზაცია, პროფესიონალიზმი, რაც დღის წესრიგის აუცილებელი მოთხოვნაა, საფუძვლიან თეორიულ ცოდნა-მომზადებას, ყოველდღიურ საქმეთა და დარგობრივ სრულყოფას, მეცადინეობას იმყარება. ამის გარეშე პროფესიული ავტორიტეტის დამკვიდრება გაჭირდება. ამასთან, დიდი ნიჭია იცოდეთ, — „არის ვინ რისი ღირსია“, ბევრი ჩვენთაგანის სურვილია ერთ მშვენიერ

დალოს გაიდევნოს და საქვეყნო ცნობილი პიროვნება იყოს, მაგრამ ეს მხოლოდ ჩვენს სურვილზე როდია დამოკიდებული, წარმოიქმნება რამ ჩვენს შესაძლებლობებზედაც არსებობს კიდებული.

გაზეთ „სოვეტსკია კულტურას“ ახალი რუბრიკა: „პიროვნება ისტორიულ კონტექსტში“, რომელიც ე. ვეტუშენკოს ნარკვევით „პლატონოვის ბედი“, გაიხსნა, ჩვენი ისტორიის საბჭოთა პერიოდის ჰუმანიტარული და დენდრო-წარმომადგენლებს ვააცნობს. ნარკვევს მოწონებაც ხვდა და ოპონენტებიც გამოჩნდა. საკითხი ეხება პლატონოვის, როგორც რუსი მწერლის და პიროვნების მხატვრულ-ეთიკური მრწამისი გახსნას და წარმოჩენას, ისე ნარკვევის ავტორის, მხატვრულ-პუბლიცისტური სტილის აღრევის ხშირ შემთხვევაში მათ ურთიერთგამოსარიცხ მანერაში წარმართვის წარმოიქმნება, როგორც ე. ვეტუშენკოს ნარკვევა, ისე გამოხმაურებამ ფრიად საყურადღებო და საგულუბნობო საქითება მოხდინა, რომელიცა ვააცნობს-გათავისება მკითხველს ინფორმაციის და ცოდნის გარკვეულ მარაგს ხდენს.

ყურადღებას იმსახურებს „ლიტერატურისა და ხელოვნების“ მხარე ნომერში გამოქვეყნებული ვალენტინ კურბატოვის წერილი — „სომენია ნაშეიბრადი“, სადაც ავტორი, როგორც ჩანს, ნათესურზე განსაზღვრავს თავის საკუთარ პოეზიის დღევანდელი წარმოიქმნა საკითხების მიმართ და ყურადსაღები დასკვნები გამოაქვს. კერძოდ ის, რომ წინდება ერთგვარი მოთხოვნა უფრო ჩვეულებრივად საშუალო შემცირების და შეგარბნების, მშობლიური ისტორიის საფუძვლებს, რომლებიც დროდადრო ნაკლებობად შეიქმნება, ანდა გარკვეული დამოკიდებულების გრძობას ადგენს, რომელიცა მოსაზრების როლი უფრო გვიწინება და გვაფიქრება, რომ თვითონ ვართ განსახლებული. თავად განსაჩეთ, აი რა საგვალლო და „საბრალდებულო დასკვნაზე“ მივიდით: მთელი ჩვენი ყოფა-ცხოვრება, როგორც ირკვევა, დისპროპორციების წამს ყოფილა: მოთხოვნა-ღებულებას და წინადადებებს შორის, წარმოებასა და მოხმარებას, კონსტატაციური უფლებებისა და სინამდვილეს შორის, მასს, რასაც ბუნებისაგან ვიღებდით და არ შევავსებდით... და ყველაფერი ეს ხდებოდა და ხდება თითოეული ჩვენთაგანის წიარა მონაწილეობით მაინც.

ვერა და ვერ ვისწავლეთ, ვერ შევიგნეთ, — ძველის საფუძვლიანი დანგრევის გარეშე ვაშენებო ახალი. აი, ასეთი აქტიური და მრავალგანზომილებიანია საწარმოებრივი აწრა დღეს, რომელიც ძირითადში პრების საშუალებით წარმოჩნდება და ამ პროცესში ინტელიგენციის, ხელოვნების, კულტურის მოღვაწეებს გარადილი როლი ენიჭებათ.

მომენტებში ისეთი შთაბეჭდილება იქმნება,

რომ ჩვენი სჯანი — სუფთა „ეთერია“ — სასტევის და ცნების ნეგატიური გავებით, — თითქოს „პური“ იყოს ჩვენი არსობისა. ჩერ კიდევ გოეთს შეუნიშნავს: „ეთერია მაინც მშრალია, მუდმივ მწვანე ცხოვრების რტო“. ჩვენ დღეს მხავს „სიმშრალეს“ არა მხოლოდ საოჯახო სასაღილო მავიდაზე შევიგრძნობთ, ბევრ სხვა რამეშიც გვახსენებს თავს. ამა რატომ დიარება ხალხში ასეთი შიშარული გამოთქმა: „ახლა ვაზეთების კითხვა უფრო საინტერესოა“. ვინ რად ცხოვრება? ამ გამოთქმასი მეთაფროდაც შეიშინდა და სიმბოლოცა. გაიზარდა აზრთა პოლარიზაცია, მიმდინარეობს მახების პოლიტიზაცია, დემოკრატია, დღეს ყველა პოლიტიკოსია, სამხატურში და სახლში, ქუჩაში, მეტროში და ტრამვაიში, მეგობარ-ახანაგებში და ნაცნობ-მეზობლებში ყველა საშინაო და ხაგარეო პოლიტიკაზე მსჯელობს.

ქართულში კაც თავისი ბუნებით, გენეტიკური წყობა-პროგრამით უყოფელთის პოლემისტი, პოლიტიკოსი იყო და არის დღესაც. გადახედეთ ისტორიას, დღევანდელ ვითარებას. მას შარადვამს ანტიკურებდა და ანტირესებს ვლობალური საქაცობრიო პრობლემები იმითა, რომ პატრიოტი და ინტერნაციონალიზტა. „ვეუკოთნი ჩემს შობიელ ერს და მხოლოდ მისი მეშვეობით — მთელ კაცობრიობას“.

ქართველის და ქართველობის არსი ერისეულია.

ვაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ 1988 წლის II სექტემბრის ნომერში რუბრიკით: „ლიტერატურის ისტორია“, დაისტამბა კახა ჩამბურის, ჩემი ფიქრით, მეტად საკულისხმო, თამამი და საფუძვლიანი წერილი „ეს განწირულის სულიცყვეთბა“. ხადაც ავტორი ისტორიული კუთხით და მზერით განიხილავს ქართველი ინტელიგენციის, კერძოდ ცნობილი ლიტერატორების წინააღმდეგობებით აღსავსე სკეზედს, შთა მიერ განვლილ ადამიანურ და პროფესიულ წილბედარს, რეტროსპექტივაში წარმოსახავს იმდროინდელ მტიცენეულ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებას და ერთობ მოტივირებულ, კეშმარტებას დაფუძნებულ დასკვნებხაც აკეთებს: „...XX საუკუნე ალბათ მართლაც განსაკუთრებულ ადგილს დაიჭირს, როგორც მორალურ-ეთიკური ნორმების რღვევის, რელიგიური რწმენის დაკარგვის, წნეობ-რფვი ღირებულბებებისა და რომანტიული იდეალების მხხერვეის ეპოქა და, რაც მთავარია, საოცარი ნიშილიზმისა და სულიერი კრიზისის ხანა“. და რომ „შორეულ რომანტიკულ ნათელში ჩანს მკათა (ქართველი ინტელიგენციის, ა. გ.) ვაუკაცური ცხოვრება“, — დასკვნის ავტორი, კეშმარტიდა!

ვაზეთმა „ქართულმა ფილმმა“ სათაურით „მცირე“ რეპლიკა“ დაბეჭდა მწერლისა და კრიტიკოსის გურამ პეტრიაშვილის პოლემიკური მუხტით

განმსჯელებული კრიტიკული ხასიათის წერილი. ავტორი ჩემს მიერ უკვე წახსენებულ ცნობილი მეცნიერის და მწერლის, ნარსყულში, ვაზეთთხაობის პერიოდში, რეკონსტრუქციის სტეცხლში გამოვლილი და „ფრთაშეტრუსული“ რუსი პატრიოტის, დიმიტრი ლიხანოვის მიერ ცენტრალურ პრეხაში დაბეჭდილი საეროფენ ბათაშორისო მწვადე, მცირე და დიდი ერების საღდების და საომრავლო პრობლემებს შეეხება. იმელდა, ცნობილი მეცნიერი, ბრძანს-ლიტერატორი გულდასმით გაეცნობა მის მიმართ გამოთქმულ ზოგიერთ შენიშვნას. ბეროგორც შიითხველს და „მცირე“ ერის წარმომადგენელს, ფრიად მადღელებს ეს პრობლემები და ჩემი დაინტერესებაც ამით აიხსნება მისი პახუხის შემთხვევაში აღბათ ბოლომდე გაირკვევა მისი ინტერნაციონალური, პატრიოტული დამბუნებოვება და სულიცკეთება. ამქერად ემ მოკლე დავკენიდა: ხშირად თუ არა, შიგა და შიგა ესა თუ ის მწერალი, უფრწაღისტი, მეცნიერი თუ ხელოვანი ცნობიერად თუ ქვეცნობიერად ამღვრავს წყაღს, საკუთარი შოვინისტური მიზანსწრაფვით ცდილობს შორსგაიხსნული, ჩემი აზრით, აუბღენილი იცნეების განხორციელებას. მხავას მავალითებია, შემთხვევები ცენტრალური პრესის ფურცლებზე თუ საჯარო ტრბიუნდინდან არაერთხელ გაგვივია და ფართო საზოგადოება ამ საკითხებში ჩახედულია.

1988 წლის 14 სექტემბერს ვაზეთ „ქართულ ფილმში“ გამოქვეყნდა კობა არაბულის მწვადე სოციალურ-პუბლიცისტური წერილი: „ქართველ საზოგადოებას“ ქვესათაურით „ლია წერილი არავის ხეობიდან“. ავტორი, ეტყობა, მართლაცდა საქმეში ჩახედული კაცია, კარგად იცნობს ფშავ-ბეკუსურეთის და არავის ხეობას. ხაყრმეში არაერთი ქალმანი თუ ტუპუი დაუბქნდა ამ ადგილ-მამულში ხაარულ-ხიხილით და უკვე მომწიფებულა. ტუკა-გონება დაღვინებულ პოეტს და მწერალს, არანაკლებ ვაგება საქართველოს ამ უურთხეულ მხარეში ამიერკავკასიის რკინიგზის გაყვანის ფასი, სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის აგკარგი. ეს მისი თამამი შეხახილიც ამ საკითხებს უტრიალებს ეკლავ და ეკლავ. ამ მხარის და სრულიად საქართველოს აწმყოს და მყოხადის საჭირობორტო პრობლემებზე ხომ არაერთხელ შემოიკრა საზოგადოებარების ზარი. რაც შეეხება წერილში აღბრულ საქართველოს ტელევიზიის „ხელწერას“, მისი მუშაობის და საქმიანობის ხტილს, უკვე აღწუსხულის გარდა ალბათ სხვა მავალითების მოყვანაც შეიძლებოდა და შეიძლება, რომლებიც საქართველოს ზოგიერთი ტელეგადამცემების მხატვრულ-აზრობრივი, ესთეტიკური, პროფესიული ზარისხის არცთუ მაღალ დონეზე შეტყველებენ (ნათქვამი, რა თქმა უნდა, ყველას და ყველაფერს როდი ეხება. საქარ-

ველოს ტელევიზიას პრაქტიკულ გამოცდოვანი, თავისი საქმის დრმა მყოფდენ პროფესიონალი ჰყავს). იქნებ ჩაფქრებულიყვნენ საქართველოს ტელეშეხვედრები?...
როგორც ჩანს, ისეთი შვირე ფორმების და ტირაჟის გაზოვსაც, როგორც „ქართული ფილმი“, ძალუქს მნიშვნელოვანი საკითხების წამოწევა-მსჭელობა, ვიწრო საინფორმაციო ჩარჩოებიდან თავის დაღწევა და ფართო საზოგადოებრივ ავანსენაზე გასვლა. რაც, უდავოდ, დღეს და მომავალში გაზეთის პოტენციურ შესაძლებლობებზე მიგვანიშნებს. საინისოდ კინოსტუდია „ქართულ ფილმს“ და გაზეთ „ქართულ ფილმს“ მწერლები, თურნალინტები, რედაქტორები საქმაოდ ყავს. კინოსტუდია „ქართული ფილმი“ და მხატვრული კინოხელოვნება საერთოდ, საზოგადოებრივი ტრიბუნა, რომელიც ადამიანს იკვლევს და ეკრანზე წარმოაჩენს. ამდენად, რაც ადამიანს, მის ცნობიერებას, უოფაცხოვრებას, საქმიანობას შეეხება, ახვეე შეეხება კინოსტუდია „ქართული ფილმს“ და მის იდეოლოგიურ, ორგანიზატორულ ბეჭდვით ორგანოს — „ქართული ფილმს“.

იყო დრო, თითქმის მხოლოდ „შვირე მიწაზე“ იმღერებოდა სიმღერები. იყო დრო და „განთავისუფლებას“, „დილის ზარებს“ და „ათი დღე, რომელმაც შეძრა სამყაროს“ აჩვენებდნენ ეკრანებზე. დღეს „სხვა სიმღერებს“ მღერის ზალბი. ეკრანებზე „პატარა ვერას“, „ახია კლიაჩინას ისტორიას“ ჰყვებიან.

ამ კონკრეტული მავალითების მოყვანა იმიტომ დამჭირდა, რათა კიდევ ერთხელ გამეხვებოდა ხაზი, აღმენიშნა ლიტერატურის, პრესის, ხელოვნების, კულტურის ხვეროს მამოღვეწვენი რიგისა და დანიშნულებაზე საზოგადოების შემეცნება-ფორმირებაში.

სომ არ დაფიქრებულა პატივცემული მკითხველი, ტელემაყურებელი, ერთი შენედევით ვითომდა თავისთავად გასაგებ მომენტზე, ფაქტზე — რატომაა, რომ ამა თუ იმ საზოგადოებრივად, სოციალურად, სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი საქმის წამოწევისას, განხილვისას, გადაწყვეტილების მიღებისას ჩვენს რესპუბლიკის ხელმძღვანელების გვირდით დგანან ერის ინტელიგენციის ავტორიტეტული წარმომადგენლები: მწერლები, პოეტები, ურნალინტები, მეცნიერების, ხელოვნების, კულტურის ხვეროს მოღვეწენი? რატომ? — იმიტომ, რომ საზოგადოებრივად მნიშვნელოვან, სიცოცხლისუნარიან, საერო გადაწყვეტილებას „ერო და ბერი“ ერთობლივად იღებს.

დღეს რესპუბლიკის ყველა ქეშმარიტი პატრიოტი ქართველი ერთ „ხატზე“ ლოცულობს, ერთ „წირვაზე“ დადის, ერთ „რელიგიას“ აღიარებს და ემსახურება — სრულიად საქართველოს მამულიშვილური სამსახური, მისი აწმყო და მყოხადი — აი ჩვენი დღევანდელი და მომავლო საზრუნავი.



გარლამ ქაცარავა

გხოლოდ გარდაქმნის სამსახურში

საზოგადოებამცოდნეებს, ერთი მხრივ, კარგი ამინდი დაუდგათ — ამ საჯაროობის პირობებში რასაც ფიქრობენ იმას წერენ. მაგრამ, მეორე მხრივ, მაინც შეზღუდულნი არიან, რადგან წარსულის მხოლოდ აუგად ხსენება იმსახურებს ზოგიერთი რედაქტორის მოწონებას. სამწუხარო ისაა, რომ ეს გარდა-

ქმნის სამსახურად მიაჩნიათ, სინამდვილეში კი ბირიქითაა. გარდაქმნას მხოლოდ სრული სიმართლე და საკითხებისადმი ისტორიული მიდგომა შეუწყობს ხელს.

წარსულის კრიტიკა საჭიროა იმისათვის, რომ იგი არ განმეორდეს. მაგრამ უსათუქვლო და განურჩეველი კრიტიკა

ვნებს ვარდაქმნას, საქმეს. წარსულის კრიტიკას არ სჭირდება დიდი სიმამაცე, არც დიდი გონებათმახვილობა — მთიდან ადვილი შესამჩნევია, თუ რომელი ბილიკით ჯობდა იქ ასვლა. ახლა ჩვენი საზოგადოების განვლილი პერიოდის შესახებ სწორი თვალსაზრისის შექმნა ადვილია, ვიდრე მაშინ, როცა მის აშენებას ვიწყებდით. „განვითარებული სხეულის შესწავლა უფრო ადვილია, ვიდრე სხეულის უჯრედისა“ (მარქსი). მაგრამ, აი როცა დღევანდლობას უყურებ კრიტიკული თვლით და გასაკრიტიკებელს არ მალავ, მაშინ ხარ ვარდაქმნის ნამდვილი მომხრე. ამის გაკეთება კულტის პერიოდში შეუძლებელი იყო, მაშინ არასწორი მეთოდით ხელმძღვანელობდნენ, სიმართლის თქმა არავის შეეძლო. საჭიროა ეს არასწორი მეთოდი შეიცვალოს და ამ შეცვლილი მეთოდით დავიწყოთ ძველის კრიტიკაც და დღევანდლობის გარდაქმნაც.

რატომ არ ვკითხვობთ, ვის არგებს წარსულის „მკურნალობა“ ჰომეოპათიების დევიზით: „მსგავსი მსგავსით იკურნება“. ამით ხომ ვვნებთ ვარდაქმნას, ვანგებთ მის პროცესს, როცა მას მეტი სიჩქარე სჭირდება, რომ არსებული მდგომარეობიდან გამოვიდეთ, ჩვენ უნდა დავაჩქაროთ არა ამა თუ იმ ძველი დებულებისა და მოქმედების უარყოფა, ის ისედაც უარყოფილია, არამედ იმ მეთოდის უარყოფა, რომელიც წინ ეღობებოდა პროგრესს, კრიტიკის საშუალებას არ იძლეოდა, აორბდა ადამიანს და კრიტიკის მაგიერ მას ყველაზე საძაგელ თვისებას — მლაქვნელობას უღვიძებდა.

ახალი აზროვნება ჩვენგან მოითხოვს გავარდვიოთ მოჯადოებული წრე: თუ ძველი გააკრიტიკე ვარდაქმნის მომხრე ხარ, კრიტიკა თუ არადამაჯერებელია, ისევ ძველის პოზიციაზე რჩები და ძველი მეთოდი ვერ დაგიძლევა. სამართლიანადაა შენიშნული „პრავდის“ 1989 წლის 21 იანვრის სტატიაში „ამხანაგი ლენინი“: „არავინ არაა დაზღვეული შეცდომებისაგან და ჩავარდნებისაგან, მაგრამ ამის მიხედვით არ მსჯელობენ არ-

ჩეული გზის სისწორის შესახებ. ვარდაქმნაში ჩვენ ვხედავთ ჩვენი საზოგადოების განვითარების ობიექტურ კანონებს, რომელიც განაპირობებს რადიკალურ ცვლილებებს საწარმოო ძალისა და წარმოებით ურთიერთობაში, საზოგადოებრივი და პოლიტიკური სტრუქტურის რევოლუციურ განახლებას“. ეს სამართლიანი დებულება ნაწილობრივ მაინც უნდა შეეხოს იმ სინამდვილესაც, რომელიც დღეს ჩვენი კრიტიკის ობიექტიათუ „ჩვენ ჩვენი დროის შეილება ვართ“, როგორც აღნიშნა ეს 1989 წლის 14 თებერვალს მ. ს. გორბაჩოვმა ქვეყნის მუშათა კლასის წარმომადგენლებთან შეხვედრის დროს, რატომ არ შეიძლება ვთქვათ, რომ „სხვაც სხვა დროის შეილება იყო“ და მისი მოქმედება, ნაწილობრივ მაინც, მივიჩნიოთ გარკვეული გარემოს მიერ განსაზღვრულად? ზოგადი მსჯელობა იმიტომია ზოგადი, რომ იგი ყველას მიმართ გავრცელდეს.

მხოლოდ ასეთი აზროვნება მოემსახურება ვარდაქმნას, ძველის კრიტიკა მხოლოდ ასეთი პოზიციიდან დაძლევეს კონსერვატიზმს და გაამრავლებს ვარდაქმნის ენთუზიასტებს. იქნებ საქმისათვის ჯობია წარსულ მოვლენათა მარქსისტული ანალიზი, საფრანგეთის სახელმწიფო გადატრიალების მოვლენას შეეხნენ ჰიუგო („პატარა ნაპოლეონი“) და პრუდონი („სახელმწიფო გადატრიალება“). მარქსის თქმით, ჰიუგომ ეს მოვლენა მიიჩნია „გაეღვებად მოწმენდილ ცაზე“ და ცალკე ინდივიდუულის ძალადობის აქტად, მან ვერ შეამჩნია, რომ „ამ ინდივიდუუმს“, ნაცვლად დამცირებისა, ვანადიდებს იმით, რომ მიაწერს ინიციატივის ისეთ პირად ძალას, რაც უბადლოა მსოფლიო ისტორიაში. ასევე პრუდონს „სახელმწიფო გადატრიალების ისტორიული კონსტრუქცია სახელმწიფო გადატრიალების გმირის ისტორიულ აპოლოგიად გამოუღის“. მარქსი კი ისტორიზმის პრინციპით ხსნის ამ მოვლენას და უჩვენებს, „თუ როგორ შექმნა კლასობრივმა ბრძოლამ საფრანგეთში გარემოებები და პირობები, რომელთაც

შესაძლებელი გახდეს საშუალო და გრძელვადიან პერსონაჟს გვირის როლი ეთამაშნა“ (კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები. ტ. 1, გვ. 263, 1950 წ.).

ისტორიული მატერიალიზმის მარქსისტული დებულების მიხედვით, უმეტეს შემთხვევაში პიროვნების მოქმედებას განსაზღვრავს გარემოებები და პირობები, თუმცა იგი არ გამორიცხავს მისი ნების თავისუფლებას და, მაშასადამე, შეცდომებს, უკიდურეს შემთხვევაში დანაშაულსაც კი. მაგრამ საბოლოო ჯამში ობიექტური გარემოებები უნდა მივიჩნიოთ მოქმედების განმსაზღვრელად, თუ გინდა მეცნიერულ ნიადაგზე დადგე და ისტორიის კანონზომიერება არ უარყო. ამიტომ აღნიშნავს ანტ. მ. ს. გორბაჩოვი, რომ გარდაქმნაში ჩვენ ვხედავთ ჩვენი საზოგადოების განვითარების ობიექტურ ეტაპს. რამდენად არასწორი და ისტორიული მატერიალიზმის ზოგადი პრინციპის გაუთვალისწინებლად იყო ნათქვამი ნ. პონომაროვის მოხსენებაში: „საყოველთაოდაა აღიარებული ის, რომ მსოფლიო არ იქნებოდა ისეთი, როგორც იგი არის, რომ არ ყოფილიყვნენ მარქსი და ლენინი“ („კომუნისტი“, 31 მარტი, 1983 წ.). ამის თქმა გვაფიქრებინებს, რომ სოციალისტური ეკონომიკური ფორმაცია წინა საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციათა განვითარების ბუნებრივი შედეგი და ეტაპი კი არ ყოფილა, არამედ შემთხვევითობა, რომელიც ქვეყანაზე მარქსისა და ლენინის გაჩენას მოუტანია. ასეთი შეხედულება არ უნდა იყოს სწორი.

ვ. ი. ლენინი ბოგდანოვს აკრიტიკებდა: მან საზოგადოებრივი მოვლენების ახსნაში მატერიალისტური ფილოსოფიის პრინციპს უღალატა — საზოგადოებრივი ყოფიერება და საზოგადოებრივი ცნობიერება გააიგივაო. მიუხედავად ამისა, ბოგდანოვი საზოგადოების კონკრეტულ-ისტორიულ მოვლენათა ახსნისას, თურმე, მატერიალიზმის ამ დებულებით სარგებლობდა. მას 1908 წელს უწინასწარმეტყველებია სოციალისტური რე-

ვოლუციის გამარჯვების პირველ პერიოდში სოციალიზმის დეფორმაციის შესაძლებლობა: „...იქაც კი, სადაც მატერიალიზმი გამარჯვებული გამოვიდნო, მატერიალიზმი ბოგდანოვი, — მისი ხასიათი მრავალი წლის საალყო მდგომარეობით, აუცილებელი ტერორით და მხედრობით, თავისი აუცილებელი შედეგით — ბარბაროსული პატრიოტიზმით იქნება გაყალბებული. ეს იქნება არა ჩვენი სოციალიზმი“ (იხ. „ლიტერატურაია გაზეთი“ № 49, 1988). და ეს იმიტომ, რომ საზოგადოების დიდი ხნით ნაციონალური დაყოფა და ურთიერთგაუგებრობა განთავისუფლებული კაცობრიობის შეგნებაში თავის დაღს დიდხანს დატოვებს. ამას მოწმობს თუნდაც რეპრეზენტები, რომლებიც რევოლუციის გამარჯვებისთანავე დაიწყეს და ძალიან დიდხანს გაგრძელდა, აგრეთვე მთიანი ყარაბაღის ფაქტი და ბევრი სხვა რამეც.

პიროვნება, რომელსაც ისტორიის მკვებრი მობრუნების პერიოდში უხდება ხელმძღვანელობა, შეცდომებს თავს ვერ დააღწევს. ეს შეცდომა საშინელებად გადაიქცევა, თუ მას სუბიექტური ხასიათით გამოწვეული შეცდომაც დაემატა. მაგრამ მართო სუბიექტური ხასიათით მისი ახსნა იქნებოდა არა პიროვნების დამცირება, არამედ მისი განდიდება, როგორც ეს მარქსმა აჩვენა საფრანგეთში სახელმწიფო გადატრიალების მოვლენის ახსნის მაგალითზე. ჩვენ ხშირად აღვნიშნავთ საზოგადოებრივი მოვლენების მატერიალისტური ახსნის მნიშვნელობას, მარქსის გენიალურ აღმოჩენას, ხშირად მივუთითებთ ჭეშმარიტების კონკრეტულობაზე — მოვლენათა განხილვაზე დროსთან და სივრცესთან კავშირში და როცა წინასწარგანსაზღვრული გვაქვს რაიმეს უარყოფა, ყველაფერ ამაზე ხელს ვიღებთ და იდეალიზმის პოზიციაზე გადავდივართ.

ასე იქცევა ზოგიერთი ავტორი ყურნალ-გაზეთებში. აბა სხვას რას უნდა ნიშნავდეს იმის თქმა: ტროცკი სტალინმა წარმოშვა, რომ პიტლერი და პიტლერი უკრძალავს საბჭოთა კავშირს ომს

არ დაუწყებდა, სტალინი რომ არ ყოფილიყო. უფრო მეტიც: „გამოირკვა, რომ სტალინი, არსებითად, იყო ჰიტლერის მარიონეტი“. ასეთი უაზრობისა და ისტორიის დამახინჯების გამო გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ საბჭოთა ყურნალი „სპუტნიკის“ მე-10 ნომერი ამოიღო იმ ბეჭდვითი ორგანოების სიიდან, რომლებიც გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ვრცელდება ხელმოწერით და აღნიშნა: „ჩვენს ანტიფაშისტურ, სოციალისტურ გერმანულ სახელმწიფოში დაუშვებელია ჰიტლერის ფაშიზმის და მისი დანაშაულობების გამართლება, მისი „ახსნა-განმარტება“ რაღაც მონაჩმახით, ისევე როგორც სტალინთან ჰიტლერის გათანაბრება“ („ბარტიული სიტყვა“, №24, 1988).

ქნონისეული ზოლით შეპყრობილი ზოგიერთი რეპრესირებული სტალინის მიერ სამშობლოს დაცვის, ქვეყნის გადარჩენის ინტერესით განპირობებულ ფაქტს ისეთი უხამსი ვერსიით ხსნის, რომ ასეთი აზრის ავტორი მკითხველში უკმაყოფილებას იწვევს. თურმე სტალინმა თავისი შვილი იაკობი ფედმარშალ პაულიუსზე იმიტომ არ გაცვალა, რომ მას ოჯახური ინტიმური ამბავი აწუხებდა. თუ მამას მართლა ჰქონდა ამის ბოღმა, მას ხომ არ გაუჭირდებოდა აქ მისი მოსაბოზა, ანდა შვილი რატომ გაწირავდა თავს მამის საქმისთვის, სამშობლოსათვის და რატომ არ იტყოდა ისეთ რამეს, რომელიც მას არა მარტო სიცოცხლეს შეუნარჩუნებდა, არამედ დიდებულადაც აცხოვრებდა. ეს და სხვა ამის მსგავსი კრიტიკა კი არ არწმუნებს მკითხველს, პირიქით, მართალი კრიტიკის მიმართაც ეჭვის ქიას გაუჩენს.

ახლა უფრო სერიოზული კრიტიკის შესახებ. ისმის კითხვა, შეუძლია თუ არა ახლად შექმნილი სახელმწიფოს მეთაურმა იდეალის, ზოგადის შესახებ წარმოდგენის უქონლად, მისი განხორციელების გზაზე ესა თუ ის კონკრეტული საკითხი გადაწყვიტოს? ცხადია, არ შეუძლია მაგრამ შეუძლია თუ არა იდეალისადმი ხორცშესხმის მიზნით ბევრი

ადამიანის სიცოცხლე არაფრად ჩაგდოს, ანუ, როგორც იტყვიან, მიზნის საშუალება გამართლებდნო? ანუ, ანუ, ანუ, ანუ, რომელზეც სწორი პასუხის გაცემა მოემსახურება გარდაქმნას, ვინაიდან გარდაქმნით დანტერესებულთა არა მარტო ესა თუ ის პიროვნება — განაწყენებული თუ რეპრესირებული, არამედ მთელი საზოგადოება. საზოგადოებას კი ძველის კრიტიკაში სჭირდება ისტორიზმი, ობიექტურობა და არა წინასწარ აკვიატებული სუბიექტური შეხედულების გამართლება სოფისტიკური მსჯელობებით. მხოლოდ დამაჯერებელ კრიტიკას შეუძლია ქვეყნის ინტელექტუალური და სულიერი პოტენციალის აქტივიზაცია, ხალხთა მასების მობილიზაცია საზოგადოების გარდაქმნისათვის. ერთიანი აზრებითა და იდეალებით მობილიზებულ ხალხს არა მარტო სასურსათო პროგრამის განხორციელება შეუძლია, არამედ სასწაულების მოხდენაც. ამიტომ ითქვა სკკპ XIX საკავშირო კონფერენციაზე: „გვეკირდება ობიექტურობა, დარბაისობა, სიღინჯე. პრესამ, ტელევიზიამ და რადიომ, პერიოდულმა გამოცემებმა, როგორც სწორად ითქვა აქ, არ უნდა წაახალისონ ზოგიერთი ავტორის აშკარა უკულტურობა, სიბეცე, უწიგნურობა“ („კომუნისტი“, 1988 წლის 2 ივლისი).

რა არის ის იდეალი, ის ზოგადი, რომლის განხორციელებისათვის ბრძოლაში უნდა შემჭიდროვდნენ ადამიანები საერთო აზრითა და შეგნებით? ეს იდეალი უმაღლესი ჰუმანიზმი, უკლასო საზოგადოებრივი წყობილება, სადაც გამოირიცხება ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაცია. ამ იდეალის განხორციელებისათვის იბრძოდა და იბრძვის კაცობრიობა, მატერიალური და სულიერი კულტურის შემქმნელი ხალხთა მასა, მშრომელი კლასი. მუშათა კლასი ამ მიზნის განხორციელებისათვის „ირაზმება მილიონ პარტიებად, არ დრკება ცალკეულ და დროებით დამარცხებათა გამო“ (ვ. ი. ლენინი). მუშათა კლასს ამ იდეალებისათვის ბრძოლის არ შეშინებია,

როცა იგი საზოგადოების დაჩაგრული ნაწილი იყო და დღეს როგორ შეეშინდება, როცა საზოგადოების წარმმართველი ძალაა, იმის გამო, რომ იდეალის განხორციელების გზაზე გარკვეული სიძნელებები აღმოჩნდა. არა და ზოგიერთი გაზეთის ფურცლებზე ისეთი სტატიებიც კი გამოჩნდა, რომ იდეალისათვის, მასებისათვის ბრძოლა შეცდომადია წარმოდგენილი. მათი აზრით, საჭიროა ბრძოლა ცალკეული პიროვნებებისათვის და არა იდეალებისათვის, არა ხალხთა მასებისათვის, ვინაიდან საზოგადოება ცალკეული ინდივიდების მექანიკური ჯამია და მეტი არაფერი.

ასეთ აზრს ატარებს „ლიტერატურნაია გაზეტაში“ ვინმე არტურ კოსტლერი, რომელსაც პარტიასთან კავშირი გაუწყვეტია, უცხოეთში უცხოვრია და თავს რეპრესირებულად თვლის; იგი წერს: „მათი (კამენევი, ზინოვიევი და სხვა — ვ. ქ.) ნამდვილი დანაშაული იმაშია, რომ კაცობრიობის ინტერესები ადამიანის ინტერესებზე მაღლა დააყენეს“ („ლიტერატურნაია გაზეტა“, №31, 1988). ამგვარად, კოსტლერის აზრით, მათი ნამდვილი დანაშაული ის კი არ იყო, რისთვისაც ისინი დაისჯნენ, არამედ ის, რომ იდეალს შესწირეს თავი — ხალხზე დაიწყეს ზრუნვა, მაშინ, როცა ინდივიდზე უნდა ეფიქრათო. ასევე მსჯელობს ი. ზოლოტუსკიც, როცა ს. ზალიგინის სტატიაზე „უკვდავების საკითხისათვის“ („ნოვი მირ“, № 1, 1989) თავის აზრს გამოთქვამს. მას არ მოსწონს ის, რომ ზალიგინი რევოლუციას საზოგადოების განვითარებისათვის აუცილებლობად მიიჩნევს, რომ რევოლუცია, ზალიგინის აზრით, ერწყმის ევოლუციას. მაგრამ, რადგან რევოლუცია „სისხლის მდინარით“ შეერწყა ევოლუციას, ზოლოტუსკი თვლის: XX საუკუნეში რევოლუციის ერა დამთავრდა, რომ კაცობრიობა ევოლუციის აუცილებლობამდე მივიდა და უარყო რევოლუციის იდეა. ცინიკურად პასუხობს ზალიგინს: ზალიგინი მართალია იმაში, რომ თუ ჩვენ ბუნებას მოეწამლათ, მაშინ ადამიანების

უკვდავება მხოლოდ საიქიოში გვეტყობა.
დღევანდელი ეკოლოგიური მდგომარეობიდან სწორი დასკვნა უნდა გამოვიტანოთ და ასეთ დასკვნას ვიღვევთ აკეთებს ჩვენი პარტია. მ. გორბაჩოვი აღნიშნავს იმას, რომ დღეს სხვა სიტუაციაა, დღეს ეკოლოგია უტევს არა ამა თუ იმ პოლიტიკურ სისტემას; არამედ — საერთოდ კაცობრიობას, პლანეტას, ამიტომ პლანეტაზე მცხოვრებნი უნდა შევცადონ თავი იხსნან კატასტროფისაგან იმით, რომ სახელმწიფოებს შორის სადავო საკითხი გადაწყვიტონ დიალოგების გზით და არა ძალის პოზიციიდან, შექმნან ყველა პირობა განიარაღებისათვის, რადგან თანამედროვე ომიდან გამარჯვებული არავინ გამოვა. მაგრამ თანამედრო ეკოლოგიური მდგომარეობიდან ვერ დავასკვნით იმას, რომ კაცობრიობის ისტორიაში რევოლუციები არ იყო საჭირო და ერთ ეკონომიკურ ფორმაციას მეორეში ევოლუციური გზით შეეძლო გადასვლა.

იგი არც იმას ნიშნავს, რომ იდეალისათვის, ხალხთა მასებისათვის ზრუნვით ხელს ვიღებდეთ პიროვნების ინტერესებზე. აბსტრაქტულ ადამიანზე ზრუნვის დემაგოგიას ემყარებოდა ნაროდნიკების შტახედულეებ რომლის საფუძვლიანი კრიტიკა მოგვცე ვ. ი. ლენინმა. მან უარყო „ბავშვურად გულუბრყვილო, წმინდა მექანიკური შეხედულება ისტორიაზე. — იმ სუბიექტივისტების შეხედულება ისტორიაზე, რომლებიც კმაყოფილდებოდნენ უშინაარსო დებულებით, რომ ისტორიას ცოცხალი ადამიანები ქმნიან და რომელთაც არ სურდათ გარკვეულიყვნენ, რა სოციალური გარემოებებით და სახელდობრ როგორ ისაზღვრება მათი მოქმედება“ (ლენინი, ტ. I, გვ. 494). სოციოლოგ-მატერიალისტების ამოსავალია ადამიანთა საზოგადოებრივი ურთიერთობა. ეს უკანასკნელი იძლევა საშუალებას შეისწავლო რეალური პიროვნება მისი „ზრახვებით და გრძნობებით“ (ლენინი). მაგრამ იმის გამო, რომ ზოგადთან მისასვლელი გზა,

უმადლეის ჰუმანიზმის განხორციელების
გზა ხანგრძლივი და წინააღმდეგობებით
სასესე აღმოჩნდა. მისი სიკეთე დღეს
უშუალოდ არ ჩანს პიროვნების მიმართ,
ამან ბურჟუაზიულ იდეოლოგიას საბაბი
მისცა დემაგოგიისათვის, თითქოს მარქ-
სიზმს ადამიანთა ურთიერთობის შესწავ-
ლისას პიროვნება, ინდივიდი ყურადღე-
ბის გარეშე რჩებოდეს. ნამდვილად კი,
როცა მარქსიზმი თავის შესწავლის საგ-
ნად ადამიანთა განსაზღვრულ საზოგა-
დოებრივ ურთიერთობას იღებს, ამით
უკვე ის სწავლობს იმ რეალურ პიროვ-
ნებებსაც, რომელთა მოქმედებებისაგან
სდგება ეს ურთიერთობა (ლენინი).

საზოგადოებას არ შეუძლია იღვის
გარეშე არსებობა, არ შეიძლება მის
წარმოდგენა არ ჰქონდეს იმ ზოგადზე,
რომლის განხორციელებისათვის იბრძ-
ვის. ზოგადზე, იდეალებზე უარის თქმა,
რომელსაც ბურჟუაზიული იდეოლოგია
გეთავაზობს და გარდაქმნის სიძნელე-
ებით შეშინებული ზოგიერთი ჩვენი
ინტელიგენტი გვახსენებს იმას ნიშნავს,
რომ უარი თქვა კერძო და კონკრეტული
საკითხების გადაწყვეტაზე, დაბნეულო-
ბა შეიტანო პრაქტიკულ საქმიანობაში,
შეანელო გარდაქმნა. „მას (ტროცკის —
ვ. ქ.), — წერს ლენინი, — ავიწყდე-
ბოდა, რომ ის, ვინც კერძო საკითხებს
სწყვეტს ზოგადი საკითხების წინასწარ
გადაუწყვეტლად, თავისდა შეუგნებლად
ყოველ ნაბიჯზე გარდუვალად „წააწყდე-
ბა“ ამ ზოგად საკითხებს. ხოლო ამ სა-
კითხებზე ყოველ კერძო შემთხვევაში
ბრძოდ წაწყდომა იმას ნიშნავს, რომ თა-
ვისი პოლიტიკა უტუდესი მერყეობისა
და უბრინციბობისათვის გასწიროს“ (ლე-
ნინი, ტ. 12, გვ. 601). ლენინის ეს აზრი
არ მოძველებულია, იგი ახლახან გამოი-
ყენა მ. ს. გორბაჩოვმა მუშათა კლასის
წარმომადგენლებთან შეხვედრაზე: „ლე-
ნინი ხშირად იმეორებდა: ხელს ნუ მოჰ-
კიდებ კერძო საკითხს, სანამ ზოგადში
არ გაერკვევი“ და აღნიშნა, რომ საჭი-
როა წინასწარ „აზრით გავაცისკროვნოთ
გზა იმ მიზნისაკენ, რომლისკენაც მივ-
დივართ. მკაფიოდ და ნათლად უნდა ვი-

ცოდეთ, რა ვაშენოთ, როგორი პრაქტი-
კით“.

კონკრეტულის, ცალკეულის წინააღმდე-
გის მიმართ ზრუნვის დასაბამუთებლად
და ამდენად ზოგად იდეალებზე უარის
სათქმელად „ზოგიერთი ავტორი გეთა-
ვაზობს აზრს, რომ საზოგადოებას არა-
ვითარი მისწრაფება ზოგადისაკენ და
იდეალებისაკენ არა აქვს, საზოგადოება
ადამიანების არითმეტიკული ჯამია და
მეტეი არაფერი. ასეთი აზრი ანარქისტუ-
ლი იყო და ასეთივედ რჩება დღესაც,
მიუხედავად იმისა, რომ ამ დებულების
ლენინისეული კრიტიკიდან მათეული
წელი გავიდა. იქნებ მექანიკური აზრის
ავტორებს არ მოსწონთ მარქსიზმის კლა-
სიკოსების პასუხი ამ საკითხზე. მე შე-
მიძლია მათ ვუბრალებო ნ. ბუხარინის
სიტყვებით, ბუხარინი მარქსის გენია-
ლურ აღმოჩენას უწოდებს ისტორიის
მატერიალისტურ ახსნას და აღნიშნავს:
იმ ფაქტიდან, რომ „ადამიანები თვითონ
ქმნიან ისტორიას“, არ გამომდინარეობს,
რომ ეს ადამიანური მოქმედება რაიმე
კანონზომიერების გარეშე იდგეს, რომ
„საზოგადოება იზოლირებული და მე-
ქანიკურად გაერთიანებული ინდივიდე-
ბის ჯამია“ (ნ. ბუხარინი, „მარქსის
მოძღვრება და მისი ისტორიული მნიშვნე-
ლობა“ „ეკოპროსი ფილოსოფიი“,
№ 10, 1988).

საზოგადოების განვითარების კანონ-
ზომიერება არ დაიყვანება ადამიანის,
როგორც ბიოლოგიური არსების კანონ-
ზომიერებაზე. მაგრამ ამ კანონზომიერე-
ბების მიხედვით იდეალების განხორ-
ციელებისათვის ზრუნვის დროს ჩვენ
არასოდეს არ უნდა დაგვაფიწყდეს პი-
როვნება, რომელიც სოციალურთან ერ-
თად ბიოლოგიური არსებაცაა. თუ ზო-
გადი იდეალის განხორციელება პიროვ-
ნების მსხვერპლს მოითხოვს, მაშინ სა-
ჭიროა ისე მოვიქცეთ, რომ არც იდეა
გაფიროთ პიროვნების გულისათვის,
მაგრამ არც პიროვნება გაფიროთ იდე-
ის გულისათვის, ცხადია, თუ ეს ხერხ-
დება. აქ უნდა გამოყენებულიყო მარქ-

სიზმის შემოქმედებითობა რეპრესიის ბეროდნი.

მარქსიზმში მხოლოდ ერთი დებულებაა უცვლელი, ესაა პრაქტიკისა და თეორიის ერთიანობა. ეს უჩვენებს მარქსიზმის დებულებათა ცვალებადობას კონკრეტულ სინამდვილესთან მიმართებაში. თუ პრაქტიკის მაგალითმა უჩვენა ზოგადზე წარმოდგენის შეცვლის ან მისი განხორციელებისათვის სხვა გზის არჩევის შესაძლებლობა, მაშინ მისგან უკან არ უნდა დავიხიოთ. კომუნისტური პარტიის მიზანია მომავალზე ზრუნვა, ისეთი ჰუმანური საზოგადოების აშენება, რომელიც გამორიცხავს ადამიანის ჩაგვრას, პიროვნების უგულვებელყოფას. მაგრამ თუ ეს მომავალი ძალიან შორი აღმოჩნდა და ისეთიც, რომ მის მშენებელ ადამიანს არაფერში გამოადგა, მაშინ ამ იდეის განხორციელების ინტერესი იკარგება. შეიძლება ეს ჰქონდა ლენინს მხედველობაში, როცა ახალგაზრდებს უთხრა: თქვენი თაობის ხალხი კომუნისმს მოესწრება, თქვენ 10-20 წლის შემდეგ კომუნისმში იცხოვრებთო.

საჭირო იყო ყოველივე ამის გათვალისწინება, მარქსიზმ-ლენინისმის შემოქმედებითი გამოყენება. კერძოდ იმ ადამიანების მსხვერპლის აცილება, რომელთა მეშვეობით უნდა შეესხა ხორცი იდეალს. თუ ეს ვერ ხერხდებოდა, მაშინ ან ზოგადზე დოგმატური წარმოდგენიდან ახალ წარმოდგენაზე გადასვლით ვიყავით, ან შეგვეცვალა იდეალის განხორციელების „დადგენილი“ დრო, ან კიდევ მისი განხორციელების ფორმებით უფრო, რომ არსებობდა ლენინის დებულება იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება ცოცხალმა სინამდვილემ კონსერვატიული წარმოდგენები ზოგად იდეაზე შეგვაველეინოს: „თეორიულად იმაზე უფრო უბადრუკი და პრაქტიკულად იმაზე უფრო სასაცილო არა არის რა, რომ „ისტორიული მატერიალიზმის გულისათვის“ მომავალი ამ მხრივ ერთფეროვანი რუხი ფერით წარმოვადგინოთ“ (ლენინი, ტ. 23, გვ. 81).

თუ ლენინი მარქსიზმს შემოქმედებით

თად იყენებდა (სოციალისტური რევოლუციის ლენინური თეორია), რატომ არ შეიძლებოდა ლენინისმში შემოქმედებითად გამოგვეყენებინა? სხვა სიტუაციაში ლენინი თვითონ შეცვლიდა თავის დებულებას იმის შესახებ, რომ „ჩვენი ზნეობა გამოიყვანება პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ინტერესებიდან“ (ლენინი, ტ. 31, გვ. 349) ან ლენინი არ შეცვლიდა იმ აზრს, რომელიც მან ახალგაზრდებს უთხრა კომუნისმის აშენების ვადის შესახებ? სტალინმა ლენინის მოწოდება ახალგაზრდების მიმართ 10-20 წლის შემდეგ კომუნისმის აშენების შესახებ, რომელსაც შეიძლებოდა უფრო ტაქტიკური და პროპაგანდისტული ხასიათი ჰქონოდა, კომუნისმის იდეის განხორციელების სტრატეგიად მიიჩნია და, ალბათ, ამიტომ დააჩქარა სახალხო მეურნეობის მთელი სისტემის გადაყვანა სოციალისტურ საწყისებზე. 1930 წელს ლენინი რომ ცოცხალი ყოფილიყო, არ შეცვლიდა 1920 წელს გამოთქმულ დებულებას? „თუ მე ამ საზოგადო საკუთრებიდან (მიწა საზოგადოებრივი საკუთრება განდა 1917 წელს — ვ. ქ.) განსაზღვრულ ნაკვეთს ვიღებ, მომყავს მასზე ორჯერ მეტი პური, ვიდრე მესაჭიროება და ნაჭარბი პურით სპეკულაციას ვეწევი... განა მე მაშინ ისე ვიქცევი, როგორც კომუნისტი? არა, ისე ვიქცევი როგორც ექსპლოატატორი, როგორც მესაკუთრე. ამას უნდა ვებრძოლოთ. თუ ამას ისე დავტოვებთ, მაშინ ყველაფერი უკან დაქანდება კაპიტალისტების ხელისუფლებისაკენ, როგორც ეს არაერთხელ მომხდარა წინანდელ რევოლუციებში. ...ცალკე პირები არ უნდა მდიდრდებოდნენ დანარჩენების ხარჯზე. ამისათვის საჭიროა მშრომელნი (სოფლის მშრომელნი — ვ. ქ.) მკიდროდ შეუკავშირდნენ პროლეტარიატს და შეადგინონ კომუნისტური საზოგადოება“ (იქვე, გვ. 352).

სტალინი, ალბათ, დოგმატურად დაეყრდნო ლენინის ამ აზრს, როცა დაქუცმაცებული გლეხური მეურნეობის

კოლმეურნეობებზე გავრთიანება აუცი-
ლებლობად ჩათვალა. მაგრამ ამის გან-
ხორციელებას ადამიანის მსხვერპლი
რომ დასჭირდა, საჭირო იყო ახალი გზე-
ბის ძიება და არა ლენინის დოგმატური
გაგება. ლენინი ასეთ სიტუაციაში სხვა
გზას გამოიხატავდა და მიზნით საშუალე-
ბას არ გაამართლებდა, სტალინი განს-
ჯის სფეროდან გონების სფეროში ვერ
გადავიდა, ძალით გაიტანა ის, რაც ლე-
ნინმა თქვა, მისმა კულტმა კი ხმა სხვას
არ ამოაღებინა.

სტალინის შემდეგ ხრუშჩოვმა უცბად
ვერ ვაბედა ითქვა კოლმეურნეობის,
როგორც სოფლის მეურნეობის ფორმის,
უვარგისობაზე. ამის თქმა გლეხობას
დააკისრა სათანადო ღონისძიებებით.
პირველი იყო ხრუშჩოვის ის განკარგუ-
ლება, რომლის მიხედვით საზოგადოებ-

რივ შრომაში გლეხებისადმი დახმარა-
ბის გაწევის საბაზით პრაქტიკულად
გლეხის უზოდან შინაური ჯიშის
კი გამოღვენეს, სავარმდიამოდან შიშის
ნაკვეთი ჩამოაჭრეს. ყველაზე გადამწყ-
ვეტი როლი სოფლის განაანგებაში ითა-
მანა სოფლად სამანქანო-სატრაქტორო
სადგურების დაშლამ და მანქანა-ტრაქ-
ტორების კოლმეურნეობებზე გაყიდვამ.
ყოველივე ამის შემდეგ გლეხმა არა
მარტო თქვა, კოლმეურნეობა უვარგი-
სიაო, არამედ სოფელი საერთოდ მია-
ტოვა, ძველის კრიტიკის დროს ყველა-
ფერი უნდა გავიხსენოთ, თუ გვინდა მა-
რთალი ვიყოთ ისტორიის წინაშე. გარ-
დაქმნა შეუქცევადი პროცესია, მაგრამ
არადამაჯერებელი და არაარგუმენტირე-
ბული კრიტიკა — შექცევადი.

□

მშრომან ჯგუზური

არაეკოლოგიური

არაეკოლოგიურია თანამედროვე ადა-
მიანის დამოკიდებულება ბუნებასთან.
სხვაზე მეტად ეს ითქმის საბჭოთა ადა-
მიანზე, რადგანაც მას, ჩვენდა სამწუხა-
როდ, ნაკლებად მოეთხოვება იყოს ეკო-
ლოგიური.

საბჭოთა ადამიანი იმდენად თავის
თავს არ ეკუთვნის, რამდენადაც კოლე-
ქტიუსს, მას უფრო მოეთხოვებოდა ადა-
მიანური (ანუ ეკოლოგიური) ყოფილი-
ყო მაშინ, როცა იგი იყო დამოკიდებუ-
ლი საკუთარ თავზე, საკუთარ პიროვნე-

ბაზე, გააჩნდა საკუთარი (კერძო) კარ-
მიდამო, საკუთარი მიწა — ტყე — ჭა-
ლა — წყალი — საქონელი — და საკუთა-
რი პასუხისმგებლობა თავისი საკუთრე-
ბის წინაშე.

კერძოდ, სამეგრელოში, ისევე რო-
გორც სხვაგან, დღემდეა შემორჩენილი
ამ საკუთრების ამსახველი სახელწოდე-
ბანი: ტოტოჩიას ფერდი, გარუჩავას მინ-
დორი, ეთამეს ტომბა, დურუს ყანა, ზა-
რანდიების ოხვამერი (სალოცავი), კა-
ჭიას ტყე, შონიების საბალახო, გერას

ოჩაიე, კვარაცხელიას ძროხა, ხანდრას ცხენი და ა. შ. დაუსრულებლად შეიძლება ასეთი ყაიდის სახელწოდებების ჩამოთვლა. რევოლუციამ ყველას წაართვა თავისი საკუთარი მიწა — ტყე — ჭალა — წყალი — საქონელი და საერთო სარგებლობის ეგიდის ქვეშ მოაქცია. გლეხებმა შეადგინეს კოლექტიური მეურნეობა. კოლმეურნეობას მოჰყვა საბჭოთა მეურნეობა, რაც განაპირობა კოლმეურნეობის საბჭოთა მეურნეობასთან შედარებითა მრავალფეროვნებამ. ერთ კოლმეურნეობაში გაერთიანებული გლეხები სხვადასხვა საქმეს აკეთებდნენ. ზოგი თოხის კაცი იყო, ზოგი — ფერმის მუშა, ზოგი — მეჩაიე, ზოგი — მეციტრუსე, ზოგი — მევენახე, მებაღე... ვერ მოხერხდა მათი ერთდროულად სამუშაოზე გამოყვანა, ვერ მოხერხდა მათი იმ დონით დაჩაგვრა-გამოყენება, როგორც ეს ჰქონდა ჩაფიქრებული ქვეყნის ხელმძღვანელობას. ხოლო საბჭოთა მეურნეობა კოლმეურნეობასთან შედარებით ერთფეროვანია, ერთ რომელიმე დარგს ემსახურება. იქნება ეს ციტრუსი თუ საქონელი, ვენახი თუ ჩაი. თავდაპირველად გლეხი დახარბდა ჯამაგირს და სიამოვნებითაც კი გაემწესა მეურნეობის მუშაკად, რადგან ფული იყო მისი აზრით ის, რითაც ყველაფრის შეძენა შეიძლებოდა. მაგრამ მალე მიხვდა, რა ნაჩქარევი გადაწყვეტილებაც მიიღო, კი არ მიიღო, ცხადია, მიადებინეს.

ჯამაგირმა შრომადღებსაც ვერ აჯობა.

ამ საკითხზე რომ დაფიქრდა, შრომას უკლო და ჩაფლავდა საბჭოთა მეურნეობის გეგმიური აღმასვლა.

მეურნეობის მუშაკს ჯამაგირი არ ეყო, თავი რომ ერჩინა. მას ყველაფერი უნდა ეყიდა: საკმელ-სასმელი, ჩასაცმელ-დასახურავი და კიდევ რამდენი რამ, რაც აუცილებელი იყო მისი ოჯახისათვის. უკან მოიხედა და კოლმეურნეობას მიაპყრო მზერა, სადაც მცირე საკარმიდამო მიწა მაინც ებადა, სახლი ედგა და ნება ჰქონდა, ერთი სული ძროხა მაინც

ჰყოლოდა, მცირე ბალ-ბოსტანი ჰქონდა, ხეზე მაღლარი აეშვა და ერთი-ორი ქიქა სალხინო გადაეკრა. ჰა ჰქონდა ვაჟი თხრილი და წყალს არ ყიდულობდა; თუმცა არც კოლმეურნეობა იყო მისთვის სახარბიელო.

არასოდეს დამავიწყდება ჩემს სიყმაწვილეში ნანახი ერთი სურათი:

ვაზაფხულის აღრიან დილით ჩვენს ეზო-კარში შემოვიდა ნაცნობი ბრიგადირი და იკითხა: სვიმო პატენი სად არიო. ბაბუაჩემი კოლმეურნეობის ყანაში იყო უკვე წასული. მაშინ ბრიგადირმა იკითხა: ალე თუ არიო შინ. არც ალე ვახლავთ, უპასუხა ნუნუ ბიცოლამ. სამი ჩემი ბიძა ქერჩში ჩარჩა სამულამოდ. ოჯახში მეტი კაცი არ იყო და ბრიგადირმა თქვა: ცხენი უნდა წაიყვანო, ტყე-ჭალა უნდა აგჩეხოთ ტოტოჩიას ფერდზე (იმ ფერდზე, რაც ტოტოჩიას უკვე არ ეკუთვნოდა). ცხენი უნდა მოგვახმართო. ცხენი ნემსი არ არის, რომ დაიმალოს და წაიყვანა ბრიგადირმა იმ დილით ჩვენი მალია.

შელამებისას მობრუნდნენ შინ სვიმო ბაბუა და ალე ბიძია. მობრუნდა მთელი დღის ნაჭაფარი და უსმელ-უქმელი მალიაც, აიღო ბიძაჩემმა თხილის წნელის დასტა და სათითაოდ გადაატეხა ზურგზე საბრალო პირუტყვს. ცხენი ყალყზე დგებოდა. საცოდავად ჰიზვიებდა, კაცს მარცხენა ხელში თოკი ეკავა, მარჯვენა ხელში წნელი და სცემდა ცხენს უმოწყალოდ. ესეც შენ! ესეც! — გაპყვიროდა და გაგიყებას იყო მისული. ბაბუაჩემმა დიდი ხანი უყურა ამ სურათს, მაგრამ ხმა არ ამოუღია. უთქმელად გამოიჩანა განაჩენი. ლუცა ბებიამ კი წამოიძახა: მოკლავს პირუტყვს ეს უღმერთო! და როგორც იქნა ალე ბიძია ცხენს შეეშვა, ნუნუ ბიცოლა მივიდა, ცხენს ზურგზე ტომარა გადააფარა და მითხრა: გაატარ-გამოატარე, ბიცოლა შემოგვევლოს, ცოდოა მალია.

არასოდეს დამავიწყდება ბიძაჩემის გრილი გული, ბაბუაჩემის დუმბილი, ლუცა ბებიას წამოძახილი და ნუნუ ბიცოლას თბილი სიტყვები.

მოკლე ხანში ჩვენ მალიაც გავყიდეთ, რადგან საძოვარ-საბალახო არ გავაჩნდა. დიდი მიხვედრა არ უნდა იმას, რომ ბიძაჩემმა იმ საღამოს მალიას კი არა, მოძალადე ბრიგადირს გადაუტვირა მათრახი.

ერთი იმ საღამოს მაგალითზე, ერთი ჩვენი ოჯახის მაგალითზე, თუკი კარგად დავაკვირდებით, მთელი სოფელიც გამოჩნდება.

ტყე-ჭალა რომ გაიჩენა და იქ ჩაის პლანტაცია გააშენეს, ამას მოჰყვა ის ამბავიც, რომ მდინარე ჯუმმა დაიკლო, დაიწროცა და თითქმის ამოშრა.

ახლა რომ ვაკვირდები, ალე ბიძია სწორედ რომ კოლექტიურ და საზოგადო საქმეზე ფიქრობდა თავისდაუნებურად. არცერთი კოლმეურნე რომ არ გასულიყო იმ დღეს სამუშაოზე და არც ერთი პირუტყვი არ გაეყვანა, იქნება ტოტოჩიას ფერდიც შემოგვრჩენოდა, მაგრამ იმ დღეს თუ არა, მეორე თუ მესამე დღეს ძალით გამოიყვანდნენ კოლმეურნეებს და პირუტყვებს და იმ ფერდს მაინც აჩეხავენ და გადასწვავდნენ.

მთავრობის გეგმა თავისას ითხოვდა. ის მარადის მზარდი გეგმა, რომლის გამყარებასაც არასგზით დაადგა საშველი: მოიწიე 20 ცენტნერი სიმინდი ჰექტარ მიწაზე, კეთილი ინებე და შემდეგ წელიწადს 25 ცენტნერი მოიწიეო. მერე — 30, 40 და ა. შ. დაუსრულებლად... და არავინ იფიქრა იქ, ზევით, რომ ქვეყანას მიწის განსაზღვრული ფართობი უჭირავს. მიწა იმდენი გვაქვს, რამდენიც გვაქვს და მეტს ვერსად ვიშოვით. დადგენილებით ვერ გავადიდებთ. გეგმას გავზრდით, მიწას — ვერა.

მიწას ვაზრდი, რასაკვირველია, თუკი ტოტოჩიას ფერდს გადასწვავ, მაგრამ ტოტოჩიას ფერდის გადაწვამ, როგორც ვიცით, ჯუმის ამოშრობა გამოიწვია. მდინარის ამოშრობამ — ამინდის ჰორვეულობა და გვალვიანობა. გვალვიანობას მოჰყვა მიწის უხამ-ქიმიკატებით (სასუქებით) დანაყრება და სასუქებმაც

რომ ვერ გასკრა, მიწა გამოიფიტა და ბერწი გავვიხდა.

იქ ისევე გავიხსენოთ საბჭოთა მემურნეობის მუშაყი. მან აიღო ჯანაგირი და გასწია ბაზარში, მაგრამ ვერაფერი შეიძინა.

არაფერი გაუტეთებია არც მას, არც კოლმეურნეს და სურსათ-სანოვავეს საიდან შეიძენდა?

ამაზე იტყვიან: რასაც დასთეს, იმას მოიმკიო.

ალაგ-ალაგ გლებებმა, ვერც ის მოიმკეს, რაც დათესეს. სათესლე მარცვალიც ფუტყად დაიკარგა. სად არ შეგხვდება დაჩაივებული სიმინდის ყანა, სად არ შეგხვდება გაოხრებული ჩაის პლანტაცია (ყველაზე მეტად ეს ითქმის ჩვენი კოლხეთის დაბლობზე, სადაც დიდს მეცადინეობითა და გულმოდგინეობით ამოვაშრეთ ჭაობები და ჩაის პლანტაციები გავაშენეთ). სად არ შეგხვდება ჰირისაგან შექმული და ფოთლებშემკვანარი ციტრუსი (ლიმონი იქნება თუ ფორთოხალი), რადგან ჩვენ წესად გვაქვს კრიჭაში ჩავუდგეთ ბუნებას და ესა თუ ის კულტურა იქ გავაშენოთ, სადაც არასგზით ფხვს არ მოიყიდებს, ავჩენოთ ვენახი და დავთესოთ საზამთრო, გავჩენოთ ბალ-ხეხილნარი და დავთესოთ დაფნა.

ბალ-ვენახის აჩეხვამ გამოიწვია ბაზარის გაძვირება.

კიდევ უფრო დაეცა ფულის ღირსება. ყველაფერი ბაზარში გაუხდა საყიდელი კოლმეურნეობის წევრსა და მეურნეობის მუშაკს.

ნათქვამია, სოფელი ქალაქს არჩენსო.

სოფელი არჩენს ქალაქს იმიტომ, რომ ქალაქი თავისთავს ვერ არჩენს. მაგრამ თუკი სოფელი ვერ არჩენს საკუთარ თავს, ხომ გამორიცხულია, მან დაარჩინოს ქალაქი, რომელიც ვერ არჩენს საკუთარ თავს.

უმცროსი ძმები უგზავნიან უფროს ძმას ნაოფლარ-ნაჯადარს და უფროსი უნაწილებს მათ სარჩო-საბადებელს.

თავი რომ დავანებოთ ამა თუ იმ ხისა და ყაიღის სურსათ-სანოვავისა და

სხვა სამრეწველო საქონლის ტრანსპორტირების სირთულეს (გაგზავნა-გამოგზავნას), ეს ყველაფერი ფრიადს საექვოდ გამოიყურება.

ამას წინათ მე განხლდით ერთ რაიონში, ვინახულე რაიკომის მდივანი (პირველი), და შევესწარი ასეთ სურათს: მდივნის კაბინეტში შემოვიდა ერთი ახალგაზრდა კაცი (როგორც გამოირკვა, ინჟინერ-მშენებელი) და სთხოვა მდივანს დახმარებოდა, სამშენებლო ობიექტისათვის საჭირო რაოდენობის ლურსმანი რომ გაეცათ.

— ყველაფერი თქვენს ხელშია და თქვენი კონტროლის ქვეშ, — ვუთხარი ნაცნობ მდივანს, როცა სტუმარი გავიდა. — ნუთელა იმიტომ დაგსვენ ამ სკამზე, რომ ლურსმანი გაანაწილო.

გალაქტიონი გვასწავლის: „ერთი კაცის დიქტატურა მოვა“.

ვერა და ვერ ავცდით ამ ერთი კაცის დიქტატურას.

კოლმეურნეობაში დიქტატორი თავმჯდომარეა.

რაიონში — მდივანი.

ვისაც ძალაუფლება ხელში უჭირავს, იმას ჯერ კიდევ კვებავენ ჩვენი ბეჩავი მიწა სხეები კი, ვიდრე ძალაუფლების მქონე პერსონამდე მივა სახრავ-საკუმე-ლი, მანამდე იბარავენ სარჩო-საბადებელს. უმეტესობა კი ნასუფრალით იკვებება.

ჩემთვის წარმოუდგენელია, თუ რატომ სვამს და რატომ ჭამს საცოდაობამდე მიყვანილი გლეხის ნაოფლარს კომკავშირის მდივანი, რას აძლევს კომკავშირი გლეხს სამაგიეროდ? არა მართო კომკავშირი, ცხადია, და არა მართო უზომოდ გაბერილი სამინისტროები და უწყებები...

დღეს ერთ პატარა რაიონში ასობით ხელმძღვანელი უწყება-დაწესებულება-ორგანოა.

ცხოვებული რაფიელ ერისთავი კი როგორც ვიცით, ზუგდიდის მაზრის უფროსად რომ იყო გამწესებული, შენაღობა ოდენ ჩაფრით უვლიდა მთელს მაზრას.

ქალაქი ჭამს, ფიქრობს სოფელი:

რა იქნება ერთი მეც ვცადო ბედი, არ ვიმუშაო და ვჭამო. მეც რომ ქალაქელი მუშაკი გავხდეთ.

და გლეხმა მიწა მიატოვა. კი არ მიატოვა, როგორც ვნახეთ, მიატოვებინეს. მიწაზე გული აუყარეს.

ასევე არ მუშაობენ და ჭამენ — ცრუ პოეტები, ცრუ მწერლები (ვინ უნდა უმღეროს იმ მოტყუებულ გლეხსა და მუშას, რომლებიც კვებავენ და მოსავენ მთელს ხელისუფლებას?). არ მუშაობენ და ჭამენ ცრუ მოქანდაკეები, ცრუ მხატვრები, ცრუ კომპოზიტორები, ცრუ მომღერლები, ცრუ მეცნიერები, ცრუ მშენებლები, ცრუ აკადემიკოსები, ცრუ პედაგოგები...

ამას გვეუბნება სადღეისო ვითარება.

ათასგზის დაშინებულმა ხალხმა შესაძლოა უარიც კი თქვას შემოთავაზებულ მიწასა და საკუთრებაზე, მაგრამ, როგორც მიგვანიშნებს პარტიის ლიდერი, საბჭოეთს უკვე სხვა გზა არა აქვს. გზამ, რომელსაც ვადექით, მოგვიყვანა დღევანდელი დღემდე, მოგვიყვანა არაეკოლოგიურობამდე, „არასახარბიელო ვითარებამდე“.

ვარდაქმნას აღსრულება უწერია.

არ არის გზა წინ. არ არის გზა მარცხნივ, არ არის გზა მარჯვნივ, არის მხოლოდ ერთადერთი გზა, უკან — ბუნებისაკენ. იმისაკენ, რომ ადამიანმა იგრძნოს თავი ადამიანად, ხოლო თავს ადამიანად მაშინ იგრძნობს, როცა იგი გახდება თავისი თავის და მიწის ნამდვილი პატრონი.

მაშინ არ იქნება იგი არაეკოლოგიური.



აკაკი გელოვანი

კრიტიკის კრიტიკა

(გამოჩენილ ადამიანთა ნააზრების ფონზე)

კრიტიკოსისა და შემოქმედის ურთიერთობა ყოველთვის აინტერესებდა განათლებულ კაცობრიობას.

კრიტიკოსი შემოქმედთა მსაჯულია. მსაჯულს, უწინარეს ყოვლისა, იფქლისა და ღვარძლის გარჩევა მოეთხოვება. შემთხვევით როდი ახვევდნენ კისერზე თოქს მოსამართლეს. ეს არ იყო სხვათა ჩამოხრჩობის სიმბოლო, არამედ ნიშანი თანხმობისა, რომ მსაჯული თავს ჩამოიხრჩობდა, თუ სამართალს მრუდე მაკრატლით გაჭრიდა.

კრიტიკა მაღალი კატეგორიის ცნებაა. თვითონ მწერალია უპირველესი კრიტიკოსი. მისი საგანია დრო და ადამიანი, სიტყვა და მოქმედება.

სერვანტესმა, რაბლემ, სეიფტმა, ბალზაკმა, ჰაინემ, გოგოლმა მთელი ეპოქები და სისტემები გააკრიტიკეს. მოლიერს კუშტად შეხედა ლუი XIV-მ და ჰკითხა: „დასრულდა შენი კომედია?“ „დიახ, სირ, ჩემი კომედია დასრულდა. მაგრამ შენს კომედიას ექნება დასასრული?“ — მიუგო მწერალმა, რომელსაც გოეთე ევრიპიდეს სიმბოლურად აყენებდა.

ის იყო სოციალური უსამართლობის კრიტიკა. ჩვენ ვლაპარაკობთ ლი-

ტერატურულ კრიტიკაზე, გემოვნების კრიტიკაზე. მხატვრული ლიტერატურის ნიმუშთა შეფასების უნარზე, რაც უნდა გამორიცხავდეს არასერიოზულ ქირდვას.

სიბრძნე უარყოფს ქირდვას და ქირქილს, თვით უმეცრებას ის სულგრძელი ღიმილით ამხელს, დაცემულს აღადგენს, დაეხმარება, მისი მოქმედება მართებულია, რამეთუ „სულგრძელი კაცი დიდ არს გონებითა, ხოლო სულმოკლე ძლიერად უგუნურ“ (იგავნი). განა ზომიერება ასუსტებს აზრს?

თუ ავტორი „თანამდებ იქმნეს მხილებისა“, ცდებოდეს, არ უსმინოს მამხილებელს, „მხილებათა მისთა არა მიხედოს“, მოიძულოს სიბრძნე და კეშმართება, — მით უარესი მისთვის.

არაერთარი აგრესიული განცდა არ გაგვანჩია, სხვებთან ერთად გულწრფელად გვაწუნებს კრიტიკად წოდებული ზოგიერთი ტენდენციური გამოსვლის სუსხი, რომლისგანაც ჩვენი მდიდარი ლიტერატურა და ჩინებული კრიტიკული ატმოსფერო უნდა განიწმინდოს. ასეთი კათარზისიკ გარდაქმნის სანატრელი რგოლი იქნებოდა. დავძლიოთ პირადი სიმპათია-ანტიპათიები. ავამაღლოთ მოძვე თანამოკა-

ლმეთა შრომისადმი პატივისცემის კულტურა. აღვადგინოთ უნდობლობისა და დაბნეულობის საპირისპირო ატმოსფერო.

ათეული წლების განმავლობაში ვაკვარდებით კრიტიკული აზრის წარსულსა და აწმყოს, გვადღელებს მისი მომავალი და გვებადება სურვილი გამოვთქვათ საკუთარი შთაბეჭდილებანი, სურვილები, ვარაუდები, თუნდაც ეს იყოს მხოლოდ გამეორება იმისა, რისი გამეორებაც მუდამ სასარგებლოა. შეიძლება ჩვენი ფიქრები სარწმუნო და ავტორიტეტული არაა, ამიტომ შევეცადეთ შეუვალი ავტორიტეტების მოშველიებას, და მათი შეხსენება არც არავის უნდა დარჩეს საწყენად, არც არავისთვის უნდა იყოს ზედმეტი.

ღრმად მოაზროვნე პროფესიონალებს ვერაფერს შევედავებით, ჩვენ მხოლოდ იმ ცალმხრივობას ვუწუნებთ, რაც მათსავე პროფესიას უტეხს საზღვლს.

გოეთემ უთბრა ეკერმანს: „ვისაც სიკეთის მოტანა სურს, კი არ უნდა ილანდებოდეს, კი არ უნდა აზვიადებდეს სხვათა შეცდომებს, არამედ ემსახუროს მუდამ სიკეთეს. საქმეა არა ნგრევა, არამედ შექმნა იმისა, რაც კაცობრიობას გაახარებს“. ამ სიტყვების ავტორსაც სდებდნენ ბრალს, რომ ზოგი რამ გადმოუღია იმ წიგნებიდან, რომლებიც საერთოდ არ წაუკითხავს, მაგრამ გოეთე ამაზეც შენიშნავს: ერთიშეორიდან „გადმოღებით“ მოღისი კაცობრიობის კულტურა. ნიუტონი აღიარებდა: სხვებზე შორს იმის წყალობით ვიხედებოდი, რომ ბუმბეტაზთა მხრებზე ვიდექიო.

საქმე ეხება ზომიერებას და გონიერებას, ალღოს და კილოს. ცნობილია ლადო ასათიანის მწარე ღიმილი: „ერთმა კრიტიკოსმა ჩემი პოემა „კოლხიდა“ გააბიარა: არ ღირდა ამ პოემაზე მეღნის დახარჯვაო... იქნებ ამის შემდეგ გვეღირსოს, ტალახიდან ამოგვიყვანოს კრიტიკოსთა სიმძლავრემ,

მათმა დიდებამ და მათმა მოქმედებამ“. სწორედ „ტალახიდან ამოყვანა“ და არა ტალახში ჩადგებაა კრიტიკოსის მისია ვალებოა.

თავის ჩანაწერებში იგივე ლადო იგონებს ერთ მწერალს, რომლის აზრითაც თურმე „სამშობლო ხეესურისა“ ცრუ პატრიოტიზმის, კუთხურობის, შოვინიზმის ნიმუშია. „უნდა მეცემა, ძლიერს გამასწორო,“ — წერს პოეტი. მისი აზრით, „ნიჭი ქმნის კულტურას“, შემდეგ: „მე სხვანაირად ვწერ. ამისი გამოცნობა კვიციანს არ გაუჭირდება, სულელებისათვის კი მე არ ვწერ“.

პირაგნების ყოველ საქმეში კოლოსალური მნიშვნელობა აქვს. სოკრატემ დასაბამი მისცა მორალური სრულყოფის ფილოსოფიას, პლატონმა — მოძღვრებას სახელმწიფოზე, არისტოტელემ — პოეტურ ხელოვნებას. კოპერნიკმა — პელიოცენტრულ სისტემას... კართაგენის არმია წლების განმავლობაში თავზარსა სცემდა რომის იმპერიას — იმიტომ კი არა, რომ კართაგენი რომზე ძლიერი იყო, არამედ იმიტომ, რომ სათავეში ედგა ჰანიბალი...

კრიტიკულ აზრსაც ესაჭიროება თავისი ბელადები, მეღროშენი, გზის გამკაფანი, როგორიც იყვნენ ვოლტერი, ბრანდესი, ბელინსკი, ილია... ამ ნიშანსვეტებს შორის კრიტიკამ ისე უნდა იარსებოს, რომ რეზონანსი ჰქონდეს, არ მოეკიდოს ობი, აზრთა სხვადასხვაობა შექმნას.

ჯერ კიდევ ჰეროდოტე წერდა: „თუ საპირისპირო აზრი არ იქნება, საუკეთესო საიდან ავარჩიოთ?“

კარგი კრიტიკოსი, პოლემისტი, ორატორი ისევე ესაჭიროება ერს, როგორც კარგი მსაჯული, მასწავლებელი, მკურნალი.

არა ბრმა და ბუნდოვანი, არამედ ღრმა და უბრალო სიტყვა მოეთხოვება მწერალსაც და კრიტიკოსსაც. პატროსნება — უბირველეს ყოვლისა!

სინდისზე მსჯელობისას მიშელ მონტენი წერდა: „წამების გამოგონება — საშიში გამოგონებაა, და მე მეჩვენება,

ეს უმაღლეს მოთმინების გამოცდაა, ვიდრე ქვეშაირების გამოცდა“.

ჩვენ რომ ვცადოთ იმ მწერალთა, მეცნიერთა, ხელოვანთა ჩამოთვლა, რომელთაც უსამართლო მსჯავრის კვერთხი შეხებია, გაგვიჭირდება. უფრო იოლი იქნება იმათი ჩამოთვლა, რომელთაც ის არ შეხებია. თითებზე ჩამოითვლებიან ასეთი „ბედნიერი შემოქმედნი“. ცხადია, მეტია იმ შემოქმედთა რიცხვი, რომელთაც კრიტიკამ სარგებლობა მოუტანა, თუმცა მუდამ როდია კრიტიკა სამართლიანი და მუდამ როდია ილებენ სამართლიან კრიტიკას.

იოს მთელს სიცოცხლეში დევნიდა კრაზანა, გმირებს—თერსიტე, ჰომეროსს — ზოილი, ჰაინეს — მასმანი, ლესინგს — კლოცი... არ ასვენებდნენ ანტიკის ქებულ პოეტებს, ლათინთა დიდ მწერლებს, აღორძინების მოაზროვნეთა უმეტესობას, ახალი დროის გამოჩენილ ადამიანებს. აკრიტიკებდნენ სვიფტს, ბირონს, ბალზაკს, გოიას, გოეთეს, შილერს, ჰაინეს, სტენდალს, ნეკრასოვს, დიკენსს, პეტეფის, მოცარტს, შოუს, შევჩენკოს, დრაიზერს, მანს, ბრენტს, ჯიმს ჯოისს, ვაჟას, ილიას, იაკობს... დილტანტს უწოდებდნენ ტროას აღმომჩენს... ნოვატორები აითვალისწინეს, განიყენეს მათი სამოსი.

კრიტიკა ხომ ისევე ძველია, როგორც ლიტერატურა!

ჯერ კიდევ ზოილიმა სახელი განითქვა არა კრიტიკით, არამედ ჰომეროსის განჭიქებით. „თრაკიელ მონად“ და „ჰომეროსის რისხვად“ წოდებულმა ამ ცინიკოსმა ორატორმა, პოეზიის პეროსტატემ, მეტსახელად „მკვერმეტყველების ქოფაკმა“ ანტიკის უდიდესი ეპოსის გაცამტვერება იკისრა და თავისი კვლით აღასრულა კიდევ უწოდა მას უზნეო, შეუსაბამო, უხამსი ნაცოდვილარი. დიწუნა ენა, წყობა, ფორმა, განცდების აღწერა. აქაველებზე განრიხებული აბოლონი ჯორებსა და ძაღლებს უშენსო ისრებს. „ეს ხომ ღვთაების გამახსრებაა! — წერდა ზოილი. — რა დაუშავეს ღმერთს ჯორებმა და

ძაღლებმა?“ პატროკლეს მოკვლა რომ აცნობეს, აქილევსი ატირდა. როგორ ეკადრებათ გმირს ტირილი! ეს უმეტესელების საქმეაო (ასეთი ბრალდებები არუსთაველსაც წაუყენეს!). ათენამ დომედეს სიმამაცე ჩაუწერა, მის ფარსა და მუზარადს ცეცხლის შარავანდელი შემოაგლო. „განა შეიძლება ასეთი რამ? — ხომ დაიწვებოდა გმირი!“ იწუნებდა აქილევსის და პრიაამოსის მეტყველებას, უკირკიტებდა ცალკეულ უზუსტობებს („ცალჩლიქა ცხენი“ და სხვა).

ცხადია, ზოილი პირუთენელი, მცოდნე, შეუპოვარი კრიტიკოსია, მაგრამ ქნილების კვანძის გასახსნელად არც ცოდნა ეყო, არც ალლო და სინდისი. ჰომეროსის ავტორიტეტი ვერც ალექსანდრიელმა ვრამატიკოსებმა, ვერც პლატონმა და არისტოტელემ შეარყიეს.

იგივე ზოილი ილაშქრებდა სოკრატეს და პლატონის წინააღმდეგაც. მისი შრომები დაკარგული და დავიწყებულია, სამაგუროდ მემკვიდრეები ყოველ ეპოქაში ჰყოლია და ჰყავს. განაჩენი ხალხმა გამოუტანა: „ზოილი ლანძღავდა ჰომეროსს. ბრძანებდა ბრძენკაცთა კრება: „ყველაზე უდიდისი ლანძღვა ყველაზე სარწმუნო ქება“.

თვით აღორძინების ტიტანთა ახალ მწვერვალზე ჩამოწვა კრიტიკის სუსტი. ლეონარდის უკეთინებდნენ; ყველაფერს ჰკიდებ ხელს და არაფერს ასრულებო, საღებავების შეზავება არ იციო; მიქელანჯელოზე წერდნენ: „თავის სიცოცხლეში საყურადღებო არაფერი შეუქმნია არც ხუროთმოძღვრებაში, არც მხატვრობაში, არც პოეზიაში“; ახალ დროშიც კი რასტრელიმ „მოსეს“ ხილვისას შესძახა: „ო, მეგობარო მიქელანჯელო, რა ოსტატი ხარ ამალღებულ საგანთა დამდაბლებისა!“ რაფაელს რომში შურით ანთებული მტრები ჰყავდა. ცნობილი მხატვარი ჭეხასტიანო ღელ პიომბო ფლორენციაში მყოფ მიქელანჯელოს სწერდა: სამწუხაროა, რომ ახლა რომში არ იმ-

ყოფებით და არ შეგვიძლიათ ნახოთ სიხარულით გამგებლის ორი ახალი სურათი: დარწმუნებული ვარ, ამაზე საძაგელს ვერაფერს წარმოიდგენთ... ფიგურები ბოლში გამოყვანილი გეგონებია...

დელაკრუას შედეგებს პრუდონმა „ნაჰითნი“ უწოდა, „სარდანაპალს“ — „გვამების გროვა“, ხოლო „ქიოსის სწრემას“ გრომ — „მხატვრების სერემა“; რემბრანდტს თანამედროვეებმა სულაც ზურგი აქციეს — არა იმიტომ, რომ შეუქმა თვალი მოსკრა, არამედ იმიტომ, რომ მსაჯულთა თავში შეუქმა ვერ შეადგია.

12 წლის ვოლტერმა პირველი ტრაგედია დაწერა. 23 წლისა ბასტილიაში იჯდა. 84 წლისა ჭერ კიდევ ებრძოდა სიღუბნეობას. ზეგარდმო ნიჭით მომადლებული გიგანტი მთელ სიცოცხლეში გესლიანი კრიტიკის, დევნის საგანი იყო. ის კი იღიმებოდა, როგორც ანტიკის ორეული: „მოსაკვდინებლად მეძიებთ, რამეთუ სიტყვა ჩემი ვერ დაეტევს თქვენ შორის“.

დანტეს და შექსპირს დიდხანს აგდებით უყურებდნენ; რონსარს საბრალდებო განაჩენი გამოუტანა XVII საუკუნემ; XVII საუკუნემ განაჩენი დაამტკიცა; XIX საუკუნემ ის გააუქმა; რას იტყვის XX საუკუნე? (ანატოლ ფრანსი)...

შემოქმედთა უმართებულო უარყოფის კლასიკური ნიმუშია ედინბურგელი კრიტიკოსების თავდასხმა ახალგაზრდა ბაირონზე, რომლის პირველ ლექსებს ისე შეხვდნენ, როგორც ინკვიზიტორები — ბრუნოს „სამყარობს“, „სატირიკოსის“ კრიტიკოსთა აზრით. ბაირონის წიგნი განეკუთვნება „იმ თხზულებათა კლასს, რომელთაც სრულიად სამართლიანად წყევლიან ადამიანები და ღმერთები... ასე დაშორებული არაფერი გვინახავს იქიდან, რასაც საშუალოს ეძახიან. ეს ნაწარმოებები სიკვდილივით ჩლუნგნი არიან, მუდამ ერთ დონეზე დგანან, როგორც გუბის წყალი“. სულაც მოგშვიო წერას, ურჩევდნენ:

ეს იქნებაო შენი უკანასკნელი წიგნი! პასკევილი რომ გამოქვეყნდა, ბაირონი წუთით შეშლილს დაემსგავსა, მაგრამ მხოლოდ წუთით, რადგან დიდგონებით განჰყვრიტა, რა რისთვის ხდებოდა. მაშინვე დაწერა პოემა: „ინგლისელი ბარდები და შოტლანდიელი მიმომხილველები“ (1809), რაც 14 თვის შემდეგ გამოქვეყნდა. ბაირონი თავს ესხმის იმ კრიტიკოსთა „ჯოჯობეთურ მანკიერებას“, რომელთა ნაწერები ავტორებზე ნაკლებ ხანს იცოცხლებენ; დასცინის ინგლისურ კრიტიკას, მის ქედმაღლობას: „ეს პასკევილია და არა კრიტიკა“. პოპისა და დრაიდენის გარდა ყველა ინგლისელ პოეტს „საბრალო ბარდებს“ უწოდებს. პოლემიკით გატაცებული პოეტი მკლანხელებში აქცევს თვით უოლტერ სკოტს, სიუთის, ვორდსვორტს, კოლრიჯს, თომას მორს! კრიტიკოსებს ხომ არ ინდობს, უწოდებს „ჩრდილოეთის მგლებს“, ხარბ პარპიებს, რომელნიც ყველას და ყველაფერს ნთქავენ.

გავიდა წლები და ბაირონმა უარყო თავისი პოლემიკური პოემის კილო, ცეცხლს მისცა „გაყური ვაშმაგების ეს უზადრუკი ძეგლი“ („მდარეა, რადგან პირადი ანგარიშია“). პოემა მაინც გადარჩა. მის წინასიტყვაობაში პოეტი წერდა: „მე არავის დავსხმივარ თავს, ვინც თვითონ თავს არ დამესხა... რაც შეეხება ედინბურგის ჰიდრას, მისი გასრეხა შეუძლია მხოლოდ ჰერაკლეს, და მე თუ ერთ თავსაც გავუჭიჭყავ, იმითაც კმაყოფილი ვიქნები“.

„უღმობელ კრიტიკოსთა ხროვას“ კი ასე მიმართავდა: „მლანძღე, მაგინე და გიხაროდეს, არ მიმღერია შენთვის აროდეს, გუნდო ბოროტო! იცი ძაგება, მაგრამ არ ძალგის ლექსის ვაგება. არც კი კითხულობთ ბოლომდე, ისე ლექსს სასიკვდილოდ ვაწირავთ მყისვე... მე ვწერ, ვერაგნო, თქვენთვის კი არა, — ვინც გულით მიკნო, შემიზიარა. ფუჭია თქვენი გულმოდგინება, ნაყოფს ვერ მოგცემთ ასეთი ჯაფა! მხოლოდ განმითქვამს მე

სახელს სწრაფად. — თქვენ ცენზურა და მე კი — დიდება!

მეორე დიდ ინგლისელს — ბერნსს დაახლოებით იმასვე ურჩევდა დ-რი მური, რასაც აკაკი — ვაჟს: უბრალო სოფლურ. კილოზე ხელი აიღე, დახვეწილი სტილით წერეო. მე ქოხების პოეტად მინდაო დარჩენა, მიუგო ბერნსმა.

ავგუსტ შლეგელს სასტიკად ესმოდნენ თავს თანამედროვე კრიტიკოსები. მას იცავდა ჰაინე, რომელიც თვითონ იყო მრავალი გამოხდომის სამიზნე; ხშირად გამწარებული ვარბოდა მარქსთან, ცრემლმორეული შესჩიოდა თავის გასაკვირს ქვეყნად ერთ-ერთი ყველაზე ენამახვილი პოეტი.

ლესინგმა მთელი წიგნით უპასუხა თავის კრიტიკანებს, რომელნიც მის ქმნილებას შეჰყევდნენ (ლათინურად „კანის“ — ძაღლია). ამასთან დაკავშირებით ჰაინე წერდა: ვის ეტოლინებოდა დღეს კლოცის სახელი, რომ ლესინგისაგან ნატყორცი საპასუხო ლოდებისაგან ძეგლი არ აღმართულიყო! თვით ლესინგი მიაჩნდა თავისი დროის უდიდეს კრიტიკოსად, ხორცშესხმულ პოლემიკოსად, რომელიც ებრძოდა ავ კრიტიკოსებს, რომელნიც „ყველაფერს გაბატებენ — სიმდიდრეს, კეთილშობილებას, საზიარებას, საშუალო ნიქსაც კი, ოღონდ გენიალობას კი არასოდეს“.

თუ გერმანიის უდიდეს კრიტიკოსს მოუკრივებლად (კრიტიკებდნენ დიდნი და მცირენი (მათ შორის — მისი მადიდებელი ჰერდერიც), არც რუსეთის უდიდესი კრიტიკოსი ბელინსკი ყოფილა მოსვენებული. დობროლიუბოვი წერდა: „ყოველი ყაიდის ლიტერატურულ წრეებში ძლივს მოინახება ხუთი თუ ექვსი ბინძური და სულმდაბალი პიროვნება, რომელიც გაბედავს მისი სახელის წარმოთქმას მოწიწების გარეშე. მთელს რუსეთში არიან ადამიანები, ენთუზიაზმით აღსავსენი ამ გენიალური ადამიანისად-

მი, და ცხადია, სწორედ ესენი არიან რუსეთის საუკეთესო ადამიანები“.

არც ფრანგი კრიტიკოსები სწყალობდნენ ბალზაკს. სენტ-ბევი ჯერ დასცინოდა მას, შემდეგ ეყო პატიონება, რომ დიდ მწერლად ელიარებინა; ისიც უფრო ნაყოფიერებისათვის, და მაინც ბოლომდე სძულდა; სხვებიც ხშირად სასოწარკვეთილებაში აგდებდნენ ბალზაკს. „ლარუსის“ ავტორები გვარწმუნებენ, სამწერლო მოწოდება არ ჰქონდა, წერა უქირდა, ტიპები არ შეუქმნიაო; რასტინიაკი უზადრუკი უქნარაა, მამაგორიო მანიაკი, ვოტრენი — ბოროტმოქმედი; საერთოდ, უმწუო გმირები ჰყავს, საშინელი სტილი აქვს, უვარგისი კომპოზიცია, ცხოვრებას არ იცნობს, სულ ზის და ყავას შეეჭყევაო, მის წიგნებს უხალისოდ ვხურავთო; არც ლანსონი იწოდობს, „მდაბიურ რომანტიკულ ბოდვას“ უწოდებს „ადამიანურ კომედიას“. ბრეტანოს აზრითაც ამ უზარმაზარ ნაწარმოებში არაფერია კეთილშობილური, ძნელია მას ხელოვნების ნაწარმოები ეწოდოსო. ასევე ბრძანებდა პროფესორი „პროფესიონალი“ ფაგე; ავსტრიაში კი ერთ დროს საერთოდ აკრძალეს „უზნეო ბალზაკი“.

მაგრამ ბალზაკს რომ ყველა კრიტიკოსისათვის პასუხი გაეცა, მაშინ მის წიგნებს ვინ დაწერდა? ბუნებრივია: „გადაგვარებულ ადამიანებს სძულთ მხატვარი, რომელმაც ისინი მეტისმეტად კარგად დახატა“ (ჰაინრიხ მანი), ჩვენში ასეთები ვაყვამაც „დახატა“: „რამდენი ავსული, ვიცო, წარბშეუხრელად დადიან“ ასეთები სხვათა შეცდომების ძიებაში ვერ ამჩნევენ, რომ თავად ცდებიან.

კრიტიკანულ გამოხდომებთან დაკავშირებით ფილდინგი წერდა: „თუ ვინმე მქირდავი გაკადნიერდება და სხვის ნაშრომში რაღაც ხინჯს გამონახავს ისე, რომ არ გაეგება, როგორ იქმნება მთლიანობა, ესაა საყოველთაო წესიერების ხელყოფა და უმსგავსოება“. მეორე დიდი ინგლისელი გოლ-

დსმითი „მსოფლიო მოქალაქეში“ შენიშნავდა: „ზოგი კრიტიკოსი ბორგნეულია არა სწავლულთა გენით, არამედ მათი სუსტი მხარეებით: საკუთარი ძალით რომ იატაკიდან ვერ ამდგარა, სხვათა ღირსებას ეჭიდება“. ამავგე თვალსაზრისს განავითარებს ჰელგეციუსი („ადამიანზე“): ვისაც რაიმეს შექმნა ხელეწიფების, სხვათა განქიქებას არ დაიწყებსო. შეცდომებისაგან დაზღვეული არც ერთი ავტორი არაა. ასეთ შემთხვევაში, მაგალითად, ლესინგი მოკრძალებით მიუთითებდა ამ შეცდომა-ლაფსუსებზე, წიგნის ბოლოში, დარბაისლურად და აკადემიურად. მაგრამ ის იყო ლესინგი...

კრიტიკოსის ფუნქცია საკმაოდ მალაია. ის გამრჩევიცაა, დამფასებელიც, ლიტერატურის ისტორიაში წიგნისა და ავტორის ადგილის მიმჩენი. ამდენად მისი პროფესია მისი ნიჭის საჭილდაო ქვეცაა. ხშირად მომხდარა: კრიტიკოსმა გზა დაულოცა, აღიდა, მისი კურთხევით მთელი გვერდები დაუთმეს ავტორს, რომლის ხსენებაც ამით დასრულებულა. მაგრამ ხდება პირიქითაც. გავიხსენოთ ისევე კლასიკური მაგალითები. თავის დროზე კრიტიკამ არ ცნო ისეთი გოლიათი, როგორცაა სტენდალი. ეს იყო დუმილის შეთქმულება. საჭირო ვახდა ბალზაკის რანგის მხატვარ-მსაჯული, რომ სტენდალი ელიარებინათ და მისი შექება ჰქუის საბუთად ეცნოთ. ცხადია, მუდამ არ არიან სტენდალები და ბალზაკები, დუმილის შეთქმულებაც ხშირად იმარჯვებს, თუმცა ის მაინც შეთქმულთათვის უფრო საშიშია ხოლმე.

ამისი მორიგი მაგალითია თეოდორ შტორმი. დღეს მის ტალანტს მსოფლიო აღიარებს: მცოდნენი იმატომ, რომ გემოვნება აქვთ, უცოდინარნი იმის შიშით, რომ უჭკუობა არ დასწამონ. ასეა დღეს. როგორ იყო მის დროს? გოლდამერი შტორმის ნაწარმოებთა ბერლინ-ვაიმარის გამოცემის წინასიტყვაობაში წერს (1972, 7): „დღეს ძნელი წარმოსადგენიცაა. რომ

შტორმის თხზულებებს თავის დროზე პროფესიონალური კრიტიკა გულცივად შეხვდა, დაიწუნეს კიდევცნის მხარეში ლმა „განათლებულმა საზოგადოებამ“ მას დუმილით ჩაუარა ან საყოველღეო მდარე ლიტერატურად გამოაცხადა“.

ერთმა კრიტიკოსმა, გუსტავ კურმეს შარლატანს რომ ეძახდა, ცინიკურად გაიხარა მხატვრის სიკვდილით. განდევნილი შიმშილობდა, ერთადერთი სურათი ძლივს გაყიდა. განა უკეთეს დღეში იყო ჩვენი ფიროსმანი?

დელაკრუას მხოლოდ 60 წლისას, სიკვდილამდე ხუთი წლით ადრე აღირსეს აკადემიკოსობა, თუმცა შეიღვერ ითხოვა. სამაგიეროდ აკადემიკოსები იყვნენ გარნიე, გრანე, დროლინგი...

ძაგება უფრო იოლია, ვიდრე შექმნაო, უთქვამს აპოლოდორეს. შეფასების უნარსა და კრიტიკიუმს ეხება ფრანგი კრიტიკოსის ვილმენის ნააზრვეიც: „კარგი კრიტიკოსი კარგი მწერალიც უნდა იყოს. მხოლოდ ნიჭს შეუძლია გემოვნების პორიზონტის გაფართოება“. ამასვე არაერთხელ ამბობს ლონგველო: „კრიტიკოსები ლიტერატურის დიდი არმიის დარაჯები არიან, გაზეთის ყოველ კუთხეში რომ დგანან და ყოველ ახალ მწერალს ომს უცხადებენ... დიდი მწერლის შეფასების უნარი თითქმის ედრება მის ნიჭს“.

ვინ უტეხს სახელს კრიტიკას? კრიტიკოსები, ცუდი კრიტიკოსები! მათი დამსახურებაა, რომ ლიტერატურისა და ხელოვნების მსაჯულებს უნდობლად და სიძულელითაც კი უყურებდნენ ჰესიოდე, მარციალი, მიქელანჯელო, ბრუნო, სვიფტი, ჰაინე, შოუ, ბალზაკი და უთვალავი სხვა დიდოსტატი.

გოეთემ და შილერმა სწორედ ცალმხრივ კრიტიკოსებს უძღვნეს „ქსენიები“ — ათასამდე ეპიგრამა. გოეთეს საყვედური დღესაც გაისმის: „შექმნა ძნელია, ძრახვა იოლი მწერლის მძრახველსო, ღირსებით თქმული თუ გაქვთ

მარჯვე და კეთილი სიტყვაც, რომ აქოთ
კაცის ღვაწლი და გული?”

„გოეთე და მისი კრიტიკოსები“ საკ-
მაოდ სქელტანიაიანი წიგნია!

თვით მარქსი იცავდა ახალგაზრდა
გოეთეს, რომელსაც ბერლინელი ხუც-
ესი პუსტკუხენი დაესხა თავს. ასევე
იცავდნენ მარქსი და ენგელსი ჰაინეს.
ცნობილია მარქსის წერილი ჰაინესად-
მი: „ძვირფასო ჰაინე! ამ დღეებში
ხელთ ჩამივარდა პასკვილი თქვენს წი-
ნალმდევ. ვერასოდეს დავიჯერებდი,
თუ ბიორნე ასეთი უგემოვნო, წვრილ-
მანი და სულმდაბალი იქნებოდა, რომ
არ მენახა შავით თეთრზე დაწერილი
სტრიქონები. გუცკოვისა და სხვათა
დამატება — ეს კიდევ რაღა უზადრუკი
ნაჭლახნია! არა მგონია, რომელიმე ლი-
ტერატურულ პერიოდში რომელსამე
წიგნს შეხვედროდნენ ესოდენ ჩლუნგი
გონებით, როგორც შეხვდნენ თქვენს
წიგნს გერმანულ-ქრისტიანული ვირე-
ბი, თუმცა ჩლუნგი გონების ნაკლებო-
ბა ჩვენში არც ოდეს ყოფილა“.

უმართებულო კრიტიკის კრიტიკა
ზოლად ვასდევს ლენინის თხზულებ-
ებს.

გოეთეც დაუნდობელი იყო ხსენე-
ბულ კრიტიკოსთა მიმართ: „რას მავ-
ნებს მათი კრულვა-გინება, უნდოლ ბე-
რლინელ ხუცესთა კიცხვა? ვისაც არ
ესმის ჩემი ქმნილება, უმჯობესია ის-
წავლოს კითხვა“.

არც შანდორ პეტეფი დარჩენია ვალ-
ში მხხრეკელებს: „სულ კარგს რომ
ვწერდე, რით იცხოვრებდნენ კრიტი-
კოსები, საცოდავები?“

პუშკინმა ხომ ანდერძი აუგო მრავალ
მედროვეს, „უკვდავთა ხელით გასრე-
სილ ზოილს“: „ჩემო დაქდაპა კრიტი-
კოსო, დაციუნვის გუდავ, მასხრად რომ
იგდებ კაეშნიან ჩემს მუზას მუდამ, აქ
მომიჯექი...“

ქმნილებათა შეფასებაში მრავალი
დიდი ადამიანიც შემცდარა. ტოლს-
ტოი მწერლად არ ცნობდა შექსპირს;

გოეთე იცავდ შეხვდა „სიმღერები“ წი-
გნის“ ავტორს; იაკობ გოგებაშვილს
ერთი „კრიტიკოსი“ უწოდებდა, აქუზან-
კალას, რომელიც ამაოდ ეუბნებოდა
წიგს (უშინსკის); ნიკო ნიკოლაძე იაკ-
ობს სქოლასტიკოსს ეძახდა, თავის რე-
ცენზიას „ბუნების კარზე“ ასე ამთაე-
რებდა: „საბრალო ახალგაზრდობავ,
საწყალო ქვეყანავ!“ („დროება“, 1873,
47).

რაღა გასაკვირია, თუ ვინმე ხელა-
ძე ილიას „ვანდევოლს“ უწოდებდა
ფორმითა და შინაარსით უმდარეს ნა-
წარმოებს!

„ქალარა ზოილს“ უჩივის პუშკინი;
დავით კეზელმა ეს სახელი ფსევდონი-
მადაც კი გამოიყენა, დიდი ილიაც ამ
გარდაქმნილ ზოილს უჩივის: „დავბერ-
დი, დავჩაჩანაკდი... ზოილი აბუჩად
მიგდებსო“. ასევე — ხონელს (ბახტა-
ძეს), ყიდ ფიძეს და სხვ. მიზეზი? ისევე
ილიას ვათქმევინოთ: „მური, სულ მუ-
რი! მაგითი არა ვართ დალუპული ჩვენ,
ქართველები?“

„ქართულს ნუ გვიფუჭებო!“ — უკი-
ქინებდნენ აკაკის და თვით აკაკიც
უწუნებდა ენას ეაყას. უსახელო კრი-
ტიკოსები კი ილიას ემუქრებოდნენ:
თუ ამ გლეხის ლექსები კვლავ დაგის-
ტამბავს, „ივერიას“ აღარ გმოვიწერ-
თო. ცნობილია იბ. ვართაგავას წერი-
ლიც ვაყას მიმართ...

ვინ არ იცის კ. გამსახურდიას მსჯავ-
რი! თუ დაინახეს, რომ ვინმე რამეს
აკეთებს, დაესევია და უწყალოდ
აკორტინაო! ერთხელ ლადო ასათიანს
შესჩივლა: თუ ვინმე კრიტიკის წერას
დაიწყებს, უთუოდ მე უნდა დამეტაკო-
სო! კ. გამსახურდია მწერლობას გვე-
ლებზე ნადირობაზე მძიმე საქმედ თვლი-
და (V, 368), ამის მთავარ მიზეზად
უსამართლო კრიტიკას თვლიდა. ერთი
რეცენზიის პასუხში გამსახურდია წერ-
და: „პირდაპირ ვერ ამიხსნია, რამ და-
ბოლმა ესოდენ ძლიერი კრიტიკოსი,
რომ ჩემს ექვსასგვერდიან წიგნში ხინ-
ჯის მეტი ვერაფერი უპოვნიაო!“

როგორც ჩანს, ასეთი კრიტიკოსები

შემძღვებელს ვერას ავნებენ, ვერშემძღვებელს კი ვერაფერს უშველიან.

განა ილიაზე და სხვა ერისკაცებზე არ გავრცელდა ის, რაც ბრძენმა ხალხმა მაცხოვარზე თქვა: „სოფელსა შინა იყო და სოფელი მის მიერ შეიქმნა, და სოფელმან იგი ვერ იცნა“?

რა შეიძლება ყოველივე ამას ეწოდოს? ბუმბერაზები და ქვესროლიები! იმ ქვეებისაგან ხალხმა ღირსეულებს ძეგლები აუგო.

ძეგლებზე გვაგონდება: ერთმა მკითხველმა ივ. ჭავჭავაძის მისწერა: სოფლის უკუღმართობა იმაში გამოჩნდა, რომ თქვენნი არ აღამიანს კრიტიკა არ უნდა შეხებოდა, თქვენ კი უღმერთოდ გავამწარეს; არის ლათინური ანდაზა: მარმარილოს ძეგლს ტალახი არ ეკარება! სწორედ თქვენ ხართ ის ძეგლი და რა კარგია, რომ მჭირდავებს თავი არ გაუყადრეთო! — დაახლოებით ასე...

ერთი ქართველი მწერალი წერდა: მე მკითხველის უფრო მეშინია, ვიდრე კრიტიკოსთაო. თითქმის იგივე აქვს საბუთებში ფრანგ რომანისტს სიმენონს: ლიტერატურული სახის შექმნაში გაცილებით უფრო მეხმარება მკითხველთა წერილები, ვიდრე პროფესიული კრიტიკაო.

ვეცნობით ამ პიკანტურ დუელთა ამბავს და ვფიქრობთ: ნუთუ კრიტიკოსი მოვალეა უწყალოდ სცემოს ავტორს, როგორც ბალაამის ვირს? ხომ შეიძლება ერთხელ მშობლიურმა ენამაც ენა ამოიდგას და უთხრას: „არა მე ვარა ქართული შენი, რომელსა ზედა სჯდი სიჭაბუკით შენითგან ვიდრე დღეინდელ დღედმდე?“



მთელი განათლებული კაცობრიობა ხომ მარად თვალს აპყრობს არა იმას, ვინც ხალხებს იპყრობდა, იმპერიებს განაგებდა, არმედ „იმას, ვინც აზროვნებდა“ (პიუგო); რაკი ასეა, მოაზროვნეთა შემფასებელი თვითონ მოაზროვნე უნდა იყოს, უყვარდეს ადამიანი

და მისი ნაშრომი, შეფასების უნარი მაინც ჰქონდეს.

პირადი სიმპათია-ანტიპათიები რი და ზაკვა, წრობანა და ამბიციები და წინასწარ აღებული აზრი სამწუხაროდ ძლიერი ფაქტორები ყოფილა მუდამ და ყველგან, მეტადრე პატარა ერებში. დანიის დიდება ხალხებმა ანდერსენით შეიცნეს და დანიელი კრიტიკანები ანდერსენს „ჩვენს უცხოელ ორანგუტანგს“ უწოდებდნენ; ხოლო თუ მეორე უდიდეს დანიელს — თორვალდსენს, რომელიც აგრეთვე უმთავრესად უცხოეთში, იტალიაში ცხოვრობდა, გრანდიოზული ძეგლი აუგეს, — საყოველთაო პატივით გარემოსილს; სრულყოფილი მშვენიერების ეს გენიალური მეხოტბე, თვით იტალიამ აღიარა და არც შეიძლებოდა სხვანაირად. მაგრამ მკაცრი კრიტიკოსები არც მას ინდობდნენ.

ქვეყნად რამდენი გამოჩენილი მხატვარი, მსახიობი, პოეტი, მომღერალი ყოფილა დევნილი, მივიწყებული უსამართლო კრიტიკის წყალობით, და რამდენს მიეკუთვნა დაუმსახურებელი ეპითეტები: შეუღარებელი, კონვენიალური და ა. შ.

სიტყვა საგანს უნდა შეეფერებოდეს. თვით მართალ სიტყვას მაშინ აქვს ფასი, როცა მას მართალი კაცი ამბობს. ფარისევლის მრუდე სიტყვა ხომ ორმაგად მრუდება, მაგრამ მის მართალ სიტყვასაც ეჭვით უყურებენ.

ჩვენც ეჭვით შევცქერით არა მართალ, არამედ ტენდენციურ კრიტიკოსს, რომლის კრიტიკიზმი ხშირად კრეტინიზმად მოუნათლავთ.

თუ ვინმე მიმომხილველი ავტორიტეტულად აცხადებს, რომ ჩვენ არა გვაქვს კრიტიკა, არა გვაქვს ღირსეული რომანები, ლექსები, თარგმანები და ა. შ. ესაა მთელი ჩვენი ლიტერატურის შეურაცხყოფა, ჭეშმარიტების ხელყოფა.

ასეთ „უარყოფილებას“ ასი წლის წინ (1888) მრისხანე პასუხი გასცა ილია ჭავჭავაძემ „ივერის“ მეთაურში:

„ადრეც გვიტყვამს... ადამიანის ლოლი-
კამ გზა შეიწალა, ან ღერძი გადა-
უბრუნდა... ყალბი ხალასად გადის და
ნაძირალა თავანკარად... თითქოს გუ-
ლის აღებ-მიცემობაში აღარ იშოვება
საწყაო ცოდვისა და მადლისა, ტყუ-
ილისა და მართლისა. ყველანი ვხედავთ
ამას, თვალწინ ათასი მაგალითი გვიდ-
ვა და ყველანი ვიწყნარებთ ამისთანა
ყოფას“... შემდეგ ილია ედავება ღირე-
ბულებათა ვადამფასებელს, შექსპირის
უარმყოფელს, რომელსაც სულელები
ეთანხმებიან: რაკი უარმყოფელია,
ჰკვიანიც ეს იქნებაო, თორემ ჰკვიანი
კაცი მას „საგოყეთში ამოუყოფს თავს“. აი, ასეთ „პაშას კერას“, „ადამიანის
ჰკუის გაუქმებას და ვაბათილებას“
ებძოდნა ილია და ეს ასი წლის შემ-
დეგაც ნაშანდობლივია, რაც გამოიხა-
ტება კლასიკოსთა უარყოფის, თავის
პირად მეგობართა განებოერების, სხვა-
თა განქიქებისა თუ პირადად „მძლავ-
რისათვის“ არასასურველ ავტორთა
ნაშრომების დაწუნება-უარყოფის
უთვალავი ფაქტის სახით. ეს დანაშაუ-
ლია.

არსებითად იმავე უარმყოფელთა
მისამართით წერდა ვაჟაც:

ვაიგებთ კარვის გარჯასა,
სწუხთ და შურითა ჰხდებითა;
უქმად ჩაჰმალევთ სიცოცხლეს,
უქმად საფლავში წვებითა.

დაპკარგავთ სააქაოსა,
ვერც საიქიოს სწვდებითა.
არ იცით, დასჩნდით რისადა,
ან რისათვისა ჰკვდებითა.

სხვა ლექსში მანვე გენიალურად
განსაჯა: „ნაკრავი სარგოდ მომიხდა,
თუმც სამავნებლოს ეცადა: რამდენიც
დამკრა, იმდენი მე ავიწიე ზეცადა,
ადამიანად ვისახვი, მგმობელნი დარჩ-
ნენ მხეცადა“.

აბა, რომელი ჩაეჭიდებოდა სიკეთესა
და სიახლეს ელიაზე და ვაჟაზე ადრე?
მაგრამ სწორედ მათ აღიმაღლეს ხმა
უარმყოფელთა, მჭირდავთა, მჩხრეკელ-

თა წინააღმდეგ. მსგავსი საფრთხე ყო-
ველ დროშია და მასთან ბრძოლაც
ყოველ დროშია საჭირო, რადგან ნურა-
კეთილგანწყობილი კაცი ყოველთვის
გამონახავს არგუმენტს, რომ წიგნი
უარყოს“ (პროფ. ალიცია კუჩინსკაია).

* * *

კრიტიკული თვალი აფხიზლებს ადა-
მიანს, პირუთენელი მსჯავრი აწრობს
პასუხისმგებლობის გრძნობას, აიძუ-
ლებს შემოქმედს გამოავლინოს თავი-
სი შესაძლებლობა. დაეა მხოლოდ მა-
შინ შეიძლება, როცა კრიტიკოსი ლა-
მობს თებრი შავად მოგვაჩვენოს. მხო-
ლოდ მაშინ შეიძლება წამოვაცენოთ
ფორმულა: „კრიტიკის კრიტიკა“.

მხატვრული სიტყვის ძალას გრძნობ-
დნენ ძველი ავტორებიც, როცა წერდ-
ნენ მშრალ ტრაქტატებს, პამფლეტებს,
„ღვთის შთავგონებულ წიგნებს“. „აღდ-
ვა ელია წინასწარმეტყველი, ვითარცა
ციცხლი, და სიტყვა ვითარცა ლამპარი
ეგზებოდა“. მსაჯულთა სიტყვაც ლამპა-
რი უნდა იყოს და არა ფუტურო!

თუ მხატვრული ნაწარმოები გულს
არ ხვდება, ნათელ იდევებს არ აღვიძებს;
ის არაა მხატვრული ნაწარმოები და
კრიტიკა, რომელიც ასეთ ნაწარმოებს
აქებს, აღარაა კრიტიკა. არც მაშინ, თუ
არის და არ აღიარებს. მას შეიძლება
შევახსენოთ მოციქულის სიტყვა: „მკუ-
რნალო, განიკურნე თავი შენი!“

სიტყვასაც უნდა ზომა და ლაგამი.
ლამაზად ნათქვამი ყოველთვის როდია
სწორად ნათქვამი. ილია სწერდა მეულ-
ლეს: „როცა ჩემს უსახელო სტატიებს
იცნობენ, კრიტიკებს მაშინ უყუტე!
მაგრამ ნუ გეშინია: მათ მიღმა მუდამ
იქნება წმინდა ჰეშმარტება“.

ენის ძალმოსილობაზე, სიცრუის
უკეთურობაზე მრავალგზის მეტყვე-
ლებს ბიბლიაც. „ენა კაცისა — დაცემა
მისი. ნუ იწოდები განმაქიქებელ და
ენითა შენითა ნუ მოინადირები; ნუ
იქნები ფიცხელ; ნუ მოიძაგებ შრომისა
საქმესა“, — ზირაქის სიბრძნეს ყავლი
არ გასვლია.

სწორედ „შრომის საქმე“ აღიზიანებს ზარმაცს. სხვათა ნაყოფიერება, პატიოსნება, სიკეთის რწმენა აწუხებს მტრულად განწყობილ მსაჯულს.

ქნელია მსაჯის განსჯა საფეხბურთო მოედანზე, მაგრამ ლიტერატურა ფეხბურთი არაა, მის სიტყვას თემიდასასწორზე დადება მოელის მუდამ.

კრიტიკის საჭიროებას ყველა აღიარებს. დავა სხვა რამეზეა: კრიტიკა თუ ინტრიგა და ანგარიშსწორება? სიკეთე აწუხებთ თუ სისუსტე? პატიოსნება თუ პატივმოყვარეობა? სათნობას ანგელოზზე ადრე ეშმაკი ეკიდება ზოგჯერ. ჩვენი ვალია ვავარჩიოთ ეშმაკი და ანგელოზი.

ლაპარაკია არა კრიტიკის უარყოფაზე, არამედ ისეთი კრიტიკის უარყოფაზე, რომელმაც სოკრატეს ათქმევინა ამ თითქმის 2500 წლის წინ: „ფეიქრობ, ზოგჯერ წერაც გმირობაა თუ ნაწერის განსჯა სულელს მიენდობა“.

ჩვენს დროში დაახლოებით ასევე ამბობს აკადემიკოსი ნიკოლოზ ველტუხინი: „ცუდად დასაბუთებული ან ხელაღებით უარყოფა საქუთარი უვიცობისა და გონებრივი შეზღუდულობის აღიარებაა“. რომელს სურს ეს აღიაროს?

* * *

სიტყვა ეძლევა კრიტიკას. ის დიდ პატივშია. მაგრამ ვინა ქირღვა კრიტიკა? ბოლო წლები „აქტიური კრიტიკის წლებია“, თუმცა უფრო მეტია მსჯელობა იმაზე, თუ „როგორი უნდა იყოს კრიტიკა“.

თუ კრიტიკოსი მხოლოდ განმაქიქებელია, ავტორს უფლება აქვს არ უსმინოს მას.

უკეთესია ყველამ შექმნას, რისი შექმნაც შეუძლია: განსჯას მომავალიც მოახერხებენ.

ლამაზად წერას რომ ითხოვს; კრიტიკოსსაც მოეთხოვება ლამაზად წერა, როგორც წერდნენ ლესინგი, ბელინსკი, ბრანდესი, ილია...

კრიტიკოსს ალღო და ტაქტი ესაჭიროება ღვაწლმოსილთა თუ ახალბედათა ნაწერების გარჩევის, დეფექტითი ნდობისა და პატივისცემის გამოცხადება ცოდნითა და გემოვნებით შეიძლება და არა განქიქებით, სწავლებით, რიხით.

„კრიტიკოსს პოეტის მიმართ ხშირად მკვლევარისა და, რაც ყველაზე საშინელია, მასწავლებლის პოზიცია უჭირავს. ასეთი გადაადგილება — შეგირდისა მასწავლებლის როლში — უფრო უარესია, ვიდრე ეთიკის დარღვევა. ესაა უსამართლობა მწერლის მიმართ. კრიტიკოსმა უარი უნდა თქვას მსაჯულისა და მენტორის როლზე პოეტის მიმართ“, — წერდა 71 წლის იანს რიკოსი. ამ აზრის გაბათილება არცაა საჭირო და არცაა შესაძლებელი. სწავლებით ვერ მოგვარდება ის, რაც სწორი ანალიზით მოხდება. სიავის ღმერთმა მომოსმა ათენას სახლი დაუწუწუნა: ბორბლებზე რატომ არ დგასო; პრომეთეს — ადამიანი: მკერდში ხვეული რატომ არა აქვსო, რომ გულში შეგვეხედაო; აფროდიტეს ხინჯი ვერ უნახა და ბრახით გასკდა, უკვდავი მოკვდავად იქცა. ბრანული მითია! ის ალბათ ჰერაკლესაც ეტყოდა: „სტიმულიდები რომ განდევნე, მერე არესის კუნძულზე დაიბუდეს; უნდა დაგეხოცაო!“ ასეთ მჭირდაეებზე წერდა „ძიადებში“ ადამ მიცკევიჩი:

მტვერმოდებული, გესლის ჭია, ჩლუნგი ესოდენ იყო სულელი კრიტიკოსიც — წიგნებს არჩევდა. ქმნილების სული მშვენიერი რომ არ ესმოდა, ზედ დაცოცავდა, მხოლოდ სვრიდა, ვერას ამჩნევდა. მგოსანს ყვავილებს უქექავდა და თავს ესხმოდა, ღრღნიდა მის ცოცხალ ხელოვნებას, აწვა ხუნდივით, მეცნიერების სარგო წვესაც წოვდა უნდალი! ცხადია, პოეტსაც შეიძლება რჩევა

მიეცეს: ნუ აღწერს დაწვრილებით ქალის გარეგნობას, ნუ იკისრებს მხატვრის საქმეს, ნუ ეცდება წარმატების მიღწევას იმაში, რაშიაც თვით არიოს-ტომ მარცხი განიცადა, მაგრამ ნუ განსჯის „წვივებზე მალა“, ნუ დივიწყებს კეთილი მრჩევლის მოვალეობას, რათა არავინ შეახსენოს საადის ხუმრობა: „ვშიშობ, წმინდა ქაბას ვერ იხილავ, არაბო! შენი ჭკუა-გონება თურქესტანში ჩაგიყვანს!“

მრჩეველიცაა და მრჩეველიც. ერთმა კომედიანტმა თურმე შექსპირს უთხრა: „რას იწერ მავ ქრონიკებიდან? ნუთუ არ მოგწყინდა ფუჰად ქალაქის ხარკვა?“

კრიტიკოსიც ახალი კუნძულების აღმოჩენის პატივს გაიზიარებს, თუ მართლა „აღმოაჩინა“ ახალი ნაწარმოები, რასაც სხვა გვერდს ქუვლიდა.

საამისოდ პირველ რიგში საჭიროა მსაჯულმა წაიკითხოს ყოველი ახალი ნაწარმოები. ბრანდესმა პირველად საერთოდ არ ცნო რუსული ლიტერატურა, არ დაუთმო ადგილი თავის წიგნში, მაგრამ გერცენისა და ტურგენევის გაცნობის შემდეგ ცალკე წიგნი უძღვნა, თუმცა ბევრი რამ მაინც შეეშალა. ტოლსტოი და დოსტოევისკი მისი აზრით უფრო მოაზროვნეები არიან, ვიდრე დიდი მწერლები, ყველაზე დიდ რუს პროზაიკოსად კი მიაჩნდა ტურგენევი, რომელიც თვითონ ქედს იხრიდა ტოლსტოის წინაშე.

კრიტიკოსი არ უნდა ცდილობდეს, რომ ერთ კალაპოტში მოაქციოს შემოქმედი. მას ევალება შეაფასოს ნაწარმოები, მაგრამ არა აქვს ნება უჩვენოს შემოქმედს ჩარჩოები. ეს შემოქმედის სტილის საქმეა. ცოტა იმუშავეთო, აბსურდული რჩევაა. მწერალმა უნდა წეროს ის, რაც ეწერება, რამდენიც ეწერება. შრომისმოყვარეობის სასწაულები მოგვეცეს ვოლტერმა, ლოპე დე ვეგამ, გოეთემ, ბალზაკმა...

მარკ ტვენი წერდა: „ხალხია ერთადერთი კრიტიკოსი, რომლის მსჯელობას ღირებულება აქვსო“. ხომ შეიძ-

ლება ხალხის და კრიტიკოსის აზრი ერთმანეთს ემთხვეოდეს? ეს დამოკიდებულია კრიტიკოსზე.

დიდი ადამიანების უმრავლესობა კრიტიკას კრიტიკული თვალთ უყურებს, მაგრამ ნორმალური განსჯის საჭიროებას არავინ უარყოფს. ჭერ კიდევ დიდი ლეონარდო წერდა: „შენი შეცდომების გამწიშვლებელი მოწინააღმდეგე უფრო მეტ სარგებლობას მოგიტანს, ვიდრე მათი დამფარველი მეგობარი“. მაგრამ მანვე თქვა: „ზიანი მოგაქვს, თუ ვინმეს აქებ, მაგრამ უარესია, თუ აძაგებ იმას, რაც არ გაგებებო“. ეს უკვე კრიტიკის კრიტიკაა! ამავე პოზიციაზე დგას ბერნარდ შოუ: „ვისაც შეუძლია, წერს, ხოლო ვისაც არ შეუძლია, სხვას ასწავლისო“.

ამავე ხასიათისაა ანსელმ ფოიერბახის ცნობილი დებულება: „ძაგება იოლია, ამიტომ ამ საქმეს ბევრი ჰყიდებს ხელს, გონივრული ქება ძნელია და ამიტომ მას უმრავლესობა თავს არიდებსო“.

ჩვენ უმთავრესად დასაყლებთის ამბავს მოგახსენებთ, მაგრამ არც აღმოსავლეთში უფენდენ ფიანდაზებს კრიტიკას, რომელიც ხელოსნობის დონეზე დგას და უსამართლო განქიქებას უფრო ჰგავს.

ავიციანამ არაერთი ეპიგრამა უძღვნა მტრებს, მეშურნეებს, კრიტიკანებს, რომელთა გამოხდომასაც „ლიმილით ხვდება“: „ჩამოვიცილე, სიმართლის და იმედის მჩენი სხვა ვარსკვლავებზე მალა დადგა ვარსკვლავი ჩემი“, — წერს დიდი მოაზროვნე. ბრძნულია მისი პოზიცია: „რას დაეცებ, კვლავ მაძაგონ განრისხებით! ვერ დაშლიან პიტალოებს რქებით თნები. ბრიყვთა ლანძღვა ვერას აენებს ნათელ საქმეს და მე რჩევას მხოლოდ სინდისს ვეკითხები“. თავორის აზრით, უსამართლო კრიტიკა პატიემოყვარეობითაა ნაკარნახევი: „თუ ვერ მიადწევს კაცი დიდებას, ფუჰად დიფყებს სხვათა გინებას, და ვინც დიდებას ვერ მისწვდა თავად, მას დიდებასთან რას არგებს დაეა?“

მირზა შადე გვირჩევეს: „გულგრილად შეხედდი, მეგობარო, ბრიყვსა და მქირდავს, ნუ დაგაღონებს მათი ლანძღვა და განქიქება; მქირდავთა ქირდება სისაცილოდ ვერ გახდის იმას, რაც სასაცილოდ არც ყოფილა და არც იქნება“, ბრძნულ სიღინჯეს გვირჩევეს მირზა ფათალი ახუნდოვი: „ნუ უსმენთ უნიათო და შურიან ადამიანებს, სხვასთან რომ სულ ხინჯს ეძებენ, რათა ამით დაფარონ საკუთარი ნაკლოვანებანი“, უსამართლო მსაჯულებს ურჩევეს სხვა ცნობილი აღმოსავლელი პოეტიც: „შენზე ბრძენს ნუ შეუწყურები, ფრთხილად ფანტე განაჩენი. ვიდრე განსჯას შეუდგები, ჯერ გაზომე ძალა შენი!“

მრუდე კრიტიკის წინააღმდეგ ილაშქრებს ფრ. ენგელსი. კლასიკური ნიმუშია პრუდონის მიმდევრის კარლ გრიუნის „უცნაური თეორიის“ წინააღმდეგ გაღმეკრება: თითქოს გოეთე მხოლოდ „სრულყოფილი ადამიანურობა“ იყოს და არ შეეძლო ეროვნული პოეტი ყოფილიყო (ე. ი. თითქოს გერმანია არ იყო ერი). ეს აზრი ენგელსმა კრიტიკის პირველ ნაბიჯში გაატარა და ნათელყო ვაიმარელი ბრძენის ორმაგი ბუნება (რომ ვერ დასძლია გერმანული ფილისტერობა, „ხან კოლოსალურად დიდია, ხან „წვრილმანი“ და სხვა). ეს სტატია ნიმუშიცაა იმისა, რომ ავტორის მოკრძალებას გოეთეს გენიის წინაშე არ უშლის მისი უარყოფითი მხარეების პირუთენელი აღიარება. დიდი მწერლის გაგების ანალოგიური ნიმუშია ბელინსკის წერილი გოგოლზე.

ღირსეული კრიტიკოსი ეხმარება მწერალს, ტენდენციური — უშლის,

აბნევს, გზას უკეტავს ნიჭიერ ახალგაზრდებს; ჩვენს ხვალისდელ დღეს, ამაზე თქვა ჰაინემ: სულიერი ღირებულება მარადიულია, კრიტიკა — წარმავალი.

მაგრამ თუ კრიტიკა დღეს იტყვის იმას, რასაც სხვა ვერ გაბედავს ან სახვალოდ გადასდებს — არც ასეთი კრიტიკაა წარმავალი.

კრიტიკამ არ უნდა აქციოს ბუზი სპილოდ და სპილო ბუზადო, — იხუმრა ჰამზათოვმა. საგულისხმოა ბუასტის ხუმრობაც: კრიტიკა უნდა ყეფდეს, მაგრამ კი არ კბენდესო!

კრიტიკის კრიტიკა გულისხმობს ტენდენციური კრიტიკის უარყოფას, მაგნე უარყოფელობის უარყოფას. თუ ამ ნაკლისაგან განიწმინდება, ის შეასრულებს სიახლისა და სიკეთისათვის მებრძოლის მაღალ მისიას. მაშინ შერიგდებიან მწერლები და კრიტიკოსები. აი, ეს იქნება გრადაქმნა და გაკეთილშობილება.

მოხმობილი მაგალითების სიუხვემ არ უნდა განაპირობოს ავტორთა უბასუხისმგებლობა და ხელჩაქნეულობა: თუ გიგანტებსაც აკრიტიკებდნენ, მეც რას დავეძებო! პირიქით! მათ შევახსენებთ „რაც ებატიება იუპიტერს, ის არ ებატიება ხარს“. ყველამ უნდა იაროს ეკლიანი გზით ვარსკვლავებისაკენ.

ამ გზაზე რომელიმე კლდეზე მრავალ სხვა ბრძნულ წარწერასთან ერთად გოეთეს ამ სიტყვებსაც წავაწერდით: „მონაპოვარს გიქვებ, მაგრამ სხვის ბედნიერ მონაპოვარს ხალისით რომ დაფასებ, ნაკლებ საქმედ მიგაჩნია?“



იროდიონ არამიიზვილი

ვაჟას ერთი საღამოს უსასხაპ

1915 წლის აპრილში ვაჟა-ფშაველა სამკურნალოდ თბილისში ჩამოვიდა. ამის თაობაზე ვაჟეთი „სახალხო ფურცელი“ (1915, 15 აპრილი) იუწყებოდა: „პოეტი ვაჟა ფშაველა თბილისში ჩამოვიდა, პოეტი ავადმყოფობისგან დასუსტებულია, გამხდარია და მარცხენა ფერდს იტყეებს. მას აზრად აქვს თბილისში რიგიანად იწამლოს“.

ვაჟას თაყვანისმცემელთა ერთმა ჯგუფმა გადაწყვიტა მის პატივსაცემად სალიტერატურო-სამხატვრო საღამო გაემართათ.

22 აპრილის საგანგებო თათბირით დაადგინეს, რომ 23 მაისს ფართო პროგრამით აღენიშნათ ვაჟას შემოქმედებითი მოღვაწეობა. პრესაში რამდენიმეჯერ დაიბეჭდა ღონისძიების სამგანყოფილებიანი პროგრამა.

23 მაისს თბილისის სახანონო თეატრში ქართველი მწერლების მიერ გამართულ სალიტერატურო-სამხატვრო საღამოზე საზოგადოების თავმჯდომარის გრ. რეხილაძის შესავალი სიტყვის შემდეგ ვრცელი სიტყვა წარმოთქვა გრიგოლ რობაქიძემ. იმდროინდელი პრესის აზრით ეს სიტყვა მთელი საღამოს გვირგვინს წარმოადგენდა. გრიგოლ რობაქიძე ხაზგასმით აღნიშნავდა: „ყოველ მგოსანს—ერთი იღუმალი ეამი აქვს, როცა მას მუზა ეწვევა. ყოველ ხელოვანს

ერთი ფარული ადგილი აქვს, საცა იგი მუზას ნახულობს. ეს ის ეამია, როცა იგი მეორედ იშვის. ეს ის ადგილია, სადაც იგი გარდაიქმნის. ამ ეამს ელის იგი სიკვდილსა და ამ ადგილს ნატარობს იგი საფლავსა. ვაჟა-ფშაველას აქვს ასეთი ეამი და ასეთი ადგილი. მისი პოეტური ეამი მაშინ წარმოიშვა, როცა ბუნებამ პირველად აიხსნა თვალი. მისი მგოსნური ადგილი კლდის მკერდის ძირას გამოიჭრა, საცა ბუნებამ პირველად იხილა თავი. თვალის მომჭრელ ქალწულს წყალი მოსწყურდა და მთის წყაროს დაეყრდნო მხურვალე. ქალწულმა წყაროს სარკეში პირველად იხილა თავისი ლამაზი სახე და მის ტურფა ბაგეს ცისკროვანი ღიმილი დააკვდა. ეს ქალწული ვაჟას ზღაპრული მუზაა. ეს ღიმილი მისი მგოსნური სიტყვაა და მთვარიან ღამეს, როცა ვრძნეული შუქთა ზეწარი სიზმრად ეფინება მიძინებულ ქვეყანას, ელის შეყვარებული მგოსნის მუზის ხილვას. და უკანასკნელიც მოვლინდება: იგი გამოდის შავის მღვიმით. მიაშურებს კლდის წყაროს, თავს უშვერს მის ნაყურს და მღერის სამყარო და როცა ოდნავ დაიწყებს ნათებას, თითქოს მთვარეულს დღის ცხადის თვალის ეშინიას, ისევ შავს მღვიმეს შეეფარება. ათრთოლებული მგოსანი, ჯადოსნური სიმღერით ფრთაასხმული,

საქართველოს
საბჭოთაო
საზღვრო
სამართლებრივი
სამსახური

ფანდურს იღებს ხელში და ტკბილად ახმაურებს მოზღვავებულის გულის თქმას“.

ვაჟა-ფშაველას შემოქმედებითი ფენომენი, გრიგოლ რომაქიძის აზრით, უთუოდ მითოლოგიურია: მისი აღმაფრთოვანებული ქალწულიც ხომ მითოსის წარმტაცი ხატებაა! მგოსანი უსმენს ყოველ მოვლენას და ნახულობს მასში რაღაც ახლოსა და ნათესაურს, მხოლოდ რაღაცგვარად მისგან მოწყვეტილს და დაკარგულს. იგი ყურს უგდებს მთით მოხეტიაელ ჩანჩქერს და ეს ხმაური იწვევს მასში სულიერ განცდათა-მოძახილს...-ო.

„— ყოველ მოვლენას საკუთარი სახე აქვს და როცა მგოსანი მასში თავის სახესა ჰქმნის, ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ბუნების მოვლენამ და მგოსანმა საიდუმლო შეხვედრის წამს ერთი-მეორე იცვნეს. აქ არის სათავე პანთეიზმისა და ვაჟა-ფშაველაც, უცილობლად, პანთეისტია. მაგრამ როგორი? — კითხვას იძლევა ლექტორი და უპასუხებს კიდევ: ბუნებამ. ამ ტურფა ქალწულმა, სარკეში ჩაიხედა და იგრძნო უსრულობა თავისი ლამაზი სახისა; აქ გაჩნდა პირველად ნღველი შემოქმედებისა. ბუნებამ სევდით მიიძინა და სიზმრად ნახა თავისი სრული სახე — აქ პირველად იშვა პოეტური ინტუიცია, ბუნებამ გულის ფეთქვით გაიღვიძა და ამხილა, მხიარულმა ლამაზი სიზმარი — აქ წარმოიშვა პირველად მხატვრული სახე, რომელიც გაიშლა მითოსად, ზღაპრად, ლეგენდად, ადამიანის გენია გასცილდა ზერეღე სინამდვილეს და თავბრუდამხვევი ოცნებით ნამდვილ სინამდვილეს ფრთა ჩამოჭრა. აი, შემოქმედი ძალა, ნამდვილი მსოფლიო გენისა! ვაჟა-ფშაველას ნიჭი სწორედ ამ გენის ალით არის ანთებული. იგი არ არის პანთეისტი ფიგურალურად. არა, იგი თავის პანთეისტობაში ნამდვილი მისტიკოსია... ბუნება მისთვის ცოცხალი არსია, რომელიც ჰლამობს თავის სრულობას... ლოგოსი — აი, სათავე ვაჟას პოეტური

გენისა! ლოგოსის გარეშე მისი პოეტური სიტყვა მხოლოდ „ჭრელი სიტყვა“ იქნებოდა...“

თავისი აზრის დასასაბუთებლად გრიგოლ რომაქიძე ვრცლად შეეხება ვაჟას პოემას „გველის-მჭამელს“, დიდი ხელოვნებით გააცნო დამსწრეთ პოემის შინაარსი და ვზადაგზა გააჩნია. იგი ამ უ ე ს ა ნ ი უ ნ ა ვ პოემაზე შეჩერდა არამარტო ვაჟა-ფშაველას ნიჭის დასახასიათებლად, უფრო ქართველთა გენიის გასაცნობად. გრიგოლ რომაქიძის აზრით, „გველის-მჭამელი“ ნამდვილი სხეულებია ქართველთა სულიერი ენერჯიისა, მისი საუკეთესო ნაყოფია“.

პოემის შინაარსის გადმოცემისა და გარჩევის შემდეგ მან თქვა: „უბრალო ჩონჩხიც პოემის კომპოზიციისა ნამდვილი გენიის ალის ნაყოფია. ძნელია გამორჩევა, სად თავდება ხალხის გენია და სად იწყება მგოსნის პირადი ნიჭი. მით უკეთესი ორივესათვის: მგოსანი ხომ მხოლოდ ინდივიდუალური სახეა ერისა“.

პოემაში გრ. რომაქიძე ნაკლსაც ხედავს, მაგრამ ეს მხოლოდ დეტალებს შეეხება, აღნიშნა მხოლოდ ის, „რომ სხეული კომპოზიციისა მეტს სიმშვენიერეს მოითხოვს: მგოსანი გასცილდა ხალხის უბრალო თქმულებას და შემოქმედი ენერჯიით გარდაქმნა იგი სრულქმნილ მთელად, ფორმის ტექნიკური მხრით იგი ისევ ხალხური პოეზიის მორჩილად დარჩა. „გველის-მჭამელის“ ფაბულა აუცილებლად მოითხოვს ინდივიდუალურს სხეულ-ფორმას. მაგრამ ამ ნაკლს მომხიბლავი მხარეც აქვს. ვაჟა-ფშაველას პოეზია იმ ქალწულის შთავგონებაა, რომელიც ღამღამობით კლდის ნაქურს უშვერს თავს გვირაბიდან გამოსული, ვაჟას პოეტური სიტყვა სწორედ ეს კლდის ნაქურია, იგი წყალი არ არის ჩასხმული ძვირფას ჭურჭელში: მისი ჭურჭელია მთის უხვი და ქალწული მკერდი. ეს წყარო ხანდახან ხვსმოკიდე-

ბულიცა: ეს წყალი ხანდახან ირმის ჩლიქით ამღვრეულიცაა, მაგრამ იგი მაინც პირველყოფილი ცინცხლობის ხალასი ნაკადულეაა. რომელი რომელს წყალს აირჩევს. — მითი მოხეტ-ქილს — თუ ჭურჭელში გადმოსხმულს, — ეს გემოვნების საქმეა. დიდებულმა ლეონარდო და ვინჩიმ კი თქვა: „ვისაც შეუძლიან წყაროს დაეყრდნოს, იგი მოისურვებს სურით დაღვევას“. ერთი გარემოება: ეს „ხავსმოკიდებული წყარო“, რომელიც ირმის ჩლიქით ხანდახან ამღვრეულია, ბოლოს და ბოლოს იმ ზღაბრულობასა ჰქმნის, რომელიც მაგარის სურნელებით ესხურება ყოველს სიტყვას, ვაჟას მიერ წარმო-თქმულს. მისი კოლორიტი ამ მხრით სწორედ რაუტენდელაანის („დაძირუ-ლი ზარა“ პაუბტმანისა) ედარება: რაუტენდელაანი ხომ ნახევრად მით-იური ქალია და იგი სიღვზის დია-ლექტით მეტყველებს. ვაჟას ფშაური დიალექტიც ასეთის სურნელოვანის კოლორიტით არის გაქდენთილი“.

გაზეთ „სახალხო ფურცლის“ ცნო-ბით ვაჟას საღამოზე რომანსები შეას-რულა ივ. სარაჯიშვილმა და კ—ნ შავერზაშვილმა, ხოლო მ. კავსადის ქო-რომ კი — ქართული სიმღერები; თავუ-ნამ წარმოადგინა თავისი იუმორის-ტული ნაწარმოები — „როგორ გაეი-თქვი სახელი ვაჟა-ფშაველას საღ-ამოზე“, გრ. რობაქიძემ შესანიშნავი ხელოვნებით წაიკითხა ვაჟას „მთის ქალი“, ნ. ერისთავმა წაიკითხა ვაჟას ლექსები — „ფშაველი ჭარისკაცის წე-რილი“ და „არწივი“.

ამის შემდეგ ი. გედევანიშვილს, ვალ. გუნიასა და ს. აბაშელს სცენაზე შემოუყვანიათ ვაჟა-ფშაველა.

ვაჟას წაუკითხავს რამდენიმე თავისი ლექსი. „ბოეტის დეკლამაციამ ყოველს მოლოდინს გადააჭარბა და ხალხი უფ-რო მეტ აღფრთოვანებაში მოიყვანა“.

ქართველ მწერალთა სახელით დატ-ნის გვირგვინი წარწერით — „ქართული პოეზის არწივს“ — ვაჟა-ფშაველას გრ. რცხილაძემ მიართვა და თქვა: „ძვირფასო მგოსანო! ხალხის სულის მესაიდუმლოვე, ქართული პოეზიის არწივო! 30 წლის მანძილზე შენი გრძნეული კალამი უწყვეტლევ კრებს ქართველი ერის გულში ჩაბნეულ მარგალიტებს, ჰკინძავს მათ და ამკობს ქართული პოეზიის ტაძარს.“

პოეზია, ეს უმაღლესი ფორმა სულის კულტურისა, ერის ცხოვრების სარკვე და მისივე ნაპერწკალი, ამ სარკვეში ვხედავთ ჩვენ, უბრალო მომავკდავნი, ერის იდეალურ სახეს. და ხელოვნების სათილისმო ძალით მოხიბლულნი, გან-ვიციდით მის გავლენას.

პოეზია ეროვნული სულის აღმზრდე-ლია. პოეზიის ქურუმი ერის მოძ-ღვარია და მასწავლებელი. აქედან წარმოსდგება ის გულწრფელი სიყვა-რული, რომელსაც ასე უხვად მოვი-ძღვნის შენ ქართველი ერი.

როგორც პოეზიის ჰემარიტი ქუ-რუმი, ჩვენ გვატყვევებ შენის ქმნი-ლებებით, გვაფიწყებინებ გარდამავალ სადღეისო პირ-ვარამს და აღგვაფრენ იმ სამარადისო სფეროსკენ, რომელსაც ჰქმნის ნიჭი და ერის უღრმესი სიყვა-რული. ამიტომ შეიქმნი შენ სათაყ-ვანებელი არა ერთი რომელისამე წრის ან ჭგუფისათვის, არამედ მთელი ერისათვის ძვირფასი მგოსანო!

ქართული სიტყვა-კაზმული მწერ-ლობის საზოგადოება, ნიშნად თავის ღრმა პატივისცემისა, მოგართმევს პოეზიის არწივს ამ დაფნის გვირ-გვინს და ვისურვებს ნაყოფიერი მოქ-მედების გაგრძელებას მრავალკამიერ!“

ვაჟა-ფშაველას დიდხანს აღარ უცოცხლია, ორიოდვე თვის შემდეგ ვარდაიცვალა...



ბილა ბანდელიანი

დარღვეული კავშირები

ოთარ კილაძის „რენის თეატრი“ მრავალმხრივ საინტერესო რომანია. მასში მწერალი შეეცადა კრიზისულ დროსა და სიტუაციებში გაენალიზებინა ადამიანების ქმედება და ხასიათები.

რომანში დარღვეულია ყველა სისხლისმიერი თუ არასისხლისმიერი კავშირი, დაეწყებულა ნორმალური ცხოვრების წესი. გმირები წონასწორობადაკარგულ დროსა და საზოგადოებაში ცხოვრობენ, ბათუმი „მოხეტიალე ქალაქია. იგი უკიდურესი ჩრდილოეთის ქალაქი იყო და უცებ უკიდურესი სამხრეთის ქალაქად იქცა.“ რომანის გმირები ერთმანეთის გამომრიცხავ ნიღბებსა და ნამდვილ სახეს შორის არიან მომწყვდეულნი. მათ საზოგადოებასთან დაკარგული აქვთ დიალოგი ისევე, როგორც ერთმანეთთან. ასეთ პირობებში სასიცოცხლო მნიშვნელობისაა საკუთარი სახის, საკუთარი სულიერი კანონის პოვნა და ჭანსალი კავშირი სხვასთან, რათა შეინარჩუნონ ზნეობრივი ფასეულობები და უფრო მეტიც, დაიჭირონ ამ ფასეულობების. კავშირი გაწყვეტილია თვით დედასა და შვილს (ელენე და გელა, საბა ლაფაჩი და დედამისი), მშობლებსა და შვილს (ელენე და მისი მშობლები, ნატო და დიმიტრი და დარია, გელა და ელენე), ცოლსა და ქმარს (ელენე და თბილისელი მსახიო-

ბი, დარია და დიმიტრი) შორის. თითოეული მძაფრად განიცდის ამ უკავშირობას, ამიტომაც ებლაუტებიან ერთმანეთს და აქედან გამომდინარე — საკუთარ თავსაც. ერთმანეთისაგან მოვლიან საკუთარი არსებობის გამართლებას, ცდილობენ ერთმანეთისაგან მოიპოვონ ანდა ერთმანეთს გამოგლიჯონ არსებობის უფლება, რადგან სხვანაირად ცხოვრების გაგრძელება შეუძლებელი გამხდარა: მარტოობის შიში იმზირება ყველაფრიდან. სასტიკი დროით დაშინებული ადამიანები ხშირად ერთად-ყოფნის ილუზიურ ფორმებსაც ებლაუტებიან: „ერთი დღე რომ არ გენახა ნათესავი, — მომიძულეო, — გეტყოდა. ერთხელ მაინც რომ არ დაგვაბატიქა შინ ჩვეულებრივი ნაცნობი, სამკვდრო სასიცოცხლოდ დაგეკარგებოდა, ასეთი იყო ცხოვრების წესი, ყაიდა... და არა იმიტომ, რომ ერთმანეთზე ამოსდიოდათ მზე და მთვარე, არამედ — მარტო დარჩენისა ეშინოდათ, სიმარტოვე ფიქრს აჩენდა, ფიქრში კი, გაწბილებული იმედების, შეუსრულებელი დაპირებების, შეცდომების, შერცხვენების ჭარი იშლებოდა ხოლმე და სულის გამაწბილებლად შრიალებდა“...

დამთავრდა სპექტაკლი, სადაც ყველას ავად თუ კარგად მორგებული ჰქონდა ნიღაბი: ელენე თავგანწირული მიჯნური და მამაცი ქალი იყო, თბილისე-

ლი მსახიობი ეროვნულ გმირს თამაშობდა. საბა ლაფაჩი ხელმწიფეზე ლოცულობდა. საბა ლაფაჩის დედა „კაცი ცხოვრებას“ იღერებდა... მაგრამ ამ სპექტაკლს დამთავრება არ უწყვირა მანამ. სანამ გმირები თამაშობენ, ნიღბქვეშ მოქცეული ნამდვილი სახე გარეთ მოიწვეს. ამიტომ სპექტაკლი ცხოვრების რკინის თეატრში უნდა დასრულდეს: ეს თეატრი ვერ იტანს თამაშს, აქ ყველა ნამდვილი სახით უნდა წარდგეს მთავარი მსახურების — ღვთისა და საკუთარი თავის წინაშე. ერთმანეთის თეატრალური პარტნიორობა შეცვალა ნამდვილი პარტნიორობის აუცილებლობამ, ამ პარტნიორობის პოვნის საშინელმა წყურვილმა.

ელენემ მაშინლა დაიწყო ნამდვილი მოკავშირის ძიება, როცა ის კაცი, ვისთანაც ურთიერთობა უნდა ჰქონოდა, დაიღუბა როლის სიყალბითა და სიმძიმით განადგურებული. წარსულში მოძიებული შეცდომების სიმძიმით დაფრთხა. აღარ ჩართულა რკინის თეატრის სპექტაკლში. ერთადერთი გამოსავალი თვითმკვლელობაში იპოვა. თბილისელი მსახიობი აწყობაში წარსულის შეცდომების გაცნობიერებამ მოკლა, ელენეს კი მომავლის შიში ანადგურებდა.

მარტო დარჩენილი ელენე მტკივნეული გაცნობიერების გზას დაადგა. ხელახლა მიუბრუნდა წარსულს იმით შეძრწუნებული, რა ნაყოფიც მოიხსნა მისმა ნამოქმედარმა აწყობაში. იგი მიხვდა, რომ მოუშვადებელი გამოსულა სცენაზე, როლი უთამაშია ისე, რომ ღრმად არ სცოდნია ეს როლი; მამის სახლიდან თავისდაღწევის სურვილმა და რომანტიკამ იგი თბილისელი მსახიობის ცოლი გახდა ისე, რომ არც დაფიქრდა რას შეეგუებოდა და რას გაიგებდა, თავის მამის სახლში ფუფუნებაში გაზრდილი თუ გაუძღვებდა თბილისელი მსახიობის გვერდით ცხოვრებას. თბილისელმა მსახიობმა კიდევ, მისი აზრით, საშუალება არ მისცა მამასა და ქმარს შორის არ-

ჩევანი გაეკეთებინა და ქმარი აეთრია. ახალი მდგომარეობით შეძრწუნებული ელენე შვილისაგან ელოდებოდა ხსენს და თანადგომას, მაგრამ ეს წრეც ჩაწყვეტილია. გელას საკუთარი გასარკვევი და საკუთარი ცხოვრების გზა აქვს. ის მიწდგრის თავშია, ელენე მიწდგრის ბოლოში და რაც უნდა ეცადოს, ვერ აეფარება. სწორედ ეს მცდელობაა ელენეს, თავის თავის საწინაღმდეგოდაც კი, გელასა და ნატოს შორის რომ აყენებს. ელენე იწყებს საკუთარი უფლებების დაცვას გელასთან მიმართებაში, უფრო სწორად, იწყებს არსებობისათვის ბრძოლას. დარიასა და დიმიტრისთან მისული ელენე ყველანაირად ცდილობს, ნატოს უფლებები არ აღიაროს, რადგან იცის, ნატოს ერთადერთი ელენე თუ მიანიჭებს უფლებას, სხვანაირად იგი სრულფასოვანი მოკავშირე ვერ იქნება გელასი. ელენეს ნაბიჯი უიმედოა. გელა თვითონვე ცდილობს პასუხი გასცეს კითხვას: „ნატომ მოიკლა მამაჩემმა თავი?“ მაგრამ არა ელენესთან კავშირში ეძებს ამის პასუხს, არამედ — ნატოსთან. სწორედ ეს სწორავს ელენეს მარტოობისა და უფუნქციობისათვის. მის ცხოვრებას ორი ბურჯი ჰქონდა — შვილი და ქმარი; შვილის დაკარგვა ნიშნავს, რომ სწორედ მას მიუძღვის ბრალი ქმრის სიკვდილში. ელენე გაორებულა, თვითონვე ტანჯავს თავის მოქმედება. „გელას თქვენ უყვარბართ და დარწმუნებული ვარ, თქვენც გიყვართ გელა, — ერთროულად მიმართავდა ორივეს, დედასაც და შვილსაც. არ უნდოდა გამოეყო რომელიმე კი არა, ნატოს გამოცალკეება არ უნდოდა, რადგან ეს ნატოს უფლებამოსილებების აღიარებასაც ნიშნავდა, ანუ ომის გამოცხადებას ნატოსთან, რადგან მერე, მესამისათვის ადგილი აღარ დარჩებოდა, ორნი — ისა და ნატო, უნდა დარჩენილიყვნენ პირისპირ და ჩაბმულიყვნენ ყველაზე ვერაულო, ყველაზე ამაზრზუნ, ყველაზე სამარცხვინო, ყველაზე უსამართლო ომში, რადგან ორივე მხარეს ერთი და იგი-

ვე დროშა უნდა აღემაართა, — კაცთმოყვარეობის, სიმაართლის დროშა და ორივე მხარე სიკეთის, მიმტვევებლობის, ურთიერთგაგების, ურთიერთდანილობის მქადაგებლად უნდა ქცეულიყო — არა თავიანთი სიკუდიის, სიმბდალის ანდაც სიმბდალის გამო, არამედ გრძნობათა, მრწამსთა, ვალდებულებათა და, რაც მთავარია, ბუნების ერთნაირობის გამო; ეს ერთნაირობა იძულებულს გახდიდათ, კრილობებიც კი შეეხვიათ ერთმანეთისათვის, მოეკითხათ, მოენახულებინათ ერთმანეთი, პური, წყალი, წიამლი მიეწოდებინათ და გაემხნევებინათ კიდევ, ტყვიით, დანით ანდა შხამით კი არ უნდა ეომათ, არამედ იმით, რისთვისაც ომობდნენ: სიყვარულით უნდა დაეთრგუნათ სიყვარული, სათნოებით — სათნოება, კეთილშობილებით — კეთილშობილება“. აი, როგორ ომში ჩაითრევედა ეს პატარა გოგო, როგორც კი მეტოქედ აღიარებდა მას, საკუთარ ძალასა და უფლებამოსილებას აღმოაჩენინებდა დაუფიქრებელი, მოუზომავი სიტყვით, გამოხედვით — ანდა ლამილით“. ელენე შეაძრწუნა აღმოჩენამ, რომ შურდა კიდევ ნატოსი. ციხიდან გამოქცეული გელა ყურისძირში მყოფ დედას გვერდს უვლის და ნატოს აფარებს თავს, ნატო მისი მესაიდუმლე და გამგები, ნატო უფრო ეიმედება. ელენეს ნატოსი შურს როგორც ქალის. მის გამო არავის ჩაუხედავს სიკვდილისათვის თავლებში, მისი ნახვისთვის განსაცდელში არავის ჩაუვდია თავი. ელენე შეწუხებულია ამ უსახლ შურის შეგრძნებით: „უკვე ყავლგასული, დაობებული, ცხოვრებისაგან გაწილებული, იმის გეგმებს აწყობდა, სხვებისთვისაც როგორ წაერთმია, მოესპო და ჩაემწარებინა ის, რაც თავად დაკარგვოდა, დაკლუპვოდა, ჩამწარბოდა. „ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო“. შვილისა შურდა, ის ხეთქავდა გულზე, მეზობლის გოგომ რომ აჯობა, მეზობლის გოგოს რომ არგუნა ღმერთმა,

რასაც თავად მთელი სიციცხლე ნატობდა“.

ქმრის სიკვდილის შემდეგ ელენეს ყველაფრისადმი ეკვი გაუჩნდა. ბოლომდე ვერ ირწმუნა ქმრის სიყვარული, ვერც თავისი სიმაართლისა და სიყვარულის დაიჯერა, შეერყა ყველაზე მნიშვნელოვანი ფასეულობები, მისმა საქციელმა შვილს მამა დააკარგვინა, თვითონ კი ორივე დაკარგა. მთელი მისი არსება მარტობის შიშმა დაზაფრა. ოთარაანთ ქვრივის მსგავსად ელენე თავისი „განძისა“ და „ანდერძის“ ერთგული რომ ყოფილიყო, საერთოდაც რომ ჰქონოდა ეს „განძი“ და „ანდერძი“, თავს გადაირჩენდა, გაუმართლებლად არ ჩადგებოდა ნატოსა და გელას შორის, ფართულ ომს არ წამოიწყებდა, შურით არ დაიტანჯებოდა. თავის თავს სასტიკ ბრალმდებლად არ დაუდგებოდა, შეინარჩუნებდა პიროვნულ მთლიანობას; მაგრამ მისი „განძი“ სისხლით აესებული აბაზანა იყო, „ანდერძი“ კი — საშინელი ექვეები და სამუდამო მარტობა. ოთარაანთ ქვრივი მარტობისა და მარტობის შიშისგან საკუთარმა თავმა იხსნა. არჩილის კითხვას: „ახლა შენ რომ მარტო დარჩები?“ — ოთარაანთ ქვრივმა ჩვეული სიმტკიცით უპასხუა: „ადამიანს მინამ ხელფეხი ერჩის, მარტო არ იქნება, საქმეა ტოლ-ამხანაგი მარტოხელისა. წუთის-სოფელი ვის აცლის მარტობისათვის“. თუნდაც ეს დეტალი რა შესანიშნავად გამოკვეთს ამ ორი გმირის, ორი ქალის, ორი დედის ხასიათის არსს.

„რკინის თეატრში“ კიდევ ერთი დარღვეული დედაშვილობაა. საბა ლაფაჩი 9 წლისა მოიგლოჯეს მშობლებმა კალთიდან და უცხოობაში ყოფნისთვის გაწირეს. სხვისი წამბედურობით სამხედრო სასწავლებელში შეიყვანეს, შემდეგ რომ „კაი ცხოვრებით“ ეცხოვრა. მოწყდა საბა ლაფაჩი მშობლებს, ყოველივე მშობლიურს, დაკარგა ენა, მშობლიურის სიყვარული. საკუთარ ფესვს მოწყვეტილი დი-

დობაში ცდილობს იმის დაბრუნებას, რასაც მისი გულიდან და გონებიდან მშობლების ხელშეწყობით მეთოდურად ძირკვავდნენ. სამშობლოში მობრუნებული, შუა ხანს მიღწეული ოფიცერი დედის იმედზეა, იქნებ დედამ ერთხელ მაინც აღიაროს, რომ შვილი მისი დაღუპულია, რადგან „მომავლისაკენ მისწრაფება, წარსულში შებრუნებას ნიშნავს“, დედა კი „მაინც არ უტყდებოდა თავს, არ მისტიროდა მოშლილ კერას და შეფერებულ კჭონდა „კაი ცხოვრება“. შვილს მწარედ ელიმებოდა, მაგრამ აშშ-ში დედა კიდევ დედის სიბრძნევე, რადგან ერთხანს, ისევ სიბრძნევის მსხვერპლი ყოფილიყო, ვიდრე სიკვდიანისა. სიბრძნევე თუ არ ამართლებდა, მეტნაკლებად გასაგებს მაინც ხდიდა იმ დანაშაულს, შვილის მიმართ რომ ჩაედინა დედას“, „მაგრამ, რაკი მაინც დედა იყო, ითმენდა, უჩემდებოდა, სათქმელს წერდა და ამით უფრო იოხებდა ცოტათი გულს. კითხვა რომ სცოდნოდა დედამისს, სათუთად კი არ შეინახავდა, ნაკუწებად აქცევდა ალბათ მის ნაწერებს, უსაზღვროდ განრისხებული. „გულზე არ დაგადგეთ ლიქიორი, არ დაგცადოთ, ქალბატონო“, „ამდენ პუდბს ნუ ისვამთ, თორემ რკინის თეატრში წაიკვანენ და სცენაზე გათამაშებენ“, „ფლოსტები არ დაგეპარგოთ“ — წერდა მისი შვილი და ყაზარმაში გარბოდა, პირში რომ არ შეეცინა დედისათვის“, ბოლომდე არ გატყდა საბას დედა, ბოლომდე იფერებდა აზნაურობის ყალბ სიგელზე აგებულ „კაი ცხოვრებას“, თუმცა სოფლის სიმყუდროვეს მიჩვეულს აწუხებდა დილიდან საღამომდე ორთქმავლის კვილის მოსმენა, დამწვარი ნავთის ქვარტლის ყლაპვა. ვერც ვერასოდეს მიხვდებოდა, რას მოითხოვდა მისგან შვილი, თუნდაც საბა ლაფაჩი ბრალდებდა ქცეულიყო. ერთხელ მაინც რომ წამოსცდნოდა დედას, „მე დაგლუბე შვილოო“, საბა მოკავშირეს იპოვიდა თავის მძიმე მდგომარეობაში, მაგრამ

დედა ისე მოკვდა, არ ელოდა შვილის გადამრჩენი სიტყვა. უბედურება ისაა, რომ საბა ლაფაჩს დედის ხსენებითი მანც არავინ ჰყავს. თავის საბედისწერო სიყვარულის ამბავი მაინც დედას გაანდო, მასთან შრომა გული. შემოდგომის ერთ წვიმიან დღეს დედაბერმა რომ სული უფაღს ჩააბარა, „რა მიყავი ესო“, — გულწრფელად შეიცხადა, რადგან დარწმუნებული იყო, დედა სიყვდილის წინ მაინც ეტყოდა, მე ავირიე, შვილო, ცხოვრებო, რაც ჰაერზე მეტად სკირდებოდა შვილს, თუნდაც თავისი ჯოჯოხეთური სიყვარულის გასამართლებლად“. თოთხმეტი წლის გოგოსადმი გიჟური გამოჩნულება საბას თვითვადარჩენის ერთადერთი გზაა, საბას ნატოსადმი გრძნობა სულისშემძვრელი ნოსტალგიაა სიყვარულის სიწმინდის, ოჯახის, დედის... სიყვარული მოიცავს ყველა დიდ ფასეულობას და ამ დიდი ფასეულობების უსაშინლეს მონატრებას.

საბამ ვერ იპოვა დედა, ვერ აღადგინა დარღვეული კავშირი, ამიტომ ვერასოდეს შეივსებს უღედობას, ნამდვილი ობოლიც არ დაერქმევა, რადგან დედა რასაც ჰქვია, რასაც ნიშნავს, არასოდეს ჰყოლია.

„რკინის თეატრში“ ფსიქოლოგიური სიზუსტითაა აღწერილი ორ უახლოეს აღამიანს შორის გაწყვეტილი კავშირის სულიერად გამომფიტავი ძალა. დარია და დიმიტრი ხორციელად დაბერწა უკავშირობამ. წლების განმავლობაში საკუთარ სამყაროში ჩაკეტილი ცოლქმარი, ქურდულად მიიპარებიან უერთმანეთო წარსულში და ამით ცხოვრობენ, ინარჩუნებენ სულს. თბილისელი მსახიობის შექრამ შეცვალა ქურდლების ოჯახში გამეფებული წესი და ურთიერთობის ყაიდა, დარია და დიმიტრი სულის ფსკერამდე შეარყია ახალ სამყაროსთან კავშირმა, თბილისელი მსახიობის მღელვარე, შფოთიანმა ბუნებამ ერთმანეთისკენ წაიყვანა მოწყენილობას,

გარინდებსა" მიჩვეული ცოლ-ქმარი. გარემომცველი სამყაროსადმი შიში კეტავს დარიასა და დიმიტრის თავიანთი სულის „ბინდისფერ ხეობაში“, ეს სამყარო სადღაც შორსაა მათგან. მათსავე სახლის ჭიშკართან მთავრდება, მაგრამ ამ შიშმა დაუხშო მათ ერთმანეთის საგრძნობი თვალი, მოუხშო სულიერი აქტივობის უნარი. ერთადერთი გამოსხივება მათ ცხოვრებაში თბილისელი მსახიობის გამოჩენით მოხდა. მასთან შეხვედრამ დაანახა ცოლ-ქმარს ნამდვილი ბედნიერება. „ამდენი ხნის ქმარი იყო და აქამდე არ იცოდა, ასეთი თბილი, ასეთი გამაბრუნებელი სურნელი თუ ჰქონდა მის ცოლს, ასეთი ნაზი, სულისშემძვრელად ღრეკადი ნეკნები... მეორე წუთს გაშმაგებით ჰკოცნიდა დარიას ცრემლიან თვალებს, ლოყებს, ტუჩებს, თმას... ზეწარი უშლიდა, ზეწარში იყვნენ გაბლანდულნი ორივენი და ერთად, ზეწარიანად მიჰქროდნენ თვალჩაუწყვდენელ უფსკრულში. ოღონდ იქამდე განუცდელი, იქამდე მათთვის არასრებული თავდავიწყების, შეგებისა და ნეტარების უფსკრულში. „დიმიტრი, დიმიტრი...“ — აფხიზლებდა, აფრთხილებდა ცოლი, მაგრამ დიმიტრის ველარაფერი შეაკავებდა, ბოლომდე, სულხორციანად, სისხლის უქანასკნელ წვეთამდე უნდა ჩაეკლიოყო ნეტარების უფსკრულში. მსგავსი არაფერი განუცდია იქამდე, არასოდეს უგრძენია ასე ცხადად საკუთარი მამაკაცობა, საკუთარი სხეული... არასოდეს არ ყოფილა ასეთი გულწრფელი, ასეთი გულუხვი, ასეთი თამამი, არასოდეს არ გაუცია და არასოდეს არ მიუღია სანაცვლოდ ამგვარი წყალობა, ჯილდო, მადლი... არასოდეს... არასოდეს... არასოდეს... დარია!“ მაგრამ ბედნიერების ამ უცეარმა გამობრწყინებამ, ურთიერთობის სინარულის შეგრძნებამ ბოლომდე მაინც ვერ შეცვალა დიმიტრი. მათ წამით დაინახეს ერთმანეთი და ისევ შებრუნდნენ საკუთარ სულ-ებში, გარინდება, მოწყენილობა და

შიში მათი არსებობის ფორმაა, ძალა-გამოცლილი ადამიანების სულიერი მდგომარეობაა. დიმიტრის არსებობაში შიშია ჩასახლებული ყოველივე მისი მთავარი, მართ, რაც მის ირგვლივ ხდება, ეს შიში ურჩევს, წყნარად იყოს, მარტომ იფიქროს, არაფერში ჩაეროს. გაბედულებას თუ გამოიჩენს და საკუთარ მდგომარეობას აუჯანყდება, ის უკვე სხვა გზას დაანახებს, მაგრამ დიმიტრის ეშინია ამ გზის. იმ ერთადერთ ბედნიერებასაც ნატო მოჰყვა შედეგად, რაც შემდეგ უფრო დიდ თავსატეხად გამოუჩნდა დიმიტრის. მის არსებაში თბილისელი მსახიობისადმი შიშმა და პროტესტმა დაისადგურა. მიხვდა, თბილისელმა მსახიობმა ისევე აუწყწა მასაც ცხოვრება, როგორც თვითონ ჰქონდა აწეწილი, სიწყნარე და სიმშვიდე არ დააცადა, მისი სიკვდილის შემდეგ გელა მოევიღა დიმიტრის სულის ამაფორიაქებლად და შემწყხვებლად. თბილისელმა მსახიობმა სამუდამოდ არაა ქურთულების ოჯახის შიშით ღობე შემოვლებული ცხოვრება.

რომანში გელას ცხოვრება არის იმის სიმბოლური მაგალითი, თუ როგორ უნდა მოიპოვოს ადამიანმა სწორი ზნეობრივი პოზიცია. ეს კი მოითხოვს ათასჯერ სიკვდილის შეგრძნებას და მისთვის თვალებში ჩახედვას, რომ ერთხელ გადარჩეს. მთელ რომანში მხოლოდ გელას აქვს უნარი, რომ ჯანსაღი კავშირი იპოვნოს მამას, დედას, ნატოსა და საზოგადოებასთან. ეს არის მისი ძლიერება და ძლიერების წყარო. ამაშია რომანის ძირითადი პათოსი — ადამიანმა შეძლოს და გაარღვიოს უკონტაქტობის წრე, მოიპოვოს სწორი ზნეობრივი პოზიცია, რადგან მას არსივე უდევს დაუმარცხებლობა. თვით გიორგაც კი („ყოველმან ჩემთან მპოვნელთან“), რომელიც ითვლება გარემომცველი სინამდვილისა და მამინაცვლისაგან, თავის თავში მაინც აღმოაჩენს იმედის სხივს მამის სახით, რომელიც, მართალია, მკვდარია, მაგრამ მაინც შეილთანაა, შეილის

არსებაში ილევებს და აგრძობნიებს რომ მართლაც არ არიან ის და დედამისი: „პირველად იგრძნო მამა, მტკივნეულად, ისტულის შემხუთავი გაოცებით იგრძნო მამის არსებობა დედის მოყოლილი ზღაპრებში კი არა, საკუთარ არსებაში, სისხლით, ხორციითა და ძვლებით იგრძნო, ხელმეორედ როგორ იზადებოდა მის არსებაში მამა, მის პატარა სხეულში როგორ იშლებოდა, იმართებოდა, ინაკეთებოდა მამის ვეებას სხეული.“

ახლობელი, სისხლით ნათესავი ამგვარი იმედითა და მძაფრი გრძობით არსებობს ყველა ადამიანში, როცა გასაჭირში ჩავარდება, რადგან სისხლს თავისი დაუძლეველი ძალი და კანონი აქვს, ყველა სისხლისმიერი კავშირი უცნაური ძალით აკავებს ადამიანს არსებობის ზოგჯერ არცთუ სასიხარულო და იოლ კონტექსტში, ამიტომ იყო, რომ ძმასთან კავშირის დაკარგვამ, ძმისთვის ვერპატივებამ ათას ჭურღმულსა და ათასი ჭურის ხალხში ატარა ალექსანდრე („ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“), როგორც ავტორი ამბობს, „დედმამიშვილის სიყვარული ღვთის წყალობაა, მაგრამ, შეიძლება ღვთის რისხვადაც იქცეს, თუკი ალექსანდრესავით თავიდანვე ვერ აუღებ ალღოს ამ სიყვარულის მადლს. ამ სიყვარულის მიჩქმალვა დანაშაულის გრძობას კი გიქარწყლებს, მაგრამ სანაცვლოდ არაბობის შეგრძნებას გიჩენს. არა, დანაშაულის შეგრძნებას კი არ გიქარწყლებს, პირიქით, იმდენად გიმძაფრებს, რომ ამ გრძობასთან არაბობად ჩანხარ თავად“. ბედისწერამ და მასთან შებრძოლების მცდელობამ გათიშა ნიკო და ალექსანდრე, ქაიხოსრო მაკაბელი სიკვდილს ემალებოდა და ამიტომაც დაზაფრული შეპყურებდა შვილიშვილებს ზრდას. „მკვლელები გავამრავლო“, — ეუბნება ზოსიმე მღვდელს. ქაიხოსრომ იცის, რომ სიკვდილი აქვს დამსახურებული ოჯახის წინაშე და მით უფრო შემზარავ-

ად, ეშინია მისი ეს შიში ავრყევებს ადამიანის ცენტში მოცემულ გაუზუნარ გრძობას: გაიხაროს შვილიშვილები და მისი ზრდით. მან ისიც იცის, რომ შეიძლება გიორგასა და პეტრეს გადაურჩეს, მაგრამ მესამე თაობა უფრო ცხადად დაინახავს მის დანაშაულს და პლარ დაინდობს, ამიტომ მთელი არსებით ეწინააღმდეგება შვილიშვილების ზრდას, რადგან ატყობს, მათ გიორგასა და პეტრესავით მისი შიში არ უდგათ ძარღვებში. ნიკოსა და ალექსანდრეს სულში პირველივე ძალმომრეობის — ქაბრით ცემის შემდეგ, ამბოხი დაიბადა. სხვა გზა რომ ვერ მოიხატეს, საღორეს, რომელშიც ქაიხოსრო ღორს ასუქებდა, დენთი შეუდგეს. საბედისწეროდ აუცახცახდა ხელი ნიკოს და ვერ მოუკიდა ასანთი კანაფს, მოთმინებადაკარგულმა ალექსანდრემ იჩქარა და ნავთი მისხა, გამაყრუებლად აფეთქდა, ნიკოს არაფერი დაშავებია, ალექსანდრეს კი ხელი მოაგლიჯა აფეთქებამ.

სავადმყოფოდან ალექსანდრე, მართლ სიმბახინჯესა და საკუთარ ბოღმაში ჩამხრჩვალი, მთელი ქვეყნიერების, ნიკოს, ოჯახის მოძულედ გამოვიდა. ცუდლუტობასა და პაპის წინააღმდეგ შეთქმულებაში მოკავშირე, უბედურებაში მოკავშირედ აღარ მიიჩნია, აღარ მიიღო, ვერ აპატია უდანაშაულობა და ვადარჩენა. ფიზიკურმა სიმბახინჯემ სულიც დაუმიხინჯა, ანდა უბრალოდ გამოავლინა მის სულში კაენის ნათესავი. ეს ავადმყოფობასავით მღვდო ყველა ფიქრსა და გრძობას. იგი მართლმანაც დაუმთავრებელი ზიზღითა და სიყვარულით არის დაკავშირებული. ძმისადმი დამოკიდებულებაც დაუმთავრებელი უფროა; რადგან ისიც იცის, რა უდანაშაულოა ნიკო, იმასაც ხვდება, რა შემზარავ და სამარცხვინო გრძობებში ჩაეფლო, ამიტომ გაწირა საკუთარი თავიც და ბოლომდე ჩაპყვა თავის სიმბახინჯეს, ამიტომ დაუკავშირდა მართლმანაც: „ეს შევიბი კისერზე, როგორც

თვითმკვლელი იბამს ხოლმე ქვას, წყალში გადავარდნამდე, ყოველგვარი საშუალება რომ მოისპოს გადარჩენისა“. ნიკოს იმასაც ვერ პატიობს, საერთოდ ყველანაირ უსამართლობას და სიმახინჯეს რომ ეწინააღმდეგება, რადგან ჰგონია, ამით ნიკო მასაც უარყოფს, მასაც ეწინააღმდეგება. იგი სიმახინჯის დაცვას იწყებს, რომ ამითაც გამოეყოს ძმას და ყველა თავისიანსაც, სამაგიერო მიაგოს იმისთვის, თუკი ისინი გულში მაინც ვაივლებენ, რომ ალექსანდრე მახინჯია. ცალხელობა კი არა, უვიცობაა უბედურებო“, — ეუბნება ნიკო, მაგრამ ალექსანდრე დაბრმავებული და დაყრუებულია ძმის მიმართ. ბაბუცასაც ვერ პატიობს ნიკოს სიყვარულს. ნიკოც მკაბელების ნაშიერია, ეს იცის ბაბუცამ და ამიტომ გამწარებით ცდილობს, ნიკოს სულსაც არ მოედოს სიძულვილის, გერპატიების სენი. ცდილობს ერთი შვილი გადაარჩინოს, რომ მეორის გადაარჩენის იმედი ჰქონდეს. ვერ მოესწრო ბაბუცა ძმებს შორის სიძულვილის განელებას, თუმცა ბოლოს, მისმა გენმა მაინც იმძლავრა ალექსანდრეს არსებაში, რომელიც ქაიხოსრო მკაბელის სისხლმა გამოჰყო დანარჩენი სამყაროსაგან ისე, რომ ქაიხოსროს სიძულვილი ოდნავადაც არ განელებია. შურისძიების წყურვილმა, სანამ ამ შურისძიების დრო დაუდგებოდა, ცოფიანებით არბენინა ალექსანდრე. როცა შური იძია, მკვდარზე მაინც ამოიყარა ჯავრი, მხოლოდ შემდეგ იწყება მის არსებაში ძმის საპოვნელი გზის ძიება, რადგან ძმისა მარტო კი არ შურდა, საერთო მტრის წინააღმდეგ მოკავშირედ რომ ვეღარ დაიგულა. ეს უხეტეჟავდა გულს. იგი მარტო, მოკავშირის გარეშე შერჩა არა მარტო ქაიხოსროსადმი შურისძიებას, არამედ ყოვლისწამსაღმად სიძულვილსა და ძმისათვის ვერპატიების ჯოჯოხეთს. ძმასთან კავშირის დაკარგვამ კი საკუთარი თავი შეაზიზღა და არაარაობის შეგრძნება გაუჩინა, ეს კიდევ ისეთი

შეგრძნებაა, რომ შემდეგ უკვე ვეღარავის მიეკარები, ვერავის შემოუწევბ გულწრფელად შენს ძმის მოძულვასადა ლში. ამიტომ ეუბნება ზოსიმე მღვდელი: „დაიღუპე, მაგრამ სამარცხვინოდ, ... სრულებითაც არ არის აუცილებელი, სამარცხვინოდ დაიღუპოს ადამიანი“. მაგრამ ქაიხოსროზე შურისძიებით ალექსანდრემ თავის არსებაში ამოშანთა ყველაფერი ქაიხოსროსეული, გააბამპულა, ფეხით გასრისა, მხოლოდ ამის შემდეგ გააცნობიერა, რომ ნიკოსადმი დამოკიდებულება პირწმინდა ვერპატიება, შური იყო, რაც ახლადდაბადებულ ალექსანდრეს როგორმე უნდა მოეცილებინა და გამოეყვიდა. ციმბირისაკენ მიმავალი ალექსანდრეს ლაპარაკი უკვე დაძლევა ეშმაკეულის და აღსარების თქმაა ღეთის წინაშე: „იმოდენა ვაჟკაცობა არ გეყო, ძმისთვის გადარჩენა რომ გეპატიებინა. გულიდან ამოირეცხე, აღარ გაიკარე, რადგან ერთმა და იმავე სისულელემ შენ მკლავი მოგაგლიჯა, ის კი — დაინდო, წარბიც კი არ შეუტრუსა იმას. იმის მაგივრად, რომ გაგხარებოდა, დაიბოდმე, ნაღველი ჩაიქციე შიგანში და იმან გამოგწვა, იმან გამოგაშტერა, იმან გადაგირეცხა რაც კი რამე, წმინდა და ძვირფასი იყო შენში: დედის საფლავიც, დის სახელიც და უპირველეს ყოვლისა, ძმის სიყვარულიც“. ნიკოც ღმერთად, გადამრჩენელ ძალად უქცია ბაბუცამ ალექსანდრეს. ალექსანდრეს რწმენით, ნიკომ სიცოცხლე გასწირა არა იმპერიის გადასარჩენად, არამედ იმიტომ, რომ მის ძმას დაენახა საკუთარი სიპატარავე და სიბრმავე. ალექსანდრეს სიკეთისა და სინდისის თვალი აეხილა. ეს თვალი პირველად საგზაო ინჟინერმა აუხილა და დანახა საკუთარი და, რომელიც სისხლით ახლობლებისაგან მიტოვებული, ცხოვრებამ უმოწყალოდ გათელა, დაიბრიყვა, და რომელსაც ბედმა არგუნა „ორი უბედური კაცის დობა და სიყვარული“.

მწერალმა კიდევ მოაგონა ადამიანებს, რა უბედურია სულით კანის მატარებელი კაცი, — იგი თვითონვე იწესებს სასჯელს საკუთარი თავისათვის ისევე, როგორც პირველმა კანმა დაიწესა: „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან მომკლას მე“, რადგან ძმის უარყოფელი ყველასთან მახინჯი ურთიერთობისათვისაა განწირული, მისი სხვასთან ურთიერთობა საფუძველშივე ატარებს ეჭვსა და უნდობლობას.

ოთარ ჭილაძემ თავის ბოლო რომანში „მარტის მამალი“ ისევ მოიძია სისხლისმიერ კავშირებში გაჩენილი ის ნარ-ეკალი, რომელიც გულს უჩხვლეტს ადამიანს, მთელ მის სულიერ ძალებს ერთი მხრით მიმართავს.

ოცნებისა და სინამდვილის შეუთავსებლობამ, ბრმა ბედისწერას დაუმორჩილებლობამ გაამძაფრა ნიკოს დეიდას ინტერესი უფროსი დისადმი. „ვიდრე დობილის ნათესავ ბიჭს გაიცინობდა, დასა და სიძეზე ლაპარაკი საგსებით უქმყოფლებდა საერთოდ სიყვარულზე, როგორც ზოგად გრძნობაზე, ლაპარაკის ძნელად მოსარევ სურვილს“, მაგრამ წნორელი სოსოს გაცნობის შემდეგ საბედისწეროდ დაკონკრეტდა დეიდას გრძნობა. მთელი მისი შემდგომი ცხოვრება ერთ საღამოზე აიგო, როცა ბიჭმა სახლამდე მიაცილა. წნორელი სოსო ომში წავიდა და აღარ დაბრუნებულა. ნიკოს დეიდას ყოფნას არც მარტობა ერქვა და არც მოლოდინი, გარკვეულად არც ერთის საფუძველი არ ჰქონდა. ნახევრად შეთხზულს დაეყრდნო მისი ცხოვრება მაშინ, როცა მისი უფროსი და ნამდვილი ცხოვრებით ცხოვრობდა. დედა შეაძრწუნა ამ უსახო ინტერესმა და ეკალივით მჩხვლეტავმა შურმა, ჯერ ვერც მიხვდა, რატომ აინტერესებდა ასე მძაფრად დის ცხოვრების წერილმანები და ცდილობდა დაეფარა, მაგრამ მერე მიხვდა, რომ შურდა უფროსი დის, მისი ცხოვრების ნამ-

დვილობის, მისი ბედნიერების მაგრამ, მას რომ ბედნიერი ეგონა, თურმე დას „ერთი ხელი მომაკვდავი მარის საწოლისათვის ჩაველო, არავინ გაათარიოს განწირულთა, გადადებულთა პალატაშიო, მეორეთი კი შვილის გამოტყუებას ცდილობდა შიშის, შიმშილის, სიცივის, უიმედობისა და უპატრონობის ელდიდან“. მაგრამ მეოცნებესა და სინამდვილის არმცოდნეს ესეც შეურდა დისა, რადგან, „თვითონაც უნდოდა, ყოლოდა ვინმე, ვისთვისაც ითმებდა, დამდაბლდებოდა და ამაღლდებოდა კიდევ“. ვატანჯა ნიკოს დეიდა ამ გრძნობამ და ასეთმა ფიქრმა, როცა დის უბედურება კარგად გაიზიარა, კინაღამ თავი მოიკლა, დიდხანს მალავდა თურმე ნათხოვარ თოქს ბალიშის ქვეშ, რადგან „ექვეც არ ეპარებოდა, მისი სულმოკლეობისა და შურიანობის ბრალი რომ იყო სიძის ავადმყოფობაცა და ომიც“. ყოველი ტანჯულის და ცოდვილის ერთადერთი გზა და შვება ხომ მონანიებაა, ამიტომაც აღსარებასავით გაენდო დეიდა ნიკოს, რომელსაც ერთადერთს, შევქლო გაეგო და შეენდო კიდევ, რადგან ნიკო ბავშვი იყო და როგორც ო. ჭილაძე ამბობს, „ქვეყნას თუ გადაარჩენს მხოლოდ ბავშვი გადაარჩენს, ოღონდ ჰქვიანი და გამბედავი“.

ისევ ო. ჭილაძის „რკინის თეატრიდან“ რომ გავიხსენოთ: „კაცად გაჩენილი პირუტყვად რომ არ იქცე, შენი არასოდეს არ უნდა გახდეს შენთვის სულერთი და, თუ სიყვარულს არ იმსახურებს, სჯობია გძულდეს, სიშლეგემდე, გულის განეთქვამდე, ვიდრე მშვიდად ჩაიქნო ხელი და თქვა: „ჯანდაბამდის გზა ჰქონიაო“, რადგან შენიანთან ერთად, იმავე წუთს, შენც ჯანდაბაში ამოჰყოფ თავს“. ალბათ, ეს არის ყველანაირი სიყვარულის — სისხლით ნათესავის, მეგობრის, სამშობლოს, ქვეყნის სიყვარულის უნივერსალური კრიტერიუმი.



შოთა ბარამიძე

სრულიად საქართველოს ეროვნული დღესასწაული

ვერავლად მოკლული ილია ჭავჭავაძის ცხედარი საფლავში თითქმის არც კი გაციებულა, რომ ქართველი ერი შეუდგა მისი თანამოკალმის, სოციალური უკულმართობის წინააღმდეგ თავგანწირული მებრძოლის აკაკი წერეთლის იუბილესათვის მზადებას, რათა სიცოცხლეშივე უკვდავებით დაედაფნა მისი მეორე, არანაკლებ საყვარელი შვილი.

1908 წლის შემოდგომაზე თბილისში შეიქმნა აკაკის მთავარი საიუბილეო კომიტეტი: გიორგი ყაზბეგი (თავმჯდომარე), იაკობ გოგებაშვილი (მოადგილე), სოფრომ მგალობლიშვილი, სამსონ ფირცხალავა (მდივნები) და წევრები: ივანე გომართელი, ვალერიან გუნია, ნიკოლოზ ერისთავი, იოსებ მერკვილაძე, პავლე თუმანიშვილი, მარიამ ჯამბაკური-ორბელიანი, პარმენ კიჭინაძე.

თბილისის საგუბერნიო ადმინისტრაციამ საიუბილეო კომიტეტს ნება დართო, რომ ნოემბრის ბოლოს გამართულიყო აკაკის საიუბილეო საღამო.

საიუბილეო კომიტეტმა თავის დეკლარაციაში ობიექტურად დაახასიათა აკაკის ორმოცდაათწლიანი ეროვნული და ლიტერატურული მოღვაწეობა და ქართველ ხალხს მოუწოდა აქტიური მონაწილეობა მიეღო საერო დღესასწაულში.

„აი, ამ დიდებული, ზეგარდმო ნიჭით ცხებული მგოსნის პატივსაცემად,

მისი ნაჭირნახულების დასაფასებლად, საშვილიშვილოდ მადლიერმა სამშობლომ განიზრახა გადაიხადოს საერო დღესასწაული აკაკის ორმოცდაათი წლის მგოსნობისა, ამიტომ საზოგადოებამ დააგალა საგანგებოდ არჩეულ კომიტეტს, ღირსეულად მოაწყოს ეს დღესასწაული“ — ნათქვამი იყო დეკლარაციაში.

აკაკის საიუბილეო დღესასწაულმა გრანდიოზული სახე მიიღო, ქართველი ერის კეშმარტი სახალხო ზეიმად გადაიქცა. საიუბილეო კომიტეტმა საქართველოს თითქმის ყველა კუთხის კერძო პირისგან მიიღო ურიცხვი მილოცვა, უნიკალური სამახსოვრო საჩუქრები. იუბილემ კიდევ უფრო განამტკიცა და მონოლითური გახადა ქართველი ხალხის ეროვნული კონცეფცია და ძირი გამოუთხარა სტერეოტიპულ ნიჰილისტობასა და დოგმატიკოსობას.

საიუბილეო კომიტეტმა აკაკის საიუბილეო თარიღად დანიშნა 7 დეკემბერი.

რამდენადაც კულმინაციურ წერტილს უახლოვდებოდა საიუბილეო დღესასწაული და ეშხში შედიოდა მისი მზადება, იმდენად მრავლდებოდა ხალხთა და ეროვნებათა რიცხვი, რომლებიც თანაუგრძნობდნენ ამ ისტორიულ მოვლენას. თანდათან გაფართოვდა საიუბილეო ტერიტორია და მისი რეგიონები და გე-

ოგრაფიული საზღვრები. მან შავი ზღვის ნაპირებიდან კასპიის ზღვამდე მიადწია. კიდევ მეტი, საინტბილეო მზადების ფერხულში ჩაებნენ სომხეთისა და აზერბაიჯანის, რუსეთისა და უკრაინის, ბელგიისა და ავსტრიის, გერმანიისა და საფრანგეთის, ფინეთისა და პოლონეთის, სპარსეთის, ოსმალეთისა და შვეიცარიის მთელი რიგი წარმომადგენლები.

აკაკის თაყვანისმცემლებით გაიქედა ქალაქის სასტუმროები, ქარვასლები და სტუმართა თავშესაფარი ბინები. თბილისის ქუჩები აკრელდა სხვადასხვა რჯულის ხალხთა ტრადიციული ეროვნული ტანსაცმლით. ზეიმობდა თბილისი. ქალაქის ყოველ კუთხე-კუთქულში გაისმოდა ქართული, რუსული, სომხური, აზერბაიჯანული, სპარსული და თურქული ფრაზები.

იუბილემ თავისი ცხოველყოფილი სხივებით უსაზღვრო სიხარული შეიტანა როგორც მდიდართა სასახლეებში, ისე ღარიბთა ქოხებში. ეს იყო აკაკისადმი დიდი სიყვარულის გაცხადება.

საიუბილეო დღესასწაულში კარდინალურ როლს კავკასიისა და რუსეთში გამომავალი ქართული, რუსული, სომხური და თათრული პრესა ასრულებდა. აკაკის იუბილეს გამოცხადებულ გაზეთები: „დროება“, „სავაჭრო გზა“, „ეკალი“, „ალი“, „ნოვოსტი ზაკავკაზე“, „ვესტნიკ ბაკო“, „კურიერ“, „ზაკავკაზსკი ოზზორ“, „ბატუმსკი გოლოს“. ისინი საიუბილეო დღეებს სწორად ასახავდნენ და მთელი სისრულით ახასიათებდნენ აკაკი წერეთლის შემოქმედების დიდ მნიშვნელობას.

დიდი ნოვატორი აკაკი წერეთელი რკინისებური სიმტკიცით, გაბედულად ებრძოდა ცხოვრებაში გაბატონებულ ბიუროკრატიას, უმადლესი ტიტულებით მორთულ დოგმატიკოსებს, ანტიპოდებს, პესიმისტებსა და ნიჰილისტებს, ყანდარმული რუსეთის მორალურ დეგრადაციას, პოლიტიკური მმართველობის დახვედრულ აპარატს. იგი ებრძოდა მეფის რუსეთის რუსიფიკატორულ

პოლიტიკასა და ველიკორუსული შოვინიზმის ველურ გამოხტომებს. ამისთვის ლიტერატურის ყველა ენაზე მუშაობდა ხელი, მაგრამ განსაკუთრებით დიდი დოზით იყენებდა სატირას.

აკაკი სარკაზმის შეუღარებელი ვირტუოზი იყო და მის გამანადგურებელ სიცილს თვით უმადლესი რანგის მოხელეებიც ვერ უძლებდნენ. ამიტომ ძლიერ ეშინოდათ მისი სატირული სენსაციებისა, რომლებიც მიმართული იყო ცხოვრებაში ფენოკიდებული აქტუალური ნეგატიური მოვლენების სალიკვიდაციოდ.

მიუხედავად ამისა, იუბილეს გვერდი ვერ აუარეს, მაინც გამოცხადებულენ პეტერბურგის ოფიციალური გაზეთები „რუსსკოე ვედომოსტი“, „რუსსკოე სლოვო“ და „რეჩი“. ისინი შეეხნენ აკაკის ცხოვრებასა და შემოქმედებას. „ნოვოე ვრემია“ პოეტის პორტრეტის გამოქვეყნებით დაკმაყოფილდა. „ნოვოსტი ზაკავკაზეიმ“ საიუბილეო თარიღს — 1908 წლის 7 დეკემბერს — თითქმის მთელი ნომერი მიუძღვნა, ხოლო გაზეთ „გოლოს ვარშავსკის“ პუბლიკაცია „ქართველი პოეტის იუბილე“, შემოიფარგლა ბიოგრაფიითა და ბიბლიოგრაფიული მასალებით.

ქუჩებსა და მალაზიებში იყიდებოდა მალალ პოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული აკაკის წიგნაკები, პორტრეტები და კრებულები: „აკაკი“, „აკაკის დღე საქართველოში“.

დილით აკაკი ჩააბრძანეს თეთრ ცხენებთან ეტლში. გვერდით ეჯდა საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარე, გენერალი გიორგი ყაზბეგი. ისინი სიონის ტაძრისკენ გაემგზავრნენ. ეტლებს კორტეჟით მიაცილებდნენ კომიტეტის წევრები, თბილისელი და პერიფერიებიდან ჩამოსული დეპუტატები. ქუჩებში და თვით სიონის ტაძარში ზღვა ხალხი იდგა იუბილარის შესახვედრად.

ეპისკოპოსმა დავითმა თბილისის ქართველ სამღვდელოების თანამწირველობით წირვა გადაიხადა, ხოლო შემდეგ მგონის სადღეგრძელოდ — პარა-

კლისი. სიტყვა წარმოთქვა დეკანოზმა მ. ტყემალაძემ, რომელმაც ლაკონურად დაახასიათა მგოსნის უმაგალითო ღვაწლი.

„არ მომკედარა, — დაასრულა თავისი გამოსვლა ორატორმა, — მხოლოდ ეძინა და აი, გიხაროდეს მაღლით ცხებულო მგოსანო, უკვე გაიღვიძა შენმა საყვარელმა ერმა და შეიკრიბა აქ, ტფილისში შენი ამდენი ხნის მოღვაწეობისათვის მაღლობის გადასახდელად და შენს სადიდებლად. იცოცხლე, მგოსანო, მრავალყამიერ შენი საყვარელი სამშობლოს სანუგეშოდ და ქართველთა სასიხარულოდ“.

ეპისკოპოსმა დავითმა პარაკლისის შემდეგ მგრძნობიარე სიტყვა წარმოთქვა, იუბილარს მიულოცა დღესასწაული და გადასცა ღვთისმშობლის ხატი.

შემდეგ მგოსანი მრავალი დებუტატის თანხლებით გამოვიდა სიონის ტაძრიდან. შეკრებილი ხალხი ტაშისცემითა და „ვაშას“ ძახილით მიეგება, ასევე დიდი ოვაციებით, „ვაშას“ და „ურას“ ძახილით შეხვდა სახაზინო თეატრთან.

12 საათზე თეატრში აკაკის საიუბილეო დღესასწაული დაიწყო. ფარდის ახდისთანავე ხალხს თვალწარმატაი სურათი გადაეშალა: მარცხნივ, სცენაზე მგოსნისთვის ცალკე მომზადებულ, ცოტა ამაღლებულ ადგილას მოეწყობთ ესტრადა, რომლის გარშემო იდგნენ ქართული მწერლობის, მეცნიერებისა და ხელოვნების წარმომადგენლები. იქვე ჩამწკრივებულიყო საოპერო დასის მგალობელი გუნდი, მარჯვნივ — ქართული ფილარმონიული საზოგადოების მომღერლები, შემდეგ დებუტატები, 500 კაცზე მეტი. დარბაზში კი დებუტატის ყველა ხელმძღვანელს ხელში ეჭირა გვირგვინები და ყვავილები, მოუთმენლად ელოდნენ სცენაზე გამოძახებას მისასალმებელი სიტყვის წარმოსათქმელად და ადრესების წასაკითხად.

აი, გამოჩნდა მგოსანი. დამსწრეები ფეხზე წამოდგნენ და მგრავინავი ტაშის ტალღებმა თითქოს მაღლა აიტაცეს სახაზინო თეატრის შენობა. მაყურებლის

აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა... ქუჩილივით გაისმა სიტყვები: „აკაკის უმარჯოს!“

ფილარმონიული საზოგადოების რომ იმღერა „მრავალყამიერი“, ხოლო ორკესტრმა შეასრულა სადღესასწაულო ჰიმნი. შემდეგ საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგმა ი. გოგებაშვილმა პირველმა მიმართა იუბილარს:

„მე, როგორც კომიტეტის წევრს, — განაცხადა მან, — წილად მხვდა ბედნიერება, გავხსნა ქართველი ერის დღევანდელი დაუეციყარი დღესასწაული“. შემდეგ ქართველი ერის სახელით მიულოცა იუბილარს და მოკლედ აღნიშნა მისი ღვაწლი მშობლიური ლიტერატურის, ხალხის წინაშე და უსურვა მრავალყამიერი სიცოცხლე.

„მრავალყამიერი“ მეორედ შესრულდა.

დაიწყო მილოცვები. იუბილარს მიულოცეს სახაზინო თეატრის და საოპერო დასის წარმომადგენლებმა. ოპერის მომღერლებმა რუსულად შეასრულეს კანტატა „სლავა აკაკიუ როსტომოვიჩუ!“, რამაც აგრეთვე ძლიერი ტაშისცემა გამოიწვია. თითოეული მილოცვის შემდეგ ორკესტრი ასრულებდა სადღესასწაულო ჰიმნს. წერა-კითხვის საზოგადოების სახელით იუბილარს ადრესი წაუკითხა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ ალექსანდრე ყიფშიძემ (ფრონელმა). თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების სახელით პოეტს ადრესები მიართვეს თავადაზნაურობის მარშლებმა პავლე თუმანიშვილმა და სვიმონ წერეთელმა.

„უკვდავება პოეზიისა, მისი განმასპეტაკებელი მომხიბლაობა, — აღნიშნა პ. თუმანიშვილმა, — შეავსო და მთვარესავით გააქათქათა შენმა წმინდა მსახურებამ აზრისა და მშვენიერების იდვის სამფლობელოში.“

და აი, სწორედ ამ დიადი მსახურებით შეიმოწმება შემოქმედი ძალა ქართველი ერისა!..

ერი, რომელმაც შვა აკაკი, თანაზიარია მსოფლიო აზროვნების სალაროსი

და მას თამამად შეუძლია თქვას: „მე და კაცობრიობა განუყრელი ვართო!“.

საიუბილეო საღამოს ყურადღება მიიპყრო სოფელ სავანის დებუტატის გამოსვლამ, რომელშიც კონცენტრირებულად იყო წარმოდგენილი აკაკის ბავშვობის დროინდელი სურათი. აკაკის ძიძვილმა გაიანე სადღუნიშვილმა სცენაზე გამოიტანა აკვანი, რომელშიც მგოსანს ბავშვობისას „ნანინას“ დამღეროდა აღმზრდელი. ამ სცენამ ძლიერ იმოქმედა დამსწრეებზე, ხოლო თვით ცრემლმორეულმა აკაკიმ სიყვარულით გულში ჩაიკრა ძიძვილი და მისი შვილიშვილი. სავანიდან ადრესი მიართვა მარიამ აბაშიძემ, ხოლო ალექსანდრე აბაშიძემ იუბილარს გადასცა ვერცხლის კვერთხი ლექსების — „ხანჯლისა“ და „შენი ჭირიმეს“ წარწერით.

შემდეგ მგოსანს მიულოცეს საჩხერისა და მისი ახლომდებარე სოფლების დებუტატებმა, საჩუქრად მიართვეს საწერი მოწყობილობა და საწერელი, რომელზეც ვერცხლის მერცხალი იყო გამოქანდაკებული და ეწერა ლექსი „დღეს მერცხალი შემოფრინდა“. პოეტს აცნობეს საჩხერელთა დადგენილება, რომ დააარსებდნენ მგოსნის სახელობის პროგიმნაზიას.

თბილისის სამღვდლოების სახელით მგოსანს საჩუქარი და ადრესი მიართვეს მ. თალაკვაძემ, ნ. მაჭარაშვილმა, კ. ცინცაძემ და სხვებმა.

ზესტაფონის საზოგადოების სახელით პოეტს მ. ანთაძემ მიულოცა და ოქრომკედით ამონაქარჯი ფაფანაკი მიართვა. მისი ადრესი მთავრდებოდა ასეთი გულითადი სიტყვებით:

„ამ დღესასწაულში ჩვენც, შენი იმ ქვეყნის, სადაც შენი აკვანი დარწყულა, წარმომადგენელნი საზოგადოების მონღობილობით საღამს გიძღვნი და გისურვებით შენს დღეთა სიგრძეს ჩვენდა სანუგეშოდ. შენს წმინდა სახელს, მსკოვანო მგოსანო, დაბა ზესტაფონი და მისი არემარე გულში ჩაისვენებს „ხატად და ჯვარად“, ისულდგმულებს და იამაყებს მით, რომ გენიალური შვი-

ლი ივერიისა დაიბადა, აღიზარდა იქ და მანვე უმღერა მას ტკბილი „ნანინა“.

თავიანთი ადრესებით წარდგენენ მგოსანის წინაშე და მიულოცეს იუბილე ნიშნავარის ქართველ კათოლიკეთა, ნოგოთის, თბილისის რკინიგზის მთავარი სახელოსნოების ქართველ-სომხური მუშათა ჯგუფის დებუტატებმა.

ყველა ადრესსა და მილოცვას აერთიანებდა ერთი საერთო აზრი, — აკაკი წერეთელში მთელი ქართველი ერის მაღალი კულტურა და მორალური სათნობება გაერთიანებული, იგი უწყმინდესი ეროვნული გრძნობის გამღვიძრებელი სახალხო მგოსანია, მთელი ნანევარი საუკუნის განმავლობაში კურთხეული კალმით ემსახურებოდა მშობლიურ ლიტერატურას და საუკეთესო გრძნობებს აღვიძებდა მკითხველთა და მსმენელთა გულში. ხალხი მას „ჩვენი აკაკის“ ეძახის, უგვაროდაც არის ცნობილი, მისი ეროვნული კრიტერიუმებით დატვირთულ სახალხო ლექსებს ჩონგურსა და გიტარაზე დამღერის.

ნოსტალიგიით გამსჭვალული ფერეიდნელი ქართველების სახელით მგოსანს იუბილე მიულოცა სპარსელმა ქართველმა ნასროლა ხატიაშვილმა. მან განაცხადა:

„ნება მიბოძე, დიდებულო მგოსანო, მოვილოცო ფერეიდნელი ქართველების სახელით. სამშობლო დედის ძუძუს მოწყვეტილ ფერეიდნელ ქართველობასაც მისწვდა შენი სახელი და ისინიც აქაურთა დანმარებით შეუდგნენ ქართული წერა-კითხვის შესწავლას. იცოცხლეთ ქართველთა სანუგეშოდ!“.

იუბილარს მიულოცეს სამცხე-საათაბაგოს, უდეს, სალიეთისა და ქვემო ქიზიყის დებუტატებმა, თბილისელთა სახელით პოეტს მიესალმა ქალაქისთავი ვ. ჩერქეზიშვილი, ქუთაისის საზოგადოების სახელით ი. ფანცხავა, ბათუმის ქალაქის თვითმმართველობის სახელით გ. ჟურული, თბილისის მოქალაქეთა სახელით ა. ადამაძე.

ცოტა შესვენების შემდეგ მონღობილობით იუბილარს ადრესი მიართვეს

მოლა გ. ჭომახიძემ, ახალციხის, ბაღდადის, გარეკახეთის, ახალქალაქის, ხაშურის, ახალციხე-ახალქალაქის სამოღდელოების, ჯავახეთის ქართველობის, ჯავახეთის ქართველი კათოლიკების, თბილისის მუშათა ორგანიზაციების დეპუტატებმა.

ყურნალ „ნაკადულის“ რედაქციისაგან იუბილარს წინ წარუდგა თეთრ ტანსაცმელში გამოწყობილი ქალთა და ვაჟთა გუნდი. მათ მგოსანი დაბუნის გვირგვინებით შეამკეს, ხოლო რედაქციის სახელით ადრესი მზართვა ნინო ნაკაშიძემ. ამ სურათით აღფრთოვანებულმა აკაკიმ ყმაწვილებს მოკლე დამრიგებლური სიტყვით მიმართა:

„ქარგად დაიხსომეთ, ხალხის განვითარება ეროვნულ ნიადაგზე უნდა ხდებოდეს, ერი უნდა გიყვარდეს. თუ თქვენ ქართველობას გადაუხვიეთ, მერწმუნეთ, ცხოვრებაში გზას დაქარგავთ და აღარავისთვის გამოსადეგნი არ იქნებით, რადგან, ვინც საკუთარ ერს ვერ გამოადგება, ის არც სხვისთვის იქნება გამოსადეგი“.

საყურადღებო ლექსები წარმოთქვეს ვ. რუხაძემ, ირ. ევდოშვილმა, განდევილმა, გ. ქუჩიშვილმა, ალ. შანშიაშვილმა და სხვ.

თბილისის ქალების სახელით სიტყვა წარმოთქვა ნინო ყიფიანმა:

„გვაპატიეთ, რომ ამდენი ხნის განმავლობაში, ქართველ ქალებში შენთვის ტკბილად სანატრელნი ნინო, ქეთევანი, თამარი დღესაც სასიზმრონი არიან და დღესაც ჩვენ იმათ აჩრდილებად გიხედებით! მაგრამ გულს ნუ გაიტყბ, შენს ერს უკვე ახალი ხანა დაეწყო, ხანა განახლებისა, წარმატებისა, ხანა მიძინებული ეროვნული გათვითცნობიერებისა, გაღვიძებისა“.

სამეგრელოს ქალთა წრიდან იუბილარს მიულოცეს ბ. ქავთარაძემ, გ. გამსახურდიამ, თბილისის ქალაქის ხმოსანმა ალ. ხატისოვმა, ხონის, გორის, სურამის, თბილისის საარტიტო, სიღნაღის, კიათურის, ლანჩხუთის საზოგადოებებმა, თბილისის კათოლიკე ქართველებმა,

ბაქოს ქართველმა საზოგადოებამ, თბილისისა და ქუთაისის ებრაელებმა, კავკასიის სასწავლო ოლქის უწყებამ, ქუთაისის ნოქრებმა და ციხის ტყვეობის სამტრედიის მხარის მცხოვრებლებმა, ყურნალ „განათლების“ რედაქტორმა, ბაქოს სომხური კულტურული კავშირის წარმომადგენელმა, ზუსმა სცენისმოყვარეებმა, გავრის საზოგადოებამ და აფხაზებმა, კიათურის „შავი ქვის“ წარმომადგენლებმა, კიათურისა და ხონის ქალთა საზოგადოებებმა, არაგვისა და ქსნის ხეობის მთიულებმა, სენაკის მასწავლებლებმა და სათავადაზნაურო სკოლამ.

ბოლოს სცენაზე გამოჩნდა ვაჟი-ფშეველა. მგოსანს ხალხი ხანგრძლივი ოვაციებით მიეგება. მან წაიკითხა აკაკის საიუბილეოდ სპეციალურად დაწერილი ლექსი და საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანა.

შესვენების შემდეგ, 4 საათზე ორკესტრმა საზეიმო ჰიმნი შეასრულა და გაგრძელდა იუბილარისთვის მილოცვა, ადრესებისა და საჩუქრების მიართმევა. მგზნებარე სიტყვით გამოვიდა ქართული საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების თავმჯდომარე ე. თაყაიშვილი და მგოსანს აცნობა საზოგადოების პირველ საპატიო წევრად არჩევა, უსურვა, რომ „მგოსნის მადლიანმა ჩანგმა კიდევ დიდხანს იყდეროს სამშობლო პოეზიის დიდებულ ტაძარში უწინდებური აღტაცებით და მომზიბლავი მშვენეირებით“.

იუბილარს ადრესები მიართვეს და დღესასწაული მიულოცეს ქუთაისის, თბილისის ბებია ქალებისა და კავკასიის ფერშალთა საზოგადოებებმა, გუმბრის ქართველობამ, ქუთაისის ექიმთა საზოგადოებამ, თბილისის ქართველმა ექიმებმა და ფარმაცევტებმა, რუს ქალთა წრემ და ფოსტა-ტელეგრაფის ქართველმა მოხელეებმა.

აკაკის ეროვნული ფენომენტური მოღვაწეობა ვერ თავსდება საქართველოს ლოკალურ საზღვრებში. მისი სული მაღალი ინტერნაციონალური შეგნებით საზრდოობდა და სიყვარულით იკაფავდა

გზას მოძმე ხალხთა გულებისაკენ. იგი ერთ-ერთი ჭეშმარიტი არმენოფილი, სომეხი ხალხისა და მისი კულტურის დიდი მოტრფიალე იყო. ამ სიყვარულის ნათელი გრძობა მან გამოამხეურა როგორც თავის უნიკალურ შემოქმედებაში, ისე პრაქტიკულ საქმიანობაში.

სომხური ლიტერატურის დიდ კლასიკოსს, გამოჩენილ ჰუმანიტსსა და სოციალური თავისუფლებისათვის მებრძოლს გ. სუნდუკიანს ორი ლექსი უძღვნა. ორივე ლექსი ქართულ-სომხური ისტორიული ძმობისა და მეზობლობის სიყვარულით შთაგონებული გრძობით არის გამსჭვალული.

და როდესაც აკაკის ნიჭის თავყვანის-მცემელმა სომეხმა არქეოლოგმა ვ. ლალიანიცმა მიულოცა ბედნიერი საღამო, აკაკიმ ასე უპასუხა:

„ისტორია გვეუბნება, რომ სომეხნი და ქართველნი წარსულში ხელიხელჩაკიდებულნი მიდიოდნენ წინ და აი, ეს არის მიზეზი, რომ აღმოსავლეთში ამ ორმა საქრისტიანო ერმა შეინარჩუნა სიცოცხლე. შეიძლება ეკონომიურ ნიადაგზე ქართველებსა და სომეხებს შორის ცოტა რამ სამდურავი იყოს ჩამოვარდნილი, მაგრამ ამაზე სულმნათ რუსთაველის სიტყვით გიპასუხებთ: „მცირე რამე სამდურავი მოყვარეთა წესია“. ვისურვებ, რომ ქართველობასა და სომეხობას ერთობისა, ძმობისა და სიყვარულის ნიადაგზე ძველებურად ხელიხელჩაკიდებულებს ევლოთ პროგრესის გზაზე ერთმანეთის საკეთილდღეოდ და გასაძლიერებლად“.

ეს სიტყვები მუსიკის მომაჯადოებელმა პანგებმა დაფარეს.

„მსოფლიო ტალანტები, გენიოსები — დიდი პატრიოტები, იმავე დროს დიდი მოყვარენიც იყვნენ კაცობრიობისა. ასეთია აკაკიც. ამ ფართო ინტიმითა და კაცთმოყვარეობით აიხსნება ის ფაქტი, რომ აკაკის დიდი სახელი აქვს არა მარტო საქართველოში, არამედ სხვა ხალხებშიაც“ — წერდა გაზეთი „დროება“.

გულწრფელი ტაშის ქუხილით მიეგე-

ბა დარბაზი კავკასიის სპარსელთა საქველმოქმედო და მაჰმადიანთა სხვა კულტურულ დაწესებულებათა წინამძღოლებს, მათ ძვირფასი ხალიჩა მიართვეს მგოსანს, ხოლო მათმა დეპუტატმა თავისი სიტყვა ასე დაიწყო:

„მრავალი საუკუნის განმავლობაში მხარდამხარ ცხოვრობს სამი მეზობელი ხალხი: ქართველი, მაჰმადიანი და სომეხი. ბედმა ისინი საუკუნოდ შეაერთა, მაგრამ სამწუხაროდ და სავალალოდ, არა ცდილან, რომ ისინი მეზობლები ყოფილიყვნენ არა მარტო ადგილმდებარეობით, არამედ სულიერად და ნათესაურად.

მოვა დრო, — სთქვა დასასრულ დეპუტატმა, — და საუკეთესო ძალები ამ სამი ხალხისა, რუსეთის სხვა ხალხების საუკეთესო ძალებთან ერთად, გაიმეორებენ:


გაუმარჯოს პოეზიას!
გაუმარჯოს განათლებას!
გაუმარჯოს პროგრესს!
გაუმარჯოს ერთობას!“

ამ სიტყვების პასუხად მგოსანმა განაცხადა:

„თქვენნი მოსვლა და მოლოცვა ქართველებს დღეს განსაკუთრებით გვახარებს, რადგან თუ ძველად ხშირად მტრები ვიყავით, ახლა მხოლოდ ძმურ სალამსა და თანასწორობას ვხედავთ. ადამიანთა უძლიერესი იარაღი ახლა სწავლა-განათლებაა. ვისურვებთ, რომ აღმოსავლეთიც დასწავებოდეს ამ ერთადერთ მის გამოსაბრუნებელ იარაღს და განეახლებინოს თავისი ცხოვრება. ეს მით უფრო სასურველია, რომ ჩვენ სინათლეს აღმოსავლეთიდან მოველით.

გაუმარჯოს ჩვენში დღეიდან უფრო მტკიცე ერთობას, ძმობას და სიყვარულს“.

შემდეგ პოეტს მიულოცეს და ადრესები მიართვეს ქართული და რუსული პრესის რედაქციათა თანამშრომლებმა, ლიტერატორთა წრის, პოლონელთა სახლის, ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის, კავკასიის ხელოვნების, თბილისის ეურნალისტთა საზოგადოებების



წარმომადგენლებმა, „კალმის“ გამოცემელი ამხანაგობის, თბილისის სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოების ქართული, რუსული და სომხური სექციების მოსამსახურებმა. ექიმმა ვ. ლამბაშიძემ, ქართული გიმნაზიის დირექტორმა ალ. მდივანმა, ბალახანასა და საბუნჩაში მცხოვრები ქართველების სახელით დ. ჭაფარიძემ, ფოთისა და ახალციხის ქალთა, თელავის, ბორჯომის, სოხუმისა და ოჩამჩირის საზოგადოებათა, მოსკოველი ქართველებისა და რუსეთის სტუდენტების წარმომადგენლებმა.

კიდევ დარჩა წასაკითხი 50-მდე ადრესი, მაგრამ კითხვა შეწყვეტეს და დეპეშების კითხვა დაიწყეს. დეპეშები გამოგზავნეს: პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლური ენების ფაკულტეტმა, სადაც პოეტმა უმიდლესი განათლება მიიღო; ცნობილმა რეჟისორმა ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკომ; მწერალმა ვლ. კოროლენკომ; ცნობილმა მსახიობებმა ვლ. ს. ალექსი-მესხიშვილმა, დ. თოფურიძემ; უკრაინული გაზეთ „რადას“ რედაქციამ; კ. სტანისლავსკიმ; ალ. სუმბათაშვილმა; მოსკოვის უნივერსიტეტის ქართველი სტუდენტობის კრების თავმჯდომარემ პროფესორმა საკულინმა; სახალხო განათლების გამოჩენილმა მოღვაწემ ფალბორსკიმ; მარჯორი და ოლივერ უორდროპებმა; არტისტმა ნინო ჩხეიძემ; ნ. ნიკოლაძემ, რომელიც იმ დროს პეტერბურგში იმყოფებოდა; ალ. ხახანაშვილმა; ჟურნალ „ლიტერატურნონაუკოვო ვესტნიკის“ რედაქციამ; გაზეთ „კასპიის“ რედაქტორმა ვეინბერგმა; პეტერბურგის სალიტერატურო საზოგადოების თავმჯდომარე ანენსკიმ; გაზეთ „ტარაქის“ რედაქციამ და გამომცემლობამ; გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეს“, „ზაკავკასკოე ობოზრენიეს“ და „ვესტნიკ ბაკუს“ რედაქციებმა; მოსკოვის მხატვრებისა და ხელოვნების საზოგადოებამ; გაზეთ „თეატრი და ხელოვნების“ რედაქციამ; კიევიდან — უკრაინის სამეცნიერო და სალიტერატურო საზოგადოებამ; გაზეთ „სა-

კაპრო გზის“ და „ბატუმსკი გოლოსის“ რედაქციებმა.

დეპეშების კითხვა შეწყდა მისი სიმრავლის გამო და გაიმართა მოთხოვნი რომელმაც თავისი სიმშვენიერით მოხიბლა მაყურებელი. დღესასწაული დასრულდა აკაკის მომაჯადოებელი სამადლომელი სიტყვით. ეს სიტყვა იყო დიდი მგზნებარებით წარმოთქმული სრულიად საქართველოს 200 დეპუტატის საპასუხოდ:

„ბატონებო! ორმოცდაათი წელიწადი ვებრძოდი უსამართლობას, განსაკუთრებით შინაურ უკუღმართობას, იარაღად ვხმარობდი სიტყვას და კილამს, სადაც ძალიან მცირეოდენ თავლთან ბევრი ნაწილი იყო ჩემსავე ცრემლებში ჩალესილი... ჩემმა ხელობამ ბევრი სიმწარე გამომაცდევინა და ვინ იცის, რამდენჯერ გამისკდებოდა გული, რომ აქა-იქ თანამგრძობელი არ მყოლოდა, უმეტესად ქალებში მათი გულკეთილობით და ახალგაზრდებში მათი გულუბრყვილობით, რისთვისაც საჯაროდ ვწირავ მათ მადლობას.

მე ჩემი თავი ყოველთვის მიმაჩნდა და მიმაჩნია ბატარა დღიურ მუშად. თუ ჩემს შრომას ვინმე ყურადღებას მიაქცევდა, არ მეგონა, დღეს ჩემი შრომა ერთი ათასად ფასდება. ხალხში აღძვლულა ეროვნული გრძნობა, რომ ჰყავდეს ნამდვილი მოღვაწე და გმირი, რისიც მე მოჩვენება ვარ. მათ ამ დიად გრძნობას შევეუერთებ ჩემს ნატვრასაც, რომ მოვლინებოდეთ ის სანატრელი გმირი და მე კი:

„ის არ ვარ, თქვენ რომ გგონივართ, ძნელი ყოფილა ჭადარა, თანამად ვეღარ გაცკივს ჩემი დაფი და ნაღარა.
 არა, არ ვკარგავ იმედსა, ვერ შემაშინებს ჭადარა, გმირებს მოელის თქვენგანვე ჩემი დაფი და ნაღარა!“

ასე დასრულდა აკაკის 50 წლის სალიტერატურო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის საიუბილეო დღე თბილისში.

აკაკის მსუბუქფრთიანი, ხალხისთვის გასაგებ ენაზე დაწერილი ლექსები, მარადიული სიყვარულით გამთბარი და სასიმღერო კილოზე აქდრებული, რომლებიც მდიდარი იყო ბუნებრივი მელოდიებით, ხალხის გულში ეძებდა თავშესაფარს და ყოველთვის სიმპათიას იმსახურებდა. ისინი საზოგადოებაში გამოჩენისთანავე სასიმღეროდ იქცეოდნენ, მუსიკალურ სამყაროში ღრმად მკვიდრდებოდნენ და პოპულარული ხდებოდნენ. ამიტომ იყო, რომ აკაკი სახალხო პოეტად იქცა და მას მხოლოდ სახელით იხსენიებდნენ, ხოლო მისი იუბილე იყო ქართველი ხალხის ეროვნული ძალების მონოლითობისა და კონსოლიდაციის გამოვლინება. აკაკის იუბილე ჭეშმარიტ სახალხო დღესასწაულად გადაიქცა. ხალხის უბრეცენდენტო სიყვარულმა აკაკისადმი სწორედ იუბილეს პერიოდში მიიღწია ზენიტს. სწორედ ამ დროს ჩაეყარა საძირკველი ახალ ეროვნულ ტრადიციას — აკაკობას. აკაკის ყოველწლიური გახსენება დაწესდა 9 თბათვისათვის (იენისისათვის).

თბილისის მსგავსად ქუთაისშიც შეიქმნა საიუბილეო კომიტეტი და პროგრამა. ქუთაისის სურდა აკაკის, როგორც თავის კალთაში გაზრდილი შვილის, პატივისცემაშიც გამოეჩინა თავი. ყველა პროფესიისა და რანგის ადამიანი თავის ზნეობრივ მოვალეობად თვლიდა, აკაკის საიუბილეო მზადებაში მონაწილეობა მიეღო.

ქუთაისის საიუბილეო კომიტეტმა აკაკის საიუბილეო დღედ დანიშნა 1908 წლის 14 დეკემბერი. ვარლამ ბურჯანაძემ, რომელიც ერთ-ერთი წინამძღოლი იყო დასავლეთ საქართველოს პედაგოგიური საზოგადოებისა, ეროვნული მოწოდებით მიმართა მთელი დასავლეთ საქართველოს მასწავლებლობას. დასახული იქნა საიუბილეო გეგმა პროვინციებში სარეალიზაციოდ.

გათენდა კვირა დღე, 14 დეკემბერი. მთელი ქალაქის სტუმრები და მასპინძლები საზეიმო ტანსაცმელში არიან გამოწყობილი. ნამდვილი გაზაფხულის

დღეა, მოკრიალებული ცა-ფორუნი და მის გულზე დაბნეული მოკაშკაშე მზის სხივები უხვად ეფინება სახლს, ნუგეჩებსა და მოედნებს. დილიდანვე ქუჩებში არაჩვეულებრივი გამოცოცხლება სუფევს. სახლის მოაჯირები და სარკმლები შორთულია ნოხებით, ფერადი აბრეშუმეულითა და ლამაზი ყვავილებით.

10 საათია. საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარისა და ქალაქისთავის დ. ლორთქიფანიძის მეთაურობით ხალხით გაივსო ს. ბახტაძის სახლი, სადაც დაბინავებული იყო პოეტი. მეთორმეტე საათზე ეტლში ჩაბრძანდა ჭადარა მგოსანი ეზოდან გამოსვლისას წამამალა გაისმა „ვაშა“ და „აკაკის გაუმარჯოს!“ საკრებულო-საკათედრო ტაძარი ხალხითაა გაჭედილი, კირს მოძრაობა.

ტაძარში პარაკლისის დაწყებამდე დეკანოზმა ი. კვიციანი, ნესტორ ყუბანეიშვილმა და სემონ მჭედლიძემ სიტყვით მიმართეს მგოსანს და მიულოცეს დღესასწაული.

ნესტორ ყუბანეიშვილმა თავისი სიტყვა ასე დაამთავრა:

„ვევედროთ ამ წმინდა ტაძარში ღმერთს, რომ ჩვენს დიდებულ მგოსანს — აკაკის მიანიჭოს ხანგრძლივი და მრავალჟამიერი სიცოცხლე და მან განაგრძოს თავისი მოღვაწეობა ქართველი ერის სასარგებლოდ და ქართველ ერსაც ღმერთმა მიანიჭოს უმიღღესი კულტურული განვითარება და საუკუნო არსებობა“.

სემონ მჭედლიძემ თავის სიტყვაში გააანალიზა აკაკის კოლოსალური დამსახურება და თავისი გამოსვლა ასე დაამთავრა:

— ღირსეულად გაფასებს სამშობლო თავის საუკეთესო ძეს, დიდებულ მგოსანო, და დღევანდელი შენი იუბილე თავდება ქართველი ერის გამოფიზილებით, რომელიც შენი ჩანგის ზეგავლენით, შენი დაფის და ნალარის გრგვინით ძილგაფრთხობილი აღარ დაიძინებს და მუდამ დარაჯად იქნება, რომ არ გა-

ოქციფოს ეროვნებათა შორის და მით არ წარბოცოს შენი ხსენებაც.

მრავალჯამიერ შენი სიცოცხლე, ღირსეულო მამულიშვილო! ქება-დიდება იმ მხარეს, სადაც აღიზარდე და ნეტარ-ხსენება იმ ძუძუთ, რომელთაც სწოვდი!

პარაკლისის გათავების შემდეგ იმერეთის ეპისკოპოსმა გიორგიმ გრძნობით სავეს სიტყვით მიმართა მგოსანს. თეატრი უკვე სავეს იყო ხალხით, როცა იუბილარის ეტლი გამოჩნდა. აღფრთოვანება თანდათან იზრდება. 50 ათასი კაცის გული ერთ გრძნობას გაუტაცნია, ერთ სულისთქმად ქვეყლა და ეთავყვანება დიდებულ პოეტს. სცენაზე 300 კაცზე მეტია.

იხდება ფარდა. ორკესტრმა, გუნდმა და მთელმა საზოგადოებამ ფეხზე აღვომით სამჯერ იმღერა „მრავალჯამიერ“, ხოლო შემდეგ დაიწყო მილოცვები.

პირველი სიტყვა თქვა საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარე მოსე ქიქოძემ.

— ყოვლად ბედნიერო, მომაკვდავთა უკვდავო შვილო, მშვენიერად საქართველოსა, აკაკი! — სთქვა მ. ქიქოძემ. — დიდი ტალანტი, ციდან მონიჭებული, არ ჩაგმარხავს მიწაში, მსგავსად სახარების ზარმაცი მონისა და აი, შედეგი შენი ციური ნიჭისა. ნეტარ არს მუცელი, რომელსაც უტვირთიხარ, ნეტარ არს ძუძუნი, რომელსაც აღუზრდიხარ! მოვიხრით თავს შენი დიდებული ნიჭის მოღვაწეობის წინაშე და შენი ჩონგურის სიმებით გულწრფელად, ერთხმად გივლობებთ მრავალჯამიერს!

ქალაქის მცხოვრებთა სახელით მგოსანს მიესალმა ქალაქის თავი დავით ლორთქიფანიძე. შემდეგ გამოდის ცნობილი ბელეტრისტი დავით კლდიაშვილი:

„დიდებულო მგოსანო, ბედნიერო ადამიანო! შენი სულიერი შვილი, შენი დიადი ნიჭის გამათბობელ სხივებქვეშ აღზრდილი შვილი, მოგილოცავ შენს დიდებულ დღესასწაულს, ქართველი ერის ჭირისუფალო! მადლობას მთელი

კაცობრიობა მოგიძღვნის, მადლობას მოგიძღვნის მისთვის, რომ შენი გმირული მოღვაწეობით შენს ერს მშაღებდი უმზადებდი კაცობრიობას, რომ შენი შრომით კაცობრიობას უერთებდი თავისუფლების მოსიყვარულე ძმებს“.

მგოსანს იუბილე მიულოცეს და ადრესები მიართვეს გრ. ლადიძემ, სოფ. მგალობლიშვილმა და სხვებმა.

5 საათამდე გაგრძელდა იუბილეს საზეიმო ნაწილი, ადრესების კითხვა და მილოცვა. თეატრიდან აკაკის გამოსვლისთანავე აფრიალდა დროშები, შეიქმნა „ვამას“ ძახილი და ტაშისკრა. 50 ათასამდე კაცი გააყვა უკან. კვლავ დაიწყო ვარდ-ყვავილებების სროლა.

8 საათზე მგოსნის ბინაზე ხალხმა კვლავ იწყო დენა. ახალგაზრდობამ ეტლიდან ცხენები გამოხსნა და თვითონ შეება შიგ. თეატრამდე ასე მიჰყავდათ მგოსანი.

ერთი სტყევით, რაც ამ დღეს ქუთაისმა აღტაცება და სიხარული განიცადა, რაც 14 დეკემბერს ქუთაისში მოხდა, იმის კალმით აწერა შეუძლებელია.

დღესასწაული დასრულდა აპოთეოზით: წინა რიგში იყვნენ დამდგარი მგოსნის გმირები და მათ თავზე ნინო, ქეთევან და თამარი ეგვირგვინებოდა.

ღამის პირველ საათზე ვათავდა საღამო. მგოსნის გამოსვლაზე კვლავ დაიქუხა ხალხმა: „გაუმარჯოს აკაკის!“, „ვამა აკაკის“. ტაში, ნალარა, დაფი და ზურნადუდუკი აყრუებდა არემარეს.

აკაკის იუბილე არ დამთავრებულა მარტო თბილისსა და ქუთაისში, აგრეთვე ჩვენი ქვეყნის რაიონებში მოწყობილი საიუბილეო საღამოებით. მასში მონაწილეობა მიიღეს და საიუბილეო ესტაფეტა ჩაიბარეს საქართველოს გარეთ მცხოვრებმა ქართველებმა, სტუდენტებმა, მუშებმა, მოსამსახურებმა და მათმა ოჯახებმა.

1908 წლის 14 დეკემბერს განჯის გუბერნიაში ადგილობრივი სამოქალაქო სასწავლებლის დიდ დარბაზში აკაკის პატივსაცემად გაიმართა სალიტერატურო დილა, რომელსაც ადგილობრივ ქა-

რთველებთან ერთად სხვა ერთა წარმომადგენლებიც დაესწრნენ.

აკაკის საიუბილეო ზეიმი ბაქოს პოლიტიკურმა პატიმრებმა დეპეშით მიულოცეს, ხოლო საინგილოს სოფელ კაქში, ალავერდის ეკლესიაში, აკაკის პატივსაცემად მღვდელმა ყულოშვილმა ჯერ პარაკლისი გადაიხადა, ხოლო შემდეგ ქართულად დაახასიათა მგოსნის დიდი დამსახურება, ხოლო შემდეგ კი იგივე მაღალ ინტელექტუალურ დონეზე მომზადებული სიტყვა თათრულად გაუმეორა დამსწრე მუსულმანებს („დროება“, 1908, № 26).

1908 წლის 7 დეკემბერს ზაქათალელმა ქართველობამ, სხვა ერების წარმომადგენელთა თანდასწრებით, გადაიხადა აკაკის იუბილე.

ყოველივე ზემონათქვამის მიუხედავად, აკაკის აზერბაიჯანში ჩატარებული საიუბილეო ისტორიიდან უმწვერვალესი ადგილი მაინც ბაქოში 1908 წლის 21 დეკემბერს მოწყობილ იუბილეს უჭირავს. ეს იყო არა იმპროვიზაციული, არამედ თავისი უნივერსალობით, საიუბილეო კომიტეტის პროგრამით მოწყობილი უნიკალური საიუბილეო საღამო. ამ მშვენიერი დღესასწაულის დროს „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო“-ს ლირიკული ჰანგები ეფინებოდა აზერბაიჯანის კიდით-კიდეს, საქართველოს სიყვარულის ცხელი მზე ანათებდა კასპიის ზღვის მწვანედ აბიზინებულ სანაპიროებს.

ბაქოს ქართველობამ, 7 დეკემბერს გაგზავნილი დეპუტაციის პირით, სთხოვა აკაკის, დასწრებოდა 21 დეკემბერს მოწყობილ საიუბილეო დღესასწაულს, რათა აზერბაიჯანში მცხოვრებ ქართველობას საშუალება მისცემოდა პირადად ენახა საყვარელი მწერალი და დამტკბარიყო მასთან შეხვედრით.

მართლაც, აკაკიმ დააკმაყოფილა მათი სურვილი და ზეიმის წინა დღეს მატარებლით გაემგზავრა ბაქოში.

1908 წლის 20 დეკემბერი ცივი და ღრუბლიანი იყო.

მიუხედავად ცუდი ამინდისა, თორმე-

ტი საათიდან ბაქოს ქართველობამ რიგულებითა და ყვავილებით ხელში თანადთან იწყო დენა ბაქოს რკინიგზის დადგურისაკენ. სამ საათზე გამოჩნდა მგოსნის მატარებელი. ექიმ ივანე ელიაშვილის მეთაურობით მგოსანი ვაგონიდან გამოიყვანეს.

მეორე დღეს ვერც ცუდმა ამინდმა შეაჯავა ბაქოს გუბერნიასა და მის რეგიონებში მცხოვრები ქართველები და იწყეს სვლა ბაქოს საკრებულო დარბაზისაკენ ბილეთების შესაძენად.

საღამოს 8 საათზე ბაქოს უნიკალური საკრებულო დარბაზი ხალხით იყო სავსე. კედელს ამშვენებდა სპეციალურად დახატული მგოსნის დიდი სურათი. აი, გამოჩნდა მგოსნის ღვთაებრივი სახე. მოზღვავებულმა აპლოდისმენტებმა და „ვაჟას“ ძახილმა შეაზანზარა დარბაზის კედლები.

9 საათზე, მგოსნის გამოჩენისთანავე, მთელი დარბაზი ფეხზე წამოდგა. ქართველთა მაგალობელმა გუნდმა იმღერა „მრავალკამიერი“. წინ წამოდგა ექიმი ივანე ელიაშვილი, მგოსანს მიართვა დაფნისა და ცოცხალი ყვავილებისაგან დამზადებული ქნარი, წარმოთქვა შესავალი სიტყვა და გახსნა საიუბილეო დღესასწაული.

მიხეილ ნასიძემ მოკლედ ისაუბრა აკაკის შემოქმედებაზე, ხოლო ამის შემდეგ დაიწყო მილოცვა. ბევრი გრძობიერი სიტყვა და ქება-დიდება წარმოითქვა. მქუხარე ტაშისცემით მიეგება დარბაზი მაჰმადიანთა ინტელიგენციის წარმომადგენელს. სიტყვის დასასრულს ასე ითქვა: „მგოსანო, შენ ხარ საქები და სასიქადულო არა მარტო ქართველებისა, არამედ მთელი კავკასიისა. შენ მთელი კავკასიის აკაკი ხარ. ჩამოხვედი ბაქოში როგორც ქართველების აკაკი, დაბრუნდები მაჰმადიანთა აკაკიდაცაო“ („სავაჭრო გზა“, 1908, № 29).

მაჰმადიანთა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების „ნეშირ-მუარიფის“ წარმომადგენელმა აცნობა მგოსანს საზოგადოების დადგენილება: მთელი მისი ნაწარმოებების გადათარგმნა

თათრულ ენაზე და მათ სკოლებში აკაკის სახელობის ხუთი სტიპენდიის დაარსება ღარიბ ყრმათათვის.

მოლოცვაზე მგოსანმა ლაკონური სიტყვა უთხრა, რომელშიც ძმობის, ერთობისა და სიყვარულის გრძნობა იჭერდა მთავარ ადგილს და შთამაგონებლად ედერდა მისი ლირიკის პოეტური ტალანტით შემკობილი რემინისცენციები.

ბაქოს ქართველ ქალთა წარმომადგენელმა დარიკო მახარობლიძემ წარმოთქვა სიტყვა, რომელიც დარბაზმა მტხნარე ოვაციებით დააჯილდოვა. იგი ასე დაამთავრა:

„შენში, მგოსანო! განხორციელდა საქართველო, შენ განხორციელდი მასში, თქვენ ორივე ხართ ერთი სისხლი და ერთი ხორცი. ნუგეშის მგოსანო, ქართველი ქალი დგება მკვდრებით, ნათელას სიმღერა კიდით-კიდემდე ისმის, წყრიალებს მისი ჩანგი. შენს ჩონგურს ჩვენი გულის სიმები გაება. გვწამს: „ერთი მათგანიც რომ გაწყდეს, მაშინვე უნდა შეველა!“ გვწამს: „ჩონგური საქართველოა და სიმებიც ჩვენ ვართ ყველა...“

თქვენს მოძღვრებას რძეში ვერავეთ და ვაწოვებთ ჩვენს შვილებს: წამოიზრდებიან „ლექენი ლომისა“, მიჯაჭვული ამირანი, გამოიღებენ ხელებს, აწყვეტენ არტახებს და ჩაებმებიან ფერხულში სამშობლოს აღსადგენად. ნათელეები უკვე ზრდიან მომავალ ცოტნეებს ცხრაკლიტულის დასალაშქრად და დატყვევებული ნესტან-დარეჯანის გამოსახსენებლად“ (სსლმ. ფონ. 12852-ს. 190მ, 21 დეკემბერი, ქ. ბაქო).

ბაქოს ტარას შევჩენკოს სახელობის უკრაინელთა ამხანაგობა „პროსიეტას“ წარმომადგენელმა მალოროსიულ ენაზე მიულოცა და მიართვა მგოსანს ჩარჩოში ჩასმული ტარას შევჩენკოს სურათი.

მგოსანმა მოკლე საბასუხო სიტყვით მიმართა: სტუდენტობის წლებში პეტერბურგში ვაგიცანი ტარას შევჩენკო და მას შემდეგ, თუმცა დიდი სურვილი

მქონდა მისი ნახვისა, მაგრამ აღარ მიზინხდა. ახლა კი ეს სურათი ჩემთან იქნება და ამის დანახვაზე ყუფელთუღეს ვუსურვებ გამარჯვებას უკრაინელ ხალხს.

შემდეგ მიულოცეს ბაქოში მცხოვრებ პოლონელთა საზოგადოების, აგრეთვე ლატვიელთა, ებრაელთა, სომეხთა და ბერძენთა საზოგადოების დეპუტატებმა. სომეხთა კულტურულმა კავშირმა, სახალხო უნივერსიტეტმა, ბაქოს ქართულმა, მალოროსიულმა და სომხური დრამატული დასების წარმომადგენლებმა.

მეტად საინტერესო იყო და კულმინაციურ სიმაღლეს მიაღწია ბაქოს ქართველ მუსათა წარმომადგენლის „ღალღას“ (ლიტერატურული ფსევდონიმი გრიგოლ ურატაძისა) პოლიტიკური მასშტაბის პრობლემებით მდიდარმა და პარტიული ავტორიტეტით განმტკიცებულმა რადიკალურმა სიტყვა-ადრესმა. იგი გაუღენთილი იყო მებრძოლი ოპტიმისტური გრძნობებით.

„არც ერთი კლასი. — მიმართა მან პოეტს, — თქვენგან ისე დავალებული არ არის, როგორც მშრომელი ხალხი, არც ერთ კლასს ისე არ უსარგებლია შენი მოღვაწეობის ნაყოფით, როგორც მშრომელთა კლასს და ამიტომ არც ერთ კლასში არ სუფევს თქვენდამი ისე ღრმა და გულწრფელი სიყვარული და პატივისცემა, როგორც მათში“.

ორატორი შთაგონებით ასაბუთებს აკაკის როლს ქართული ენის განვითარების საქმეში და განაგრძობს: „ამნაირად, თქვენ მიეცით პროლეტარიატს ხელში ის იარაღი, რომლითაც ის იბრძვის თავისუფლების მოსაპოვებლად. თქვენი ღვაწლი და სახელი, მგოსანო, უკვდავია და ის გადაეცემა ისტორიას.“

პროლეტარიატს არ შეუძლია არ აღნიშნოს კიდევ ის, რომ თქვენ, დიდებულ მგოსანო, ყველა თბილი ადგილი ცხოვრებაში არა მარტო მთავრობისაგან შემოძლეული, არამედ თქვენი წოდების საზოგადო დაწესებულებებისაგანაც უპარყავით. მთელი დრო შესწირეთ საზოგადო მოღვაწეობას, რასაც ისტო-

რიასთან ერთად, მშრომელი ხალხი მა-
დლობით მოიხსენიებს. თქვენ პროლე-
ტარიატს უყვარხართ და ეს დამტკიცდა
იმით, რომ მხურვალედ მონაწილეობენ
თქვენს საიუბილეო დღესასწაულში
ყველგან, რომ მათი იდეოლოგიები პა-
ტივის გცემენ.

ვამაყობთ იმით, რომ ვეკუთვნით იმ
ერს, რომელმაც აკაკი აღზარდა, ვისუ-
რვებთ გაგვჩენოდეს ჩვენი საკუთარი
აკაკი, რომ მალე შევძლოთ შეტანა ჩვენი
წვლილისა საერთაშორისო პროლეტა-
რიატის სამართლიანი ბრძოლის საქ-
მეში“ (სსლმ. ფონ. 12852-ს, გვ. 1-4).

მგოსანს იუბილე მიულოცეს აგრე-
თვე კრუჩინინასა და მაჰმადიანთა დრა-
მატულმა დასმა !ინჟეთმა“; ქართუ-
ლი წიგნების გამომცემი ამხანაგობა
„კალამის“ წარმომადგენლებმა; აგრე-
თვე აზერბაიჯანული პრესის არა
მარტო ოფიციალზმა, არამედ „კას-
პის“, ბაკინსკოე ეხოსა“, თათრულ
გაზეთ „ტარაკის“, „გუდოკისა“ და
„ბაკინეცის“ რედაქციების დეპუ-
ტაციებმა; ბაქოს სტუდენტებმა და
რკინიგზის ბუფეტების მოსამსახურეთა
წარმომადგენლებმა. ბაქოელმა პოეტმა
ქალმა ადა რუჟალსკაიამ იუბილარს
უძღვნა ორიგინალური ლექსი, ხოლო

ბაქოელმა მუშამ ი. ვოლესკიმ — სარუ-
ბილეო ადრესი.

საიუბილეო პროგრამის მეთრეუ გან-
ყოფილებაში გათვალისწინებული იყრ
„თამარ ცბიერის“ მეორე მოქმედების
წარმოდგენა, მაგრამ დროის უქონლო-
ბის გამო იგი აღარ დადგმულა.

მესამე განყოფილებაში ქართულმა
მგალობელთა გუნდმა შეასრულა რამა-
დენიმე ქართული სიმღერა, რამაც და-
რბაზის დიდი კმაყოფილება, განუწყვე-
ტელი ტაში და გამორება გამოიწვია.

მხატვარმა მუსინმა მშვენიერად წარ-
მოდგინა ცოცხალი სურათი: „სიზმარი
და გელა თავისი ქალით და მწყემსი სა-
ლამურით“.

ბოლოს მგოსანმა ერთხელ კიდევ
ულრმესი მადლობა გადაუხადა იუბი-
ლეზე დამსწრე ყველა ეროვნების წარ-
მომადგენელს და ამით ლამის მეოთხე
საათზე დასრულდა აკაკის საიუბილეო
გრანდიოზული დღესასწაული ბაქოში.

ამგვარად, როგორც ვხედავთ, აკაკის
იუბილე არ იყო ვიწრო პირადული და
ელიტარული, ჩაკეტილი ეროვნულ სა-
ზღვრებში. მან თავისი ფართო დიაპა-
ზონით გლობალური ხასიათი მიიღო.
იგი გადაიქცა ქართველი ხალხის ერო-
ვნულ ზეიმად.



როსტომ ჩხეიძე

პროგნოზი ნიპილიზმის წინააღმდეგ

ნოდარ კაკაბაძე თავის წერილში („ქართული ფილმი“, 1988, 28 დეკემბერი) იხსენებს, თუ როგორ უთქვამს მისთვის ჰაინრიხ ბიოლს: ჩვენთან, დასავლეთში გმირობა, ვაჟკაცობა გაცილებით ადვილია, ვიდრე თქვენთან. რადგან ჩვენთან იცი, სიკვდილით არ დაგსჯიან, არც ფიზიკურად გაწამებენო. თქვენთან გამოჩენილი გმირობა, რომელსაც სოლჟენიცინი და სახაროვი სჩადაან, ასეზის გმირობაა, რაც უშუალოდ ყოფნა-არყოფნასთანაა დაკავშირებულიო.

ბიოლის ამ სიტყვებს წერილის ავტორი ასეთ მოულოდნელ დასკვნას მოადევნებს:

„ჩვენ ორი წამებული, ორი მარტვილი გვყავდა: სოლჟენიცინი და სახაროვი, უფრო ზუსტად, რუსებს ჰყავდათ; ჩვენ — ქართველები, სამწუხაროდ, ვერავის ამოვუყენებთ მათ გვერდში, ალბათ, კაკო ბაქრაძის გარდა“.

სამწუხაროდ, წერს ავტორი, და იქნებ მართლაც სამწუხარო ყოფილიყო, მისი ეს ერთი ხელის მოსმით და უაღრესი კატეგორიულობით გამოთქმული შეფასება ქართველ ხელოვანთა და საზოგადო მოღვაწეთა ღვაწლის რეალობა რომ იყოს და არა ნიპილისტური განცხადება. ვითომ მართლა არა გვყოლია ჩვენს დროში წამებულნი და მხოლოდ დიდი შეღავათებით, ანუ ალბა-

თობებით შეგვიძლია ერთადერთი კაცის გამოჩენვა რუსი წამებულებისათვის „გვერდში ამოსაყენებლად?“ (სხვათა შორის, ეს ფაბილარული „კაკო“ პრესის ფურცლებზე საკმაოდ უხერხულად ჟღერს და, სასურველია, ასეთი მიმართვები ჩვენს პირად ურთიერთობათა სფეროში დაეტოვოთ).

ბიოლისათვის რომ უცნობი იყო ქართველ წამებულთა სახელები, ამას თავისი მიზეზი აქვს. მართლა სამწუხარო სწორედ ის არის, რომ არც გაგვაჩნდა და დღესაც არ გაგვაჩნია ის საშუალებანი, რათა ჩვენი ყოფა, ჩვენი კულტურა, ჩვენს ხელოვანთა და მოღვაწეთა სახელები სხვებივით პოპულარული გაგვეხადა ევროპელთათვის. ვისაც ჰქონდა და აქვს ამის საშუალება, კიდევ მოუპოვა სახელი თავის მოღვაწეებს, ევროპაში საკმაოდ გაახმაურა და, აგერ, ბიოლიც როგორი მოწიწებით ახსენებს. ოლონდ ეთნიკურად კი ველარ ანსხვავებს (ესეც სამწუხარო გარემოების ნაყოფია), „თქვენთანო“, რომ ამბობს.

მაგრამ ბიოლისათვის თუ უცნობია, ჩვენი ავტორისთვისაც რად უნდა იყოს უცნობი, თვითონაც რომ იმავე სახელებს იმეორებს, თანაც როგორ უხერხულად: „ჩვენ ორი წამებული, ორი მარტვილი გვყავდა: სოლჟენიცინი და სახაროვი, უფრო ზუსტად, რუსებს ჰყავდათ...“

ისე წერს, „უფრო ზუსტადო“, თით-

ქოს დიდი დაზუსტებანი ესაჭიროებოდეს იმას, რომ ჩვენ და ის ორი წამებულნი რუსი ერთი ერის შვილები არა ვართ... ეს უხერხულობა, უთუოდ, სტილურ გაუმართაობას უნდა მივაწეროთ, მაგრამ თვითონ ნიჰილისტური ტენდენციის გამჟღავნება კი, რა სულისკვეთებითაცაა განმსჭვალული ეს ერთი ბეწო აბზაცი, სრულიად შეუწყნარებელია. ეს სიტყვები მხოლოდ კერძო პირის აზრი რომ იყოს და არა გარკვეულ წრეებში არსებული ტენდენციის გამოხატველი, გამოპასუხება იქნებ არც კი ღირებულოყო.

ეს ტენდენცია იმაში გამოიხატება ჩვენს გარშემო, რომ თუ უცხოელმა არ აგვიხილა თვალი, არაფრის დანახვა არ გვინდა.

მაინცდამაინც რომელიმე გუსტავმა ან პიერმა უნდა შეიტყოს ჩვენს წამებულთა დრამატულ ცხოვრებაზე და მერე იმისგან გავიგოთ, რა ხალხი გვყოლია 1921 წლიდან დღემდე. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, დღევანდელი სინამდვილის არსი მიხეილ ჯავახიშვილზე ადრე ხომ არავის უმხილებია, თანაც, რამხელა ოსტატობით. მოვიგონოთ როდის დაიწერა „ჯაყოს ხიზნები“, „კვაჭი კვაჭანტირაძე“, „დამპატიყე“, „ცოფიანი“. მოვიგონოთ მისი გაწამებული ცხოვრება და ტრაგიკული აღსასრული... მაინცდამაინც ბიოლმა უნდა აღიაროს წამებულად?..

მაინცდამაინც რომელიმე ალონზომ ან ეაკმა უნდა დაგვაჩეროს, რომ ისეთი არაფერი გაგვჭირვებია, ჩვენს ეროვნულ

მოღვაწეთა და ხელოვანთა სხვების გვერდში ამოყენებაზე ვიზრუნოთ? მაინცდამაინც რომელიმე მკვლევარმა ანმა ან ოლიგერმა უნდა აგვანახოს ასეთი პარალელი (წერილის ავტორი რომ მიმართავს) რუს და ქართველ მოღვაწეთა შორის, ყოველმხრივ უმართებულოა, რადგან მიზანია მკვეთრად განსხვავებული — სოლენიციინი და სახაროვი, უპირველესად, დიდი ქვეყნის ტენდენციებისა და ინტერესების გამოხატველნი არიან, ხოლო აჟაკი ბაქრაძე (და ასე უსამართლოდ და ერთი ხელის მოსმით სადაც „გადაყრილი“ ქართველი მოღვაწენი) იმ მკაცრი ბედისწერის წინაშე დგას. ერის გადარჩენა რომ ჰქვია?

და ისიც მაინცდამაინც რომელიმე ჯონათანმა ან პოლმა უნდა დაგვანახოს, რომ ჩვენს მოღვაწეებს გაცილებით უფრო რთულ პირობებში უწევთ ყოფნა, გაცილებით სულისშემუსხუთველ გარემოში, სრულიად დახშულ წრეში?..

მწერლის, მოღვაწის დასაფასებლად არც ის არის აუცილებელი, რომ მასთან პირადი ურთიერთობა გვაკავშირებდეს.

ადრე თუ გვიან ყველაფერს მოეგლება და ჩვენი მწერლობა და საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორია თავისუფლად, მთელი სიმაღლითა და ღირსებით წარმოსდგება. აქ კი უნდა ითქვას, რომ ქართულ კულტურას, ამ კულტურისათვის თავგანწირულ ადამიანებს სხვისი თვალით არ უნდა გუყურებდეთ, რათა ნებით თუ უნებლიედ ნიჰილისტური შეფასებისაკენ არ წაგვძლიოს სულმა.



ახალი წიგნი საფარის მონასტრის

შესახებ

საფარის მონასტერი. — XIII-XIV სს. ქართული ხუროთმოძღვრების შენაწიშნავი ძეგლი. — კარგადაა ცნობილი როგორც სპეციალისტ ისტორიკოსთა და ხელოვნებათმცოდნეთათვის, ასევე ფართო საზოგადოებისთვისაც. უკანასკნელ დრომდე ამ მონასტრის ხელოვნებათმცოდნეობრივი შესწავლის საკითხში შემაჯამებელი მნიშვნელობა ჰქონდა ვახტანგ ბერიძის მონოგრაფიას: „სამცხის ხუროთმოძღვრება, XIII-XVI საუკუნეები“ (თბ., 1955); საფარის მთავარი ტაძრის მოხატულობა კი ძირითადად ცნობილი იყო შალვა ამირანაშვილის წიგნით: „ქართული ხელოვნების ისტორია“ (მ., 1963).

ახლანახან წიგნის თაროზე საფარისადმი მიძღვნილი ახალი მონოგრაფია გამოჩნდა — ეს გახლავთ გიორგი ხუციშვილის „საფარის კედლის მოხატულობა“, თბილისი; 1988 წ.

წიგნში საგანგებოდაა გამოკვლეული საფარის მონასტრის მთავარი ნაგებობის, — წმ. საბას ეკლესიის კედლის მხატვრობა. აქ, როგორც რედაქტორისეული წინათქმა გვაუწყებს, „ისტორიული და ლიტერატურული ცნობების, წმ. საბას არქიტექტურისა და, რაც მთავარია, კედლის მხატვრობის მხატვრულ-შედარებითი ანალიზის საფუძველზე დადგენილია კედლის მხატვრობის სხვადასხვა ნაწილის დათარიღება“.

სარეცენზიო წიგნის ავტორმა ძირითადად წარმატებით გაართვა თავი საპატიო ამოცანას. ამჯერად გვინდა შევხებით ნაშრომის ფილოლოგიურ მხარეს და გამოვთქვათ რამდენიმე შენიშვნა.

1. როგორც ვიცით, საფარის ფრესკებს ასომთავრული წარწერებიც ახლავს. ვფიქრობთ, ამ წარწერების პალეოგრაფიული და ტექსტობრივი ანალიზი საინტერესო იქნებოდა თუ უშუალოდ დათარიღებისათვის არა, სხვა ტაძრების ფრესკულ წარწერებთან მათი ნათესაობის გამოსარკვევად მაინც. ავტორს ამ საქმისათვის სრულიადაც არ უხლია ხელი, თუმცა პერსონაჟების გარკვევის მიზნით ის იძულებული გახდა წაეკითხა წარწერების ერთი ნაწილი და მონოგრაფიაშიც შეეტანა ისინი.

2. ნაშრომის ეს ხარვეზი შეუმჩნეველი დარჩებოდა, ყველა წარწერა სწორად რომ ყოფილიყო ამოკითხულ-განმარტებული, მაგრამ, სამწუხაროდ, მათი საკმაო ნაწილის წაკითხვა მცდარია. ზოგჯერ თუ ხერხდება შეცდომების გასწორება წიგნში მოცემული მასალების მიხედვით. არის ისეთი შემთხვევებიც, როცა ეს შეუძლებელია სათანადო ფოტორეპროდუქციებისა და ფაქსიმილეს უქონლობის გამო (ქვემოთ ვაჩვენებთ მცდარი წაკითხვის რამდენიმე მაგალითს).

3. როგორც ავტორი აღნიშნავს, წარწერების უმეტესობა კარგად იკითხება. წიგნში ისინი ძირითადად ქარაგმების გაუხსნელადაა მოყვანილი. გამოჩალიჩისა მხოლოდ ორი მათგანი: „წმინდა არს“... (გვ. 45) და საქიტორო წარწერა (გვ. 75), რომელიც ამოღებულია ვ. ბერიძის, ნაშრომიდან. ორ შემთხვე-

ვაში (გვ. 43 და გვ. 49) ავტორი წარწერების ლიტერატურულ წყაროებსაც გვთავაზობს, თუმცა კი მეორე მათგანის მუხლს არასწორად უთითებს, — ეზევიელი 37, 1-ის ნაცვლად — 44,1-ს.

სასურველი იყო მსგავსი წყაროების მითითება ყოველ წარწერასთან, მგავლითად:

„იყო სიტყუამ უფლისამ ელიამს მიმართ...“ (გვ. 48) — III მეფეთა 17,2.

„ქ. აპა ქალწული მიუღვეს...“ (გვ. 49) — ესაია 7,14; შდრ. მათე 2,23.

„ამაღლდა ღმერთი ღალადებითა“ (გვ. 50) — ფს. 46,6.

„წმიდა არს, წმიდა არს, წმიდა არს უფალი საბაოთ“ (გვ. 45) — ესაია 6,3 და სხვ.

4. იოვანე ნათლისმცემლის გრაგნილი (გვ. 48) ასეა წაკითხული:

:აქა:

ტარ

ივი

:ღმ:

:ნ:

ქარაგმის გახსნით გვექნება: „აქა ტარიგი ღმრთისამ, ნ (?)“.

აქ აშკარა შეცდომასთან გვაქვს საქმე. „ტარიგი ღმრთისამ“ არის იესო ქრისტეს ეპითეტი. მისი მიკუთვნება სხვა ვინმესადმი, თუნდაც ეს იოვანე ნათლისმცემელი იყოს, გაუმართლებელია. როგორც ჩანს, აქ უნდა ყოფილიყო „აპა“ და არა „აქა“.

„აპა, ტარიგი ღმრთისამ, რ(ომელმან)“...

ეს ის სიტყვებია, რომელიც იოვანე ნათლისმცემელმა წარმოთქვა, როცა „იხილა იესუ, მომავალი მისა“ (იოვანე 1, 29).

5. წმ. საბას ტაძრის საკურთხეველის აფსიდში, სახელდობრ მის შუა რეგისტრში, გამოსახული ყოფილან ეკლესიის მამები — მღვდელთმთავრები (რვა ფიგურა): გრიგოლ ნოსელი, პეტრე ალექსანდრიელი, ბასილი კესარიელი, გრიგოლ ნაზიანზელი (ღმრთისმეტყველი), იოვანე ოქროპირი, იაკობი ძმა უფლისა, ნიკოლოზ მირონლუკიელი და

„ხალალოპრე“ (ასე კითხულობს ავტორი). თითოეულ მღვდელთმთავარს გამლილი გრაგნილი უჭირავს ზეღმწილი ავტორს საჭიროდ უცვნია თავის მონოგრაფიაში შეეტანა თითოეული წარწერა, მაგრამ, სამწუხაროდ, შეცდომებისაგან დაზღვეული ვერ აღმოჩნდა:

I. გრიგოლ ნოსელის გრაგნილის წარწერაზე იგი შენიშნავს — „ტექსტი ძალიან დაზიანებულია“ (გვ. 35) და მოჰყავს ცალკეული მარცვლები, რომელთა ამოკითხვაც მოუხერხებია:

ღიკ...ში

...თისამ

მე...

სა...

უმე...

ცო...ა

თა... საფ

მართოდენ ეს მარცვლები, რასაკვირველია, არ იძლევიან ტექსტის აღდგენის საშუალებას, მაგრამ ავტორს რომ შესაბამისი ფაქსიმილეც დაერთო წიგნისათვის, მაშინ არ იქნებოდა გამოტოვებული, რომ ეპიგრაფიკაში გაწაფულთათვის ტექსტი ადვილი ამოსაკითხი გამხდარიყო.

დანარჩენ მღვდელთმთავართა გრაგნილის წარწერები, როგორც ჩანს, უკეთესად იკითხებოდა. სწორადაა წაკითხული ცალკეული სიტყვები და მთელი სტრიქონები, მაგრამ შეცდომებიც იმდენია, რომ დასრულებული აზრის ამოკითხვა ჭირს.

ამის მიუხედავად მაინც ხერხდება როგორც არასწორი წაკითხვების გასწორება, ასევე თითოეული წარწერის ლიტერატურული წყაროს მოძიებაც.

II. პეტრე ალექსანდრიელის წარწერა წაკითხულია ასე (გვ. 35):

ღო: შნო:

ბისა: სი

მტკიცე

ვწუხო

მელ და

ღვ...ა...მ

იწწლომელ

შისა: წყ

უნდა გასწორდეს შემდეგნაირად:

ლო: ჩნო

რისა: სი

მტკიცე

გნჯზო

მელ: და

დბა: მ

ივწლომელ

რისა: წყ

ქარაგმების გახსნით გვექნება:

„ღმერთო ჩვენო, რომლისა სიმტკიცე განუზომელ და დიდებაჲ მიუწოდომელ, რომლისა წყ [ალობა აურაცხელ]“...

ესაა ლოცვა პირველი აღსავლისა. სრული ტექსტი იხ.: სამღვდლო კონდაკი, თბ., 1899 წ., გვ. რკბ.

III. წმ. ბასილის გრაგნილზე

ამოკითხულია:	უნდა იყოს ასე:
ქ. საღთოჲ	ქ: საღთოჲ
ვა... მისფი	ჟამისწი
რვი... ში	რვამ: წი
სა: ბასი	სა: ბასი
ლისი: და	ლისი: და
იკლვის	იკლვის:
ტარიგი	ტარიგი

ქარაგმების გახსნით გვექნება:

ქ. საღმრთოჲ ჟამისწირვამ წმიდისა ბასილისი: დაიკლვის ტარიგი [ღმრთისა]“...

აქ მოყვანილია ბასილი დიდის ჟამისწირვის ის სიტყვები, რომლებიც წარმოითქმის ტარიგის კვეთის („დაკლვის“) დროს (კონდაკი, გვ. რკ.).

IV. წმ. გრიგოლ ღმრთისმეტყველის გრაგნილზე ამოკითხულია:

ლო: შნო	უნდა იყოს ასე:
რნ: ზცისა	დაიკლვის: ტა
პური: საზ	რიგი: ღთისაჲ
რდელი	რე: მმლაჲ
ძესა: სფ	ამზუმელი:
ლისა: ივ	ოოდვამ
ქე: მოა	თა: ცხორე
ვლინე:	ზისათა:
მცბრდ:	სოფლის

როგორც ვხედავთ, აქ წარმოდგენი-

ლია წარწერის ცხრა სტრიქონი, გრაგნილზე კი აშკარად ჩანს ათი სტრიქონი (წიგნს ერთვის გრიგოლ ღმრთისმეტყველის ფრესკული გამოხატულების ფოტორეპროდუქცია). ეს სხვაობა გამოწვეულია იმით, რომ ავტორს გამორჩენია VI-VII სტრიქონების თითო სიტყვა (უი: ჩნი ე. ი. უფალი ჩუენი) და ამ სტრიქონების დანარჩენი ნაწილები გაუერთიანებია ერთ სტრიქონად (ლისა: ივ).

შეცდომების გასწორების შემდეგ გვექნება:

ოო: ღო: ჩნო
რნ: ზცისა
პური: საზ
რდელი
ყისა: სფ
ლისა: უი
ჩნი: ივ
ქე: მოა
ვლინე:
მცბრდ:

ქარაგმების გახსნით: „უფალო ღმერთო ჩუენო, რომელმან ზეცისა პური, საზრდელი ყოვლისა სოფლისაჲ, უფალი ჩუენი იესუ ქრისტე მოავლინე მაცხოვრად“...

ესაა ლოცვა წინადაგებისა (კონდაკი, გვ. რიდ-რიე).

V. იოვანე ოქროპირის გრაგნილზე

ამოკითხულია:	უნდა იყოს ასე:
და იკლვის ტა	დაიკლვის: ტა
რიგი: ღთისაჲ	რიგი: ღთისაჲ
ძე: მმლაჲ	რე: მმსაჲ
ამზუმელი:	ამზუმელი
ოოდვამ	ოოდვამ
თა: ცხორე	თა: ცხორე
ზისათა:	ზისათს:
სოფლის	სოფლის
ა:	ა:

ქარაგმის გახსნით: „დაიკლვის ტარიგი ღმრთისაჲ, ძე მამისაჲ, ამზუმელი ოოდვამათა [სოფლი-

სათა), ცხორებისათვის სოფლისა“ (კონდაკი, გვ. რე).

VI. წმ. იაკობის (ძმა უფლისა) გრაგნილზე

ამოკითხულია:	უნდა იყოს ასე:
მოიქსენ	მოიქსენ
ენო: შნი: ქე	ენ: ო: ყნი: ქე
ანენი: მა	ანენი: მა
რთელ...მა	რთალმა
დიდებელ	დიდებელ
ნი: მონანი	ნი: მონანი
შნი: და	შნი: და
გნოსოა...თ...	გნოსოენ
ე: მათ: ს	ე: მათ: ს
ა დიეი: მ	ადა: იგი: მ

ქარაგმების გახსნით:

„მოიქსენენ, უფალო, ყოველნი ქრისტეანენი მართალმადიდებელნი (!) მონანი შენნი, და განუსუენე მათ, სადა იგი მ [იხედავს ნათელი პირისა შენისა]“...

ესაა ფართოდ გავრცელებული ფორმულა მიცვალებულის მოხსენებისა, რომლის ერთ-ერთი პერიფრაზი მოცემულია იაკობ მოციქულის ეპისტოლეში (ქ. ქეკელიძე, ძველ-ქართული არქიერატონი, თბილისი, 1912, რუს. ენაზე, გვ. ნთ-მ).

VII. წმ. ნიკოლოზის გრაგნილზე

ამოკითხულია:	უნდა იყოს ასე:
ო ღთო შნო	ო: ღთო: ჩნო
აცხოვენ	აცხოვენ
ე: ერი: შნი:	ე: ერი: შნი:
და: აკხე: სა	და: აკხე: სა
მკიდრებ	მკვდრებ
ლი შნი: სა	ლი: შნი: სა
...დეკ	ესებაა: ეკ
ე... ისა	ლესიისა
შ...ა	შნისა

ქარაგმების გახსნით:

„უფალო ღმერთო ჩუენო, აცხოვენე ერი შენი და აკურთხე სამკვდრებელი შენი, სავსებაა ეკლესიისა შენისა [დაიცევე]“... (ლოცვა მეორე აღსავალისა;

იხ. კონდაკი, გვ. რედ; შდრ. ფს. 27,9).

VIII. მღვდელმთავრის სახელად „ხალაობრეს“ ამოკითხვა არასწორად (იხ. გვ. 37). ასეთი „ეკლესიის მამა“ არსად და არაა ცნობილი. თუ ზოგიერთი ასოს ამოკითხვას სწორად მივიჩნევთ, აქ შეიძლება ვივარაუდოთ ეპიფანე კვბრელი, ხარლამპი მღვდელმოწამე, ხარტონ აღმსარებელი ან სხვა რომელიმე მღვდელმთავარი, დაბეჯითებით კი ვერაფერს ვიტყვით წარწერის ადგილზე ნახვის გარეშე.

გრაგნილის წარწერა

ამოკითხულია:	უნდა იყოს ასე:
ზიართა	ზიართა
ამთ: და	ამთ: და
...რითქმ	:ერთქმ
ო...ათრ	ობითთ
ა... ლოც	ა: ლოც
ვათა...შნ	ვათა: ჩნ
და მომნა	და: მომნი
დევპლო	ქებელო

ქარაგმების გახსნით:

„ზიართა ამათ და ერთქმობითთა ლოცვათა ჩუენდა მომნიქებელო“ (ლოცვა მესამე აღსავალისა; იხ. კონდაკი, გვ. რკე).

როგორც ვხედავთ, საკურთხეველში გამოსახულ მღვდელმთავრებს ხელთ უბყრიათ საღმრთო მსახურების (ლიტურგიის) წესის ამსახველი გრაგნილები. უნდა ვიფიქროთ, რომ ლიტურგიიდან ამოღებული ტექსტი იკითხებოდა გრიგოლ ნოსელის გრაგნილზეც.

წ. იოველ წინასწარმეტყველის გრაგნილის წარწერა წაკითხულია ასე:

და მას...
 ღესა...
 სულისა გნ
 მემისა და
 წყევლებ...
 ვნიმეტ... (გვ. 52).

ამჟამად, რომ გრაგნილზე წერებულა ციტატა იოველის წინასწარმეტყველებიდან: „და იყოს, ამათსა შემდ-

გომად მიეფინო სულისაგან ჩემისა ყოველსა ზედა კორცსა და წინასწარ-მეტყულებადენ ძენი თქუენნი“... (იოველი 2,28). მაგრამ საგანგებო შესწავლის გარეშე ვერაფერს ვიტყვით სტრიქონთა რაოდენობასა და მათში სიტყვების განაწილებაზე.

7. ნაშრომის 51-62-ე გვერდებზე ავტორი აღწერს „წმ. მხედართა, წინასწარმეტყველთა და წმინდანთა“ გამოსახულებებს. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს „წმ. მხედრები“ და წინასწარმეტყველნი წმინდათა დასს არ მიეკუთვნებიან. გარდა ამისა, უმეტეს შემთხვევაში არაა დაზუსტებული წმინდათა ვინაობა. მაგალითად, როდესაც ავტორი აღწერს ერთ-ერთი წინასწარმეტყველის დაზიანებულ გამოსახულებას, შენიშნავს: „მთავარანგელოზების დიმიტრისა და მიქელისაგან განსხვავებით ეს ფიგურა მყარად ეყრდნობა ცალ ფეხს“... (გვ. 53).

დიმიტრი — ამ სახელის მქონე მთავარანგელოზი დღემდე ცნობილი არ ყოფილა. მაშ რომელი დიმიტრია გამოსახული წმ. საბას ტაძარში? ამ კითხვაზე ისევ გიორგი ხუციშვილის წიგნი გვცემს პასუხს. ავტორი აღნიშნავს, რომ წმ. დიმიტრის „მარჯვენაში... მხარზე გადებული სწორი მახვილი უქირავს; მარცხენაში კი მდიდრულად დეკორირებული ფარი. დიმიტრის წითელი და ყვითელი საღებავებით მოდელირებული, თქობებამდე ჩაშვებული ლითონის აბჯარი აცვია. მხრებზე მოხვეული მისი მოსასხამი მწვანე, ხოლო მაღალყელიანი ფეხსაცმელი წითელი ფერისა“ (გვ. 51).

ამჟამად, რომ ესაა ერთ-ერთი „წმ. მხედარი“, სახელდობრ წმ. მთავარმოწამე დიმიტრი (დემეტრე) თესალონიკელი (+305 წ.), ქართულ ენაზე შემონახულია მისი წამების როგორც კიმენური, ისე მეტაფრასული რედაქციები (თარგმანი ეფრემ მცირისა), ასევე „სასწაულნი დიმიტრისნი“ (თარგმანი ექვთიმე ათონელისა).

8. სამწუხაროდ, ავტორი არ იცნობს მართლმადიდებლური ეკლესიის ცნობილიკონს, რაც ზემოაღნიშნულის გარდა სხვაგანაც მუდგანდება: სიხარულითაჲ

გვ. 58-59-ზე აღწერილია სამი მედალიონი წარწერებით: „წმ ანდრონიკე“, „წმ პროხ“, „წმ ტრახოს“. პირველი სახელი უქარაგმოდაა მოცემული, მეორე სახელის ქარაგმის გახსნა არასწორია (პირის), მესამე ქარაგმის გახსნა კი ავტორს არც უცდია, რასაც ადასტურებს იქვე დასმული კითხვის ნიშანი.

ტრახოს, პროვოს და ანდრონიკე მოწამენი ცნობილი არიან არა მარტო საეკლესიო კალენდრიდან (ხსენების დღე 12 ოქტომბერი), არამედ ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდანაც. მათი წამების მეტაფრასული რედაქცია ძველთაგანვე უთარგმნიათ ქართულად და დაკულია რამდენიმე ხელნაწერში: ქუთ. 4, S 384, Jer. 37 (იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, 1957, 207).

გვ. 58-ზე აღწერილია კიდევ ერთი წმინდანის გამოსახულება, რომელსაც განმარტებითი წარწერა ახლავს. ავტორი წერს: „წარწერა კარგადაა შენახული და გარკვევით იკითხება. მითუმეტეს საკვირველია წმინდანის სახელის უღერადობა: აქვსმა?“.

ამის გარდა ავტორი ეხება სხვა რამე წმინდანის წარწერას: „იოსიფ“ და „აითალა“ (გვ. 54). თითოეულ მათგანსაც კითხვის ნიშანი აქვს მიწერილი, რაც ადასტურებს, რომ ამ სახელთა უღერადობაც ავტორის გაკვირვებას იწვევს.

საკვირველი კი არაფერია; წმ. მოწამენი აკებშიმა, იოსებ და აითალა (ხსენების დღე 3 ნოემბერი) კარგად არიან ცნობილი ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიაში. ქართულად არსებობს მათი წამების ამსახველი კიმენური და მეტაფრასული თხზულებანი (ხელნაწერები მითითებული აქვს კ. კეკელიძეს, იქვე, გვ. 119 და 159).

8. საქართველოში წმ. ევსტათე პლავკიდას პოპულარობის საჩვენებლად ავტორი ასახელებს წმინდანის რამდენიმე გამოსახულებას. ბოლოს იმოწმებს

ნ. კონდაკოვს და აღნიშნავს: „გარდა ამისა, წმ. ევსტატე პლაკიდას ტაძარი არსებობდა ივერის მახლობლად ათონის მთაზე“ (გვ. 90).

ვეიქრობთ, უკეთესი დასტური წმ. ევსტატის პოპულარობისა ისაა, რომ საქართველოში დღესაც არსებობს მისი სახელობის ტაძარი. სოფელსაც, რომელშიც ეს ტაძარი დგას, ესტატ-წმიდარქმევია (ა. შანიძის დაკვირვებით), დღეს კი ეს სახელი ერთაწმინდითა შეცვლილი.

წმ. ევსტატის ცხოვრებასთან დაკავშირებით ავტორი სქოლიოში გვაწვდის ცნობას:

„ქართულ ენაზე არსებობდა ხელნაწერი წმ. ევსტატეს ცხოვრების აღწერით, რომელიც თეიმურაზ ბატონიშვილს ეკუთვნოდა. იხ. А. А. Цагарели. Сведения о памятниках грузинской письменности, т. I, вып. III, С. Петербург, 1894, გვ. 15, 160: „დ/წაშება წმიდათა დიდთა მოწამეთა: ევსტატი პლაკიდასი და ხანღეულთა მისთა, რომელიცა იყო დიდ მხედართ მძღვარნი (Sic) ტრაიანზე (Sic) რომის კეისრისა და იწამნეს ადრიაანე კეისრის მიერ; 1846 წ. თეიმურაზის გარდაცვალების შემდეგ მისი ბიბლიოთეკა იპს. ნიკოლოზ I ბრძანებით გადაეცა სააზიო მუზეუმს, თუმცა თეიმურაზმა იგი ქართველ საზოგადოებას უანდერძა. დღეისათვის ხელნაწერის ადგილსამყოფელი უცნობია“ (გვ. 89-90).

იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ქართულად აღარხად მოიპოვება წმ. ევსტატის წამება. ეს არასწორი აზრია. ქართულად შენახულია ამ თხზულების როგორც კომენტური, ისე მეტაფრასული რედაქცია, ამასთან, თითოეული მათგანი დაცულია რამდენიმე ხელნაწერში (კ. კიკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 125, 170). რითი მიიპყრო ავტორის ყურადღება მაინცდამაინც თეიმურაზ ბატონიშვილისეულმა ნუსხამ, ვერ ვიტყვი.

10. ავტორი უხვად სარგებლობს ლიტერატურით ქართულ, რუსულ, გერმანულ ენებზე. უცხოური წიგნებიდან ხანდახან უთარგმნელადაა გაცემული სახელები და ტერმინები, ხანაც თარგმანი არასწორია. მაგალითად, „არქისტრატივის“ (გვ. 88) ნაცვლად უნდა იყოს „მხედართმთავარი“ (ძველ ტექსტებში გვაქვს აგრეთვე „მთავარი მხედრობათა“, „მხედრობათა მთავარანგელოზი“); „სან-დენიზის“ (გვ. 93) ნაცვლად — „წმ. დიონისე“; „იოანე ქრიზოსტომის“ (გვ. 96) ნაცვლად — იოანე ოქროპირი (მეორეგან, გვ. 36-ზე ეს სახელი ქართული ფორმითაა მოცემული. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ეს ორი სხვადასხვა პირია); „ისო ნაველის“ (გვ. 52, 88, 117) ნაცვლად — „ისო ნავესი“ (ანუ „ისო ნავეს ძე“).

უცხოური წიგნების გავლენის კვალი არის აგრეთვე ტერმინი „საოცრება“ (გვ. 62); „ქრისტეს მიერ მოხდენილი საოცრებანი“ ცუდი თარგმანია, უნდა იყოს „ქრისტეს სასწაულები“.

ამ სასწაულთა შორის დასახელებულია „წყალმანკიერის განკურნება“ და „შეშლილის განკურნება“ (გვ. 62, 82). სახარებაში არაფერია ნათქვამი „წყალმანკიერის“ შესახებ (სამაგიეროდ, არის განრღვეულის, კერთოვანისა და სხვათა განკურნება. ფრესკულ წარწერაში სვლით მანკიერი წერია, თუ ვენდობით ავტორისეულ წაკითხვას, და არა წყალმანკიერი; იხ. გვ. 62), „შეშლილის“ ნაცვლად კი სახარება ეშმაკთა „ლეგონით“ შეპყრობილს იცნობს.

11. ზაქარია ვალაშკერტელის სვინაქსარის მინიატურებს ავტორი, როგორც ჩანს, მხოლოდ თ. ვირსალაძის შრომიდან იცნობს (თუმცა იგი წიგნის 115-ე გვერდზე აღნიშნავს: „...ასეთნაირად დაწერილ მთებს ვხედავთ ზაქარია ვალაშკერტელის სვინაქსარის ზოგიერთ მინიატურაზე“-ო). სხვანაირად აუხსენებია ამ სვინაქსარის ადგილსამყოფელის უცოდინრობა.

როდესაც თ. ვირსალაძის შრომა იწე-
რებოდა (გამოქვეყნდა „ქართულ ხე-
ლოვნებაში“, 4, თბ., 1955), აღნიშნუ-
ლი სვინაქსარი საქართველოს სახელმ-
წიფო მუზეუმში იყო დაცული სხვა
ხელნაწერებთან ერთად. მას შემდეგ კი,
რაც ხელნაწერთა ინსტიტუტი დაარს-
და (1958 წ.), მუზეუმის ხელნაწერთა
ფონდმა მთლიანად ამ ინსტიტუტში გად-
მოინაცვლა და ამიერიდან ზაქარია
ვალაშკერტელის სვინაქსარის ადგილ-
სამყოფელადაც საქართველოს სახელ-
მწიფო მუზეუმში კი აღარ უნდა დავასა-

ხელოთ, როგორც ამას ჩვენი ავტორი
სჩადის (გვ. 115), არამედ ხელნაწერთა
ინსტიტუტი.

ეპოქის
ბიბლიოთეკა

აი, ყველა ის შენიშვნა რაც გ. ხუ-
ციშვილის მონოგრაფიის შესახებ გვინ-
დოდა გამოგვეთქვა. საყურნალო წერი-
ლის მოცულობის შეზღუდვის მიზნით
ჩვენ არაფერი გვითქვამს ნაშრომის პო-
ზიტიური მხარეების შესახებ, რაც მას
უდავოდ გააჩნია. მიუდგომელი რეცენ-
ზენტები, იმედია, ამას თაობაზეც იტყ-
ვიან თავიანთ კომპეტენტურ სიტყვას.



უცხოური მწერლობა

ვლადიმერ კობტაპა

გართალია თუ არა, რომ „სულაზი არასოდეს გადაუწედა“

„როდესაც ფილოსოფოსები რაიმე სიტყვას ხმარობენ — „ცოდნა“, „ყოფნა“, „საგანი“, „შე“, „წინადადება“, „სახელი“, — და საგნის არსის წვდომას ლამობენ, აღაშინება ყოველთვის უნდა იკითხოს: სალაპარაკო ენაში, რომელიც მისი დედა-სამშობლოა, ნამდვილად ასე იხმარება ეს სიტყვა?“

ლუდვიგ ვიტგენშტაინი
(„ფილოსოფიური გამოკვლევები“,
ნაწილი 1, § 114)

ლიონ ფოიბტანგერის რომანში „მძები ლუტენჯაები“ არის რამდენიმე გვერდი, რომელთა აუცილებლობაც მხოლოდ სიუჟეტური გამართობის მიზნით შეიძლება დასახსნელია. შერეო მზრვი, როგორც მარტივი კრიტიკული გაანგარიშება გვიჩვენებს, მწერალი ვერ გაეცნობოდა ლუდვიგ ვიტგენშტაინის იმ ნაწარმოებებს, რომელთაგანაც ლინგვისტური ფილოსოფია იღებს სათავეს. ამ ნაწარმოებთა გამოქვეყნება 1958 წელს, ფილოსოფოსის ნიკედილთან ა. წლის შემდეგ დაიწყო. შევეცდებით, ქვემოთ გავცეთ მასუნი კითხვას, თუ რატომ დადგა ამ ორი ფაქტის ერთმანეთთან დაკავშირების საკითხი.

ფოიბტანგერის რომანის მოაზარი გმირი ნათელმზილველი ოსკარ ლუტენჯაია. ბუნებისაგან უხვად დაჯილდოებულ მრავალ ადამიანთა მსგავსად, პრაქტიკულ-ყოფითი საკითხებს გადაწყვეტისას იგი ყოველთვის ვერ ახერხებს იმოქმედოს თავისი ტალანტით შემოსაზღვრული სფეროს იქით, რადგან ეს საკითხები მოვლენათა ფიზიკურ, უემოციურ შეფასებას მოითხოვენ.

რომანის ის ნაწილები, რომელიც ჩვენი ინტერესს უშუალო საგანია, ოსკარ ლუტენჯაის ერთმანეთზე მიყვებულ დიდი წარმატებებისაგან თავბრუსხვევის პერიოდს ეხება — მდგომარეობას, რომელიც ხშირად შემოქმედებითი ენერგიით დაქილდობულ ინდივიდუუმებს არაკონფორმისტულ ქცევათა და მტკიცებათა აფიშირებისაგან უზიარებს.

ფოიბტანგერი წერს: „ოსკარმა სტატია დაწერა ბედნიერების შესახებ თურნალ „ვერმანის ვარსკვლავისათვის“ (მოქმედებს დრო 1988 წლის დასაწყისი — ვ. კ.). ბედნიერება, — ამტკიცებდა იგი, — არ არის განპირობებული გარემოთა და ანტიკურ ტიპთა შორის: გერმანელი მამაკაცი, მას ბედის არ ეწინაა, იგი ცნობს მხოლოდ ერთ ღმერთს — ამ ღმერთს, რომელიც თვით მის გულში ცხოვრობს, ცნობს მხოლოდ ერთ რწმენას — რწმენას საკუთარი თავისა, საკუთარი ძალისა, საკუთარი ვარსკვლავისა.

იგი მღეროდა გამარჯვების ამ პირქულ, კადნიერ სიმღერას თავს საკუთარი ძლიერების მწვერვალზე გრძობდა. ეს ახალი ოსკარ ლუტენჯაი იყო; დავიწყებას მიეცა ის ოსკარი, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ — ცაზე ისევ ეს მთვარი იყო — ცდილობდა ლუდვიგ ჩაებრა თავისი შერცხველა და გაოტრება“.

თავისებურ მოზიციას ლუტენჯაისთან ნაციონალ-სოციალისტური პარტიის მსხვილი წევრები — ფუნქციონერი მანფრედ პაროტი ქმნის, რომელიც, მწერლის ვერსიით, 1988

წლის თებერვალში რაინსტაინს დაწვას ხელ-
მძღვანელობდა. ჩვენ არ ვიცით, იყო თუ არა
პროლეტარული პირი (ჰინდენბურგის,
მეტლერის და რომანის ბევრი სხვა პერსონაჟის
შეგავსად). ჩვენთვის მნიშვნელოვან აქვს ადა-
მიანის სასიცოცხლო გარემოსთან მიმართებათა
განსხვავებას, რომელიც ზორის ისხამს ორ სუ-
ბიექტში, ფსიქიკის სხვადასხვანაირ (გარკვეული
აზროთი ოპოზიციურ) სტრუქტურებში.

პროლეტარული პიროვნების ძირითადი ქარაქტერ-
ოლოგიური პარამეტრები ვეგეტირებთან, რო-
გორც რეალობის პრინციპის (ამ ცნების ფსი-
ქოანალიზურ პარაქტიკაში არსებული გაგებით,
რომლის დამკვიდრებაც ზვიგუნდ ფროიდის
დამსახურებად უნდა ჩაითვალოს) სრული ბა-
ტონობა.

ცხადია, ფობიკანგერის სიმპათიები არ არის
პროლეტარული მხარეზე, თუნდაც იმიტომ, რომ მან
ცხოვრებაში ნახა ნაციონალ-სოციალისტური
ანტისემიტობა. თუმცა მისთვის დამახასიათე-
ბელი მიწერული მანერით იგი ფაშისტთა ლი-
დერების უტილიტარისტულ „ლიტერატურაში“
გვიხატავს, რომლებმაც სულ მცირე ხანში უო-
ველგეპარი პროტესტის ჩახშობა მოახერხეს გერ-
მანიაში. ამასთან, თვალნათლივ აჩვენებს, რომ
ადამიანს შეუძლია იშვიათი მონადეახსოვნო-
ბა და ენერჯის გამოჩენა ახლომდებარე
განუხორციელებელი იდეის სარეალიზაციოდ.
ასეთ ფსიქოლოგიურ ფონზე წამოიჭრება კითხ-
ვა, რომელიც ჩვენი ინტერესის უშუალო საგანს
წარმოადგენს; სახელდობრ, თუ როგორია იმ
ენობრივ თამაშში ფსიქიკური და ლინგვის-
ტური ბუნება, რომლებიც ჩვეულებრივი სალა-
პარაკო ენით ნებადართული სიტყვათხმარების
წესებს არღვევენ. ამოცანის ამგვარ დასმას გა-
ნაპირობებს საყოველთაოდ გავრავლებული აზ-
რი იმის შესახებ, რომ ადამიანის სულიერი სამ-
ყაროს ზუსტი და უღრმესი შესაბამისობა აქვს
მისსავე მეტაფიზიკის მოდელიანს, ჩვეულებ-
რივ სტილს რომ ვუწოდებთ ხოლმე. ადამიანის
მეტაფიზიკა მისი ბუნების საუკეთესო სახეობა.
სრულად განაგებია და ამიტომ ზედმეტ მხე-
ლობას არ მოითხოვს იმის ტექნიკაში, თუ რო-
გორ იწარმოება ამ აზრის ძალა, როცა მხატვრულ
წარმოდგენებში ვგაქვს საქმე, ე. ი. როდესაც
მწერალი ბამბინუნულად ამეტაფიზიკის თავის
პერსონაჟს. დასმულ კითხვაზე ამომწურავი

პასუხის გაცემის პრეტენზია არა გვაქვს, მა-
რამ შევეცდებით ვაჩვენოთ ერთი გზა, რომე-
ლიც ამოცანის გარკვეული კუთხით გადაჭრად
მიგვიყვანდა.

ლაუტენზაიხისა და პროლეტარული უპირისპირე-
ბით დასახასიათებლად შეიძლება გამოდგეს
კ. გ. იუნგის მიერ ფსიქოლოგიაში შემოტანი-
ლი ოპოზიციები — „ინტერაქტივიზმი“ — „ინტერაქტი-
ვიზმი“. ფილოსოფიის ცნებით ამარატივი კი აღ-
ნიშნული პოლარობა უნდა აღვადგინოთ გამო-
იხატება ოპოზიციები — „შემოქმედება“ — „სა-
მის კაცობა“, რომლის პირველი წევრისათვის
სახაზდრო იდეა გენიალურობა და ადამი-
ანთა სულელობა „ექსპანსია“, მაშინ როდესაც
მეორე წევრისათვის სახაზდრო იდეას ძა-
ლაუტენზაიხის სისრულე წარმოადგენს.

მაშასადამე, ჩვენი შედეგებითი ინტერესის
საგანი ორი სუბიექტია. დიდების წინაშე მყოფი,
წარმატებებით გამოწვეული სიხარულისა-
გან საქმად ეგზალტირებული ნათელმზობილი
და რთული პარაქტიკული ამოცანით სავსე მხელს
ჩავარდნილი ნაციონალ-სოციალისტური პარ-
ტიის ერთ-ერთი ლიდერი — „სამის კაცობა“.
უზრუნველდით რა შემოთავაზებ, ვიმეორებთ,
რომ ჩვენ გვიანტერესებს კონკრეტული ენობ-
რივი თამაშები, რომლებშიც მონაწილეობს
სიტყვა „ბედნიერება“ და ფსიქიკურ სტრუქ-
ტურათა არაერთგვაროვნება, რომელსაც ესატ-
ყვებიან გარკვეული ტიპის სამეტაფიზიკო სპეუ-
ლაციათა ენობრივ-სემანტიკური ფუნქციონე-
რება. საილუსტრაციოდ წარმოვიტანოთ ავილით ისე-
თი მონაწილეთი, რომელიც ირინად, თუ შეიძ-
ლება ითქვას, ენობრივად, უშუალო ეთიკური
შეფასების გარეშე, თითქმის განუცნებლად ახა-
სიათებს პერსონაჟს: „მაგიდაზე დახვებულნი
უზრუნ-გაზეთების გროვიდან პროლეტარული
პირ-
ველივე ნომერი აიღო და ხელში შერჩა „ბერ-
მანის ვარსკვლავი“... მან სათაურებს გადავ-
ლს თვალს. ოსკარ ლაუტენზაიხი — „ბედნიე-
რების არსის შესახებ“. კეთილი, ვნახა, რა-
შეა არის. „ბედნიერება — თვისებაა... მე ვამ-
ბედობა მჭამს, რომელიც, ძველთა აზრით...“
მაი, მაი, რომ არა იქნებ ძველთა სხვა აზრითა
მართალი: სულელები არანდროს არ გადაშენ-
დებიან... ბედნიერება — თვისებაა, ცუდად არ
შლარს. მაგრამ თუ კარგად დაუფიქრებთ —
მხოლოდ და მხოლოდ ღრმავარგვანი ლაუტენზაი-
ხის სულიერის რწმუნება“.

ფაშისტური პარტიის ბოხი, ბუნებრივია, არ
შეუდგა სიტყვა „ბედნიერების“ შემცველი
რთული ენობრივი თამაშების ანალიზს. მართკ
არისტოტელისტთან ვხვდებით ამ ტერმინის 10
ინტერპრეტაციას, თუ სათვალავში მივიღებთ
როგორც სპეკულატურს, ასევე საყოველთაო-
რეობა, პარადიგმულ სმარებებს („ნიკომახის
ეთიკა“). პროლეტარული (ან მისმა შემქმნელმა ლი-
ონ ფობიკანგერმა), მისდაუნებურად, ერთ
კერძო შემთხვევაში მიმართა იმ პროლეტარულს,

1 ცნება „ენობრივი თამაში“ ვიტგენშტაინის
მიერ ფილოსოფიაში შემოტანილი ტერმინია.
ფილოსოფოსს ამ ტერმინის მხოლოდ დესკრიპ-
ციულ განმარტებას იძლევა, რომელიც სიტყ-
ვითა და წინადადებათა ტიპების (ფართო აზრით
ენაში ხმარებულ სიმბოლოთა) მრავალგვარობას
გვიჩვენებს. „ამ ცნებამ, — წერს ვიტგენშტაი-
ნი, — უნდა... წარმოაჩინოს, რომ მეტაფიზიკა
მოქმედდება... სასიცოცხლო ფორმად“ („ფილო-
სოფიური გამოკვლევები“, ნაწ. I, § 23).

რომლისკენაც მოგვიბრუნებს ვიტგენშტაინი თავის „ფილოსოფიურ გამოკვლევებში“ და მის შემდეგ მოჰყავთა მიერ გამოყოფილ სხვა ნაწარმოებებშიც. სახელდობრ: „ჩვენ უკან ვუბრუნებთ სიტყვას მისი შეტაფიზაჟისი ხმაურბიდან ყოველდღიურ ხმარებას“. საქმის კაცს მაშინვე თვალში მოხვდა ლაუტენშაესის მოცემული „ბედნიერების“ ცნების დეფინიციის ნაძალადევი ხასიათი. პართლაჲ, რაგინდ დიდი იყოს ადამიანის დამოუკიდებლობის ხარისხი გარე სამყაროსაგან, ტერმინის „ბედნიერება“ გამოუნება, ყველა შემთხვევაში, დაკავშირებულია საგანთა და მოვლენათა განსაკუთრებულ კონსტელაციასთან.

ფიქრობთ, ამ დებულებით არ დავიარღვევთ ის მოთხოვნა, რომელსაც ვიტგენშტაინი უყენებდა ფილოსოფიურ სიტყვათხმარებას და რომელიც განსაკუთრებულია ხამჭვეთრის „ოქანური მხავეების“ „კანონში“ გამოიხატა. ამ „კანონის“ მრავალრიცხოვან ილუსტრაციებს მივყავართ დასკვნამდე, რომ სიტყვათა უმრავლესობის სხვადასხვა ტიპის წინადადებებში ხემანტიკურად სრულიად დაშვებული გამოყენებები გრძელ მწკრივს ქმნის, რომლიდანაც ამოღებულ ორ წევრს, მიუხედავად ომონიამისა, შეიძლება არც ერთი საერთო ელემენტი არ ჰქონდეს (რომ აღარაფერი ვთქვათ იმ შემთხვევებზე, როცა საერთო ელემენტებთან ერთად, მაინც გვხვდება განსხვავებულ ელემენტთა საქმარისი რაოდენობა, რომელიც სიტყვის ერთი დეფინიციით ამოწურვას შეუძლებელს ხდის). ჩვენს მიერ სიტყვა „ბედნიერების“ კორექტული ხმარებების კრიტერიუმი იმდენად ზოგადია, რომ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დეფინიციად ჩაითვალოს. იგი სიტყვა „ბედნიერების“ გამოყენების მხოლოდ კონტექსტს, რეალურ ანთროპოლოგიურ ველს მიუთითებს, რომელშიაც ის ხორცს იხსნამს. ამ კონტექსტისათვის თვალის წედამიერი უფრო ვადგენებითაც კი ცხადი ხდება, რომ უმრავლეს შემთხვევაში, წინადადებები, რომლებშიაც სიტყვა „ბედნიერება“ მონაწილეობს, გულისხმობენ ორ ვექტორს: გრძნობელობის სუბიექტურ უნარს და გარკვეულ ცვლადებს გარე სამყაროში. შეიძლება ამ ორი მომენტის კორელატურობის მტკიცებაც. დებულება —

დელი ტრადიციის მიხედვით, ცნებას „ბედნიერება“ ფილოსოფიის სინონიმად ხმარობს. „ბედნიერება მონაგანი თვისებაა“ არღვევს სიტყვა „ბედნიერების“ სემანტიკის მარტივ ტულიზაციის შესაძლებლობებს.

ცნობილია, ორთოდოქსული ფსიქოანალიზის პროცედურები ხაკამოდ მაღალ მოთხოვნებს უყენებს პაციენტის ინტელექტს. სტატიებში, რომლებიც ფსიქოანალიზის მეთოდისა და ტექნიკას ეხებათ, ფსიქოანალიზის ფუძემდებელი სრულიად გარკვევით მიუთითებდა თავის მოწაფეებს, რომ პაციენტთან მუშაობის დაწყებას, წინ მისი ინტელექტუალური და ეთიკური პარამეტრების შეკერი შემოწმება უნდა უძღვოდეს — პაციენტი ამ მხრივ ღირებულ პიროვნებას უნდა წარმოადგენდეს. და აი, სწორედ ეს ინტელექტით გამოჩენული პარონებები, როგორც კი ფსიქოანალიტიკოსის მიერ რეკონსტრუირებულ დავიწყებულ შინაარსების მიღებაზე მიდგება ხოლმე საქმე, როგორც თავად ფროიდი აღნიშნავდა, — ისეო დამატებულ არგუმენტაციან ბუკავენ თვალს, რომ კაცმა შეიძლება იფიქროს, აფექტურ კუთხუხუხობისათან შაქვს საქმეო. ამ ანალიტიკის საფუძველზე გვინდა მხარება წამოვყავთთ: სიტყვათხმარების ხემანტიკური წიხების დარღვევა, რომელიც მაშინვე გარკვეულ დისკომფორტს აღძრავს მკითხველის ან მხმენელის ფსიქიკაში, ფსიქოლოგიური თავდაცვის მტკიცებით უნდა იყოს გაანსობებული. შემთხვევითი არ უნდა იყოს ის ფაქტიც, რომ ვიტგენშტაინი თავის მეთოდს „თერაპიულს“ უწოდებდა.

მარქსისტულმა მეცნიერებამ (როგორც ჩვენში, ასევე საზღვარგარეთ) ჭიროვნად შეაფასა ლინგვისტური ფილოსოფიის ფუძემდებლისა და მის მოწაფეთა მიერ შემუშავებული, არახწორად დახმულ კითხვათა ანალიზის ტექნიკა. ამავე დროს, დასაბუთებულ იქნა, რომ იგი ვერ იტვირთებს მეცნიერული მსოფლმხედველობის ფუნქციებს. ჩვენ დავრჩენთ მხოლოდ ის დავუშავთ, რომ სიტყვათხმარების წიხების დარღვევიანკენ მიდრეკილება დახმული საკითხების გარკვევისათვის დაწვრცლებით უნდა იქნეს აღწერილი ეპისტემოლოგიურ და ფსიქოლოგიურ ტერმინებში.

როგორც ითქვა, სავარაუდოა, რომ განხილული მოვლენის საფუძველი ფსიქიკის ღრმა ფენებშია ჩამალული. მათი გამოკვლევის გარეშე, არახწორად დახმული ფილოსოფიური კითხვების „გაოქმევის“ ყველაზე უფრო სრულყოფილი ტექნიკა კი, თუნდაც დღეღამე ვიტგენშტაინის ტალანტით დადახმული, ვერ მიადრევს თავის თერაპიულ მიზნებს და გარდუვალად პალიატივად იქცევა.

1. ვიტგენშტაინი, როგორც ბიოგრაფები, პირველ რიგში კი გ. ჰ. ფონ ფრაიტი, აღნიშნავენ, დიდ ინტერესს არ იჩენდა ფილოსოფიის ისტორიისადმი და უფრო მის მიერ გამოჩენული ფილოსოფოსების ნაწარმოებთა კითხვით იყო დაკავებული, ვიდრე ფილოსოფიის ისტორიის სისტემატური შესწავლა; ამიტომ არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ იგი, დასავლეთის ფილოსოფიაში არსებული მარქსა-

ზახტანგ გვილაძე

„არის ლეონტი მროველი
ქართულთა კერძობა?“

„ქართლის ცხოვრების“ პირველი მატიაია, ე. წ. „მეფეთა ცხოვრების“, დაწერის დროისა და მისი ავტორის (ან ავტორთა) ვინაობის შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში ვერა და ვერა ჩამოყალიბდა ერთიანი თვალსაზრისი.

„ქართლის ცხოვრების“, როგორც გვიანდელი შენათხზისა და მისი ცნობების არარეალურობის შესახებ ო. სენაოესკის, ვ. ლანგლუის, კ. პატკაიოვის, ვ. ბოლოტოვისა და სხვათა გამოსვლის შემდეგ, ივანე ჭავჭავაძემ დაქვეყნებული ცნობების საისტორიო წყაროთა ნიშნით „დინერგა მომეტებულად კრიტიკული მიდგომა“. მანვე დაადგინა (მეტწილად პირთბითაუ) „ქართლის ცხოვრებაში“ გაერთიანებულ ცალკეულ თხზულებათა მოცულობა, სათაურები, დაწერის დრო და ავტორთა ვინაობა. ცნობილმა მეცნიერმა „მეფეთა ცხოვრების“ ავტორად XI საუკუნეში მოღვაწე ლეონტი მროველი მიიჩნია, ხოლო „ვახტანგ გორგასლის“ ცხოვრების ავტორთა ასევე XI საუკუნის მოღვაწის ჭუანშერის სახელს დაუკავშირა (ასეთივე თვალსაზრისი ჰქონდა გამოთქმული ს. კაკაბაძის 1912 წელს გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში). ასე მოხდა შემდეგ ამ თხზულებათა პუბლიკაცია „ქართლის ცხოვრების“ კრებულში.

ივანე ჭავჭავაძის მოსაზრებანი იმოვიფივე არ გაიზიარა კორნელი კეკელიძემ. „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“, — წერდა იგი 1923 წელს, — არის განუყოფელი ნაწილი ევრეთწოდებულის მეფეთა ცხოვრებისა. ის დაწერილია არა ჭუანშერის, არამედ ლეონტი მროველის მიერ“. 1929 წელს, ქართული მწერლობის 1500 და ქართული სტამბის 300 წლისთავისადმი მიძღვნილ წერილში „ქართული კულტურის ორი დღესასწაული“ კ. კეკელიძემ კვლავ სცადა საკუთარ მოსაზრებათა დასაბუთება.

მიუხედავად იმისა, რომ „ქართლის ცხოვრების“ პირველი მატიაიეების ავტორების შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში ივ. ჭავჭავაძის თვალსაზრისი გაზიარებული, ქართველ ისტორიკოსთა შორის კ. კეკელიძის მოსაზრებას არაერთი მიმდევარი გამოუჩნდა. „საშუაზაროდ, — წერდა 1968 წელს ა. ბოგვერაძე, — კ. კეკელიძის საგსებრი სწორმა შეხედულებამ ჩვენს წყაროთმცოდნეობაში ვერ მოიკიდა ფეხი“. ამის შემდეგ მან თვით სცადა კ. კეკელიძის მოსაზრებათა გაყარება. თუ კ. კეკელიძე ლეონტი მროველს თვლიდა „უძველესი დროიდან ქრისტეს შემდეგ შექმნილ საუკუნის ოცდაათიან წლებამდე“, „ქართლის ცხოვრებაში“ გაღმეცემული საქართველოს ისტორიის ავტორად, ა. ბოგვერაძემ ლეონტის მიაკუთვნა საქართველოს ისტორიის აღწერა „დასაბამიდან ვიდრე VIII ს. ბოლომდე“ (ა. ბოგვერაძის თვალსაზრისი გაიზიარა გ. ალასანიამ). ხოლო 1987 წელს იურნალ „მაცნეში“ (ისტორიის სერია № 2) გამოქვეყნებულ ვრცელ გამოკვლევაში გ. არახაშია ამტკიცებს, რომ ლეონტი ავტორია „ქართლის ცხოვრების“ ტექსტის იმ მონაკვეთისა, სადაც გაღმეცემულია ამბები უჩველესი დროიდან ანოტ კუროპალატის (IX ს.) გამეფების შესახებ ცნობების ჩათვლით.

დასაბუთებულ ავტორებს ლეონტი მროველი „მეფეთა ცხოვრებისა“ და „ვახტანგ გორგასლის ცხოვრების“ ავტორად მიიჩნიათ და ცდილობენ უიარყონ „ქართლის ცხოვრებაში“ არსებული მეტად მნიშვნელოვანი ცნობა, რომლის თანახმად ვახტანგ გორგასლის წინადროინდელი ისტორია „ჟამითი-ჟამად“ აღიწერებოდა.

ასე რომ, ქართული მეცნიერული აზრის კორიფეების ივ. ჭავჭავაძისა და კ. კეკელიძის შემომოტანილი თვალსაზრისიდან, გამომ-

დინარე ლეონტი მროველი XI ს-ში შექმნა საქართველოს უძველესი ხანის ისტორიის ამსახველი თხზულება — იგივე ქართველი პირველი ისტორიკოსი. „ლეონტი მროველი არის ქართული ისტორიოგრაფიის ჰეროდოტე“ — წერდა 1962 წელს ს. ყაუხჩიშვილი.

რადგან „ქართლის ცხოვრებაში“ შესული, საქართველოს უძველესი ისტორიის ამსახველი თხზულებას „მეფეთა ცხოვრების“ ავტორად XI ს-ის მოღვაწე ლეონტი მროველი გამოცხადდა, თავისთავად ცხადია, რომ მის მიერ დაწერილი ნაწარმოების ისტორიული რეალობაც ეპეოს ქვეშ იქნა დაყენებული.

„რა წყაროებით სარგებლობდა ლეონტი მროველი, როდესაც იგი ფარნავაზის ცხოვრებასა და მოღვაწეობას გვიხატავდა, არა ჩანს, მაგრამ ეს კი ცხადია, რომ მის ცნობებს ისტორიისათვის არაფერია მნიშვნელობა არა აქვს“, — წერდა ივ. ჯავახიშვილი. მანვე „მეფეთა ცხოვრებაში“ არსებული ცნობა ფარნავაზის მიერ მწიგნობრობისა და ქართული ანბანის შექმნის შესახებ „ბევშვირი გულუბრყვილობის შედეგად“ მიჩნია. I ნ. ბერძენიშვილის თანახმად კი „ლეონტი მროველის მთელი „ნაწარმოები“ შექმნილია ხორენელის მიხედვით ქართულ ხალხურ გადმოცემათა ნიადაგზე... ლეონტი „იგივე ქართველი მოსე ხორენელია“.

ძველ ქართულ წყაროებში არსებული ცნობები: ფარნავაზმა „შექმნა მწიგნობრობა ქართული“, მირიანმა იწყა გამოძიება ქრისტეს სჯულისა „ძველთა და ახალთა წიგნებითან“, აღსრულების ეამს „იწყა სიტყვად წმინდამან ნინო“, ხოლო „იგინი (სალომე უჯარმელი და პეროქადარ სიგნელი — ვ. გ.) წერდეს“ — კ. კეკელიძემ ასე ახსნა: „ცნობა, ვითომც ფარნავაზმა „შექმნა მწიგნობრობა ქართული“, ეკუთვნის მე-XI საუკუნის ისტორიკოსს ლეონტი მროველს... სურათი ფარნავაზის დროის საქართველოსა, რომელიც დაუხატავს ლეონტი მროველს, უფრო ფანტაზიის ნაყოფია, ვიდრე ისტორიული სინამდვილისა. საექვო და ლეგენდარულია თვით ფარნავაზ მეფის არსებობა და პიროვნება“, მის „რეალურია პიროვნების თვისებები აკლია“ (აქ, კ. კეკელიძე იმორჩნება ივ. ჯავახიშვილსა და ნ. მარს. ნ. მარსა ჭერ კიდე 1901 წელს გამოცემულ ნაშრომში შეიტანა ეპეო ფარნავაზის პიროვნების რეალურობაში). რაც შეეხება „ძველსა და ახალს წიგ-“

ნებს“ და ნინოს ბიოგრაფიის ჩაწერას, კ. კეკელიძის თანახმად „პირველი ლეონტი მროველის ცნობა, იმდენ მხოლოდ ვმას ვგებულობთ, რომ აბიითარს, ურისა, ჰქონდა რელიგიური წიგნები (ალბათ ებრაული ბიბლია), ხოლო ნინოს ბიოგრაფიის ცნობების სიყალბე და ლეგენდარულობა... კერძოდ ნინოს თავგადისეულის ჩაწერის შესახებ, დიდხანია გამოკვლეულია, იმორჩნება რა ივანე ჯავახიშვილს, კ. კეკელიძე აცხენს: „ამნაირად ყოველივე ცდა დამტკიცებული იქნეს მწერლობის არსებობა საქართველოში ქრისტიანობის შემოღებამდე უშედეგოდ უნდა ჩაითვალოს“. „...ქართველებს არა თუ გავრისტიანებამდე, ამის შემდეგაც ნახევარი საუკუნის განმავლობაში, მეოთხე საუკუნეში, მწერლობა არ ჰქონიათ“. კ. კეკელიძის აზრით, V ს-ის II ნახევრიდან საქართველოში შექმნილი მდიდარი ავოგრაფიული (ორიგინალური თუ ნათარგმნი) მწერლობის ძეგლები, ქართველი ისტორიულ ცნობისმოყვარეობას აკმაყოფილებდა. მხოლოდ XI ს-ში ძლიერი ფეოდალური მონარქიის შექმნასთან ერთად გაჩნდა მოთხოვნა ერთგული მატიაზედა შექმნისა.

აღნიშნულთან ერთად, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ კ. კეკელიძე ქართული ანბანის შექმნას V ს-ის 20-იან წლებში ვარაუდობდა, თავისთავად ცხადია, ლეონტი მროველის თხზულებად მიჩნეულ ისტორიულ ნაწარმოებში როგორც ფარნავაზი, ისე შემდგომდროინდელი ქართლის ისტორია არარეალურად იქნება წარმოდგენილი.

იმის გარკვევას, „მეფეთა ცხოვრება“ ლეონტი მროველის მიერაა დაწერილი, თუ იგი თანადაშხვედრთა მიერ „ქამითი-ქამად“ იწერებოდა და ლეონტის ხელში მან მხოლოდ რედაქცია გაიარა, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქართული ეულტურის ისტორიისათვის. გარდა იმისა, რომ ფეოდალური საქართველოს ცივილიზაცია იდეურ-პოლიტიკურად, როგორც ნ. ბერძენიშვილი წერს. — „სამ „წმინდა წიგნს“ სახარებას, ვეუბნისტყაოსანსა და „ქართლის ცხოვრებას“ ეყრდნობოდა“, „მეფეთა ცხოვრების“ წინაქრისტიანულ ხანაში შექმნილად მიჩნევა ზომ უშუალოდ ქართული ანბანის წარმოშობის საიუბილეო დაკავშირებულია.

როგორც ზემოთ მითითებთ, ის მკვლევარები, რომლებიც „მეფეთა ცხოვრებასა“ და „ვახტანგ გორგასლის ცხოვრებას“ ლეონტი მროველის თხზულებად მიიჩნევენ, უპირველეს ყოვლისა იმ ცნობის უარყოფას ცდილობენ, რომლის თანახმად, ვახტანგ გორგასლის წინა ხანის ისტორია „ქამითი-ქამად“ სხვადასხვა ავტორის მიერ იწერებოდა. აღნიშნულ ცნობაში ვკითხულობთ: „...წიგნი ქართლის ცხოვრებისა ვიდრე ვახტანგისამდე აღწერილობდა ქამითი-ქამად. ხოლო ვახტანგ მეფისთგან ვიდრე აქამომდე აღწერა ჭუანჭერ ჭუანჭერისანმან,

ღარნავაზის ეპოქაზე ასეთი წარმოდგენის მიუხედავად, ქართული ანბანის პალეოგრაფიული ანალიზის საფუძველზე ივ. ჯავახიშვილმა ქართული ანბანის შექმნა ძვ. წ. VII ს-ში ივარაუდა. პ. ინგოროვცა ფიქრობდა, რომ ქართული ანბანი ხსნდა ჩამოყალიბებულიყო ძვ. წ. XI—VIII სს-ში, როცა ქართველი ხალხის ერთი ნაწილი თბილისი და მესხები მცირე აზიის ტერიტორიაზე მკვიდრობდნენ.

ქმისწულის ემბრამ წინდისა არჩილისამან, ნათესავმან რევისამან, მიოიანის ძისამან. მიერთიგან შემდგომთა მომავალთა ნათესავთა აღწერითა ეთიარცა იხილონ და წინამძღვარებმან აქმან უწყებად მისცეს გონებას მათსა ღმრთივ განბრძნობილსა“.

აღბათ, ზემომოტანილი ცნობაც ჰქონდა მხედველობაში თ. ქორდანის 1892 წელს, როცა „ქართლის ცხოვრებაში“ „არჩილის წამებამდე“ ხუთი ავტორის თხზულება ივარაუდა. 1924 წელს ს. კავთაძემ ლეონტი მროველი „ქართლის ცხოვრების“ რედაქტორად ჩაივალა, მაგრამ შემდეგ ეს მოსაზრება უარყო. ფარნავაზისა და ფარნავაზის ეპოქის შესახებ გამოჩენილ მეცნიერთა მოსაზრებანი შემდგომი თაობის მკვლევართათვის ძნელი გადასალახავი შეიქმნა. ივ. ჯავახიშვილისა და კ. კეკელიძის მოსაზრებებიდან გამომდინარე, თავისთავად ცხადია, ფარნავაზის მიერ „ქართული მწიგნობრობის შექმნაზე“ ლაპარაკი ზედმეტი იყო; მაგრამ ისტორიული მეცნიერება წინ მიდიოდა. ვარდა იმისა, რომ ძვ. წ. III—I და ახ. წ. I—VI საუკუნეების შესახებ უცხოენოვან წყაროებში გამოვლენილი იქნა ახალი ცნობები, საინტერესო მასალა მოგვცა მცხეთაში დაწყებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა. დღის წესრიგში დადგა ძველი ქართული წყაროებისადმი პიპერიტიკული დამოკიდებულების გადასინჯვა. 1941 წელს „მორტეგია ქართლისა“—ს ის ტექსტი, რომელიც ანტიკურ ხანის ეხება, პ. ინგოროყვამ „წარმართული ხანის ძეგლებიდან მომდინარედ“ მიიჩნია.

50-იანი წლებიდან ძველ ქართულ წყაროთა ცნობებისადმი, კერძოდ, ფარნავაზისა და მისი შემდგომი დროის საქართველოს ისტორიის შესახებ, ქართულ ისტორიოგრაფიაში ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენცია გამოავლენა (ეს ტენდენცია გარკვეულწილად დღესაც განაგრძობს არსებობას). მკვლევართა ნაწილმა „მეფეთა ცხოვრების“ ცნობების მიმართ შექმნილია გააოჩინა. გ. მელიქიშვილმა „მეფეთა ცხოვრების“ ცნობების ნიღარი არქეოლოგიურ, ეპიგრაფიკულ მასალასთან, ასევე ძველადმოსაკლურ და ბერძნულ-რომაულ წყაროთა მონაცემებთან შეკერების საფუძველზე ფარნავაზისა და მისი შემდგომი ხანის მეცნიერთულად გამართული შეფასება წარმოადგინა. მკვლევარმა მიუთითა, რომ „ქართლის ცხოვრების“ პირველი მატანისადმი ლეონტი მროველის ავტორობის საკითხი „სერიოზულ ეჭვს იწვევს“—თ. სამაგიეროდ კ. გრიგოლიამ ფარნავაზის დროინდელ ქართლში კვლავ „შეკარად გამონატული გვაროვნული წყობილება“ დაინახა.

საქართველოს ისტორიის ადრინდელი პერიოდის შესახებ პ. ინგოროყვასა და გ. მელიქიშვილის ნაშრომების გამოკვეყნების შედეგად საქართველოს წინაქრისტიანული ისტორიის

მიმართ ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული შემობრუნება მოხდა. წინაქრისტიანულ ხანაში ქართული საისტორიო მწერლობის არსებობის შესახებ აზრი გამოთქვეს გ. წერეთელი, მ. მამიაძე, ლორთქიფანიძემ, რ. ბარამიძემ, რ. შატრაძემ, ლ. სანიკიძემ, ივ. ლოლაშვილმა და სხვებმა; ზოგი მკვლევარი „მეფეთა ცხოვრების“ ცნობებს მიანიც უნდობლად ეკიდება და ფარნავაზისდროინდელი საქართველო კვლავ ტომობრივი წყობის საფეხურზე მდგომად მიიჩნია. ასე მაგალითად, 1986 წელს გამოცემულ ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მე-10 ტომში ფარნავაზი ქართლის ტომის ბაშლადის სამარა შამასხლისის ქმისშვილად არის გამოცხადებული.

თუ ფარნავაზს ტომის ბელადის ქედ მივჩინებთ, მაშინ ბართლოკ ყოვლად წარმოუდგენელია მის შექმნა „მწიგნობრობა ქართული“ ტომის ბელადის მიერ შექმნილ სახელმწიფოში წერა-კითხვის საქარება ვიდრე დადგებოდა, შეიდარვა საუკუნეს უნდა გავგლო მიანიც, ხოლო მისი საზოგადოება სანამ თავისი წარსულის აღწერით დაინტერესდებოდა, უფრო მეტი დროც გავიძლოდა (აღბათ, ასე ჰქონდა ეს პროცესი წარმოდგენილი კ. კეკელიძის).

ძველ ქართულ წყაროთა მიმართ ცალკეულ მკვლევართა სექტეკური დამოკიდებულების მიუხედავად, მკვლევართა დიდი ნაწილი, როგორც ითქვა, აღიარებს წინაქრისტიანულ ხანაში ქართული წარმართული საისტორიო მწერლობის არსებობას. ივ. ლოლაშვილის თანახმად, აპრიორულად უნდა დავაფიქსოთ, რომ IV ს-ში არსებობდა ქართლის მეფეთა სია. არც ერთი გვიანდელი ისტორიკოსი თავის თავს იმდენ უფლებას არ მისცემდა, რომ ზეპირად შეედგინა იმ მეფეთა სია, რომელიც სახელები და მოღვაწეობის დრო არ იცოდა. ეს რომ დავუშვათ, მაშინ წარმართული ხანის საქართველოს ისტორია ყალბად უნდა გამოვაცხადოთ. მართლაც, „მეფეთა ცხოვრებაში“ ფარნავაზიდან მოკიდებული მეფეთა ნათესაური კავშირების შესახებ თხრობა ისეთი კონკრეტული ხასიათისაა, რომ, როგორც გ. მელიქიშვილი წერს: „ძნელია დავუშვათ... მთელი ეს ჩვენებანი წმინდა წყლის შენახვა იყოს“. ასეთი ინფორმაციის შემცველი თხზულება ყოველად შეფუძლებულია XI ს-ში შექმნილიყო. ქართულ საისტორიო თხზულებებში, როგორც პ. ინგოროყვა ამტკიცებდა, უმკველია, წარმართული მწერლობის ფრაგმენტები ექსცერპტების სახითაა შემონახული. აღნიშნულით უნდა აიხსნას „მეფეთა ცხოვრების“ ზოგი ნაწილის „დღიო სიძველის ელფერი რომ დაკრავს“ (მ. ლორთქიფანიძე), უფრო მეტიც, რ. ბარამიძის თანახმად „ქართლის ცხოვრებაში“ გვხვდება აღრეულ საუკუნეებში შექმნილი მთლიანი ნაწარმოებები დასრულებული სახით.

რა თქმა უნდა, მარჯალნი არიან ის მკვლევრები, რომლებიც წინაქართლანული ქართული საისტორიო მწერლობის არსებობაზე მითითებენ. ფარნავაზის დროიდან მოკიდებული იმ ამბების ჩაწერა, რაც „მეფეთა ცხოვრებაში“ გვაქვს, იმავეთვე „ეპითიო-ეპამად“ თუ არ ხდებოდა, მაშინ საიდან გვაქვს ფარნავაზის დროიდან ქართლის ისტორიის ეს უწყვეტი თხრობა თითოეული მეფის მიღწეწიობისა და ნათესაობის, ზოგჯერ ზეობის წყალობა (იშვითად დღის) მითითებითაც კი? ქართული სახელმწიფოებრიობისა და, რაც მთავარია, წარმართული ხანის ქართული მწიგნობრობის ეს ნათელი დადასტურება? თუ არა ქართულად, მაშინ რომელ ენაზე, რომელი ანბანი ჩაიწერეს ქართლის სამეფოში მომხდარი ამბები შემატანებში, უპირველესად ამ კითხვას უნდა გავცეს პასუხი.

უნდა გამოვიცხოთ, რომ ასეთი ისტორიის შედგენა მაშინდელი ქართლის სახელმწიფოს რომელიმე მეზობელ ხალხს შეეძლო. როგორც ს. კაკაბაძე ფიქრობდა, უძველესი ქართული საისტორიო თხზულებანი მართლაც უცხო ენაზე რომ შექმნილიყო, ქართულ წერილობით საისტორიო ტრადიციას ამის შესახებ რაიმე მინიშნება მაინც შემოენახებოდა. ქართული კულტურისა და ქართული მწერლობის სათავეები რატომ უნდა ეკმით სხვაგან, როცა ზელთა გვაქვს უძველესი ქართული მატანეების კრებული „ქართლის ცხოვრებაში“ შეტანილი „მეფეთა ცხოვრების“ სახით? ე. ხინთიბის სამართლიანი მითითებით, ქართული ანბანი ქრისტიანობის გამარჯვების შემდეგ რომ შექმნილიყო, ეს ქართულ ქრისტიანულ ტრადიციას არ დაავიწყდებოდა. მაგრამ ამ მხრივ ძველი ქართული მწერლობა დუმს.

ქართული ანბანის წარმოშობის საკითხისადმი სპეციალურად მიძღვნილ მონოგრაფიასი რ. პატრიძემ იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ქართული ასომთავრული დამწერლობა შექმნილია ფინიკურ დამწერლობის საფუძველზე ძვ. წ. V ს. დასასრულს და ფარნავაზ მეფემ ეს დამწერლობა ზოგად-ქართულ სახელმწიფო დამწერლობად აქცია.

ამ ბოლო ხანებში შექმნილ გამოკვლევებში „მეფეთა ცხოვრების“ ადრე ზღაპრულად მიჩნეული არაერთი ცნობის რეალურობა დადასტურდა. ფეიქრობ, დასახელებული თხზულებისადმი ადრე წყაყენებული ბრალდება, თითქოს იგი „უადრესად ზღაპრულ-ლეგენდარული“ ხასიათისაა, გადაინიჭვას მოითხოვს. სათანადო სპეციალისტთა ზეღახალი მსჯელობის საგანი უნდა გახდეს ლეონტი მროველის „ქართლის ცხოვრების“ „მხოლოდ რედაქტორად“ მიჩნევის საკითხი. ეს საკითხი, როგორც ითქვა, ს. კაკაბაძემ ჭარ კიდევ 1924 წელს დააყენა. სათანადო მასალის გაანალიზების შემდეგ 1962 წელს შ. ბაღრიძემ მოითხოვა, — „ქართლის

ცხოვრების“ პირველი მატანეების ავტორად მიჩნეული ლეონტი მროველი რადგან მხოლოდ „გადამწერი“ ჩანს, „მეფეთა ცხოვრება“ „ანონიმურ თხზულებად“ გამოაცხადოს. იმავე წელს შ. ბაღრიძის ასეთი მოსაზრების წინააღმდეგ გამოვიდა ს. ყაუხჩიშვილი. „ლეონტი მროველი არის ქართული ისტორიოგრაფიის პეროდოტი, — წერდა იგი. — მისი ავტორობის საკითხი არ შეიძლება გახდეს ვანხილვის საგანი“. ს. ყაუხჩიშვილის ასეთმა მკაცრმა გამოცხადებამ ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრების“ ავტორობაში დაეჭვების საკითხი კვლავ მომავლის საქმედ გახადა. ამჟამად „ქართლის ცხოვრების“ მიმართ ასეთი მიდგომა შედარებით დამკვიდრდა. თითქმის ყველა მკვლევარმა, ვინც კი „მეფეთა ცხოვრების“ ცნობებს შეეხო, ამ თხზულებაში წინაქრისტიანული პლასტები დაინახა. თვით იგი, ვახუშტიშვილმაც კი, რომელიც „მეფეთა ცხოვრების“ „ქართული ერის უძველესი ისტორიისათვის სრულიად გამოუდგვარად“ თვლიდა, აღიარა, რომ ცნობა მამასახლისობის შესახებ ლეონტის „რომელიღაც ძველი, საუკეთესო ქართული საისტორიო წყაროდან უნდა ამოეღო“-თ. მისივე თქმით ლეონტის: „ქართული წარმართობის შესახებ რაღაც სანდო ცნობება“. ხოლო „საქართველოს სხვადასხვა თემისა და სამთავროს საზღვრებისათვის... უძველესი რაღაც ძველი ქართული წყაროები ჰქონია“. იგი, ვახუშტიშვილის ასეთი დასკვნა გასაგებდესა — ქართული ანბანის შექმნას იგი ხომ ძვ. წ. VII ს-ში ვარაუდობდა.

„მეფეთა ცხოვრების“ წყაროთა ძიებისას კ. კეკელიძემ დასკვნა: წარმართობის ხანის ქართლის ისტორიის შედგენისას „ლეონტის ხელთ ჰქონდა რაღაც ისტორიული ნაშრომი, რომელიც შეიცავდა ქართველთა წარმართობის ხანას“ და „მან მოლიანად გადამოწერა მუამზარეული უძველესი შრომა, რომელშიაც მეტანიკურად ჩააყრა სხვადასხვა წყაროებიდან ამოკითხული ეპიზოდება“.

1960 წელს კ. გრიგოლია წერდა: „მეფეთა ცხოვრების“ ცალკეული ნარკვევები ლეონტი მროველს რომელიღაც ძველი წყაროდან პირდაპირ აქვს ამოღებული“.

მართამ ლორჭავაძის სამართლიანი მითითებით „ნაკვიანვეი ხანის ისტორიკოსები (ლეონტი მროველი, ჭუანშერი) ვერ მოგვემდინენ უტყუარ ცნობებს წინაქრისტიანული ხანის საქართველოს ისტორიისას, მათ განკარგულებაში ძველი ხანის წყაროები რომ არ ყოფილიყო“.

ლეონტი რომ ძველ თხზულებებს უკეთებდა რედაქციას, ეს „ქართლის ცხოვრებაში“ არსებული იმ მინაწერის მტკიცებდა, რომლის თანახმად „ესე არჩილის წამება, და მეფეთა ცხოვრება, და ნინოს მიერ ქართლის მოქცევა ლეონტი მროველმან აღწერა“, თანც იქვე არ-

სებული ცნობით: „არჩილი წამების წიგნი“ ხომ „იპოვა სულ მცირედ აღწერილი?“.

დღეისათვის ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ხეშეშორებული ცნობები ასეა ახსნილი: იმ თხზულებებიდან, რომელნიც მინაწერის საფუძველზე ლეონტი მროველი „აღწერა“ („აღწერა“, როგორც შ. ბადრიძემც მიუთითა 1962 წელს, ძველად გადაწერასაც ნიშნავდა), „ნინოს მიერ ქართლის მოქცევა“ სიტყვა-სიტყვითაა გადმოწერილი „მოქცევა ქართლისა“—დან, „მეფეთა ცხოვრება“ თვით „ქართლის ცხოვრებაში“ დართული ერთი მინაწერით „უამბითი-უამბად“ იწერებოდა, ხოლო „არჩილის წამების“ ავტორად ამ ნაწარმოებში XII ს. მეტაფრასული რედაქციის უცნობი ავტორათი თვით არჩილის თანამედროვეს (VIII ს.) მიიჩნევს (ქსე, ტ. 6, სტ. ლეონტი მროველი, ავტ. გ. მელიქიშვილი).

აღნიშნულთან ერთად „ქრისტიანობის აღრეულ საფეხურზე“ ჯერ კიდევ იყო შეზღუდული „ძველი წყაროების გარკვეული ნაწილი მაინც“ (მ. ლორთქიფანიძე) და „ქართლის ცხოვრებაში“ „ადრეულ საუკუნეებში შექმნილი მთლიანი ნაწარმოებები დასრულებული სახით“ შემონახული (რ. ბარამიძე); თანაც XI ს-ის ისტორიკოსებს „შუა საუკუნეებში არსებული ტრადიციის თანახმად თავის წინამორბედთან ნაშრომები თითქმის მთლიანად და უცვლელად შემოაქნოდათ თავის საისტორიო თხზულებებში“ (მ. ლორთქიფანიძე); ლეონტის კი, როგორც კ. კეკელიძემ დაასკვნა, „დამოუკიდებელი კვლევა-ძიების უნარი მაინცდამაინც დიდი არ ჰქონდა და მას უფრო მზამზარეული მასალის გადაწერა ეხერხებოდა“. მაშინ რა გვითხ

ლის ხელს ან ვის ევლოდებოთ „ნივთთა ცხოვრება“ ანონიმურ და წინაქრისტიანული ხანის კრებულიად განივაცხადოთ?

მიუხედავად იმისა, რომ „სომეხების ქრონიკის მამის“ — „სომეხი პეროდოტუს“-მოცულის ხორენაის ისტორია სადგეა ანაქრონიზმებით და მასში მრავალადა გამოვლენილი გვიანდელ რედ-ქტორ-გადაამკეთებელთა „ღვაწლი“ (რის გამოც, როგორც ჩვენში, ისე უცხოეთში ხორენაიც VIII-IX სს. ისტორიკოსად ითვლებოდა). სომეხმა ისტორიკოსებმა ხომ მიუჩინეს ხორენაის „თავისი ძველი და ბუნებრივი ადგილი V ს-ში“?

ამ ფაქტის მოყვანა იმიტომ დამჭირდა, რომ ხორენაის თხზულებაში წარმართობის ხანის ქართლის სამი მეფეა მოხსენიებული, რომელთაგან მირდატის ძე. წ. I ს-ში ხოლო ფარსმან I და ქარამი, ახ. წ. I ს-ში მეფობდნენ. უიქველია, როგორც ეს ჯერ კიდევ პ. ინგოროვებამ მიუთითა, ხორენაის ცნობები ქართლის მეფეთა შესახებ „ძველ-ქართული საისტორიო წყაროებიდან უნდა აეღო“.

და ბოლოს, სწავლულ ბატონიშვილს თეიმურაზ ბაგრატიონს (1782—1846) იქნებ ჰქონდა რაიმე ცნობა, როცა „მეფეთა ცხოვრების“ ერთ-ერთ ავტორად III ს-ის შუახანებში მოღვაწე მაცემს სპასპეტი მიაჩნდა? ნიშანდობლივია, რომ სწორედ თეიმურაზ ბაგრატიონს აქვს დატული უძველესი ქართული ტრადიციული ცნობა, რომლის თანახმად, „არა უწინგონი იყვნენ ქართველნი უწინარესთა ქმთაცა შინა. ვიდრე ფარნავაზმდე სწერდნენ იგინი უხუცესთა წერლითა“.



ნანა ჯაფარიძე

ინგლისელ მწერალთა ნანარკოვებების თარგმანები

გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე

ქართულმა ეროვნულმა ლიტერატურამ თავისი განვითარების პროცესში მსოფლიო ლიტერატურის საუკეთესო ტრადიციები აითვისა, რასაც ნაწილობრივ მთარგმნელობითი მუშაობის გავლით შეუძლო ხელი. ამ მხრივ განსაკუ-

თრებული როლი ენიჭება XIX საუკუნის II ნახევრის ქართულ პერიოდულ პრესას, რომლის ფურცლებზე უხვად ქვეყნდებოდა ევროპელ მწერალთა ნაწარმოებები. ინგლისელ მწერალთა შემოქმედების თარგმანები XIX საუკ-

უნის II ნახევრის ქაზახულ პერიოდულ პრესაში უხვადია წარმოდგენილი. აღნიშნული პერიოდის ქართულ ჟურნალ-გაზეთებში სისტემატურად ქვეყნდებოდა ინგლისელი მწერლების როგორც პოეტური, ისე პროზაული ნაწარმოებების ქართული თარგმანები, ვაზეთ „დროების“ (1866-1885) ტრადიციების განგრძობვად შეიძლება ჩაითვალოს ვაზეთი „ივერია“, რომლის დამაარსებელი და რედაქტორი ილია ჭავჭავაძე ვახლდათ, თანარედაქტორები კი ს. მუსხიბი, ი. შარანგილი, ა. საჩხაძეშვილი, გ. ყიფშიძე, ფ. გოგიბაშვილი. „ივერია“ ცარიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ორგანო იყო. მის ირგვლივ შემოკრებილნი იყვნენ ცნობილი მწერლები და საზოგადო მოღვაწენი: ა. წერეთელი, ი. გოგებაშვილი, ვაჟა-ფშაველა, ალ. ყაზბეგი, ნ. ლომთაძე, ე. გაბაშვილი, ს. მგალობლიშვილი, ს. ჭრელაშვილი და სხვები.

„ივერიის“ თითქმის ყველა ნომერში ფართოდ არის მოზიხილული საზღვარგარეთის ქვეყნების და განსაკუთრებით ირლანდიის პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა.

ირლანდიისა და ინგლისის შესახებ მასალებს უმთავრესად ხელს აწერენ ლალი (გიორგი ლახსიაშვილი), ისკანდერი (ალექსანდრე ყიფშიძე) და თვით ილია ჭავჭავაძე. აქტუალურია ილიას ნარკვევი „ინგლისის საშინაო და საგარეო პოლიტიკა“, რომელიც „ივერიის“ 1894 წლის 4 დეკემბრის (№ 257, გვ. 1-2) ნომერში გამოქვეყნდა, ხოლო „ივერიის“ 1895 წლის 24 ნოემბრის (№ 247, გვ. 1-1) ფურცლებზე ილია აქვეყნებს პროზაულ-პოეტურ სტატიას „ახლო აღმოსავლეთი და ინგლისის დღევანდელი პოლიტიკა“.

საინტერესო მასალა გაშუქებული ვაზეთში რუბრიკით: „ახალი ამბები“ აქვე ვხვდებით ცნობებს მარჯორი და ოლავერ უორდროუმების ქართველოლოგიური ნაშრომების თარგმანების თაობაზე (1894, 27 აგვ. № 163, გვ. 2, 1895, 27 იანვ. № 20, გვ. 1-2).

როგორც აღვნიშნეთ, „ივერია“ დიდ ადგილს უთმობდა ფრანგული, გერმანული, იტალიური, ინგლისური ლიტერატურის ნიმუშებს, თუმცა აღსანიშნავია, რომ მის ფურცლებზე უმეტესად ფრანგი მწერლების ნაწარმოებთა თარგმანებს ვხვდებით. ინტერესმოკლებული არ არის ის ფაქტი, რომ „ივერია“ იძლევა კრატეულ-ბიოგრაფიულ ცნობებს მსოფლიო სახელობის მქონე მწერლებზე. აქედან აღსანიშნავია სტატიები ალექსანდრე დიუმის, ემილ ზოლას, უილიამ შექსპირისა და პერსი ბიში შელის შესახებ. ასევე მნიშვნელოვანია უცნობ ავტორთა სტატიები „უილიამ შექსპირი“ („ივერია“, 1893, 3 ივლ. № 139, გვ. 3), „როგორ გვიხატავს ლიტერატურა დამნაშავეთ?“ (ბორიშო-ქმედთა ტიპები შექსპირის ნაწარმოებში) — („ივერია“, 1896, 2 აპრ. № 70, გვ. 3; 3 აპრ. № 71, გვ. 3-4) და კოტე მესხის „მატონო რედაქტორი!“ (შალვა დადიანის (ქუქის) წერილი „კვად

ლში“ შექსპირის „ქირველი ცოლის მორჩულვა“-ს თარგმანა ვამო („ივერია“, 1895 აგვ. № 163, გვ. 4). სადაც კოტე მესხი წერდა: „ქუქის სიხვის, განუმარტოს შალვა დადიანს, რომ „ქირველი ცოლის მორჩულვა“ მესხის თარგმანია და არა ქუქის (შ. დადიანის).“

იმ დროინდელი ქართული პერიოდული პრესა განიხილავს თარგმნის პრობლემებსაც.

ნიკო ავალიშვილი მოითხოვდა ეთარგმნათ ორიგინალიდან რუს და ევროპულ კლასიკოსთა ისეთი თხზულებები, რომლებიც უპოქისა და ქართველი ხალხის კულტურულ მოთხოვნილებებს შეესატყვისებოდა („მნათობი“, 1870, № 2).

გ. თუმანიშვილი ვაზეთ „დროების“ (1875, № 117) ფურცლებზე გულსიტკვილით აღნიშნავდა: „დროა გამოგვასლმოთ უცხო ქვეყნულ თხზულებების რარგმანს რუსულიდამ. რუსულ მწერლობაში, როგორც იქაურმა კრიტიკამ აღმოაჩინა, ბევრი უნიკო, უკვე ვთავივით, უგვანო თარგმანია... ქართველი მეთხოვნილები მითიქვლებენ ევროპულ გენიოსებს უგვანო ქართული თარგმანების ვამო“. მართლაც, ილიას „ივერიაში“ განუწყვეტლევ ქვეყნდებოდა „ევროპული გენიოსები“-ს (როგორც გ. თუმანიშვილი აღნიშნავდა) უ. შექსპირის, ჯ. მილტონის, ჯ. სეიფტის, ჯ. ბაირონის, პ. შელის, უ. სკოტის, რ. ბერსის, თომას მურის, ოლივერ გოლდსმითის, თომას პუდის ნაწარმოებების თარგმანები. ინგლისით, მისი კულტურით, მწერლობით დინტერესებას, უდავოდ, არაერთი მიზეზი ჰქონდა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „ივერიაში“ (სპეციალური რუბრიკის ქვეშ — „საგარეო მიზნობილვ“) თითქმის ყოველ ნომერში იხებულობდა სტატიები ინგლისის პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობის თაობაზე. ქართველი საზოგადოებრიობა დიდ ინტერესს იჩენდა XIX საუკუნის ეკონომიურად ყველაზე ძლიერი კაპიტალისტური ქვეყნის — ინგლისის მიმართ. ინგლისი XIX საუკუნის 80-იან წლებში ის ქვეყანაა, სადაც ჩნდება დემოკრატიული ორგანიზაციები: 1881 წელს, როგორც ცნობილია, შეიქმნა დემოკრატიული ფედერაცია, რომელმაც შემდეგში სოციალ-დემოკრატიული ფედერაციის სახელწოდება მიიღო. 1885 წელს შეიქმნა სოციალისტური ლიგა, 1893 წელს ჩნდება დამოუკიდებელი რუსეთის პარტია, რომელიც ბურჟუაზიის ლიბერალიზმის პოზიციებს ვაგულენის ქვეშ იმყოფებოდა. რასაკვირველია, ყოველივე ამის ვამო ინგლისი თავისი პოლიტიკურ-კულტურული ვითარებით ცხოველ ინტერესს იწვევდა ქართველ საზოგადოებაში. აქედან ვამოდინარე, დიდი ბრიტანეთის კულტურული ცხოვრება ქართველთა ყურადღების ცენტრშია. ზემოაღნიშნული ინგლისელი პოეტებისა და მწერლების ასეთი წარმოუდგენელი პოპულარობა საქართველოში, ვაჭირობთ, ვამოწვეული იყო თვით ამ პოეტთა და მწერალთა შემოქმედების გენიულობით, მათი მსოფლმხე-

დევლობით და ზოგადსაქცობრივ პრობლემა-
ბის ძიება-გაღმწერით.

ინგლისელ მწერლებს და პოეტებს, როგორც მასალებიდან ირკვევა, თარგმნიდნენ „ივერიის“ ირგვლივ შემოკრებილი ახალგაზრდა ლიტერატორები, გრ. აბაშიძე, ი. ზაქრაძე, არ. ახანაშვილი, ა. ნიკიტინი, ი. ცისკარაშვილი, სპ. ყიფიანი, ა. წინამძღვრისძე, გრ. ვოლსკი, რ. ბენიშვილი, ცალკე უნდა გამოვყოთ დიდი ილია და აკაკი, რომელიც თარგმანები ამშვენებდნენ „ივერიის“ ფურცლებს.

ქართველი მთარგმნელები, უმთავრესად, ბაირონის შემოქმედებით იყვნენ გაცნობილნი. ადვილი გასაგებია, თუ რატომ უთმობდა „ივერია“ დიდ ადგილს ბაირონის შემოქმედებას.

ჟორჯ გორდონ ბაირონი (1788-1824) ევროპული რომანტიზმის უღალგეს წარმომადგენელი, ამაყი და მღელვარე ბუნების, ძლიერი პიროვნება 1809 წელს ტოვებს ინგლისს და სამხრეთში მიემგზავრება სამოგზაუროდ. ბაირონი მოგზაურობის დროს ლექსებად წერდა დღიურს, რომელიც ინგლისში ჩამოსვლის შემდეგ გამოაქვეყნა „ჩაილდ-პაროლდის“ სახელწოდებით. პოეტი უმალ შეიტყვის პოეზიის გმირში. თავისუფლების იდეა, რომელსაც ჩაილდ-პაროლდი ატარებს, თავდაპირველად საყოველთაო თავისუფლების რომანტიული სახით გვევლინება, მაგრამ გადის დრო და იგი თავის გმირთან ერთად შეიცნობს თავისუფლების იდეას, რომელიც ვარკვეული სახე მიიღო. ლამაზი დენდი, ჩაილდ-პაროლდი წარმოგვიდგება შეუპოვებელი აჯანყების მქადაგებლად. იგი იცავს ნაციონალური თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის იდეას. ამ ბოძოქარი ზულის პოეტს ქართველმა საზოგადოებრიობამ გული გავუღო. საქართველოშიც დაიწყეს ბაირონის თარგმნა. ბაირონის ქართულ თარგმანებს „ივერიის“ ფურცლებზე აქვეყნებდნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და იოსებ ბაქრაძე.

„ჩაილდ-პაროლდის მოგზაურობა“ ქართულად ამბეჭდველა იოსებ ბაქრაძემ.

გვიღა გავიხსენოთ, თუ რას წერდა გაზეთი „ცნობის ფურცელი“ (1904, № 2496) იოსებ ბაქრაძის გარდაცვალებასთან დაკავშირებით: „ოსები ჩვენში ცნობილი იყო როგორც მთარგმნელი უცხოელთა ხელოვნური ნაწარმოებისა. მის თარგმანებიდან უფრო ცნობილია ბაირონისა და ჰინდის ლექსები, ვალტერ სკოტის „აივენგო“ და სხვ. ბევრი ლექსი მშვენიერს ეწიოთა და პოეტურად ჰქონია თარგმნილი და ზოგიც ისეთი პოპულარული შეიქმნა, რომ ბევრს მისი საკუთარი ეგონა“. იოსებ ბაქრაძემ, მართლაც აგრძობდა ქართველ მეითხველ ბაირონის სულის სიდიადე. 1895 წლის 6 მაისს გაზეთ „ივერიაში“ (№ 96, გვ. 2-3) მან გამოაქვეყნა „ჩაილდ-პაროლდის“ ნაწვევების ქართული თარგმანი, მას მოჰყვა „ჩაილდ-პაროლდიდამ“ სიმღერის („ივერია“, 1898, 25 მარტი, № 65,

გვ. 2) თარგმანი და „ვალობა მესამე“, „ივერია“ 1898 წლის 23 აპრილის (№ 86, გვ. 1-2) ნომერში, ხოლო „ვალობა მეოთხე“ გამოაქვეყნდა 1899 წლის 21 მარტს („ივერია“ № 62, გვ. 2), „ვალობა მეორე“ კი 1903 წლის 14 ნოემბერს („ივერია“, 1903, 14 ნოემბ. № 244, გვ. 2-3).

იოსებ ბაქრაძემ ინგლისური ენა არ იცოდა, იგი რუსულიდან თარგმნიდა ბაირონის შედევრებს, ი. ბაქრაძის თარგმანები „მალი პოეზიის სული დონით არ გამოირჩევა. ნამუშაღ მოვითათ რამოდენიმე მაგალითს:

„ქალები ჰკრეფენ მინდვრის ყვავილებს და ამ ელემში მოაქვთ, მოღიან.
ვიშ გაბრწყინებულს მათს ლურჯსა თვალებს, რა ტბილ ალერსით იღიმებიან!“

„აქ ცხოვრებითა ვინ არ დატყებოდა, ვინ არ იქნება აქ ბედნიერი? ოხ, ღმერთო! კუთხე მოიპოვება ამაზე ტურფა და მშვენიერი? შენც ამ მუნებას უნდა შესტრფოდე, რომ მეც მის ექვრიო უფრო ვტყებოდე.“ („ივერია“, 1898, 25 ოქტ. № 65).

ამ სტროფების წაკითხვის შემდეგ ძნელი გასაგებია სოლომონ ყუბანიშვილის სიტყვება: „თარგმნიდა ის (იოსებ ბაქრაძე — ნ. ხ.) მშვენიერი ქართული ენით და შობდნითი პოეტურნი ხერხებით, რისთვისაც ზოგი მათგანი ხალხში სიმღერადაც კი იქცა. მაგალითად, ჰინეს -- „ტურფაც, ტურფაც, რას უყურებ“... და სხვ.“ (იოსებ ბაქრაძე, ლექსები, წინასიტყვაობა ს. ყუბანიშვილისა, გვ. 9). ასევე რუსულიდან აქვს თარგმნილი ი. ბაქრაძეს ბაირონის „კოლიზიის ნანგრევებზე“ ჩაილდ-პაროლდიდგან („ივერია“, 1899, 5 იანვ. № 2, გვ. 1).

ბაირონის „პრომეთეოსი“ („ივერია“, 1903 წ. 9 დეკ. № 262, გვ. 2) და ამერიკელი ჰენრი ლონგფელოს „წყარო და ზვირთი“ (ლექსი) („ივერია“, 1900, 29 ოქტ. № 236, გვ. 1). იოსებ ბაქრაძეს ეკუთვნის აგრეთვე ბაირონის ლექსის „ბილ-გამართლო მზეგ“ თარგმანი, რომელიც მან გამოაქვეყნა „ივერიის“ 1886 წლის 28 თებერვლის (№ 46, გვ. 1) ნომერში და „ვალტერ სკოტის მიერ თქმული“ (ლექსი), გამოქვეყნებული „ივერიის“ 1888 წ. 8 იანვრის № 84, გვ. 1) ფურცლებზე.

„ივერიის“ 1888 წლის რამდენიმე ნომერში (№ 187, 7 სექტ. გვ. 1-2; № 187, 8 სექტ. გვ. 1-2; № 188, 17 სექტ. გვ. 1-2, № 194, 17 სექტ. გვ. 1-2) გამოქვეყნდა ინგლისური დრამატურგიის მწვერვალის, შექსპირის „ჰამლეტი“-ს თარგმანი. თარგმანი შესრულებულია სამ. ყიფიანის მიერ, პიესა გადაკეთებულია მოთხრობად, შექსპირის სიდიადე მასში დაკარგულია

და ჩვენი აზრით, ძალიან დაბალი ხარისხის თარგმანია.

XIX ს-ის მოწინავე ქართველი საზოგადოებრიობა, როგორც მასალებიდან ირკვევს, ძლიერ დანტერესებული იყო ირლანდიის საკითხით, ირლანდიელი მწერლებით, უმთავრესად ირლანდიური პოეზიით. ილიას „ივერიის“ ფურცლებზეც თვალში გვხვდება, ამ ქვეყნის მწერლობისადმი დიდი ინტერესი. „ივერიაში“ გამოქვეყნებულია ირლანდიელების — თომას მურისა და ოლივერ გოლდსმითის ნაწარმოებები. ირლანდიის ისტორიით, კულტურით დაინტერესება უდავოდ საქართველოს მსგავსი პოლიტიკური მდგომარეობით იყო განპირობებული. რაც შეეხება თომას მურის (1779-1852) შემოქმედებით გატაცებას საქართველოში, ეს თვით პოეტის შემოქმედების წილში, სამშობლოსადმი მისი დაუცხრომელ სიყვარულში, თავისუფლებისა და ირლანდიის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში უნდა ვეძიოთ. თომას მურს ეკუთვნის „ეპისტოლეები, ოდები და სხვა ლექსები (1806), ირლანდიური მელოდიები (1808-34), ეროვნული სიმღერები (1818-27); ცნობილია აღმოსავლურ თემატიკაზე დაწერილი მისი პოემები „ლალა რუკი“ (1817), „ანგლოზთა სიყვარული“ (1823) და სხვ. აღსანიშნავია, რომ თომას მურმა „1830 წელს გამოაქვეყნა „ლორდ ბაირონის ცხოვრება“, რომელიც შეიცავს წერილებს და დღიურებს მისი ცხოვრების შესახებ“, წიგნს დართული აქვს ავტორის შენიშვნები.

მიუხედავად იმისა, რომ თომას მურის ლექსი „ირლანდიისადმი“ „ივერიაში“ არ არის გამოქვეყნებული, მაინც გვინდა მასზე შეგხარდეთ, რადგან იგი თარგმნა ილია ჭავჭავაძემ და გამოაქვეყნა ჟურნალ „კრებულში“, (№ 7). სათარგმნელად ილიამ გამოიყენა რუსული ტექსტი, რომლის თარგმანი ეკუთვნის იულია დოპელმაიერს („Отечественные записки“, 1871, დეკ. გვ. 336).

ცნობილია, რომ მაღალ დონეზე შესრულებული თარგმანი ყოველმხრივ უნდა გადმოსცემდეს დედნის შინაარსს, მთავარ იდეას და მხატვრულ ქარგას, ამასთანავე დედნის ინტონაცია თარგმანში შენარჩუნებული უნდა იყოს და ნოთარგმნელის მშობლიური ენის საპედიკურ მხატვრულ საშუალებებს უნდა შეესაბამებოდეს. ილიასთვის პოეტის განცდა მახლობელია და ამდენად მისთვის ადვილად მისაწვდომია ლექსის პოეტური ჩანაფიქრი, ლექსის მუსიკალობაც დაეუღია, რის გამოც ილიას თარგმანი ლირიზმით სავსეა და რუსული ტექსტის ადამპატურია.

„არ დაგიფიქვებ, არა, არა... ვიდრე
მფეთქს გული,
ვიდრე მიღვა მე ძარღვებში სისხლი და
პირში სული,
ვიდრე სიცოცხლის ჩემის ძიფი სრულ არ
გაწყდება“

შენი, სამშობლო ეუბღურთ, ხსოვნა გეკრება“
საეკუთარი სამართლიანია ქართულ კრიტიკაში მიღებული აზრი ილია ჭავჭავაძის თარგმანების შესახებ და როგორც პროფ. აკ. გავწყნულან აღნიშნავს, ილიასთან არ დასრულდებულა თომას მურის ცალკეული ელემენტების (სწორი რითმა, ინტონაციური სემასიურა ქსოვილის სიფაქრება), კრისტალიზაციის პროცესი. (აკ. გავწყნარება, რჩეული ნაწერები, ტ. I, თბ., 1962, გვ. 383). ანტომ არის, რომ ილიას თარგმანში ორიგინალისეული (რუსული ტექსტის) განწყობილება და ინტონაცია ზედმიწევნით შენარჩუნებულია.

თომას მურის ლექსის „უკანასკნელი ვარდი“ თარგმანი ეკუთვნის გრიგოლ აბაშიძეს (1866-1903), პოეტს, რომელიც XIX ს-ის 80-იან წლებში თანამშრომლობდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში. გარდა ამისა, მას ეკუთვნის ლერმონტოვის „შვირის“ (1893) ქართული თარგმანი, ფ. კოპეს „ბუდას მერცხალი“ (1900); ე. არნოლდის „შათობა ახიის“ (1900) და სხვა. გრიგოლ აბაშიძეს ფსევდონიმებია შრომანი, მენავე, ვინგი.

თომას მურის „უკანასკნელი ვარდი“-ს ქართული თარგმანი ჩემი აზრით დამორებულია ორიგინალს.

ლექსი თარგმანში ასე იკითხება:
„თუ სიცოცხლეში სამეგობროს ვერ პპოვებ
შველას,
არც გაქვს იმედა, რომ განთიადს კვლავ
მოესწრება,
სჯობს გულს თამამად უთხრა: გულში
ნუ აგრძობ ძეგრას,
კმარა, საბრალოვს.. ბარემ მოკვდი, რას
ელოდები!“
ენახთო სიტყვა-სიტყვით ამ ლექსის პქარგედო:

„მაღე შესაძლოა სულ გაგქრე,
როს მეგობრობა დაიფერფლება
(გაიხრწნება)
და სიყვარულის ელვარებიდან
(ელვარე წრედებიდან)
ძვირფასი ქვები დაიფანტება.
როს მართალ (ერთგულ) გულებს
სძინავთ დამქნართ
და სიყვარულიც ნაზი გეცლება (მიფრინავს)
ოჰ, ვინ იცხოვრებს შავნელ მიწაზე
და ვინ ინატრებს ამ ქვეყანაზე
ბარტოდ დარჩენას“.

ირლანდიელი მწერლები რევოლუციამდელ ქართულ პრესაში წარმოდგენილი არიან აგრეთვე ოლივერ გოლდსმითის რომანით „გეგფულ“

1 გრ. აბაშიძის შეხახებ იხ. კიკა აბაშიძის წინახიტევაობით წიგნი „გრიგოლ აბაშიძე“. X-XI გვ., 1988, ტფ. ფედერაციის გამომცემლობა.

დელი მოძღვარი“, რომლის თარგმანიც, ალ. კა-
ლანდაისი აზრით, ეკუთვნის ცნობილ ქართველ
სახოცადო მოღვაწეს ივანე მაჩაბელს.

რომანი დაიბეჭდა ჟურნალ „ივერიის“ შემდეგ
ნომრებში: 1881 წ. № 1, გვ. 29-86; № 2, გვ.
20-75; № 3, გვ. 54-98; № 4, გვ. 3-57; № 5,
გვ. 27-59; ოლიგერ გოლდსმითის რომანმა „ე-
კვილიას მღვდელი“ დიდი პოლემიკა გამო-
იწვია. „იმედის“ კრიტიკში (1881, № 1, გვ.
121-122) დ. აბდუშელიშვილი წერდა: „ეს რო-
მანი სრულებით არ შეშენის ახლანდელ ლტო-
ლილებს და ჩვენი საუკუნის ნამდვილ მიმარ-
თებლებს. ახლა საჭიროა ფხიზელი, მსნე და
მოქმედი ადამიანი, რომელიც ყოველმხრივ ნა-
თლად უნდა ზედადგეს...“

„ივერიამ“ პასუხი გასცა „იმედის“ კრიტი-
კოსს („ივერია“, 1881, № 3), ავტორი ამტკიცე-
ბდა, რომ გოლდსმითის თარგმნა საჭიროა.

ჩვენი აზრით, ო. გოლდსმითი (1728-1774) მა-
როლაჲ უნდა ეთარგმნოს. ამ წყურალმა, უდა-
ვოდ, დიდი წვლილი შეიტანა ინგლისური ლი-
ტერატურის ისტორიაში, კერძოდ კი ინგლისურ
ნი დრამატურგიის განვითარებაში. მისუბუქი და
დახვეწილი ომბორის გამოყენებით ავტორი
აზერბეზს ნათელი და რეალისტური სურათე-
ბის დახატვას. მის კალამს შეუქმნია როგორც
კომედიები, ასევე ესეები და რომანები. კომე-
დიები: „გულგეთილი ადამიანი“ და „ერთი და-
მის შეცდომები“, დღესაც იდგემა ინგლისისა
თუ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხის სცენაზე,
თუმცა მის მთავარ ნაწარმოებზე მინც „ვეკ-
ფილდელი მოძღვარი“ (1766) ითვლება, და რო-
გორც ინგლისელი კრიტიკოსები აღნიშნავენ, ამ
რომანს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ინ-
გლისური რომანის განვითარებაში.

„ივერიაში“, როგორც აღვნიშნეთ, აკ. წერე-
თელიც ხშირად აქვეყნებდა თარგმანებს. აღსა-
ნიშნავია ბაირონის „გოდება ებრაელთა“ (1901,
3 ოქტ. № 213, გვ. 1), და თომას ჰუდის —
„სიმღერა ბერანგის გამო“ (1901, 6 ნოემბერი,
№ 242, გვ. 2).

„გოდება ებრაელთა“, მეტად აქტუალური
იყო იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკურ
ვითარებისათვის, რადგან ეროვნული თემა
სამოციანი წლებისათვის, როგორც ყოველთვის,
წინა პლანზე იყო წამოჭრული.

ბაირონის „ებრაული მელოდების“ შთაგონე-
ბით პოეტი ორიგინალურ ლექსებს თხზავდა.
ასეთად უნდა წივიჩნათ სწორედ „გოდება ებ-
რაელთა“.

„ჰგოდებს სირაილ, მოსთქვამს იუდა,
და ებრაელი სტიბიან ერთხვად,
რომ ბაბილონის, ამიერიდან,
გადაქცეულან მონებად და ყმად!
მტრები მოყვრულად გარს ეხვევიან,
ეუბნებიან: „რასა სწუხართო?
თქვენც ჩვენთან ერთად იმხიარულეთ

და მოწყენილი ვგრე ნუ ხართო!...“
„ჩვენებურ ჰანგზე მოჰმართეთ ჩხვი!
გადმოაკეთეთ თქვენი ხმებიო
და გვიგალობეთ ქებათა-ქება!...“
ჩვენ ბატონი ვართ და თქვენ უმებრო!...“
„დემორჩილეთ ბედს! ნურას ჩივიო!...“
აღარავინ გყავთ თქვენ გამგონო.
ნელირ იგონებთ იერუსალიმს!...“
გასასვდეთ მხოლოდ ბაბილონიო!“
აი, სად არის შეურაცხყოფა!
ამას ეტყვიან მხოლოდ ცოცხლად

მკვდრებს!...

ჩვენი სიონის წინადა გალობა
უნდა ვუმღეროთ ჩვენს მოსისხარ მტრებს?
არა, სიონო, ვერ გიღალატებთ,
სანამღის პირში გვიდგია სული! —
შენი ტახტია... შენი სამარა
შეურყევალად ეს ჩვენი გული!...“ და ა. შ.

თვით ბაირონის კრებულში ასეთ ლექსს ვერ
მივაგენით, „ებრაული მელოდების“ საერთო
შინაარსიდან კი აკაკი წერეთლის ლექსის სუნ-
რუქა ადვილი ამოსაცნობია. თვით ლექსს, სა-
თათრის ქვეშ მითითებული აქვს „ბაირონი“.

როგორც ცნობილია, წინა საუკუნის დასაწყ-
ისში შეხედულება თარგმანის საკითხებზე
მკვეთად განსხვავდებოდა თანამედროვე შე-
ხედულებისაგან. მაშინ დასაშვები იყო ინტერ-
პრეტაცია ტექსტისა მთარგმნელის მიერ.

აკაკი წერეთელს ნათარგმნი აქვს აგრეთვე
ბაირონის „იფეთის ასული“, რომელიც მან
გამოაქვეყნა „ციცქარში“ (1865 წ. № 11, გვ. 4).

1904 წლის 23 დეკემბრის „ივერიის“ ფურც-
ლებზე გამოქვეყნებულია შოტლანდიელი რომ-
ანტიკ ბერნსის ლექსის „უმანკოს“ თარგმანი,
რომელსაც ზელს აწერს რ. ბ-ლი (რ. ბებია-
შვილი).¹

რომანტიკ ბერნსის (1759-1796) მდიდარი შოტ-
ლანდიური ფოლკლორით სავსე ლექსებიც სა-
ქართველოში უმაღ აიტაცეს. ის, თავისუფლე-
ბის მომღერალი, როგორც ცნობილია, სიცოც-
ხლეშივე აღიარა შოტლანდიელმა ხალხმა თავის
ეროვნულ პოეტად. მისი ლექსები პატრიოტული
მგზნებარებელია და მომავლისადმი რწმენითაა
სავსე, ხან კი სენდთან ლირიზმით გვიხილავს.
ლექსის თარგმანი სუსტია, შესრულებულია რუ-
სული ტექსტიდან, რომელიც, სამწუხაროდ, და-
კარგულია.

საინტერესოა გავ. „ივერიის“ კრიტიკული
წერილები თარგმნის საკითხებზე. აი, ერთი მა-
თვანი „როგორ გვიხატავს ლიტერატურა დამ-
ნაშვით?“ („ივერია“, 1895, 2 აპრ. № 70, გვ.
3; 3 აპრ. № 31, გვ. 3-4). აქ ავტორი ეხება და
კრიტიკულად განიხილავს ცნობილ ტრადიციასა

1. ბერნსი. უმანკოს (ბერნსიდან) ლექსი,
მთარგმნ. რ. ბ-ლი. „ივერია“, 1904, 28 დეკ.
№ 298, გვ. 1.

შემოქმედებამო „დამწაშევეტ“ გამოყვანილ გმირებს — შედეგს, ფერას, ორსტეს, მაკეტს, ოტელოს; აღნიშნავს, რომ: „შექსპირმა მკებტებით, კამლეტით და ოტელოთი მოგვცა სამი სამაგალითო ტიპი დამწაშევეთა; სოცის ბელოვნებით აღსრულებული, ხელოვნებას დაღმბეტთ ის ღრმა დაკვირება სინანდელია, რომელსაც იჩენს შექსპირი ამ ღრამებში, რომელსაც ვერ აღემატება ვერაფერი მეტინურილი დაკვირება“. წერილი რატომღაც უფეტორთა. თქმია სტილით შესაძლოა არტურ ლაისტს მიგაკუთვნოთ. ასევე სიანტერესოა ქრონიკა „ქართულად ნათარგმნი შექსპირის პიეესების“ თაბაზე („ივერია“, 1888, 24 მარტი, № 63, გვ. 2) და ვრცელი სტატია ი. მაჩაბლის მიერ შექსპირის ტრაგედიების თარგმანის შესახებ („ივერია“, 1889, 25 მარტი, № 64, გვ. 1). ამ უკანასკნელს ხელს აწერს ს-ია (სარაჯიშვილი). სტატიის ავტორი სინანულით აღნიშნავს, რომ საქართველოში არ მოიძებნება კარგი მთარგმნელი ვერობული ლიტერატურისა და რომ ბ-ნმა ივ. მაჩაბელმა, რომელმაც ბრწყინვალედ იცის ინგლისური ენა, უდიდესი საქმე გაწევა მსოფლიო გენიოსის, შექსპირის თარგმნათა: „ჩვენ მოკლებულნი ვიყავით ერთს საუკეთესო სახსარს გონების და ზნეობის ამბლეებისას, იმიტომ, რომ ჩვენმა მწერლებმა ძალიან ნაკლებად და იშვიათად იციან უცხო ენები... ჭრჭერილობით უცხო მწერლობის წყაროს ვერ დაწიებებივართ, რადგანაც უცხო ენების შესწავლას არ მივსდევთ...“ „ბ-ნი მაჩაბელი შეუდგა უდიდესი პოეტის ნაწარმოებთა თარგმნას პირდაპირ ინგლისურის ენიდან და წელს დაბეჭდა „კამლეტი“ და „ოტელო“ შექსპირისა... შექსპირი შეგნება მთელის კაცობრიობისა და ყველა მწერლობისა და, მაშასადამე, იმის ნაწარმოებთა რაგანად გადმთარგმნა აუცილებელი მოვალეობა თვითოეულის მწერლებისა“, — თარგმანი (ივ. მაჩაბლის — ნ. ზ.) კარგის ენით არის შესრულებული“ — ასკენის ავტორი. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ „ივერიაში“ არტურ ლაისტმა, შესანიშნავად მიმოხილა ინგლისური 40-60-იანი წლების ლიტერატურა („ივერია“, 1851, 7 მარტი, №50, გვ. 1-3). არტურ ლაისტის წერილში ყურადღებას ამახვილებს ბაირონის, ვალტერ სკოტისა და დიკენსის შემოქმედებით „გენიაზე“: „დიკენსი პირველი მკურნალი იყო ყველა სხვა რომანისტა შორის. იმან პირველმა აუხილა თვლი საზოგადოებას და უთხრა კაცობრიობას, რომ ავადმყოფი ხარო“. არანაკლები ინტერესით აღწნობს არტურ ლაისტის ქართულ მკითხველს ამავე პერიოდის ცნობილი ინგლისელ მწერალს ჯორჯ ელიოტს. XIX ს-ის შუა წლებში ინგლისში დიდ ყურადღებას იქცევს ჯორჯ ელიოტის (1819-1880) შემოქმედება. ინგლისელი ქალი (ჯორჯ ელიოტი მერს

ენ ივერის ფსევდონიმით) თავისუფლად ფლობდა რამდენიმე ენას, დანატრესებული იყო მკინერული პრობლემათ, ფილოსოფიური საკითხებით, რელიგიით და საერთოდ, რომელიც ტურული სამყაროთი. საკუთარ შემოქმედებასთან ერთად იგი მთარგმნელობით ხელოვნებას ეწეოდა. მის თარგმანთა რიცხვს ეკუთვნის შტრაუსის „იესოს ცხოვრებანი“, ფოიერბახის „ქრისტიანობის არსი“, სინოზის „თეოლოგიური პოლიტიკური ტრაქტატი“ და სხვა. არტურ ლაისტის მოკლედ აკეთებს დსკენას იმის შესახებ, რომ: „ჯორჯ ელიოტი მოგვითხრობა მხოლოდ იმას, რაც თვის თვლით უნახავს, და ისე მოგვითხრობს, როგორც უნახავს. აი, ამაშია მისი ძალა და დიდი მნიშვნელობა... მისი თხზულებანი ნაყოფია დაბრძენებულის კუქისა და დიდს გამოცდილებას“. შემდეგ აკეთებს ლაისტს დაწერილებით იძლევა ვ. ელიოტის მოთხრობის „სილას მორნერის“ გარჩევას.

სათანადო ყურადღება მიაკვია „ივერიაში“ ბაირონის 100 წლისთავის იუბილეს. გაზეთში გამოქვეყნდა ვრცელი სტატია, რომელშიაც გამოქვეყნდა ინგლისელი პოეტის შემოქმედება. სტატია ხელმოწერილია („ივერია“, 1888, 11 თებ. № 31, გვ. 3).

ავტორს მოტანილი აქვს ციტატები ოსტროვსკის და სანსოვიჩის მოხსენებებიდან, რომლებიც მათ წაუკითხავთ რუსეთის სიტყვიერების საზოგადოებას კრებაზე: „... ბაირონის პოეზიაში ქარივით დაჰბერა ევროპას, რომელსაც სული უწუხდა ამ ორმოც-სამოცის წლის წინად მაშინდელის უგვანის წეს-წყობილების გამო. როგორც გრივალი, ისე განჩნა ბაირონი და არ დაჰზოგა ევროპა, ევროპის საზოგადოებმა, რომელსაც დამონავეებული და დამორჩილებული ჰყვანდა ყოველთვის, რასაც თავისუფლების ნიშანწყალი ეტყობოდა, რაც ასე თუ ისე ეურჩებოდა სულისა და გონების შემსუთველს პერს“.

არანაკლებ აღსანიშნავია, რომ „ივერია“ დიდის მწუხარებით იეწყებოდა პოეტ ალფერდ ტენისონის გარდაცვალებას („ივერია“, 1892 წ. 4 ოქტ. № 209, გვ. 4) და საქმოდ დაწერილებით ცნობებს იძლევა პოეტის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე.

როგორც დაგინახეთ, „ივერიაში“ ფურცლებზე ინგლისელ მწერალთა ნაწარმოებების თარგმნები უხვად იბეჭდებოდა. ამ ნაწარმოებთა პოპულარობა საქართველოში, უთუოდ მათი პოეტური სულისკვეთებით და ზოგადსაკაცობრიო იდეებით იყო გამოწვეული. ქართველი საზოგადოებრიობა ილიას „ივერიაში“ ეცნობოდა ევროპული ლიტერატურის შედევრებს. მიუხედავად იმისა, რომ ამ თარგმანთან ყველას მაღალ შეფასებას ვერ მივცემთ, მაინც უნდა აღვნიშნოთ, რომ მათ დიდი წვლილი შეიტანეს ქართული მხატვრული თარგმანის განვითარებაში.



ყურადღება, მკითხველი!

უზანდო სიხარულით

არ გავცუთ პასუხს?

რადგანაც „პრაედა“, „იზესტია“, „ოგონიოკი“, „კრასნაია ზვეზდა“, „სოვეტსკაია კულტურა“, „ლიტერატურნაია გაზეტა“ და სხვა მრავალი რუსული გაზეთები და ჟურნალები ქართველი კაცის შეკითხვაზე პასუხს არ იძლევიან, გადავწყვიტე ქართული პრესისათვის მიმემართა.

რასაც ზემოთ ჩამოთვლილ აღნიშნულ გაზეთებში ვწერდი, უფრო სწორად— ვაგზავნიდი, პირდაპირ არ ეხებოდა არც სტალინს, არც ლენინს და არც გადაუჭრელ პრობლემებს. მე სტალინის დამცველად არასდროს გამოვსულვარ და არც ახლა შევეცდები, ბუმბერაზს დაეცვა არ ესაჭიროება. მჯერა, რომ ის ხალხი, ვინც ახლა ხელაღებით ლანძღავს სტალინს, კიდევ შეიცვლის აზრს (მედვედევნი, რიბაკოვი, ადამოვიჩი, ანტონოვ-ოვსენკო), რადგანაც ასეთი რამ ამ 70 წლის განმავლობაში რამდენჯერმე განმეორდა!

ყველაფერი, რაც ახლა სტალინის მისამართით იწერება, მხოლოდ ნეგატიურია და თითქოს მიმართულია ქართველი ერის წინააღმდეგ.

ზემოთ ჩამოთვლილი მწერლების თქმით გავიგეთ, რეპრესიები, ციხეები და პატიმართა ბანაკები თურმე მხოლოდ 30, 40, 50-იან წლებში არსებებულა. ამით ისინი ცდილობენ ისტორიაში არსებული „თეთრი ლაქების“ ამ-

ოწურვას. საკვირველია, რატომ არ ეძებენ იგივენი „თეთრ ლაქებს“ 1917-1923 წლებში? რა, ამ პერიოდში ციხეები და ბანაკები დახურული იყო და რეპრესიები არ ტარდებოდა? რამდენიც გნებავთ, მაგრამ რადგან იმ დროს სტალინი ასე არ ფიგურირებდა, მისი მტრებიც არაფერს წერენ. თუ ღღევანდელ პირობებში სიმართლე გვინდა ვთქვათ, დიდი სიზუსტე გვმართებს. თორემ ისევ „თეთრ ლაქებთან“ გვექნება საქმე. დავასახელოთ ზუსტი რიცხვი რეპრესირებულებისა. მხოლოდ არა ისე, როგორც ამას როი მედვედევი აკეთებს („არგუმენტი ი ფაქტი“ № 5—89). მედვედევი ისე მსჯელობს მილიონობით ადამიანზე, თითქოს ღღევანდელ ჩვენს მანეთიანებთან ჰქონდეს საქმე: 10-12 მილიონი, 1-1,5 მილიონი, დაახლოებით 3 მილიონი, 5-7 მილიონი, 6-7 მილიონი... განა ასე შეიძლება?

რატომ არაფერს ლაპარაკობენ მედვედევები, ადამოვიჩები, რიბაკოვები და სხვანი იმ 3 მილიონ რუსზე, რომლებიც იძულებულნი გახდნენ 1907-1923 წლებში სამშობლო დაეტოვებინათ, საზღვარგარეთ გაქცეულიყვნენ და უცხოეთში ემუშავათ?! რატომ არაფერს წერენ ისინი იმის თაობაზე, თუ სად დააბანდეს 1913 წელს რუსეთში გამოსული ოქროს მანეთიანები?

რატომ არ დაუბრუნდა ეს ფული რუსეთის ბანკებს? — აი სად არის ნამდვილი თეთრი ლაქები ისტორიაში. ან კიდევ, ხომ ყველასათვის ცნობილია, რომ დეკრეტს ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფის შესახებ 1918 წელს ნელი ვ. ი. ლენინმა მოაწერა? ვერც მედვედევი, ვერც აღამოვიჩი, ვერც რიბაკოვი და ვერც სხვანი ვერ დამალავენ იმას, თუ რა მოყვა იმ დეკრეტის ცხოვრებაში გატარებას, ახლა კი მღვდელი ჩვენი დებუტატია. „ღმერთმა ხელი მოუშაროს!“

კიდევ ერთი რამ მიკვირს. ნუთუ არავინ გვყავს მოსკოვსა და ლენინგრადში ისეთი, ვინც ღირსეულ პასუხს ვასცემდა ამ მწერლებს?

ჩუხების და ებრაელების რა უნდა ვაგიკვირდეთ, როცა ჩვენშიც იგივე ხდება. ანტონოვ-ოვსენკოს მოსკოვის გაზეთები და ჟურნალები რომ არ ეყო, ერთი მოთხრობა — „ბერია“ გაზეთ „კავკაზსკაია ზღრაენიცაში“ გამოაქვეყ-

ნა.

ახლა კიდევ ერთი რამ. ვილჯ /ვ. ლორთქიფანიძემ „არგუმენტური ფაქტები“ № 6—89 დაბეჭდა წყნარად ურით „უბიისტეო კიროვა ი ნეკოტორიე პოდრობნოსტი“. იმ წერილში „პოდრობნოსტი“ ვერ ვიპოვე, სამაგიეროდ—სისაძაგლე რამდენიც ვნებავთ. მამამისი, თურმე, კიროვს იცნობდა (დიდი საქმე! მას ყველა იცნობდა. უ. ს.) და ალბათ ამის საფუძველზე დაწერა ასეთი სისულელე — „გერსია ო პრიჩასნოსტი ი. სტალინი კ უბიისტეუ კიროვა ვესმა პრავდოპოდობნა, ხოტია ი ნე იმეეტ დოკუმენტალნოგო პოდტვერედენია“, რა ცოტა რამ ჰკლებია?

თბილისში ასობით მეცნიერებათა დოქტორი და პროფესორია; რატომ არავინ ეპასუხება „მედვედევებს“, „აღამოვიჩებს“, „ანატონო-ოვსენკებს“ და, რაც მთავარია ვ. ლორთქიფანიძეს?



„კრიტიკის“ რეაქცია

ეს წერილი ღრმა გულისტკივილმა დაგვაწერინა.

დღეს ხშირად გაისმის კითხვა: რატომ ცარიელდება სოფელი, რატომ გარბიან იქიდან? ჩვენი აზრით, მრავალსხვა პრობლემასთან ერთად უმთავრესი უგზოობაა.

ჩვენი სოფელი — მოხვა, საჩხერის რაიონში ერთ-ერთი ულამაზესი სოფელია საიდანაც ნელ-ნელა იკრიფება ხალხი; რატომ? — იმიტომ, რომ

გზა არა გვაქვს, იმიტომ, რომ რაიონული ცენტრიდან 15 კმ-ით დაშორებულ სოფელზე წლების განმავლობაში არავინ ზრუნავს. რაიონული ცენტრიდან დაღის ავტობუსი, რომლის ბოლო გაჩერება სამი სოფლის შუაშია, რასაც ჩვენთვის შედავათი არ მოაქვს. მოსწავლეები 5 კმ-ის მანძილზე ფეხით დადიან. კარგა ხანია დასვა საკითხი, რომ ავტობუსის რეისი გაგრძელებულიყო სოფლის ბოლომდე, მაგრამ საჩ-

ხერის რაიონის ავტონისპექციამ ამის ნება არ ღართო, რადგან გზა უფარგისად ჩათვალა, მაშინ როცა რაიონის საგზაო-საექსპლუატაციო უბანმა გზის ეს მონაკვეთი თითქოსდა „კაპიტალურად შეაკეთა“. ჩვენც ვეთანხმებით ავტონისპექციის დასკვნას: ამ გზაზე მანქანით მგზავრობა მართლაცდა სახიფათოა.

ჩვენს სოფელში ორასი ქართული ოჯახი ცხოვრობდა, მაგრამ დღეს ამას ვერ ვიტყვით: ახალგაზრდების უმეტესობა უკვე ტოვებს სოფელს, რაც შეშფოთებას იწვევს. საჩხერის რაიონში არც ერთი სოფელი არ არის მოხვასავით უყურადღებოდ და ბედისანაბარად მიგდებული. უგზობობის გარდა აქ სხვა მრავალი პრობლემაცაა. ტელევიზორი დღესდღეობით საერთოდ არ აჩვენებს; მიწები, — სატელევიზიო ანძის უქონლობაა. რამდენჯერმე მიემართეთ რაიონის ხელმძღვანელობას, რათა საკუთარი თანხებით შესაძლებლობა მოგვეცემოდა სოფლის რომელიმე მთაზე დაგვედგა სატელევიზიო ანძა, მაგრამ ჩვენი თხოვნა ყურად არავინ იღო. ხშირად ითიშება ელექტროენერგია, გაზეთები სოფელს სარეკიდან მეორე-მესამე დღეს ამოაქვს დამტარებელს ფეხით. არ გვაქვს მარტივი ტიპის სპორტული მოედანიც. ერთადერთი იმედი ბიბლიოთეკა და კლუბია, სადაც ზაფხულობით კინოს მაინც ვნახულობთ.

ამ წერილს ხელს ვაწერთ სოფლიდან წასულებიც და მიგვაჩნია, რომ მრავალი მსგავსი ქართული სოფლის მცხოვრებთა გულისტკივილსაც გამო-

ვხატავთ. მაშინ როდესაც გავყავს უმძლავრესი „ტრანსკავკასიის“ რაიონში გზა, ნუთუ ასე ძნელია სოფელში ნორმალური გზების გაყვანა? აქნებ ეს არანაკლები პრობლემაა, ვიდრე სხვა.

ისევ ჩვენს გასაჭირს მივუბრუნდებით. საჩხერის რაიონული ცენტრიდან სოფელ მოხვის ბოლომდე გზის კეთილმოწყობა საშუალებას მოგვცემს დავმაგრდეთ საკუთარ საცხოვრებელ ადგილზე, აღარ მივებოვით ჩვენი სოფელი, მოვადონიეროთ და ფეხზე დავაყენოთ იგი.

გთხოვთ ყველას, ვისაც ერთ-ერთი ქართული სოფლის ყოფნა-არყოფნის საკითხი გაღელვებთ, ისმინეთ ჩვენი თხოვნა, რათა საზოგადოების მხარდაჭერითა და ჩარევით იქნებ დაძლეულ იქნას ის ბიუროკრატიული უსულგულობა, რომლისთვისაც სულ ერთია ქართულ რუკაზე იარსებებს თუ არა საქართველოს რესპუბლიკის საჩხერის რაიონის ქართული სოფელი მოხვა.

კოტე კუჭაშვილი, შოია პეტრიაშვილი, რეზო ჩუმაშვილი, რუსუდან კუჭაშვილი, გიორგი მაჩაიძე...

სულ 54 ხელმოწერა.
რედაქციისაგან: აღმინახ „კრიტიკის“ რედაქციას მიაჩნია, რომ მოხველთა გასაჭირი მრავალი ქართული სოფლის მცხოვრებთა გასაჭირიცაა. აქვეყნებს რა ამ წერილს, რედაქცია იმედოვნებს, რომ მოხველთა სამართლიან მოთხოვნას ამჟამად მაინც მიიტანს გულთან ახლოს საჩხერის რაიონის ხელმძღვანელობა. ქართველ კრიტიკოსებს კი კონტროლზე ავყავს ეს საკითხი.

კოტე კუჭაშვილი, შოია პეტრიაშვილი, რეზო ჩუმაშვილი, რუსუდან კუჭაშვილი, გიორგი მაჩაიძე... სულ 54 ხელმოწერა

რედაქციისაგან: აღმინახ „კრიტიკის“ რედაქციას მიაჩნია, რომ მოხველთა გასაჭირი მრავალი ქართული სოფლის მცხოვრებთა გასაჭირიცაა. აქვეყნებს რა ამ წერილს, რედაქცია იმედოვნებს, რომ მოხველთა სამართლიან მოთხოვნას ამჟამად მაინც მიიტანს გულთან ახლოს საჩხერის რაიონის ხელმძღვანელობა. ქართველ კრიტიკოსებს კი კონტროლზე ავყავს ეს საკითხი.



რეპაზ დანელია

სახტიკმა ქარაშოტმა იმხვერკლა მუხის ერთ-ერთი ღამაში ტოტი — მიწიერ ხილვებს მოსტაცა ოცდარობის წლის კაბუჯი შალვა კარმელი...

გადმოკიდულა ციდან სენირამიდის ბილი. გულია ერთი ციდა და მთისოდენა ღალი...

მშლბა ღამაში სივრცე ადამიანის „განაწეხნებული სილუეტის“ მთვარის კამკამა შუქზე გამოკვეთილად ჩანს. იქვე ახლოს მარადმწვანე ხეზე ჰიდია სურათი, სურათი „მოეტის სულში ნასაფლაგებო“...

ქართველი ცისფერყანწლეების უმცროსი ძმა შალვა კარმელი ძალიან ადრე დაიღუპა. მან ვერ მოასწრო თავისი „დიდი სიტყვის“ ბოლომდე თქმა, ნაადრევად დაღუპდა მოწკრიალე სიში, სუნთქვა შეეკრათ სიცოცხლეს მოწყურებულ ფილტვებს, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მიხეფილი სტრიქონების (ადრე შეწყვეტილი სევდიანი სიმღერის) სიღბო და ფერი თბილი, სხვიჩაუშქრალია.

„ვიან დაწოგავს ცრემლებს ამ ბავშვისთვის, რომელიც ადრე გადაფრენილი ბარტყევით ერთხელ ხეწმარივით მოფვლინა თბილისის ქუჩებს, რომ გვჩვენებოდა ჩვენ, პოეტებს, და შემდეგ სამუდამოდ დავემწყობრებინეთ თავისი სიკვდილით“ (ტიციან ტაბიძე).

„1918 წელს, შემოდგომაზე, ჩემთან მოვიდა ბავშვი, რომელმაც დამიტოვა რვეული ლექსებით და თითქმის ვერაფერი ვერ მიიტხრა. ის იყო როგორც ნიბლია. გადავიკითხე ლექსები და იმ წამსვე წავედი ვაღერიან გაფრინდაშვილთან. ბავშვურ შთაგონებაში ჩვენ დაყინახეთ მომავალი ძმა ჩვენს ორდენში — შალვა კარმელი“... (პაოლო იაშვილი).

სეპლიანი მელოდია

პაოლო იაშვილისა და ტიციან ტაბიძის ეს მწუხარე სტრიქონები უტუჟარი | დასტურია იმისა, რომ შალვა კარმელი კემშარტიკი შემოქმედი იყო... პირშავი ღამის პირისპირ მდგარი კაბუჯის ზმა არა, არ შეერთა, ჩვეულებრივ, სული მოღადადე გამოეთხოვა ავადმყოფ სხეულს და მარადისობის მკაცრ სინათლეს მიემატა უვითელი ფერფლი...

...კვლავ ბოღის ეხედი უსათუოდ ჩემი ცხოვრებით. ვერ განებინერე ლეკვარდოვან ლალ-საძვრებრით, — რომელმაც ჩემში პოეზია უხვად დატეი...

შენ წახვალ მხესთან! ინდა სხვაგანს მე, სისხლნაკულუბ, მთვარის ეშაფოტს ჩამოვწყვიტე, როგორც დაკლული. აჰ, სულს, ჩემო, დამიტირე და მაპატიე!..

შალვა კარმელის სტრიქონი ე. წ. მოცალე უღამაზეს წერტილს ერთბაშად ნუსხავს და ცისარტყელის პირველყოფილი მშვენიერებით მოსავს ირგვლივ უვლავდერს...

...მივდივარ წვიმით მეოცნებე და ქარიანი... — პოეტისული „ჩაწყვეტილი“ ზმა მშფოთვარე დროის სამანებს თავიდანვე იმეიჩნება“. ოქროსთმინი კაბუჯის საგალობელი ცის კაბადონზე მიღალავს ფერებს.

ციხფერყანწლეები სონეტის ფორმის ლექსს აღმერთებდნენ. გამოწაკლისი არც შალვა კარმელი უოფილა. მას არაერთი ღამაში სონეტს შეუქმნია (სადავდევენება არტემიდას ერთგულ მწერებად ჩემი სონეტი, ჩემი ორდო და მადრიგალი“...). სონეტი... მწუხარე ფერია... დერიცება მუნჯაღქცეული ღამე. ზმას არ იღებს, დუშდება ქარი, მთვარე მკარავს ფერს...

შალვა კარმელის სონეტები თავიდანვე უარ-

ყოფნა ვ. წ. სათუთ, გულმამარუებელს სიტყვებს. მისეული „დაუფეშავი“ სტრიქონიც კი შეხასურად გარდასახავს ჩანაფიქრს, — მკვეთრად, ძალზე მკვეთრად ისმის წუთისოფლის წიგნის ფურცლების შრიალი.

ხონეტის ფორმის ლექსთაგან გამოსარჩევია შ. კარმელის „ავტოპორტრეტი პროფილში“. „თბილი გარემო“ უნებურად უნათებს სავალს მკაცრს სინამდვილეს: „დადიფრენს ქარი მკვდარ ქვეყნებზე ლანდებით ხშირით. ჩემთან ლოცვენში მწირ მოლოწინად მოვა დაიხი... პოეტისეული ე. წ. სულიწაფის პორტრეტი იმდენად ფეროვანია, რომ უფრო და უფრო მეტ დაშაქრებლობას ანიჭებს „ფანტაზიურ სინამდვილეს“:

„ვეტრიალურ და მწვარ არაბებში მზიურ ელინად“...

დიდო ხარდლის — გიორგი სააკაძის პირველებს. მის დიდ ტრაგედიას „ფერმკრთალი სიტყვებითაც“ უცებ აცოცხლებს პოეტრ. დრო და ხიფათი, აცრემლებული ბედის ირონიით, ერთბაშად ნათდება („ივერთა მიწაზე მწარე სევდას დაუსეტუვია, ტანჯვის კოცონზე იფერფლება და მწვარი ბედი“...).

შ. კარმელის პოეზია უფროსე მწუხარების, უიმედობის, სიკვდილის სახეებს „ხოტბაა“. მან თავისი სიცოცხლის უმოკლეს დროში თითქმის სრულად გარდასახა ის, რაც მის ბულსა და სულს ამოძრავებდა, აღლევებდა და აწუხებდა. აქვე დავეჩინო, კარმელის ლექსების სხივი ზოგჯერ ცივი და უმწეოა. პოეტს ხშირად ეწმინება ჭლეპით დაშასრული სხეული. ამ ვითარებას, უნდა აღინიშნოს, რომ პირადული გამართლება აქვს (მასაც ამ მუხანათმა სენმა მოუღო ბოლო). ისე კი, შ. კარმელის ზოგიერთი სტრიქონი შეტისმეტად ნათელი, ხადა და ემოციური.

აგერ, მოფრინავს გოგონი
აელვარებულ თვლებით...
მირეკავს ჭიაკოკონი
მთებში კუდიანს ილებით...

ცახფრანაწელებმა, როგორც ვიცით, ბოშე-მური ცხოვრება დროთა განმავლობაში უარყ-

ვის და მიწიერ სინამდვილეს დაუთმეს თავი ანთი სიცოცხლის მეორე ნახევარი (ძლიერად იქნა ღამის სამანი)... შ. კარმელიც უძველესად ცხოვრების გრიგალებს უძღვნა თავის წყაროა სტრიქონებს („თეთრ სუფთაღმერთი უანჯარასთან ფშინავენ ტყემლები და ნაწი თოვლით იფანტება ქროლვის მორჩილი“...), მაგრამ, სამწუხაროდ, არ დასცალდა...

„გაშიშვლილი ბალი სემირამიდის, მარტო მივეყვები მთვარეს მუზებით...
ო, შემოღვლომა სულში ჩამოდის: სიცივი, კენესით და ფირულებით!“ —

პოეტი მგრძნობიარე, მოუხვენარ სურათს თითქმის ყოველთვის ლოკალურ ფორმას უბენის. მოსალოდნელი აფცილებლობა მოზარე ფერით აფრთხობს ავადმყოფურ ხილვებს და „რალურ საგნებთან“ ამუხრებს ფრთიერთობას. ქრება ყოველივე უფთელი, მინც ფლამაზესი „მაისები არ ახსოვს არვის“. ცხოვრებისეული ტრაგედია პოეზიაში თამამად ცხადდება („ქვერვ ქალად მიღის შემოდგომაში ჩუმი ტირილი ჭლექიან ქარვისი“). ყოველივე ეს მიმდინარეობს, ერთი შეხედვით ჩუმად, უხმაუროდ... მშვენიერების სულისჩამდგმელი და წინამძღვარი, როგორც ყოველთვის, ახლაც გონებაა. ამ მხრივ ასევე ბევრის მთქმელია შ. კარმელის „მკვლარი ბრიუტე“: „მკვლარო ქალაქო, გაიღვიძე! — მოვიდნენ მტრები და მოახლოვდა შებრძოლება, ხითოთრე დილის, დაუტრებლად შენ ცოფიან გრიგაღში ქრები“...

* * *

„1928 წელს, იანვარში, შალვა კარმელი გარდაიცვალა, თბილისიდან ქუთაისში ჩამოვიდნენ ჩემი მეგობრები, რათა სიკვდილის ცვლით ჩვენს შორის პირველად მოჭრილ ყვავილს გამოთხოვებოდნენ და მის საფლავზე ცრემლები დაეფრქვიათ“... (კოლაუ ნადირაძე).

ყველაფერი ნათელია.
დაღუნდა მოწყრილუ სიმი,
იღრე შეწყდა სევდიანი მელოდია,
მელოდა — ღამაში, „პოეტის სულში
ნასაფლავები“.



ბრიგოლ ჯულუსიძე

„მდინარესა და მთებს გაღმა“

ამ სახელწოდების რომანი, რომლის ავტორი ჯემალ რატიანი გახლავთ, უფრონალ „ცისკრის“ რამდენიმე ნომერში გაგრძელებებით იბეჭდებოდა („ცისკარი“ № 12, 1988 წ. №№ 1, 2, 3, 4., 1989წ.). რომანი ავტობიოგრაფიული ხასიათისაა, რაც მკითხველის დაინტერესებას იწვევს. მართლაც, ქართულ მწერლობაში, რამდენიმე ბედნიერი გამონაკლისის გარდა, იშვიათად გვხვდება ნაწარმოებები, რომელიც პირდაპირი მნიშვნელობით შემოქმედის ბიოგრაფიის ციკაბო გზაწვრილს მიჰყვებოდეს სკვალდაკვალ ისიც ფაქტია, რომ ხელოვანის მიერ ხორცშესხმული ყოველი ქმნილება თავისთავში შეიცავს ელემენტებს შემოქმედისეული ბიოგრაფიის პასაჟებისა, — განვრცობილს დროსა თუ სივრცეში, გარდაქმნილს და გარადტეხილს მხატვრული თვალთაყვრეტის პრიზმაში.

მაგრამ სულ სხვაა, როდესაც ხელოვანი, ამ შემთხვევაში მწერალი, „განგებ“ არიდებს თავს ამ „ცდუნებას“, ცდილობს „შიშველი ფაქტების“ ფონზე მკითხველამდე მიიტანოს ის, რითაც მკითხველი შეეცდება კონკრეტულში დაინახოს განზოგადებული. ხელოვანის ფენომენი ხომ სამყაროსავით მარადი იდუმალების ბურუსითაა მოსილი.

ავტობიოგრაფიულ ნაწარმოებში უცვლელი რჩება გაორების პრინციპი: ავტორი თითქოს შორი სიმალიდან დაცქერის საკუთარ „მეს“, თავიდან „გაივლის“ უკვე გადატყეპნილ შარაგზას, რომელსაც წარსული ეწოდება და „უცხო თვალით“ ათვალიერებს მასზე მიმავალ „შეფერმკრთალებულ“ ორეულს... რომანში „მდინარესა და მთებს გაღმა“, მართალია, მთავარი გმირი დევი

მარგიანი გახლავთ, მაგრამ მკითხველი თუკი ყურადღებით მიაღვენებს თვალს მის ცხოვრებას, სრულიადაც არ გაუჭირდება ამ გმირში ხელოვანის სული ამოიკნოს, მიუხედავად იმისა, რომ ხელოვნებაზე მსჯელობა ნაკლებად გვხვდება ნაწარმოებში; არც იმის გაგება ჭირს, რომ ბევრი რამ „ავტორისეულია“, მწერლის ცხოვრების რეალური ფურცლებიდანაა ამოკრეფილი. ეს „ექვი“ რომანის დასაწყისიდან ბოლომდე გაგვდევს და, მართლაც, ეპილოგში ყველაფერს „ფარდა ეხდება“. ავტორი „ამჟღავნებს“ მთავარი გმირის ვინაობას, და არა მარტო მთავარი გმირისა, არამედ პერსონაჟების უმეტესობისას, — ისინი რეალურად არსებული ადამიანები არიან, ანუ ის პიროვნებები, რომლებმაც გარკვეული კვალი დაამჩნიეს მწერლის ცხოვრებას, შემოქმედებას. უმჯობესია მოვიტანოთ ნაწყვეტი რომანიდან;

„— გიძიძის სიმართლის თქმა? — მეკითხება.

— არა, მე სულ სხვა რამეს ვგულისხმობ.

— მითხარი რას, თუ ძმა ხარ...

— რასა და ჭემალს რომ მეძახი, რას იფიქრებს ხალხი, ვინ არის ჭემალიო, რა ადგილი აქვს რომანში, ამ წყვილმა ხომ არ აურიაო, აი, შენ დახასიათებაზე მეტად რა მაწუხებს.

— ნეტავი შენ, მოგვლია ერთი რაც უნდათ, ის იფიქრონ. შენ რომ დევი არა გქვია და ჭემალი ხარ ჩემთვის, რა ძნელი მისახვედრია, ეგეც არ იყოს, ვითომ მარგიანი სჯობს რატიანს? გვარი არ გივარგა, თუ რა? რატიანი ხარ და რატიანად დარჩი. ჭემალ რატიანი მშვენივრად ჟღერს, არა მგონია დევი მარგიანმა აჯობოს. მორჩა, გათავდა ძველი დრო, წარსული არქივს უნდა ჩაბარდეს. პიროვნებები დამალვას არ საჭიროებენ... გამოდით, გენაცვალე ავანსცენაზე. რას გვიფრთხილთ ხალხს, მოიხსენით ნიღაბი, აღარ მოგებურდათ, არ დაიღალეთ? თქვენ თუ არ დაიღა-

ლეთ, ჩვენ ვაგვისკდა თავი ამდენი რეზუტების ამოცნობით, ეს ვინ არის ვინ იქნებაო, ამ კაცში მწერალმა ნაწილად ვინ იგულისხმა და ეს სწავლიდან ჩამოიყვანაო. გეყოფათ თამაში, გამოდით სააშკარაოზე, ნუ მორცხვობთ, მეოცე საუკუნის მიჯნაა და შესაბამისად უნდა ვიპოვოთო“.

ავტორს ამ შემთხვევაში მისი მეგობარი ირინე ესაუბრება; ეს ოპონენტის პოზიციაა და ყურადღებასაც იმსახურებს, მაგრამ მწერლის პოზიციაც, — გარკვეულ მომენტამდე „ნიღაბი აიფაროს“, — გასაგებია, ამიტომ თითქმის ბუნებრივად აღიქმება ეს დიალოგი. რომანის სხვა გმირებსაც, კერძოდ ჭეკოსა და ომარსაც, ჰყავთ ცხოვრებისეული პროტოტიპები — „ჩემი ძველი მეგობრები არიან, ერთი უგულავა, მეორე — დევიძე, — გვიხსნის მწერალი.

ახლა კი თავად ნაწარმოების შესახებ. რომანის მოქმედება სამოციან წლებში ხდება და გმირის (ავტორის) ცხოვრების არცთუ ისე ღრმა მონაკვეთით შემოისახლვრება, თუმცა შიგადაშიგ დროითი წიაღსკვლებიც გვხვდება. ახალგაზრდა ქიმიკოსი დევი მარგიანი უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მოსკოვს მიემგზავრება, როგორც თავად ამბობს: „ოცდაექვსი წლის ვარ. უკვე უამრავი ნაცნობ-მეგობრები მყავს. კათედრის გამგემ დამიბარა, მითხრა — მოსკოვში უნდა წახვიდე, თემაზე სამუშაოდო“. ვინ არის დევი მარგიანი — ახალგაზრდა ადამიანი, რომელსაც მეცნიერების კარიბჭის შეღება გადაუწყვეტია მტკიცედ და თამამად, თუ?.. პასუხის გაცემისაგან თავს შევიკავებთ, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ნაწარმოების მთავარი გმირი თავისი ხასიათით არცთუ ისე „სუსტი“ და „იოლად აღსაქმელი“ პიროვნებაა. „რა ხანია სკოლა დავემთავრე, დღე-ღამეზე უნივერსიტეტსაც გამოვემშვიდობებო. საოცრად შევიცვალე. ცოტას წავიფილოსოფოსებ კიდევ. ზოგჯერ თუ ავურ-დავურიე, ნუ გაი-

კვირვებთ, არა მსმენია ადამიანი მო-
წიფული გაჩენილიყოს, ყველანი ჩვე-
ულებრივად ვიბადებით“. — ამას ცო-
ტა უფრო ადრე ამბობს რომანის
მთავარი გმირი, საერთოდ კი იგი დღე-
ვანდელი ცხოვრების შვილია. შებ-
ყრობილი გაუცხოების კომპლექსით,
რომლის მთელ არსებობას მოუშორე-
ბელი შიში ვასდევს. ვინა ვარ, რა
ვარ? — ეს მარადიული კითხვა დევი
მარგიანის წინაშეც წამომდგარა მთე-
ლი თავისი სიმაღლითა და გაურკვევე-
ლობით. დევი ეძებს ამ კითხვაზე პა-
სუხს, ეძებს ყოველდღიურად, ყოველ
ნაბიჯზე, საკუთარ თავსა თუ მის ირ-
გვლივ მყოფთა პიროვნულ თვისებებ-
ში, მაგრამ ამაოდ. ჰა, ჰა, თითქოს სა-
დაცაა უნდა მისწვდეს ძაფს, რომე-
ლიც მხსნელად და მშველელად მოეფ-
ლინება, რომელიც გაიყვანს თავდაუ-
ღწვევლი ლაბირინთიდან, მაგრამ ეს
წამიერი ილუზიაა..

ის გარემოც, სადაც დევის უწყვეს
ცხოვრება, ასევე მრავალფეროვნული
ილუმინაციებითაა მოცული — ეს არის
სამყარო, სადაც რამდენიმე ათეული
იგივე „დევი“ მოძრაობს, ცოცხლობს,
ეძებს, იღლება... ნათელ სახეებს ჩა-
ქუფრული ნიღბები ცვლიან, სიკეთეს
— ბოროტება ამარცხებს, სინათლეს
— წყვდიადი, მაგრამ საბოლოოდ რჩე-
ბა იმედი, რომელიც გვასხივოსნებს
თავისი სიწმინდითა და ღვთიური მად-
ლით.

მოქმედების არეალად ძირითადად
ორი ქალაქია გამოტანილი — მოსკოვი
და თბილისი. თუ პირველი თავისი მას-
შტაბურობით აფრთხობს შეუჩვეველ
გარემოში მობედრილ ახლგაზრდა
კაცს, მეორე — პირიქით, ამშვიდებს,
აწყნარებს, მაგრამ ამხვე დროს უტო-
ვებს დაუქმყოფილებლობის გრძნო-
ბას, რაც მშობლიური ქალაქის კატას-
ტროფული ზრდითაა გამოწვეული.
რომანში არის ადგილი, სადაც ეს გა-
მოკვეთილად ჩანს. ანგრევენ დევი
მარგიანის ძველ სახლს, სამაგიეროდ
ახალ, კეთილმოწყობილ ბინას აძლე-

ვენ, მაგრამ ამ თითქოსდა უგაჩვამო
ცვლილებასთან ერთად ინგრევა რა-
ღაც წმინდა, კერძოდ, ახელუბნაში
გადასვლას წინ უსწრებს მამის-სიკვდი-
ლი.

მწერალს დამაჯერებლად აქვს დახა-
ტული მოსკოვის „ქართველთა“ ცხოვ-
რება, ვის არ შეხვდებით აქ — ამირან
დუმბაძეს, რომელსაც აფერისტობით
გააქვს თავი, ზურაბს, რომელიც რეს-
ტორნიდან რესტორანში გადადის ძმა-
კაცებითურთ, სურენ კოჩიანს, რომ-
ლის ნათესავი მოხუცი ქალი მოტყუ-
ებით წასცინელავს დევი დუმბაძეს
ფულს და ბევრ სხვას, რომელთა
„პროტოტიპები“ დღესაც მრავლად და-
აბიჯებენ „მზიური საქართველოს“ სა-
ხელით „დიდი საბჭოეთის“ „მშობლიურ“
„დედაქალაქში“.

„მოსკოვერი თემა“ (და რა მარტო
მოსკოვერი) ალბათ სხვა საუბრის სა-
განია, ჩვენ ისევ დავუბრუნდებით ჭე-
მალ რატიანის რომანს. საბოლოოდ,
დევი მარგიანი უბრუნდება საქართვე-
ლოს, მშობლიურ გარემოს, სადაც რა
თქმა უნდა, მისი ცხოვრების გზა ია-
ვარდით არ მოფენილა, მაგრამ დაბრ-
კოლებათა მოზღვაგებასა და მათთან
ჭიდილში იბადება ის, რასაც პიროვნუ-
ლი „მე“ ეწოდება. იქნებ ზუსტად
ესაა ცხოვრების მიზანიც...

დევი მარგიანის რთული, შინაგანად
წინააღმდეგობრივი ხასიათი, საბოლოო
ჯამში, ხელოვნებაში ჰპოვებს შევებს,
ახალ სიცოცხლეს...

ნაწარმოებში ბევრი დასამახსოვრე-
ბელი გმირია: ვაბა, ჯეკო, ომარი, დი-
მა, რომელთ მხატვრული სახეები მე-
ტად დამაჯერებლად და დასრულებუ-
ლად საქვს გამოკვეთილი მწერალს.

რაც მთავარია, მწერალი არ აბუნ-
დოვნებს სათქმელს, იგი ყველა თა-
ვისი ცხოვრების ამბავს და მკითხვე-
ლისთვის მიგვინდვია, თუ რამდენად
საინტერესოა ეს ამბავი.

მე კი მწერალს ახალი შემოქმედე-
ბითი წარმატებები მინდა ვუსურვო!

კარლო კობახიძე

„შენ უკვე შენ ხარ“

რატომღაც დავაკანონეთ, თითქოს მწერლობაში ახალგაზრდობისას უნდა მოვიდეთ. ამას წინათ ერთი ცნობილი ენათმეცნიერი გამოპიტყვდა, სტუდენტობიდან ვწერ მოთხრობებს, მაგრამ ორმოცდაათი წლისა ვარ და რედაქციასა თუ გამომცემლობაში მიტანა მეუხერხულეაო. არადა, პენსიონერებს აკლებული აქვთ რედაქციებიც და გამომცემლობებიც თავიანთი ნაწარმოებებით — არის ერთი ჩივილი, მუქარა, გავლენიანი ხალხის ჩარევა, მოგერიება მართლაც პრობლემად იქცა... იმ ენათმეცნიერის ნიჭის პატივისმცემელი ვარ და ვერაფერს დამაჯერებს, კარგ მოთხრობებს არ წერდეს. მორიდება, თავისთავად, პასუხისმგებლობას გულისხმობს. რაღა თქმა უნდა, არც ბევრი ყოყმანი მიეთვლება ღირსებას. ამის სავეალალო მაგალითიც გვაქვს: შოთა ჩანტლაძე და ნიკო სამადაშვილი!

გამოვიდა ჯანსუღ კორძაიას ლექსების პირველი კრებული: ავტორი ჩემი თაობისაა, წიგნსაც ჩემი თაობის საწუხარი, სადარდელი, საფიქრალი ასაზრდოებს. სიცოცხლეში არ გამოექვეყნებინა ეს ლექსები, დარწმუნებული ვარ, რა ვაი-ვიში, ვალალი ატყდებოდა, ეს ვინ დაგვიკარგავსო. ახლა? ახლა არაფერი — კრიტიკოსები პირველი წიგნებისთვის ვერ იცლიან — მათ თავიანთი სამოქმედო არე აქვთ, სხვა სიმალღეები, და თუ, ასე ვთქვათ, წვრილფეხობა საი-

მედოს აღმოაჩენს ვინმეს, მერე შეიძლება იმის ღირსად ჩათვალონ ის ახალღმოჩენილი, რომ სხვაზე უწინ, მრავალწერტილის დასამადე მოიხსენიონ.

პოეტის პირველ წიგნს ისე ვუყურებთ, როგორც პირველ ნაბიჯს მწერლობაში. ეს თითქოს ასეც უნდა იყოს, მაგრამ ყველას ერთი არშინით რომ ვზომავთ, არა მგონია მართებული იყოს. ამ შემთხვევაში ისევე ჩვენს პოზიციას ვასუსტებთ და ვერ ვამჩნევთ, ან არ გვინდა შევამჩნიოთ. ეს ჩვენ გვაქვს აჩემებული მწერლების ასაკის მიხედვით დაყოფა ასე მკვეთრად, თორემ რუსულ ლიტერატურაში ამ საკითხს საკმაოდ თავდაპირველად, ზომიერად უდგებიან. ჩვენ კი ლამის დამამკირებელ ცნებად ვაქციეთ ახალგაზრდა მწერალი. აღარ დადგა საიმისო დრო, ასაკის მიხედვით კი არ ვაფასებდეთ მწერლებს, არამედ ნიჭის მიხედვით? ჩვენი ენციკლოპედიაც ასე მოიქცა — ასაკი წამოსწია წინ და ამის გამო ბევრი მწერალი დატოვა გარეთ.

ახალგაზრდობა თავისთავად განუთმობრებელი, დაუბრუნებელი სიკეთეა, რაც შემოქმედებაშიც ისახება. მაშინ, ახალგაზრდობისას, რწმენაც გვაქვს და იმედიც — ლექსებიც სიცოცხლის სიმშვენიერეს უტრიალებს, სავსეა სინათლით, ხალისით, ფერადი გაზაფხულით. ბევრსაც ვწერთ, გიორგი ლეონიძის თქმისა არ იყოს — „ჩქარა, თორემ წასულა“

ჩვენი ახალგაზრდობა!“ მაგრამ მთავარ სათქმელს მერე უფრო ვამბობთ და ასე ხშირადაც ამიტომ ვასწორებთ ახალგაზრდობის დროინდელ ლექსებს. ვუფიქრდებით ჩველილ წლებს და ადვილად ვხვდებით, რომ ის რწმენა, ის იმედი მხოლოდ და მხოლოდ ცხოვრების ზედაპირული ცოდნის მიზეზი ყოფილა. ერთია იმედი, მეორე — ცხოვრებისეული სინამდვილე, მკაცრი სინამდვილე! აი, ამას გაიფიქრებ, ჯანსუღ კორძაიას წიგნს რომ წაიკითხავ, ოღონდ მაშინ მარტო უნდა იყო საკუთარ თავთან, მყუდროებაში — ეს ის წიგნი არ არის, ტროლეიბუსში, ავტობუსში, მანქანაში, მეტროსა თუ სადგურის მოსაცდელში იკითხო, მატარებლის ჩამოდგომის მოლოდინში. იგი ცხოვრების ავკარგში ჩახედული პოეტის დაწერილია და ჩაღრმავებას იმიტომ მოითხოვს.

ჯანსუღ კორძაიას ამ წიგნში შეტანილი ლექსების მოზრდილი ნაწილი საქართველოს წარსულს, ისტორიას უტრიალებს (ამ წიგნში-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ სულ ახლახან ვამომცემლობა „საბჭოთა აჭარამ“ პოეტის მეორე, ასეთივე მომცრო კრებული მოგვაწოდა. კარგი წიგნია ესეც, მაგრამ სარეცენზიოდ პირველი გვაქვს მხედველობაში). მესმის, მწერალი თავისი დროის შვილია, თავის ეპოქას უნდა უბამდეს მხარს. ის უფრო უნდა აინტერესებდეს, რაც მის ირგვლივ ხდება, მაგრამ თავისი ერის ისტორიისკენ მიხედვაც არ ეკრძალება, მით უმეტეს ახლა, როცა არავინ გაჩეჩებს საგანგებოდ შერჩეულ თემებს.

არავინ გაყვედრის იმ ბედნიერებას, რაც შენმა სათაყვანებელმა ეპოქამ მოგიტანა. რაც მოგიტანა, მშვენიერად იცი, მაგრამ თქმას ვერ ბედავ, ამირანის გულში ღიღინი კი ამირანის მეტს არავის ესმის. მწერალი უპირველესად მაშინ იხედება უკან, უკან — ისტორიის იმ სანატრელ წლებსა თუ საუკუნეში, როცა მისი ქვეყანა, ერი, სწორედ ისეთი იყო, როგორც ახლა ენატრება. ასეთ მიბრუნებას ადრე წარ-

სულის გაიღვლებას ეძახდნენ და მკრეხელობადაც ამიტომ ითვლებოდა: მესსიერებამ შემოინახა, უფრო მეტი ქალღმერთი, რა დღემაც აგდებდნენ კონსტანტინე გამსახურდიას ლიტერატურის მედროვეები. სადაური მკრეხელობაა, ვერ გამიგია — აწმყოს მადლიერი არ ხარ (თუნდაც სხვათა მრავალთა უკეთურობის შემხედვარე), მომავალსაც ვერაფერს ატყობ საჩუგეშოს (თუნდაც ინერციის კანონის თანახმად) და ნატვრით, ოცნებით რომ ისულდგმულო, მგონი, არ უნდა ჩავითვალონ შეცდომად. შეცდომა კი დანაშაულად ითვლებოდა დიდხანს. იმედს მაინც არ კარგავ — ადამიანი იმედით ცოცხლობსო.

დიდი ერები (მრავალრიცხოვნების გაგებით ვამბობ) რომ მისტირიან წარსულს, პატარა ვაეტეროს, რაღა გასაკვირია! ცნობილია: მეორე მსოფლიო ომის დროს შეერთებული შტატების ავიაცია, გერმანიის დაბომბვისას, უფრო ისტორიულ ძეგლებს ემტერებოდა, ვიდრე სახელდრო ობიექტებს. ამას სულ ადვილად ხსნიან: თვითონ ახალი ერია, ახალი სახელმწიფო და სხვისი ისტორიული სიმდიდრე ვერ აუტანიაო. ესეც ამის მიზეზია ალბათ: უზარმაზარ თანხას არ იშურებენ, ოღონდ დიდი ისტორიის მქონე ერების ხელოვნების შედეგებს, ისტორიულ დოკუმენტებს თუ თვით უნიჭიერეს ადამიანებს თავიანთ სახელმწიფოში რომ მოუყარონ თავი — მატერიალური კეთილდღეობა შემოქმედების სასიკეთო გარჯის აუცილებელი პირობაა. რომ ამბობენ, ხელოვანს გამოჩეული პირობები არ სჭირდებაო, ეს სწორედ იმ რეგვენის ნათქვამი მგონია, რაღა თქმა უნდა, ცინიკური ნათქვამი, ვისაც არ განუტღობა სიღარიბის ვარამი. თუ ვინმე ვამამართლებელ მაგალითს მოიტანს, ქაშინ — გოეთე? ტოლსტოი?.. ოდესღაც დიდი ერების, მაგრამ ამჟამად მცირერიცხოვნად ქცეულთა — დაჩაგრულთა თვისებაა უკან ყურება. მოწაფეობისას ასეთ თავისუფალ თე-

მას გვაძლევდნენ: „შენი იდეალი ცხოვრებაში“. არავის მოსვლია ფიქრად — ისტორიაშიო, შენი ერის ისტორიაშიო. ჩვენს გარშემო, ამ თვალხილულ სინამდვილეში რომ ვერ ვნახავთ იდეალს, ვითომ რა დაშავდება, ისტორიაში მოვძებნოთ? „მუდამ თან მდევდა: „მიაგენ შენ თავს!“ — ვით ხმა სიცოცხლის, ვით ხმა განგების და სულ ველოდი იმ უამს და იმ წამს, ხადაც საკუთარ თავს მივაგნებდი. ანისს მახვილად უპყრია მონგოლს დრო ველურ რისხვის და აწვირთების.. და ურდოს წასვლა ახლა ჩანს, როგორც გზა საკუთარი თავის მიგნების“ („დემეტრე მეორეს ჩანაწერი მონგოლთა ურდოში წასვლის წინ“). მთელი ჩვენი უბედურება ის იყო (ვითომ აღარ არის?), რომ ფიქრსაც ვმაღავდით. ფიქრი დაკვირვებას, ჩაღრმავებას ნიშნავს, უამისოდ ღირებული არაფერი შეუქმნია ადამიანს. საინტერესოა, ჩვენ რაღა უნდა შეგვექმნა? ჩემი დაკვირვებით კედელს არ აქვს ყურები და, საერთოდ, საკუთარ თავთან მაინც გულახდილი უნდა იყოს ადამიანი: „ზღვარს ვეძებ! ჩვენს ზღვარს და უამთა ნანგრევს ვაღვიძებ ჩემი მშითა და ზართ, სიცოცხლე ეძებს და უნდა ჩაწვდეს, ხად არის ჩვენი ნამდვილი ზღვარი. ზღვარს ვეძებ? მთავარს! ვეძებ სხვაობას ჩემი და შენი ვნების და გზების, ვამაღლებ ფიქრის გამბედაობას და შენს. გადამქრალ სიცოცხლეს ვწვდები..“ („წარსულში, როგორც უამთა ნანგრევში“).

ადამიანის კეთილდღეობა ყოველთვის არ გულისხმობს სიცოცხლის ხალისს, რაც უბირველესად ასაკზეა დამოკიდებული. სიბერეს რომ ვუახლოვდებით, თანდათან მატულობს ამ ქვეყნიდან წასვლის აუცილებლობის სეგდა. თავს ნუ მოვიტყუებთ, თითქოს სიკვდილის შიში არ გვეკონდეს; ხალხში თავს თუ ვიწონებთ ბედის, უფრო სწორად, მოსალოდნელი ხვედრის არაფრად ჩავგდებით, ის მაინც გავინსენოთ, ძილის წინ, საკუთარ თავთან სიმარტოვისას, როგორ გვანჯღრევს წუთისოფ-

ლის სიბატარავე. ამას ისიც ემატება, არსებობისათვის ჯახირს რომ შევადრეთ ძალ-ღონე. პირველი თუ ბუნებრივად უცვლელი ძირითადი კანონია, მეორის ცოდვას ვერ დავდებთ ბრალად და არც ჩვენი ბრალია. ჯუნგლის კანონის მომხრეა ბუნება და ვერც პატიოსნების სიკეთეში ერკვევა ამიტომ.

სიკვდილთან მიახლოება დაბრძენებას გულისხმობს. ერთმა პოეტმა იხუმრა — ძალიან მწყინს, მიქელ-გაბრიელს რომ უნდა გავყვე ერთხელ, მაგრამ მალევე მომეშვება ხოლმე გულზე, როცა მახსენდება, გენიოსებიც რომ წავიდნენ ამ ქვეყნიდან, ჰოდა, მე ვინდა ვარ, გამონაკლისი დაუშვას ღმერთმაო. ამ ნათქვამში სამხიარულო ვერაფერი დავინახე; სამწუხარო კი იმაზე მეტია, ვიდრე ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს. ჩანსულ კორძაიას ლექსებში, თანამედროვეობას რომ ეხება, წუთისოფლის განსჯა-გარკვევაზეა ფიქრი, რაც, რაღა თქმა უნდა, პოეზიის ჩარჩოებშია მოქცეული („ჩანაწერები ჰაიდგერის კითხვისას“, „რად გაწამებენ პორიზონტები“... „ჰამლეტი“ და სხვა). წლები, ცოდნა-გამოცდილება ფიქრს გვაასწავლის, ამ ფიქრს კი მარადიულ თემასთან, ყოფნა-არყოფნასთან მივყავართ. იყო დრო, არა მარტო სიკვდილ-სიცოცხლის, სიყვარულის თემასაც ედო ტაბუ. თავის განწირვას თუ მოვიწოდებდით ნაწარმოებში, ისიც მხოლოდ ჩვენი „მამისა და მასწავლებლის“ სანაცვლოდ; სიყვარულითაც მარტო ის უნდა გვეყარებოდა და კიდევ — სამშობლო, ჩვენი მზრუნველი მამის სიბრძნით აყვავებული, ტურფა სამშობლო...

ჩანსულ კორძაია ტრადიციული ლექსის მომხრეა. ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ, ვინაიდან ეროვნული ტრადიცია გადამწყვეტი მგონია შემოქმედისთვის — სათქმელია უმთავრესი. სათქმელი კი ბევრი აქვს, ძალიან ბევრი, ამბობს კიდევაც, ეს კი ცხოვრებისეული გამოცდილების შედეგია. ეს კრებული კიდევ ერთხელ ამტკიცებს იმ

ჭეშმარიტებას, რომ ნამდვილმა პოეზიამ ასაკი არ იცის, ნაკლზე არაფერს ვამბობ, რომ ჩაფუქიკიტოთ, ჩრდილს როგორ ვერ წავაწყდებით ამ ნათელ კრებულში: სადაც სინათლეა, ჩრდილიც არის იქ. რაც მთავარია, პოეტი შეღავათს არ საჭიროებს, ამას ისიც ამტკიცებს, რომ მისი პოეტური კრებული წიგნის მაღაზიებში ერთ კვირასაც არ გაუჩერებიათ.

რომც არ მცოდნოდა, რომ სარეცენზიო კრებულის ავტორი ფილოსოფოსი იყო, ლექსები მაინც მიმახვედრებდა, არა ცნობილი ფილოსოფოსების ნააზრევის მოხმობით, არამედ თვითონ პოეტის დაბრძენებული მსჯელობის წყალობით.

ავტორს სითამამე, გამბედაობა არ აკლია — მოჩვენებით თავმდაბლობას არ იჩენს, რაც არცთუ ისე იშვიათად წავგვიკითხავს: აბა, მე რა პოეტი ვარ, მაგრამ ჩემი სათქმელი მეც მაქვსო და ასე შემდეგ, ღიმილს რომ მოგვგრის უნებურად. ჯანსუღ კორძაია პოეტია, მშვენიერად იცის თვითონაც. ლექსის წერის კულტურა, თემის შერჩევის ალლო, რითმის ცოდნა გვაფიქრებინებს, რომ ავტორი ბავშვობიდან წერდა და მხოლოდ მაშინ გამოიტანა საჯაროდ, როცა დროულად ჩათვალა.

ჯანსუღ კორძაია წრფელი პოეტია და მეც გულახდილად ვამბობ იმას, რასაც ერთი ლექსის სათაური მიმანიშნებს, ყდაზეც რომ გამოიტანა ავტორ-

მა: — „შენ უკვე შენ ხარ“ ამ ტრეცენზიასაც ამიტომ შევეუბნე ეს სათაური. როგორც უკვე ვთქვეთი, ავტორი ფილოსოფიის დოქტორია, პროფესორია. მაგრამ, ეტყობა, მისი ფიქრი მაინც ლექსს — პოეზიას უტრიალებს და, რაკი პოეტია ბუნებით, ალბათ ნაღვლობდა, რომ, ასე ვთქვათ, — გზას ასცადა, თავისი მიზანი, ნატვრა, მოწოდება ხარისხსა და წოდებაში გაცვალა. რას ვიზამთ, ფიქრი, ოცნება, მოწოდება ერთია, ცხოვრებისეული პრობლემები კი სულ სხვას გვიკარნახებს, სხვისკენ გვიბიძგებს, მე შენ გტყვი, ისე გვიცხოვრია ერთი წელიწადი მაინც, ყოყმანი, გზაჯვარედინზე წრიალი, იმედის გაცრუება დაგვკლებია (აქ უნებურად გვახსენდება გიორგი შატბერაშვილის მშვენიერი, ბევრისმთქმელი წერილი „პოეზია და სახლი“). და აი, ბავშვობისა თუ ახალგაზრდობის ნატვრა აუსრულდა — გამოვიდა წიგნი — პოეტის ნაფიქრ-ნააზრევი ავტორმაც სიხარულითა და სინანულით თქვა, უფრო სწორად, წამოიძახა — „შენ უკვე შენ ხარ“:

შენ უკვე შენ ხარ! და შენ ხარ, რადგან მისწვდი, რომ ქვეყნად შენი გაჩენა, ნიშნავს ამ ზეცის ისევ და ახლად კიდევ ერთხელ და კვლავ გადარჩენას. მისწვდი! და თამი ივსება გზებად, გზებად, რისთვისაც ხარ გაჩენილი. და ზედაც, როგარ იხსნება ზეცა, ზეცა, შენს მიერ გადარჩენილი.



დავით გოგოჭური

მთიულთა სხოვრების სურათები

გიგი ხორნაული რამდენიმე წიგნის ავტორია. მან პირველი წიგნი — „ახალყოლინი“ ჭაბუკობისას — 1966 წელს გამოსცა და მკითხველთაგან კარ-

გი შეფასებაც მიიღო. ახალგაზრდა მწერლის გამარჯვება აღინიშნა პრესაშიც. და აი, არცთუ დიდი ხნის წინათ

მკითხველმა მიიღო მისი მოთხოვნების ახალი კრებული „შვინტლიკა“.

უნდა ითქვას, რომ ჩვენს დროში მთიელთა ყოფას მკითხველი ძირითადად ლირიკული პოეზიის მეშვეობით ეცნობა და ებიური ჟანრები დავიწყებებს მიეცა. მათ გარეშე კი ხალხის ცხოვრების მხატვრული ასახვა სრული და სიღრმისეული არასოდეს ყოფილა. მკითხველი დღესაც ალ. ყაზბეგისა და ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებებიდან მიღებული წარმოდგენებით მსჯელობს მთისა და მთიელთა ცხოვრების შესახებ. ამ დროა ხარვეზს ოდნავადაც ვერ ავსებს თანამედროვე მთიელთა ცხოვრებაზე შექმნილი ცალკეული ნაწარმოებები.

როგორც ამ კრებულში წარმოდგენილი მოთხოვნების, ისე საერთოდ გზორნაულის შემოქმედებითი თემატიკა მთას დასტრიალებს. ავტორი ცდილობს მკითხველს გააცნოს თანამედროვე მთიელთა ცხოვრება, მთიელი კაცის სულის მოძრაობა, მისი გაჭირვება და დაღბინებაც, აჩვენოს საზოგადოების განვითარების ადგილობრივი პროცესები, თემურ-გვაროვნული ტრადიციების უხეში მსხვრევის ფონზე იქ საბჭოური ცხოვრების ნორმების შეჭრა და ახალი ადამიანების სულიერ-მორალური სამყაროს ავად თუ კარგად ჩამოყალიბება.

წიგნს „შვინტლიკა“ ჰქვია და მოდით, ჩვენც ამ მოთხოვნით დავიწყოთ ავტორი დასაწყისში გვიხსნის, რომ ხალხს შვინტლიკა ჩიტისთვის დაურქმევია, რომელიც უკანალს ვანუწყვეტლად აქანქარებს და „შვიტ, შვიტო“ იძახის. „რადაც საოცარი მსგავრება იყო, — წერს ავტორი, — ამ ჩიტსა და ბუფრიანელ ქალს, თინას შორის, ზედმეტ სახელად შვინტლიკა რომ ერქვა“.

თინა წითლაშვილმა სამი ქმარი გამოიცვალა და ბოლოს მოხუცებულ ქვრივს, ივანეს პირდაპირ ბაზრიდან აედევნა ცოლად. მეზობლებმა შეიცხადეს მთისთვის უჩვეულო ამბავი: ახალგაზრდა ქალი ცოლშვილამოწყვეტილ მამისხელა უცნობ მოხუცს რომ გამოჰყვა ცოლად. მალე ისიც ვაარკვიეს, რომ ეს დედაკა-

ცი უზნეობისთვის გაუგდიათ აღრიდებულ კრებს, მაგრამ თინამ მალე ტყუილი ბიჭი შესძინა ივანეს და პატრიარქის ტრადიციების მიმდევარი სოფელი ამბავმა ერთხანს აიძულა მიჩუმებულიყო; ივანეს სიხარული უსაზღვრო იყო. თითქოსდა ყველაფერი კარგად მიდიოდა...

გულუბრყვილო მთიელები ვერ ხვდებოდნენ თინას მზაკვრულ ჩანაფიქრს, ვერ ამჩნევდნენ როგორ იმორჩილებდა, გაგლენის ქვეშ იტყვევდა ახალგაზრდა ცოლი უნაგარო მოხუცს.

და აი, ბოლოს დადგა დრო, როდესაც თინა დაუბრუნდა თავის თავს: საიდუმლო სამიჯნურო ქსელი თანდათანობით გააბა ახალგაზრდა თანასოფლელებთან, მერე კი მისი ტრფიალების ბადე მახლობელ სოფლებსაც გადაწვდა და თინა წითლაშვილს ხალხმა იმ შვინტლიკა ჩიტის სახელი შეარქვა, უკანალს ვანუწყვეტლად რომ აქანქარებს.

შვინტლიკამ ისე აიშვა თავი, რომ მას ვერ აკავებს ვერავითარი ტრადიციული თუ მორალური მოსაზრებანი, უზნეობის წუმბეში რიგრიგობით ითრეცს თვით ქმრის ნათესავებსა და მახლობლებსაც კი. ადრე კაცური კაცობით ცნობილი მისი ბებერი ქმარი უძლური და უმწეოა მის მიმართ.

შვინტლიკამ განსაკუთრებით მას შემდეგ აიწყვიტა თავი, რაც ქმარი საეჭვო სიკვდილით თავიდან მოიცილა, მისი პირადი ნივთები საყვარლებს ჩამოუთრია, ქონება გაანიავა, პირუტყვი გაყიდა, ხოლო მშვიერ-ტიტველ ბავშვებს მეზობლები და მახლობლები არჩენენ. ბოლოს კი მისი უზნეო საცქიელის გამო მეზობლებს შორის სისხლი დაიდვარა.

ყველაფერი ეს სადმე სხვაგან რომ მომხდარიყო, შეიძლებოდა არც მაინც აღამაინც საოცარ კონტრასტად მოგვჩვენებოდა, მაგრამ ხდება მთის სოფელში, სადაც ჯერ კიდევ შემონახულია უძველესი თემური ტრადიციები და ადათები, თავგამოდებით იცავენ წინაპართაგან დადგენილ საოჯახო და ცოლქმრულ

ეთიკას, თემის მიერ სასტიკად ისჯება უზნეო დედაკაცი.

შვინტლიკას თავაწყვეტილობამ ყველაფერი ეს მიწასთან გაასწორა, წაბილწა და გაათახსირა. სადღა არის თემი, სად არის „ხმა ერისა და ხმა ღვთისა“. რატომ ვერ ალაგმეს ერთი უზნეო დედაკაცი? თემი აღარ არის, რადგან მის მორალსა და ტრადიციებს ოცეული წლებია მოსასპობად უტევენ ძლიერნი ამა ქვეყნისანი. ათასიანი ხრიკებით ებრძვიან მას, როგორც ჩამორჩენილობასა და უკულტურობას. ასე დაწიხლულმა თემობამ მაინც სცადა დამცავი საშუალების გამოყენება: შეიკრიბნენ და შვინტლიკა სოფლიდან მოიკვეთეს, მაგრამ სოფლის გადაწყვეტილებას ის სასაცილოდ იგდებს, რადგან „თანამედროვე, გამოსული“ მოქალაქეა და ამ „ჩამორჩენილი ველურების“ გადაწყვეტილებას მისთვის კანონის ძალა არა აქვს. შვინტლიკა მთელ სოფელს უპირისპირდება და ემუქრება კიდევ, რადგან იცის, რომ ხელისუფლება მას დაიცავს. აქ ასეც მოხდა: რაიონიდან ამოსულმა ხელმძღვანელთაგანმა მკაცრად დატუქსა სოფლის მცხოვრებნი „ძველი, მაგნე ადათ-წესების შემონახვისათვის“ და დაემუქრა კიდევ, თუ შვინტლიკას მოკვეთაზე ხელს არ აიღებდნენ. „დავუშვათ და არ იქცევა ისე, როგორც საპიროა, — თქვა რაიკომის წარმომადგენელმა, — ჩვენ ხელი კი არ უნდა ვკრათ, ბირიქით, გვერდში უნდა ამოვუდგეთ, დავენმაროთ“.

მკითხველი, ალბათ, იცნობს ამ ფრაზებს, ამ „ჰუმანიზმს“ ხომ ყოველთვის იყენებდნენ, როდესაც ხალხის რისხვისაგან ვინმე „თავისიანის“ გადარჩენა სურდათ, თუნდაც იგი შვინტლიკას მსგავსი სოფლის მახორბელი ყოფილიყო.

გატყდა სოფლის პირი ზემდგომის დაძალებით. შვინტლიკა სოფლიდან ვერ მოიკვეთეს. „ამ ამბების შემდეგ ხომ სულ აღარაფერს დაგიდევდათ შვინტლიკა, აიწყვიტა და ახლა როგორ აიწყვიტა... გადაიცვამდა თავის წითელ კაბას

და ხან აღმა მიჰქნაობდა სოფლის შტრაზე, ხან — დაღმა“.

შვინტლიკა არ არის მწერლის მფრთხილ გამოგონილი და ფანტაზიით გატაცებული პერსონაჟი. იგი ცოცხალი სინამდვილიდან აღებული ტიპი. ავტორს შეუძლია მისი პროტოტიპების მთელი წყება ჩამოგვითვალოს, რომლებიც ვითომდა სიახლისა და პროგრესულობისათვის ბრძოლის საბაბით ებრძოდნენ ყველაფერს, რაც ტრადიციული და მამა-პაპეული შემონახულიყო მთაში. შვინტლიკას მსგავსი ქალები კალიბრით შეესივნენ მაშინ მთას. ემანსიპაციის მომიზეზებით მოუწოდებდნენ ქალებს, არ დამორჩილებოდნენ მშობლებსა და ქმრებს, ეკეთებინათ ის, რასაც მოისურვებდნენ. შვინტლიკას მსგავსნი იძლეოდნენ მაგალითს იმისას, თუ როგორ უხეშად უნდა დაერღვიათ ადგილობრივთა ეთიკის ნორმები, აბუჩად აეგდოთ მთიელთა ადათები და წესები: მოესპოთ სულიერი თუ მატერიალური ფასეულობანი და ისინი ყველაფერ ამაში მხარდაჭერასა და თანადგომას პოულობდნენ ხელისუფალთა მხრიდან.

რაიკომის ინსტრუქტორი, რომელიც საეკვო კონტაქტებით არის დაკავშირებული შვინტლიკასთან, ემუქრება სოფელს — ვინ მოგცათ უფლება, რომ ეს ქალი მოიკვეთეთო და იქვე შერიგებისა და ურთიერთსიყვარულის სადღეგრძელოს იძულებით ახვევს თავს გაოგნებულ მთიელს.

მთისთვის დამახასიათებელი ახალი სოციალური ტიპია ჯურდანა („ბეჩავი“). ეს ფარაჯიანი უოჯახო და უმახლობლო, კეთილი ბოგანო მოულოდნელად გამოჩნდება მთიელთა სოფელში. ავტორი არ თვლის საჭიროდ მკითხველისთვის მისი წარსულის გაცნობას და მის მხატვრულ სახეს ვიწრო ლოკალით შემოფარგულ სოფლის ფონზე გვიხატავს.

მწერალი მთიელთა სოფლის ტიპიურ სურათსა ქმნის აქაური ადამიანებით, მეურნეობის დარგებითა და სამეურნეო საქმიანობით, თვალნათლივ გვიჩვენებს აქ მიმდინარე სოციალურ პროცესებს.

სეზონურად მომუშავე სოფლის ყოველ ოჯახს მუშახელი სჭირდება. პატიოსანი და დაუზარელი ჭურდანა ლუკმბურისთვის უპრეტენზიოდ ემსახურება სოფელს. კეთილსინდისიერად მწყემსავს მათ პირტყვეს და სოფლელებიც კარგი ვახშმით უმასპინძლებიან ცხოვრებისგან გათელილ და დაბეჩავებულ არსებას.

მკითხველისთვის საინტერესოა არა მხოლოდ ჭურდანას სახე, არამედ ის სოციალური პროცესებიც, რასაც ადგილი აქვს ჩვენი საუკუნის მთის ცხოვრებაში. სოფელი აღარ ცხოვრობს ადრინდელი თემური ცხოვრების ნორმებითა და ტრადიციებით. გაჩენილა ახალი ტიპი, რომელსაც არ გააჩნია არც წინაპართა სინდისი, არც შებრალების გრძობა და მხოლოდ გამდიდრება, ნაკლები შრომით დიდი შემოსავლის მიღება, ფუფუნება და დროსტარება გაუხდია ცხოვრების მიზნად. თავისი ეკონომიური მდგომარეობით იგი გამოპყობია სოფელს და მის მცხოვრებლებს ზემოდან დაპყურებას.

ეს ტიპი ჩვენს ლიტერატურაში ახალ-არ არის. კულაკის ტიპურ სახესა და ხასიათს კარგად ვიცნობთ ჯერ კიდევ გასული საუკუნის მწერლობიდან მოყოლებული. აქ ახალი ის გახლავთ, რომ მწერალმა მთის თემობრივი წყობილების ნამსხვრევებზე გვაჩვენა ჩვენს დროში ამ ტიპის აღმოცენება.

მიხილი თავისი მორალითა და საქციელით თანამედროვე საქმოსნებს უფრო ჰგავს, ვიდრე კულაკებად წოდებულ ბარელ გლეხებს; „თავისი ალალი, სულელური ერთგულებით შეება ჭურდანა მიხიელის უღელში; დღე და ღამე შინ თუ გარეთ ცეცხლად ედებოდა საქმეს, ოღონდ კი როგორმე მიხიელისა და მისი ოჯახისთვის დამტკიცებინა ერთგულება“ და როგორ უფასებს ამ ერთგულებას მიხიელი?

ცხოვრების უკულმართობით ისეც გათელილი, კეთილი, უბირი და შესაბრალისი ჭურდანა მიხიელმა მათარაბითა და

მოკვლის მუქარით დაიმონა და პირტყვეად აქცია.

სოფელს გული ნესტკივა ბუნებრივად და ანაზე, ცდილობენ ქვრივი მწერლობის დააოჯახონ, მაგრამ ეს უბედური ისე დაუშინებია და დაუშონებია მიხიელს, რომ მისი კლანჭებიდან წასვლაზე ფიქრიც კი გულს უხეთქავს.

სოფლელებს ჯერ კიდევ შერჩენიათ იმდენი სამართლიანობის გრძობა, რომ დაჩაგრულს, თუნდაც უცხოს, გამოეხარჩლონ, მაგრამ მიხიელი ახალი მოვლენაა, მისთვის სოფლის აზრი არაფერს ნიშნავს, ოღონდაც საკუთარი საქმე მოიხვაროს და ცხვარ-ძროხა გაამრავლოს. ამისათვის იგი გადაბირებას, მოტყუებას, დაშინებას და სხვა მრავალ არააკადრის ხერხსაც არა თაკილობს.

მწერალი ამ მოთხრობით მკითხველის წინაშე აყენებს ორ სოციალურ ტიპს: პატიოსან მშრომელსა და უპატიოსნო მბრძანებელს, და ჯეროვანი ოსტატობით გვიხატავს თითოეულის სულიერ სამყაროს.

გიგი ხორნაულისთვის ბავშვობიდანვე ნაცნობია მშობლიური კუთხის მკვიდრთა მატერიალური ცხოვრების პირობები თუ სულიერი სამყარო. იცის მათი წესჩვეულებები, ზეპირსიტყვიერება, დიალექტი. ამიტომაც არცერთი მისი პერსონაჟი ნაყალბევი და გამოგონილი არ არის. ისინი ხალხიდან გადმოხატული სახეებია, რომელთა ჩროტოტიბებსაც მთის ნებისმიერ კუთხეში შეხვდებით. არც პირადული, ავტობიოგრაფიული ელემენტებია ზოგიერთი მოთხრობისთვის უცხო. ამ მხრივ მკითხველის ყურადღებას განსაკუთრებით იქცევს „კარიელი კასეტები“, რომელშიც სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელთა ცხოვრების შთამბეჭდავი სურათია ასახული, დამაჯერებლად არის ნაჩვენები იმ მთიელი ბავშვების ხასიათის უშუალობა, ქალაქი და მატარებელი ჯერ კიდევ რომ არ უნახავთ.


თხრობა ბუნებრივი, მარტივი და სადაა, შეხვედრული ხალხურიდან მომდინარე სახეებითა და მეტაფორებით, ლექს-

სიკა — მდიდარი. ამიტომაც გ. ხორნაუ-
ლის ახალი წიგნი სიამოვნებით იკითხე-
ბა.

გიგი ხორნაული ჯერ კიდევ ახლის
მაძიებელ მწერლად ითვლება, ამიტომაც
კარგი იქნებოდა თუ სიუჟეტისა და კომ-
პოზიციის დახვეწაზე უფრო მეტს იფიქ-
რებდა. მაგალითად, ყოვლად უადგილოდ
გვეჩვენება ძირითად სიუჟეტში ჩართუ-
ლი კახელი მწყემსის არაგვში დახარო-
ბის ამბავი, იგი მკითხველს არაფერს აძ-
ლევს, ხოლო მოქმედების განვითარების
დინამიკასა და საერთო ემოციას ანე-
ლებს. ანალოგიური სხვა მაგალითებიც
გვაქვს.

მწერალი ხშირად იყენებს კუთხურ
ლექსიკას. უმეტესწილად შემოაქვს ისუ-
თი ფორმები, რომელთა ბადალი სადღე
ტერატურო ენაში არ მოგვემოხვედრება.
კარგია, მაგრამ ზოგჯერ ზომიანე მეტი
გატაცება ემჩნევა. მაგ., ხუთ სტსრიქონ-
ში სამჯერ არის ნახმარი „ღუღღღღი“ (გვ.
5), თუმცა მისი ბადალი სიტყვა (ბურღ-
ღღნი, ბურტყუნნი) სალიტერატურო
ქართულში გვაქვს.

გიგი ხორნაულის ახალი წიგნი ერთ-
ერთი იმათთაგანია, საიდანაც მკითხველს
შეუძლია თანამედროვე მთის ცხოვრე-
ბაზე სწორი წარმოდგენა იქონიოს.



ილია ფეიქრიშვილი

პიღვ პრთი უხვეღრა

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
ახლანან გამოსცა პოეტ სტეფანე მხარგრძელის
ლექსებისა და პოემების კრებული, რომლის
სახელწოდებაც აღებულია ერთ-ერთი ლექსის
სათაურიდან „ვიდრე ხარ“. მკითხველი მათ-
ში გაეცნობა ერთად თავმოყრილ, სხვადასხვა
დროს დაწერილ ლექსებსა და პოემებს. ისინი
ისეთიანირად არის შერჩეული და ქრონოლოგი-
ურად დალაგებული, რომ ივალწინ წარმოგ-
ვიდგება პოეტის ნიერ განვლილი ნახევარსაუ-
კუნოვანი შემოქმედებითი გზა, მეტად თავი-
სებური და საინტერესო.

დიდი სამაჟლო ომის დროს 18 წლის ჰა-
ბუქმა პოეტმა ჭარისკაცის ფარაჟა ჩაიღვა და
სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა. მუ-
შაობდა დივიზიისა და საფრონტო გაზეთების
რედაქციებში. ბუნებრივია, რომ მისი სამწერ-
ლო მოღვიწეობა სამაჟლო ომის წლებიდან
იწყება. თავის დროზე მის კარგი მომავალი

უწინასწარმეტყველა და სამწერლო გზა დაუ-
ლოცა გიორგი ლეონიძემ, რომელიც, ბავშვო-
ბიდანვე უმამოდ დარჩენილ, მატერიალურ და
მორალურ დახმარებას უწევდა. სტეფანე მხარ-
გრძელის პირველი ლექსი „იაკობ ჭულაშვილს“
ომის პირველსავე წელს სწორედ გიორგი
ლეონიძის რეკომენდაციით დაიბეჭდა გაზეთ
„კომუნისტში“.

სარტყნებში კრებული თემატიკურად მრ-
ვალფეროვანია.

წიგნი იხნნება ლექსით „დედის ამანათი“.
მასში ვხსნაკუთარებულნი, გულში ჩამწვდომი,
მართალი აღამიანური ტკივილების მძაფრი სუ-
რათითა დახატული. დიდი სამაჟლო ომის დროს
სანგარში გეომართან „მერცხალოვით შემო-
ფრინდა“ დედის ამანათი. ეს ებიზოდი სათუთი
განცლით და შთამბეჭდავი პოეტური ხერხებით
არის გადმოცემული: „ჩემს სანგარში, დედი,
შენი ამანათი მერცხალოვით შემოფრინდა ამ

დოსს. ჩურჩხელებს თერთმე შექმა გაა-
ნათა. შენს კალარას ჩამოგავდა ნამდვილად.
ჩემზე დარდით ჩურჩხელაც კი გადათვრდა,
წაბრვიდა თოვლი — ზამთრის კალარა, შვილზე
სევლა შენ ყოველთვის თანა გდევდა, შვილზე
დარდმა დედის შუბლი დაღარა“.

აქვეა დედისადმი მიძღვნილი მეორე ლექსიც
„სანამ დედა მყავს“, პოეტი აქაც თემის ერთ-
გული რჩება. მიმზიდველი ფერებით გვიხატავს
და ნაზი გრძნობით უმღერის დედაშვილურ
უსაზღვრო სიყვარულს: „ზამთრის დღესაგეთ
თუმცა ენოკლები, ესაღამოვდები ასე თანდა-
თან, სანამ დედა მყავს, მე არ მოვეცდები. შეგ
ფიქრთა ქრთლვას ქარსვე გავატყა“.

ღიღი სამამული ომის თემა ახლობელი
ქართველ პოეტებისათვის, უფრო კი იმ თო-
ბისათვის, რომელსაც სტეფანე მხარგრძელი
ეკუთვნის. ომის წლებში მან მრავალი ლექსი
გამოაქვეყნა ჩვენი მეომრების გამირობაზე.

წიგნში მთელი ციკლია შეტანილი საბჭოთა
მეომრების გამირობაზე. ქართული მეომართა მუ-
ნიციობას და თავდადებას ეძღვნება ლექსები:
„გაში მოსკოვის დამცველებს“, „ჩემი დევი-
ზია“, „მზესუნთხის მუზარადები“, „მერცხა-
ლო ნატყვიარო... ამ უკანასკნელში გადმოცე-
მულია ჩვენი მეომრების სათუთი გრძნობა,
როცა ისინი დამფრთხალ, უბედოდ დარჩენილ
მერცხლებს ესიყვარულდობოდნენ და მზესუნ-
თხისას სუსტ დევიზებს საძებნებს უყეობდნენ,
რათა მათი ბუდეები აეწეებინათ: „მერცხა-
ლო, სიციცხლის დარაჯად მიცან, გზა მინდა
გავეკალო დაბნდული; დავიცვა წმინდად ჩა-
ლა და მიწა, მაგ შენი ნისკარტით აზიდული“.

პატრიოტულ თემაზე შექმნილი ლექსების
ერთელ რკალში წარმოსახულია საქართველოს
გმირული წარსული. მისი ისტორიული ძეგ-
ლები, ბუნების მშვენიერებანი, ადამიანთა ჰუ-
მანური და ინტერნაციონალური სულისკვეთე-
ბა. ასეთებია: „საქართველოს წყაროები“,
„ბატკანი და გოგონა“, „თამთა“, „მესხეთში
მტკვარი არ არის წყნარი“, „სული ქართული“,
„გომბორის უღელტეხილზე“, „სადაც ალავერ-
დის თეთრი ტაძარია“, „სვეტიცხოველია თუ
ჯვარ-სამთავისი“, „რუსთაველის საჩუქარი“,
„თბილისი“, „მუხლი ვეფხვური“, „დავით გუ-
რამიშვილს“ და სხვები. მინდა გაგიხსენო
სტრიქონები ლექსიდან „მესხეთში მტკვარი არ
არის წყნარი“: „მესხეთში მტკვარი არ არის
წყნარი, აქაფდება და ზავითი მიღწლავს, მეს-
ხეთში მტკვარი არ არის წყნარი, მიზეზიანობს,
შეოთავს. იძღვრება... მესხეთის შემდეგ სულ
ჩუქად მიდის, აღარა შფოთავს, დინჯდება
მტკვარი. თბილისში ხდება წყნარი და მშვი-
დი, ვით ბავშვი, დედის კალთაში მჯდარი“.

ჩვენი ისტორიული ძეგლების ჰიმნად ქდერს
ალავერდის ტაძრისადმი მიძღვნილი სტრიქო-
ნები: „სადაც ალავერდის თეთრი ტაძარია,
ქალის იდაყვი მღვდლარე წარსულის, ზე-

ცამდე წასული ღრუბლებს აბარია, თითქოს
ზღაპარია სიცხადით ნახული. ეგებ მწვერვა-
ლია, ასე მერგნება, და როგორც ენებ,
მოსწყდა მთის ქარივანს და დუხუნუნებდა
დისნა მშვენიება ბნელის შეჩვენებად... სისხ-
ლის კარავად“ „ქართული სულის ზღვისკენ
გადანაცლება“ ადარებს იგი გემ „გვიორგი
ლომინოსი“ ცისფერ ტალღებზე ქროლვას:
„ჯავშნად აცეცა სიტყვის ბეთარი, ხალხის
ხსოვნაში აღარ გაცდებია, აი ეგ არი დაუ-
დეგარი სულის ზღვისკენ გადანაცლება“.

აღნიშნული ლექსები გამოირჩევიან არა
მარტო თემატური სიმდიდრით, ანალოგიური
სულისკვეთებით, არამედ, აგრეთვე ფორმი-
სული გადაწყვეტით, კომპოზიციური მითია-
ნობით, ორიგინალური პოეტური ხედვით. ლექს-
ში „მუხლი ვეფხვური“ ნათქვამია: „გადანდებ-
ბა ვეფხვის ჯიშზე მდებდა შიშო, ნუ, ნუ შე-
ვესწრო ამოძირკვას ამ ძლიერების მტრების
ჯინაზე ქართველებიც ვეფხვებად ვიშვით, ვართ
ამირანის, ტარიელის ნაშვირები... გადამდებ-
ბა? შორს ეს შიშო, გულს არ ვტყებო, მის
შეპარობას შეინახავს თუშო, ხევსურ... მარად
იცოცხლებს შეძახილი: „ვეფხვო, გავიქეხ! არ
ჩაიხრება საქართველოს მუხლი ვეფხვური“.

დღევანდელ ლიტერატურას სჭირდება მებრ-
ძოლი, მამხილებელი ნაწარმოებები, რათა თა-
ნამედროვე გარდაქმნის ერთიან ფრონტზე
საპათო ადგილი დაეკავოს მხატვრულმა შე-
ნოქმედებამ და თავისი წვლილი შეიტანოს
ნაკულუოვანი მოვლენების წინააღმდეგ ბრძო-
ლაში. ამ ბრძოლას გვერდს არ უვლის სტე-
ფანე მხარგრძელი, რომელმაც არაერთი ლექსით
ამხილა ჩვენს საზოგადოებაში ჭერ კიდვე შე-
მორჩენილი უარყოფითი მოვლენები. ამ მხრივ
აღსანიშნავია ლექსი „მასობი“, სადაც ავ-
ტორი გვეუბნება, რომ ადამიანი უნდა ცხოვ-
რობდეს ნიღბის გარეშე, „დე, დარჩეთ ნიღ-
ბები თეატრებს, ცხოვრება უნიღბო სჭობია“.

სტეფანე მხარგრძელი აგრძელებს ტრადიციუ-
ლი ქართული პოეზიის მაგისტრალურ ხაზს.
მის ლირიაში სინამდვილე დასახულია ობი-
ექტური თვლით. მხატვრული გარდასახვა რეა-
ლური და ემოციური და მალე შემეცნებათს
ღირებულებას იძენს.

კრებულში ფართო ადგილი უკავია ინტერ-
ნაციონალიზმისა და ხალხთა მეგობრობის თე-
მას. ასეთი ლექსებია: „სულიკო“ როდობის
მთებში“, „ვიციცხლო?“, „ცეკვავენ მთები“,
„ლესია უკრაინა სურამში“, „ლერმონტოვის
გასენება მამულის მოსათა“ ამ უკანასკნელ-
ში პოეტური პარალელი გავლენული მამულისა
და წიწამურის შორის: „გზა პოეტისა სისხლით
გაშუქდა, სახელიც, ტიწყავც ზედა ტიტანური
და ის, რაც მოხდა მაშინ მამუთან, გულზე
დამაწნდა, ვით წიწამური“.

„სულიკო“ როდობის მთებში“ ავტორის
ბულგარეთში მოგზაურობის შედეგად შეიქმნა.

ბულგარეთში, როდობის მალე მთებში, ომის გრაილში თურმე „სულიკოს“ მღვრდენ ბულგარელი მეომრები. იგი მოკვასია პიმნალ და მტრის რისხვად იყო ქცეული. ამ ქვეყანაში თავის მოგზაურობასთან დაკავშირებით 1949 წელს აკადემიკოსი ნიკო ბერაქენი შეიღი წერდა: „...გასული ომის დროს ბულგარეთში დამსტებების ბატონობისას რევოლუციური პიმნალ ბულგარულ კომუნისტებს „სულიკოს“ პირნათ“. სწორედ ეს გახდა ამ ლექსის დაწერის საბაბი.

პოეტი ლექსებს უძღვის ჩვენი ერის გამოჩენილ მოღვაწეებს, რომელთაც ქართული სული მსოფლიო ასპარეზზე გამოაბრწყინეს. ამ ლექსების ადრესატები არიან: რუსთაველი, დავით გუარამიშვილი, ანთიმოზ ივერელი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია, აკაკი, ვალაკტიონი, გიორგი ლეონიძე...

ერთსროფიან ლექსში „გალაკტიონის სკალით“ პოეტი აცხადებს: „ლექსი მაგონებს მიწისძვრას, ვაბრბაცებს მისი ძალით, ვზომავ სიმძლავრეს ბიძისას გალაკტიონის სკალით“.

ილიაზე ბევრი ლექსია შექმნილი. მათ შორის თავისი ადგილი აქვს ლექსს „გზა წიწამურას“: „სისხლით ნაშული გულს მანია გზა წიწამურის, ჩვენი მამული არ დინდეს, განა ილია, არ დილია ის ტკივილი და სინანული და მეწამული ის კრილობაც გადახსნილია“.


სტეფანე მხარგრძელი მოკრძალებული, თავმდაბალი პოეტი. მისი ლექსები უშუალოდით, ფერთა სისხლით, მუსიკალური ელერადობით გამოირჩევიან. გინდა მისი პოეზიიდან გამოკეყოთ თნამედროეობის მძაფრი შეგრძნებით, პოეტური განცდითა და პუბლიცისტური სიმხველით გამოკევეთილი ლექსები: „შიში“, „გამარჯობა, საქართველო!“ „სიცოცხლე დიუკდავება“, „საჩიხე მთა ზოოპარკში“, „ფერი გადახატულ ვახუშტის“, „ხევის პატარძალი“, „ბალადა უკვდავებაზე“, „ეინა თქვა, გმირი კვდებოდეს“, „ო, მშობლიურ დედებუნებაზე“ და სხვა. ზერელე ნათქვამი რომ არ გამოგვივიდეს, მოკეყანთ ამონაწერს ლექსიდან „ხევის პატარძალი“: „როგორც შევხედე დაბლიდან მიწივარწვერს — ხევის პატარძალს, ქითქითა შუქმა დამინდა, თოვლმა კინაღმ გადამწვა. თოვლი მწვავს, თოვლი მატყევეებს, — თუ საღმე გავგონებთ! მისმა სითეთრემ წმართთა ჯერ გული, მერე — გონება. რომ მივაცქერდი, იმორცხე, გახედა ზე-

ცის კამარას, მერე მოიგლო მინდოლი — თავი ღრუბლებში ჩამალა. ნეტავი ზვიად ანურვებს — ნალე ქარათთა მწვერავებს, არ დავიდევენ მანძილებს, სოერკეებს ვადასტურვენ, პატარძლის უბეს ჩაპხედვენ, ვით ვეწებენ უღლებლებს. ნეტავი სიმალეების და სილამაზის მებუნელებს“ ლექსში „ო, მშობლიურ დედებუნებაზე!“ პოეტი ბუნებას შეგვირდობას: „შეათოვს, რომ ფერთა ისტატობა ასწავლოს: „გამათატატე, გამაჯადონსე და თუ გასურს ჩემი მადლი მოიხსა, ვახუშტის პირს კვირტად გამტკორცე, და მამრილე ბაღში დროისად“.

საინტერესოა სტეფანე მხარგრძელის კრებულში გამოქვეყნებული პოემები „გარდაცვალი დროში“, „მოლოდინი“, უცნასნელ ხანს შექმნილი ისტორიული პოემა „ბულბული“. პირველი ორი ომისშემდგომ პერიოდში გამოქვეყნდა ლიტერატურულ პრესაში და საკოლმეურნეო ცხოვრებას ასახავს, მესამე კი მეფთქესმეტე საუყუნის გმირ ქართველ ქელს ბულბულა ქეიშხეთელს ეძღვნება. სამივე პოემაში მოქმედ პირთა რაოდენობა მცირეა, მაგრამ მათი მოქმედების ასპარეზი კი ფართო.

პოეტის მიერ განვილი გზა გვარწმუნებს, რომ მის ლექსებში მკითხველი იგრძნობს მალე მოქალაქეობრივ პათოსსა და შენართებას, სიმართლეს, მოვლენათა მხვეილი თვლით ხედვას. მის პოეზიაში გარემო აზრის წარმოსახვისა და განვითარების მსგულელობასთან პარმონიულად და ორიგინალურად არის შერწყმულ-შეხამებული. იგრძნობა ინტელექტი და პროფესიონალიზმი. მას უნარი შესწევს მისთვის საინტერესო ყოველი მოვლენა პოეტურ ხარისხში აიყვანოს, დამჯერებლად გვიჩვენოს ტკივილის გამაძერების მიზეზებით. ენობრივი და აზრობრივი ქსოვილი დიდ მნიშვნელობას იძენს ნაწარმოებთა სრულყოფისათვის.

კიდევ მრავალჯერ გადავვლოს პოეტს გომბორის მთებზე, მრავალჯერ გადავედოს ილაზნისათვის, ამაღლებული სიყვარულით შთაგონებული კიდევ ბევრი ძალი ლექსი ეძღვნას სათაყვანებელი საქართველოსათვის და მოეხიბლოს მკითხველის გული. ეს იმედო მის ერთერთ ლექსშიც არის გამხელილი და გვინდა წერილი პოეტის სტრუქტურებით დავამთავროთ: „ერთხელაც ავალ გომბორის მთებზე, კიდევ გახედვად უხმოდ ილაზნის, მერე ამაგეთ თუნდ ხარის რქებზე ანდა მონკალით უფრო ლამაზად“.



და ნელი ტანჯვით იხსნება ბაგე

„უდავოა, რომ ეპოქა სიკვდილის შვილები ვართ, და ერთადერთი, რაც ამის მწარე შეგრძნებას გვიმსუბუქებს ის არის, რომ არ ვიცით როდის მოგვეღივანება განკითხვის ეპოქა. დროის ასეთი განუსაზღვრელობა ერთგვარად უახლოვდება უსასრულობასა და იმას, რასაც ვუწოდებთ მარადისობას“ — წერდა დიდი ფრანგი მოაზროვნე ჟან დე ლა ბრუიერი.

წელიწადზე მეტია მარადისობას შეერთებია სული ახალგაზრდა შემოქმედისა, ტრაგიკულად რომ დატოვა მჩქეფარე სიცოცხლე.

„მე ვარ მგელი
და ჩრდილივით ვუვლი გარშემო
შენი ძილის სურნელს...“

წერდა თამაზ ბაძაღუა თავისი ერთადერთი პირმშოსადმი მიძღვნილ ლექსში და ვაი რომ პატარა თუთას მარადიული ძილის სურნელს ახლაც ჩრდილივით უფლის... კიდევ უფრო სამწუხაროა, რომ მისი ხანმოკლე ცხოვრების უძვირფასეს მეგობარს ზღვა ველარ გაახსენებს დიდ სიყვარულს.

„ჩვენ ბოლო კონკა თოვლს დავასწართ
და თოვლმა ვეღარ იზეიმა
ბედნიერება ჩვენი მწყობრი ნაფხურების“.

„ჩემი ცრემლი ამ თვალების ღებთ გრძელდებოდა...“
ეს მარადიული ტივილია, ეს ის გრძობაა, „საუტუნოვან ღამეებში“ რომ გაგახედებს თავხმა წვიმაში, რომელიც აუხდენელ სიწმარებს ასმელებს.

„ბებერო ცაცხვო,
მეც დამფარა ყვითელმა ზაესმა
და ჩემი ქერქი გაივლინთა სიკვდილის
წყლებით,

ბებერო ცაცხვო,
გაზაფხულზე მეც ვიყავივლემ შენს ხმელ
ტოტებთან
და წყნარად, წყნარად მეც ვმალდებდი
დაკარგული სიხარულისკენ“.

ამ სტრიქონების დამწერი უჩვეულო წინათგონობითაა შეპყრობილი. „გლუვი დღეების“ მოსაწყენი ერთფეროვნება პოეტის სულს მინც მუხტავს, რომ კვლავ სიტყვებისკენ წავი-

დეს... და ეს მსველგობა, სახვე ღამეებით და ია-იებით სანუგეარ მიწანთან მიიყვანს:

„და როგორც ღმერთი, გამოჩნდა სიტყვა,
თურმე ვიდექი უფსკრულის პირას“.

უფსკრულის პირს მდგარ პოეტს მხოლოდ სიტყვა გადაარჩენს, სიტყვა, რომელიც სტანჯავს მარტოობისას...

მე ვიცნობდი თამაზ ბაძაღუას, მაგრამ არ ვიცოდი, თუ ასე მარტო, ასეთი დიდი ტივილებით ცხოვრობდა. თურმე რამდენა უძილო ღამის დაფეთებული ჩრდილი ტრიალებდა მის ფართო და სიცოცხლით სახვე ციხეფრ თვალებში. დინჯად გაიღმებდა და კაცს ეგონებოდა, ამით ყველაფერს ამზობსო, მაგრამ გამოუთქმელი სიტყვები ყოფილა მისი ბოზოქარი სულის აღტყინების თანაზიარი.

„ჩემი ბალიში
ყოველღამე ბრძენივით მიხსნის:
ნუ ემზადები ცხოვრებისათვის“...

მაგრამ ეს ახსნა არაა ხელჩაქნეული კაცის უმწეო ფიქრის ნაყოფი, ესაა მარადიული სწრაფვა სამყაროს შეცნობისკენ.

„როცა შენმა თვალებმა მკითხეს:
რა საიდუმლო გადამალეს შემოდგომის
ყვითელ ღამეში
მოცახცახე ხელისგულებმა,
რა სინანულზე ჩურჩულებდნენ ეს სუსტი
და მორცხვი თითები,
მე წყვილიდისკენ შებრუნებულ მთვარეს
ავძახე:
ჩემი ხელები ჩემი სულის გაგრძელებაა“.

თამაზ ბაძაღუა მძაფრ ხედვას, ზშირად უკიდურესობამდე მიხულ აღტყინებას თავისებური ფერებით ხატავს. ყოველი მისი სიტყვა ბუნებრივია და მოხდენილი, ლექსის კონტექსტში ფუტე-ქვახავით ჩამჯდარი და შენივთებული.

„ფანჯარასთან რომ აფრიალდებდა
დაქირხლული ზამთრის ფოთოლი
ეგ იქნება ჩემი ბართი — რომანტიკის
ბოლო აკორდი.“

„სიტყვები, როგორც ბალახში გველი, იწუნენ სხეულში და ჩუმად თრთონენ“.

ან კიდევ

„მე დამესიზმრა: თითქოს შენს სიკვდილში შევედი, როგორც შემთხვევით გამოღებულ კარში და ვერ გიკანი“.

რამდენი ასეთი მაგალითის მოტანა შეიძლება...

თამაზ ბაძაღუას ლექსებს აქვს საკუთარი. ხხვათაგან განხიზვებული ხმა. ეს ცხადია, ადვილად არ მიიღწეოდა. იგი ხატავს როგორც ხედავს და ეს აძლევს ბგერებს ბუნებრივ ეერს. მახავით სხვას არ ძალუძს დანახვა. ნიჟიერი კაცი წერდა, თარგმნიდა, სწავლობდა... მომავალში უკეთესს შექმნიდა, მაგრამ...

ჩემი წერილის მიზანს არ წარმოადგენს თ. ბაძაღუას შემოქმედების საფუძვლიანი განხილვა. მე უბრალოდ მისი ახალი წიგნის „ქვასა და სიტყვებს შორის“ შეხახებ მიხდოდა მეოქვამ რამდენიმე სიტყვა. მსჯელობაბაც და სიტყვა-მრავლობაბაც მოვერიდე. კარგი სტრიქონების მოტანა ვამჯობინე, თორემ რა უნდა ვთქვა მეტი იმ პოეტზე, რომელიც ასეთი შესანიშნავი ლექსის დამწერი:

„ჩრდილებს ამძიმებს ღრუბელი ფრია და გზისპირებზე ლურჯი ბინდია, საღლიც ქარები თამამად ქრიან, მაგრამ ქარებიც ვერსად მიდიან. შენ კი რას ეძებ, სად იბედები, გზას სად მიიკვლევ ხელისციცებით, ჩამტვრეული გაქვს თითქოს ფერდები, ვარდები, მაგრამ ვეღარ ვცემი. მოწვეთავს ცრემლი — ვეღარ ტირიხარ, დაგპრეს და სისხლი მიანიც არა გდის, გადავაწნავენ მათრახს ირიბად და შენც მაღლობას იხდი მარადის. წვიმს, მაგრამ წვიმაც ვეღარ გასკელებს, გაქულს და ალერსით უზანგს ულკოვგ, მზე ჩადის... ჩადის და შენც ასევე ჩადიხარ, როგორც უპასრულობა.“

„შენს ურუ კედლებზე მარტოობა ამოუტვრევრავთ, როგორც ხავარეული დერბი...“ ამ ბოხს პოეტი თავის „გაზაფხულის ხავალო-ლებში“, ვფიქრობ, ლირიკულ გამორჩენის და მოკიდებულება, ერთი შეხედვით, უკიდურესობამდე დამახულ, მაგრამ უშუალო და მგრძნობიარე პოეტის ორიგინალური ხედვის ნაყოფია. ეს კი იმის გაჩანთია, რომ თ. ბაძაღუას პოეზია მართლა იპოვნის მკითხველის გულს.

ჩვენ გავიპარეთ სიმარტოვეში, როგორც ქალწული პირველ პაემანზე“.

ამკარად იგრძნობა, რა შინაგანი ტანჯით უცხოვრია ამქვეყნად პოეტს. ის ერთი შეხედვით მშვიდ დამეში ხედავს „სოფლის თავზე ჩამომხვრვავად მთვარეს“ და ესმის სულს. შემძვრელი ხმა სანტრელი ადამიანისა, რომელიც შეშლილივით ჩურჩულებს... ეს ჩურჩული დიდი ტკივილიცაა და მარტოობისაგან გაყინული სისხლის გაოცებლება.

„შენ გიყვარს ღამე, დიდი ხნის წინ გათენებული“

და მის შებ წყალში ფოთლებივით ჩიცვენილი შენი ხელები“.

დამის იდილია? — იქნებ უფრო მეტიც... სვედა? — იქნებ კიდევ უფრო მეტი. ყოველ შემთხვევაში ესაა პოეტის ფიქრისა და გრძნობის ნაყოფი, კარგი სტრიქონებით დახატული... და ფიქრობდა ახალგაზრდა კაცი სამყაროზე, მის უსასრულობაზე, წუთისოფლის ამოებაზე... თავისებურად ესმოდა წყაროს ჩუხჩუხიც და ღრუბელთა დაჯახებაც... თავისებურადაც ხატავდა...

„თამაზ ბაძაღუას ლექსები აღბეჭდილია ძლიერი ვნებებით, სახეებით, ადამიანის ცნობიერი თუ ქვეცნობიერი შინაგანი ცხოვრების ამრკელავი ხილვებით. თამაზი ამთავრებდა. შემოქმედებითი მომწიფების პროცესს და სამომავლოდ ბევრს გვპირდებოდა...“ — წერს თამაზ ვახაძე წინამდებარე წიგნის წინასიტყვაობაში. და ჩვენც, რამდენადაც შევძელით ვცადეთ წინა პლანზე წამოგვეწია, ავტორის პოეტური ხილვები.

ბევრი კარგი და უთუოდ უწრადღებამისაქცივეი რამ შექმნა თამაზ ბაძაღუამ. ქართული მწერლობა და ხელოვნება ხამომავლოდ, აღბათ, მეტი გულისტკივილით გაიხსენებს უდროოდ დაღუპულ პოეტსა და დრამატურგს.





დედაბუნების ქომბაგი

არნოდ გეგეკორი ჟურნალ-გაზეთებში დიდი ხანია აქვეყნებს მეცნიერულ-მხატვრულ სტატიებს ბუნების საიდუმლოების საინტერესო საკითხებზე. ეს სტატიები ორ მოზრდილ წიგნად შეიკრა და „დედაბუნების“ სახელწოდებით გამოცა გამოქვეყნდება „განათლების“ მიერ.

პირველი წიგნი იხსნება მუხრან მაკაჯარიანას შესავალი წერილით, სადაც ვკითხულობთ:

„მზის სხივებთან და წვიმის წვეთებთან ხეთა ტოტემისა და ბალახების ღეროთა ურთიერთშეწყვენით იქსოვება სიცოცხლე ცისა და მიწის შუა.

ხელის უხეში გაქვეით ამ ძვირფასი ქსოვილის გაფხრწა, — საკუთარი სიცოცხლის შემოკლება, იმ ტოტის მოჭრა, რომელზეც თვითონ შენ ზიხარ.

რაც უფრო უხვია ამა თუ იმ ქვეყნის ბუნება, — მით უფრო მდიდარია იქაურთა ენა.

დაცვა ბუნებისა (ნურაგინ იტოშებს). — გარკვეულწილად დედაენის დაცვა.

ცოცხალი სამეტყველო ენის ლექსიკური მარაგის შემცირება ძალიან ზშირად სწორედ ბუნების გაღარიბებითა გამოწვეული...“

სრული ქეშმარიტებაა: ბუნების გაღარიბება არა მხოლოდ ქვეყნის მატერიალური სიმდიდრის გაღარიბებას იწვევს; არამედ აქვეითებს ადამიანებს სულიერად, გამდიდრებისა და განვითარების საფუძველს აცლის დედაენას.

არნოდ გეგეკორის პირველი წიგნის მეთაური სტატიისათვის — „რად გვეყვარს მშობლიური ბუნება?“, ეპიგრაფად წარუშმდგარება ბალაქტონის შთაბეჭდავი სტრიქონები:

„ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველა არ გავიარე — რაა მამული?“

ბუნების დაცვის, სამშობლოს სიყვარულისა და კაცობრიობის მომავალი კეთილდღეობის ზრუნვის პათოსითაა გაუღენთილი „დედაბუნების“ ორივე წიგნი. „დედამიწაზე გვხვდება იშვიათი სილამაზის ადგილები. საქართველოც მათ რიცხვს განეკუთვნება. სად ნახავთ ერთ მუქა მიწაზე ჩვენი პლანეტის უდიდესი ნაწილისათვის დამახასიათებელ ბუნებრივ პირობებს, კანონზომიერებებს? აქ, გარდა ეკვატორულისა და ტროპიკულისა, მინიატურაში წარმოდგენილია დედამიწის თითქმის ყველა ზონა,

თითოეულ მათგანში კი ბუნების რამდენი საოცრებაა გაფანტული.

„ზამთარ და ზაფხულ სწორად გვაქვს ყვავილი ფერად-ფერები; ვინცა გვიცნობენ, გენატრიან, იგია, ვინა მტერები“

— ამბობს უკვდავი შოთა რუსთაველი.

„სამშობლო და ბუნება ტოლფასოვანი ცნებებია. შეუძლებელია ერთმანეთს დავაშოროთ ბუნება და ადამიანი, რამეთუ ადამიანი ბუნების ნაწილია, მისი შეილია. ამიტომ დედამიწის სიყვარულით სათუთი და ალერსიანი უნდა იყოს მისი დამოკიდებულება ბუნებისადმი“ — წერს არნოდ გეგეკორი.

„დედაბუნების“ ორივე წიგნში მასალა წელიწადის ოთხი დროის მიხედვითაა განაწილებული. I წიგნში გახაფხულისა და ზაფხულის, II წიგნში კი შემოდგომისა და ზამთრის შესახებია შეტანილი მასალა. ორივე წიგნი შეიცავს საქართველოს ბუნების, მისი ფლორისა და ფაუნის, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხის გეოგრაფიული მდებარეობის, ლინდშტეტის, ხალხის მეურნეობისა და ეთნოგრაფიის თავისებურების, მისი სულიერი კულტურის მსახველ მდიდარ მასალას. წიგნები უხვად გვაწვდიან ინფორმაციას ბუნების საიდუმლოებასა და სასწაულებზე, რაც აღძრავს მკითხველში ბუნებასთან დაახლოების, მისი ღრმად შესწავლის, ეკოლოგიური ცოდნის შეძენის ცხოველ ინტერესს, ბუნების სიყვარულს, მისი სილამაზით ტკბობისა და ეროვნული სიამაყის გრძნობას.

დიბ, საქართველოს სხვადასხვა მხარის ბუნება სხვადასხვაგვარი სილამაზის მქონეა და მისი ყველა კუთხე წარმოადგენს თავიუკლს. ბუნების სრულყოფილების წარმოსახენად აეტორი არ იშურებს მაღლიანი ქართული სიტყვის ძალას. სიტყვიერ პასაჟებს კიდევ უფრო აძლიერებს იშვიათი გემოვნებით შერჩეული ფოტოსურათები, რომლებიც თავად ა. გეგეკორს ზოგჯერ სახეითო პირობებში გადაუღია.

თავისი სტატიების შინაარსის ცხოველყოფილების ძალის გასაძლიერებლად აეტორს დიდი გემოვნებით შერჩევა თემატურად შესატყვისი მაღალმხატვრული ლექსები როგორც ხალხური პოეზიიდან, ასევე კლასიკური და საბჭოთა პოეტების შემოქმედებიდან.

ორივე წიგნის კომპოზიცია ენათესავება იაკობ გოგებაშვილის „ბუნების კარს“. ამ წიგნების შინაარსის მხატვრულ-ესთეტიკურ ღირებულების უთუოდ ამაღლებს ისიც, რომ წელიწადის ოთხივე დროის სურათების გალერეის გასაღებად ავტორს გამოუყენებია ი. გოგებაშვილის მეცნიერულ-მხატვრული სტატიები: „გაზაფხული“, „ზაფხული“, „შემოდგომა“ და „ზამთარი“.

წიგნში მოთავსებული მასალა ძირითადად საბუნებისმეტყველო შინაარსისაა, მაგრამ ბლომიდაა გეოგრაფიული, ასტრონომიული, ისტორიული, სამეურნეო, საყოფაცხოვრებო, არქეოლოგიურა, ანთროპოლოგიური და სხვა შინაარსის ტექსტებიც, რომლებიც მეცნიერების უახლეს ცნობებს შეიცავენ.

სტატიებს ზემოქმედების ძალას მატებს ემოციური ეპიზოდების ჩართვა. სინტერესოა მწერლის სტილი, რასაც საბუნებისმეტყველო-გეოგრაფიული და ისტორიული ხასიათის სტატიების თხზვისას ხშირად მიმართავდა დიდი პედაგოგი და საბავშვო მწერალი იაკობ გოგებაშვილი.

ამგვარად წერის ღირსებაზე ი. გოგებაშვილი აღნიშნავდა: „ბუნების კარის“ შედგენისას გვერდი ავუქციეთ იმისთანა მხარეებს საგნებისას, როგორც არის კლასიფიკაცია მცენარეებისა და ცხოველებისა და მათი ანატომიური აგებულება, რაც შეადგენს პირდაპირ საგანს

ბუნებისმეტყველების სახელმძღვანელოსას, სინაგიეროდ დიდი ყურადღება მივაქციეთ იმას, თუ რა დამოკიდებულება არსებობს მკერძარეთა და ადამიანთა შორის, როგორ ცხოვრობენ ცხოველო, როგორ იბრძვის არსებობისთვის... ადგილი უჭირავს ბუნებაში, რა დამოკიდებულება აქვს სხვა ცხოველებთან და მეტადრე ადამიანთან და თვით თავის სამშობლოსთან (ფრინველების მგზავრობა, ორატულის ცხოვრება)... ჩვენს წერილებს მთავრად უნეტეს ნაწილად მოთხრობითი ფორმა, რომელიც ერთიორად და სამად უადვილებს ნოსწავლეთ საგნის შეთვისებას“.

ორივე წიგნი მიზნად ისახავს ეკოლოგიის მტკიცეული საკითხების ღრმად გარკვევა-გაშუქებას, ახალგაზრდობის (და არა, მხოლოდ ახალგაზრდობის!) ეკოლოგიური განათლებით შეიარღვებას, რაც დღეისათვის საკაცობრიო მნიშვნელობის უდიდეს პრობლემადაა ქცეული, ვინაიდან ადამიანის უგუნურა ხელყოფით ბუნება მძიმედ დაჭრილია, დარღვეულია მისი ბარმონიული წონასწორობა და საპასუხო რეაქციებს, მეტად ტრაგიკულ შედეგებს ჩვენ კარგა ხანია უხვად ვიპყით.

ასეთ სიტუაციაში, არნოლდ გეგეჰორის წიგნების მკითხველთა სამსჯავროზე გამოტანა უთუოდ მისახალმებელია. საჭიროდ მიმაჩნია მათი ხელშეწყობა გამოცემა დიდი ტირიით.



ლევან მილორავა

პასუხი ნაზარბაიევს!

თბილისის ცხრა აპრილის ტრაგედიის გამომკვლევმა რესპუბლიკურმა კომისიამ ყველა ღონე იხმარა, რათა უმოკლეს ვადაში სრული ობიექტურობით შეესწავლა და აეხსნა ამ ფაქტის ძირითადი არსი, მისი გამომწვევი მიზეზები და საკავშირო სახალხო დეპუტატთა ყრილობის წინა დღეებში გამოაქვეყნა კიდევ პრესაში თაფის დასვენა, რომელიც ბროშურების სახით დაუროდლო საკავშირო ყრილობის მონაწილეებს.

ჩვენმა წარგზავნილებმა მოსკოვს ჩაიტანეს უზღვავე ფოტომასალა და კინოფირი, რომელშიც ასახულია კაცთმოძულეობის ის მთელი აქცია, რომელიც აქ, ჩვენთან, ცხრა აპრილის გამთენიის ვაჟს კანიბალურმა მოაწყვეს. მთ ყრილობის პირველსავე დღეს მთელი პრინციპულობით ნოიფხოვეს ამ მასალებს გაცნობოდნენ ყრილობის მონაწილენი...

მიუხედავად ბნელეთის ძალთა ფარული, მტკიცე წინააღმდეგობისა, საქართველოს წარმომადგენლებმა სახალხო დეპუტატთა მოსკოვის, ლენინგრადის, ბალტიისპირეთისა და სხვა პროგრესულად მოაზროვნე ადამიანთა ჩარევითა და მხარდაჭერით მოახერხეს ეს კინოფირი სახალხო დეპუტატთა საკავშირო ყრილობას ეტანა:

სწორედ იმ დღეებში, ივნისის პირველ რიცხვებში, მოსკოვს გახლდით მსახიობის სახლეების დირექტორთა საკავშირო თათბირ-სემინარზე, სასტუმრო „როსიაში“ ჩამოყვები. თითქმის ყველა დილა-საღამოს, ყრილობის სამუშაო საათების დაწყებისა და დამთავრების ვაჟს ვხვდებოდით ჩვენს დეპუტატებს, ვსაუბრობდით შთათან და ამ საუბრების თემა ყოველთვის საქართველოს საკითხით, ცხრა აპრილის ამბებით იწყებოდა და მთავრდებოდა.

ჩვენმა სახელოვანმა მამულშივილმა და სკულპტორმა, სახალხო დეპუტატმა — მერაბ ბერძენიშვილმა მიაშპო: „როცა სახალხო დეპუტატთა საკავშირო ყრილობამ ცხრა აპრილის თბილისის ტრაგედიის ამსახველი დოკუმენტური კინოფირი ნახა, დეპუტატთა ერთი ნაწილი, ყველას გასაოცრად, ხარხარებდა... დიხ, დიხ, ხარხარებდა!!!!“.

„ნეტავ, რა ფირი უჩვენეს ყრილობის დელეგატებს ასეთი სასაცილო და სახარხარო?!.. მთელმა ჩვენმა რესპუბლიკამ და (მათ შორის მეც) ხომ ნახე ეს ფირი ტელევიზიის მეოხებით?!“ — ამეკვიტა ეს აზრი, დავკარგე ძილი და მოსვენება...

თუ არ ვცდები, ორ ივნისს, საღამო ხანს, სასტუმრო „როსიასთან“ მდგომარე ასეთი დიალოგი მოვისმინე:

— „სულში, იუზბაშ, თი ვიდელ, ფოზაგჩერა გრუზინსკი ფილმი?!“ — ჰკითხა ტიუბეტეკიანმა ჩასხმულმა უხუცემა თავის მოინახეს.

— „და, ვიდელ!“ — უპასუხა მან.

— „თი პასპაორი, გრუზინი ქაქე ხითრიე, ქაქორ ფილმ ფასთავილი.. ასობენო სმუნო ბილო მნე, ქაგდა თანკი შლი, ა დევეშქი ფელი..“

— „და, და, ქაქე ანი გერაინი, გრუზინსკი დევეშქი!“ — დაუდასტურა მეორემ და ხეამალა გადიხარხარეს.

სისხლი ამმღერა, წონასწორობა დაეკარგე, ჩემდა იღბლად მერაბის ნამბოზმა გადაშარჩინა და მინც ჩემს ღმერთს ვეშადლი, რომ ეს ასაკოვანი კაცი კაცისმკვლელი არ გაგხდის..

ეს ხომ ასე იყო, და, ჩემმა აღშფოთებამ კულმინაციურ წერტილს მიაღწია, როცა ერთ-ერთმა მინისტრმა სამკობს თავმჯდომარეზე (1) სახალხო დეპუტატმა, ნურსულთან აბიშისძე ნაზარ-ბაევმა ყრილობის შიშლი ტრობუნიდან განაცხადა: „მე ამ ფილმში, გარდა დიქტორისა, კტეტსტანსა აღმწამფრთხიელი ვერაფერი დავინახე“.

გენერალის მხარე

რომ არა ქართველი დეპუტატის რეგულარული თაბუკაშვილის გონივრულად რეაგირება ამ განცხადებაზე, თუმცა, ნუ იკითხავთ და, ნაზარბაევი იმ კომისიის თავმჯდომარედ კი ინიშნებოდა, რამელიც ყრილობამ, ქალაქ თბილისში 1989 წლის 9 აპრილის მომხდარ ამბებთან დაკავშირებული ვარაუდების გამოძიებულ კომისიად ჩამოაყალიბა..

მადლობა უფაღს, რომ ეს ასე არ მოხდა, მაგრამ ნაზარბაევი, ამ განცხადების შემდეგ, კომისიის წევრად მანც აირჩიეს.

როცა კომისიის შემადგელობის შესახებ ვმსჯელობდით, გამოითქვა აზრი, რომ კომისიის თავმჯდომარე — ანატოლი ალექსანდრეს ძე სობახაი, კომისიის წევრები: ალექსანდრე მასკო-მეს ძე იაკოვლევი, ვილენ თეფლორეს ძე ტოლბეგენიკოვი, ბორის ლევიჩის ძე ვასილევევი, რაულ ზინურის ძე საგდევი, ნატალი პეტრეს ასული ბებტერევა, ვალენტინა ივანე ასული ფედოტოვა, დიმიტრი სერგის ძე ლიხანოვი, ჰენრიხ ავიაზის ძე ბოროვიკი — ესენი ის აღამიანები არიან, რომლებიც არავითარ შემთხვევაში არ უღალატებენ სიმართლეს; აღამიანურ სინდისს... აღმათ ასეთები სხვებიც არიან ამ კომისიაში, რომელიც მე არ ვიცი და ამიტომ წინასწარ ბოღმს ვიხდი მათ წინაშე.. მაგრამ?!.. მაგრამ?!.. ხომ შეიძლება ამ კომისიაში აღამიანდურ ნაზარბაევის მსგავსი აღამიანებიც და ვაი თუ თათების რაოდენობით თემიდას სასწორმა იმათ მხარეს გადაიხაროს?! (რაც ყრილობის მსვლელობის დროს არავითარგან დადასტურდა!) ჭკდა, მაშინ?! მაშინ რა მოხდება?!.. ამისა გაფიქრებაც კი ტანში მხარავს და მაძრწუნებს!

გულს იმედად მანც მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვის ყრილობაზე განაცხადი რჩება: „კომისია ზედნიწევით შეისწავლის ყველაფერს, დაადგენს მთელს სიმართლეს და დანაშაუენი — ვინც არ უნდა იყვნენ ისინი, რა თანამდებობა და პოსტებიც უნდა ეკავიოთ, სადაც უნდა მუშაობდნენ, საკადრისად დისკუბიანი!“

ქვეყნის პარტიული და სახელმწიფო ლიდერს ამ განცხადებას ძნელი არ დეთანხმო, მაგრამ ნაზარბაევის ყოფნის პირობებში ამ კომისიაში მანც დამიკარგა სულიერი წინასწორობა, უბრალოტო გული ბოღმით ამივსო და ეს ბოღმა შემდეგ ამ დეპეშაში გადმოიჩინა, რომელიც 7 ივნისს სასტუმრო „როსიადან“ ნურსულთან აბაშის ძე ნაზარბაევს გაუგზავნე. გიცოდო, ეს დეპეშა ვერაფერ სიაშოვნებას მოჰგვრდა დეპუტატს და ამიტომ დეპეშა ყრილობის პრეზიდენტის სახელზე გავგზავნე:

„მოსკოვა — კრემლი, ყრილობათა ხასხაღე, დეპუტატ ნაზარბაევს.

პატივცემულო დეპუტატო!

როცა ქალათი ხალდათები პირგამეხილ ბარებს აღმართავენ თქვენი შევილებიქ ცოლბის, დედ-მამისა და ახლობელთა წინააღმდეგ და დაიწყებენ იმათ მოწამულან მომკვედნიბელი შხამით — „ხიხისო!“ და ამის შესახებ მე ვიხილაეც ეკრანიდან დოკუმენტურ ფილმს, მე, თქვენსავით, უკიდურესი გულგრილობით ვერ მივიღებ ამ ამბავს და თქვენს მსგავსად ცინიკურად არ განცხადებ: „მე ამ ფილმში, დიქტორის ტექსტის გარდა, ხედავსა სხვა, ხედავსა სხვა ვერაფერი აღმოვაჩინეო!“.

პატივცემულო დეპუტატო!

გამოიჩინეთ ვაეკაცობა და ეს ჩემი დეპეშა ხმამაღლა წაიკითხეთ „ქალაქ თბილისში 1989 წლის 9 აპრილის ამბებთან დაკავშირებული ვარაუდების გამოძიებელი კომისიის სხდომაზე, რომლის წევრიც თქვენ ბრძანდებითო!“.

დეპეშის ტექსტს მივასწრე ჩემი ვინაობა, სადაურობა, სამუშაო ადგილი და იდრესატზე მისი ჩაბარების თანხაც წინასწარ გადავიხადე.

პასუხმაც არ დაყოვნა.. მეორე დღეს, 8 ივნისს, აკ. ხორავას სახელობის მსახიობის სახლის მისამართზე, ასეთი პასუხი მივიღე:

„თქვენ მიერ გავგზავნილი დეპეშა, ქეთათის № 459/9780, 7 ივნისით დათარგმნილი, იმავე დღეს ჩაბარდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სიმდიგნოს № 1157. განყოფილების ვაგვე — ვოროპაევი“.

მე დარწმუნებული არა ვარ, დეპუტატ ნაზარბაევს ეყოფა თუ არა ვაეკაცობა აღნიშნული დეპეშა ხმამაღლა წაუკითხოს კომისიის შემადგენლობას. ამიტომ ჩემი უმორჩილესი თხოვნაა, კომისიის თავმჯდომარე — ა. სობახაი ან კომისიის წევრმა საქართველოდან, სახალხო დეპუტატმა ე. ნ. შენგელაიამ ითავო და გააცნონ კომისიის შემადგენლობას ჩემი დეპეშის შინაარსი, რომელიც ვფიქრობ, გარდა ჩემი პირადი განწყობილებისა, არავითი ქართველის გულსთქმეადა გამოზატული.

ეფიქრობ, ამისა გაცნობა დაფიქრებს და სინდისში ჩაახდებს დეპუტატ ნაზარბაევს და მის მსგავსთაც.



უკანასკნელი ცნობები

* * *

ფასების კომისიამ ამ ბოლო დროს მიიღო მოქალაქეთა უამრავი წერილი პირველ მოთხოვნის საკონტაქტო ფასების მოწესრიგების შესახებ.

მშრომელები შეშფოთებულნი არიან ჩვენში ზოგიერთი საქონლის დაბალი ფასის გამო და თავიანთ წერილებში დაუინებოთ მოითხოვენ ფასები მოემატოს ზორცხ, ყველს, კარაქს, პურს, მწვანელს, თევზს, შაქრის ჭარხალს და სხვა პროდუქტებს.

ფასების კომისიამ იმსჯელა ამ საკითხზე და მშრომელთა დაუინებელი მოთხოვნის გათვალისწინებით გადაწყვიტა 1988 წლის პირველი ივნისიდან მოემატოს ფასი: კარაქს — 8 პროცენტი, ნაღულს — 1 პროცენტი ყველს — 7 პროცენტი, პურს — 4 პროცენტი, მწვანელს — 11 პროცენტი, თევზს — 5 პროცენტი, შაქრის ჭარხალს — 17 პროცენტი.

მიუხედავად მშრომელთა დაუინებელი თხოვნისა, ფასების კომისიამ გადაწყვიტა 1988 წლის პირველი ივნისიდან დააკლდეს ფასები არადეფიცირებულ საქონელს: ხელოვნური ბეწველის ნაწარმს — 2 პროცენტი, ძველი სისტემის ორთქმავალს — 8 პროცენტი, პარაშუტს — 1 პროცენტი.

* * *

ჩაიამაჯებინა მიიღო დადგენილება უკანონოდ მიტაცებული მიწებისა და უნებართვო მშენებლობათა შესახებ.

გამოირკვა, რომ წლების განმავლობაში ადგილი ჰქონდა მიწების დატაცებასა და პირადი მოსმარების ნაგებობათა უნებართვო მშენებლობას.

ამაჯამა დაადგინა: დაუყოვნებლივ ჩამოერთვათ მიტაცებული მიწები და დაენგრეთ უნებართვო ნაგებობანი ქართველ მოქალაქეებს, ხოლო არაქართულ მოსახლეობას ეროვნებათაშორისი კეთილგანწყობის შენარჩუნების მიზნით, ინტერნაციონალური მოსაზრებით ეთხოვა ექვსი თვის განმავლობაში დაიკანონოს მიტაცებული მიწები და მათთვის ცნობილი გზებითა და საშუალებებით მოიპოვოს სათანადო ნებართვა უნებართვო მშენებლობებზე.

* * *

დამთავრდა მოსახლეობის საკავშირო აღწერის პირველი ეტაპი. მოპოვებულ მასალას ამოშავებს გამომთვლელი ელექტრონული მანქანა, მაგრამ წინასწარი მონაცემები ფრიალ დაშიმღებელია.

საქართველო ღამის პირველ ადგილზეა საბჭოთა კავშირში მოძვე ხალხთა ხელშეწყობისა და სხვა ეროვნების მოქალაქეთა თავის მიწაზე გამრავლების საკითხში.

გატარებული ღონისძიებების შედეგად საქართველოში ასამდე სხვადასხვა ეროვნების სტუმარი მშენებელია გრძნობს თავს და გეომეტრიული სისწრაფით შრავლდება. ადგილობრივი ქართველი მოსახლეობა ყოველ დღეს ხმარობს გაზარდოს სტუმრების გამრავლების ტემპი გამრავლების საკუთარი ტემპის შემცირების ხარჯზე.

ბარბაქიძე



— კი, ბატონო ფოთა, კომემა თქვენიცა და თქვენს კომპატიბუ-
როგაში ეხვი არ გვიპარება, მაგრამ ამ სტრიქონს ვერ შევიასწორებთ,
რუსთვილოლოგთა უმრავლესობა მკვლავწაშვილის მარინანტს
უხერს მხარს.

თემა ნ. ბართაიასი
ნახ. ზ. ფორჩხიძისა

ავტორთა ხელრადღებოდ: სტატია არ უნდა აღემატებოდეს 25 გვერდს (ორ ინტერვალ-
ზე გადაბეჭდილი 1 პირი). რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.
აღმანახი გამოდის ორ თვეში ერთხელ

ნომრის მორიგე ირმა ვებურიშვილი. მხატვარი ვახტანგ რურუა. ტექნედაქტორი რევაზ კუ-
მაბრია, კორექტორი ნანა ცირაშუა
ჩაბარდა წარმოებას 15. 05. 89 წ., ხელმოწერილია საბეჭდად 24. 07. 89 წ., ზომა 70x116
ქალაქი № 1, სააღრიცხვო თაბახი 12.66 ნაბეჭდი თაბახი 14, პირობითი საღებვეგატარება 14,18

უე 06682

შეკვ. № 1143

ტირაჟი 10 000

ფახი 85 კაპ.

საქართველოს კ კვ-ის გამომცემლობის შრომის წითელი
ღრთშის ორდენოსანი სტამბა, თბილისი, ლენინის, 14
Орденa Трудового Красного Знамени типография издательства
ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.